ძველი ქართული მწერლობის ძეგლები
III

ნევმირებული ძლისპირნი

(ხელნაწერი A—603)

გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო
გ. კიკნაძემ

მეცნიერება
თბილისი
1982

4 Г+8 Г 1
81.2 Гр+83.3 Гр 1
091(=99.962.1)+899.962.1.09
ნ 427

წიგნში პირველად ქვეყნდება ნევმირებული ძლისპირნი X ს. დამლევისა და XI ს. დასაწყისის ხელნაწერის A—603-ის მიხედვით. გამოცემა ფოტოტიპიურია. ფოტოების პარალელურად თანამედროვე შრიფტით ქვეყნდება დადგენილი ტექსტი.

ტექსტს ერთვის გამოკვლევა, სადაც განხილულია ძლისპირთა ქართული კრებულების რედაქციული თავისებურებებისა და ქართულ-ბერძნულ-სლავურ ირმოლოგიონთა ურთიერთმიმართების საკითხები.

პუბლიკაციის მიზანია მასალა მიაწოდოს როგორც ფილოლოგებს, ისე მუსიკათმცოდნეებს. იგი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ბერძნულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობებისა და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლას.

სერიის სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, ქ. ლომთათიძე, ელ. მეტრეველი (მთ. რედაქტორი), ც. ქურციკიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შ. ძიძიგური

ტომის რედაქტორი: საქართველოს სსრ მეცნ. აკად.
წევრ-კორ. ე. მეტრეველი

Редакционная коллегия серии: А. Г. Барамидзе, Ш. В. Дзидзигури, Ц. И. Курцикидзе (отв. секретарь), К. Б. Ломтатидзе, Е. П. Метревели (гл. редактор)

Редактор тома: Е. П. Метревели

ნ $\frac{70202}{М\ 607\ (06)-82}$ 133—80

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1982

რედაქტორისაგან

წინამდებარე პუბლიკაცია ნაწილია იმ დიდი სამუშაოსი, რომელიც დაიგეგმა ჯერ კიდევ 60-იან წლებში კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში და გულისხმობს IX—XI სს. ქართული ჰიმნოგრაფიული ძეგლების შესწავლასა და პუბლიკაციას.

ამ გეგმის შესაბამისად დღეისათვის გამოცემულია: „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანის" I რედაქცია[1], „უძველესი იადგარი"[2] და წინამდებარე „ნევმირებული ძლისპირნი".

ამავე გეგმის განხორციელებას ემსახურება სინის მთის ქართული უნიკალური ხელნაწერების აღწერილობის ორი ტომი[3], რომლებიც მოიცავენ ამ კოლექციის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ხელნაწერების ვრცელ მეცნიერულ აღწერას. მზადდება გამოსაცემად „ძლისპირნის" მეორე რედაქცია და „დიდი იადგარის" კრიტიკული გამოცემა X საუკუნის ყველა ნუსხის მიხედვით. მიმდინარეობს მუშაობა აგრეთვე „იერუსალიმურ ლექციონარზე", როგორც ჰიმნოგრაფიული მასალის შემცველ უძველეს ძეგლზე.

განსაკუთრებული ყურადღება ძველი ქართული მწერლობის ამ დარგისადმი განაპირობა X—XI სს. ბრწყინვალე ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ხასიათის ქართული ხელნაწერების არსებობამ, რომლებმაც ჩვენამდე, რიგ შემთხვევაში, ქართველი პოეტებისა და ლიტურგისტების ავტოგრაფების სახით მოაღწიეს. ამ ხელნაწერებში თავმოყრილია ქართველი ჰიმნოდებისა და მთარგმნელების ექვსსაუკუნოვანი ინტენსიური შემოქმედებითი და მთარგმნელობითი მუშაო-

---

[1] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., 1971.

[2] უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, II, თბ., 1980.

[3] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი I. თბ., 1978; ნაკვეთი II, თბ., 1979.

ბის შედეგები, უძველესი პოეტური შემოქმედების ბრწყინვალე ნიმუშები, შექმნილი ძირითადად პალესტინის ქართულ სამწერლობო კერებში.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ პალესტინის სამონასტრო კერებში, კერძოდ, საბაწმიდის მონასტრის ჰიმნოგრაფიულ სკოლაში საფუძველი ჩაეყარა ადრებიზანტიურ ჰიმნოგრაფიას, რომელიც აქვე განაგრძობდა თავის შემდგომ განვითარებას, გასაგები გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება აქ შესრულებულ ადრეულ ქართულ თარგმანებს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და მუსიკის ისტორიის შესწავლისათვის, მით უმეტეს, რომ ამ ეპოქის ბერძნულ ხელნაწერებს ჩვენამდე თითქმის არ მოუღწევიათ, რის გამოც ადრებიზანტიური პოეტური სიტყვისა და მუსიკის განვითარების ეს უმდიდრესი პერიოდი თითქმის შეუსწავლელია დღემდე.

მეორე მხრივ, X საუკუნის ქართული ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების შესწავლა ახალ შესაძლებლობებს სახავს ბერძნული პოეტური სიტყვის განვითარების მეორე, ე. წ. კონსტანტინეპოლური პერიოდის შესწავლისათვის, რომელიც პალესტინური პერიოდის ჰიმნოგრაფიაზე ამოიზარდა და მისი განვითარების ახალი საფეხურის სახით წარმოგვიდგა.

ეს პერიოდიც (X—XI სს.) მდიდარია ქართული თარგმანებითა და ქართველი მთარგმნელებით. საგალობლის ბერძნულიდან თარგმნის თეორიამ და ოსტატობამ ამ პერიოდში თავისი დახვეწილი და დასრულებული სახე მიიღო გიორგი მთაწმიდელის მონუმენტურ „თთუენში“, რომლის პუბლიკაციასაც აგრეთვე ვარაუდობს ხელნაწერთა ინსტიტუტი.

„ნევმირებული ძლისპირნი“, რომელსაც ამავე დროს „მეხური ძლისპირნიც“ შეიძლება ვუწოდოთ, განსაკუთრებული მოვლენაა ქართული ჰიმნოგრაფიისა და მუსიკის ისტორიაში.

„მეხური ძლისპირნი“ მეხელთა მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. გიორგი მთაწმიდელისათვის ცნობილი იყო მეხელთა ხელიდან გამოსული „მეხური ძლისპირნი“, „მეხური ღმრთისმშობლისანი“ და „მეხური გალობანი“[4]. მეხელები იყვნენ X საუკუნის პროფესიო-

---

[4] ეს კარგად გამოჩნდა გიორგი მთაწმიდელის „თთუენთა“ ანდერძებში: იხ. ლ. ჯღამაია, „მეხურისა და მეხელის“ შესახებ. საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნ. განყ. მოამბე, 1962, № 3. მისივე, გიორგი მთაწმიდელის უცნობი ანდერძი: ხელნაწერთა

ნალი მგალობლები, რომლებიც ამასთანავე დაუფლებულნი იყვნენ ბერძნულიდან საგალობლების ქართულად თარგმნის რთულ საქმეს, გიორგი მთაწმიდელის ტერმინი რომ ვიხმაროთ, „დასდებლის მეცნიერებას“ და საგალობელთა მუსიკალურ კილოზე გაწყობის რთულ ტექნიკას.

მეხელების მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული ადრებიზანტიური რიტმული პოეზიის ნიმუშების ქართულად თარგმნა მათი რიტმული სახის დაცვით და ტექსტებთან კილოს შეწყობით, რისთვისაც აუცილებელი გახდა ნევმურ ნიშანთა ქართული სისტემის დამუშავება. ვინაიდან „ძლისპირნი“ შეიცავს რიტმულ-მელოდიურ მოდელებს გალობებისა და სტიქარონებისათვის, ამიტომ, ბუნებრივია, პირველ რიგში სწორედ ძლისპირთა კრებული, ანუ „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ უნდა გამართულიყო რიტმული თვალსაზრისით და კილოს ნევმური ფიქსაციაც პირველად სწორედ ამ კრებულში უნდა მომხდარიყო. ნევმირებული „ძლისპირნის“ ყველაზე განვითარებული, ვრცელი და სრულყოფილი კრებულია ხელნაწერი A—603 („მეხური ძლისპირნი“), რომლის შესწავლა და პუბლიკაცია თავს იდვა გულნაზ კიკნაძემ.

დღეს, როდესაც გამოცემულია „უძველესი იადგარი“, რომელიც წარმოადგენს VI—IX საუკუნეების ადრებიზანტიური პოეზიის ნიმუშების ქართული თარგმანების პირველ კრებულს, უფრო მკაფიოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ ის თავისებურებები, რომლითაც ხასიათდება მეხელთა თარგმანები წინამორბედ თარგმანებთან შედარებით.

მეხელებმა, რომელთაც X საუკუნის დამდეგს „ახლად თარგმნეს“ საბაწმიდელ ჰიმნოდთა ჰიმნოგრაფიული პროდუქცია და შექმნეს ძველი იადგარის საპირისპიროდ ახალი იადგარი და ძლისპირთა კრებულები, ფაქტიურად პირველებმა დაუახლოვეს ქართული თარგმანები რიტმისა და კილოს თვალსაზრისით თავის ბერძნულ მოდელებს. ამრიგად, მეხელების მთარგმნელობითი მოღვაწეობით დაიწყო ახალი ხანა ქართული ჰიმნოგრაფიისა და მუსიკის ისტორიაში.

ნევმირებული „მეხური ძლისპირნი“ — ხელნაწერი A—603, ბერძ-

ინსტიტუტის V სამეც. სესია, თეზისები, 1963. ელ. მეტრეველი „მეხელისა და მეხურის“ გაგებისათვის. კრებული, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1966.

ნული ირმოლოგიონის ერთ-ერთი ადრეული თარგმანი, ქართულ, ბერძნულ და სლავურ ირმოლოგიონთა შორის ასაკით უხუცესი, დიდ წვლილს შეიტანს X საუკუნის ქართული ორიგინალური თუ ნათარგმნი ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის შესწავლაში, და დიდად შეუწყობს ხელს ადრებიზანტიური და სლავური ჰიმნოგრაფიის, კერძოდ კი ირმოლოგიონის შემდგომ კვლევას.

ელენე მეტრეველი

ႼႨႬႠႱႨႲႷႥႠႭႡႠ

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ — ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშები — ქართულ ენაზე დაუცავს X საუკუნის უნიკალურ ხელნაწერებს.

ქართულ, საზღვარგარეთულ (საბაწმიდისა და სინის) და ადგილობრივ (ტაო-კლარჯეთის) სამწიგნობრო კერებში შექმნილი ეს კრებულები X საუკუნეში უკვე სამი რედაქციის სახით წარმოგვიდგება. ისინი გადაწერილია რიტმული პუნქტუაციის დაცვით და ნევმებით, რითაც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, სასულიერო პოეზიის, მეორე მხრივ, საეკლესიო მუსიკის კვლევისათვის.

X ს. ႭႣႭ ტიპის ქართული კრებულები, რომლებიც შეიცავენ ბერძნულიდან თარგმნილ ძლისპირებს, ერთგვარად ავსებენ ხარვეზს ბერძნული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში, რადგან ბერძნულად ႭႣႭ ტიპის ირმოლოგიონი მხოლოდ გვიანდელი ხელნაწერების და ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი. ქართული ნევმირებული ხელნაწერები, რომელთა ასაკი პალეობიზანტიური ნოტაციის თანამედროვეა, მასალას იძლევა ბერძნული და ქართული მუსიკალური სისტემების პარალელური შესწავლისათვის.

ქართული „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ I რედაქციისა უკვე გამოქვეყნებულია პარალელური ბერძნული ტექსტით და ვრცელი გამოკვლევით („ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი,“ ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ. 1971).

ჩვენ ვაქვეყნებთ III რედაქციის ტექსტს, რომელიც X ს. დამლევისა და XI ს. დასაწყისის ხელნაწერითაა დაცული (**A**—603).

A—603-ის წინამდებარე გამოცემა ხორციელდება ფოტოტიპიური წესით. არჩევანი ამ ხელნაწერისა და მისი გამოცემის ხასიათი განსაზღვრა შემდეგმა სპეციფიკურმა გარემოებებმა:

1. **A**—603 ძლისპირთა ყველაზე სრული კრებულია,

2. ეს ხელნაწერი „მეხურია“, ახლავს ნევმები, სანოტო ნიშნები, რაც ფოტოტიპიურ გამოცემაში აისახება.

გამოცემას ერთვის გამოკვლევა, სადაც განხილულია ძეგლთან დაკავშირებული ფილოლოგიური საკითხები: ქართულ ძლისპირთა კრებულები და მათი რედაქციული ურთიერთდამოკიდებულება, ბერძნულ-ქართული ირმოლოგიონების ურთიერთმიმართება და სხვა საკითხები.

Λ—603-ის ფოტოები მოამზადა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გამგემ თამაზ ბარამიძემ.

შესავალი

სამეცნიერო ლიტერატურაში ძლისპირი განმარტებულია, როგორც მეტრულ-მელოდიური მოდელი, რიტმულ-მუსიკალური თარგი გალობისა. ძლისპირი (ბერძნულად ὁ εἱρμός-ი) არის კანონის ყოველი ოდის სანიმუშო სტროფი, რომლის მიხედვითაც საგალობელი სრულდება, მელოდია იმღერება. კანონი ბიბლიურ თემებსა და ეპიზოდებზე აგებული საგალობლების კომპოზიციური მთლიანობაა, რომელიც 9 ერთეულისაგან, ოდისაგან შედგება. ამ ოდების საფუძველია შემდეგი ბიბლიური წიგნები[1] (ოდების აღნიშვნა ბერძნულში ასოებრივი ნუმერაციით ხდება, ქართულში ოდებს აქვს სახელწოდებები):

ბერძნ. ქართ.

I (α′)—„უგალობდითსა“ (გამოსვლათა, XV, 1-19)

II (β′)—„მოიხილესა“ (II შჯულთა, XXXII, 1-43)

III(γ′)—„განძლიერდითსა“ (I მეფეთა, II, 1-10)

IV (δ′)—„უფალო მესმასა“ (წინასწარმეტყველება ამბაკუმისი, III, 1-19)

V (ε′)—„ღამითგანსა“ (წინასწარმეტყველება ესაიასი, XXVI, 9-19)

VI (ς′)— „ღაღატ-ყავსა“ (წინასწარმეტყველება იონასი, II, 3-10)

VII (ζ′) —„კურთხეულ არსა“ (წინასწარმეტყველება დანიელისი, III, 26-55)

VIII (η′) —„აკურთხევდითსა“ (წინასწარმეტყველება დანიელისი, III, 57-88)

IX (θ′)—„ადიდებდითსა“ (სახარება ლუკასი, I, 46-55).

---

[1] Egon Wellesz, A History of Byzantine Music and Hymnography, second edition, Oxford, 1961 p. 214—215; К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII века, Тифлис, 1912, с. 324-325; გ. იმედაშვილი, ქართული კლასიკური საგალობლის პოეტიკის საკითხები, ლიტერატურული ძიებანი, XII, 1959, გვ. 186—187.

სხვა ენებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ოდების ქართულ აღნიშვნაშია შემორჩენილი ბიბლიური გალობების დასაწყისი სიტყვები[2].

ამ გალობების სანიმუშო ტროპარები (ძლისპირები) დალაგებულია რვა ხმაზე* და თავმოყრილია საგანგებო კრებულებში, რომელთაც ბერძნულად ეწოდებოდა „ირმოლოგიონი“ (Εἱρμολόγιον), ხოლო ქართულად — „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“. ამ უკანასკნელ სახელწოდებაში ასახულია ქართული კრებულების სტრუქტურული თავისებურება. ბერძნული ირმოლოგიონისაგან განსხვავებით, აქ ძლისპირებს მოსდევს მისი შესატყვისი ერთი (ზოგჯერ ორი) „ღმრთისმშობლისა“.

ტერმინი „ღმრთისმშობლისაჲ“ ქართულში სამი მნიშვნელობით იხმარებოდა. „ღმრთისმშობლისაჲ“ არის: 1. გალობა (სრული კანონი), რომელიც დაწერილია ღვთისმშობლის სახელზე და იგალობება მის დღესასწაულებზე; 2. კანონის IX ოდა — მიმართული აგრეთვე ღვთისმშობლის სადიდებლად, 3. ერთტროპარიანი შესხმა, რომელიც საეკლესიო პრაქტიკაში სრულდებოდა ყოველი გალობის შემდეგ[3]. ძლისპირთა კრებულებში „ღმრთისმშობლისაჲ“ ამ მესამე მნიშვნელობას გულისხმობს.

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ხშირად წინ უძღვოდა ლიტურგიკულ კრებულებს (იადგარებს, პარაკლიტონებს) და ხმებსა

---

[2] კ. კეკელიძე, იქვე.

[3] ე. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის. იხ. კრებული, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ლიტერატურული ძიებანი, თბ., 1966, გვ. 162.

* ხმები ბერძნულ და ქართულ კრებულებში ერთნაირად (ასოებრივი ნუმერაციით) აღინიშნება.

ბერძნული	ქართული
Ἡχος α′	ჴმაჲ ა
„ β′	„ ბ
„ γ′	„ გ
„ δ′	„ დ
Ἡχος πλάγιος α′	„ ა გ̃ი (გუერდი)
„ β′	„ ბ გ̃ი
„ γ′	„ გ გ̃ი
„ δ′	„ დ გ̃ი

და გალობებზე მითითებით ხელს უწყობდნენ საგალობელთა რეპერტუარში გარკვევას. ის გამოიყენებოდა გალობის სახელმძღვანელო წიგნადაც.

ბერძნულ ირმოლოგიონებში თავმოყრილია ცნობილი ბერძენი პოეტი-ჰიმნოდების კანონთა ძლისპირები. კანონი, როგორც საგალობლის ახალი ჟანრი (ძველი კონდაკიონების ნაცვლად), დაამკვიდრა „რიტმული პოეზიის ახალმა სკოლამ“[4]..., რომლის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან ანდრია კრიტელი, იოანე დამასკელი და კოზმა იერუსალიმელი. კანონის — ირმოლოგიური გალობის ამ უმაღლესი საფეხურის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის უდიდესი კერის — იერუსალიმის საბაწმიდის მონასტრის სახელს. VIII ს. აქ ინტენსიურად მოღვაწეობდნენ და ქმნიდნენ კანონებს (მათთან ერთად ახალ ძლისპირებს) სახელგანთქმული პოეტი მელოდოსები — იოანე დამასკელი და კოზმა იერუსალიმელი. „დამასკელმა ჩამოაყალიბა კანონის სტრუქტურა, სადაც ზუსტად უნდა ყოფილიყო დაცული ძლისპირ-დასდებლის შეფარდება როგორც რიტმული, ისე მელოდიური თვალსაზრისით“[5]. იოანე დამასკელმა და კოზმა იერუსალიმელმა გადაშალეს ახალი ფურცელი ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და მუსიკის ისტორიაში, რომელიც ბერძნული ჰიმნოგრაფიის „საბაწმიდური პერიოდის“ სახელით არის ცნობილი[6].

საბაწმიდის შესანიშნავ ცენტრში მოღვაწეობდნენ ქართველებიც. „საბას მონასტერი პალესტინაში მნიშვნელოვანი კერა იყო საქრისტიანო მწერლობისა არა მარტო ბერძნულ, არამედ სხვა ენებზედაც“[7]. „აქ VIII—X საუკუნეებში დუღდა ქართველების ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება“[8]. ბერძნული ძლისპირები ქართულად სწორედ საბაწმიდის ქართველ მოღვაწეებს უნდა ეთარგმნათ პირველად. მათი მოღვაწეობის პროდუქტია უძველესი რედაქციის ძლისპირთა კრებულები საბაწმიდურ-სინური წარმომავ-

---

[4] ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 135.

[5] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია, X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბ., 1971, გვ. 169.

[6] Egon Welesz, დასახ. ნაშრ. გვ. 206.

[7] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951 გვ. 77.

[8] იქვე, გვ. 78.

ლობისა, რომლებიც შემდგომში შეივსო და გამდიდრდა ადგილობრივი (კერძოდ, ტაო-კლარჯეთის) სამწიგნობრო კერებიდან გამოსული შედევრებით.

* * *

საგალობლების სპეციფიკა, მათი ვოკალური შესრულება აპირობებდა ირმოლოგიონებში საგანგებო მუსიკალური ნიშნების — ნევმების გამოყენებას. ნევმები კილოს გამოხატვის სქემატური საშუალებებია. ისინი რიტმულ პუნქტუაციასთან ერთად მიანიშნებდნენ ძირითად მელოდიურ ფრაზებს.

ქართულში ასეთ ნევმირებულ კრებულებს „მეხური“ ეწოდებოდა[9].

ტერმინი „მეხური“ რამდენჯერმეა დადასტურებული X—XI სს. წერილობით ძეგლებში. პირველად მას ხმარობს მიქაელ მოდრეკილი თავის ცნობილი „იადგარის“ (S—425) ანდერძებში ძლისპირებსა და საგალობლებთან დაკავშირებით: „შევკრიბენ ძლისპირნი... მეხურნი ბერძულნი და ქართულნი“ (გვ. 242); „შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი... მეხურნი ბერძულნი და ქართულნი“ (გვ. 262)[10]. „მეხურს“ იადგარის ატრიბუტად გვიდასტურებს მელქისედეკ კათალიკოსის ერთ-ერთი საბუთიც 1040 წლისა[11]. „მეხურის“ წერილობით დადასტურებას იძლევა გიორგი მთაწმიდლის „თთუენიც“ (სექტემბრისა და ივნისისა), რომლის ანდერძებსაც მიაკვლია ლ. ჯღამაიამ[12]. ამ ანდერძებში „მეხური“ განსაზღვრავს როგორც ღმრთისმშობლისას („მეხურ ღმრთისმშობლისათა თავი გჳჩენია“, „ღმრთისმშობლისად მას ბრძანებდით მეხურსა“), ისე გალობებსაც („მეხურნი გალობანი ზოგან ორგუარად დაგჳწერიან“). ლ. ჯღამაიას მიერ მიკვლეული ანდერძები მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ აქ დასტურდება „მეხურთან“ დაკავშირებული მეორე ტერმინი „მეხელიც“.

---

[9] ე. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის, გვ. 165.

[10] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. I, გვ. 544.

[11] კ. კეკელიძე, მცხეთის დოკუმენტი და მისი ცნობები...., ეტიუდები, I გვ. 24.

[12] ლ. ჯღამაია, „მეხურის“ და „მეხელის“ შესახებ; საქ. სსრ მეცნ. აკად. საზ. მეცნიერებათა განყოფილების მოამბე. 1962, №3; მისივე, გიორგი მთაწმიდლის უცნობი ანდერძი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია, თეზისები, 1963.

(„ჩუენნი ღმრთისმშობლისანი კეთილნია და ჯეკმა კეთილნი — მეხელთა თარგმნილნი"... „მეხელთა მას ჟამსა ახლად თარგმნეს").

ტერმინ „მეხურის" კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. მის შესახებ გამოთქმული იყო განსხვავებული მოსაზრებები[13].

ყველაზე მისაღები ე. მეტრეველის ახსნა ჩანს, რომელიც ემყარება გიორგი მთაწმიდლის ანდერძთა მონაცემებს. გიორგი მთაწმიდელი ყურადღებას ამახვილებს მის მიერ თარგმნილ „პარაკლიტონში" მეხურ ღმრთისმშობლისათა დასაწყისების შეტანაზე. როგორც კრებულის — „თთუეთა" შესწავლამ ნათელყო, ეს ის ღმრთისმშობლისანია, რომლებიც შედის კრებულებში „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი". რადგან ცნობა ძლისპირთა მეხურობის შესახებ ძლისპირთა მრავალი კრებულიდან მხოლოდ მიქაელ მოდრეკილის „იადგარმა" შემოგვინახა, ეს იადგარი კი ნევმირებულია, ე. მეტრეველის სამართლიანი დასკვნით, „მეხური ძლისპირები და გალობანი უნდა ნიშნავდეს მხოლოდ ნევმირებულ ძლისპირებსა და გალობებს, რომელთა შექმნაც მეხელებს ეკისრებოდათ. ვინაიდან „ღმრთისმშობლისანი" სრულდებოდა მეხური ძლისპირის მეტრსა და მუსიკაზე და ძლისპირთან ერთად იწერებოდა, ამიტომ მათაც მეხური ეწოდებოდათ. აქედან არის ტერმინი „მეხური ღმრთისმშობლისანი" დამოწმებული გიორგი მთაწმიდლის ანდერძებში. ამის ანალოგიით „მეხური იადგარი" უნდა ეწოდებოდეს „ნევმირებულ იადგარს"[14].

გიორგი მთაწმიდლის ამავე ანდერძების საფუძველზე განსაზღვრა ე. მეტრეველმა „მეხელის" მნიშვნელობაც. მეხელები იყვნენ პირველი პროფესიონალი მთარგმნელები და ერთდროულად მგალობელ-მუსიკოსები, „რომელთაც გადმოიღეს ბერძნულიდან რვახმიანი რიტმული (მარცვლედოვანი საზომით დაწერილი) გალობის საწელიწდო რეპერტუარი და შეუწყვეს მას (რიტმული პუნქტუაციისა და ნევმების გამოყენებით) კილოები"[15].

მეხელების ახლად თარგმნილი ძლისპირებისა და გალობა-სტიქარონების შემცველ კრებულებს ეწოდებოდათ მეხური იადგარი, მეხუ-

---

[13] ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 572—573; ვ. გვახარია, „მეხურისა და მეხურელის მიმართება ქართული საგალობლებისადმი", საბჭოთა ხელოვნება, 1970, № 1 (ამ უკანასკნელის კრიტიკა იხ. ე. მეტრეველის გამოკვლევაში: „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი"..., გვ. 052).

[14] ე. მეტრეველი, „მეხელისა" და „მეხურის" გაგებისათვის..., გვ. 165.

[15] ძლისპირნი... , გვ. 051.

რი ძლისპირნი, მეხურნი ღმრთისმშობლისანი, მეხური აღდჳომის დასდებლები.

* * *

მუსიკალურ ნიშანთა სისტემა ქართულსა და ბერძნულში განსხვავებულია. გამოყოფენ ბიზანტიური ნევმური ნოტაციის განვითარების სამ საფეხურს: 1. პალეობიზანტიური (ხაზოვანი)—IX-XII სს. 2. საშუალო ბიზანტიური (მრგვლოვანი)—XII-XIV სს; 3. გვიანბიზანტიური (კუკუზელის)—გავრცელებული XIV-XIX სს[16].

ქართული ნევმირებული კრებულები ქრონოლოგიურად ემთხვევიან პალეობიზანტიური ნოტაციის მქონე ხელნაწერებს. პალეობიზანტიური ნევმური ნოტაციის სისტემა ამოხსნილი არ არის. ამოუხსნელია ქართული ნევმებიც. ქართული ნევმირებული ხელნაწერის წინამდებარე გამოცემა გარკვეულ პერსპექტივებს შლის ამ ორი სისტემის პარალელური შესწავლისათვის.

სტრუქტურის, მასალის განლაგების მიხედვით ირმოლოგიონები ორი ტიპისაა: KaO და OdO. KaO ტიპში (Kanons Order) შენარჩუნებულია კანონის კომპოზიცია და ავტორი. ძლისპირები განლაგებულია კანონების (აკოლუთიების) სახით. ისინი ასახავენ ერთი კანონის ფარგლებში ოდების თანმიმდევრობას. OdO ტიპში (Odes Order) კანონები დაშლილია, ძლისპირები გადაჯგუფებულია ხმის ფარგლებში გალობების მიხედვით. ასე, მაგალითად, ჯერ მიდის პირველი ხმის პირველი გალობის ძლისპირები, შემდეგ—მეორე გალობისა და ა. შ.

ამ განსხვავებული სტრუქტურის ირმოლოგიონების გენეზისისა და ურთიერთმიმართების საკითხებს ბერძნულ-სლავური მასალების მიხედვით ვრცელი ნაშრომები უძღვნეს გერმანელმა სლავისტმა ერვინ კოშმიდერმა და ამერიკელმა მილოშ ველიმიროვიჩმა[17].

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედ-

---

[16] E. Wellesz, დასახ. ნაშრ. გვ. 262.

[17] Ervin Koschmieder, Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente, Zweite Lieferung, München. p. 69; M. Velimirovič, Byzantine Elements in Earli Slavic Chant: The Hirmologion: Monumenta Musicae Byzantinae, Subsidia, IV, Copenhagen, 1960; p. 38. ამ შრომათა მიმოხილვა ვრცლად იხ. „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, გვ. 089—099.

ვით, KaO ტიპი გამოხატავს ირმოლოგიონთა განვითარების თავდაპირველ ვითარებას, OdO ტიპი KaO-ს გადაჯგუფების ბაზაზეა შექმნილი. ე. კოშმიდერის მოსაზრებით, ირმოლოგიონთა KaO ტიპი ბერძნული წარმომავლობისაა, OdO კი სლავურ ნიადაგზეა შექმნილი. მისი აზრით, OdO ტიპის ირმოლოგიონები ბერძნულში XIII საუკუნიდან ვრცელდება, ბერძნულიდან თარგმნილი სლავური ირმოლოგიონი კი XII საუკუნისაა[18].

მ. ველიმიროვიჩმა იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ დადასტურებულია CdO წყობის X—XI საუკუნის ბერძნული ირმოლოგიონი (ესაა იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ხელნაწერი PSg-1248), უსაფუძვლოდ მიიჩნია ე. კოშმიდერის კონცეფცია[19]. მან ირმოლოგიონის ეს განსხვავებული ტიპები დაუკავშირა განსხვავებული ტრადიციების მქონე საბაწმიდისა და კონსტანტინოპოლის ჰიმნოგრაფიული ცენტრების არსებობას. მისი აზრით, KaO ტიპი გავრცელებული იყო კონსტანტინოპოლის დომენსა და ათონზე, OdO კი —პალესტინაში[20].

ბერძნულში გავრცელებული ირმოლოგიონები KaO ტიპისაა, ქართული „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ კი — OdO ტიპისა (თუმცა დადასტურებულია KaO ტიპიც). OdO ტიპის ძლისპირთა კრებულები (I რედაქციისა) დათარიღებულია X საუკუნით და თარგმნილია ბერძნულიდან. ამით უკვე ნიადაგი ეცლება ე. კოშმიდერის თვალსაზრისს OdO ტიპის ირმოლოგიონის სლავური წარმომავლობის შესახებ[21]. განსხვავებული წყობის ირმოლოგიონების არსებობა ე. მეტრეველმა ახსნა ამ სპეციფიკური კრებულების განსხვავებული დანიშნულებით და იმ მოთხოვნილებებით, „რომლებიც სხვადასხვა დროს და ადგილას ჰქონდა წაყენებული თითოეულ მათგანს ადგილობრივი ეკლესია-მონასტრების მიერ, იქნებოდა ეს ბერძნული, სლავური თუ ქართული“[22]. KaO ტიპს უპირატესობა ეძლეოდა იქ და იმ პერიოდში, როცა იქმნებოდა ახალი კანონები ან გამოიყენებოდა ძველი კანონები ახალი აკოლუთიების შესადგენად. OdO ტიპი კი ძირითადად პრაქტიკული დანიშნულებისა იყო. იგი ემსახურებოდა ლიტურგიკულ მოთხოვნილებებს.

---

[18] Er. Koschmieder, დასახ. ნაშრ. გვ. 70.

[19] M. Velimirovič, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

[20] იქვე, გვ. 46.

[21] ძლისპირნი..., გვ. 094—095.

[22] იქვე, გვ. 096.

* * *

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ — ქართული ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშები — ამ ბოლო დროს მკვლევართა ინტენსიური ყურადღების საგანია. მაგრამ მათ შესწავლას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს.

კ. კეკელიძე, რომლის სახელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია, მათ შორის, ლიტურგიკული ძეგლების გამოცემა და მათ მეცნიერულ ანალიზთან ერთად საგალობლებთან დაკავშირებული მრავალი ტერმინის ახსნა[23], გაკვრით შეეხო ძლისპირთა კრებულის A—603-ის რაობისა და თარიღის საკითხსაც.

თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“ კ. კეკელიძე „ირმოლოგიონს“ განსაზღვრავს როგორც ისეთ წიგნს, რომელშიაც შეგროვილია ლიტურგიკული კრებულებიდან (იადგარებიდან) ამოღებული „ძლისპირები“, ბერძნულად — ირმოსები.

აქვე კ. კეკელიძე ძლისპირთა კრებულს A-603-ს ათარიღებს X საუკუნით და აკრიტიკებს პ. იოსელიანის თვალსაზრისს, რომელიც ირმოლოგიონის შედგენას მიაწერს XIII საუკუნის მოღვაწეს საბა სვინგელოზს[24].

ძლისპირებთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება კ. კეკელიძე რეცენზიაშიც: „ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ“, რომელიც მიეძღვნა პ. ინგოროყვას ნაშრომს „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი X საუკუნისა“[25].

ძლისპირთა კრებულების შესწავლისა და სისტემატიზაციის საქმეს განსაკუთრებული ღვაწლი დასდო მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ. ქართული ჰიმნოგრაფიული ძეგლების შესწავლისას მან საგანგებოდ გამოყო „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ და უამრავი ხელნაწერი

---

[23] К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908; Иерусалимский Канонарь VII века, Тифлис, 1912; Древнегрузинский Архиератикон, Тифлис, 1912.

[24] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 566

[25] ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI, 1958, გვ. 447—461.

მასალის საფუძველზე პირველმა მოგვცა ძლისპირთა ქართული კრებულების რედაქციული და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია[26].

1971 წელს მზის სინათლეს ეღირსა ძლისპირთა კრებულების ტექსტები. პროფ. ე. მეტრეველმა X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა KaO და OdO ტიპის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ბერძნული პარალელებითურთ[27]. ვრცელ გამოკვლევაში, რომელიც ერთვის დასახელებულ ტექსტებს, ე. მეტრეველმა ფართოდ მიმოიხილა ბერძნული (აგრეთვე სლავური და ქართული) ირმოლოგიონების ურთიერთმიმართების საკითხები, ქართულ ძლისპირთა რედაქციები, წამოაყენა და გადაჭრა ქართული ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის განვითარების მრავალი საკვანძო საკითხი. აღვნიშნავთ ზოგიერთ მათგანს:

1. ძლისპირთა პირველი რედაქცია მომდინარეობს ბერძნულიდან. გამოქვეყნებულ ქართულ ძლისპირებს (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) დაეძებნა ბერძნული დედნები ან შესატყვისები ბერძნული ირმოლოგიონის გამოცემებში. ბერძნულ მოდელებზე მითითებებს შეიცავენ თვით ძლისპირთა ქართული კრებულებიც—ძლისპირებს აქ მიწერილი აქვთ ბერძნული ირმოსის დასაწყისი სიტყვები ქართული ტრანსკრიფციით[28].

2. ქართულში გავრცელებულია ძლისპირთა კრებულების OdO ტიპი, მაგრამ მას ისტორიულად წინ უსწრებდა KaO ტიპი. KaO ტიპის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ დადასტურდა მცირე ლიტურგიკულ კრებულებში Sin. 20, Sin. 26 და Sin. 34-ში. ეს კრებულები ასახავენ ირმოლოგიონის განვითარების სხვადასხვა სტადიას. Sin. 20-ის „ძლისპირნი“ სქემატური საძიებელია KaO ტიპისა. Sin. 26-იც ძლისპირების დანიშნულებით KaO ტიპისაა (ოღონდ მხოლოდ სამი ხმისა). KaO ტიპის ყველაზე უფრო სრულყოფილ და დასრულებულ სახეს გვაწვდის Sin.34, მიუხედავად თავისი სიმცირისა (თითო ხმაზე მხოლოდ ძლისპირთა თითო აკოლუთიაა შეტანილი). დასახელებული „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ კერძო დანიშნულებისა იყვნენ და

---

[26] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტომი III, თბ., 1965, გვ. 79-92.

[27] ხოლო II რედაქციის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, როგორც „იადგარის“ შემადგენელი ნაწილი გამოაქვეყნა ვ. გვახარიამ (მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები, X ს. I—III, 1978).

[28] ძლისპირნი..., გვ. 031.

გათვალისწინებულნი მხოლოდ მოცემული კრებულების ჰიმნოგრაფიული მასალისათვის[20].

3. X საუკუნიდან KaO ტიპს ქართული ლიტურგიკული პრაქტიკიდან აძევებს OdO წყობის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“. ეს უკანასკნელი საფუძვლად იყენებს KaO ტიპს. OdO წყობის უძველეს ფენად მიდის ის ძლისპირები, რაც კერძო დანიშნულების კრებულებშია შეტანილი. OdO ტიპის ძლისპირთა დიდი უმრავლესობა ბერძნულიდან არის თარგმნილი. თვითონ ძლისპირთა კრებული, ისევე როგორც KaO ძლისპირნი, შედგენილი უნდა იყოს კვალიფიციური მგალობლების მიერ ქართულ ნიადაგზე. ქართულად ადრე თარგმნილი მასალის საფუძველზე, ბერძნული ირმოლოგიონის მიხედვით და გამოყენებით[30].

4. ბერძნული ირმოლოგიონის განვითარების ადრეული პერიოდი (ჩამოყალიბების დროიდან XI საუკუნემდე) ნუსხების მოუღწევლობის გამო შესწავლილი არ არის. განსაკუთრებით ცუდადაა შემორჩენილი OdO წყობის ირმოლოგიონის ნუსხები (რამდენიმე ნუსხა ისიც ფრაგმენტების სახით). ქართულში კი გვაქვს ძლისპირთა OdO ტიპის შესანიშნავი კრებულები X საუკუნისა. ამიტომ ამ კრებულთა „შესწავლით ივსება დიდი ხარვეზი ბერძნული ჰიმნოგრაფიისა, კერძოდ, ირმოლოგიონის განვითარების შესწავლის ისტორიაში“[31].

5. გარკვეულია, რომ ძლისპირთა ხელნაწერებში კილოს გადმოსაცემად გამოიყენება რიტმული პუნქტუაცია და ნევმები. KaO ტიპის ხელნაწერებში არც ნევმები დასტურდება და არც რიტმული პუნქტუაცია. ე. მეტრეველის აზრით, ეს ფაქტი ნიშნავს იმას, რომ „რიტმული პოეზიის გავრცელების პირველ ხანებში ქართველმა მგალობელმა ზეპირად იცოდა ძლისპირის ბერძნული კილო და გალობის პროცესში ზეპირად ახდენდა ქართული ტექსტების ბერძნულ კილოსთან შეწყობას“[32].

რიტმული პუნქტუაციის შეტანა, მისი აზრით, დაკავშირებულია ძლისპირის კილოს ნევმებით ფიქსაციასთან. ნევმებთან ერთად ძლისპირის კილოს გადმოსაცემად გამოიყენებოდა ძლისპირთა ზედწარწერე-

---

[29] ძლისპირნი... გვ. 021.

[30] იქვე, გვ. 017.

[31] იქვე, 095.

[32] იქვე, გვ. 099.

ზიც (ბერძნული ირმოსის დასაწყისები ქართული ტრანსკრიფციით). ბერძნულ დედანზე მითითება, პირველ რიგში, მითითებაა ბერძნული ძლისპირის კილოზე, რომელიც ცნობილია მგალობლისათვის და რომელიც მან უნდა მიუსადაგოს ძლისპირის ქართულ თარგმანს[33].

ქართულ ძლისპირთა კილოსთან შეწყობისა და ნევმირების ეს წესი, ე.მეტრეველის აზრით, აყენებს იმის აუცილებლობას, რომ: „უძველესი ქართული ნევმური სისტემა შესწავლილ უნდა იქნეს ბერძნული ნევმირებული ტექსტების პარალელურ მასალასთან ერთად. ეს ერთნაირად აუცილებელია როგორც ქართული არქაული ნევმური სისტემის, ასევე ადრებიზანტიური ნევმური სისტემის ამოსახსნელად"[34].

---

[33] ძლისპირნი..., გვ. 059.

[34] იქვე გვ. 099.

I. A--603-ႨႱ ႠႰႵႤႭႢႰႠႴႨႨႱႠ ႣႠ ႲႤႵႱႲႨႱ ႱႠႩႨႧႾႤႡႨ

ხელნაწერი A—603 შეიცავს ეტრატის 229 ფურცელს. ზომა—17,2× 11, 3. გადაწერილია ნუსხურით. სათაურები „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ყოველი ხმისა და აგრეთვე ხმების ასოებრივი ნუმერაცია შესრულებულია ასომთავრულით. დათარიღებულია X ს. დამლევით და XI ს. დასაწყისით[35].

ხელნაწერი მეხურია—ახლავს სანოტო ნიშნები. ნევმები შესრულებულია წითელი მელნით. ნოტაცია ახლავს ძლისპირებს, მაგრამ ნევმირებულია ზოგჯერ ღმრთისმშობლისანიც (45v, 146v, 70r, 138v.) რიტმული დაყოფისათვის გამოყენებულია ორი წერტილი: წითელი —სტრიქონს ქვემოთ, შავი—სტრიქონს ზემოთ. სინგურითვეა შესრულებული სათაურები, ძლისპირის დასაწყისი ასოები და ძლისპირთა გარკვეული ჯგუფის სახელწოდებები: „უცხონი“, „მორთულნი“... აქვე გამოყენებულია საგანგებო ტექნიკური ნიშანი ⊙ ძლისპირთა ძველი ფენის ახლისაგან გამოსაყოფად[36].

ხელნაწერი იწყება კ რვეულით, აკლია კბ და კგ რვეულები. შეიცავს მხოლოდ ცისკრის გალობათა ძლისპირებს. ფიქრობენ რომ დაკარგული ნაწილი შეიცავდა სტიქარონთა ძლისპირებს. „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ მოიცავს 1—189 გვერდებს. აქედან გვ. 180r—189v უკავია გამორჩენილ ძლისპირებს. 189—229 გვერდებზე მოთავსებულია „ღმრთისმშობლის შესხმანი“*.

ხელნაწერს იშვიათად, მაგრამ მაინც, ახლავს მინაწერები სხვა-

---

[35] ხელნაწერის აღწერილობისათვის იხ. თ. ჟორდანია, Описание рукописей церковного музея, с. 106—107; ილ. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბ., 1973, გვ. 353; ძლისპირნი... გვ. 0105.

[36] ძლისპირნი...., გვ. 071.

* ღმრთისმშობლის შესხმანი აქ არ ქვეყნდება.

დასხვა დროისა და სხვადასხვა ხასიათისა. მინაწერთა ერთ ნაწილში ფიქსირებულია გადამწერის სახელი „იორდანე“: („ქრისტე, შეიწყალე იორდანე, ამინ“ 65r, 120v, 131v). ეს მინაწერები ხან იორდანესეულია ხან კი სხვისია. ერთ-ერთ ასეთ ანდერძში, რომელიც უშუალოდ მოსდევს ტექსტს, ტექსტისავე ხელით მოხსენიებულია მეორე სახელიც— ივანე (ქრისტე, შეიწყალე იორდანე და ივანე, ამინ 59r). შესაძლოა, ივანე იყოს მეორე გადამწერის სახელი.

გადამწერის ერთი ანდერძი წინ უძღვის გამორჩენილ ძლისპირებს: „ესე ძლისპირნი დამრჩომოდეს, აქა, წინა დავწერენ. მოცთომისათჳს შემინდვეთ“ (180r). ამ ანდერძიდან ჩანს, რომ კრებული გადაწერის შემდეგ შემოწმებულია სისრულის თვალსაზრისით. ეს ანდერძი საგულისხმოა სიტყვა „წინას“ მნიშვნელობის გარკვევისთვისაც. გადამწერის შენდობას ითხოვს შეცდომისათვის და მიუთითებს, რაც ძლისპირები გამომრჩა, აქ უკან, ბოლოში დავწერეო. „წინა“ აქ უდრის „უკანას“, „მერმეს“.

„წინას“ მსგავსი მნიშვნელობა Sin. 34-ის მინაწერებზე დაყრდნობით პირველად დაადასტურა ც. ჭანკიევმა. ამ ცნობილ ლიტურგიკულ კრებულში საგალობელთა მისათითებლად იხმარება ტერმინი „წინაჲთ“, რაც ნიშნავს „მომდევნოს“[37].

ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე A — 603-ის კიდევ ერთი შენიშვნა: „ესე უკუანეთ სწერია“. ამ ხელნაწერის 178-ე გვერდზე VIII ხმის „ადიდებდითსას“ მოსდევს „ადიდებენის“ ძლისპირები. აქ მოტანილია დასაწყისი: „ადიდებს სული ჩემი უფალსა და იხ“. სწორედ აქ გვხვდება დასახელებული შენიშვნა (სინგურით შესრულებული). ძლისპირი სრული სახით დადასტურებულია არა მომდევნო, არამედ წინა, 175-ე გვერდზე, ე. ი. „უკუანეთ“ გადამწერის გაგებით ნიშნავს დღევანდელ „წინ“-ს.

„უკუანა“ სიტყვის მსგავსი მნიშვნელობა დადასტურებულია XI ს. იმ ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძშიც, რომელიც დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (№ 5). მთარგმნელი გიორგი მთაწმიდელი წერს: „და ჩუენთჳს ლოცვა ყავთ, რაჲთა უფალმან შემინდვნეს აურაცხელნი ცოდვანი ჩემნი. სხუაჲ კულა ყოველი განგებაჲ ამათ გალობათაჲ: ო˜ო ღღდყ˜ვი და აქებდითი და წარდგომაჲ და ხუედრნი და

---

[37] ც. ჭანკიევი, პალესტინელ გადამწერ იოვანეთა შესახებ; მრავალთავი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, III, თბ., 1973, გვ. 50.

სტიქარონნი უკუანა, თავის-თავის ადგილსა ჰპოვნე და მუნით ბრძანენ“[38]. ამ ლიტურგიკული ძეგლის მიხედვითაც „უკუანას“ დღევანდელის საპირისპირო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

მოგვიანო მინაწერთა ერთი ჯგუფი ტექსტოლოგიური ხასიათისაა. კიდეებზე სხვადასხვა დროს (ალბათ შევსების მიზნით) მიუწერიათ იმ ძლისპირთა დასაწყისებიც, რომლებსაც საანალიზო კრებულში ვერ შევხვდებით: „მოვედით და ვსუათ“ (1v), „აღდგომისა დღე არს“ (2r) „ადიდებთ ჩუენ ცისკარს“ (12r), „გალობასა შევს“ (15v) „სიყუარული წყალობისა“ (63v).

ორი გვიანდელი მხედრული მინაწერი გვაწვდის ცნობებს ხელნაწერის ისტორიის—მისი ადგილსამყოფელისა და მფლობელის შესახებ („იოთამ მგალობელისა არის“—XVII ს., 161r, „ალავერდის სობოროსი ვარ“—10 r, XIX ს.).

A—603-ის შესწავლა პალეოგრაფიული თვალსაზრისით შესაძლებბლობას იძლევა გამოითქვას ზოგიერთი ვარაუდი კრებულის შედგენის, გადაწერისა და ნევმირების პროცესის შესახებ.

A-603 დვებოდა რაღაც ნიმუშის მიხედვით, მაგრამ იგი არ იყო სასურველი სისრულისა. ამიტომ დატოვებულია ადგილები იმ სავარაუდო ძლისპირების შესატანად, რომლებიც შემდგომ იქნებოდა მოძიებული. 3v-ზე გამოტოვებული ჩანს ადგილი ერთი ძლისპირისთვის. გაშვებული ყოფილა ადგილი 37v-ზეც (ეს უკანასკნელი მოგვიანო პერიოდშია შევსებული).

ვამოტოვებული ადგილები ივსება თანდათანობით. დაკვირვება 133v-ს ხელზე იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ გადამწერს მასალა შეუტანია სხვა მომენტში. უფრო წვრილი ხელით შეაქვს მასალა მას 135v გვერდზე, თითქოს მერეა შეტანილი გადამწერის მიერ $VIII_7$-ს ძლისპირები „შობაჲ თავს-იდევ“ და „რომელმან ანგელოზთა მიერ“ (165r).

გადაწერის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემოწმდა კრებულის სისრულე, რის შედეგად გამორჩენილი ძლისპირები დაერთო ბოლოში (180—189).

გამოტოვებულია ადგილი საზედაო ასოებისთვისაც.

ტექსტის გადაწერა და ნევმირება ერთდროულად არ უნდა მომხდარიყო. როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ნევმირე-

---

[38] ე ქ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 34.

ბული კრებულების გადაწერისას ჯერ იწერებოდა ტექსტი შავი წერტილებით. ამ უკანასკნელთა მიზანი იყო რიტმული განკვეთის ადგილის მინიშნება დედნის მიხედვით. წითელი წერტილები იწერებოდა ნევმირების პროცესში[39]. საანალიზო ნუსხას ზოგჯერ აკლია შავი ან წითელი წერტილები, ნევმირებული არ არის ზოგი ძლისპირიც. ასეთი გამონაკლისები უფრო ხშირია იმ ძლისპირებში, რომლებიც სხვა ხელნაწერებში დადასტურებული არ არის. A-603-ის ტექსტი სწორდება ნევმირების პროცესში. გვერდებზე 80v, 153r, 156v, 147r... შესწორებები შეტანილია სინგურით, საფიქრებელია, ნევმირების პროცესში.

ნევმირებისას და სათაურების მიწერისას ზოგჯერ გამოყენებულია განსხვავებული მელანი. 134v-ზე ნევმების მელანი და ამავე მელნით მიწერილი „მორთულნი“ აშკარად სხვაობს წინამავალი გვერდის მელნისაგან, რომლითაც „აკურთხევდითსაა“ დაწერილი. განსხვავებულ უფრო მუქ მელანს იყენებს 124v-ზე „განძლიერდასა“ და საზედაო ასო.

ჩვენი შთაბეჭდილებით, ხელნაწერში შეიმჩნევა ძირითადისაგან ოდნავ განსხვავებული იმავე პერიოდისა და იმავე კალიგრაფიული სკოლის მეორე ხელიც. განსხვავებული ხელის ნიმუშებია 49v, 50r, 104v და სხვა გვერდებზე.

ხომ არ ეკუთვნის ეს ხელი ივანეს, რომელიც მოხსენებულია იორდანესთან ერთად ზემოთ მოყვანილ ანდერძში? ხომ არ არის ეს პირი ნევმატორი, რომელიც ავსებდა გამოტოვებულ ადგილებსაც და ასწორებდა ტექსტებს? — ეს ის კითხვებია, რომლების გარკვევასაც უფრო ღრმად ჩაკვირვება სჭირდება და კვლევის დღევანდელ ეტაპზე ვარაუდის ფარგლებს არ სცილდება*.

ხელნაწერის ენა და ლექსიკა, მისი ორთოგრაფია ცალკე შესწავლის საგანია, აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ A-603 გადაწერილია ორთოგრაფიული ნორმების დიდი აღრევით.

ჳ-ს გადმოსაცემად გამოყენებულია უ, უი, ო: თუთებითა (23v), მშუდობაჲ (50r), ამისთუსცა (6r), ალურნი (151r), იტყუიან (158 r), ზღუისა (43r), მშოდობისაჲ (40v), იტორთე (148v.)

---

[39] ძლისპირნი..., გვ. 081

* მუშაობის ამგვარ წესს—ტექსტის გადაწერისა და ნევმირების ორ პირზე განაწილების შესაძლებლობას უშვებს კ. ჰიუგი ბერძნული ირმოლოგიონის ერთ-ერთ ხელნაწერზე დაყრდნობით (Hirmologium Athoum ed. Carsten Hōeg. Codex monasterii Hiberorum 470. Phototipice depictus. Monumenta Musicae Byzantinae. II, Copenhague, 1938, f. 12).

უ-ს გადმოსაცემად გამოიყენება ო: ღრობელი (69v), ობიწო (69v), ოხრწნელად (102v).

ი გადმოიცემა ჲ-თი: საჲდუმლოჲ (48 v), ესაჲა (145 v). ჲ გვხვდება ხმოვნების წინაც: ჲონა (42v), ჲონაჲსებრ (158v).

ე-გადმოცემულია ჱ-ით: ვხადჱ (4r), იჱსეს (8v) და ორმაგადაც ჱჲ: სახჱჲ (107r).

A—603-ის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, როგორც ცნობილია, მთლიანად მოღწეული არ არის. დაკარგულია ხელნაწერის ის ნაწილი, რომელიც შეიცავდა მასალას I ხმის VII გალობის („კურთხეულ-არსა“) № 7 ძლისპირის ღმრთისმშობლისადან II ხმის IV გალობამდე. (ეს ნაწილი ჩვენ აღვადგინეთ Sin 3-ის მიხედვით, მაგრამ რამდენადაც არც Sin. 3 და არც სხვა რომელიმე ხელნაწერი აღნაგობით A—603-ის იდენტური არ არის, ჩვენ იგი დამატების სახით დავურთეთ გამოცემას, ხოლო II ხმის IV გალობის № 1 ძლისპირის დასაწყისი: „საქმენი შენნი ვითარცა განიცადნა, ღაღად-ყო ჴმითა წინაჲსწარმეტყუელმან დღეს: მესმა მე სმენაჲ“ აღდგენილია ტექსტშივე კავებით. სხვა დაკლებული ადგილებიც ასევე აღდგენილია ტექსტშივე.

A—603-ს 104-ე ფურცლის ნაწილი მოხეული აქვს. აქ მოთავსებული უნდა ყოფილიყო V ხმის „ადიდენის“ ნაწილი, (ეს ისეთი ძლისპირებია, რაც სხვა ხელნაწერებში დადასტურებული არ არის). მაგრამ V ხმის „ადიდენის“ ძლისპირები A—603-ში ორჯერ არის წარმოდგენილი, ერთხელ V ხმის გალობათა ძლისპირების შემდეგ, მეორედ—გამოტოვებულ ძლისპირებში (გვ. 187). ტექსტები ერთმანეთს დაემთხვა. ამიტომ აღვადგინეთ 104r-ზე მოთავსებული ძლისპირის ბოლო ნაწილი: („ესჳ არს ღმერთი განკაცებული, ამას ყოველნი გალობით ვადიდებდეთ“). მაგრამ A—603-ში მოთავსებულია ისეთი ტექსტიც, რაც არ დასტურდება გამორჩენილ ძლისპირებში, ამის გამო ვერ აღდგა 104-ზე დაცული მონაკვეთის დასაწყისი და დაბოლოება. ძლისპირის ტექსტი წყდება 179 v-ზე: „და ვიხილეთ დიდებაჲ ძისა მხოლოდ-შობილისაჲ მამისა მიერ სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა, რომელ წიალთა მამი...“ დაბოლოების აღდგენა ვერ შევძელით.

„ღმრთისმშობლისას“ ტექსტებს ზოგჯერ აკლია რეფრენები, ხანდახან რეფრენი შენიშვნითაა მითითებული („იგივე“ ან „და იგივე“ 16v, 99v 116v). ასეთ შემთხვევაში კავებში აღდგა რეფრენები შესაბამისი ძლისპირების მიხედვით.

II. ᲫᲚᲘᲡᲞᲘᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ჩვენამდე შემოუნახავს ქართულ ხელნაწერთა დიდ რაოდენობას. ისინი დაცული არიან როგორც დამოუკიდებელი სახით, ისე ლიტურგიკული კრებულების შემადგენლობაში. ხელნაწერების რიცხვი, რომლებიც შეიცავენ ძლისპირთა კრებულებს, 60-მდეა. ვრცელია მათი ქრონოლოგიური საზღვრებიც. ისინი სხვადასხვა ინტენსივობით გასდევენ ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიას X საუკუნიდან XIX საუკუნემდე. ბუნებრივია, ეს კრებულები ერთმანეთისაგან განსხვავებული არიან. განსხვავება ქრონოლოგიასთან ერთად ვლინდება ძლისპირების რიგსა და რაოდენობაში, რაც საფუძველი შეიქმნა მათი რედაქციული კლასიფიკაციისათვის.

მკვლევარმა პავლე ინგოროყვამ X ს. ძლისპირთა კრებულები მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე დაყო სამ რედაქციად[40]. სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს ეს დაყოფაა გაზიარებული. ძლისპირთა I რედაქციაში (აღნიშნულია ლიტერით **A**) გაერთიანებულია იელის იადგარის და სინური ხელნაწერების Sin. I, Sin. 14, Sin. 59, Sin. 65-ის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“[41]. ეს რედაქცია, როგორც ამოსავალი ფენა, თითქმის უცვლელად მეორდება დანარჩენი ორი (A და B) რედაქციის შემადგენლობაში. II რედაქციას მიეკუთვნება მიქაელ მოდრეკილის ცნობილი იადგარის (S—425) „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“. პ. ინგოროყვას გამოანგარიშებით იგი შეიცავდა 800-მდე ძლისპირს[42].

III რედაქცია წარმოდგენილია A—603-ში, რომელიც I და II რედაქციების ახალი მასალით შევსების შედეგია.

პ. ინგოროყვას წარმოდგენილი აქვს დეტალური ცხრილი დასახელებულ რედაქციებში შემავალი ძლისპირებისა. ძლისპირთა რაოდენობრივი თანაფარდობა A (იელის იადგარი), B (S—425) და C (**A**—603) ნუსხების მიხედვით გამოხატულია ციფრობრივად (მხოლოდ ძლისპირის ნუმერაციის ჩვენებით)[43].

ამით უნიკალური შედგენილობის C ხელნაწერის მიმართება A და

---

[40] პ. ინგოროყვა, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1966, გვ. 80—81.

[41] ძლისპირნი..., გვ. 011. ამავე რედაქციისაა Sin. 64-ის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ VIII ხმის ფრაგმენტის სახით.

[42] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

[43] იქვე, გვ. 85—89.

B რედაქციებისადმი გარკვეულია. მაგრამ ამოცანა—განისაზღვროს C-ს ადგილი ქართული ჰიმნოგრაფიის, კერძოდ, ძლისპირების ისტორიაში, ჩვენი აზრით, დამატებით გულისხმობს მისი მიმართების შესწავლას ყველა სახისა და ყველა დროის ქართულ ძლისპირთა კრებულებისადმი.

გარკვეულია, რომ C ხელნაწერი ძლისპირთა რაოდენობით სჭარბობს I და II რედაქციის ძლისპირებს, მაგრამ როგორია ეს სხვაობა, რით განირჩევა იგი როგორც I, ისე II რედაქციის კრებულებისაგან, რა შეადგენს მის სპეციფიკას, როგორ დამოკიდებულებაშია A-603 მასზე გვიანდელი ქრონოლოგიის ხელნაწერებთან, ხომ არ დაიძებნება C-ს იდენტური შედგენილობის მქონე კრებული XVII—XVIII საუკუნეებში (ასეთ შემთხვევაში აღდგებოდა C-ს დაკარგული ნაწილი)—აი, წყება საკითხებისა, რომლებზეც ქვემოთ იქნება მსჯელობა.

* * *

ძლისპირთა კრებულების ქრონოლოგიურ ჭრილში შესწავლა მათი შექმნისა და განვითარების შემდეგ საფეხურებს წარმოაჩენს ძირითადად:

1. ე. წ. კლასიკური პერიოდი (X—XI სს.) დაიწყო ძლისპირთა პირველი კრებულების შექმნით და დამთავრდა ისეთი კრებულების შედგენით, სადაც ძლისპირთა რეპერტუარის ვრცელი ფიქსირებაა. ეს კრებულები შედეგია იმ შეუნელებელი შემოქმედებითი მუშაობისა, რომელსაც ეწეოდნენ ქართველი მოღვაწეები როგორც საზღვარგარეთულ (საბაწმიდისა და სინის), ისე ადგილობრივ (კერძოდ, კლარჯულ) სამწიგნობრო კერებში.

XI საუკუნეში, როცა იწყება ძველი ლიტურგიკული ძეგლების რევიზია, ათონის სალიტერატურო სკოლაში ხდება ძლისპირების შეწამებაც ბერძნულ დედნებთან. ზოგი რამ ხელახლა ითარგმნება ქართულად. ეს მონაპოვრები შემაჯამებელ გამოხატულებას პოულობს გიორგი მთაწმიდლის კრებულში „თუენი“, მაგრამ კრებული „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ამ დროის ლიტურგიკულ ძეგლებში ცალკე გამოტანილი არ არის.

2. ძლისპირთა კრებულების მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფია XIII—XV სს.[44]. აქ მომხდარა ძლისპირთა კრებულების ერთგვარი კა-

---

[44] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

ნონიზაცია—იწყება ცალკეული ძლისპირების ამოღება და ახალი მასალის შეტანა. ცნობილია, რომ XIII ს. ძლისპირთა კრებულში A-85-ში შევიდა XI საუკუნეში არსენის მიერ მესამედ თარგმნილი ანდრია კრეტელის „დიდი კანონის“ ძლისპირები[45].

3. XVII—XVIII საუკუნეებში ლიტერატურის სხვა დარგებთან ერთად აღორძინებას იწყებს ჰიმნოგრაფიაც. უდიდესი ინტენსივობით მიმდინარეობს ძლისპირთა ვრცელი და მოკლე კრებულების შედგენა.

C ხელნაწერს განვიხილავთ ამ ქრონოლოგიურ ჯგუფებთან მიმართებით. მასალის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე სქემას. იგი შედგენილია ძლისპირთა იმ ფენისათვის, რომელიც I რედაქციაში წარმოდგენილი არ არის. ამით გამოიკვეთება C-ს მასალის გავრცელების სურათი ყველა დროის ხელნაწერების მიხედვით. (ძლისპირთა თანმიმდევრობა C ხელნაწერისაა). B-სთან საერთო ჯგუფში მოქცეულია II რედაქციის მოკლე ვარიანტის ხელნაწერები: (იხ. გვ. 33-35).

I ხმა, უგალობდითსა

C	I ჯგ.	II ჯგ.	III ჯგ.
„უცხონი“			
8. აზღუდნეს წყალნი			
9. რომელი შეეწია	Sin· 5, Sin. 3	A-85, ქუთ. 22	A:59,338,418,900, S-68
10. გალობითა ძლევისათა	Sin. 3		
11. სუეტითა მით	Sin. 3		A-418, A-900
12. ისრაელნი განვიდეს	Sin. 5		A-59, 418, S-68
13. გალობაჲ სულიერი			A-418, H-597
14. სულმან საღმრთომან	Sin. 3		A-418, A-900

II, აკურთხევდითსა

C	I ჯგ.	II ჯგ.	III ჯგ.
11. უცნებაჲ საცთურთაჲ	Sin. 3		H-597 A-458, A-872. Q-226
12. რომელმან პირველ ყრმათა			
13. ღირსნი და ყოვლად			
14. რომელმან მოსეს		ქუთ. 22	
15. რომელი ანგელოზთაგან		ქუთ. 22	
16. რომელმან საკუმილსა			
17. შემზადებაჲ სახიობათაჲ	Sin 3, Jer. 48		A-418, A-59, Q-226
18. ხატსა მას ოქროჲსასა			A-338

---

[45] ძლისპირნი..., გვ. 066.

IV, ადიდებდითსა

C „ეცხონი"	I ჯგ.	II ჯგ.	III ჯგ.	
12. კიდობანსა მას შჯულისასა ვერ შეეხებოდა	Sin 3, Jer. 48	ქუთ. 22	A-418, A-872	A-59
13. ღმერთი უფალი გამოჩნდა		ქუთ. 22		
14. გიხაროდენ შენ წმიდაო				
15. ნიავსურნელით გამო	Sin 3. Jer. 48	A-85, ქუთ 22, 564		
16. საუკუნეთა შემოქმედისა	Jer. 48			
17. უთესლოდ შობილსა		A-85		
18. შენ უქორწინებელსა	Sin. 3. Jer. 48			
19. სოფლისა მჴსნელად				
20. კიდობანსა მას შჯულისასა გარემოჲს	Jer. 48 Sin. 3		A-418, H-593,	
21. რამეთუ ყო ჩემ თანა				
22. იწოდე წიგნად	Sin. 3, Jer. 48			
23. მუცელი შენი				
24. ქალწულთა შუება	Sin 3, Jer. 48			
25. უმაღლესსა ცათასა	Jer. 48			
26. გიხაროდენი მოგართუა		ქუთ. 22		
27. გონებაჲ კაცთა მეტყუელთაჲ				

VIII, ადიდებდითსა

9. ქალწულისა მუცელსა	B, Sin 3		A: 418, 458, 872
10. შეხებითა ნაკუერცხალთაჲთა	B	A-85, ქუთ. 564	A: 59, 418, 458, 872
11. ღმრთისმშობლად აღვიარებთ	B, Sin 3, Sin. 64, 65	A-85, ქუთ. 564	A: 59, 338, 418, 872
12. გიხაროდენ, სასანთლეო	B, Sin. 3		A: 59, 418, 458, 872
14. კურთხეულ არს	B, Jer. 48, Sin. 3		
15. გადიდებთ შენ	Jer. 48, Sin. 3		
16. ცრემლთა დათხევაჲ	Sin 3	A-85	A: 458, 872, H-597
17. ქებასა შინა ქებათასა	Sin. 3, Jer. 48	A-85	A: 418, 458, 872
18. გიხაროდენ, ღირსო	B		
19, ზეცისა ბეჭედსა	Jer. 48	A-85	A: 418, 458, 872
20. ადიდებს სული ჩემი	Sin. 3		
21. საკჳრველ არს ქალწულისაგან	B, Sin. 3		
22. ჰშუენის ქებაჲ ჩუენ	B		
23. სიბრძნემან ღმრთისამან	B		
24. ეჰა ქალწულთა სამკაულო	Sin. 3	A-85	A: 59, 418, Q-593
25. პირველ დაწყებასა ჟამთასა			

სქემებიდან ნათლად ჩანს C-ს ძლისპირთა რაოდენობრივი უპირატესობა და მათი გავრცელება სხვადასხვა დროისა და რედაქციის ხელნაწერების მიხედვით. მასალა გაანალიზებული იქნება ცალკეული რედაქციული და ქრონოლოგიური ჯგუფების დახასიათებისას.

A—603-ᲘᲡᲐ ᲓᲐ X—XI ᲡᲡ. ᲫᲚᲘᲡᲞᲘᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

„ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ A—603-ისა ძლისპირთა რაოდენობით სულ ცოტა ერთიორად სჭარბობს I რედაქციის ძლისპირთა კრებულებს, მაგრამ მასში, ისევე როგორც II რედაქციაში თითქმის უცვლელ პლასტად შედის I რედაქციული ფენის ძლისპირები. აქ თითქმის მთლიანად არის ასახული ის ძლისპირები, რომლებსაც შეიცავს ძლისპირთა I რედაქციის გამოცემა (არ ვიცით, რა სურათი იყო C-ს დაკარგულ მონაკვეთში I ხმის VII გალობის ნაწილიდან II ხმის III გალობამდე ჩათვლით). გამოიყო I გამოცემის რამდენიმე ძლისპირი, რომლებიც ფიქსირებული არ არის C-ში:

I_5: „ღამითგან აღვიმსთობთ ჩუენ და გალობით“ (28)*
I_6: „ღაღატ-ყვეს მოწამეთა“ (35)
II_9: „დიდებულებაჲ შენი, უსძლოო“ (116)
III_1: „ქრისტე, რაჟამს დაემსჭუალე“ (120)
IV_4: „სიყუარული წყალობისაჲ“ (170)
$VIII_5$: „სამგზის სანატრელო ძელო“ (365)
V_3: „ძალითა ჯუარისაჲთა“ (237) . . .

C-ს სხვაობებს I რედაქციის კრებულებისაგან განვიხილავთ II რედაქციასთან შეპირისპირებით.

II რედაქცია წარმოდგენილია უნიკალური ხელნაწერით S—425. II რედაქციას პირველისაგან განასხვავებს ორი ძირითადი ნიშანი:

ა) ძლისპირთა რაოდენობა და ბ) გალობების (ოდების) რაოდენობა ძლისპირთა აკოლუთიაში.

S—425 ძლისპირთა რაოდენობით თითქმის ერთიორად აღემატება I რედაქციის ძლისპირთა კრებულებს. ეს უნიკალური კრებული შედეგია მისი შემდგენელ-რედაქტორის მიქაელ მოდრეკილის დიდი რუდუნებისა და თავდადებისა. მან შეაგროვა მის დროს გავრცელებული ძლის-

---

* ციფრები მიუთითებს ძლისპირთა რიგით ნომრებს.

პირები და შექმნა მათი სრული კრებული. მართალია, B სრულად დაცული არ არის, მთლიანად აკლია ბ, გ, დ და ა გ´ი ხმების ძლისპირები, აკლია ბ გ´ისა და გ გ´ის გალობათა გარკვეული ნაწილი, მაგრამ შემორჩენილი ფრაგმენტებისა და ლიტურგიკული მასალის გათვალისწინების საფუძველზე ცხადი ხდება მათი რაოდენობრივი სიჭარბე. როგორც აღვნიშნეთ, პ. ინგოროყვას გამოანგარიშებით B-ში შესული უნდა ყოფილიყო 800-მდე ძლისპირი.

OdO ტიპის კრებულებში, როგორც ცნობილია, ძლისპირები განლაგებულია ხმის ფარგლებში გალობების სახით, მაგრამ მათი გადაჯგუფებით კანონის გალობათა მიხედვით შესაძლებელია კანონის (ძლისპირთა აკოლუთიის) რეკონსტრუქცია. I და II რედაქციების ამგვარი შესწავლის საფუძველზე ირკვევა, რომ პირველი რედაქციის კანონი 8 კომპონენტისაგან, 8 გალობისაგან შედგება, ხოლო II რედაქციისა— 9 გალობისაგან. აქ შეტანილია კანონის II გალობის „მოიხილესას“ ძლისპირები. ჩვენს მიზანს არ შეადგენს II გალობის როლისა და ადგილის გარკვევა ჰიმნოგრაფიულ კანონში. ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მათ მოკლედ ვეხებით თავში „ძლისპირთა წარმომავლობისათვის“. აქ აღვნიშნეთ მხოლოდ ფაქტი, რომ ძლისპირთა კრებულების ძველი ფენისათვის, I რედაქციისათვის, II გალობის „მოიხილესას“ ძლისპირები ნიშანდობლივი არ არის.

საგულისხმოა, რომ S-425-ის ამ თავისებურებებს თვით განსაზღვრავს მიქაელ მოდრეკილი თავის ცნობილ ანდერძებში: „ვიღუაწე და ყოვლით კერძო შრომაჲ ვაჩუენე უზეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადისა ხარკებითა და გულსმოდგინედ ძიებითა შეკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა“ (24r) და „შევკრიბენ საგალობელნი ესე წმიდისა აღდგომისანი... სრულნი ყოვლითა განგებითა წესისაებრ საეკლესიოჲსა, ო´ო ღღ´ტყავითა, ოხითაჲთა, მოიხილითა და აქებდითითა“ (262v).

ეს ორი ანდერძი შესანიშნავი წყაროა მიქაელ მოდრეკილის რედაქტორული მუშაობის შესწავლისათვის.

ის ფაქტი, რომ თვით გამოქვეყნებულ ძლისპირთა I რედაქციის კრებულებში გამოიყოფა ძირითადი, თავდაპირველი შედგენილობის ნუსხები (Sin. I, Sin. 14) და გავრცობილი ნუსხები (იელის იადგარი, Sin. 65, Sin. 59), მიუთითებს I რედაქციის ძლისპირთა კრებულების თანდათანობით შევსებაზე. აქ გვინდა შევჩერდეთ ძლისპირთა კრებულე-

ბის ერთ ჯგუფზე და გამოვყოთ ისინი II რედაქციის მოკლე ვარიანტის ხელნაწერებად. ასეთად ჩაითვლება „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ლიტურგიკული კრებულებისა Sin. 3, Jer. 48, და Sin. 5[46].

Jer. 48 „პარაკლიტონია“, გადაწერილი XI ს. 60-იან წლებში იერუსალიმის ჯვარის მონასტერში[47]. „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ 4 ხმის მოცულობით და VIII ხმის ფრაგმენტით წინ უძღვის „პარაკლიტონის“ ტექსტს. „პარაკლიტონისავე“ ტექსტს უძღვის წინ ძლისპირთა კრებული უკვე რვა ხმის მოცულობით XI საუკუნის სინური კოლექციის № 3 ხელნაწერში, ხოლო Sin. 5 არის „მარხვანი“ XI საუკუნისა, რომელსაც ასევე წამძღვარებული აქვს „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, რომელი თანა არა სწერიან“. ძლისპირთა რაოდენობა ამ უკანასკნელში მცირეა (არ ასახავს ძეგლის მთელ ჰიმნოგრაფიულ მასალას), მაგრამ იგი საინტერესოა თავისი შედგენილობით.

მთავარი ნიშანი, რომლითაც ეს ხელნაწერები ემხრობიან ძლისპირთა I რედაქციას, ძირითადად ძლისპირთა თანმიმდევრობაა. ქვემოთ წარმოვადგენთ სქემას IV ხმის VI გალობის მიხედვით, I სვეტში მითითებულია ძლისპირთა პირველი გამოცემის ნუმერაცია მოცემული გალობის ფარგლებში, მაგრამ იერუსალიმური ნუსხა Jer. 48 გამოტანილი გვაქვს ცალკე, რადგან გამოცემაში აქედან ასახულია მხოლოდ I რედაქციასთან საერთო ძლისპირები. ბოლო სვეტი ეთმობა A—603-ს, რომლისთვისაც პირობითად ამოსავლად მივიჩნიეთ I რედაქციის ძლისპირთა ნუმერაცია.

I რედ	Jer. 48	Sin. 3	Sin. 5	A-603
1	1	1	1	4
2	2	2		1
3	3	3		3
4	4	4		2
5	5	5		5
6	6	7	2	6
7	7	6		7
	8	8		11
	9	9		8
	10		3	9
				10
				11
				12
				13
				14
				15

---

[46] მათ შესახებ იხ. Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940; ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.

[47] ძლისპირნი...; გვ. 0107.

როგორც სქემიდან ჩანს, Sin. 3 და Jer. 48 ძლისპირთა თანმიმდევრობით მხარს უჭერენ I რედაქციას და უპირისპირდებიან A-603-ს. საანალიზო გალობის ძლისპირი დასაწყისით „გალობით, ჴმითა სიხარულისაჲთა“ I გამოცემაში, Sin. 3-სა და Jer. 48-ში პირველ ადგილზეა, C ხელნაწერში კი რიგით მეოთხეა. ძლისპირი დასაწყისით „შთავვარდი“ ყველგან მეოთხე ადგილზეა, A—603-ში კი მეორეზეა.

სქემიდან კარგად ჩანს ძლისპირთა რაოდენობრივი თანაფარდობაც. I რედაქციაში ამ გალობის 7 ძლისპირია, Sin. 3-სა და Jer. 48-ში მათ ემატება 3-3 ძლისპირი, A-603-ში კი ძლისპირთა რაოდენობა 16-ია.

Sin. 5-ის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ სპეციფიკური დანიშნულების გამო რაოდენობრივად ჩამორჩებიან I რედაქციას. აქ მხოლოდ 3 ძლისპირია, აქედან I რედაქციასთან საერთოა ორი ძლისპირი, ხოლო მესამე „ახუედრა წილმან საღმრთომან“ დამატებითი, მეორე რედაქციული ფენის ძლისპირია.

მაშასადამე, ძლისპირთა თანმიმდევრობის მიხედვით კრებულები Sin. 3 და Jer. 48 ძირითადად მხარს უჭერენ I რედაქციას, მაგრამ რაოდენობის მხრივ განსხვავდებიან მისგან. ამ ნიშნით, ძლისპირთა რაოდენობის გაზრდით ისინი უახლოვდებიან II რედაქციას (საკმარისია აღინიშნოს, რომ Sin. 3-ში 600-მდე ძლისპირია შეტანილი), მაგრამ რიცხობრივად მაინც ჩამორჩებიან მას.

II რედაქციას მისდევენ დასახელებული კრებულები მეორე ნიშნითაც: აქ წარმოდგენილია კანონის II გალობის „მოიხილესას“ ძლისპირები, რაც I რედაქციის კრებულებისათვის ნიშანდობლივი არ არის. Sin. 3 და Jer. 48-ში „მოიხილესას“ პოზიცია მყარია. ეს გალობა გვხვდება ყველა ხმაში (Jer. 48-ში მხოლოდ პირველი ოთხი ხმის მასალაა დაცული), Sin.-5-ში კი იგი დასტურდება II და IV ხმაში. მოიხილესას ძლისპირების რაოდენობა ამ ხელნაწერებში სხვადასხვაა. C-ს 14 ძლისპირიდან, რომელიც გვხვდება IV ხმის II გალობაში Jer. 48-ში დადასტურებულია 7, Sin. 3-ში—4, Sin. 5-ში კი მხოლოდ 1. როგორც აღვნიშნეთ, Sin. 5-ის რაოდენობრივი მხარე ჩამორჩება I რედაქციის კრებულებისას, მაგრამ მასში შესულია მასალა, რაც C და B ხელნაწერებში გაერთიანებულია სახელწოდების ქვეშ „უცხონი“. I_5-ის ძლისპირი „განგუანათლენ მგალობელნი“ ქართული ხელნაწერებიდან მხოლოდ C-სა და Sin.-5-შია დადასტურებული. Sin. 5 შეიცავს ახალი ფენის სხვა ძლისპირებსაც, მაგ., „რომელი შეეწია ღმერთი მოსეს“ (1, α′) „ევლტოდა ცეცხლი“ (V, η′) და სხვა.

Sin. 3 ზემოთ წარმოდგენილ სქემაში 1 ძლისპირით ჩამორჩება I რედაქციას, მაგრამ ხმებისა და გალობების უმეტესობაში გავრცობილია და ესეც შეიცავს იმ მასალას, რომელიც აღნიშნულია სახელწოდებით „უცხონი“.

Sin. 3 და Jer. 48-ის გავრცობილი ხასიათი ნათლად ჩანს IV და VIII ხმების IX გალობის (ადიდებდითსას) მასალაში. (იხ. ზემოთ დართული სქემა გვ. 30).

ძლისპირთა კრებულები Sin. 3, Jer. 48 და Sin. 5, ერთი მხრივ, ძლისპირთა ახალი ფენის დამატებით ცალკეულ გალობებში, ხოლო, მეორე მხრივ—ახალი გალობის „მოიხილესას“ შემოტანით, უნდა ასახავდნენ II რედაქციის ჩამოყალიბების სტადიას, ამიტომ შეიძლება მიეცეს მათ კვალიფიკაცია II რედაქციის მოკლე ვარიანტისა.

აქ განხილული იქნა II რედაქციის ურთიერთობა I რედაქციასთან. C-ს თავისებურებათა გასათვალისწინებლად საჭიროა განისაზღვროს მისი დამოკიდებულება B ხელნაწერისადმი.

როგორც უკვე აღინიშნა, B-ს „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ სრული სახით შემორჩენილი არ არის. დაკარგულია C-ს გარკვეული ნაწილიც (I ხმის VII გალობიდან II ხმის III გალობამდე), ამიტომ მთელი მასალის შეპირისპირების საშუალება არა გვაქვს. B-ს დაკარგული ძლისპირების აღდგენაში ერთგვარად გვეხმარება ამავე ხელნაწერის ლიტურგიკული მასალა, მაგრამ მსჯელობას აქ პირობითი ხასიათი აქვს. როგორც სხვა შემთხვევებიდანაა ცნობილი, იადგარის მასალა და ცალკე გატანილი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ყოველთვის არ ფარავენ ერთმანეთს. Sin. 65-ის იადგარულ მასალაში ცისკრის კანონში შეტანილია II გალობა, „მოიხილესა“. ამ გალობის ძლისპირები კი წინ გატანილ ძლისპირთა კრებულში ასახული არ არის. მეორე მხრივ, ცნობილია ისიც, რომ ლიტურგიკულ ძეგლებში არასრულადაა გამოყენებული ძლისპირთა კრებულებში შემავალი ძლისპირები. ჯ. სქიროს გაგამოანგარიშებით, მთელი წლის ბერძნული სადღესასწაულოს ჰიმნოგრაფიულ მასალაში დადასტურებულია ირმოლოგიონში შესული ირმოსების მხოლოდ მცირე ნაწილი (დაახლოებით ერთი მეცხრედი)[48].

მაგრამ, მიუხედავად ამისა, B-ს შემორჩენილი ნაწილის მიხედვითაც შეგვიძლია გამოვყოთ B და C ხელნაწერების საერთო და განსხვავებული მასალა.

---

[48] ძლისპირნი..., გვ. 097.

B ემხრობა C-ს შემდეგი ნიშნებით:

ა) სხვა კრებულებთან შედარებით C-სა და B-ში, ფიქსირებულია ძლისპირთა ყველაზე დიდი რაოდენობა. B-ში როგორც აღინიშნა, მათი რიცხვი 800-მდეა, C-ში გამოიყო 870-ზე მეტი ძლისპირი.

B-ს შემორჩენილი ნაწილი რომ შევუდაროთ C-ს და შევუპირისპიროთ პირველ რედაქციას, ვნახავთ, რომ გალობათა უმეტესობაში ძლისპირთა რაოდენობით ეს ორი კრებული ემთხვევა ერთმანეთს. მაგ. IV ხმის V გალობაში („ღამითგანსა“) I რედაქციაში გაერთიანებულია 4 ძლისპირი, B-სა და C-ში 7-7.

მივმართოთ ისევ ცხრილს:

	I რედაქ.	S—425	A—603
VI_0	5	7	7
VII_3	7	10	10
$VIII_4$	4	10	10
VII_5	4	9	9
VII_6	5	8	8
VII_8	4	9	9
$VIII_1$	10	15	16
$VIII_3$	8	12	12
$VIII_4$	8	12	12
$VIII_6$	11	14	15

ბ) ძლისპირთა დამატებითი ფენა ორივე ხელნაწერში აღნიშნულია სახელწოდებით „უცხონი“, ძლისპირთა სახელწოდებას ეს სახელობა მხოლოდ ამ ორ ხელნაწერს აქვს შემოღებული.

გ) C-ში გაზიარებულია აგრეთვე მიქაელ მოდრეკილის პრინციპი II გალობის შეტანისა ძლისპირთა კანონში. როგორც წესი, „მოიხილესას“ ძლისპირები დასტურდება A-603-ის ყველა ხმაში.

დ) C მისდევს B ხელნაწერს ტექსტობრივი ნიშნებითაც. I რედაქციისაგან განსხვავებულ წაკითხვებში C იზიარებს B-ს პოზიციას.

I რედაქციაში დასტურდება VIII ხმის V გალობის ძლისპირი „ბნელისაგან წყუდიადისა“ (№ 364). B-ში იგი ვარიანტულ ცვლილებებს იძლევა, რაც დასტურდება C-შიც. I რედაქციაშია: „ბნელისაგან წყუდიადისა“, „აღიმსთუეს... სიყუარულით“, B-სა (9r) და C-ში (№ 712) კი — „ბნელისაგან ცოდვათაჲსა“ და „აღიმსთუეს სიხარულით“.

C ემხრობა B-ს სხვა ვარიანტული წაკითხვებითაც. ძლისპირთა I

გამოცემაში ასახულია I რედაქციისა და B-ს საერთო ძლისპირების განსხვავებული წაკითხვები, რასაც რიგ შემთხვევაში იზიარებს C ხელნაწერიც.

I რედ.	BC
სამებაო წმიდაო (283 ღთ.)	სამებაო ერთარსებაო (543)
წარგკმართენ გზანი (280)	წარგკმართენ სლვანი (532)
იხილა წინასწარმეტყუელმან (276)	წინაჲსწარმეტყუელმან იხილა (525)
გუნდთა თანა უჴორცოთასა (401)	გუნდთა თანა ზეცისათა (783)
სძალო ღმრთისაო (357)	მაცხოვარო სულთა ჩუენთაო (708)
მაცხოვარო მოსავთა შენთაო (373 ღთ.)	მჲოხო მოსავთა შენთაო (197)
დაადგერ უხრწნელად (332)	დაადგერ ქალწულად (650)
დაამტკიცენ (383)	დაამყარენ (749)
გიხაროდენ, ღრუბელო (386 ღთ.)	გიხაროდენ, ზღუდეო (757)

ე) B და C ხელნაწერები ორივე ნევმირებულია, „მეხურია“. კილოს, მისათითებლად რიტმულ პუნქტუაციასთან ერთად გამოიყენება ნევმები, რომელთა გრაფიკული გამოხატულება ერთგვარია. ნევმები ახლავს პირველი რედაქციის ზოგ ხელნაწერსაც, მაგრამ არა ყველას და არა სისტემატურად. ნევმირებულ ძლისპირებს შეიცავენ Sin. 1, Sin. 14 და იელის იადგარი (ეს ორი უკანასკნელი მხოლოდ ნაწილობრივადაა ნევმირებული).[49] კილოს მისათითებლად I რედაქციის ძლისპირებში, როგორც ეს უკვე გარკვეულია, ნევმების გარდა გამოიყენება სხვა საშუალებაც— ქართულ ძლისპირებს წინ უძღვის ბერძნული ირმოსის დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით.[50]. B და C ხელნაწერებში ნევმების პოზიცია მყარი და სტაბილურია. B ხელნაწერში მხოლოდ რამდენიმე დასაწყის ძლისპირთანაა გამოყენებული ბერძნული ზედწარწერები, ნევმები კი ახლავს ყველა ძლისპირს. იგი, როგორც თვით აღნიშნავს მიქაელ მოდ-

---

[49] ძლისპირნი..., გვ. 031.

[50] დასახ. გამოც., გვ. 060.

რეკილი, შედგენილია „სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა“ (262 v), რაც შეიძლება გავიმეოროთ C ხელნაწერზეც მიუხედავად ამ ერთობისა, კრებული A-603 ხასიათდება ზოგიერთი ნიშნით, რაც მას განასხვავებს როგორც B ხელნაწერისაგან, ისე სხვა. ძლისპირთა კრებულებისაგან:

ა) ძლისპირთა რაოდენობით C ხელნაწერი ჭარბობს B-ს. იგი (C) ყველაზე ამომწურავად ასახავს ქართული ძლისპირების მდიდარ რეპერტუარს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ორი ხელნაწერის ძლისპირთა შედარებითი შესწავლის საშუალება გვაქვს მხოლოდ VII ხმის გალობების ნაწილში და VIII ხმაში მთლიანად. გავარკვიეთ ისიც, რომ VII ხმის III, IV, V და VI და VIII ხმის III და IV გალობების ძლისპირები ერთმანეთს ფარავენ. რაოდენობრივი სხვაობებია VIII ხმაში შემდეგ გალობათა ძლისპირებში:

VIII ხმის პირველ გალობაში C ხელნაწერში წარმოდგენილია 16 ძლისპირი, B-ში—15. ძლისპირი დასაწყისით „საუცართაგან ეგვპტისათა“ B-ში დადასტურებული არ არის. დიდი განსხვავებაა II გალობაშიც. B-საგან განსხვავებით, C-ში დაცულია „მოიხილეს“ 10 ძლისპირი. C დამატებით შეიცავს V გალობაში 2 ძლისპირს—„ცეცხლისფერთა ეტლთა ზედა“ და „ვნებათა ნისლისაგან“: VI გალობაში—1 ძლისპირს: „ივლტოდა იონა“, VII გალობაში—2-ს: „შობაჲ თავს-იდევ“ და „რომელმან ანგელოზისა მიერ“, VIII გალობაში—6 ძლისპირს: „არა თავს იდვეს“, „განქვრდა მეფე იგი“, „მღდელნი აკურთხევდით“, „მძლავრმან მიმძლავრებულმან“, „სამთა მიერ ყრმათა“, „აკურთხევდით ყოველნი საქმენი“, IX გალობაში კი C-ს B-საგან განასხვავებს 13 ძლისპირი.

B-საგან განსხვავებულ ძლისპირებს პ. ინგოროყვა „ახლის“ სახელწოდებით აღნიშნავს[51]. ისინი საფუძველს იძლევიან გამოიყოს C ხელნაწერში III რედაქციული ფენა. ამ ფენის ძლისპირები უცხოა I და II რედაქციის კრებულებისათვის. მათ ნაწილს შემდეგ გაიზიარებენ მოგვიანო პერიოდის ხელნაწერები (XVII—XVIII სს.). იხ. ამაზე შემდეგ.

ბ) C-ში ძლისპირების გარკვეულ ჯგუფს უძღვის სახელწოდება „მორთულნი“. ძლისპირთა ამგვარი კვალიფიკაცია B ხელნაწერისათვის უცხოა. ეს ტერმინი ქართული ხელნაწერებიდან მხოლოდ C-ში არის გამოყენებული. თუ რომელი ძლისპირებია აღნიშნული ამ ტერმინით, ან რო-

---

[51] პ. ინგოროყვა, თხზულებანი, III, გვ. 85.

მელ ხელნაწერებშია გავრცელებული „მორთული“ ძლისპირები და როგორია მათი ორიგინალურობის საკითხი, ჩვენ შევეხებით ცალკე, C-ს თავისებურებათა შეჯამებისას.

გ) C-ში თითქმის ყველა ხმაში B-ს საპირისპიროდ შეტანილია აგრეთვე ძლისპირების საგანგებო ჯგუფი „ადიდენის“ სახელწოდებით.

დ) მართალია, ზემოთ აღინიშნა B და C ხელნაწერების ტექსტობრივი მსგავსება რიგ შემთხვევაში, მაგრამ ეს დასკვნა არ შეიძლება გავრცელდეს მთელ მასალაზე. C ხელნაწერში შეინიშნება B-საგან განსხვავებული წაკითხვებიც, რითაც C დგება I რედაქციის ტექსტთან ახლოს:

I რედ. და C*	B
განხრწნისაგან 619 (315)	დანთქმისაგან
შემწედ აღგიარებთ 693 (346) ღთ.	გევედრებიან შენ
მიიღე შესხმაჲ 741 (381)	მიიღე სიტყუაჲ
მოვედით ყოველნი 748 (382)	მოვედით, მორწმუნენო

უკანასკნელი ძლისპირის ღმრთისმშობლისაში კი C ისევ იზიარებს B-ს ტრადიციას. „ვღაღადებდეთ“—I რედ.; „ვიტყოდით“—BC. იძებნება იმის მაგალითებიც, რომ C უჭერს მხარს Sin. I და Sin. 14-ის, ან (A) იელის იადგარის მონაცემებს, რაც იმის მაჩვენებელია რომ C არ ეყრდნობა ერთ რომელიმე ტრადიციას, იგი შერწყმაა სხვადასხვა წერილობითი თუ ზეპირი ტექსტობრივი ტრადიციებისა. აქ მარტოოდენ ერთი ტრადიცია სავარაუდებელი არ არის.

ე) C და B ტექსტების შეჯერებისას თვალში საცემია მათი ორთოგრაფიული სხვაობაც. B უფრო დგას ლიტერატურული ნორმების პოზიციაზე, C-ში კი არაიშვიათია ორთოგრაფიული აღრევისა და დამახინჯების შემთხვევები.

ვ) B ქართულ ხელნაწერებში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს იმ მხრივ, რომ აქ სიტყვები შეუმოკლებლად, ქარაგმების გარეშეა დაწერილი. C-ს „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ მეხელთა ხელიდან გამოსული, ყველაზე მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული კრებულია[52]. სიტყვების გაშლილი ფორმა შეიძლება განესაზღვრა იმ ფაქტორს, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული გაუგებრობა—ქარაგმა-

---

[52] ძლისპირნი...; გვ. 062.

* ფრჩხილში მითითებულია ძლისპირთა I გამოცემის ნუმერაცია.

ში მოქცეულ რომელ ხმოვანს დაერთვოდა სანოტო ნიშანი. როგორც ცნობილია, ქართულში ნევმები ახლდა არა ყველა მარცვალს,. ისინი გამოიყენებოდნენ გარკვეული ინტერვალებით.[53]. სასწავლო დანიშნულებისათვის ამას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. სასწავლო მიზნებისაა C ხელნაწერიც, მაგრამ იქ ქარაგმებია გამოყენებული. საფიქრებელია, რომ C ასახავს იმ ეტაპს, როცა გზა უკვე გაკაფული იყო და მგალობელთა წრეში ქარაგმების გამოყენება კილოს დასწავლაში გაუგებრობას არ გამოიწვევდა.

ზ) C ხელნაწერის ის მასალა, რაც სხვა ხელნაწერებში დადასტურებული არ არის, გარკვეულ თავისებურებებს გვიჩვენებს რიტმული დაყოფისა და ნევმების თვალსაზრისით. მათგან უმეტესობა ნევმირებული არ არის. ზოგს ახლავს მხოლოდ წითელი ან მხოლოდ შავი წერტილები.

არ ახლავთ ნევმები და წითელი წერტილები C-სთვის სპეციფიკურ შემდეგ ძლისპირებს:

„ვეშაპისა მუცელსა“ (356), „რომელმან განსწავლა“ (342), „მძლავრი განკჳრდებოდა“ (379), „უფროჲს სიმტკიცისა“ (348), „ქუეყანაჲ და ყოველივე“ (395), „მუცელი შენი“ (423), „ვნებათა ნისლისაგან“ (725) და სხვ.

ძლისპირი „ესე არს ღმერთი ჩუენი...“ დაყოფილია მხოლოდ წითელი წერტილებით, ხოლო „შობაჲ თავს-იდევ“ და „რ̃ნ ანგელოზისა მიერ“, საერთოდ, მეტრული პუნქტუაციის გარეშეა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი საერთოდ ნაკლებად გავრცელებული ძლისპირები იყო. მათი კილო ნევმატორისათვის ან საერთოდ ცნობილი არ იყო, ან ზეპირად არ ახსოვდა კილო და არც დედანში ჰქონდა ნევმები (თუკი დედანი გააჩნდა მას ამ შემთხვევაში), დასაშვებია ჩვენთვის უცნობი სხვა მიზეზებიც.

ჩვენ აქ ზოგადად დავახასიათეთ C ხელნაწერის B-საგან განმასხვავებელი ნიშნები. C-ს ზოგიერთ თავისებურებას შევეხებით ცალკე. ამ თავისებურებათა თვალსაჩინოებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ C-ს მიმართებას მომდევნო პერიოდების კრებულებისადმი.

A—603-ᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ XIII—XV ᲡᲡ. ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲗᲐᲜ

XIII—XV საუკუნეებიდან შემორჩენილი გვაქვს ძლისპირთა სამი კრებული: ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის ხელნაწერი № 85

---

[53] იქვე, 064.

(XIII ს.) და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერები ქუთ. 22 (XIII ს.) და ქუთ. 564 (XV ს.)[54].

ეს კრებულები რაოდენობრივად ჩამორჩებიან II რედაქციის, მაგრამ შეიცავენ მისგან განსხვავებულ მასალასაც. განსაკუთრებით საინტერესოა ქუთ. 22, რომელიც, სხვა ნუსხების საპირისპიროდ, უფრო მეტად იზიარებს C ხელნაწერის ზოგიერთ ძლისპირს. II ხმის „აკურთხევდითსა" 2 ძლისპირი — „რომელმან მოსის" და „რომელი ანგელოზთაგან" ქართული ხელნაწერებიდან მხოლოდ C-ს და ქუთ. 22-ის კუთვნილებაა. იგივე ითქმის III ხმის „უგალობდითსა" ძლისპირზე „მკლავითა მაღლითა" და IV ხმის IX ოდის ძლისპირზე „გიხაროდენი მოგართუა".

საანალიზო ქრონოლოგიური ჯგუფის ნუსხები საყურადღებოა იმ მხრივ, რომ აქ წარმოდგენილია ძველი ფენისაგან განსხვავებული თარგმანები, რომლებიც უფრო ახლოს დგანან ბერძნულ დედანთან. აქ მეტ-ნაკლებად აისახა იმ რევიზიისა და მასალის ხელახალი თარგმანის შემთხვევები, რასაც ადგილი ჰქონდა XI საუკუნეში.

წარმოვადგენთ რედაქციულად განსხვავებული თარგმანების რამდენიმე ნიმუშს. აქ ერთ მხარეზე დგანან B, C, Sin. 3, Jer. 48, ხოლმეორეზე — A-85, ქუთ. 22, ქუთ. 564.

1. ღამისა წარსვლითა მოგუეახლა ჩუენ ნათელი განთიადისაჲ, ამისთჳსცა გიგალობენ წესნი ანგელოზთანი, დიდების-მეტყუელებს ყოველი დაბადებული უფალსა (C: 59v; Sin. 3: 20v Jer. 48:12v).	ღამე რაჲ თანა-წარგუქდა, მოგუეახლა ჩუენ დღე და ნათელი სოფელსა გამოუჩნდა, ამისთჳსცა გიგალობენ შენ ანგელოზთა წესნი და დიდების-მეტყუელებს ყოველი ერი (ქუთ. 22: 12v).

ეს ძლისპირები თარგმანებია ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემის № 55 აკოლუთიის ε' ოდის ირმოსისა:

Τῆς νυκτὸς διελθούσης
ἤγγικεν ἡ ἡμέρα

---

[54] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

καὶ τὸ φῶς τῷ κοσμῷ ἐπέλαμψε
διὰ τοῦτο ὑμνεῖ σε
τάγματα ἀγγέλων
καὶ δοξολογεῖ σε τὰ πέρατα.

ორივე ქართული ძლისპირი ზუსტად გადმოსცემს ბერძნულ დედანს, მაგრამ II ვარიანტის სიზუსტე მეტია. რიტმული მონაკვეთების თვალსაზრისითაც იგი უფრო უახლოვდება ბერძნულს. მარცვალთა საერთო რაოდენობაში ორივე ქართული ძლისპირი 4—4 მარცვლით სხვაობს ბერძნულისაგან:

წარმოვადგენთ რიტმული დაყოფის სქემას:

ბერძნ: 7 . 7 . 10 . 7 . 6 . 10=47
C: 6 . 13 . 15 . 17 . =51
ქუთ. 22: 7 . 6 . 11 . 8 . 6 . 12 =51

2. VI, აღ´ბსა

რომელი უმაღლეს ხარ ქერაბინთა	უპატიოსნესსა ქერაბინთასა
და უდიდებულეს, უზეშთაეს სერაბინთა,	და აღმატებით უზეშთაესსა სერაბინთასა,
რომელმან იტჳრთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ ჴორცითა,	განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსასა,
ვითარცა ღმრთისმშობელ ხარ,	მხოლოსა, ღმრთისმშობელსა,
გალობით გადიდებთ	გალობით ვადიდებდეთ.
(C: 566; Sin. 3; 39v).	(ქუთ. 564 : 38r).

A-85 ამ შემთხვევაში მხარს უჭერს C ხელნაწერს. ბერძნული დედანი ამ ძლისპირებისა არის ს. ევსტრატიადისის გამოცემის № 230 აკოლუთიის θ′ ოდის ირმოსი.

Τὴν τιμιωτέραν τῶν χερουβὶμ
καὶ ἐνδοξοτέραν
ἀσυγκρίτως τῶν σεραφὶμ
τὴν ἀδιαφθόρως
Θεὸν Λόγον τεκούσαν
τὴν ὄντος Θεοτόκον
σὲ μεγαλύνομεν.

რიტმული სქემები: ბერძნ: 10 . 6 . 8 . 6 . 7 . 7 . 6=50
C: 11 . 14 . 13 . 7 . 6 =51
ქუთ. 564: 11 . 15 . 13 . 13 =52

აქ რიტმული თვალსაზრისით სხვაობა თითქმის არ არის. II თარგმანი შინაარსობრივად უფრო ზუსტია.

შემდეგი ძლისპირები ანდრია კრეტელის დიდი კანონის (№ 240 აკოლუთიის) ირმოსთა თარგმანებია:

VI ად˝ზსა

3. უთესლოდ მუცლად-ღებამან
უსძლოჲსა დედისამან
და უხრწნელად შობამან ღმრთისა
 განკაცებისამან
განაახლა ბუნებაჲ,
რომლისთჳსცა დაბადებულნი
ღმრთისა სძალსა და დედასა
დაუცხრომელად ვადიდებთ
 (C: 571; B: 10r).

უთესლოდ მიდგომილი
ჰშობს ზეშთა თარგმანებისა,
უმამოჲ დედაჲ
მუცლად-იღებს უხრწნელად,
რამეთუ შენ ღმრთისა შობაჲ სცვალებს ბუნებისა წესთა,
ამისთჳს ყოველნი ტომნი,
ღმრთისა სძალო და დედაო,
დაუდუმებლად გადიდებთ.
 (A—85: 38v; ქუთ. 564, 38r).

᾿Ασπόρου συλλήψεως
ὁ τόκος ἀνερμήνευτος
μετρὸς ἀνάνδρου
ἄφθορος ἡ κύησις
Θεοῦ γὰρ ἡ γέννησιν
καινοποιεῖ τὴν κτίσιν.
διὰ σε πᾶσαι αἱ γενεαὶ
ὡς θεόνυμφον μητέρα
ὀρθοδόξως μεγαλύνομεν.

ბერძნ.: 7 . 8 . 5 . 7 . 7 . 7 . 8 . 8 . 9 = 66
C: 8 . 7 . 7 . 8 . 7 . 10 . 8 . 8 = 63
A-85: 7 . 8 . 12 . 16 . 12 . 12 = 66

II თარგმანი შინაარსობრივად უფრო ახლოსაა ბერძნულთან, ტაეპებში მარცვალთა განაწილების მხრივ კი სხვაობაა.

4. VI, მს˝მსა

ესმა წინაჲსწარმეტყუელსა
მოსლვაჲ შენი, უფალო,

ესმა წინასწარმეტყუელსა
სმენაჲ მოსვლისა შენისაჲ და შეეშინა,

რამეთუ ჴალწულისაგან განჴორციელებად იყავ	ვითარმედ შობად ხარ ქალწულისაგან
და გამოცხადებად კაცთა,	და სახილველ კაცთა მიერ და ჴმობდა:
განკჳრდა და ღაღატ-ყო:	უფალო, მესმა სმენაჲ შენი და შემეშინა,
დიდებაჲ ძალსა შენსა, მაცხოვარ (C: 249; B:8v).	დიდებაჲ ძალსა შენსა (A—85:35v, ქუთ. 564: 32v).

Ἀκήκοεν ὁ προφήτης
τὴν ἔλευσίν σου, κύριε, καὶ ἐφοβήθη
ὅτι μέλλεις ἐκ παρθένου τίκτεσθαι
καὶ ἀνθρώποις δείκνυσθαι καὶ ἔλεγεν
δόξα τῃ δυνάμει σου.

ბერძ: 8 . 13 . 11 . 11 . 14 . 7 =64
C: 8 . 7 . 16 . 8 . 7. 7 . 3 =56
A 85: 8 . 13 . 11. 11. 14 . 7 =64

ახალი თარგმანი C-ს საპირისპიროდ უფრო ახლოსაა რიტმული და შინაარსობრივი თვალსაზრისით ბერძნულთან.

5. VI, აკ῀ხსა

რომელსა მჴედრობაჲ უჴორცოთაჲ აქებს	რომელსა ძალნი ცათანი აქებენ
და ძრწიან მისგან ქერაბინ-სერაბინნი,	და ძრწიან მისგან ჴერაბინ-სერაბინნი,
ყოველი სული გალობით აკურთხევდით და უფროჲსად	ყოველი აღგებული
ამაღლებდით მას უკუნისამდე (C: 558).	ყოვლითურთ ძნობდით და უფროჲსად ამაღლებდით ღმერთსა უკუნისამდე (A—85:37; ქუთ. 564: 37v).

Ὃν στρατιαὶ οὐρανῶν δοξάζουσι
καὶ φρίττει τὰ χερουβὶμ
καὶ τὰ σεραφὶμ
πᾶσα πνοὴ καὶ κτίσις

ὑμνεῖτε, εὐλογεῖτε
καὶ ὑπερυψοῦτε
εἰς πάντας τοὺς αἰῶνας

აღსანიშნავია, რომ XVII—XVIII სს. ხელნაწერებში ვრცელდება გვიანდელი ვერსიები (A—418, A—59, A—458, Q—593), საგულისხმოა, რომ Q—593-ში წარმოდგენილია $\mathrm{VI}_{ე}$-ში ორივე თარგმანის ნიმუშები: „რომელი უმაღლეს ხარ“ და „უპატიოსნესსა ქერაბინთასა“.

A—603 ᲓᲐ XVII—XVIII ᲡᲡ. „ᲫᲚᲘᲡᲞᲘᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐᲜᲘ“

XVII—XVIII საუკუნეებში ძველი მწერლობის სხვა დარგებთან ერთად აღმავლობის გზას ადგება ლიტურგიკული პოეზია[55]. იქმნება და იწერება ჰიმნოგრაფიული კრებულები სხვადასხვა ტიპისა; მათ შორის დგება ახალ-ახალი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანიც“. ძლისპირთა ეს კრებულები, ისევე როგორც წინა პერიოდებში, ერთვიან ლიტურგიკულ ძეგლებს, მაგრამ ახლა საგანგებო ყურადღების საგანი ჩანს ცალკე, დამოუკიდებელი კრებულების შედგენა.

ძლისპირთა ეს კრებულები აღნაგობის მიხედვით ჯგუფდებიან ვრცელი და მოკლე ვერსიის ხელნაწერებად.

ვრცელი ვერსიის კრებულების აღნაგობაში უნდა გამოიყოს რამდენიმე ფენა:

ა) ისინი შეიცავენ ძლისპირთა ყველა კრებულისათვის საერთო მასალას (იგულისხმება I რედაქციის ძლისპირები);

ბ) შეიცავენ C ხელნაწერის ისეთ ძლისპირებს, რაც დასტურდება II რედაქციის მოკლე ვარიანტის ხელნაწერებში. I ხმის „უგალობდითსას“ ყველა ძლისპირი, რომელიც აღნიშნულია სახელწოდებით „უცხონი“, დადასტურებულია XVIII ს. სხვადასხვა კრებულში (იხ. გვ. 29—30);

გ) გვხვდება ისეთი მასალაც, რაც მხოლოდ C ხელნაწერშია დადასტურებული. VIII ხმის „უგალობდითსას“ ძლისპირი „საუცართაგან ეგჳპტისათა“ ქართული ხელნაწერებიდან მხოლოდ XVII—XVIII სს. ვრცელ კრებულებშია დადასტურებული (A—458, A—872, A—418, H—597);

---

[55] მ. ქავთარია, ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 6.

დ) დასტურდება C-საგან განსხვავებული ძლისპირები.

აქ ეს ჯგუფი, ერთი მხრივ, მხარს უჭერს ძველი ხელნაწერების ტრადიციას. აღდგომის კანონის ძლისპირები: „დღესა მას აღდგომისასა“, „მოვედით და ვსუათ“, „საღმრთოსა საპყრობილესა“ C ხელნაწერში შეტანილი არ არის. არ იცნობს მათ OdO ტიპის ძლისპირთა I რედაქციის გამოცემაც, მაგრამ ისინი გვხვდებიან Sin. 26-ში („ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“..., დამატება გვ. 205—226) და მიქაელ მოდრეკილის კრებულში.

VIII ხმის მეექვსე ოდის ძლისპირი „მომეც მე სამოსელი“ C ხელნაწერში შეტანილი არ არის. იგი გვხვდება I რედაქციაში (№ 368) და მიქაელ მოდრეკილის კრებულში. საანალიზო პერიოდის კრებულებში იგი ფიქსირებულია (A—418, A—59, H—597).

მეორე მხრივ, ამ კრებულების C-საგან განსხვავების წყაროა XVII—XVIII სს. შესრულებული ძლისპირთა ახალი თარგმანები.

ვრცელი ვერსიის კრებულებად გამოიყოფა A—59, A—338, A—418, A—458, A—872, A—900, Q—226, S—68, H—597 და სხვ.

XVII ს. კრებულები A—872, A—900, Q—226 ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, მაგრამ ისინიც ვრცელი ვერსიის ხელნაწერებია (იხ. ზემოთ ცხრილები).

XVII—XVIII საუკუნეების ძლისპირთა კრებულების ერთი ჯგუფი, როგორც აღინიშნა, მოკლე ვერსიის ხელნაწერებია. ისინი რაოდენობრივად თითქოს ემხრობიან I რედაქციის კრებულებს, მასალობრივადაც თითქოს მას უჭერენ მხარს, მაგრამ I რედაქციიდან გამონაკრებ მასალას აქ დამატებული აქვს ძლისპირები II რედაქციიდან. როგორც წესი, აქაც წარმოდგენილია „მოიხილესას“ მასალა. შეტანილია გვიანდელი პერიოდის ნათარგმნი ძლისპირებიც.

მთავარი, რაც ამ კრებულებს განასხვავებს წინა პერიოდების კრებულებისაგან, არის ის ფაქტი, რომ აქ წარმოდგენილია მხოლოდ ძლისპირების ტექსტი, „ღმრთისმშობლისანი“ აღარ არის ძლისპირთა კრებულების აუცილებელი კომპონენტი (ეს ცვლილება უკვე თავს იჩენს ვრცელი ვერსიის ზოგიერთ ხელნაწერშიც, მაგ.: Q—593, მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანი ხდება).

მეორე ცვლილება ეხება გალობების აღნიშვნის წესს, ბიბლიური დასაწყისების ნაცვლად, აქ უკვე შემოღებულია გალობათა ასოებრივი ნუმერაცია. ეს ცვლილებები სლავური კრებულების ანალოგიით უნდა იყოს გამოწვეული. მხოლოდ ძლისპირების ტექსტს და

გალობათა ასოებრივ ნუმერაციას გვაწვდიან შემდეგი ხელნაწერები: Q—1456, A—356, A—1061, A—1307, H—263, H—1023, H—504. ისინი C ხელნაწერისათვის საინტერესოს არაფერს იძლევიან.

ჩვენს კითხვაზე, თუ რა დამოკიდებულებაშია იორდანეს „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ XVIII ს. კრებულებთან, გაიცემა შემდეგი პასუხი: C-ს იდენტური შედგენილობის ძლისპირთა კრებული XVII—XVIII საუკუნეებში დადასტურებული არ არის. C-სათვის ნიშანდობლივი მასალა ცალკეულ შემთხვევებში დასტურდება ვრცელი ვერსიის ხელნაწერებში, თუმცა ისინი ძირითადად მხარს უჭერენ II რედაქციის მოკლე ვარიანტის კრებულებს; ცვლილებები მოკლე ვერსიის კრებულების აღნაგობაში (ასახვა მხოლოდ ძლისპირებისა, ღმრთისმშობლისას გარეშე, შეცვლა გალობათა სახელდების პრინციპისა, ასოებრივი ნუმერაციის შემოტანა) გამოწვეული უნდა იყოს სლავური და ბერძნული ირმოლოგიონის ანალოგიით.

„უცხონი“ და „მორთულნი“ A—603-ში

C ხელნაწერის თავისებურებას ქმნის გამოყენება ტერმინებისა „უცხონი“ და „მორთულნი“. ეს სახელწოდებები უნდა ეხებოდეს არა მარტო იმ ცალკეულ ძლისპირებს, რომლებსაც უშუალოდ წამძღვარებული აქვთ აღნიშნული ტერმინები, არამედ ისინი უნდა ვრცელდებოდნენ მომდევნო ძლისპირებზეც (ამაზე უნდა მიუთითებდეს მათი მრავლობითი რიცხვის ფორმა)[56].

„მორთულნი“ და „უცხონი“ სხვადასხვაგვარად არის განაწილებული ხმებისა და გალობების მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი არ დასტურდება II გალობის, „მოიხილესას“ ძლისპირებთან: C-ში „უცხონი“ I და II ხმაში (ტექსტის შემორჩენილი მონაკვეთის მიხედვით) ახლავს თითქმის ყველა გალობას, III ხმაში—V, VI, VII გალობებს, IV-ში—V, VI, VII გალობებს, V ხმაში—III, IV, VIII გალობებს, VI-ში—III, IV, VII გალობებს, VIII ხმაში I გალობის ძლისპირებს. „მორთულნი“ დასტურდება VII ხმაში—III, VI, VIII, IX გალობათა ძლისპირებთან, VIII ხმაში—IV და V გალობების ძლისპირებთან.

---

[56] ძლისპირნი... გვ. 072.

ცნობილია, რომ C ხელნაწერი სამი რედაქციული ფენისაგან შედგება. გარკვეულია, რომ ძლისპირების რიგში ასახულია მათი რედაქციული და ქრონოლოგიური მიმართება. პირველ რიგში მიდის უძველესი რედაქციული ფენის ძლისპირები, შემდეგ კი—II და III რედაქციებისა. ეს უკანასკნელნი პირველისაგან გამოყოფილი არიან საგანგებო ტექნიკური ნიშნითაც. ამ სიახლის მაჩვენებლად სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია ტერმინი—„უცხონი“, რომელსაც ზოგიერთი ხმის ფარგლებში ენაცვლება ტერმინიც „მორთულნი“[57].

ტერმინი „უცხონი“ ე. მეტრეველმა ბერძნულ εἱρμὸς ἄλλος-ის თანაბარი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნია.[58].

ბერძნულ ირმოლოგიონთა პრაქტიკაში ხშირია ძირითადი ძლისპირის შემდეგ ერთი ან ორი ძლისპირის არსებობა, რასაც εἱρμὸς ἄλλος ან εἱρμὸς ἕτερος-ი ეწოდება. ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა ბერძნულ ჰიმნოგრაფიაში მთელი სიზუსტით შესწავლილი არ არის. ჯ. სქიროს მოსაზრებით, εἱρμὸς ἄλλος-ი უპირატესად ძირითადი ძლისპირის რიტმსა და კილოზე დაწერილი ახალი ძლისპირია, მაგრამ ხშირად განსხვავდება ძირითადისაგან როგორც შინაარსით, ისე მეტრით და მელოდიით[59].

ე. მეტრეველის დასკვნა ქართული „უცხოს“ და ბერძნული εἱρμὸς ἄλλος-ის იგივეობის შესახებ ემყარება B და C ხელნაწერებში დადასტურებულ შემდეგ ფაქტს.:

I ხმის „უგალობდითსას“ უცხოთა რიგში B და C-ში გვხვდება ძლისპირი „აზღუდნეს წყალნი“. მის გასწვრივ მიწერილია ამავე გალობის I რედაქციის ძლისპირის დასაწყისი: „მონებისა მისგან მწ“ (B), მ῀ნბი“ (C). ეს ძლისპირები დაკავშირებული აღმოჩნდა ერთმანეთთან აზრობრივად, რიტმულად და მელოდიურად. ორივე ძლისპირში ტაეპთა და მარცვალთა რაოდენობა ერთნაირია (თითო მარცვლით სხვაობაა VI—VII ტაეპებში), ერთნაირია ძირითადი მელოდიური ფორმულებიც. ე. ი.

---

[57] ძლისპირნი..., გვ 073.

[58] იქვე.

[59] G. Schiro, Problemi heirmologici: Proceedings of the XIII th International Congress of Byzantine Studies, Oxford, 5—10 september, 1966, p. 255—266. მასალა ამოღებული გვაქვს ე. მეტრეველის გამოკვლევიდან: „ძლისპირნი და ღმრთისშობლისანი“, გვ. 068.

ძლისპირი „აზღუდნეს წყალნი“ „მონებისა მისგან მწარისა“-ს რიტმულ-მელოდიური კალკია, მისი εἱρμὸς ἄλλος-ია[60].

ანალოგიური შემთხვევა—ქართული ძლისპირის კილოს ნიმუშად მეორე ქართული ძლისპირის გამოყენება, ჩვენც დავადასტურეთ C ხელნაწერში.

IV ხმის „ღაღატყავსას“ ძლისპირს „ბრალთა ჩემთა სიღრმესა“ (№ 356) C ხელნაწერში მიწერილი აქვს „შთავადი“. „შთავადი“ დამახინჯებული ფორმაა ამავე გალობის № 2 (საერთო რიგითი ნომრით 345) ძლისპირის დასაწყისი სიტყვისა „შთავვარდი“. როგორც შეპირისპირებამ გვიჩვენა, ეს ორი ძლისპირი რიტმული თვალსაზრისით ერთმანეთის თანმხვედრია:

345: შთავვარდი მე სიღრმეთა ზღჳსათა	10	356: ბრალთა ჩემთა სიღრმესა დანთქმული
და ცოდვისა უფსკრულთა დამთქეს მე,	7	მიჴსენ მე, კაცთ-მოყუარე,
არამედ, ვითარცა ღმერთ ხარ,	11	მსგავსად იონაჲსა აღმოიყვანე
განხრწნისაგან	4(5)	ცხორებაჲ ჩემი,
კუალად აღმოიყვანე	7	გევედრები, ს[illegible] იერო
ცხორებაჲცა ჩემი, მოწყალე (71r)	9	და მაცხოვნე, მრავალ-მოწყალე (73r).

სხვაობაა მხოლოდ IV ტაეპის ერთ მარცვალში.

№ 345 ძლისპირი I რედაქციის კუთვნილებაცაა (I გამოც. № 194). იგი თარგმანია ს. ევსტრატიადისის გამოცემის № 135 აკოლუთიის VI ოდის ირმოსისა Ἦλθον εἰς τὰ βάθη. სინურ იადგარში (№ 14) ამ ძლისპირს ახლავს ბერძნული დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით: „ილთონ ის ტა ბითი“[61]. რიტმული სტრუქტურითაც ქართული ძლისპირი ბერძნულის იდენტურია (განსხვავებაა მხოლოდ იმაში, რომ ბერძნული ირმოსის IV ტაეპი ქართულში დანაწევრებულია 2 ტაეპად შეფარდებით 11=4:7). ბერძნული დასაწყისი ძლისპირთან „შთავვარდი მე“ მიანიშნებს მის კილოზე. ქართული ძლისპირი რიტმულ-მელოდიური კალკია ბერძნული ირმოსისა. ქართული ძლისპირის დასაწყისის მიწერა მეორე ქართულ ძლისპირთან მინიშნება უნდა იყოს

---

[60] ძლისპირნი..., გვ. 072.

[61] იქვე, გვ. 117.

იმისა, რომ ძლისპირი № 356 იგალობება იმავე კილოზე, რაზეც № 345, ე. ი. „ბრალთა ჩემთა სიღრმესა“ არის „შთავვარდის“ εἱρμὸς ἄλλος-ი.

ბუნება და რაობა ძლისპირთა იმ რიგისა, რომელიც აღნიშნულია სახელწოდებით „მორთულნი“, სხვადასხვაგვარად არის განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში. პ. ინგოროყვას აზრით, იგი ასახავს დიდი ფორმის საგალობელში სტროფულ-ტაეპობრივ შეფარდებათა ცვლილებას (9 გალობისაგან შემდგარ კანონში 9 მუსიკალურ კომპოზიციას შეეფარდება არა 9, არამედ 5, ზოგჯერ 7 სტროფულ-ტაეპობრივი საზომი). მანვე ტერმინი „მორთულნი“ გააიგივა სიტყვასთან „მოკაზმული“ — საუცხოო[62].

ე. მეტრეველის მოსაზრებით, რაკილა „მორთულნი“ და „უცხონი“ C ხელნაწერის ფარგლებში ენაცვლებიან ერთმანეთს და ტექნიკურ ნიშანთან ერთად გამოყოფენ ძლისპირთა ახალ ფენას, ისინი მნიშვნელობითაც მსგავსნი არიან. „მორთულნი“ უნდა იყოს იგივე, რაც εἱρμὸς ἄλλος-ი, ე. ი. სხვა ძლისპირთა რიტმსა და კილოზე დაწერილი ახალი ძლისპირი. მისი აზრით, სწორედ ამ მომენტს (რაიმე ქარგის, მოდელის მიხედვით შემზადებას) უნდა უსვამდეს ხაზს ტერმინი „მორთული“, რაც ნიშნავს შეწყობილს, შემსგავსებულს, აწყობილს რაიმეს მიხედვით[63].

ქართული ძლისპირების მეტრულმა შეპირისპირებამ ვერ გამოავლინა სხვა მაგალითები იმისა, რომ ერთი ქართული ძლისპირი ზუსტი რიტმულ-მელოდიური ნიმუში იყოს მეორე ქართული ძლისპირისათვის. ქართული „უცხონი“ და „მორთულნი“ შესაძლოა ისეთ ალოსებს უფრო უჭერდეს მხარს, რასაც ჯ. სქირო II ჯგუფისას უწოდებს (ალოსი განსხვავდება ძირითადისაგან როგორც შინაარსის, ისე კილოს მიხედვით).

ასეთი ძლისპირების შესწავლა უნდა მოხდეს კომბინირებულად, ფილოლოგთა და მუსიკათმცოდნეთა ერთობლივი მუშაობით. უმჭიდროეს კავშირში უნდა იქნეს განხილული როგორც მეტრული პუნქტუაცია და ნევმები, ისე ირმოლოგიონებისა და ლიტურგიკული ძეგლების

---

[62] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 131, 136—137. ც. ჯღამაიას ვარაუდით, ტერმინი „მოკაზმული“ ძველი თარგმანის გადაკეთება-გადამუშავებაა და ძლისპირთა მიხედვით მისი ზუსტი გამართვა. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1972, გვ. 11.

[63] ძლისპირნი..., გვ. 073—074.

ჰიმნოგრაფიული მასალა. ვფიქრობთ, მხოლოდ ასეთი შესწავლა შეუწყობს ხელს წარმოდგენილი ტერმინების მნიშვნელობათა ზუსტ და ამომწურავ ახსნას, რაც შემდგომი კვლევის საქმეა.

მანამდე კი განვიხილოთ „მორთულნი“ და „უცხონი“ ბერძნულთან მიმართების თვალსაზრისით.

„მორთულთა“ და „უცხოთა“ სახელით აღნიშნული ძლისპირების ერთი ნაწილი ბერძნული წარმომავლობისაა. დედნისა და თარგმანის მიმართების საკითხებს შევეხებით ქვემოთ (იხ. „ძლისპირთა წარმომავლობისათვის“). აქ კი ზოგადად აღვნიშნავთ შემდეგს: თარგმნილი „უცხონი“ და „მორთულნი“ ზოგ შემთხვევაში ზუსტად გადმოსცემენ როგორც დედნის შინაარსს, ისე მის მეტრულ მხარეს, მაგრამ უფრო ხშირია დედნისაგან რიტმული დაცილების ნიმუშები. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს თარგმნისას ყურადღება გამახვილებულია შინაარსობრივი მხარის ზუსტ გადმოტანაზე, გადახვევები და გადატრები რიტმულ-ტაეპობრივ წყობაში უფრო იჩენს თავს მეტ-ნაკლებად. არის თუ არა ამ გადახვევის საფუძველი სხვა რიტმული განკვეთილობის მქონე ბერძნული დედანი, თუ აქ ორიგინალური ქართული კილოა სავარაუდებელი, დღესდღეობით ძნელი სათქმელია. ვფიქრობთ, რომ „მორთულთა“ და „უცხოთა“ ცალკე გამოყოფის საფუძველი მაინც მეტრულ მხარეშია საძიებელი.

როგორია სხვადასხვა რედაქციის ძლისპირთა კრებულების პოზიცია „მორთულთა“ და „უცხოთა“ მიმართ?

„მორთულნი“ და „უცხონი“ I რედაქციის ძლისპირთა კრებულების კუთვნილება არ არის, მაგრამ C-ში რამდენიმე შემთხვევაში „მორთულთა“ და „უცხოთა“ წყებაში გაერთიანებულია პირველი რედაქციის ძლისპირები:

1. V ხმის VIII გალობის ძლისპირი „შენ, შემოქმედსა და ბუნებათა შემცვალებელსა“ შეტანილია „უცხოთა“ ჯგუფში. ძლისპირი გამოქვეყნებულია Sin. 65-ის მიხედვით (№ 260) და იქ მას ახლავს ბერძნული ირმოსის დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით (Σὲ τὸν ποιητὴν).

2. VIII ხმის IV გალობის ძლისპირი „წინაწარმეტყუელმან საიდუმლოჲ პირველ იხილა“ მიეკუთვნება „მორთულთ“. ესეც გამოქვეყნებულია (№ 357), მას შეიცავენ Sin. 65 (სადაც ბერძნ. დასაწყისიცაა მიწერილი) და B ხელნაწერი.

3. VIII ხმის უგალობდითსას „რომელმან დაანთქა“ „უცხოთა“ წყე-

ბაშია C-ში (აგრეთვე B-ში), ესეც I რედაქციაში გამოქვეყნებულია Sin—65-ის მიხედვით (№ 341)[64].

სამივე ძლისპირი ბერძნული ირმოსების ზუსტი თარგმანებია.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ეს ძლისპირები I რედაქციიდან მხოლოდ Sin. 65-შია დადასტურებული. როგორც ცნობილია, იგი პირველი რედაქციის ერთი გავრცობილი ნუსხათაგანია[65]. ეს დადასტურებაა ძლისპირთა კრებულების თანდათანობითი შევსების პროცესისა. ამ შემთხვევაში აქ ჩანასახოვანი სახით არის ის ელემენტები, რაც შემდეგ საფუძველი შეიქმნა ახალი რედაქციული ფენისა.

„უცხოთა“ გავრცელებას სხვადასხვა პერიოდის ძლისპირთა კრებულებში ნაწილობრივ უკვე შევეხეთ (იხ. ზემოთ მოტანილი ცხრილები). აქ კვლავ გავიმეორებთ, რომ „უცხოთა“ ცალკეული ძლისპირები მეტ-ნაკლებად დასტურდება II რედაქციის მოკლე ვარიანტის ხელნაწერებში Sin. 3 და Jer. 48 (I ხმის „უგალობდითსა“, „მესმასა“, II და III ხმების „ადიდებდითსა“), ცალკეულ შემთხვევებში—ქუთ. 22-სა და A—85-ში (I, „უგალობდითსა“, II, „აკურთხევდითსა“, III, „ადიდებდითსა“). Sin. 3 და Jer. 48-ის პარალელურად „უცხონი“ დასტურდება აგრეთვე XVII—XVIII სს. ძლისპირთა ვრცელი ვერსიის კრებულებში (A—872, A—418, A—458 . . . .)

„უცხო“ ძლისპირებს სათანადო კვალიფიკაციითა და სისრულით შეიცავს B ხელნაწერი.

„მორთულთა“ გავრცელების არე კი სხვა ხელნაწერებში შეზღუდულია. VII ხმის „მორთულებიდან“ Sin. 3-ში დასტურდება მხოლოდ თითო ძლისპირი ყოველ გალობაში. ანალოგიური მდგომარეობაა XVII—XVIII სს. ნუსხებში: A—418, A—458, A—872, H—597.

„მორთულ“ ძლისპირებს თითქმის უკლებლივ შეიცავს B ხელნაწერის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, მაგრამ იქ ამგვარი კვალიფიკაცია არ აქვთ მიცემული.

„მორთულნი“ კვლავ გამოწვლილვით შესწავლის ღირსია როგორც ბერძნულ, ისე ქართულ მასალაზე.

---

[64] „მორთულების“ რიგშია აგრეთვე A რედაქციის ერთი სხვა ძლისპირიც: „რომელი მხოლოდ არს“ (VII ხმის VIII გალობაში), მაგრამ, როგორც მიუთითებს ძლისპირის წინ წამძლვარებული გადამწერის შენიშვნა: „ზემოდთ დამირჩა“ (135v, C), იგი „მორთულების“ რიგში შემთხვევით არის მოხვედრილი.

[65] ძლისპირნი..., გვ. 012.

„ადიდენნი“ A — 603-ში

A—603-ის განსხვავებას ძლისპირთა სხვა კრებულებისაგან ქმნის კიდევ ძლისპირების ჯგუფი სახელწოდებით „ადიდენნი“, რასაც არ იცნობენ სხვა „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“*.

„ადიდენნი“ აქ დაცულია 7 ხმის მოცულობით (I ხმის მასალა დაკარგული უნდა იყოს).

„ადიდენნი“, ისევე როგორც „ადიდებდითსა“, დამყარებულია ბიბლიურ გალობათა IX გალობაზე (გალობაჲ წმიდისა მარიამისი და ზაქარიას წინასწარმეტყუელება), რომელიც ღვთისმშობლისადმია მიმართული და თემატიკურად ამოდის სახარებიდან (ლუკა 1,46—1,55, 1,68—1,70).

მოდელი და კომპოზიცია „ადიდენნისა“ ყველა ხმაში ერთგვარია (თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა):

ა) „ადიდენნი“ შედგება 6-6 ძლისპირისაგან,

ბ) თითოეული ძლისპირის დასაწყისი მასალობრივად ეყრდნობა ზემოთ დასახელებულ გალობებს, იმეორებს მათ დასაწყისებს. მათი თანმიმდევრობა ერთგვარია ყველა ხმაში:

1. „ადიდებს სული ჩემი უფალსა“...
2. „აჰა ესერა ამიერითგან გნატრიან (მნატრიან)“...
3. „ყო სიმტკიცითა მკლავისა მისისაჲთა“...
4. „შეიწყნარა ისრაელი — მონაჲ თჳსი“...
5. „კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაჱლისაჲ“...
6. „ვითარცა იტყოდა პირითა წინაჲსწარმეტყუელთა თჳსთაჲთა“...

დასახელებული 6-კომპონენტიანი მოდელი ზოგი ხმის ფარგლებში დასტურდება ორჯერ (სხვადასხვა ვარიაციით). IV ხმის „ადიდენის“ ძლისპირები (849—854) ზუსტად მიჰყვება წარმოდგენილ მოდელს. ეს მოდელი დასტურდება უფრო ზევითაც (842—846). მაგრამ იქ მოდელის I და II ძლისპირს შორის ჩართულია კიდევ ერთი ძლისპირი: „ადიდე, ქრისტე მშობელი შენი“, ხოლო „კურთხეულ არს მშობელი შენი“ უკვე ღმრთისმშობლისადაა მიჩნეული (ძლისპირების პირველ ასოს გადამწერი სინგურით ასრულებს, აქ კი შავი მელანია გამოყენებული).

განსხვავებული ვარიაციით ერთგვარად იმეორებს ამ მოდელს

---

* გამონაკლისია Jer. 48, სადაც IV ხმის IX გალობაში ვადასტურებთ „ადიდენის“ რამდენიმე ძლისპირს (გვ. 42 v).

VIII ხმის „ადიდებენის“ ნაწყვეტი. ტიპიური მოდელი ძლისპირებს (808—813) მოჰყვება:

„ადიდებდ, ღირსო, მაღალსა...“
„აჰა ესერა, ქალწულო, განატრიან...“
„ყო სიმტკიცითა ძლიერმან...“
„შეიწყნარე შენ, ქალწულო...“ (აქ ტექსტი წყდება).

ეს დასაწყისები ტექსტობრივად ზუსტად აღარ ემთხვევიან ტიპიური მოდელის დასაწყისებს, მაგრამ აქაც დამუშავებულია იგივე თემა, თანმიმდევრობაც ტიპიური მოდელისაა, მაგრამ აქ დასახელებული 4 მაგალითიდან ძლისპირად ჩათვლილია მხოლოდ I — „ადიდებდ, ღირსო“. სხვა შემთხვევებში დასაწყისები შავი მელნით არის შესრულებული.

გ) „ადიდენის“ ყველა ძლისპირს აქვს საერთო რეფრენი: „ამას ყოველნი გალობით ვადიდებდეთ (ვადიდებთ)“*.

დ) „ადიდენი“ წარმოდგენილია მხოლოდ ძლისპირების სახით (გამონაკლისებს შევეხეთ ზევით).

მასალის განლაგებისა და სახელდების მხრივ A—603-ის რედაქტორ-შემდგენელი მერყეობას იჩენს. ეს ძლისპირები ხან „ადიდებდითსას“ ნაწილია (II ხმა, 164—169, III ხმა, 255—260, V ხმა, 498—503), ხან კი გამოყოფილი არიან „ადიდებდითსასაგან“ ცალკე სახელწოდებით „ადიდენნი“. ეს მერყეობა იქამდე მიდის, რომ V ხმის ერთი და იგივე ძლისპირები დასტურდება როგორც „ადიდებდითსაში“ (498—503), ისე „ადიდენნიში“ (849—854). მერყეობაა სახელდების მხრივაც: IV—VI—VII ხმებში დასტურდება „ადიდენნი“, V-ში — „ადიდენი“, VIII ხმაში კი — „ადიდებენი“ (№ 794).

VIII ხმაში „ადიდებენის“ პირველი ძლისპირი დასაწყისის სახითაა წარმოდგენილი. მას წითლით მოსდევს შენიშვნა: „ესე უკუანეთ სწერია“. მსგავსი დასაწყისის მქონე ძლისპირი სრულად არის წარმოდგენილი ზემოთ, 178 v გვერდზე, სადაც მომდევნო ტროპარი დასაწყისით „აჰა ესერა ამიერითგან“ ღმრთისმშობლისადაა გაშვებული (№ 794).

ჩვენთვის ძნელია იმის დადგენა, თუ რამ განაპირობა A—603-ში ერთი და იმავე მასალის სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია. ასევე ძნელი გასარკვევია, თუ რას ეყრდნობოდა მისი შემდგენელი „ადიდენის“

---

* გამონაკლისის სახით VIII ხმაში გვხვდება რეფრენიც: „გალობით შევასხამთ“.

ძლისპირების ფიქსაციის პროცესში. ჩვენთვის ხელმისაწვდომ ბერძნულ ირმოლოგიონებში მსგავსი ძლისპირები შეტანილი არ არის. ძლისპირთა სხვა ქართული კრებულები C-ს მხარს არ უჭერენ ამ მხრივ. მაგრამ რაღაც ტრადიცია მაინც არსებობდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ Jer. 48-ში დადასტურებულია „ადიდენის“ რამდენიმე ძლისპირი.

ნათელია მხოლოდ ის, რომ A—603 განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ღვთისმშობლის სადიდებელ მასალას. ანგარიშგასაწევია, რომ ძლისპირებს ამ კრებულში მოსდევს „შესხმანი ღმრთისმშობლისანი“.

⁂

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა C ხელნაწერის განსაკუთრებული ადგილი ძლისპირთა კრებულებს შორის, რაც განსაზღვრა შემდეგმა მომენტებმა:

1. A—603 შეიცავს ძლისპირების ყველაზე დიდ რაოდენობას (870-ზე მეტ ძლისპირს). ამ მხრივ მას ჩამორჩება ისეთი მნიშვნელოვანი კრებულიც კი, როგორიც არის მიქაელ მოდრეკილის იადგარი (S—425) — გვირგვინი ქართული ჰიმნოგრაფიული მწერლობისა. სწორედ ეს ფენა S—425-ისაგან განსხვავებული ძლისპირებისა აპირობებს მასში ძლისპირთა III რედაქციული ფენის გამოყოფას.

2. C-ს თავისებურებას ქმნის აგრეთვე „უცხოთა“ და „მორთულთა“ გამოყენება. ტერმინი „მორთული“ ძლისპირთა გარკვეული ჯგუფის აღსანიშნავად მხოლოდ A—603-ის კუთვნილებაა.

3. C-ში ფიქსირებულია ძლისპირების ერთი ჯგუფი სახელწოდებით „ადიდენნი“ ან „ადიდებენი“, რაც სხვა კრებულებისათვის უცნობია.

4. ხელნაწერი რიტმული პუნქტუაციით და ნევმებით გამართული ძლისპირია (B-სთან ერთად), ე. ი. „მეხურია“. იგი შექმნილია პროფესიონალ მგალობელთა წრეში და გალობის სახელმძღვანელო წიგნის დანიშნულება უნდა ჰქონოდა[66]. X—XI საუკუნეებში „ძლისპირნი და

---

[66] ე. მეტრეველი, „მეხელისა“ და „მეხურის“ გაგებისათვის... გვ. 062.

ღმრთისმშობლისანი“, ჩვეულებრივ, შედიან დიდი ლიტურგიკული ძეგლების შემადგენლობაში, A—603 კი დამოუკიდებელი კრებულია. მასში მხოლოდ „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანია“ შეტანილი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ღმრთისმშობლის შესხმებს“, რომლებსაც ხელნაწერის ბოლოში მხოლოდ 33 ფურცელი აქვს დათმობილი). ეს მცირე ფორმატის კრებული უფრო მოხერხებული უნდა ყოფილიყო გალობის სწავლების ამოცანის განხორციელებისათვის.

III. ძლისპირთა წარმომავლობის საკითხი

პირველი რედაქციის რამდენიმე ძლისპირის მოდელის შესახებ

ქართული ძლისპირების ისტორია განიხილება ბერძნულ ირმოლოგიონებთან უმჭიდროეს კავშირში. დღეს უკვე გარკვეულია ძლისპირთა პირველი რედაქციის მომდინარეობა ბერძნულიდან[67].

გასარკვევია სხვა რედაქციების ძლისპირთა ორიგინალობის საკითხი. ეს კვლავ ამოსავალ წინაპირობად მოითხოვს ბერძნულთან მიმართების გარკვევას, ბერძნული ირმოლოგიონებისა და ქართული ძლისპირების შედარებითს შესწავლას. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბერძნული წყაროების სრულყოფილად გამოყენებას. ყოველი ახალი წყარო ყურადსაღები და ანგარიშგასაწევია იმდენად, რამდენადაც მან შეიძლება საინტერესო ცნობები მოგვაწოდოს ჩვენი წინაპრების მთარგმნელობითი პროდუქციის შესახებ. არ არის გამორიცხული, რომ აქ დადასტურდეს იმ ძლისპირთა დედნები, რომელთა ბერძნული ფარდი ჯერჯერობით დაძებნილი არ არის.

ნათქვამი ეხება პირველი რედაქციის იმ ძლისპირებსაც, რომელთა ბერძნული შესატყვისების მიგნება ვერ მოხერხდა. ასეთი ძლისპირი 19-ია. მათგან თოთხმეტს აქვს მითითება ბერძნულ დედანზე (ქართულ ძლისპირებს ახლავს ბერძნული ძლისპირის დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით). ამის შესახებ გამოცემაში ვკითხულობთ: „ქართულ ძლისპირთა დასაწყისების შედარებამ ბერძნულ ძლისპირთა ტრანსკრიფციებთან ცხადი გახადა, რომ ამ შემთხვევაშიც ქართული ძლისპირები ბერძნულის თარგმანებს ან შესატყვისებს უნდა წარმოადგენდნენ, და თუ ვერ მივაკვლიეთ მათ დედნებს ჩვენთვის ხელმისაწვდომ გამოქვეყნებულ ბერძნულ ირმოლოგიონებში, ეს მოწმობს

---

[67] ძლისპირნი..., გვ 027—036, 077—087.

მხოლოდ იმას, რომ ირმოლოგიონის ეს გამოცემები, დამყარებული XI—XIII საუკუნეების ხელნაწერებზე, არ ამოწურავენ ბერძნულ ძლისპირთა მთელ რეპერტუარს და, შესაძლებელია, საძიებელი 14 ქართული ძლისპირის ბერძნული დედნები ირმოლოგიონთა ნაკლებად შესწავლილ ხელნაწერებში აღმოჩნდეს“[68].

მართლაც, შემდგომი დროის კვლევა-ძიებამ გამოავლინა I რედაქციის რამდენიმე ქართული ძლისპირის დედანი.

საგულისხმო ჩვენება მოგვცა ამ მხრივ საბაწმიდის მონასტრის ხელნაწერმა ირმოლოგიონმა (№ 83), რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში S ლიტერითაა აღნიშნული[69]. ამ ირმოლოგიონის თავისებურებებს შევეხებით ქვემოთ, ახლა კი წარმოვადგენთ ორ ირმოსს, რომელიც ორი ქართული ძლისპირის დედნად შემოუნახავს მხოლოდ ამ ხელნაწერს.

1. Σὲ τὴν πανύμνητον καὶ ἔνδοξον Θεοτόκον
τὴν μετὰ τὸν δεύτερον καταπέτασμα σκηνὴν,
τὴν λεγομένην ἅγια ἁγίων
ἐν ὕμνοις μεγαλύνομεν (13 v).

მოგვყავს პარალელური ქართული ძლისპირი (I ხმის „ადიდებდითსა“).

შენ, ყოლად ქებულო
და დიდებულო ღმრთისმშობელო,
რომელი შემდგომად მეორედ
ეზოჲ ტაძრისაჲ ხარ,
რომელსა ჰრქვან წმიდაჲ წმიდათაჲ,
გალობით გადიდებთ[70].

ეს ძლისპირი მიეკუთვნება პირველი რედაქციის იმ ძლისპირთა რიგს, რომელთაც არ ახლავთ ბერძნული დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით. ჩვენს საანალიზო კრებულში — A—603-ში — იგი არ დას-

---

[68] ძლისპირნი..., გვ. 028—029.

[69] ეს ირმოლოგიონი ლოს-ანჯელოსიდან მიიღო ე. მეტრეველმა პროფ. ვ. ჯობაძის დახმარებით. მაგრამ მისი გამოყენება ძლისპირთა პირველი რედაქციის გამოცემაში ვერ მოხერხდა, რადგან წიგნის აწყობა უკვე დამთავრებული იყო. ე. მეტრეველმა ეს გამოცემა ჩვენ დაგვითმო სარგებლობისათვის, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[70] ძლისპირნი..., გვ. 60.

ტურდება მხოლოდ იმის გამო, რომ ხელნაწერის შესაბამისი ნაწილი ჩვენამდე მოღწეული არ არის.

ბერძნული და ქართული ძლისპირები როგორც შინაარსობრივი, ისე რიტმული თვალსაზრისით, ერთმანეთს ფარავენ[71].

2. Θεοτόκον σὲ πάντες γινώσκομεν,
παναγία παρθενε
καὶ χαίρε σοι, βοῶμεν,
τῷ ἐκ σοῦ τέχθεντι Θεῷ
θεοφάντορας ὕμνοις ἀναμέλποντες
εἰς πάντας τοὺς αἰῶνας (116 r)

ქართულშია: ღმრთისმშობელო, ჩუენ
ყოველნი გიცნობთ შენ
დედად ღმრთისა ჩუენისა,
ყოლად ღირსო გიღაღადებთ:
გიხაროდენ შენ, ქალწულო,
შენგან შობილსა ღმერთსა უფროჲსად ავამაღლებთ
უკუნისამდე

(A—603, 391).

ქართულ ძლისპირს ერთ-ერთ ხელნაწერში (Sin. 65) ახლავს ბერძნული ზედწარწერა „თეოტოკონკე“, სადაც სიზუსტე დარღვეულია. უნდა იყოს ხე ნაცვლად კე-სი, რაც ხ და კ-ს გრაფიკული აღრევის შედეგია.

საგულისხმოა, რომ ამ ირმოსის თარგმანი ბ. უტიემ დაადასტურა სირიულშიც. მისი რიტმული დაყოფა სირიულში (ბ. უტიემ ეს დაყოფა მოგვაწოდა მხოლოდ 4 ტაეპის მიხედვით, რადგან ბოლო, V ტაეპი კარგად არ ჩანს) ძირითადად თანხვდება ბერძნულისა და ქართულის რიტმულ დაყოფას:

ბერძნ. 11 . 7 . 7 . 8 . 12 . 7
ქართ. 5 . 6 . 7 . 8 . 8 . 19
სირ. 11 . 7 . 7 . 9

---

[71] ამის შესახებ ვრცლად იხ. გ. კიკნაძე, რამდენიმე ძლისპირის წარმომავლობისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1976, I, გვ. 73—76.

ბ. უტიემ ფრანგულ ენაზე თარგმნა და გამოაქვეყნა რეზიუმე ე. მეტრეველის გამოკვლევისა, რომელიც ერთვის ძლისპირთა პირველი რედაქციის გამოცემას და აქვე დაურთო თავისი ნაკვლევი ქართულ ძლისპირთა შესატყვისების შესახებ სირიულ თარგმანებში[72]. მან აქ თარგმნა ის 19 ძლისპირი, რომელთაც არ დაეძებნათ პარალელი ბერძნულ ირმოლოგიონებში და აღნიშნა რამდენიმე მათგანი, რომელთა შესატყვისებს მიაკვლია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის სირიულ ჴელნაწერში (№ 131):

1. ღაღატ-ყო ამბაკომ სულითა... (№ 17)*.

ამ ძლისპირს ახლავს ბერძნული ირმოსის დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით „ექსენთესებო". ბ. უტიეს აზრით, შესაბამისი ბერძნული ირმოსის დასაწყისი შეიძლება აღდგეს ასე: ἐξῆλθες ἐβό[α]. ხაზგასმული სიტყვები (ოღონდ არა დასაწყისის სახით) მან დაადასტურა ბოლო ნაწილში ირმოსისა Μέγα τὸ μυστήριον, რომელიც გამოქვეყნებულია სერიაში The Hymns of the Hirmologium[73].

2. ვითარცა-რაჲ სიონს შინა მდგომარე იყო... (№ 39).

3. ღმრთისმშობელსა და ქალწულად დადგრომილსა (№ 150).

4. ღმრთისმშობელო, ჩუენ ყოველნი გიცნობთ... (№ 218) (იხ. ზევით)

ორ უკანასკნელ შემთხვევაში გამოქვეყნებულია სირიული ტექსტიც[74].

5. ბ. უტიემ დაადასტურა აგრეთვე ძლისპირის „მესმა, უფალო, განგებაჲ... (№ 78) დედნის არსებობა ბერძნულ „თვეთა" მიხედვით (8 დეკემბრის გალობებში)[75], ქართულ ძლისპირს ბერძნული ზედწარწერა არ ახლავს.

---

[72] H. Metreveli, B. Outtier, Contribution a' l' histoire de l'Hirmologion: Anciens hirmologia géorgiens, Le Muséon revue d'études orientales, Louvain, 1975, p. 353—358.

[73] M. M. B. Transcripta VI, The Hymns of the Hirmologium, Part. I, 1952. p. 78—79.

[74] H. Metreveli, B. Outtier, დასახ. ნაშრ., გვ. 356—357. ბ. უტიე აღნიშნავს, რომ შემოიფარგლა მხოლოდ ორი ნიმუშით, რადგან სირიულ ტექსტებს სპეციალურად სწავლობს ჰ. ჰუსმანი.

[75] ეს აყენებს ბერძნული ლიტურგიული ძეგლების მასალის მიხედვით ქართული ძლისპირების შესწავლის რთულ ამოცანას.

* ნუმერაცია აქ ძლისპირთა I გამოცემის მიხედვითაა.

ბ. უტიე აღნიშნავს, რომ სირიული თარგმანი უნდა შესრულებულიყო IX—X საუკუნეებში. სირიულში ასხვავებენ ედესისა და მელიტენის კრებულებს. მაგრამ, მისი აზრით, თარგმანის ადგილის დაზუსტება ჭირს, რადგან ცოტა ცნობები მოგვეპოვება ამ პერიოდში სირიელთა მოღვაწეობის შესახებ პალესტინაში[76].

ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ძლისპირი („ღმრთისმშობელო, ჩუენ ყოველნი გიცნობთ შენ“...) პარალელურად დადასტურებულია ქართულ და სირიულ ენებზე და ეს თარგმანები ერთნაირი სიძველისაა, მათი დედანი კი მხოლოდ საბაწმიდური ირმოლოგიონის კუთვნილებაა, ხელს უწყობს ვარაუდის დაშვებას, რომ თარგმანებიც შესრულდა იქვე, საბაწმიდის მონასტერში[77].

ამრიგად, სირიული და ბერძნული მასალის მიხედვით დგინდება პირველი რედაქციის კიდევ 6 ქართული ძლისპირის ბერძნული წარმომავლობა. დარჩენილი 13 ძლისპირის სადაურობას შემდგომი კვლევა გამოავლენს.

---

[76] H. Metreveli, B. Outtier, დასახ. ნაშრ., გვ. 358. ბ. უტიე აღნიშნავს იმასაც, რომ ხელში ჩაუვარდა მუსიკალური ტრანსკრიფციები დომ ჟანინის სირიული და ქალდეური ლიტურგიკული ძეგლებისა, სადაც პარალელი დაეძებნა 31 ქართულ ძლისპირს. მკვლევრის აზრით, შედარების ამ ახალმა ელემენტმა, შესაძლოა, შუქი მოჰფინოს ნევმატური ნოტაციიის უძველეს სისტემებთან დაკავშირებული პრობლემების გახსნას.

[77] ჰ. ჰუსმანს შესაძლებლად მიაჩნია, რომ რაკი იოანე დამასკელი და კოზმა იერუსალიმელი ერთხანს ერთად იყვნენ იერუსალიმის წმ. საბას მონასტერში, მათი კანონები იქვე, მაშინვე, ან ცოტა გვიან სირიულ ენაზეც უნდა გადათარგმნილიყო: H. Husmann, Die Melkitische Liturgie als Quelle der syrische Qαnune iaonaie Melitena und Edessa: Orientalia Christina Periodica, Volumen XLI, Roma, 1975, S. 56. წმ. საბას მონასტერში მოღვაწეობდნენ ქართველებიც და ბუნებრივია, მათაც აქვე შეესრულებინათ ამ კანონთა თარგმანები. „ქართული ძლისპირების უძველესი რედაქციების შესწავლამ ბერძნულთან მიმართებით ცხადყო, რომ ეს თარგმანი უნდა შესრულებულიყო საბაწმიდის მონასტერში VIII—X საუკუნეებში, შესაძლოა, იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის თანამედროვე ქართველ მოღვაწეთა მიერ“ (ე. მეტრეველი „მეხურისა“ და „მეხელის“ გაგებისათვის. გვ. 169); მისივე, Древнегрузинские переводы греческого Ирмология, Тезисы докладов VII Всесоюзной конференции византинистов в Тбилиси, 1965, с. 106.

A—603-ის მიმართება KaO ტიპის ბერძნულ ირმოლოგიონებთან

ცნობილია, რომ პირველი რედაქციის ქართული ძლისპირები ძირითად პლასტად შედიან II-III რედაქციების შემადგენლობაში. B ხელნაწერის ანდერძში მისი შემდგენელ-რედაქტორი მიქაელ მოდრეკილი გვაცნობებს, რომ მან თავი მოუყარა და შეაგროვა როგორც ორიგინალური ქართული, ისე ბერძნული წარმომავლობის ძლისპირები: „გულსმოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით-კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა: მეხურნი ბერძულნი და ქართულნი და სრულნი ყოვლითა განგებითა დავწერენ წმიდასა ამას წიგნსა შინა“[78].

C ხელნაწერს, სამწუხაროდ, არ შემოუნახავს მსგავსი ლიტერატურული ხასიათის ცნობა, მაგრამ მასში გაზიარებულია პრინციპი ნათარგმნი და ორიგინალური ძლისპირების თავმოყრისა. ეს შინაგანი აუცილებლობით გვიკარნახებს ნათარგმნი და ორიგინალური ფენების გამოყოფის ამოცანას, ქართული ირმოლოგიონის შეჯერებას ბერძნულ ირმოლოგიონებთან.

ძირითადი მიზანი, რაც ქართული და ბერძნული ირმოლოგიონების შესწავლას ახლავს, ეს არის ქართული ძლისპირების ბერძნული დედნების დაძებნა. მაგრამ ბერძნული ირმოლოგიონების გაცნობას სხვა, თავისთავადი ინტერესიც ახლავს. სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია ფაქტი, რომ ბერძნულ ირმოლოგიონებს არ მოუღწევია დღევანდლამდე თავდაპირველი სახით, რომ ისინი ექვემდებარებოდნენ ხანგრძლივ და მრავალმხრივ გადამუშავებას, დროთა ვითარებაში იცვლებოდა კანონთა შედგენილობა, იწერებოდა ახალი, იცვლებოდა ძველი, ივსებოდა ირმოლოგიონები ახალ-ახალი ირმოსებით, რამაც გამოიწვია მათი სიჭრელე. ამიტომ ბერძნული ირმოლოგიონის მკვლევართა სადღეისო ამოცანად კვლავ დგას ირმოლოგიონის პირვანდელი სახის ძიება, რაც მეტად რთული ამოცანაა[79]. ასეთ ვითარებაში იზრდება სხვა ენებზე დაცული ირმოლოგიონების მნიშვნელობაც, რომლებმაც შეიძლება გარკვეული წვლილი შეიტანონ ბერძნული ირმოლოგიონის ტექსტის დადგენისა თუ რეკონსტრუქციის საქმეში.

---

[78] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), I, 1959, გვ. 544.

[79] Giuseppe Schiro, Problemi heirmologici, მასალას ვიყენებთ ე. მეტრეველის გამოკვლევიდან.

ბერძნული ირმოლოგიონის საბოლოოდ დადგენილი მეცნიერული გამოცემა ჯერ არ არსებობს. ის უამრავი გამოცემა, რომელიც მოიპოვება ბერძნულ ენაზე, ლიტურგიკული დანიშნულებისაა და მათი მეცნიერული ღირებულება საეჭვოა. დღეისათვის ირმოლოგიონის შედარებით სრულ გამოცემად ითვლება ს. ევსტრატიადისის გამოცემა[80]. იგი როგორც ს. ევსტრატიადისი წინასიტყვაობაში (გვ. γ) აღნიშნავს, ეყრდნობა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერს Cod. Coislin 220 (აღნიშნული აქვს ლიტერით A), რომელიც მისი აზრით, XIII საუკუნისაა და ათონის დიდი ლავრის ხელნაწერს—B—32-ს (XIII ს.). B—32, კ. ჰიუგის აზრით, X საუკუნისაა,[81] მ. ველიმიროვიჩის აზრითაც, —X საუკუნისა[82]. ს. ევსტრატიადისის ეს გამოცემა სრული მაინც არ არის, მასში არ არის გათვალისწინებული ისეთი ძველი და დიდმნიშვნელოვანი ტექსტი ირმოლოგიონისა, როგორიცაა საბაწმიდური ნუსხა (S—83).

მოიპოვება ბერძნული ირმოლოგიონის ცალკეული ხელნაწერების ფოტოტიპიური გამოცემებიც, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებენ ირმოლოგიონთა შედარებითს შესწავლას. არც ირმოლოგიონის ადრინდელი ხელნაწერებია შემორჩენილი. ბერძნული ჰიმნოგრაფიის ადრეული პერიოდის ამსახველი ირმოლოგიონის ხელნაწერი (ირმოლოგიონის ჩამოყალიბებიდან X საუკუნემდე), ბერძნულ ენაზე არ მოიპოვება, ამიტომ გასაგებია ის სირთულე და სიძნელეები, რომელიც თან ახლავს ქართული ძლისპირების ბერძნული დედნების ძიებას.

ს. ევსტრატიადისის ხსენებული გამოცემის გარდა ჩვენ ხელთ გვქონდა სამი ფოტოტიპიური პუბლიკაცია შემდეგი ბერძნული ხელნაწერებისა:

1. ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერი № 470, გამოსცა კ. ჰიუგმა (C. Höeg) 1938 წ.[83]

---

[80] Εἱρμολόγιον ἐκδιδόμενον ὑπὸ Μητροπολίτου Λεοντοπόλεως Σωφρονίου Εὐστρατιάδου. Chennevières Sur-Marne, 1932.

[81] The Hymns of the Hirmologium..., p. XIV.

[82] M. Velimirovič, Byzantene Elements in Earli Slavic Chant: The Hirmologion. M. M. B. Subsidia. v. IV, Copenhagen, 1960.

[83] Hirmologium Athoum, ed. Carsten Höeg, Codex Monasterii Hiberorum 470. Phototipice depictus, Monumenta Musicae Byzantinae, II, Copenhague, 1938.

ხელნაწერი XII საუკუნისაა, სამეცნიერო ლიტაერატურაში აღნიშნულია ლიტერით H.

2. გროტაფერატას ხელნაწერი (ლიტერი G), გამოსცა 1950 წ. ლ. ტარდომ[84]. ნუსხა გადაწერილია 1281 წ.[85].

3. საბაწმიდის მონასტრის ხელნაწერი 83, რომელიც გამოსცა J. Raasted-მა[86], აღნიშნულია ლიტერით S. მ. ველიმიროვიჩის აზრით, ეს ნუსხა XI საუკუნისაა[87].

დასახელებული ხელნაწერები სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არის აღწერილი. ათონური ირმოლოგიონის გამოცემას ერთვის ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა, რომელიც ეკუთვნის კ. ჰიუგს. მასვე ეკუთვნის ირმოლოგიონის ხელნაწერი ნუსხების ვრცელი და სპეციალური აღწერილობა. ლ. ტარდოს დასახელებულ გამოცემას ხელნაწერის მიმოხილვასთან ერთად ახლავს მშვენიერი აპარატი, საძიებლები აკოლუთიებისა და ავტორების მიხედვით, სადაც აკოლუთია წარმოდგენილია α′ ოდის ირმოსის დასაწყისით და ავტორით, ხოლო ირმოსთა საძიებელი ანბანზეა დალაგებული. აქვე ერთვის ირმოლოგიონის 20 ხელნაწერის აღწერილობა ნოტაციის სახის ჩვენებით[88].

მ. ველიმიროვიჩმა ერთ-ერთ ნაშრომში ვრცლად მიმოიხილა ბერძნულ ირმოლოგიონთა ხელნაწერები და მოახდინა მათი კლასიფიკაცია ძლისპირთა კანონების შედგენილობისა და თანმიმდევრობის მიხედვით[89]. მან წარმოადგინა ძლისპირთა კანონების რიგი პირველი ხმის ფარგლებში ცხრილის სახით.

შესადარებლად მოხმობილი ირმოლოგიონები KaO ტიპისაა, ე. ი. ირმოსები ხმის ფარგლებში კანონების (აკოლუთიების) სახით არის დალაგებული და არა დაშლილად (ხმის ფარგლებში ოდების სახით), როგორც ეს OdO ტიპისათვის არის ნიშანდობლივი.

ჩვენს მიზანს აქ შეადგენს დასახელებული პუბლიკაციების მსგავ-

---

[84] Hirmologium e codice Cryptense, ed. L. Tardo: Monumenta Musicae Byzantinae, III, Roma, 1950.

[85] დასახ. გამოც., გვ. 392.

[86] Hirmologium Sabbaiticum, ed. J. Raasted, Codex monasterii s. Sabbae, 83, Phototipice depictus: Monumenta Musicae Byzantinae, Copenhagen, VIII. 2. 1. 1968; VIII. 2. 2. 1970.

[87] M. Velimirovič, Byzantine Elements..., p. 41.

[88] Hirmologium Cryptense.., 1951.

დასახ. წ., გვ. 40—46.

სება-განსხვავების აღნიშვნა ძლისპირთა აკოლუთიების რაოდენობისა და აღნაგობის მხრივ და ზოგიერთი ფაქტის განხილვა ქართულ მასალასთან მიმართებით.

1. საბაწმიდურ ხელნაწერში დადასტურებული აკოლუთიების (კანონების) გარკვეული ნაწილი სრულიად უცნობია ს. ევსტრატიადისის გამოცემისათვის.

საბაწმიდური ირმოლოგიონი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, შეესაბამება ბერძნული ირმოლოგიონის განვითარების ადრეულ საფეხურს. მ. ველიმიროვიჩმა ეს ხელნაწერი დაათარიღა XI საუკუნით და მიაკუთვნა იგი ირმოლოგიონთა ქრონოლოგიურად ძველ და იმავდროულად ვრცელ ვერსიათა ჯგუფს. მისი აზრით, ეს ვერსია ხასიათდება კანონთა და ირმოსთა სიმრავლით[90]. S-ის თითოეულ ხმაში დაახლოებით 35—40 აკოლუთია შედის. აკოლუთიათა დიდი რაოდენობაა B-შიც (ათ. 32), მაგრამ საბაწმიდურ ირმოლოგიონში დაიძებნა ოთხ ათეულამდე აკოლუთია, რომლებიც არ დასტურდება ს. ევსტრატიადისის გამოცემაში (კერძოდ, B ხელნაწერში), S-ის ამ განსხვავებული აკოლუთიების შემადგენლობაში იშვიათად იძებნება ს. ევსტრატიადისის გამოცემისათვის ცნობილი თითო-ოროლა ირმოსი.

ეს აკოლუთიები უცნობია ათონისა და კრიპტენსის ირმოლოგიონებისთვისაც (გარდა ამისა, S-ის ზოგი აკოლუთიის შემადგენლობაში გამოვლინდა ცალკეული ირმოსებიც, რასაც არ იცნობს ს. ევსტრატიადისის გამოცემა).

თავის მხრივ ქართული ძლისპირები ხელს უწყობენ ბერძნული ირმოსების თარიღის განსაზღვრას. ეს ირმოსები დაცულია XI ს. ბერძნულ ხელნაწერში. მათი ქართული თარგმანები კი უკვე X ს. ხელნაწერებშია დადასტურებული.

საბაწმიდურ ირმოლოგიონს ძლისპირთა რაოდენობით ჩამორჩება ათონისა და კრიპტენსის ხელნაწერები. ეს ნუსხები, მ. ველიმიროვიჩის აზრით, ბერძნულ ირმოლოგიონთა მეორე ჯგუფს ქმნიან. ისინი შეესაბამებიან ირმოლოგიონის განვითარების მომდევნო, მეორე სტადიას და მათთვის ნიშანდობლივია კანონთა შემდგომი შემცირება. კანონთა რაოდენობა აქ თითოეულ ხმაში 25—20-მდე მცირდება[91]. ამ

---

[90] M. Velimirovič, დასახ. ნაშრ., გვ. 41; მისივე, Структура старословенских музичких ирмолога, Хиландарски зборник, I, Београд 1966, с. 143.

[91] M. Velimirovič, Byzantine Elements.., p. 41; Структура старословенских..., с. 143—144.

ირმოლოგიონებშიც დადასტურდა ს. ევსტრატიადისის გამოცემისაგან განსხვავებული რამდენიმე ირმოსი. მათი რიცხვი ათონურ H ხელნაწერში პირველი ოთხი ხმის მიხედვით არის 14, კრიპტენსის გამოცემაში — 9. ნაწილი ამ ირმოსებისა საერთოა ორივე ხელნაწერისათვის, ზოგი კი განსხვავებულია. ამ მასალიდან რამდენიმე ირმოსი, როგორც I რედაქციის ქართულ ძლისპირთა დედნები ან შესატყვისი, მიკვლეულია და გამოქვეყნებული ძლისპირთა I რედაქციის გამოცემაში:

I, δ': Ἔλλαμψεν ἡ χάρις (G: 25r, H: 17v) — „წარმართთა გამოუჩნდა მადლი".

I, θ': Ὁ τὸν ἄνω βυθὸν (H: 12v)—„შენ, რომელმან ღმერთი". ქართული ძლისპირი ამ ირმოსს მხოლოდ ბერძნული დასაწყისის ტრანსკრიფციით უდგება: „ო ტონ ანო ბითონ ტის თია", შინაარსობრივად კი დიდად დაცილებულია.

IV, η': Οἱ ἐν Βαβυλῶνι παῖδες (H—68, G: 94 r)—„ბაბილოვნს ყრმანი".

V, δ': Ἀκήκοα, κύριε, τὴν ἐκ τοῦ ταφοῦ (H: 86v) — „მესმა, უფალო, სმენაჲ მკუდრეთით".

ეს ირმოსები შეტანილია II ჯგუფის ბერძნულ ხელნაწერებში, მაგრამ ეს ფაქტი მათი სიახლის მაჩვენებელი არ უნდა იყოს. პირველი სამი ძლისპირი საბაწმიდური ირმოლოგიონის კუთვნილებაცაა (9r, 1v, 87rv).

საბაწმიდური ირმოლოგიონის ეს განსხვავებული მასალა საგანგებოდ იქნა შესწავლილი ძლისპირთა ქართულ რედაქციებთან მიმართებით. აღმოჩნდა, რომ აქ არის დაცული პირველი რედაქციის ორი ქართული ძლისპირის მოდელი[92].

1. Σὲ τὴν πανύμνητον— 13v;
2. Θεοτόκον σὲ πάντες γινώσκομεν—116 r.

დასახელებული ირმოსების ქართული თარგმანები „შენ, ყოლად ქებულო და დიდებულო", „ღმრთისმშობელო, ჩუენ ყოველნი გიცნობთ შენ..." გამოქვეყნებულია უძველესი ნუსხების მიხედვით. პირველი ძლისპირი დასტურდება იელის იადგარში, მეორე — Sin. 65-ში. იელის იადგარი და Sin. 65 პირველი რედაქციის გავრცობილი ნუსხებია. მათი დამატებითი ძლისპირები ერთვის I რედაქციის ძირითად პლასტს ბოლოში და II რედაქციული პლასტის პირველ ძლისპირებს წარმოად-

---

[92] გ. კიკნაძე დასახ. ნაშრ., გვ. 74—75

გენს[93]. დასახელებული ძლისპირები შედის ამ დამატებითს ფენაში. მათი დედნების დადასტურება საბაწმიდურ ხელნაწერში საგულისხმო ფაქტია. ეს ხელნაწერი ასახავს ბერძნული ირმოლოგიონის განვითარების ადრეულ სტადიას (მ. ველიმიროვიჩი). სწორედ ამ ხელნაწერს უნდა ჰქონდეს შემონახული არქაული, საბაწმიდური ფენის ძლისპირები. დასახელებული ძლისპირებიც ამ საბაწმიდური ტრადიციის მატარებელი ჩანან, რაც მათი სიძველის მიმანიშნებელია. ამის ფესვები უნდა ვეძიოთ იმ მჭიდრო შემოქმედებით კონტაქტში, რაც დამყარებული ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს საბაწმიდის ჰიმნოგრაფიულ ცენტრთან.

ამ მჭიდრო შემოქმედებითს კონტაქტს და ძლისპირების სიძველეს ადასტურებს ბ. უტიეს მიერ ქართულ ძლისპირთა შესატყვისების დაძებნა სირიულ თარგმანებშიც[94].

S თუ არქაული ვითარების ამსახველია, როგორც ამას ფიქრობს მ. ველიმიროვიჩი, ათონურ (H) და კრიპტენსის (G) ხელნაწერებშიც ეს ირმოსები უძველესი ფენის გადმონაშთი უნდა იყოს. მათ სიძველეს უნდა მიანიშნებდეს თვით X საუკუნის ქართულ ხელნაწერებში მათი თარგმანების დადასტურების ფაქტიც.

2. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მკვლევარნი მიუთითებენ ირმოსების მოძრაობაზე აკოლუთიათა ფარგლებში. აქაც შეინიშნება სხვაობები აკოლუთიათა აგებულებაში. აღვნიშნავთ რამდენიმე განსხვავებას ამ მხრივ:

ა) ირმოსები, რაც ს. ევსტრატიადისის გამოცემის მიხედვით თავმოყრილია ერთ აკოლუთიაში, საანალიზო ირმოლოგიონებში შეტანილია სხვადასხვა კანონში ან პირიქით.

ს. ევსტრატიადისის გამოცემის № 8 აკოლუთიას (Coislin 220-ის მიხედვით) G-ში ორი აკოლუთია შეესაბამება: № 10 (გვ. 16v-18v), სადაც ძირითადი ირმოსებია შეტანილი და № 2 (გვ. 4v-6r), სადაც ალოსებია წარმოდგენილი. ბ′ გალობა ს. ევსტრატიადისთან ერთ ირმოსს შეიცავს, G-ში კი ს. ევსტრატიადისის გამოცემისათვის (Coislin 220) უცნობი ირმოსიცაა შეტანილი: ᾿Ακήκοεν πάλαι ᾿Αββακουμ.

საგულისხმოა, რომ KaO წყობის ქართულ ძლისპირთა ა ხმის აკოლუთია შეესაბამება სწორედ G-ს № 10 აკოლუთიას, იმ განსხვავებით, რომ ქართულში დაცულია α′ გალობის ირმოსის ἕτερος-ის თარგმა-

---

[93] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 012.

[94] H. Metreveli, B. Outtier დასახ. ნაშრ. გვ. 356—357.

ნი (β′ გალობა ამ კრებულის აკოლუთიებში, საერთოდ, შეტანილი არ არის). დანარჩენ გალობათა ძლისპირები ს. ევსტრატიადისის № 8 აკოლუთიის ძირითადი ირმოსების ფარდია.

ქართულში ეს აკოლუთია X ს. შუა წლების უნიკალურ ხელნაწერშია (Sin. 34) დადასტურებული, რომელიც უძველესი ტრადიციების ამსახველი კრებულია[95]. შესაძლოა აქ ასახული იყოს ბერძნულის ის ვითარება, როცა აკოლუთიაში მხოლოდ ძირითადი ირმოსები იყო შეტანილი (გამონაკლისია მხოლოდ I გალობა).

ის, რაც ერთ ირმოლოგიონში ალოსია, მეორეგან ძირითადია, ან პირიქით, ან ალოსად შეტანილია სხვა კანონის (აკოლუთიის) ძირითადი ირმოსი და ა. შ. S-ში II ხმის № 2 აკოლუთიაში (რაც შეესაბამება ს. ევსტრატიადისის გამოცემის № 47 აკოლუთიას), ε′ გალობაში ალოსად გვხვდება ირმოსი № 48 კანონიდან. ამავე ხმის № 9 აკოლუთიაში (უდრის ევსტრ. № 55-ს) η′ შეესაბამება ევსტ. № 57-ის η′ გალობის ირმოსს, ϑ′-ს ირმოსის ალოსი კი — ევსტრ. № 55-ის ϑ′-ს. ანალოგიური ფაქტები სხვა ხელნაწერებშიც გვხვდება.

ბ) ს. ევსტრატიადისის ზოგი ოდანაკლი აკოლუთია საანალიზო ხელნაწერებში წარმოდგენილია სრულად. № 53 აკოლუთიას (Coislin 220-ის მიხედვით), რომლის ავტორადაც აქ მიჩნეულია კოზმა, აკლია δ′ გალობა. H, S-ში კი შესაბამისი გალობის ირმოსი დადასტურებულია: Κατανοῶν τὸ μυστικόν. ხსენებული ირმოსი დასტურდება ევსტრატიადისის გამოცემის № 91 აკოლუთიაში (B-32 ხელნაწერის მიხედვით), მაგრამ აქ აკოლუთიას აკლია α′, β′, γ′, ϛ′ ოდების ძლისპირები. №№ 91-ის შესაბამისი აკოლუთია ქართულ ხელნაწერებში არ ჩანს.

ს. ევსტრატიადისის გამოცემაში № 21 აკოლუთიას აკლია δ′ გალობა. მის შესაბამის აკოლუთიებში სამივე ხელნაწერში დასტურდება δ′ გალობის ირმოსი: ᾿Ελλαμψεν, რაც ერთ-ერთი ქართული ძლისპირის დედანია („წარმართთა გამოუჩნდა მადლი“).

გ) გვხვდება ძლისპირთა გამეორებანი სხვადასხვა აკოლუთიაში. საბაწმიდურში ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილია მხოლოდ დასაწყისები, ზოგჯერ სათანადო მითითებებით იმ აკოლუთიის ნომერზე, სადაც ირმოსი სრული ტექსტით არის წარმოდგენილი: II ხმის № 13 აკოლუთიაში (72r-73v) დასაწყისებით არის წარმოდგენილი γ′, δ′, ε′, ϑ′, № 11-ში (70v-71r) კი — ϛ′, ζ′, η′ გალობათა ირმოსები.

---

[95] ძლისპირნი..., გვ. 2—7.

დ) ზოგჯერ ერთი და იგივე ირმოსი ხელნაწერებისდა მიხედვით სხვადასხვა აკოლუთიაშია შესული. ზოგჯერ ერთ აკოლუთიაში გაერთიანებულია რამდენიმე ავტორის ირმოსი ან ერთი და იგივე ძლისპირი აღნიშნული ირმოლოგიონების მიხედვით მიეწერება სხვადასხვა ავტორს.

ერთ-ერთ ქართულ ძლისპირს (ბ˝ ხმის „ღამითგანსა“) დასაწყისით: „ცოდვისა ალმურსა“, რომელიც მხოლოდ A—603-შია (103) დადასტურებული, დედანი ეძებნება ს. ევსტრატიადისის გამოცემის № 58 აკოლუთიის ε′ გალობაში, Τὸν ζόφον τῆς ἀγνωσίας. ეს გალობა აქ მიეწერება გერმანე მონაზონს (ხელნაწერის Coislin 220-ის მიხედვით), შენიშვნაში აღნიშნულია, რომ B—32-ის მიხედვით ავტორია კვიპრიანე მონაზონი, საბაწმიდურ ირმოლოგიონში იგი სინური წარმომავლობის აკოლუთიაშია წარმოდგენილი. საინტერესოა ამ აკოლუთიის შედგენილობა S-ის მიხედვით (60v). β′, γ′, ζ′, η′ გალობის ირმოსები უცნობია ს. ევსტრატიადისის გამოცემისათვის, α′, γ′, δ′ შეესაბამება № 90 აკოლუთიას (B—32-ის მიხედვით), ε′ კი № 72-ს (B—32-ით), რომლებიც იქაც სინური წარმომავლობისად არის მიჩნეული. B—32 და S—83 ხელნაწერების სიახლოვე შემთხვევითი არ უნდა იყოს.

თუ როგორია მსგავს შემთხვევებში აკოლუთიებისა და ირმოსების ქრონოლოგიური მიმართება, რომელია პირვანდელი ფენა, ერთობ საინტერესო საკითხია, მაგრამ მისი გადაწყვეტა ჩვენთვის ძნელია. ანალოგიური ნიმუშები მაჩვენებელი უნდა იყოს ირმოლოგიონების შედგენილობის ცვლისა, იმ ცნობილი ფაქტისა, თუ როგორ იცვლებოდა აკოლუთიათა შედგენილობა, როგორ გამოიყენებოდა არსებული კანონები ახალი აკოლუთიების შესაქმნელად. როგორც მ. ველიმიროვიჩი აღნიშნავს, ხდებოდა ირმოლოგიონებიდან კანონებისა და ირმოსების გამორჩევა და ე. წ. შედგენილი კანონების („композитны канони“)[96] შექმნა. ირმოლოგიონთა უძველესი ნუსხებიც კი ქრონოლოგიურად დიდად არიან დაცილებული ბერძნული ირმოლოგიონის შექმნის პერიოდს.

ე) მეტად საგულისხმოა შემთხვევები ირმოსების გალობათა შორის ადგილმონაცვლეობისა. ერთი რომელიმე ირმოლოგიონის, ვთქვათ, α′ გალობის ირმოსი, მეორეგან θ′ ან η′ ოდისაა და სხვ.

საბაწმიდური ხელნაწერის IV ხმის № 5 აკოლუთია (გვ. 83v-84v)

---

[96] М. Велимировић, Структура старословенских..., с. 144.

აღნაგობით შეესაბამება ს. ევსტრატიადისის გამოცემის № 145 აკოლუთიას, ოღონდ სხვაობაც არის: S-ის მეხუთე (ε′) გალობის ირმოსი Τὴν ἀπειράνδρως ს. ევსტრატიადისის გამოცემაში ϑ′ ოდის ირმოსის ალოსია. ანალოგიური ვითარებაა ათონის ირმოლოგიონშიც ε′ = ϑ′ (გვ. 68—69). ϑ′ ოდაში კი S-ის მიხედვით ირმოსია, რაც ს. ევსტრატიადისის № 151 აკოლუთიის I (α′) გალობისაა (Παρθένος μάρτυς). ამავე ირმოსს ϑ′ გალობას მიაკუთვნებს კრიპტენსის ირმოლოგიონიც (106v), და S-იც (96 r).

S-ში II ხმის № 9 აკოლუთიაში (39v) ϑ′ ოდის ირმოსი Μεγαλύνομεν ს. ევსტრატიადისის გამოცემაში η′ გალობისაა და ა. შ.

ეს ფაქტები, რომელთა ახსნა დღეისათვის ჭირს, დიდ სირთულეს ქმნის ქართულ ძლისპირთა ბერძნული დედნების გამოვლენისათვის. ქართულ ძლისპირთა კრებულები, როგორც ცნობილია, დიდად სხვაობს სტრუქტურულად KaO წყობის განხილული ბერძნული ირმოლოგიონებისაგან. დედნის დაძებნა გვიხდება ბერძნულ აკოლუთიაში გალობის (ოდის) რიგის მიხედვით, ამა თუ იმ ირმოსის სხვა ოდაში გადანაცვლებით კი ძნელდება მიგნება.

ჩვენ მიერ საბაწმიდურ ირმოლოგიონში გამოვლენილი ბერძნული დედანი IX ოდისა — Θεοτόκον σὲ πάντες ქართულში შეესაბამება VIII („აკურთხევდითსას“) გალობის ძლისპირს: „ღმრთისმშობელო, ჩუენ ყოველნი გიცნობთ შენ“. მიგნებას უნდა ვუმადლოდეთ ქართული ძლისპირის ზედწარწერას: „თეოტოკონკე“, რაც ახლავს ამ ძლისპირს ხელნაწერში Sin—65.

საპირისპირო შემთხვევა დადასტურებულია ძლისპირთა I რედაქციის გამოცემაშიც. № 54 ძლისპირის კომენტარში მითითებულია, რომ ქართული IX გალობის დასაწყისი „ო ტონ ანო ბითონ ტის თია“ აღმოჩნდა ათონის ირმოლოგიონში VIII გალობის ირმოსში[97], თუმცა აქ შინაარსობრივად დიდი განსხვავებაა.

* * *

ხელმისაწვდომ ბერძნულ ირმოლოგიონთა მიმოხილვის შემდეგ ბუნებრივია ვუპასუხოთ კითხვას, თუ რომელ ძლისპირებს დაეძებნა დედნები ბერძნულ წყაროებში და რა სურათს იძლევიან ისინი ბერძნულ აკოლუთიათა სისრულის თვალსაზრისით.

საკითხის ამ ასპექტში განხილვას შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს OdO წყობის კრებულთა გენეზისისა და აკოლუთიათა დათარიღე-

---

ძლისპირნი..., გვ. 218.

ბისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით OdO ირმოლოგიონი მიღებულია KaO ირმოლოგიონის დაშლისა და ოდებად გადაწყობის საფუძველზე[98]. ამ პროცესზე მინიშნება საძიებელია უფრო იქ, სადაც ხერხდება აკოლუთიათა სრული რეკონსტრუქცია.

ხელმისაწვდომი ბერძნული ირმოლოგიონების შესწავლის საფუძველზე ბერძნული დედანი დაეძებნა C-ს II—III რედაქციების 100-მდე ძლისპირს. ჩვენ მიერ განხილული მასალა ორ ჯგუფად ნაწილდება:

ა) ძლისპირთა პირველი ჯგუფი ავსებს ძველი რედაქციის აკოლუთიებს: სრულიად ან ნაწილობრივ.

ბ) ძლისპირთა მეორე ჯგუფი შეესაბამება I რედაქციისათვის უცნობ აკოლუთიათა ირმოსებს.

1. I რედაქციის აკოლუთიების შევსებას რომ ვეხებით, პირველ რიგში უნდა მოვიხსენოთ „გალობათა“ მეორე გალობის „მოიხილესას“ ძლისპირები[99]. ჰიმნოგრაფიული კანონის ამ II ოდის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ტრადიციული თვალსაზრისით იგი თავიდანვე იყო კანონის კუთვნილება, რისი განუყოფელი ნაწილი, მაგრამ კანონმა ლიტურგიკულ პრაქტიკაში ცვლილება განიცადა. II ოდა თანდათანობით განიდევნა ხმარებიდან. მკვლევართა ერთი ჯგუფი ამ განდევნის მიზეზებს ეძებს ოდის შინაარსში, მის განწყობილებაში. როცა ეს გალობა სრულდებოდა დიდმარხვის დღეებში, მისი განწყობილება (სინანულის, წუხილის გამომხატველი) შეესაბამებოდა საერთო განწყობილებას, სხვა დღესასწაულებისათვის კი კანონები იქმნებოდა ამ ოდის გარეშე (ე. ველეში). აღნიშნავენ, რომ კოზმა იერუსალიმელისა და იოანე დამასკელის კანონებში მეორე ოდა არ ყოფილა, ის შემდეგ მიაწერეს ამ ჰიმნოდებსო[100].

ქართულ ძლისპირთა კრებულების II რედაქციაში „მოიხილესა“ დამკვიდრებულია მტკიცედ. „მოიხილესას“ შეტანას აღდგომის საგალობლებში საგანგებოდ უსვამს ხაზს მიქაელ მოდრეკილი: „შევკრიბენ სა-

---

[98] M. Velimirovič, Byzantine Elements..., p. 38.

[99] შთაბეჭდილების სისრულისათვის β′-გალობის ირმოსთა თარგმანებს განვიხილავთ ერთად. ამავე მიზნით აქვე შევეხებით მათი თარგმანის სიზუსტის საკითხსაც. დანარჩენ ძლისპირებს განვიხილავთ აქ წარმოდგენილი დაჯგუფების მიხედვით.

[100] ჰიმნოგრაფიული კანონის II ოდის შესახებ მკვლევართა მოსაზრებებზე ვრცლად იხ. Л. Квирикашвили, Вопрос о второй песни гимнографического канона, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, I, 1977 გვ. 69—77.

გალობელნი წმიდისა აღდგომისანი, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა— სრულნი ყოვლითა განგებითა წესისაებრ საეკლესიოჲსა ო´ო ღაღატყავ´თა, ოხითითა, მოიხილითა და აქებდითითა"[101]. „მოიხილესა" შეტანილია Jer. 48-შიც, Sin. 3-შიც. ზოგჯერ „მოიხილესა" ძლისპირთა კრებულში შეტანილი არ არის, მაგრამ იადგარების მასალაში იგი დადასტურებულია (Sin. 1, Sin. 64, Sin. 65).

ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ C ხელნაწერის β′ გალობის ძლისპირების გარკვეული (თუმცა მეტად მცირე) ნაწილი ბერძნული წარმომავლობისაა. 11 მათგანს დაეძებნა დედანი ს. ევსტრატიადისის გამოცემის სხვადასხვა აკოლუთიაში (ესენია №№ 8, 15, 17, 49, 104, 111, 133, 148, 192, 289, 323).

როგორც ცნობილია, KaO ტიპის „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი", რომელიც შემოუნახავს უნიკალურ ხელნაწერს—Sin. 34-ს, შეიცავს კოზმა იერუსალიმელის და იოანე დამასკელის ძლისპირთა 8 აკოლუთიას (აკოლუთია შედგება რვა გალობისაგან)[102]. ს. ევსტრატიადისის ნუმერაციით, ეს აკოლუთიებია №№ 8, 49, 101, 133, 182, 224, 286, 314. აღნიშნულია, რომ ბერძნულ-ქართულ აკოლუთიებში ძლისპირთა შედგენილობა ძირითადად ერთნაირია [103]. გამონაკლისია IV ხმის № 133 აკოლუთიის თარგმანი, სადაც „უფალო მესმასას" ძლისპირად შეტანილია არა № 133-ის, არამედ № 138 აკოლუთიის δ′ ოდის ძლისპირი, VIII ხმის აკოლუთიაში კი (ს. ევსტრატიადისით № 314) VII და IX გალობის ირმოსები შეესატყვისებიან № 316 და № 317 აკოლუთიების ζ′ და θ′ გალობების ირმოსებს.

KaO-ს ეს ძლისპირები უკლებლივ შესულია OdO წყობის ქართულ ძლისპირთა კრებულებში. X საუკუნის კრებულებშივე დასტურდება № 133 აკოლუთიის δ′ გალობის ირმოსისა და № 314 აკოლუთიის VII და IX გალობების ირმოსთა თარგმანებიც. მაგრამ აქ β′ გალობა შეტანილი არ არის. №№ 8, 49, 133 აკოლუთიები ს. ევსტრატიადისის გამოცემაში შეიცავენ β′ გალობასაც. მათი თარგმანები A—603-ში წარმოდგენილია. საგულისხმოა, რომ „მოიხილესას" ეს ძლისპირები დადასტურებულია სინური იადგარების მასალაში. I ხმის „მოიხილესას" ძლისპირს „მოიხილე ცაო და ვიტყოდით" ვხვდებით Sin. 64-ში (17r,), Sin. 1-ში (36

---

[101] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია) I. გვ. 567.

[10] ძლისპირნი...., გვ. 2—32.

[103] იქვე, გვ. 022—023.

r), ხოლო IV ხმისას „მივსცეთ დიდებაჲ ღმერთსა“—Sin. 65-ში (96v). ეს ფაქტი შეიძლება გამოდგეს ამ გალობის დათარიღებისათვის. „მოიხილესას“ ძლისპირებში ნათარგმნი ფენის დადასტურება მნიშვნელოვანი ფაქტია. ამ ფენის შესწავლის საფუძველზე აკოლუთიათა სისრულის, დედანთან რიტმულ-შინაარსობრივი შესაბამისობისა და სინურ იადგარებში გავრცელებულობის თვალსაზრისით გაირკვა, რომ:

ა) აკოლუთიები №№ 8, 49, 133, 323 ქართულში თარგმნილია სრულად β′ გალობის ირმოსთა ჩათვლით. №№ 17, 148, 192 მხოლოდ β′-ს ირმოსთა თარგმანებითაა წარმოდგენილი.

ბ) №№ 8, 15, 49, 133, 192 აკოლუთიების β′ ოდის ირმოსთა თარგმანები ბერძნულის შინაარსობრივი და რიტმული ეკვივალენტებია. მხოლოდ რიტმიკის თვალსაზრისით შორდებიან ბერძნულს № 17 და № 323-ის თარგმანები, მცირეოდენი შინაარსობრივი გადახვევებია №№ 111, 289 და 17 β′-ს თარგმანებში, № 148 აკოლუთიის β′ ოდის ირმოსის თარგმანი სხვაობს შინაარსით და რიტმიკით. ამ უკანასკნელის ბერძნულ წარმომავლობას უნდა მიანიშნებდეს ქართული ძლისპირის ბერძნული ზედწარწერა ქართული ტრანსკრიფციით (ამის შესახებ ქვემოთ).

გ) β′ ოდის ირმოსთა აქ დასახელებული თარგმანები მხოლოდ A—603-ის კუთვნილება არ არის. №№ 133, 111-ის β′-ს თარგმანები დასტურდება Jer. 48-ში; №№ 8, 15-ისა—Sin. 3-ში; № 8, 15, 148, 192, 323-ისა—მიქაელ მოდრეკილის იადგარში. №№ 8, 148, 323 აკოლუთიების β′ ოდის ირმოსების თარგმანების გამოყენების ფაქტი სინური იადგარების (Sin. 1—36r, Sin. 64—17r, Sin. 65—96v) მასალაში მათ არქაულობაზე მეტყველებს.

აკოლუთიათა სრული რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება C-ს მონაცემთა მოშველიებით შემდეგ შემთხვევებში:

I რედაქციაში ვხვდებით იოანე მონაზონის № 280 აკოლუთიის ყველა ოდის ირმოსის თარგმანს, გარდა ε′ გალობის ირმოსის ალოსისა. II რედაქციაში წარმოდგენილია ε′-ს ალოსის თარგმანიც: „უფალო ღმერთო ჩუენო, ღამითგან“.

№ 53 აკოლუთია I რედაქციაში ყველა გალობის ირმოსით დასტურდება გარდა δ′-სი. II რედაქციაში შეტანილია δ′ ოდის ირმოსის თარგმანიც—„მთისაგან უჴელოდ ლოდი გამოეკუეთა“. ეს ძლისპირი ძველია, რასაც მოწმობს მისი გამოყენება სინური იადგარის (Sin. 64) მასალაში (35r), თუმცა № 53 აკოლუთიის ყველა ალოსი ქართულში წარმოდგენილი არ არის. № 136 აკოლუთიიდან I რედაქციაში დადასტუ-

რებულია α′, γ′, ε′, ξ′, ϑ′ ოდების ირმოსთა თარგმანები, ხოლო δ′ და ϛ′ ოდების ირმოსთა თარგმანები „ესე არს ღმერთი ჩუენი“ და „ვეშაპისა მუცელსა სამ დღე“ მხოლოდ C ხელნაწერის კუთვნილებაა.

№ 141 აკოლუთიაც (I რედაქციაში დადასტურებული თარგმანების მიხედვით) II რედაქციაში შევსებულია η′ და ϑ′ გალობების ირმოსებით.

№ 95 აკოლუთია (იოანე დამასკელისა) ქართულში დაცულია 7 ძლისპირით. აქედან α′, ζ′, ϑ′ პირველი რედაქციის კუთვნილებაა, γ′, d′, ε′, ϛ′, η′-ს თარგმანები კი მეორე რედაქციისაა. ეს თარგმანები საკმაოდ ზუსტია და ძველიც, როგორც ამას ადასტურებს მათი გამოყენება სინური იადგარის (Sin. 1) მასალაში (89v—90r).

2. ქართულში არასრულად არის წარმოდგენილი ნაწილი ბერძნული აკოლუთიებისა.

№ 281 აკოლუთიის γ′, δ′, ϑ′ ოდების ირმოსების თარგმანები დასტურდება I რედაქციის კრებულებში, α′, δ′ (ალოსი) გალობებისა („რომელმანცა უფსკრულთა სიღრმე“, „ჴორციელად მოსლვაჲ შენი“) კი—II რედაქციაში.

№ 15 აკოლუთია I რედაქციაში წარმოდგენილია მხოლოდ δ′ ოდის ირმოსის თარგმანით. C-ში გვხვდება α′, β′, γ′, δ′, ε′, ϛ′ (ალოსის) თარგმანებიც.

3. C ხელნაწერში დადასტურებული ძლისპირთა ნაწილი მიეკუთვნება იმ აკოლუთიებს, რაც უცნობია I რედაქციისათვის.

№ 16 (ანდრია კრეტელი)—α′, ε′
№ 17 " —β′
№ 56 " —ε′
№ 57 " —δ′, η′, ε′ (ალოსი), ϑ′ (ალოსი)
№ 58 (გერმანე) — з′
№ 62 (თეოდორე სტუდიელი)—ϑ′
№ 104 (ანდრია კრეტელი)—α′ (ძირ. და ალოსი), β′, ϛ′, ϑ (ალოსი)
№ 106 " —η′
№ 148 " —β′
№ 187 (იოანე ბერი)—ε′
№ 189 (გერმანე)—α′, γ′, δ′, ζ′, η′
№ 192 (ანდრია კრეტელი)—β′
№ 196 (სინური)—η′
№ 230 (კოზმა) — ϑ′

№ 231 (კოზმა)—ε′, ζ′, η′, ϑ′
№ 233 (იოანე)—η′
№ 240 (ანდრია კრეტელი)—α′, δ′, η′, ϑ′
№ 290 (ანდრია კრეტელი)—ξ′, ϑ′
№ 323 (გერმანე)—β′
№ 330 (ანდრია კრეტელი)—η′

OdO წყობის I რედაქციის ქართულ ძლისპირებში მეტ-ნაკლები სისრულით და სიზუსტით წარმოდგენილია ბერძნულ ძლისპირთა 92 აკოლუთია[104]. II და III რედაქციების ძლისპირთა ბერძნულ წყაროებთან შეჯერების საფუძველზე გაირკვა, რომ აღნიშნულს ემატება 27 აკოლუთია, ოღონდ ბერძნული აკოლუთიების შედგენილობა უფრო ნაკლები სისრულით არის წარმოდგენილი. აქვე დავძენთ: II—III რედაქციებში დადასტურებული ძლისპირების ნაწილი ავსებს I რედაქციის ძლისპირთა აკოლუთიებს. ს. ევსტრატიადისის გამოცემის მიხედვით ამ აკოლუთიათა ავტორები უპირატესად არიან კვლავ ანდრია კრეტელი, კოზმა იერუსალიმელი, იოანე დამასკელი, გერმანე პატრიარქი.

ძნელია ამ მასალების მიხედვით ვილაპარაკოთ ქართული და ბერძნული აკოლუთიების ქრონოლოგიურ მიმართებებზე შედგენილობის თვალსაზრისით, რადგან ისინი დაცული არიან სხვადასხვა წყობის კრებულებში, რომელთა დანიშნულებაც სხვა იყო და შედგენის პრინციპებიც სხვა, მაგრამ ქართული ძლისპირების განსახილველ ირმოლოგიონებთან მიმართების შესახებ მაინც აღინიშნება შემდეგი:

ქართულ ძლისპირთა დედნები, რომლებიც დღეისთვის მიკვლეულია, ძირითადად დასტურდება ყველა ბერძნული ხელნაწერის შედგენილობაში. ჩანს, ეს არის უძველესი ამოსავალი ფენის ძლისპირები. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ აკოლუთიების შესახებ, რომლებიც მთელი შემადგენლობით არის დაცული ქართულში. ქართული ხელნაწერების თარიღი (რომელსაც ბევრად უსწრებდა, ალბათ, თარგმანი და ლიტურგიკულ პრაქტიკაში გამოყენება) ხელს უწყობს ბერძნული ირმოსების თარიღის განსაზღვრასაც.

C ხელნაწერის აქ განხილული ძლისპირები ბერძნულიდან არის თარგმნილი, მაგრამ, ისევე როგორც პირველი რედაქციის ძლისპირები, რომელიმე კონკრეტული ირმოლოგიონის თარგმანს არ წარმოად-

---

[104] იხ. ბერძნულ ძლიპირთა აკოლუთიების საძიებელი: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გვ. 271—276.

გენენ. ძლისპირთა კრებულების შევსებას ასაზრდოებდა ორი ნაკადი: ერთი მხრივ, ლიტურგიკულ ძეგლებში უკვე გავრცელებული ძლისპირები, მეორე მხრივ კი — ახალი თარგმანები. გზადაგზა ვაჩვენებდით ძლისპირთა გავრცელებას ლიტურგიკული ძეგლების მიხედვით. ახალი თარგმანები უფრო საძებნელია იმ ფენაში, რომელიც ლიტურგიკულ ძეგლებში დადასტურებული არ არის.

A—603-ᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ OdO ᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚ ᲓᲐ ᲡᲚᲐᲕᲣᲠ ᲘᲠᲛᲝᲚᲝᲒᲘᲝᲜᲔᲑᲗᲐᲜ

რა დამოკიდებულებაშია C ხელნაწერი OdO წყობის ბერძნულ და სლავურ ირმოლოგიონებთან?

როგორც ცნობილია, ამ წყობის ბერძნული ირმოლოგიონები მხოლოდ ფრაგმენტულად და გვიანდელი ნუსხებით არის შემორჩენილი.

ცნობილია OdO წყობის ირმოლოგიონის 6 ბერძნული ხელნაწერი[105]:

1. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი PSg 1284. ფრაგმენტი ორფურცლიანია. შეიცავს მესამე ხმის δ′ ოდის 7 ძლისპირს, ε′ ოდის 2 და ϛ′ ოდის 8 ძლისპირს. დათარიღებულია X—XI საუკუნით[106].

2. სინის მთის ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერი 1257 წლისა № 1258[107] (Ku—3) შეიცავს ირმოსების შედარებით მცირე რიცხვს (აკლია ირმოსები I ხმისა მთლიანად, II ხმისა პირველი შვიდი ოდის ფარგლებში). ხელნაწერს აკლია ორი ფურცელი, სადაც II ხმის IX გალობისა და III პლაგალური ხმის VI გალობა უნდა ყოფილიყო.

3. იერუსალიმის საბას მონასტრის ხელნაწერი № 617 (მომდინარეობს XIV საუკუნის I ნახევრიდან, ლიტერი Sb). Ku — 3-თან შედარებით მეტი რაოდენობაა ირმოსებისა, მაგრამ ბევრი მათგანი მუსიკალური ნოტაციის გარეშეა. არც ეს ირმოლოგიონი შემონახულა მთლიანად, შეიცავს პირველ სამ ხმას (აკლია I ხმის III ოდის ყველა და IV

---

[105] М. Велимировић, Структура.., с. 156—158.

[106] The Hymns of the Hirmologium. Part. I. Transcribed by Aglaïa Ayoutanti and Maria Stöhr; revised and annotated by Carsten Höeg, M. M. B., Transcripta. vol. VI, Copenhague, 1952, p. XIV.

[107] В. В. Бенешевич, Описание греческих рукописей св. Екатерины на Синае III, 1, 1917, с. 10.

ოდის რამდენიმე ირმოსი, აგრეთვე III ხმაში VII ოდის ირმოსების ნაწილი და IX გალობა მთლიანად).

XIII საუკუნის დასასრულით და XIV-ის დასაწყისით დათარიღებულია კიდევ ორი ხელნაწერი.

4. იერუსალიმის წმიდა საბას მონასტრის ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 599 (ლიტერი Sa) და

5. ათონის ლავრის ხელნაწერი d-35 1313 წლისაა. ეს უკანასკნელი პირველადაა განხილული მ. ველიმიროვიჩის მიერ[108]. იგი სხვაობს Sa-საგან. Sa უახლოვდება სინურ ხელნაწერს. მ. ველიმიროვიჩის დაკვირვებით, ათონის ლავრის ხელნაწერი ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ გადამწერი ადგენს ირმოსების ანთოლოგიას მის ხელთ არსებული ძველი ხელნაწერის მიხედვით, რისთვისაც თითოეული გალობისათვის რიგრიგობით იწერს ირმოსებს კანონთა თანმიმდევრობის მიხედვით. ამოსავალი ხელნაწერი, მისი აზრით, უნდა ყოფილიყო იმ ტიპისა, როგორიც არის H (ათონის ირმოლოგიონი № 470). ამის საფუძველს მას აძლევს თითოეულ გალობაში გაერთიანებული ირმოსთა თანმიმდევრობის შედარება H-ის კანონთა რიგთან.

6. ათენის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 958. ფრაგმენტი XV საუკუნისაა. ძნელი ამოსაკითხია ხელნაწერის დაზიანების გამო. შეიცავს ირმოსებს III ხმის VII ოდის დასაწყისიდან V ხმის IV ოდამდე (აკლია ირმოსები IV ხმის VII ოდისა). ირმოსთა რიგით ემხრობა სინურ ხელნაწერს.

OdO წყობის ბერძნული ხელნაწერების სიმცირისა და ფრაგმენტულობის პირობებში ბიზანტინისტთა დიდი ყურადღება მიპყრობილია OdO ტიპის სლავური ირმოლოგიონისადმი.

სლავური ირმოლოგიონი XII—XIII საუკუნეებისაა. შემონახულია ფრაგმენტების სახით. არსებობს ამ ფრაგმენტების მეცნიერული პუბლიკაცია.

ნოვგოროდული ხელნაწერის ფრაგმენტები (რომელსაც აკლია IV და V ხმები მთლიანად, ნაწილობრივ ნაკლულია დანარჩენი ხმების უმეტესობა), პარალელური ბერძნული ტექსტით, შესანიშნავი მეცნიე-

---

[108] М. Велимировић, Структура..., с. 157.

რული აპარატით და ვრცელი გამოკვლევითურთ გამოსცა ერვინ კოშმიდერმა[109]. ე. კოშმიდერის აზრით, ეს ფრაგმენტი XII საუკუნისაა[110].

1957 წელს რ. იაკობსონმა ფოტოტიპიურად გამოსცა სლავური ირმოლოგიონის ხილანდარული ფრაგმენტი[111].

სლავური ფრაგმენტების შესწავლას სპეციალური ნაშრომები უძღვნა მ. ველიმიროვიჩმა[112].

მ. ველიმიროვიჩმა ნოვგოროდულ და ხილანდარულ ფრაგმენტებთან ერთად კვლევის სფეროში შემოიტანა კიდევ ერთი სლავური ირმოლოგიონი (ყოფილი ვოსკრესენსკის ე. წ. ახალი იერუსალიმის მონასტრის ირმოლოგიონი № 28) XII—XIII საუკუნეებისა და აღნიშნა ლიტერით V. არც ეს ირმოლოგიონია სრული (აკლია რამდენიმე ირმოსი VII გალობისა და ყველა ირმოსი VII და IX გალობისა VIII ხმაში.

მ. ველიმიროვიჩი სლავურ ირმოლოგიონებს კომპლექსურად (ტექსტობრივი და მუსიკალური თვალსაზრისით) იკვლევს ბერძნულ ირმოლოგიონებთან მიმართებით. ბერძნული და სლავური ირმოლოგიონების სტრუქტურისა და ტექსტის ანალიზი მას საფუძველს აძლევს დაასკვნას:

1. სამივე სლავური ხელნაწერი (N, Ch, V) ერთი ტრადიციის მატარებელია (სტაბილურია ძირითადად თითოეულ გალობაში გაერთიანებულ ირმოსთა რაოდენობა და რიგი)[113].

2. ხილანდარული ირმოლოგიონი უნდა შექმნილიყო XII ს. II ნახევარზე ადრე[114]. ირმოსი «Погружающим» მხოლოდ ხილანდარულ

---

[109] Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente, Herausgegeben von Ervin Koschmieder. Verlag der Bayerischen Akademie der Wissenschaften; Erste Lieferung, München, 1952; Zweite Lieferung, 1955; Dritte (schluß) Lieferung, 1958.

[110] დასახ. გამოც., Zweite Lieferung, გვ. 37.

[111] Fragmenta Chiliandarica palaeoslavica, praefatus est Roman Jakobson. B. Hirmologium Codex monasterii Chiliandarici 308. Phototipice depictus, vol. V, Copenhagen, 1957.

[112] Velimirovič, Miloč, Byzantine Elements in Earli slavic Chant, Monumenta Musicae Byzantinae, Subsidia, Copenhagen, 1960; Структура старословенских музичких Ирмолога; The Influence of the Byzantine Chant on the Music of the Slavic Countries: Proceedings of the XIII th International Congress..

[113] М. Велимировић..., Структура с. 149.

[114] მისი დათარიღების შესახებ იხ. იქვე, გვ. 150.

ხელნაწერშია დადასტურებული. ბერძნულ H—ათონურ 470 ხელნაწერში, რომელიც იდეალური ირმოლოგიონის ტიპაა, მისი დედანი არ დასტურდება. სამაგიეროდ, იგი დაცულია უფრო ადრეულ B—32-ში და Lg-ში. დასახელებული ირმოსი ხმარებიდან იყო გამოსული ბიზანტიაში მაშინ, როცა ფორმდებოდა იდეალური ირმოლოგიონი, H. H XII საუკუნისაა, ამიტომ ხილანდარულ ხელნაწერში ის უნდა შესულიყო H-ის ჩამოყალიბებაზე ადრე[115].

3. სლავური ირმოლოგიონები ატარებენ საბაწმიდური ტრადიციის კვალს, რადგან ა) წყობით, გალობების დალაგების პრინციპით ემხრობიან საბაწმიდურ-სინური წარმომავლობის ხელნაწერებს (Sa, Sb. Ku-3)[116], ბ) სლავური ხელნაწერების გადახვევები ბერძნული ტექსტიდან ზოგჯერ ახსნას პოულობს საბაწმიდური S (№ 83) ირმოლოგიონის მონაცემებით[117].

ბერძნულ-სლავური მასალის შეჯერების შედეგები ველიმიროვიჩს გამოქვეყნებული აქვს ცხრილების სახით. OdO ტიპის ბერძნულ ირმოლოგიონთა ხელნაწერებზე ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება, ამიტომ ეს ცხრილები შეიძლება გამოვიყენოთ C-ს დამოკიდებულების შესასწავლად OdO ტიპის ირმოლოგიონებთან.

ნაშრომში „Byzantine Elements“ . . . მ. ველიმიროვიჩს წარმოდგენილი აქვს I ხმის V, VI, VII ოდების ძლისპირთა რიგი იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის ორი ბერძნული ხელნაწერის (Sa და Sb) და ორი სლავური (ნოვგოროდული და ხილანდარული) ირმოლოგიონის მიხედვით[118]. ეს ცხრილი გამოქვეყნებულია OdO რედაქციის ქართულ ძლისპირთა I გამოცემაში, სადაც ბერძნულ-სლავურს გვერდით აქვს დაყენებული I რედაქციის ქართული ხელნაწერები: იელის იადგარი (A) და Sin. 14 (L). იქ გარკვეულია დასახელებულ ხელნაწერთა ძლისპირების რაოდენობრივი თანაფარდობა როგორც ბერძნულ, ისე სლავურ ირმოლოგიონებთან[119].

ჩვენ ამ ცხრილს გვერდში დავუყენეთ C ხელნაწერის მონაცემები*.

---

[115] M. Велимировић, Структура... с. 150.

[116] თუმცა მელოდიური ტრადიციით კონსტანტინეპოლურ-ათონურია. ეს დიქომეტრია, მ. ველიმიროვიჩის აზრით, ჯერჯერობით ახსნას ვერ პოულობს (იქვე, გვ. 160).

[117] მისივე, Byzantine Elements... p. 53—58.

[118] M. Velimirovič, Byzantine... p. 48.

[119] ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, 030—031.

* არ ვსარგებლობთ VII ოდის ცხრილით, რადგან C-ს შესაბამისი ნაწილი დაკარგულია.

ოდა 5 (ლ̄გნსა)*

No	Ch	Sa	Sb	A	L	C
1	1	1	1	9	—	9
15	15	15	8a	8	8	8
8a	8a	16	8b	1	1	1
9	9	2	9	14	14	14
4	4	4	*	4	4	4
16	16	5	6	5	5	5
6	6	6	7	21	21	16
22	22	7	5			15
5	17	8a	15			22
17	5	8b	16			*
		9	4			*
		10	21			*
		14	*			
		17	14			
		18	17			
		21	10			
		22	(18)			
		26	(13)			
		13	11			
		11	(2)			

---

* ციფრები მიუთითებს ს. ევტრატ. გამოცემის აკოლუთიის ნომრებს. მრგვალი კავები ისეთ ძლისპირებს, რომლებსაც არ აქვთ ნოტაცია. ვარსკვლავით (*) აღნიშნულია ის ძლისპირები, რომლის აკოლუთია გამოცემულ ირმოლოგიონში ვერ დაიძებნა.

ოდა 6 (ღაღადყავსა)

No	Ch	Sa	Sb	A	L	C
1	1	1	1	9	—	9
15b	15b	15b	8a	8	8	8
8a	8a	2	8b	1	1	1
9	9	4	9	14	14	14
4	4	22	*	4	4	4
22	22	6	6	22	22	22
26	6	7	7	*	11	11
6	22	8a	4	11		15
16	15a	8b	22			*
15a		9	15b			*
		10	16			*
		14	21a			
		15a	14			
		16	15a			
		21b				
		[22]				
		26				
		13				

შედარების საფუძველზე ცხადი გახდა, რომ C ხელნაწერი I ხმის V ოდაში ძლისპირთა რაოდენობით ერთობ ჩამორჩება ბერძნულს და შედარებით მეტ მსგავსებას იჩენს სლავურ ირმოლოგიონებთან. I ხმის V გალობაში (ოდაში) ბერძნულ Sa—Sb-ში 20-20 ძლისპირია, სლავურში—10, ქართულში—12. სლავურსა და ქართულს საერთო აქვს 8 ძლისპირი (№ 9, 8, 1, 4, 5, 16, 15, 22), თუმცა მათი თანმიმდევრობა სხვადასხვაგვარია. ამასთან სლავურის №№ 6, 17 არ გვხვდება ქართულში. ამ უკანასკნელში, სლავურისაგან განსხვავებით, წარმოდგენილია № 14 და კიდევ 3 ძლისპირი, რომლის დედანიც ბერძნულ წყაროებში არ იძებნება.

Sa და C-ს საერთო აქვს 9 ძლისპირი. ქართულს არა აქვს №№ 8b, 6, 7, 21, 17, 10, 18, 13, 11, 2 და კიდევ ორი ირმოსი, რომლებიც არ არის ევსტრატიადისის გამოცემაში.

„ღაღატყავისას“ ძლისპირთა რაოდენობის მხრივ ასეთი სურათია: ბერძნულში არის 17-17 ძლისპირი, No-Ch-ში —9-9, C-ში—11.

სლავურსა და ქართულს საერთო აქვს 1, 15, 8, 9, 4, 22, სულ 6 ძლისპირი. ნოვგოროდულის № 6 და № 16, 15b ქართულს არა აქვს. ნოვგოროდულ-ხილანდარულისაგან განსხვავებით, C-ში არის №№ 14, 11 და კიდევ სამი ძლისპირი, რომლებსაც დედანი არ ეძებნება, Sa და Sb-ს საერთო აქვს 7 ძლისპირი. C-ში არ არის Sa-ს №№ 15b, 8b 10, 2, 16, 21b, 7, 26, 13.

Sb და C-ს საერთო აქვს 8 ძლისპირი. C-ში არ არის № 8b, 1 ვარსკვლავით აღნიშნული, №№ 6, 7, 15b, 16, 21a, 15b.

C-ს ძლისპირები რაოდენობრივად უფრო ახლოს დგანან ნოვგოროდულ-ხილანდარულ ირმოლოგიონებთან. იგივე ძლისპირები მთლიანად დასტურდება Sa—Sb ბერძნულ ხელნაწერებში (მცირეოდენი განსხვავებით), მაგრამ ძლისპირთა რაოდენობა გაცილებით მეტია. რაღაც ერთი ფენა საერთოა, მაგრამ დიდი, მნიშვნელოვანი სხვაობებია ძლისპირთა თანმიმდევრობაში, რაც არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. მაშასადამე, აქაც ერთი საერთო წყარო სავარაუდებელი არ არის. ასეთივე შედარებითი ცხრილი გამოაქვეყნა მ. ველიმიროვიჩმა მეორე ნაშრომშიც III ხმის I გალობის მიხედვით[120]. (ცხრილში გათვალისწინებულია სლავური (V) და ბერძნული (Ku—3) და ათონის ლავრის ირმოლოგიონის მონაცემებიც. ამ ცხრილს გვერდში ვუყენებთ ქართული რედაქციების ჩვენებებს. კანონთა ნუმერაციისათვის მ. ველიმიროვიჩისთვის ამოსავალია ბერძნული H ხელნაწერის აკოლუთიათა რიგი. შედარების გაადვილების მიზნით ჩვენც წარმოვადგენთ ამგვარ დანომვრას, ოღონდ ფრჩხილებში მივუთითებთ ს. ევსტრატიადისის ნუმერაციასაც*.

სლავური			ბერძნული				ქართული	
N	V	Ch	Ku—3	Sb	Sa	Laura	HL	C
6	6	6	1	1	1	1	7	7 (101)
1	1	1	2	2	2	2	1	1 (95)
3	7	7	6	6	10	3	*	4 (98)

---

[120] Структура..., с. 158—159.

* სხვა ნაშრომში მ. ველიმიროვიჩს მიმოხილული აქვს კიდევ ერთი ბერძნული OdO ტიპის ირმოლოგიონი Ku—4, რომელიც მოცემულ გალობაში ძლისპირთა რიგით მისდევს Ku—3-ს, აკლია მხოლოდ ბოლო ირმოსი (M. Velimirovič, The Byzantine Heirmos and Hirmologion: Gattungen der Musik in Einzeldarstellungen, Franke Verlag Bern und München, 1973, p. 226).

სლავური			ბერძნული				ქართული	
N	V	Ch	Ku—3	Sb	Sa	Laura	HL	C
2	2	17	7	7	14	4	38	38 (132)
17	17	2	14	14	17	6		*
10b	10b	10b	10b	10b	7	7		*
14	14	14	17	17	9	9		*
16	16	16	10a	10a	6	10a		10b (104)
	*	(36)	16	16	16	10b		*
			4	4	4	11		17 (111)
				(9)	10	12		
				23		13a		
						13b		
						14		
						15		
						16		
						19a		
						19b		
						22		
						23		

შევხედოთ ამ მასალას ქართული ძლისპირების პოზიციებიდან. I რედაქციაში არის მხოლოდ 4 ძლისპირი. აქედან C-სთან საერთოა 3. ვარსკვლავით აღნიშნული ბერძნული დედანი III ძლისპირისა, რომლის დასაწყისია „ქრისტე, რომელ დაემშჭუალა“ (ბერძნ. ზედწარწერით „ხრისტოს იპაჯი“) მიგნებული არ არის. C-ში შესაბამის ადგილზეა სხვა შინაარსის ძლისპირი „მას მხოლოსა ვუგალობდეთ“, მაგრამ იგი რეფრენით, ღმრთისმშობლისათი და მეტრით (ტაეპების რაოდენობით, და ტაეპებსა და სტროფში მარცვალთა რაოდენობით) თანხვდება პირველი რედაქციის ძლისპირს. ეს ასახვა უნდა იყოს იმ ცვლილებებისა, რომელთაც განიცდიდა ბერძნული ირმოლოგიონები X საუკუნის მანძილზე[121].

C-ს 11 ძლისპირიდან დედანი დაეძებნა 7-ს. აქედან სლავურთან საერთოა მხოლოდ 4 ძლისპირი (№№ 7, 1, 10b, 17). სლავურისა და ქართულის ძლისპირები (რომელთა დედანიც მიკვლეულია), დასტურდე-

---

[121] ძლისპირნი..., გვ. 223—224.

ბა ყველა ბერძნული ხელნაწერის შემადგენლობაში (თითო გამონაკლისის გარდა), მაგრამ დიდი სხვაობაა მათ შორის ძლისპირთა თანმიმდევრობაში, რაც ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ მათთვის ერთი საერთო წყარო სავარაუდებელი არ არის.

საანალიზო C კრებულსა და სლავურ ირმოლოგიონს ერთი საერთო წყარო არ უდევს საფუძვლად, მაგრამ მათ აქვთ რამდენიმე საერთო მომენტი, მათგან აღვნიშნავთ შემდეგს:

1. No, Ch სლავური ხელნაწერების ირმოსი «Погружающим» (ევსტრ. 130), რომელიც უცნობია შუა საუკუნეების იდეალური ირმოლოგიონისათვის (ათ. 470), დასტურდება B—32-ში. ეს სლავური ხელნაწერის სიძველის ნიშნადაა მიჩნეული (მ. ველიმიროვიჩი). ქართული ძლისპირიც „უგალობდეთ უფალსა, მორწმუნენო“ (ევსტრ. 138), უცნობი OdO ბერძნული და სლავური ირმოლოგიონებისათვის, შესატყვისს პოულობს B—32-ში. მაშასადამე, KaO წყობის არქაული ბერძნული ირმოლოგიონისათვის სპეციფიკური მასალა შედის როგორც სლავურ, ისე ქართულ OdO კრებულებში.

2. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია I რედაქციის OdO ტიპის ძლისპირთა დამოკიდებულება სლავური ირმოლოგიონისადმი და გარკვეულია ამ პარალელური შესწავლის მნიშვნელობა. ძლისპირთა I გამოცემაში ძლისპირებს ბერძნულ დედანთან ერთად მითითებული აქვს სლავური ფრაგმენტების გამოცემათა გვერდები.

რა სურათია C ხელნაწერში?

II რედაქციის 100 ძლისპირიდან, რომელთაც დაეძებნათ ბერძნული დედანი, სლავურში პარალელს პოულობს 68 ძლისპირი. ეს საკმაოდ დიდი რაოდენობაა სლავურ ხელნაწერთა დეფექტურობის პირობებში. ეს საერთო ფენა, ეტყობა, სავალდებულო იყო ამ ტიპის კრებულებისათვის.

3. ბერძნული ირმოლოგიონის ხელნაწერები, X საუკუნეზე ადრინდელი, შემორჩენილი არ არის. ირმოლოგიონი მანამდეც იყო სხვადასხვაგვარი გადამუშავებისა თუ შევსება-შემოკლების ობიექტი. უდავოა, სხვადასხვა გარემოების გამო ზოგი რამ ჩვენამდე მოღწეული არ არის. ამიტომ ქართულმა ძლისპირებმა (ისევე როგორც სხვა ენებზე დაცულმა თარგმანებმა) შეიძლება თვით მოჰფინონ შუქი ბერძნული ირმოლოგიონის ტექსტის საკითხებს — შემოინახონ ისეთი მასალა, რაც ბერძნულში დაცული აღარ არის.

ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ერთი ძლისპირი, რომელიც დაუ-

ცავს A—603-ს (725) VIII ხმის V გალობაში („ღამითგანსა“) დასაწყისით—„ვნებათა ნისლისაგან მე ვითარცა ღამისგან ღრმისა“ . , . ამ ძლისპირის დედანს ვერ მივაკვლიეთ ხელმისაწვდომ ბერძნულ წყაროებში, თუმცა იგი ბერძნული წარმომავლობისაა. ეს დასკვნა ეყრდნობა სლავური ირმოლოგიონის ნოვგოროდული ფრაგმენტის მასალას.

ე. კოშმიდერს გამოქვეყნებული და საგანგებოდ გამოყოფილი აქვს 7 ძლისპირი, რომელთა ბერძნული დედნების მიგნება მან ვერ მოახერხა[122]. საანალიზო ძლისპირი დაემთხვა ერთ-ერთ მათგანს. მოგვყავს ტექსტები პარალელურად:

ვნებათა ნისლისაგან
მე, ვითარცა ღამისაგან ღრმისა გამოჴსნილი
ალმსთობად შენდა ღირს-ყავ სული ჩემი,
გევედრები,
დღისა ნათელსა ბრძანებათა შენთასა, ქრისტე.

Страстеныя мя меглы
Яко ото глубокия нощи избавляя,
утреневати сподоби,
духо мои молю ся во свете дени
велении твоихо Христе (280_{12}—282_{1})

ქართული და სლავური ძლისპირების შინაარსობრივი მხარე ზუსტ შესაბამისობაში აღმოჩნდა. მასალის სპეციფიკურობა მოითხოვს რიტმული მხარის გათვალისწინებასაც[123]. რიტმული დაყოფის სქემები ასეთია:

ქართ. 7·14·11·4·14=50
სლავ. 7·13· 8·12·9=50

შეპირისპირება ნათელყოფს, რომ ზუსტად ემთხვევა ქართული და სლავური ძლისპირების ტაეპთა რაოდენობა, აგრეთვე მარცვალთა საერთო რაოდენობა. ერთადერთი, რაც მათ განასხვავებს, არის ტაეპებში მარცვალთა განაწილების მდგომარეობა. ანალოგიური ვითარება შეი-

---

[122] Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente... S. 324

[123] სლავური ხელნაწერიც ნევმირებულია (აქვს სანოტო ნიშნები) და ახლავს მეტრული პუნქტუაცია. რიტმული განკვეთის ნიშნებად გამოყენებულია ერთი წერტილი.

ნიშნება ბერძნულით თარგმნილ სხვა ძლისპირებში. მსგავსი მაგალითები უცნობი არ არის სლავური თარგმანებისათვისაც (ამის შესახებ ქვემოთ).

ქართული და სლავური ტექსტების შინაარსობრივი იდენტურობა ცხადყოფს მათ ბერძნულ წარმომავლობას. ორიგინალი ამ საგალობლისა დაკარგულია, ან დღეისათვის გამოვლენილი არ არის. ქართული და სლავური ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შესრულებული თარგმანებია — ქართულ-სლავური ლიტერატურული კონტაქტები ამ ეპოქისათვის სავარაუდებელი არ არის. სლავური თარგმანი XII ს. ხელნაწერშია დაცული. ქართული თითქმის ორი საუკუნით უსწრებს მას. ეს უკანასკნელი კი წინ სწევს ბერძნული ირმოსის ქრონოლოგიურ ზღვარს, იგი ბერძნულში არსებობდა არა უგვიანეს X საუკუნისა*.

4. III ხმის № 111 აკოლუთიის ε' ოდის ირმოსის თარგმანი დაცულია როგორც ქართულ („ღაღად-ვყავ სულთ-თქუმით“, № 214, I გამოც. № 136), ისე სლავურ ენაზე[124]. ორივე ზუსტი თარგმანია, მაგრამ IV ტაეპში ქართულიც და სლავურიც სცილდებიან ბერძნულ ირმოსს. ბერძნულშია „ἐξ ἄλσου κατωτάδου“, ქართულში კი „მთით სიწმიდისა მისისაჲთ“, რაც ემხრობა სლავური თარგმანის «от горы святых», ჩანს, ქართულ-სლავური ძლისპირები უფრო ძველ ვითარებას ასახავენ, ვიდრე ის ხელნაწერები (XII—XIII სს), რომლებიც ირმოლოგიონების გამოცემებს უდევს საფუძვლად[125].

VII ხმის ადიდებდითსას ძლისპირი:

უხრწნელისა შობისა
მეუცლად-ღებაჲ ვინ კაცთაგანმან
გამოთქუას და
უთესლოდ ყრმისა შობაჲ ვის არა უკვრდეს
ქუეყანისა ნაშობთა?
ამისთჳსცა ყოველნი ტომნი და ენანი
ღმრთისმშობელსა ადიდებენ (647)

---

[124] E. Koschmieder, Die ältesten..., Erste Lieferung, S. 180.

[125] ძლისპირნი..., გვ. 36, 224.

* ამ ძლისპირის გამოყენება ბერძნულ ტრიოდიონში უკვე დაადასტურა მ. ველიმიროვიჩმა. ერთ-ერთი სლავური ირმოლოგიონის კონკორდანსში მან გამოაქვეყნა ამ ბერძნული ირმოსის დასაწყისი: Τῆς τῶν παθῶν μὲ ἀχλύος. Miloš Velimirovič, Grigorovič Hirmologion. Index and Concordances, Monumenta Musicae Byzantinae, Volumen VI, 1978, p. 191.

სიტყვასიტყვით გადმოსცემს № 290 აკოლუთიის ჶ′ გალობის ირმოსს:

Ἀσπόρου τόκου σύλληψιν
τίς ἑρμενεύσαι βροτῶν,
ἀφθόρου τόκου γέννησιν
τίς μὴ θαυμάσει γεγενῶν;
διό σε αἱ φυλαὶ τῆς γῆς,
Θεοτόκε μεγαλύνομεν.

შინაარსობრივად მხოლოდ VI ტაეპშია მცირე გადახვევა ბერძნულიდან. αἱ φυλαί-ს შეესაბამება სინონიმური წყვილი „ტომნი და ენანი" და დამატებულია „ყოველნი"-ც, მაგრამ ეს უკანასკნელი მთარგმნელის დამატება არ უნდა იყოს. საბაწმიდურ ხელნაწერში (გვ. 171) დასტურდება αἱ φυλαὶ πᾶσαι.

ამ ირმოსის ზუსტი თარგმანია ნოვგოროდულ ირმოლოგიონშიც (გვ. 248—250). რიტმული დაყოფით, მარცვალთა რაოდენობით ქართული და სლავური თარგმანები ცალკე დგებიან ბერძნულის საპირისპიროდ. ბერძნული ირმოსი შედგება 48 მარცვლისაგან, ქართული — 61, სლავური — 63-საგან.

ბერძნ. 8·7· 8·8· 8·9=48
ქართ. 4·12·4·13·7·13·8=61
სლავ. 20·23·20=63

სლავურში დიდი რიტმული მონაკვეთებია, მაგრამ ტაეპებში მარცვალთა ჯამი თანმხვედრია (ამ შემთხვევაში სხვაობაა ორ მარცვალში). ქართული და სლავური, შესაძლოა, იყენებდნენ სხვა რიტმული დაყოფის დედანს. ქართული და სლავური საბაწმიდურ ტრადიციას ხომ არ ეყრდნობიან საპირისპიროდ ათონური B 32-ისა?[126]

მართალია, ირმოლოგიონის საბაწმიდურ ხელნაწერში (S 83) რიტმული განკვეთა ემთხვევა ზემოთ მოყვანილ ბერძნულ დაყოფას (მხოლოდ ბოლოდან მეორე ტაეპშია სხვაობა, B 32-ში 8, S-ში კი 10 მარცვა-

---

[126] ირმოსთა განსხვავებული რიტმული განკვეთა ბერძნულ ირმოლოგიონთა ხელნაწერებში C. Höeg-ის აზრით განსხვავებული მელოდიური ტრადიციების ანარეკლი უნდა იყოს, რაც, რა თქმა უნდა, ტექსტის განსხვავებულ დაყოფას იწვევს (Maria Stöhr, Reflections on Transcribung the Hirmoi in Byzantine Music, p. 94 (მასალას ვიყენებთ ე. მეტრეველის გამოკვლევიდან).

ლია), აქაც არ არის გამორიცხული, რომ ქართული და სლავური ძლისპირები ასახავდნენ უფრო ძველ ვითარებას რიტმული თვალსაზრისით, ვიდრე საბაწმიდური ხელნაწერი XI საუკუნისა.

5. საბაწმიდური ტრადიციის კვალი ჩანს ქართულ-სლავურ ირმოლოგიონებში.

ა) მ. ველიმიროვიჩის აზრით, გალობათა OdO წყობა, როცა დარღვეულია კანონის პოეტური წყობა და კომპოზიცია, დამახასიათებელია საბაწმიდური წარმომავლობის ხელნაწერებისათვის[127], ქართული და სლავური ირმოლოგიონები ამ OdO წყობისა არიან.

ბ) ნოვგოროდული ხელნაწერის ტექსტობრივ დიფერენციაციას ბერძნული Coislin 220-საგან მ. ველიმიროვიჩი ზოგ შემთხვევაში ხსნის იერუსალიმის წმ. საბას მონასტრის № 83 ხელნაწერის (S) მონაცემებით. მაგ., სლავურ ირმოლოგიონში (კოშმიდერის გამოცემა, გვ. 90) II ხმის გ′ ოდის ირმოსის თარგმანში დადასტურებული ტექსტობრივი მონაცემი «твоего пришествия» ახსნილია საბაწმიდური ხელნაწერის ჩვენებით, სადაც არის τῆς παρουσίας საპირისპიროდ ათონის ხელნაწერისა (და ევსტრ. გამოცემისა), აქ დასტურდება τῆς δυναστείας. I რედაქციის ორი ქართული ძლისპირის (იხ. ზემოთ, გვ. 64—66) ბერძნული დედანიც მხოლოდ ამ საბაწმიდური ხელნაწერის კუთვნილებაა.

ოღონდ საბაწმიდასთან სლავების კონტაქტის გზები საძიებელია, ქართველების კონტაქტი კი ეჭვმიუტანელი ფაქტია. საბაწმიდის სამწიგნობრო ცენტრში ქართველები ეწეოდნენ მჩქეფარე შემოქმედებით საქმიანობას. ისინი შექმნისთანავე, ან ცოტა უფრო გვიან, თარგმნიდნენ ბერძნული ჰიმნოგრაფიის ნიმუშებს. ქართველების პარალელურად ასეთი საქმიანობა უნდა გაეწიათ სირიელებსაც (ამაზე მიუთითებს სირიულ თარგმანებში დადასტურებული იმ ქართული ძლისპირების შესატყვისები, რომელთა ბერძნული დედანი მიგნებული ან მოღწეული არ არის[128]).

უეჭველია, ქართული OdO წყობის ძლისპირთა „მეხური“, ნევმირებული კრებულები დიდ და საინტერესო მასალას აწვდის ბერძნული ჰიმნოგრაფიის მკვლევართაც.

---

[127] M. Velimirovič, Byzantine elements..., p. 53—56.

[128] H. Metreveli, B. Outtier, Contribution..., p. 358.

ᲫᲚᲘᲡᲞᲘᲠᲗᲐ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

გაირკვა, რომ C ხელნაწერის 100-მდე ძლისპირი, გარდა I რედაქციის 400 ძლისპირისა, ბერძნული წარმომავლობისაა. ახლა საინტერესოა იმის გამორკვევა, თუ რა დამოკიდებულებაშია ქართული ძლისპირები ბერძნულ დედნებთან.

თარგმანის საკითხებზე მსჯელობისას პირველ რიგში გასარკვევია დედნის საკითხი. ცხადია, როცა მიგნებულია სათარგმნად აღებული კონკრეტული გამოცემა თუ ხელნაწერი ამა თუ იმ თხზულებისა, მთარგმნელობითი მუშაობის კვლევა ურყევ საფუძველზე დგას.

დავიწყოთ იქიდან, რომ ქართული ირმოლოგიონი არ უნდა წარმოადგენდეს ერთი რომელიმე კონკრეტული ბერძნული ირმოლოგიონის თარგმანს. იგი ბერძნული მოდელის მიხედვით ქართულში უკვე გავრცელებული ძველი და ახლად თარგმნილი ძლისპირების თავმოყრაა (ორიგინალურ ძლისპირებთან ერთად)[129], ამიტომ ამათი დედნებიც გამოკრებითაა საძიებელი. ამასთან, ქართული ირმოლოგიონის ნუსხები (I რედაქციისა მაინც) ქრონოლოგიურად უსწრებს ბერძნული ირმოლოგიონების დღემდე მოღწეულ ხელნაწერებს. თვით ეს ირმოლოგიონებიც არ გვიჩვენებენ მყარ და სტაბილურ სურათს, არ არიან ამსახველი პირვანდელი ვითარებისა. ამიტომ კვალიფიკაცია დედნიდან გადახვევის შემთხვევებისა პირობითი შეიძლება იყოს. არ არის გამორიცხული, რომ რასაც ჩვენ გადახვევას ვუწოდებთ, ბერძნულის ძველი ვითარების ანარეკლიც იყოს.

ძლისპირთა თარგმანების კვლევისას, ფილოლოგიურ საკითხებთან ერთად, გასათვალისწინებელია რიტმულ-მელოდიური მხარეც. რიტმულ-მელოდიური აღნაგობის მხრივაც ბერძნული ხელნაწერები არ იძლევიან ერთიან სურათს[130]. არ არის ამოხსნილი არც პალეობიზანტიური ნოტაცია. არ არის გახსნილი ქართული ნევმების ბუნება და ხასიათი. ასეთ პირობებში თარგმანის საკითხებზე მსჯელობა, რა თქმა უნდა, ცალმხრივ და პირობით ხასიათს ატარებს.

ძლისპირთა I რედაქციის გამოცემაში აღნიშნულია ის სირთულე, რომელიც თან ახლდა ბერძნული ირმოსების თარგმნას, ეს სირთულე გაპირობებული იყო სათარგმნი მასალის სპეციფიკით. ქართველ მთარ-

---

[129] ძლისპირნი.., გვ. 098.

[130] ამ სიჭრელის ახსნის ცდები მოცემული აქვთ კ. ჰოუგსა და მ. სტორს (ამის შესახებ ვრცლად იხ. ე. მეტრეველის დასახ. გამოკვლევა, გვ. 078—080).

გმნელს მხედველობაში უნდა მიეღო და ზუსტად გადმოეღო როგორც შინაარსობრივი მხარე, ისე ძლისპირის რიტმული სტრუქტურა, როგორც აუცილებელი ელემენტი კილოს ტექსტთან შეწყობისათვის. იქვე განსაზღვრულია რამდენიმე პირობა, რომელთა დაცვა სავალდებულო იყო თარგმნის პროცესში. ესენია: ბერძნული ძლისპირის შინაარსის ზუსტი გადმოცემა, მისი მარცვალთა რაოდენობის დაცვა, ძლისპირის ტაეპობრივი დაყოფა ისე, როგორც ამას მოითხოვდა ძლისპირის კილოს მელოდიური ფრაზების განაწილება ძლისპირის ტაეპებზე[131].

ამ მოთხოვნებს სხვადასხვა მთარგმნელი სხვადასხვაგვარად იცავდა. ამიტომაა სიჭრელე და ნაირსახოვანი სურათი ბერძნულ დედნებთან დამოკიდებულებისა. ძირითადად კი აქაც ისეთივე სურათია, როგორიც ქართულ ძლისპირთა პირველ რედაქციაში:

1. ქართული ძლისპირი ზუსტ შესაბამისობაშია ბერქნულთან როგორც შინაარსის, ისე რიტმიკის თვალსაზრისით.

2. შინაარსი გადმოცემულია ზუსტად, მაგრამ დარღვეულია რიტმული მხარე.

3. იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება შემთხვევები, როცა შინაარსში სხვაობებია, დედნის რიტმიკა კი დაცულია.

4. სხვაობებია როგორც შინაარსის, ისე მეტრის თვალსაზრისით.

თარგმანის საკითხებზე მსჯელობისას ჩვენ ვითვალისწინებთ სხვა ენებზე (ცერძოდ, სლავურზე) დაცული თარგმანების დამოკიდებულებას ბერძნული ირმოლოგიონებისადმი. ბერძნულიდან სლავური ირმოლოგიონის ტექსტობრივი დიფერენციაცია დაწვრილებით აქვს განხილული ე. კოშმიდერს თავის მონოგრაფიულ ნაშრომში[132]. სლავურის ტექსტობრივ დიფერენციაციას კვალიფიკაციას აძლევს და ბერძნულ-სლავური ირმოლოგიონების რიტმული შეფარდებისა და მელოდიის საკითხებზე მსჯელობს თავის ნაშრომებში მ. ველიმიროვიჩი[133].

განხილულია სირიულ ენაზე დაცული ბერძნული კანონების თარგმანებიც. H. Husmann-ი მსჯელობს რა მელქიტურ ლიტურგიაზე და სირიული თარგმანების ედესურ და მელიტენურ კრებულებზე, სირიულის

---

[131] ძლისპირნი... გვ. 078.

[132] Die ältesten Novgoroder Hirmologien Fragmente... S. 59—60.

[133] M. Velimirovič, Byzantie Flements... მისივე, Структура...

გვერდით აქვეყნებს გერმანულ თარგმანებსაც[134]. აქვე შევნიშნავთ, რომ ბერძნულისაგან სირიული ტექსტების გადახვევებს ქართული ძლისპირები მხარს არ უჭერს.

რიტმული განკვეთის საკითხებზე მსჯელობისას ვითვალისწინებთ იმ შეფასებებსაც, რაც ეძლევა რიტმული გადახრის შემთხვევებს სხვა ენებზე დაცული ირმოლოგიონების მიმოხილვაში.

აქ აღვნიშნავთ ქართული ძლისპირების ბერძნულისადმი დამოკიდებულების რამდენიმე ფაქტს:

ა) თარგმანის შინაარსი და რიტმული მხარე ზუსტ შესაბამისობაშია:

1. VI ხმის „აკურთხევდითსას“ ძლისპირი:

ცაჲ ვრცელი განცვბრებულ არს
და ძრწის საფუძველი
ქუეყანისაჲ დღეს შიშით,
რამეთუ მაღალთა შინა ღმერთი
შერაცხილ მკუდართა იქმნა
და აწ კნინსა საფლავსა ესტუმრა,
ყრმანი აკურთხევდით მას,
მღდელნი უგალობდით მას,
ერნი უფროჲსად
ამაღლებდით ღმერთსა მარადის (557).

ზუსტი თარგმანია № 231 აკოლუთიის η′ ოდის ირმოსისა:

Ἔκστηθι φρίττων οὐρανὲ
καὶ σαλευθήτωσαν
τὰ θημέλια τῆς γῆς.
ἰδοὺ γὰρ ἐκ νεκροῖς λογίζεται
ὁ ἐν ὑψίστοις οἰκῶν
καὶ τάφῳ σμικρῷ ξενοδοχεῖται,
ὃν παῖδες εὐλογεῖτε
ἱερεῖς ἀνουμνεῖτε
λαὸς ὑπερυψοῦτε
εἰς πάντας τοὺς αἰῶνας.

---

[134] H. Husmann, Die Melkitische Liturgie als Quelle...

ეს ძლისპირები რიტმულადაც მსგავსია:

ბერძნ. 8·6·7·10·7·10·7·7·7·7=76
ქართ. 8·6·7·10·7·10·7·7·5·9=76

ემთხვევა ტაეპთა რაოდენობა, ტაეპებში მარცვალთა განაწილება. მცირე სხვაობაა ბოლო ორ ტაეპში, მაგრამ მათი საერთო ჯამი თანმხვედრია: 7:7=5:9.

ჩვენ მიერ მიკვლეულ თარგმნილ ძლისპირთა უმეტესობა ბერძნული ირმოსების ზუსტი შინაარსობრივი ეკვივალენტია. ისინი მარცვალთა საერთო რაოდენობითაც ემთხვევიან ბერძნულ დედნებს (განსხვავებებია ზოგჯერ თითო-ოროლა მარცვალში). მეტ-ნაკლებობაა ტაეპების მარცვლების შეფარდებაში ბერძნულთან, მაგრამ ეს დაბრკოლებას არ ქმნის. როგორც აღნიშნულია ლიტერატურაში, ამ მეტნაკლებობის გათანაბრება ხდებოდა გალობის პროცესში[135].

ქვემოთ ჩამოვთვლით ზუსტი თარგმანის რამდენიმე ნიმუშს (ძლისპირს წარმოვადგენთ მხოლოდ დასაწყისის სახით, ვუჩვენებთ რიტმულ შეფარდებასაც).

„რომელი შეეწია" (9)—Τῷ Βοηθήσαντι (22,α^{1})*—46:46.

„დიდ არს საიდუმლოსა შენისა" (43)—Μέγα τὸ μυστήριον (12 δ')—54:52.

„მნათობად ჩუენდა" (57)—Τὸ φαεινὸν ἡμῖν (16, ε')—46:46

„შენი მშჳდობაჲ მომეც" (58)—Τὴν σὴν εἰρήνην δός (15, ε)—49:49

„ცოდვისა ალმურსა" (103)—Τὸν ζόφον τῆς ἀγνωσίας (58,ε' ალოსი)—50:51.

„ქუეყანისა ნაშობთა" (161)—Τῶν γεγενῶν (62, δ')—69:70

„ფარაუს ეტლები" (177)—φαραὼ τὰ ἅρματα (104, α' ალოსი)—40:41.

„მკლავითა მით მაღლითა" (827)—Βραχίονι ὑψηλῷ (104 α')—37:38.

„სიღრმეთა ცოდვისათა" (216)—Ἄβυσσος ἐσχάτη (95 ϛ')—54:51.

„რომელმან ალი იგი" (225)—Ὁ τὴν φλόγα (107, ϛ')—45:42.

„შენ უკუდავებისა წყაროსა" (244)—Σὲ τὴν ἀθάνατον (110, θ')—48:44.

---

[135] ძლისპირნი... გვ. 984.

* ფრჩხილში აკოლუთიის ნომერია ს. ევსტრატიადისის გამოცემის მიხედვით ქვემოთ ყველგან.

„შენ, შეუწველსა მაყუალსა“ (245) — Σὲ τὴν ἀκατάφλεκτον (111, ϑ′) — 38:41.

„ესე არს ღმერთი ჩუენი“ (325) — Οὗτος ὁ Θεος ἡμῶν (136, δ′) — 39:39.

„ვეშაპისა მუცელსა“ (731) — Ἐν κήτει (136, ϛ′) — 44:43.

„ქუეყანაჲ და ყოველივე“ (395) — Γῆ καὶ πάντα (150, η′ ალოსი) — 64:64.

„კიდობანსა მას შჯულისასა“ (412) — Ὡς ἐμψύχω (141 ϑ′) — 78:79.

„შენ, უქორწინებელსა“ (648) — Σὲ τὴν ἀπειρόγαμον (137, ϑ′) — 41:41.

„გალობაჲ ძლევისაჲ“ (433) — Ὠδὴν ἐπινίκιον (188, α′) — 42:41.

„შემწე და მფარველ მეყავ“ (510) — Βοηθὸς καὶ σκεπαστής (240, α′) — 48:48.

ბ) ბერძნული და ქართული ძლისპირების შინაარსი მსგავსია, რიტმიკა — განსხვავებული.

1. ა ხმის ღაღატყავსას ძლისპირი სახელწოდებით „უცხო“:

წინაჲსწარმეტყუელისა იონაჲს მიმსგავსებული ვჰმობ:
ცხორებაჲ ჩემი, სახიერ,
იჴსენ ხრწნილებისაგან
და მაცხოვნე მე, მაცხოვარო
სოფლისაო, გიგალობთ, დიდებაჲ შენდა (71)

სიტყვასიტყვით გადმოსცემს ბერძნულ ორიგინალს:

Τὸν προφήτην Ἰωνᾶν
ἐκμιμούμενος βοῶ
τὴν ζωήν μου, ἀγαθέ,
ἐλευθέρωσον φθορᾶς
καὶ σῶσόν με,
σωτὴρ τοῦ κόσμου
κράζοντα δόξα σοι (15 ϛ′ εἱρμὸς ἄλλος)

მაგრამ დიდი სხვაობაა მარცვალთა საერთო რაოდენობასა და ტაეპობრივ შეფარდებაში:

ბერძნ. 7·7·7·7·4·5·6=43
ქართ. 16·7·7·9·12=51

2. VIII ხმის V გალობაში დასტურდება ძლისპირი, რომელიც „მორთულის“ სახელწოდებით არის აღნიშნული:

ნათლითა შენითა
განანათლე გონებაჲ ჩემი, ქრისტე,
გევედრები შენ,
რაჲთა ღამითგან აღვიმსთო შენდამი
და უგალობდე
დიდსა სახიერებასა შენსა (719).

იგი შინაარსობრივი ბადალია იოანე დამასკელის № 315 აკოლუთიის ε′ ოდის ირმოსისა:

Τῷ σῷ φωτὶ
αὔγασον μου τὸν νοῦν
ὁ Θεὸς δέομαί σου
ἵνα τὴν πολλήν σου ὑμνήσω
ἐκ νυκτὸς ὀρθρίσας ἀγαθότητα.

ამ შემთხვევაშიც რიტმიკა განსხვავებულია:

ბერძნ. 4· 6·7· 9·11=37
ქართ. 6·11·5·11· 5·10=47

3. იხილეთ, იხილეთ,
რამეთუ მე ვარ ღმერთი — მჴსნელი თქუენი,
რომელი პირველ საუკუნეთა
მამისაგან ვიშევ უდედოდ
და აღსასრულსა ჟამთასა
განვკაცენ ქალწულისაგან,
რაჲთა დავჴსნე
წყევაჲ პირველი ადამისი,
ვითარცა კაცთ-მოყუარე ვარ (668).

Ἴδετε, ἴδετε
ὅτι ἐγώ ειμι ὁ Θεὸς ὑμῶν
ὁ πρὸ τῶν αἰώνων γεννηθεὶς ἄνευ μετρὸς
καὶ ἐκ τῆς παρθένου ἐπ ἐσχάτων
δίχ ἀνδρὸς σαρκωθεὶς,
καὶ λύσας τὴν ἁμαρτίαν
τοῦ προπάτορυς 'Αδὰμ
ὡς φιλάνθρωπος (323, β′).

ზუსტი თარგმანია, რიტმიკა სხვაობს:

ბერძნ. 6·11·13·10·7·8·7·5=67
ქართ. 6·11·10· 9·8·8·4·9·8=73

ხომ არ არსებობდა მსგავსი რიტმული დაყოფის ბერძნული დედანიც?

ზუსტ შინაარსობრივ თარგმანს გვაწვდიან შემდეგი ქართული ძლისპირებიც, მაგრამ აქაც დარღვეულია ბერძნული დედნის რიტმული მოდელი:

4. ძლისპირი „ხატსა მას ოქროჲსასა არა თაყუანის-სცეს“ (144) ზუსტი თარგმანია ს. ევსტრატიადისის № 47 აკოლუთიის η′ ოდის ირმოსისა 'Ινδάλματος χρυσοῦ, მაგრამ მარცვალთა შეფარდებაში სხვაობაა (87:77).

5. ძლისპირი „ეჰა ახალი და ღმრთივ შუენიერი საკჳრველებაჲ“ ზუსტად გადმოსცემს № 97 აკოლუთიის ϑ′ ოდის ირმოსის შინაარსს. რიტმული შეფარდების მხრივ კი სჭარბობს 17 მარცვლით.

დასახელებული ძლისპირები დედნის შინაარსობრივი ადეკვატებია. რიტმული შეუთავსებლობის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს: რიტმულად შესაბამისი ბერძნული დედანი, მთარგმნელის ნაკლები კვალიფიკაცია ან კილოს ვარიაციები ქართულ ნიადაგზე.

გ) ორიოდე შემთხვევა დადასტურდა, როცა ბერძნული და ქართული ძლისპირები შინაარსობრივ სხვაობენ, რიტმიკის თვალსაზრისით კი ემთხვევიან ერთმანეთს.

1. IV ხმის IX გალობის ძლისპირი:

ღმერთი უფალი
გამოჩნდა შენგან, სძალო
უბიწოო, ჴორცითა
და ვითარცა კაცი,
იქცეოდა ქუეყანასა ზედა,
რომელსა ერნი გალობით ქებასა შეასხმენ:
კურთხეულ არს მომავალი
ჩუენდა სახელითა უფლისაჲთა უკუნისამდე (413).

შევუდაროთ კოზმა მონაზონის № 142 აკოლუთიის ϑ′ ოდის ირმოსს:

Θεὸς Κύριος καὶ ἐπέφανεν ἡμῖν
συστήσασθε ἑορτὴν
καὶ ἀγαλλόμενοι
δεῦτε μεγαλύνωμαν Χριστὸν
μετὰ βαΐων καὶ κλάδων
ὕμνοις κραυγάζοντες.
εὐλογημένος ὁ ἐρχόμενος
ἐν ὀνόματι Κυρίου
σωτῆρος ἡμῶν.

შინაარსობრივად ამ ძლისპირებს შორის დიდი დაცილებაა, მაგრამ რიტმიკა მსგავსია:

ბერძნ. 12·7·6· 9·8·6·10·8·5=71
ქართ. 5·7·6·6·10·14·8·15=71

თანმხვედრია მარცვალთა საერთო რაოდენობა, ტაეპობრივ შეფარდებაშიც სხვაობა უდრის 1-ს (9:8). ტაეპების სილაბიკის მხრივაც მსგავსებაა. ტაეპთა დანაწევრებაც და შერწყმაც ქართულში არ არღვევს რიტმულ მთლიანობას. ძლისპირის დასაწყისი ორი ტაეპი (კილოს საყრდენი და სტაბილური ნაწილი) შერწყმულია და ჯამით (12 მარცვალი) შეესაბამება ბერძნული ირმოსის პირველ ტაეპს. აქ შინაარსობრივი დამთხვევაცაა. ბერძნულის მეხუთე და მეექვსე ტაეპები ქართულში შენაცვლებულია 14-მარცვლიანი მონაკვეთით. ქართულის ბოლო 15-მარცვლიანი ტაეპი შეესაბამება ბერძნულის ბოლო ორ ტაეპს (რომელთა საერთო ჯამია 13 მარცვალი). ქართულის ეს მარცვლობრივი სიჭარბე გაწონასწორებულია წინამავალი ტაეპის 2 მარცვლით შემცირებით.

რიტმიკა მსგავსია, მაგრამ რა ვუყოთ შინაარსობრივ დაშორებას? ასეთ შემთხვევაში სავარაუდებელია: ა) მსგავსი შინაარსის ბერძნული დედნის არსებობა, რომელიც კილოს მხრივ ემთხვეოდა მოტანილ ირმოსს, ბ) ქართული ძლისპირი ზემოთ მოტანილი ბერძნული ძლისპირის (142, ჶ′) თავისუფალი თარგმანის გადმოკეთებაა, ან კიდევ ბერძნულის კილოზე დაწერილი ქართული ძლისპირია.

2. ამაღლდა
მზე და მთოვარე
და დადგა წესსა ზედა თვსსა,

აჰმაღლდი ძელსა ზედა, სულგრძელო,
და აჩუენე, ვითარცა ღმერთ ხარ,
ძლიერებაჲ შენი, მოწყალე(46).

ს. ევსტრატიადისის № 15 აკოლუთიის δ′ ოდის ირმოსის ალოსის თარგმანია:

Ἐπήρθη ὁ ἥλιος
καὶ ἡ σελήνη ἔστη ἐν τῇ τάξει αὐτῆς
ὑψώθης, μακρόθυμε, ἐπὶ τοῦ ξύλου
καὶ ἔπεξας ἐν αὐτῷ τὴν Ἐκκλησίαν σου.

რიტმული დაყოფის სქემები:

ბერძნ. 7·13·12·13=45
ქართ. 3·5· 9·10·7·11=45

ბერძნული და ქართული ძლისპირების მარცვალთა საერთო რაოდენობის მხრივ ზუსტი თანხვედრაა. სხვაობაა მხოლოდ ტექსტის ტაეპებად განაწილებაში შეფარდებით 4:6. ქართულში ბერძნულის I ტაეპი დანაწევრებულია. ბოლო ორი ტაეპი შინაარსობრივად სხვაობს ბერძნულისაგან. სლავური თარგმანი ემხრობა ბერძნულს[136]. აქ დასაშვებია ქართულის შესაფერისი დაბოლოების მქონე ბერძნული დედნის არსებობა ან მთარგმნელის ინიციატივა.

დ) სხვაობებია როგორც შინაარსის, ისე მეტრის თვალსაზრისით:

1. იხილეთ, იხილეთ,
რამეთუ მე ვარ ღმერთი,
რომელმან მოვაკუდინი და ვაცხოვნი,
რომელმან აღმოუცენე
წყალი კლდისაგან მყარისა,
ხოლო ახლისა ერისათჳს
დავსთხიენ უბიწონი სისხლნი,
რაჲთა ვაცხოვნნე იგინი (283).

Ἴδετέ, Ἴδετε ὅτι ἐγώ εἰμι Θεὸς
ὁ θανατῶν καὶ ζωογονῶν

---

[136] E. Koschmieder, Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente..., S. 260, 12—13.

ὁ δωρησάμενος ὕδωρ ἐκ πέτρας ἀκροτόμου
καὶ ἐπομβρήσας τὸ μάννα εἰς βρῶσιν
τῷ λαῷ τοῦ Ἰσραὴλ ὡς δυνατός (148, β' ἄλλος)

შინაარსობრივად ქართული ძლისპირი დასაწყისში ზუსტად გადმოსცემს ბერძნულ ირმოსს. სხვაობა ბოლო ორ ტაეპშია. ბერძნულშია: „ვუწვიმე მანანა საკვებად ისრაელის ხალხს, როგორც შემოქმედმა (შემძლებელმა)“, ქართულში კი „დავსთხიენ უბიწონი სისხლნი, რაჲთა ვაცხოვნნე იგინი“. ეს შინაარსობრივი სხვაობა შეიძლება სხვა ბერძნული ხელნაწერიდან მოდიოდეს, შესაძლებელია იყოს მთარგმნელის თავისუფალი გააზრების შედეგი.

მოტანილი ძლისპირის ბერძნული წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი ფაქტიც: ერთ-ერთ სინურ იადგარში (Sin.64) IV ხმის II გალობის დასახელების შემდეგ წარმოდგენილია ბერძნული დასაწყისი ქართული ტრანსკრიფციით: იდეტე, იდეტე, ოტი ელო იმი თეო (8v), რასაც მოსდევს ქართული ძლისპირის დასაწყისიც: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე“. აღნიშნული დასაწყისით კი IV ხმაში მხოლოდ ზემოგანხილული ძლისპირია დადასტურებული.

ბერძნულ-ქართული ძლისპირების რიტმული სტრუქტურა სქემატურად ასე გამოიხატება:

ბერძნ. 14·9·15·11·11=60
ქართ. 6·7·11 ·8· 8·9·9·8=67

ტაეპთა რაოდენობაშიც სხვაობაა (5:8) მარცვალთა საერთო რაოდენობაშიც. აქ უნდა დავუშვათ სხვა რიტმული აღნაგობის დედანი, ანდა ძლისპირი გამოხატავს ორიგინალურ ქართულ კილოს. კილოში შესაძლებელი იყო ვარიაციებიც უკვე ქართულ სინამდვილეში. ბერძნული დასაწყისი ამ ფაქტს არ ეწინააღმდეგება.

2. დასასრულსა

საუკუნეთასა წარწყმედად მიწევნულნი
ღელვათაგან ცოდვათაჲსა ვღაღადებთ ჭირვეულნი:
ნუ უგულებელს-მყოფ, მოწყალე,
არამედ მიჴსენ მჴეცისაგან სულთა მომსრველისა,.
ვითარცა იჴსენ პირველ
ვეშაპისაგან წინაჲსწარმეტყუელი (218).

Τοὺς εἰς τὰ τέλη τῶν αἰώνων
καταντήσαντας, φιλάνθρωπε
καὶ τρικυμίαις πειρασμῶν
ἀπολέσθαι κινδυνεύοντας
βοῶντας: μὴ παρίδῃς
σῶσον, σωτήρ, ὡς ἔσωσας
Τοῦ θηρὸς τὸν προφήτην (110, ε').

ქართული ძლისპირი ბერძნულის პარაფრაზს წარმოადგენს, დასაწყისსა და ბოლო ტაეპებში მსგავსებაა.

დიდი სხვაობაა რიტმულ შეფარდებაშიც:

ბერძნ. 9· 9· 8·9· 7·8·7=57
ქართ. 4·13·15·9·15·7·10=73

3. შინაარსობრივი და რიტმული გადახვევებია ძლისპირშიც „ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა“ (34). იგი შეესაბამება ს. ევსტრატიადისის № 15 აკოლუთიის γ' ოდის ირმოსს Λίθον ὃν ἀπεδοκίμασεν. ქართული ძლისპირი შედგება 9 ტაეპისაგან. 6 ზუსტად არის თარგმნილი. ბოლო სამ სტრიქონში კი შინაარსობრივი ცვლილებებია: 'Εν ᾗ ἐστερέωσε τὴν Ἐκκλησίαν ὁ Χριστὸς, ἣν ἐξ ἐθνῶν ἐξηγοράσατο-ს შესაბამის ადგილზე ქართულშია: „რომელი უფლისა მიერ იყო და არს საკჳრველ წინაშე თუალთა ჩუენთა“. ამ ორი ძლისპირის რიტმულ შეფარდებაში სხვაობა 18 მარცვალია (78:60).

4. „მთაჲ, რომელი იხილა პირველ ჩრდილოჲთ“ (834).

დასაწყის ტაეპებში შინაარსობრივად ემთხვევა ს. ევსტრატიადისის № 108 აკოლუთიის d' ოდის ირმოსს (Τὸ κατάσκιον ὄρος), მაგრამ თარგმანი გავრცობილია, დამატებული ჩანს: „რამეთუ საშოჲსა შენისაგან შეიმოსა კაცებაჲ სიტყუამან ღმრთისამან ჴსნისათჳს ჩუენისა“. სხვაობაა რიტმულ შეფარდებაში—71:55.

5. „განაქარვე ღამე იგი ვნებათაჲ“ (617) ზუსტი თარგმანია № 290 აკოლუთიის ε' ოდის ირმოსისა. სხვაობაა მხოლოდ ბოლო ტაეპში: ქართულშია („განათლებულნი თაყუანის-გცემენ შენ“, ბერძნულში— Δημιουργὲ τοῦ παντός (სლავურიც მხარს უჭერს ბერძნულს). რიტმული შეფარდებით ბერძნული და ქართული ძლისპირები სხვაობენ. დასაწყის ტაეპებში სილაბიკის მხრივ მსგავსებაა. მარცვალთა საერთო რაოდენობაში დაცილებაა 14 მარცვალში.

ბერძნ. 11·7· 8· 7·7·7·7=54
ქართ. 4·7·14·10·7·8·10=68

6. VII ხმის δ′ ოდის ძლისპირი:

დაფარნა ცანი
შუენიერებამან შენმან, უფალო,
და ქებითა შენითა შემკობილ არს ეკლესიაჲ
და შვილთა თანა გიღაღადებთ:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო (607).

შევუდაროთ № 282 აკოლუთიის შესაბამისი გალობის ირმოსს:

Τούς οὐρανοὺς ἐκάλυψεν
ἡ ἀρητή σου, Κύριε,
καὶ τῆς σῆς αἰνέσεως
τὰ πάντα πεπλήρωται
δόξα τῇ δυνάμει σου, φιλάνθρωπε.

ქართული ძლისპირი ზუსტად გადმოსცემს ბერძნული ძლისპირის 3 ტაეპს, ოღონდ აქ πάντα („ყოველივე“) შენაცვლებულია „ეკლესიით“. ქართულის IV მომდევნო ტაეპი „შვილთა თანა გიღაღადებთ“ ბერძნულში საერთოდ არ ჩანს. ქართული და ბერძნული ირმოსების ბოლო ტაეპები მსგავსია, ოღონდ ქართულში ეპითეტი **φιλάνθρωπε** „უფალითაა“ შენაცვლებული. თუ ქართულის დამატებით ტაეპს არ მივიღებთ მხედველობაში, ბერძნული და ქართული ძლისპირების რიტმიც კარგად ერგება ერთმანეთს:

ბერძნ. 8· 7·7·11=41
ქართ. 5·11·7·5·9·10=50

ერთი ტაეპის მომატება არღვევს მარცვალთა რაოდენობრივ თანაფარდობას.

ე. კოშმიდერი მსჯელობს რა ამ ირმოსის სლავურ თარგმანზე, ბერძნული დედნისაგან გადახვევად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ φιλάνθρωπε-ს ნაცვლად სლავურშია зовем, მკვლევარი თვლის, რომ ეს ცვლილება სხვა ბერძნული ვარიანტიდან მომდინარეობს[137]. ქართულის „გიღადებთ“, რომელიც მნიშვნელობით ემთხვევა სლავურ зовем-ს, შე-

---

[137] Die ältesten.... S. 59.

იძლება იყოს სხვა ვარიანტის მქონე ბერძნული ირმოსის (ქართულისა და ბერძნულის საერთო წყაროს) გამოძახილი.

დედნისაგან თარგმანის შინაარსობრივი და რიტმული დაცილების განხილული მაგალითებიდან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მხოლოდ სავარაუდო დასკვნები შეიძლება გაკეთდეს: ან არსებობდა ქართული ძლისპირის ზუსტი ბერძნული შესატყვისი, ან მთარგმნელმა თავისუფლად გაიაზრა დედანი, რამაც გამოიწვია დარღვევები ქართულ წყობაში. შესაძლოა აქ იყოს ჩანასახები კილოს ვარიაციებისა ქართულ სინამდვილეში.

ე) საგანგებო ყურადღების ღირსია შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ირმოსს ქართულში შეესაბამება ორი სხვადასხვა თარგმანი.

1. გამოქვეყნებულია (№ 318) და C ხელნაწერშიც დასტურდება VII ხმის „ღაღატყავისას“ ძლისპირი:

იონაჲსებრ
ვეშაპისა მისგან მიჴსენ მე, გევედრები,
სახიერო უფალო,
რომელსა შთანთქმაჲ ჰნებავს
ჩემი უწყალოებით,
განმარინე მე, (620).

ქართულის პარალელურად გამოქვეყნებულია ბერძნული დედანიც —ს. ევსტრატიადისის № 284 აკოლუთიის ε' ოდის ირმოსი*, რომელიც ქართულს შეესაბამება ბერძნული ზედწარწერის („იონას ეკულას“) და რიტმიკის (მარცვალთა საერთო რაოდენობის) მიხედვით, შინაარსობრივ კი სხვაობებია.

B და C ხელნაწერებში (C-ში „მორთულების“ რიგში) დასტურდება ძლისპირი, რომელიც შინაარსობრივად დასახელებული ირმოსის ზუსტი თარგმანია.

მოგვყავს ტექსტები პარალელურად:

იონა მუცლით გამო	Ὁ Ἰωνᾶς ἐκ κοιλίας ᾅδου ἐβόα
ჯოჯოხეთისაჲთ ღაღადებდა:	ἀνάγαγε ἐκ φθορᾶς τὴν ζωήν μου
უფალო, აღმომიყვანე	ἡμεῖς δὲ σοὶ βοῶμεν.

---

* იგივე ირმოსი დასტურდება № 289 აკოლუთიაშიც, რომლის ავტორადაც ითვლება გერმანე პატრიარქი (№ 284 იოანე დამასკელს ეკუთვნის). სხვაობაა რიტმულ დაყოფაში. № 284 აკოლუთიის ε'-ს ირმოსის ბოლო ტაეპს № 289-ში შეესაბამება ორი ტაეპი. № 284 აკოლუთიიდან ქართულში სხვა ირმოსი არაა თარგმნილი. 289-დან კი დასტურდება β', ε', η', ϑ' გალობათა ძლისპირების თარგმანებიც.

განხრწნისაგან ცხორებაჲ ჩემი	παντοδύναμε σωτὴρ
და შენდამი ვღაღადებთ:	ἐλέησον ἡμᾶς.
ყოლად ძლიერო უფალო,	
დიდებაჲ შენდა (624).	

ქართული ძლისპირი სიტყვასიტყვით მისდევს ორიგინალს. ოლონდ ბოლო ტაეპშია სხვაობა (ἐλέησον ἡμᾶς-ს ადგილზე ქართულშია „დიდებაჲ შენდა“).

წარმოვადგენთ რიტმული დაყოფის სქემებსაც.

ბერძნ. 13·11·7·7·6=44
ქართ. ა 4·13·7·7·7·5=43
ქართ. ბ 7· 9·8·9·7·13=53

ამრიგად, ორი ქართული ძლისპირიდან ერთი რიტმულად უფრო ახლოს დგას ბერძნულთან, მეორე—შინაარსობრივად. B და C ხელნაწერებში ისინი შევიდნენ პარალელურად. ასეთი პარალელური ძლისპირები დადასტურებულია სლავურ ირმოლოგიონშიც. I ხმის VII გალობაში ერთი ირმოსის ორი ვერსიაა «Оутробу напалиму» და «чрево воспало»[138]. აქედან I ახლოსაა ბერძნულთან შინაარსობრივად, II—რიტმულად. მარცვალთა რაოდენობა ბერძნულშია 60, I სლავურ ვარიანტში 79 მარცვალია, II-ში—62. მ. ველიმიროვიჩი ამ ფაქტს ხსნის ასე: ლიტურგიკული კალენდრის მიხედვით, როცა ამ გალობის ძლისპირები სრულდებოდა, სლავ მგალობელს არჩევანის შესაძლებლობა ჰქონდა[139].

2. II ხმის „აკურთხევდითსა“-ში დაცულია ორი შინაარსობრივად ახლოს მდგომი ძლისპირი:

ა) რომელმან პირველ
ყრმათა ებრაელთა
საკუმილსა შინა ცუარი ასხურა ზეგარდამო
და ალითა მით
გარემოჲს ქალდეველნი მოსრნა,
ამას უგალობდეთ და ვიტყოდით:
ღმერთსა აკურთხევდით
და უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე (138).

---

[138] M. Velimirovič, The Influence of Byzantine Chant, p. 5; მისივე, Структура..., с. 153.

[139] მისივე, Структура..., с. 154.

ბ) რომელმან საჴუმილსა ცუარი ასხურა
ებრაელთა ყრმათა ცეცხლსა შინა
და შეწუნა უფალმან
რისხვით
ქალდეველნი იგი,
უგალობდეთ და ვიტყოდით: აკურთხევდით
და უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე (148).

შეესატყვისება გერმანე პატრიარქის № 59 აკოლუთიის η′ ოდის ირმოსს:

Τὸν πάλαι δροσίσαντα
τῶν Ἑβραίων τοὺς παῖδας ἐν φλογὶ
καὶ φλέξαντα Κύριον
τοὺς χαλδαίους παράδοξως ἐν αὐτῇ
ἀνυμνήσωμεν λέγοντες.
εὐλογεῖτε
καὶ ὑπερυψοῦτε
εἰς πάντας τοὺς αἰῶνας*.

დასახელებული ძლისპირების რიტმული სტრუქტურა სქემატურად ასე გამოიხატება:

ბერძნ. 7·9· 7·11· 8· 4·6·7=59
ქართ. ა. 5·6·14· 4·9·10·6·4·10=69
ქართ. ბ. 11·10·2·6·12·4·10=62

მარცვალთა საერთო რაოდენობით ბ ძლისპირი ბერძნულისაგან სხვაობს 3 მარცვლით. ა ძლისპირი კი ამ მხრივ მეტადაა დაშორებული ბერძნულისაგან.

3. ორი თარგმანის სახითაა დაცული V ხმის № 189 კანონის δ′ ოდის ირმოსიც:

Τὰ ἔργα τῆς οἰκονομίας σου, Κύριε,
ἐξέστησαν τὸν προφήτην Ἀββακούμ
ἐξῆλθες γὰρ εις σωτηρίαν λαοῦ σου
τοῦ σῶσαι τοὺς Χριστούς σου ἐξήλυθας.

---

* ს. ევსტრ. გამოცემის № 56 აკოლუთიაში, რომელიც აქ ანდრია ტკფლოსს მიეწერება, ეს ირმოსი ალოსად არის შეტანილი და იქ ბოლო 2 ტაეპი შეერთებულია.

ა) საიდუმლოთა განკაცებისა შენისათა,
უფალო, შეაძრწუნეს
წინაჲსწარმეტყუელი ამბაკუმ,
რამეთუ მოხუედ მაცხოვრად ერისა
შენისა და ჴსნად ცხებულთა შენთა (452).

ბ) საიდუმლოთა განგებულებისა შენისა
გარდამოსლვისათა, უფალო,
განაკჳრვეს ღმრთისმეტყუელი ამბაკუმ
და ღაღადებდა:
მაცხოვრად ერისა ახლისა მოხუედი
და ჴსნად ცხებულთა შენთა (451).

რიტმული თანაფარდობის სურათი ასეთია:

ბერძნ. 13·11·12·11=47
ქართ. ა 14· 7· 9·11·10=51
ქართ. ბ. 14· 9·11· 5·12·7=58

ა ძლისპირი სიტყვასიტყვით გადმოსცემს ბერძნულ ირმოსს, მარცვალთა საერთო რაოდენობითაც უფრო ახლოსაა ბერძნულთან (47:51).

მეორე ძლისპირი აზრობრივად არ შორდება პირველს, მაგრამ აქ ერთგვარი გავრცობაა. Τὰ ἔργα τῆς οἰκονομίας-ს ა-ში შეესაბამება „საიდუმლოთა განკაცებისა შენისათა", ბ-ში: „საიდუმლოთა განგებულებისა შენისა გარდამოსლვისათა", აქვე ემატება ზმნა „ღაღადებდა" და ეპითეტი „ახლისა" (ერისა ახლისა), προφήτης გადმოღებულია „ღმრთისმეტყუელით". ეს ძლისპირი სხვაობს ბერძნულისაგან სილაბიკის მხრივაც (სჭარბობს 11 მარცვლით). განსხვავებაა ტაეპთა რაოდენობაშიც. შინაარსობრივად მსგავს ძლისპირებში სხვაობა უნდა იყოს კილოს მიხედვით.

ორივე ძლისპირი „მორთულთა" რიგშია, მაგრამ ბ-ს ახლავს საგანგებო ნიშანი ⊙. ასეთივე ნიშანი უზის ზემოთ განხილულ „იონაჲ მუცლით გამო"-საც. აქაც ძლისპირის შინაარსი ახლოსაა ბერძნულთან, რიტმიკა განსხვავებულია. იგივე ითქმის ძლისპირების „ნათლითა შენითა" („მორთულია") და „წინაჲსწარმეტყუელისა იონაჲს" (ეს უკანასკნელი „უცხოთა" წყებაშია) შესახებაც (იხ. გვ. 47—52).

რაკი ნიშანი ⊙ ამ შემთხვევაში ახლავს ბერძნულისაგან რიტმულად განსხვავებულ ძლისპირებს, შეგვეძლო გვეთქვა, რომ ეს ნიშა-

ნი ამ რიტმულ განსხვავებას, კილოს მოდიფიკაციას უნდა უსვამდესო ხაზს, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ფაქტები, როცა ეს ნიშანი ბერძნულთან შინაარსობრივად და რიტმულად მსგავს ძლისპირებთანაც დასტურდება. მაშასადამე, როგორც წარმომავლობა, ისე თარგმნის ხასიათი არ განსაზღვრავს ამ ნიშნის შემოღებას. იგი, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, სიახლეზე, ძველი ფენისაგან განსხვავებაზე უფრო უნდა მიუთითებდეს[140].

ჩვენი ვარაუდით, ერთი და იმავე ირმოსის პარალელური თარგმანები ქართული სინამდვილისათვის უნდა იყოს იგივე, რაც ბერძნულში εἱρμὸς ἄλλος-ი.

ჩვენ საშუალება არა გვაქვს აღვნუსხოთ და გავაანალიზოთ ყველა კონკრეტული შემთხვევა ქართული ძლისპირების მიმართებისა ბერძნულ დედნებთან და შესატყვისებთან. რიტმული თანაფარდობის შემთხვევებიც განხილულია ცალმხრივად, ნევმების გარეშე, რაც ცალკე შესწავლის საგანია, მაგრამ განხილული მასალის საფუძველზეც ზოგადად შეიძლება დავასკვნათ:

ნათარგმნი ძლისპირების ის ფენა, რომელიც ძლისპირთა II (და ზოგჯერ III) რედაქციის კუთვნილებაა, მეტ-ნაკლები სიზუსტით გადმოსცემს ბერძნული ირმოსების შინაარსსა და რიტმიკას.

შინაარსობრივი გადახრები ბერძნული დედნიდან შეიძლება აიხსნას როგორც მსგავსი ბერძნული დედნის ვარიანტის დაშვებით (რომელიც დღემდე მოღწეული ან მიგნებული არ არის), ისე მთარგმნელის ჩარევით, რომლის უფლებას მას სათარგმნი მასალის სპეციფიკა — ძლისპირების ბერძნულ კილოსთან მორგების ამოცანა აძლევდა.

ბერძნული დედნის რიტმული სტრუქტურის დარღვევის შემთხვევები (შინაარსობრივი იდენტურობის პირობებში) უნდა ემსახურებოდეს თარგმნილი ირმოსის ქართულ კილოზე მართვის მიზანს. აქვე შეიძლება დავუშვათ განსხვავებული რიტმული ვარიანტის მქონე დედანიც.

შინაარსობრივი და რიტმული დაშორების შემთხვევებში სავარაუდებელია ბერძნული ირმოსის გადმოკეთება ქართულ კილოზე.

---

[140] ძლისპირნი..., 073.

ნათარგმნი ძლისპირების მიმართება ძლისპირთა კრებულების რედაქციებთან

კრებული A—603 შეიცავს 872 ძლისპირს. მათში შეძლებისდაგვარად გამოვყავით ფენა ნათარგმნი ძლისპირებისა. რადგან ძლისპირთა I რედაქცია მომდევნოთა აუცილებელი და პირველადი პლასტია, A-603-ის ნათარგმნი ფენის დიდი ნაწილი I რედაქციის ძლისპირებია. ამ რედაქციის 403 ძლისპირიდან, რომელთა უმეტესობას ე. მეტრეველმა დაუძებნა ბერძნული დედნები და შესატყვისები ბერძნული ირმოლოგიონის გამოცემებში, C ხელნაწერში ფიქსირებულია 358 ძლისპირი (რამდენიმე ძლისპირი I რედაქციისა, როგორც უკვე აღინიშნა, C ხელნაწერში შეტანილი არ არის, ნაწილი ძლისპირებისა კი I ხმის VII გალობიდან II ხმის III გალობამდე ჩათვლით A—603-ს აკლია, დაკარგულია). ჩვენ მიერ მიკვლეულ იქნა C ხელნაწერის დამატებითი რედაქციული ფენების ძლისპირთა ნაწილის დედნებიც. კვლევის დღევანდელ ეტაპზე მათი რიცხვი 105-ს აღწევს.

აქ განვიხილავთ ჩვენ მიერ მიკვლეული ნათარგმნი ძლისპირების დამოკიდებულებას ძლისპირთა კრებულების რედაქციებთან, მათი გავრცელების სურათს ქართული ირმოლოგიონის ხელნაწერებში.

C-ს ნათარგმნი ძლისპირები, რომლებიც დაიძებნა I რედაქციისაგან განსხვავებულ ფენაში, სხვადასხვაგვარად არის ასახული ძლისპირთა კრებულების შემადგენლობაში.

1. ამ ძლისპირთა ერთი დიდი ნაწილი საერთოა C ხელნაწერისა და II რედაქციის კრებულებისათვის. ისინი შედიან მიქაელ მოდრეკილის იადგარის, Sin.3, Jer.48 და სხვა ლიტურგიკული ძეგლების ძლისპირთა კრებულებში. B-ს (S—425) „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“, როგორც არაერთგზის აღინიშნა, ნაკლულად არის შემორჩენილი, ამიტომ სინურ-იერუსალიმური წარმომავლობის ხელნაწერებს, რომლებიც ძლისპირთა ვრცელი ნუსხებია და II რედაქციის პრინციპულ ნიშნებს ატარებენ, მნიშვნელობა აქვთ C-ს II რედაქციასთან საერთო ძლისპირების გამოყოფისათვის.

C-ს ძლისპირები: „სუეტითა მით ცეცხლისაჲთა“ (11), „ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს“ (34), „ამაღლდა მზე და მთოვარე“ (46), „რომელმანცა უფსკრულთა სიღრმე“ (577) თარგმანებია ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემაში დადასტურებული ირმოსებისა (15, α′ 16, α, 15, γ′, 281 α′).

ეს ძლისპირები დასტურდება მხოლოდ Sin. 3-ში (ძლისპირი „რო-

მელმანცა უფსკრულთა სიღრმე“ დადასტურდა B-ს ლიტურგიკულ მასალაშიც). შემდეგ ისინი გამოჩნდებიან XVIII ს. ძლისპირთა კრებულებში A—418, H—597, A—458 . . .

ძლისპირები „ფარაოს ეტლები“ (177), „აღმსთობილნი გიგალობთ შენ“ (209), „რომელმან ალი იგი ცურეულ ჰყავ“ (225), რომელთა დედნები დასტურდება ბერძნულ ირმოლოგიონში (ევსტრ. №104, α′, 110, α′, 107, ζ′), ძლისპირთა ძველი კრებულებიდან გვხვდება Jer. 48-ში, მოგვიანებით მათ ასახვას ვპოულობთ ქუთაისურ 22 (XIII ს.) და XVII საუკუნის ძლისპირთა კრებულებში: A—458, A—872. გარდა ძლისპირისა „აღმსთობილნი“, რომელიც მხოლოდ C ხელნაწერისა და Jer. 48-ის კუთვნილებაა.

მაშასადამე, ბერძნული წარმომავლობის ძლისპირთა ნაწილი C ხელნაწერში შესულია მეორე რედაქციიდან.

2. ბერძნული წარმომავლობის ძლისპირების ერთი ნაწილის სიძველეს ხაზს უსვამს მათი გამოყენება X ს. ლიტურგიკული ძეგლების ჰიმნოგრაფიულ მასალაში. ასეთებია: Sin. 1, Sin. 64, Sin. 65.

C-ს I ხმის I გალობის მასალაში „უცხოს“ სახელწოდების აღნიშნული ძლისპირებიდან აქ დასტურდება:

ა) „რომელი შეეწია ღმერთი“—ევსტ. 22, α′, C (9), Sin. 64 (67r);

ბ) „გალობითა ძლევისაჲთა“—ევსტრ. 15, α′, C (10), Sin. 64 (85r);

გ) I ხმის IV გალობის ძლისპირი „დიდ არს საიდუმლოსა შენისა“ (43) დასტურდება სხვა ხელნაწერებთან ერთად Sin. 64-ში (32 v) და Sin. 65-ში (190 r).

ამავე ხმის β′ გალობის ძლისპირი: „მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით, რამეთუ სიტყუაჲ მამისაჲ“ (C:15, ევსტრ. 8, β′) დასტურდება Sin. 1 (36r), Sin. 64-ში (17r) და B ხელნაწერის ლიტურგიკულ მასალაშიც (180v).

ლიტურგიკული ძეგლების მასალაში დადასტურდა ისეთი ძლისპირებიც, რომლებიც II რედაქციის ძლისპირთა კრებულებში შესული არ არის.

„უხრწნელისა შობისა“ (C 647, ევსტრ. 290, ϑ′) C-ს წინამორბედ კრებულებში არ გვხვდება, B-ს ლიტურგიკულ მასალაში კი დასტურდება.

VI ხმის η′ გალობის ძლისპირი „შემწუველისა მის ცეცხლისა“ თარგმანია ირმოსისა Τῆς περιφλέκτου. იგი არ არის ასახული C-ს წინა-

მორბედ ძლისპირთა კრებულებში, B-ს ლიტურგიკულ მასალაში კი შეტანილია (121 r); ეს ძლისპირის სიძველეს მიანიშნებს.

3. გვხვდება თუ არა ბერძნულით თარგმნილი ძლისპირები ძლისპირთა III რედაქციაში, კერძოდ, C ხელნაწერის იმ ნაწილში, რომლითაც ის გამოირჩევა ყველა დანარჩენი კრებულისაგან?

სხვა ქართულ ხელნაწერებში არ დასტურდება C-ს ბერძნული წარმომავლობის შემდეგი ძლისპირები:

„მნათობად ჩუენდა“, 57, (16, ε′)
„კუალად იესო განკაცნა“, 815, (49, β′)
“ქალწულისაგან შობაჲ“, 90, (57, δ′)
„ცოდვისა ალმურსა“, 103, (55, ε′)
„რომელმან პირველ ყრმათა“, 138, (56, ζ′ εἱρμὸς ἄλλος)
„რომელმან საჴუმილსა“, 142, (56, ζ′ εἱρμὸς ἄλλος)
„ქუეყანისა ნაშობთა“, 161, (62, ϑ′)
„უგალობდეთ უფალსა“, 828, (111, α′)
„ვითარცა წჳმაჲ“ 829, (114, β′)
„განძლიერდი, სულო ჩემო“, 833, (102, γ)
„სიღრმენი ვნებათანი“, 837, (104, ϛ′)
„რომელიცა ანგელოზთა მიერ“, 235, (106, η′)
„მაყლოანსა მას შინა“, 248, (100, ϑ′)
„ესე არს ღმერთი ჩუენი“, 325, (136, δ′)
„ვეშაპისა მუცელსა“, 358, (136, ϛ′)
„ქუეყანაჲ და ყოველივე“, 395, (150, η′)
„ცეცხლისფერნი დგანან“, 396, (49, η′)
„გალობაჲ ძლევისაჲ“, 433, (188, α′)
„წარმართთა ზედა ღმერთი სუფევს“, 445, (189, γ′)
„საიდუმლოთა განგებულებისა შენისათა“, 451, (189, δ′)
„საიდუმლოთა განკაცებისა შენისათა“, 452, (189, δ′)
„ღამითგან თაყუანის-ცემულნი“, 458, (187, ε′)
„რომელი მამათაჲ და ჩუენი ღმერთი“, 474, (189, ζ′)
„დაბადებულთა შემოქმედსა“, 482, (189, η′)
„წმიდანი შენნი ყრმანი“, 483, (196, ζ′)
„უგალობდეთ უფალსა, რომელმან დაანთქა“, 579, (288, α′)
„მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით“, 583, (289, β′)
„ნათლითა შენითა“, 719, (315, ε′)
„რომელმან ანგელოზისა მიერ“, 755, (326, ζ′).

ეს ძლისპირები არ არის შესული მიქაელ მოდრეკილის იადგარის ლიტურგიკულ მასალაშიც. შესაბამისი მონაკვეთები ძლისპირთა კრებულისა კი B ხელნაწერს შემორჩენილი აღარ აქვს, ამიტომ ზუსტად ვერ ვიტყვით, იცნობდა თუ არა ამ ძლისპირებს მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილი „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ (ერთი კი ფაქტია, დასახელებული ძლისპირები არ არის დადასტურებული X საუკუნის სხვა იადგარების Sin. 64, Sin. 59, Sin. 65-ის ლიტურგიკულ მასალაში). ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ისინი მხოლოდ C ხელნაწერის კუთვნილებაა, მაგრამ მათი ერთი ნაწილი II რედაქციასთან საერთო უნდა ყოფილიყო. ამის საფუძველს იძლევა B და C ხელნაწერების დიდი მსგავსება შემორჩენილ ნაწილებში (VIII ხმის „უგალობდითსა“, „განძლიერდითსა“ და სხვა გალობები, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, ძლისპირთა რაოდენობითა და მასალით ერთმანეთს ემთხვევა). მხოლოდ B და C ხელნაწერებს შემოუნახავთ ნათარგმნი ძლისპირები:

VII$_4$: „ჴორციელად მოსლვაჲ შენი“ (281, δ′ εἱρμὸς ἄλλος)
„დაფარნა ცანი, ქრისტე ღმერთო“ (288, δ′)
დაფარნა ცანი შუენიერებამან“ (286, δ′)
VII$_5$: „რომელნი აღვიმსობთ, სიტყუაო“ (286, ε′)
„განაქარვე ღამე იგი“ (290, ε′)
VII$_6$: „იონა მუცლით გამო“ (289 ϛ′)
„უფსკრულთა ცოდვისათა“ (290 ϛ′)
VII$_7$: „საჴუმილი მოტყინარე“ (289 ζ′)
VIII$_1$: „გალობითა შევასხმიდეთ“ (331 α′) და სხვა ძლისპირები.

ამასთან, B ხელნაწერის შემორჩენილი ნაწილი იძლევა III რედაქციისათვის სპეციფიკური მასალის გამოყოფის შესაძლებლობასაც. ეს ძლისპირებიც აღნიშნული გვქონდა ცალკე ქვეთავში „A—603-ისა და X—XI სს. ძლისპირთა კრებულების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“. B-საგან განსხვავებულ და მხოლოდ C ხელნაწერში შემონახულ მასალაშიც დადასტურდა რამდენიმე ძლისპირი ბერძნული წარმომავლობისა.

VII$_5$: „ნათლითა შენითა განანათლე“ (537)
Τῷ σῷ φωτὶ αὔγασον (315, α′)
VIII$_6$: „რომელმან ანგელოზისა მიერ იჴსნენ“ (755)

Ὁ δὲ ἀγγέλου παῖδας (326, ζ').

VIII$_5$: ვნებათა ნისლისაგან, ვითარცა ღამისაგან ღრმისა (725).

დედანი ამ უკანასკნელი ძლისპირისა შემორჩენილი არ არის, მაგრამ მისი თარგმანი დაუცავს სლავურ ირმოლოგიონსაც, რაც ადასტურებს ქართული ძლისპირის ბერძნულისაგან მომდინარეობას (იხ. გვ. 85).

აქ დასახელებული ორი ძლისპირი თავისებურებას ავლენს ტექსტის მუსიკალური გაფორმების მხრივ (ნევმებისა და რიტმული დაყოფის თვალსაზრისით), „ვნებათა ნისლისაგან“ მხოლოდ შავი წერტილებითაა დაყოფილი და ნევმირებული არ არის. „რომელმან ანგელოზისა მიერ“, როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. გვ. 40), საერთოდ გაბმული ტექსტის სახით არის დაწერილი და არ ახლავს ნევმები, თუმცა იგი თარგმნილია ისე, რომ დაცულია სილაბური თანაფარდობა ბერძნულ დედანთან. ბერძნული ირმოსისა და ქართული ძლისპირის მარცვალთა საერთო რაოდენობა (44:44) თანმხვედრია. ეს ფაქტები შეიძლება ქართული ძლისპირების სიახლეზე მიუთითებდეს. ძლისპირები ითარგმნა შედარებით გვიან. მისი კილო ნაკლებად იყო დამკვიდრებული, ან A—603-ის რედაქტორ-შემდგენელისათვის ნაკლებად იყო ცნობილი, ამიტომ ვერ მოხერხდა მისი ფიქსირება.

ჩვენთვის აქ მთავარი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ბერძნული წარმომავლობის ძლისპირებს შეიცავს საკუთრივ ძლისპირთა III რედაქციის მასალაც.

⁂

კვლევის დღევანდელ ეტაპზე გარკვეულია, რომ C ხელნაწერის ძლისპირთა გარკვეული ნაწილი ბერძნული წარმომავლობისაა. I რედაქციის ძლისპირების ჩათვლით ბერძნული დედანი და შესატყვისი დაეძებნა C ხელნაწერის 500-მდე ძლისპირს. საძიებელია დარჩენილი 400 ძლისპირის ბედი.

ამ დარჩენილ მასალაში, ნაწილი, რა თქმა უნდა, ბერძნული წარმომავლობისა იქნება. მათ დედნებს შეიძლება შეიცავდეს ბერძნული ირმოლოგიონის ისეთი გამოცემები და ხელნაწერები, რომლებიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ არის. არც ის არის გამორიცხული, რომ ქართულში შემონახული ძლისპირების დედნები ბერძნულში დაკარ-

გული იყოს (ხომ დადასტურდა ისეთი ქართული ძლისპირები, რომლებიც საერთოა სირიულთან და სლავურთან, ბერძნულში კი მათი დედნები შემორჩენილი (ან მიგნებული არ არის). ამიტომ ბერძნული ირმოლოგიონების და ქართული ძლისპირთა კრებულების შედგენილობის შედარებითი შესწავლა დღის წესრიგში დგას კვლავ. მაგრამ A—603-ში აუცილებლად უნდა იყოს შესული ორიგინალური ქართული ძლისპირებიც:

ორიგინალური ძლისპირების არსებობას უნდა ადასტურებდეს შემდეგი ფაქტები:

1. მიქაელ მოდრეკილის ანდერძი: „შევკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა, მეხურნი ბერძულნი და ქართულნი“ (S—425, 24r), ეს პრინციპი ბერძნული და ქართული ძლისპირების თავმოყრისა, როგორც B და C ხელნაწერების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, გაზიარებულია C ხელნაწერის რედაქტორ-შემდგენელის იორდანეს მიერ.

2. ქართულ ორიგინალურ ძლისპირებზე მითითებას ვხვდებით მიქაელ მოდრეკილის იადგარშივე. გ ხმის აღდგომის დასდებელს (202v) მიწერილი აქვს „ქართულნი ძლისპირითურთ“[141]. ამ დასდებელის ძლისპირები ფიქსირებულია C ხელნაწერშიც:

„ბრძანებითა შენითა“ (უგ˜ლბდთსა, 174),
„საიდუმლოჲ ჴორცშესხმისაჲ“ (მოიხილესა, 184),
„კლდესა ზედა სარწმუნოებისასა“ (გ˜ნძლრდსა, 191),
„ქერაბინთა ზედა მჯდომარეო“ (ო˜ო მ˜სმასა, 201),
„გამოჩნდა ბრწყინვალედ“ (ღ˜თგნსა, 210),
„მჴსნელო ჩუენო“ (ღღტყს˜ა, 211),
„ქალდეველნი იგი“ (კრთხლ˜რსა, 226).

3. B ხელნაწერში (S—425) და ასევე C-შიც შეტანილია იოანე მინჩხის რამდენიმე ორიგინალური ძლისპირი[142]: „შურისმგებელი მძლავრი“ (593), „მიდგომილებაჲ საღმრთოჲ“ (614), „წინა-აჩუენა სახე“, (623), „წმიდაო ღმერთო“ (576), „გამოხუედ, ქრისტე“ (603).

ორიგინალური ძლისპირების გამოვლენის შესაძლებლობაა ძლის-

---

[141] ძლისპირნი..., გვ. 067.

[142] ლ. ჯღამაია, იოანე მინჩხის საგალობლები მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებულის მიხედვით (ხელნაწერი შრომა).

პირთა იმ ფენაშიც, რომლებიც არ დასტურდება ნათარგმნი ლიტურგიკული ძეგლების ჰიმნოგრაფიულ მასალაში. ჩვენ შევისწავლეთ X საუკუნის სინური იადგარები Sin. 65, Sin. 64, Sin. 59, Sin. 1, გიორგი მთაწმინდლის მიერ თარგმნილი პარაკლიტონი A—93. ამ კრებულებში არ დადასტურდა ძლისპირთა ნაწილი B და C ხელნაწერებისა. C ხელნაწერის ის მასალა, რაც ძლისპირთა სხვა კრებულებში შეტანილი არ არის, არც ამ ძეგლების მასალაშია დადასტურებული.

ასეთი ძლისპირები ძალიან ბევრია.

VIII ხმის IV გალობაში 12 ძლისპირია. აქედან I რედაქციისაა 8 ძლისპირი. 4 ძლისპირი B-სთან საერთოა.

1. „წინაჲსწარმეტყუელმან შენმან“ (გვხვდება Sin. 65-ის ძლისპირთა კრებულშიც).
2. „იხილა რაჲ წინაჲსწარმეტყუელმან“.
3. „საყდარი ქერაბინთაჲ“.
4. „ღმრთისმეტყუელმან ამბაკუმ“.

არც ერთი მათგანი არ დასტურდება სინური იადგარების მასალაში, ბოლო 2 ძლისპირი კი B-ს ლიტურგიკულ მასალაშიც გვხვდება (259 v, 261v).

მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ რაც ამ ლიტურგიკული ძეგლების მასალაში არ არის, აუცილებლად ორიგინალური ქართული იყოს. ვერსად ვერ დავადასტურეთ ძლისპირი „ვნებათა ნისლისაგან“ (VIII, ღ˜თგნსა), მაგრამ, როგორც აღინიშნა, იგი ბერძნულის თარგმანია. იგივე ითქმის “მორთული“ ძლისპირის შესახებ ამავე გალობაში „სულთა ჩუენთა არმური“, რომელიც ევსტრ. № 327 აკოლუთიის ε′ ოდის ირმოსის თარგმანია.

C ხელნაწერში დადასტურდა შემთხვევები იმისა, რომ ერთი ქართული ძლისპირი მეორის რიტმულ-მელოდიური კალკია. I ხმის I გალობის ძლისპირს „აზღუდნეს წყალნი“ მიწერილი აქვს II ძლისპირის დასაწყისი „მ˜ნბი“ („მონებისა მისგან მწარისა“). ხოლო IV ხმის VI გალობის ძლისპირს „შთავრდომილ ვარ“-ს —ასევე მეორე ძლისპირის დასაწყისი სიტყვა „შთავადი“ („შთავვარდი მე“). ისინი რიტმულ-მელოდიური კალკებია იმ ძლისპირებისა, რომელთა დასაწყისებზეც მიუთითებენ. თვით „მონებისა მისგან მწარისა“ და „შთავვარდი მე“ ბერძნული ირმოსების თარგმანებია. „აზღუდნეს წყალნი“ და „შთავრდომილ ვარ“ ხომ არ არის ქარ-

თულ ნიადაგზე შექმნილი კალკები? აქ ჩვენ ვარაუდის ფარგლებს ვერ გავცილდებით.

ძლისპირთა მხატვრული ფაქტურა ცალკე შესწავლის საგანია. აქ აღვნიშნავთ, რომ უფრო მაღალი მხატვრული დონით, პოეტური სახეებითა და სიმბოლიკით გამოირჩევიან ის ძლისპირები, რომლებიც გალობების ბოლოშია დართული. ისინი უფრო დიდი მოცულობის ტექსტებია. მეტყველება აქ უფრო ლაღად არის გაშლილი, იმიტომ ხომ არა, რომ მათ არ ზღუდავთ უცხოური დედანი? ამ ფენაში ხომ არ არის მოსალოდნელი ორიგინალური ქართული ძლისპირების არსებობა?

ჩვენ აქ რამდენიმე ვარაუდი გამოვთქვით ქართული ძლისპირების სადაურობის შესახებ. ძლისპირთა ორიგინალურობის საკითხს შემდგომი კვლევა-ძიება სჭირდება.

НЕВМИРОВАННЫЙ ИРМОЛОГИЙ

(Рукопись А—603)

Грузинский Ирмологий дошел до нас в уникальных рукописях X—XI веков. Эти рукописи, снабженные невмами (музыкальной нотацией) и ритмическим делением, представляют собой важный источник для исследования грузинской духовной поэзии и музыки.

Ирмологий (Εἱρμολόγιον) — сборник ирмосов. Ирмос — это первый образцовый тропарь каждой песни канона, в соответствии с которым исполняется песнопение. Канон состоит из 9 (или 8) песней. В отличие от греческих, в названиях песней грузинского Ирмология сохранены начальные слова соответствующих библейских гимнов.

Сборник грузинских ирмосов называется «Ирмосы и богородичные». И тем самым подчеркивается его структурная особенность — за каждым ирмосом следует тропарь соответствующей богородичной, исполняемый на размер ирмоса.

Существует два типа греческого Ирмология: КаО и OdO[1]. В типе КаО (Kanons Order) Ирмосы расположены в виде отдельных канонов в пределах каждого гласа. В типе OdO (Odes Order) ирмосы сгруппированы по песням канона в пределах каждого гласа.

Самая древняя рукопись греческого Ирмология датируется X—XI веками. Распространенным видом греческого Ирмология является тип КаО. Рукописи типа OdO более поздние. Наиболее древний греческий список этого типа (PSg — 1284) датируется X—XI веками, но он сохранился в виде двулистного фрагмента. К типу OdO относится также славянский Ирмологий, восходящий к XII—XIII векам.

---

[1] Er. Koschmieder, Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente. Abhandlungen der Bayerischen Akademie der Wissenschaften, Zweite Lieferung, München, 1955, S. 69.

Распространенным видом грузинского Ирмология является тип OdO. Грузинские рукописи Ирмология, сохранившие переводы с греческого, древнейшие — X века. Поэтому они имеют большое значение для изучения греческого Ирмология.

Грузинский Ирмологий создавался и переписывался в зарубежных (Палестина, Синайская гора, Афон) и отечественных (Тао-Кларджети) творческих центрах в течение нескольких столетий и, естественно, списки его отличаются друг от друга по своему составу.

В научной литературе принято подразделять списки грузинского Ирмология на три редакции (П. Ингороква)[2]. I редакция (литера A) дошла в рукописях Sin. I, Sin. 14, Sin. 34, Sin. 65 и Иельского Иадгари. I редакция (400 ирмосов), как основной слой, почти без изменений повторяется в составе остальных двух редакций.

II редакцию составляют «Ирмосы и богородичные» гимнографического сборника Микаэла Модрекили (рукопись S—425 X в). По подсчетам П. Ингороква, в нее должно было входить около 800 ирмосов.

III Редакция, представленная в рукописи A—603 (872 ирмоса), является результатом пополнения I и II редакций новым материалом.

В 1971 году Е. Метревели на основании списков X—XI вв. издала «Ирмосы о богородичные» I редакции типов KaO и OdO[3]. Ею засвидетельствован грузинский Ирмологий типа KaO, обнаружены греческие модели грузинских ирмосов I редакции, оценено значение грузинских сборников для истории изучения развития греческого Ирмология.

Изданы также «Ирмосы и богородичные» II редакции, как составная часть литургического сборника S—425[4].

Настоящая книга является факсимильным изданием III редакции грузинского Ирмология по рукописи A—603. Выбор именно этой рукописи и характер ее издания определены следующими обстоятельствами: а) А—603 по своему составу сборник наиболее полный; б) А—603 Ирмологий невмированный. Для передачи мелодии употребляются невмы и ритмическая пунктуация, что может быть отражено лишь в факсимильном издании.

---

[2] П. И. Ингороква, Сборник сочинений, т. III, Тбилиси, с. 79—92 (на грузинском языке).

[3] Ирмосы и богородичные, Две древние редакции грузинского Ирмология (по рукописям X—XI веков), Тб., 1971.

[4] Микаэл Модрекили, Гимны X в, I—III, 1978 г.

А—603 и другие грузинские невмированные сборники хронологически совпадают с рукописями палеовизантийской нотации (система же музыкальных знаков иная). Палеовизантийская нотация X—XII вв. не расшифрована. Не расшифрованы и грузинские невмы. Факсимильное издание грузинской невмированной рукописи открывает определенные перспективы и перед музыковедами. Мы же ограничиваемся филологическими вопросами, связанными с А—603.

* * *

Пергаменная рукопись А—603 содержит 229 листов. Составитель — Иорданэ. Написана рукопись строчным письмом «нусхури», а заголовки каждого гласа и алфавитная нумерация гласов — заглавными буквами «асомтаврули». Невмы выполнены киноварью. Для ритмического деления текста применяются две точки: черная — выше строки, красная — ниже строки.

«Ирмосы и богородичные» занимают страницы 1—189 рукописи А—603. Стр. 189—229 — занимает Восхваление богородицы, которое здесь не публикуется. В рукописи недостает начальных листов, нехватает листов и в середине (часть ирмосов I и II гласов. Недостающий текст восполнен в приложении по рукописи Sin. 3 (стр. 881—892).

Для определения места А—603 в истории грузинского Ирмология в работе проанализировано ее соотношение со всеми редакциями грузинского Ирмология всех времен.

В результате изучения списков грузинского Ирмология выявлены следующие основные стадии их создания и развития.

I. Так называемый классический период (X—XI вв)—начался созданием первых сборников Ирмология и завершился такими сборниками, где зафиксирован полный репертуар ирмосов (Sin. 1, Sin. 14, S—425, А—603).

II. В XIII—XV вв. происходит своего рода канонизация этих сборников, изъятия отдельных ирмосов и включение новых (А—85, Кут. 22, Кут. 564).

III. XVII—XVIII вв. наряду с другими областями литературы начинает возрождаться и гимнография. Очень интенсивно происходит составление обширных и кратких сборников ирмосов (А—418, Н—597, А—59, А—458).

В результате сравнительного изучения структуры списков грузинского Ирмология установлено, что главные различия между I и II редакциями вызваны: а) количеством ирмосов — S — 425 включает их вдвое больше, чем сборники I редакции, б) количеством песней в аколуфии ирмосов — в отличие от I редакции во II редакцию вошли и ирмосы II песни канона.

Особо выделяются Ирмологии рукописей Sin. 3, Jer. 48, Sin. 5, которые по порядку ирмосов следуют I редакции, но содержат ирмосы и II редакционного пласта, хотя по количеству намного уступают S—425. II редакции придерживаются они и в отношении ирмосов II песни (хотя их число совсем невелико) и как бы отражают раннюю стадию второй редакции. Поэтому мы объединяем их под названием рукописей краткого варианта II редакции.

Особенности II редакции сохраняет и С (А—603), но ей присущи и специфические черты, обусловливающие особое место С в ряду рукописей грузинского Ирмология.

1. А—603 наиболее полно отражает богатый репертуар грузинских ирмосов, в этом смысле, ей уступает даже такой значительный сборник, как S-425. Новый пласт ирмосов рукописи А—603 определяет ее особенности и выделяет ее как III редакцию.

2. Особенностью С является применение в тексте терминов „უცხო“ (другой или новый) и „მორთული“ (подобный или дополнительный). Термины эти, по мнению Е. Метревели, равнозначны греческому εἱρμὸς ἄλλος (Op. cit. стр. 74).

3. В С зафиксирована одна группа ирмосов под названием „ადიდები“ (Величания), которая другим сборникам грузинского Ирмология неизвестна.

Модель и композиция этой группы ирмосов во всех гласах одинаковы. Они включают в себя по 6 ирмосов (не сопровождаются богородичными) и являются то частью ирмосов IX песни канона, то выделены отдельно.

Начала этих ирмосов схожи во всех гласах. Они также, как и

IX песнь канона, основаны на Лука I, 46—55, 1, 68—70: „ადიდებს სული ჩემი უფალსა“ (Величит душа моя Господа), „აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ მე“ (Ибо отныне будут ублажать меня), „ყო სიმტკიცითა მკლავისა თჳსისაჲთა“ (Явил силу мышцы Своей), „შეიწყნარა ისრაელი—მონაჲ თჳსი“ (Воспринял Израиля—отрока своего), „კურთხეულ არს უფალი ღმერთი“ (Благословен Господь Бог Израилев), „ვითარცა იტყოდა პირითა წინაჲსწარმეტყუელთა თჳსთაჲთა“ (Как возвестил устами бывших от века Святых пророков).

Эта шестикомпонентная модель в пределах некоторых гласов засвидетельствована дважды.

4. С—сборник ирмосов, снабженный знаками ритмической пунктуации и невмами (наряду с В). Невмы сопутствуют и некоторым рукописям I редакции (Sin. 1, sin. 14), для указания мелодии помимо невмов там применяется и другой способ—грузинским ирмосам предшествуют начальные слова греческих ирмосов в грузинской транскрипции. В С, как и в В, позиция невмов устойчива и стабильна. С, по-видимому, сложилась, в кругу професиональных певчих и имела назначение учебника церковного пения.

В X—XI вв «Ирмосы и богородичные» обычно входят в состав крупных литургических памятников, А—603 же — самостоятельный сборник. В него включены только «Ирмосы и богородичные» (если не считать Восхваления Богородицы, занимающие 33 последних листа. В начальный раздел, которого в рукописи недостает, по всей вероятности, входили ирмосы стихир). Этот самостоятельный сборник сравнительно небольшого формата, вероятно, был более удобным для обучения церковному пению.

*

* *

Известно, что первая редакция грузинского Ирмология переведена с греческого. Необходимо выяснить и происхождение II и III редакций. Для сравнения нами использованы изданный С. Евстратиадисом греческий Ирмологий[5], а также факсимильные публикации Саввинской (S—83)[6], Афонской (Аф.—470)[7] и Гротаферратской[8] рукописей Ирмология типа КаО. К греческому оригиналу восходит и часть II и III редакций. Грузинский Ирмологий содержит переводы ирмосов 120 канонов, из них 27 канонов принадлежат ко II—III редакциям. Следует отметить, что в нем засвидетельствованы и переводы ирмосов II песни канона, что важно для изучения истории этой песни.

---

[5] Εἱρμολόγιον ἐκδιδόμενον ὑπὸ Μητροπολίτου Λεοντοπόλεως Σωφρονίου Εὐστρατιάδου, Chennevières Sur-Marne, 1932.

Подлинники грузинских ирмосов, обнаруженные на сегодняшний день, в основном, засвидетельствованы в составе всех названных греческих рукописей. По-видимому, это древнейшие ирмосы исхдоного пласта. Особенно это относится к полным аколуфиям, сохранившимся в грузинском Ирмологии.

Возникла необходимость сопоставить рукопись С и с греческими и славянскими Ирмологиями типа OdO. М. Велимировичем опубликована сравнительная таблица ирмосов в пределах V, VI, VII песней первого гласа по двум греческим спискам (Sa, Sb) и двум рукописям (Новгородской и Хиландарской) славянского Ирмология. Сравнив их с данными рукописи С, мы убедились в том, что по количеству ирмосов С больше уступает греческому и обнаруживает сравнительно большее сходство со славянским Ирмологием (в V песни первого гласа в греческих списках по 20 ирмосов, в славянском —10, а в грузинском—12). Впрочем, последовательность и состав ирмосов различны. Здесь так же, как отмечает М. Велимирович по поводу греческого и славянского Ирмологиев[9], нельзя предположить наличие одного общего источника.

М. Велимирович установил, что греческий тип OdO и славянский Ирмологии несут на себе отпечаток палестинской традиции (Op cit. стр. 46). Следы этой традиции видны и в грузинском Ирмологии:

---

[6] Hirmologium Sabbaiticum, ed. J. Raasted, Codex Monasterii s. Sabbae 83. Phototipice depictus, Monumenta Musicae Byzantinae, VIII. 2. 1, 1968, VIII, 2. 2, 1970.

[7] Hirmologium Athoum, ed. Carsten Höeg. Codex Monasterii Hiberorum 470. Phototipice depictus. Monumenta Musicae Byzantinae, II Copenhague, 1938.

[8] Hirmologium Cryptense, ed. L. Tardo, Monumenta Mysicae Byzantinae, III, Roma, 1951.

[9] M. Velimirovič, Byzantine Elements in Early Slavic Chant, Copenhagen, 1960, p. 46—47.

а) Они относятся к типу OdO.

б) Подлинники двух грузинских ирмосов I редакции „შენ ყოვლად ქებულო" и „ჩუენ ყოველნი გიცნობთ შენ" — Σέ τὴν πανύμνετον..., Θεοτόκον σὲ πάντες γινωσκομεν найдены только в Саввинской рукописи Ирмология (S 83).

Следует отметить, что перевод последнего ирмоса засвидетельствован Б. Утье и в сирийском Ирмологии. По мнению ученого, сирийский перевод был выполнен, по-видимому, в IX—X вв.[10] Тот факт, что подлинник грузинского и сирийского переводов достояние одного лишь Саввинского Ирмология, позволяет предположить, что переводы осуществлены в Саввинском монастыре.

в) В А—603 и славянском Ирмологии засвидельствованы идентичные по содержанию переводы: „ვნებათა ნისლისაგან"—«Страстеныя мя меглы». Их оригинал либо утрачен, либо до сегодняшнего для еще не выявлен*.

Грузинские и славянские переводы выполнены независимо друг от друга. Славянский перевод дошел до наших дней в списке XII века, грузинский, опережающий его, восходит к X веку. Этот последний отодвигает в более ранний период хронологическую границу греческого ирмоса — он существовал не позднее X столетия.

В работе отдельно рассмотрено отношение переводного материала к греческим моделям. Здесь также, как и в I редакции, выделяется несколько групп:

1. Грузинские ирмосы и по содержанию и по ритмическому делению соответствующие греческим (стр. 91—93).

2. Грузинские ирмосы по содержанию точно воссоздают оригинал, но имеются отклонения в плане ритмическом (стр. 93—95).

---

[10] H. Metreveli, B. Outtier, Contribution a l'Histoire de l'Hirmologion: Anciens Hirmolegia Géorgiens, Le Muséon Revue d'Etudes Orientales, 1979, p. 353—358.

* Использование этого ирмоса в греческом Триодионе уже подтверждено М. Велимировичем. В Конкордансе славянского Ирмология Григоровича, составителем которого является М. Велимирович, опубликовано начало греческого ирмоса: Τῆς τῶν παθῶν μὲ ἀχλύος (Miloš Velimirovič, Grigorovič Hirmologion. Index and Corcondances, Monumenta Musicae Byzantinae, VI, 1978, p. 191).

3. Ирмосы отличаются от греческого подлинника как со смысловой, так и ритмической точек зрения (стр. 97—99).

На современном этапе исследования выяснено, что из 872 ирмосов рукописи А—603 более 500 греческого происхождения. Следует установить судьбы остальных ирмосов. Часть материала, по всей вероятности, восходит опять-таки к греческому оригиналу (их модели могут быть включены в неизвестные нам списки греческого Ирмология). Поэтому сравнительное изучение состава греческого и грузинского Ирмологиев по-прежнему стоит в повестке дня.

С другой стороны, в этот материал обязательно должны входить и оригинальные грузинские ирмосы. Это подтверждается:

I. Коллофоном Микаэла Модрекили: „შევკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა . . . ბერძულნი და ქართულნი“. Собрал я повсюду с большим усердием ирмосы, какие только нашел на грузинском языке, греческие и грузинские . . . (S—425, 24г). Этот принцип собирания греческих и грузинских ирмосов, как свидетельствует сравнительное изучение рукописей В и С, разделяет и редактор-составитель рукописи С—Иорданэ.

2. Указание на грузинские оригинальные ирмосы встречаем и в сборнике Микаэла Модрекили. К пасхальному гимну III гласа: (202v) приписано: „ქართულნი ძლისპირითურთ“ (грузинские вместе с ирмосом). Ирмосы эти зафиксированы и в рукописи С (см. ирмосы №№ 184, 191, 201, 219, 226).

3. В списке В (S—425), а также в С включено несколько оригинальных ирмосов грузинского автора Иоанна Минчхи[11]. (см. ирмосы №№ 576, 593, 603, 614).

Вопрос об оригинальности остальных ирмосов, также как вопрос об их ритмике и мелодии, требует дальнейшего исследования.

---

[11] Л. Джгамая, Гимны Иоанна Минчхи по гимнографическому сборнику Микаэла Модрекили (рукопись).

ტექსტისათვის

A—603-ის გამოცემა ხორციელდება ფოტოტიპიური წესით. პარალელურად ქვეყნდება ტექსტი მხედრული შრიფტით ხელნაწერის გვერდების დაცვით. მხედრული ტექსტი დაყოფილია ტაეპებად რიტმული განაკვეთის ნიშნების მიხედვით, რამაც ზოგჯერ გამოიწვია ტაეპის ნაწილის გადანაცვლება წინამავალ ან მომდევნო გვერდზე. ეს მცირეოდენი გადახვევა გვერდობრივი პაგინაციიდან ნაჩვენებია გამყოფი ხაზით (/).

პუბლიკაციაში გასწორებულია უპირატესად ორთოგრაფიული შეცდომები, რაც ასახულია სქოლიოებში.

დაქარაგმებულ სიტყვებს ვხსნით ჩვეულებრივი წესით. ი҃ჱლი გავხსენით მეხუთე ენით: ისრაელი, როგორც ეს თვით ხელნაწერშივე გვხვდება (53r, 14r), წ҃ტყლი—„წინაჲსწარმეტყუელი", როგორც ეს უპირატესად გვხვდება გახსნილ ფორმებში (145v, 152v). ხელნაწერის სხვაგვარად გახსნილ ამავე სიტყვებს გამოცემაში ვტოვებთ უცვლელად.

ზოგჯერ აღდგენილი გვაქვს ღმრთისმშობლისას რეფრეხები შესაბამისი ძლისპირის მიხედვით, რაზეც მიუთითებს კვადრატული კავები. ამავე კავებში გვაქვს აღდგენილი დედნის სხვა დაკლებული სიტყვები და ასოები.

ძლისპირებს გავუკეთეთ ნუმერაცია, როგორც მთელი ხელნაწერის, ისე ცალკეული გალობის ფარგლებში. ამ ციფრების ქვემოთ, სადაც ეს გარკვეულია, მითითებულია ბერძნული დედანი ბერძნული ირმოლოგიონის ს. ევსტრატიადისის გამოცემის მიხედვით (Εἱρμολόγιον ἐκδιδόμενον ὑπὸ Μητροπολίτου Λεοντοπόλεως Σωφρονίου Εὐστρατιάδου, Chennevières Sur-Marne, 1932) აკოლუთიის ნომრისა და ოდის ჩვენებით.

ბერძნული დედნები და შესატყვისები I რედაქციის ქართულ ძლისპირებთან მითითებულია ძლისპირთა I გამოცემის მიხედვით (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, თბილისი, 1971).

დამატებაში Sin.3-ის მიხედვით ვაქვეყნებთ ტექსტის იმ ნაწილს, რაც A—603-ს აკლია (I ხმის VII გალობიდან II ხმის III გალობამდე). Sin. 3-ის ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი შედგენილობით A—603-ის იდენტური არ არის, მაგრამ იგი ნაწილობრივ მაინც შეავსებს მას.

ტექსტი



I г

ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი

უგალობდითსა ჴმაჲ ა

1 Eu 9α′
სასწაულითა
იჴსნა ერი
უფალმან
და ზღუაჲ მღელვარე სიტყჳთ[1]
   განაქმო პირველ,
და დღეს უხ[რ]წნელად
იშვა ქალწულისაგან
და წარმიძღუა ჩუენ ზეცად
ბუნებით სწორი მამისა თანა,
რომელსა უგალობთ.

ვერ შემძლებელ ვართ
ქებად შენდა ღირსებით,
ღმრთისა დედაო, რამეთუ
   უზეშთაეს
ცნობათა ჩუენთა
ამაღლებულ იპოვე,
ხოლო არა[2] დავდუმნეთ[3]
დიდებად შენდა მსგავსად ძალისა,
რაჲთა შემწედ მოგიგოთ.

მონებისა მისგან მწარისა
ჴსნილმან ისრაელმან განვლო
   ქუეყანაჲ
დაულტოლველად და იხილნა
მტერნი მისნი დანთქმულნი
და გალობით უგალობდა ღმერთსა
საკჳრველთ-მოქმედსა[4], რამეთუ
   დიდებულ არს. 2 Eu 8α′ ἕτερος

დაუტევნელი დაიტიე,
რომელი იწოდე ცათა
   უ[ვრ]ცელეს
და ქერაბინთა უმაღლესად
გამოშჩნდი შენ, ქალწულო
ღმრთისმშობელო,
ამისთჳს[5] ყოველნი
ნათესავნი გნატრიან, ვითარცა
   იტყოდე.

---

[1] სიტყუით. [2] არაჲ. [3] დავდომნეთ. [4] საკურველთ-მოქმედსა. [5] ამისთჳნ.



[illegible]

I v

3 Eu 14 α′ **მ**ხილველი ღმრთისაჲ მოსე
ისრაელთა[1] პირველად ადიდებდა
ღმერთსა
და მარიამ უპირობდა
ბრძენთა მათ
დედათა და ეტყოდა:
მჴსნელსა ჩუენსა ღმერთსა[2]
უგალობდეთ დღეს.

ღრუბელსა სულმცირესა
მიემსგავსე, მარიამ,
ეგჳპტეს[3] შესლვითა,
რაჟამს გეტჳრთა[4] შენ
შემოქმედი შენი
მკლავთა ზედა, ქალწულო,
და მზისთუალი სიმართლისაჲ
შენ დაგეფარა.

4 Eu 1α′ **მ**არჯუენაჲ შენი
უძლეველი
ღმრთივ-შუენიერი
და ღირსად საგალობელ არს
რომლითა შენ, უკუდავო,
ძლიერებით აოტენ მტერნი იგი
და ისრაელთათჳს[5]
განჰმზადე გზაჲ ზღუასა[6]
მეწამულსა.

გიხაროდენ, წყაროვო
სიხარულისაო,
გიხაროდენ, ბჭეო ცათაო.
გიხაროდენ,
სასანთელო და ტაკუკო ოქროჲსა
წმიდისაო,
რომელმან იტჳრთე
ქრისტე — ცხორების მომცემელი.

ბუნებაჲ იგი 5 Eu 4α′
მდინარეთაჲ მათ
შეჰყინდა, იჴსნა ერი
ზღუასა განმავალი,
და რაჟამს კუალად-ეგო,
საღმრთოჲთა. მით ბრძანებითა
დაანთქა სიღრ[მესა] მძლავრი.
მდევარი ერითურთ, ამისთჳს

---

[1] ი῀ჱლთა. [2] ღ῀თასა. [3] ეგუპეს. [4] გეტურთა. [5] ი῀ჱლთათუს. [6] ზღუსა..



2 г

უგალობთ ღმერთსა ჩუენსა
მხოლოსა, რამეთუ დიდებულ არს.

Დაბადებულთა
ცხორებისათჳს
გამოშჩნდი, უსძლოო, დედად
ცათა მეუფისად,
ამისთჳს ალგიარებთ[1]
ჭეშმარიტად ღმრთისმშობლად
და მსგავსად უძლურებისა
ჩუენისა ქებასა შეგასხამთ,
ნუ დასცხრები ვედრებად
ღმრთისა ჩუენ მოსავთა
შენთათჳს.

6 Eu 5α′ **Უ**გალობდეთ ყოველნი,
რომელმან მწარისაგან
ფარაოჲს მონებისა
იჴსნა ისრაელი
და სიღრმესა ზღჳსასა[2]
დაულტოლველად
წიაღ-იყვანნა,
გალობითა ახლითა,
რამეთუ დიდებულ არს.

Უგალობდეთ ყოველნი
მორწმუნენი ქალწულსა
უბიწოსა, რომელმან უზეშთაესად
გჳშვა დამბადებელი
დაბადებულთაჲ
და ალმავსნა ჩუენ
ცხორებისა ნათლითა,
რამეთუ დიდებულ არს.

Ზღჳსა ღელვანი განვლნა 7
ისრაელმან
ძალითა ზეგარდამოჲთა
ფერჴითა დაულტობელად.

Შეოხ გუეყავ, ღმრთისმშობელო
ქალწულო,
მისა, რომელი ჰშევ შენ,
რაჲთა აცხოვნეს სულნი ჩუენნი.

უცხონი*8

Აზღუდნეს წყალნი სიღრმეთანი 8**
და დაინთქა ფარაო
მჴედრებითურთ,
ხოლო ისრაელი[3] გან|ვიდა***

---

[1] აგიარებთ. 2 ზღუსასა. 3 ი῀ჱლი.
* კიდეზეა ვერტიკალურად.
** სტრიქონს ზემოდან აწერია წითლით: „მნები“.
*** კიდეზე სხვა ხელით: „აღდგომისა დღე არს“.



2 v

მოსეს მიერ კუერთხითა
მაქებელად
და მგალობლად ღმრთისა
საკჳრველთ[1]-მოქმედისა, რამეთუ
დიდებულ[2] არს.

ჴორცთა შენთაგან უბიწოთა,
რომელმან მიიღო ქებაჲ ჩუენი,
განაღმრთო იგი მოწყალებით,
ევედრე მას ჴსნად ჩუენდა
საცთურისა[3] და სიკუდილისაგან,
რაჲთა მარადის გალობით
უგალობდეთ.

9 Eu 22 α′ **რ**ომელი შეეწია
ღმერთი მოსეს ეგჳპტეს[4] შინა
და მის მიერ ფარაოჲსი
ყოველი მჴედრობაჲ დაანთქა,
უგალობდეთ მას, რამეთუ
დიდებულ[5] არს.

დიდებული ითქუა შენთჳს,
ყოველთა შემოქმედისა დედაო,
რაჟამს ჰშევ ჴორციელად ძჱ
დაუსაბამოჲსა მამისაჲ,
უსძლო[ო] სძალო, გალობით
გადიდებდეთ შენ.

გალობითა ძლევისაჲთა 10 Eu 15 α′
უგალობდეთ ყოველნი ღმერთსა,
რომელმან ქმნა სასწაულითა
ნიშები
მკლავითა მით მაღლითა
და იჴსნა ისრაელი[6],
რამეთუ დიდებულ არს.

იძლინენ დღეს ბუნებანი
ნივთთანი შენ მიერ, სძალო,
რომელმან ჰშევ ღმერთი უხილავი
და დაადგერ ქალწულად,

---

[1] საკურველთ. [2] დიდებოლ. [3] საცთორისა. [4] ეგუბტეს. [5] დიდედბულ. [6] ი͠ჱლი.



3 г

11 Fμ 16 α′ ვითარცა პირველ შობისა
და შემდგომად შობასა.

სუეტითა მით ცეცხლისაჲთა და
ღრუბლითა[1] ისრაელთა
უძღოდა ღმერთი,
ზღუაჲ განაპო და განიყვანნა
იგინი,
ხოლო მას შინა დაანთქა
ეტლები ფარაოჲსი[2],
უგალობდეთ გალობასა ძლევისასა
საკჳრველთ-მოქმედსა[3], რამეთუ
დიდებულ არს.

გიხაროდენი შენდა შეწირა,
ქალწულო, გაბრიელ
მთავარანგელოზმან
და მუცლად[4]-იღე პირველ
საუკუნეთა[5]
სიტყუაჲ მამისაჲ,
თანამფლობელი
და გჳშევ[6] ჩუენ კორცითა
და დაადგერ ქალწულად, მას
ევედრე
ცხორებისათჳს სულთა
ჩუენთაჲსა.

პასექთაჲ*

ისრაელნი[7] განვიდეს 12
დაულტოლველად ზღუასა,
იხილნეს მტერნი მათნი
ოტებულნი სიღრმესა შინა,
ხოლო უფალმან ერი თჳსი იჴსნა,
განაძლიერნა დღეს
და ღმ̃ერთსა უგალობდეს.

უაღრეს ქერაბინთა გამოშჩნდი,
ღმრთისმშობელო,
შემოქმედი იტჳრთე[8],
უბიწრ[ო], მკლავთა ზედა.
ამისთჳს აღგიარებთ
ღმრთისმშობელად
და ძალისა ჩუენისაებრ
დაუცხრომელად გადიდებთ.

---

[1] ღრობლითა. [2] ფარაუსი. [3] საკურველთ-მოქმედსა. [4] მოცლად. [5] საუკონე.
[6] გუშევ. [7] ი῀ჱლნი. [8] იტკრთჱ.
* სხვა ხელით.



3 v

13 გალობაჲ სულიერი
ისრაელთა
ალილეს ებნითა
და ბობღნითა,
განვლეს რაჲ მეწამული.
რამეთუ მოსე, რჩეული ღმრთისაჲ,
უპირობდა,
ხოლო მარიამ ესრეთ ჴმობდა:
უგალობდეთ უფალსა
საკჳრველთ-მოქმედსა,
რამეთუ დიდებულ არს.

განცჳბრდა[1] მეტყუელებაჲ
და მოუძლურდა[2] სიბრძნე
სოფლისა მეცნიერთაჲ,
რამეთუ უზეშთაეს
აღემატა საიდუმლოჲ[3] შობისა
შენისაჲ
მოგონებისა[4] და სიტყჳსა,
რაჟამს ქალწულმან გჳშევ[5]
ძე ღმრთისაჲ და ქალწულადვე დაადგერ.

სულმან საღმრთომან 14
დაჰბერა მეწამულისა ღელვათა[6]
და შერისხვით განაჴმნა სიღრმენი
მისნი,
შეჰყინდეს და აზღუდნეს[7]
ორკერძოვე
და გზა-ექმნა შემავალთა და
მომსრველ მდევართა,
უგუნურთა[8] მათ მეგჳპტელთა[9],
და განვლეს რაჲ ისრაელთა[10],
ქნარითა და ბობღნი[თა] იწყეს[11]
განცხრომად და გალობად
ღმრთისა.

---

[1] განცუბრდა. [2] მოუძლორდა. [3] საჲდომლოჲ. [4] მოგუნებისა. [5] გუშევ. [6] მულისა ღევათა. [7] აზღონდეს. [8] უგონორთა. [9] მეგუბტელთა. [10] ი̃ჱლთა. [11] წყნეს.



4 г

რომელი წინა
საუკუნეთა[1] იშვა მამისაგან
უსხეულოჲ სიტყუაჲ ყოლადვე
ყოფილი,
აწ იშვების მეორედ ჴორცითა
და მის მიერ ვიშუებთ ჩუენ
მეორედ სულითა,
ხოლო ვინ არა განკჳრდეს[2],
რამეთუ ქალწულისაგან,
ვითარცა ყრმაჲ, მიიღებს
სძითა ზრდასა მზრდელი
დაბადებულთაჲ.

მოიხილესა

15 (1) Eu 8 β′ **მ**ოიხილე, ცაო,
და ვიტყოდით, რამეთუ სიტყუაჲ
მამისაჲ
ქუეყანად გარდამოჴდა,
რომელმანცა ცანი მოდრიკნა
და კაცებაჲ იჴუმია[3]
და აცხოვნა კაცი,
ვითარცა
კაცთ-მოყუარე ა[რს].

მუცლად[4]-იღე შენ დღეს
სიტყუაჲ ღმრთისაჲ ჭეშმარიტად,
ქალწულო, და გჳშევ[5] ჩუენ
ჴორცითა
მიუწდომელი, კაცთა მიერ
გამოუცდელი ღმერთი,
მას ევედრე, ღირსო,
ცხორებად სულთა ჩუენთათჳს.

მოიხილე, ცაო, და ვიტყოდით[6], 16 (2) Eu 15 20 β′ ἄλλος
და ისმენდინ ქუეყანაჲ
სიტყუათა პირისა ჩემისათა,
რამეთუ სახელსა უფლისასა
ვხადე[7].

ცათა უვრცელესად[8] იქმნა საშოჲ
შენი,
უბიწო[ო],
რომელმან დაუტევნელი დაიტიე,
მისა[9] მიმართ მი-
გავლენთ, მეოხ̃ გუეყავ ჩუენ.

იხილეთ, იხილეთ, 17 (3) Eu 17 β′ ἄλλος
ესრე თქუა უფალმან,
რამეთუ ღმერთი | მე ვარ,

---

[1] საოკონეთა. [2] არაჲ განკურდეს. [3] იჴმია. [4] მოცლად. [5] გუშევ. [6] ვიტყუდით.
[7] ვხადჱ. [8] ორცელესად. [9] მისსა.



4 v

რომელმან მონებისაგან
ერი ისრაელისაჲ[1]
მოსეს მიერ განვარინე
და უდაბნოს გამოვზარდე,
ვიქსენ რაჲ ძლიერმან
ჴელმწიფებითა ჩემითა.

საშოჲ განსწმიდე და
შობაჲ განაახლე,
უთესლოდ საშოსა რაჲ
დაემკჳდრე[2] თჳნიერად[3]
ხრწნილებისა, მაცხოვარ,
იშევ რაჲ ქალწულისაგან
წმიდისა, რომელმან ივნე
ჩუენთჳს და ასდეგ მკუდრეთით,
ცხორების მომცემელო.

18 (4) **მ**ოელოდა,
ვითარცა ცუართა, სიტყუათა მათ
შენთა,
ზეც[ა]თა უფალო,
მოსე ეგჳპტეს[4] შინა
და მოიხილე მის ზედა
წყალობით,
და დასცნა მან მტერნი
მეგჳპტელნი[5].

ძირისაგან იესესისა
აღმოცენებულო
ქრისტეს დედაო,
ყოველთა გამომზრდელსა
უბიწოებით აწოებდი შენ,
მას ევედრე აწ სულთა
ჩუენთათჳს.

დიდებულ იქმნა პირი მოსესი 19 (5)
ხილვისა მისგან საღმრთოჲსა,
რომელი პირველ
არასადა[6] ეხილვა,
რომლისა შეწევნითა
იჴსნეს ისრაელნი
და ჩუენ გუასწავეს გალობაჲ;
მიეცით დიდებაჲ ღმერთსა,
რომელმან ქმნა ცანი და
ქუეყანაჲ.

დაიტიე ცეცხლი ღმრთეებისაჲ
საშოსა შენსა, უსძლო[ო], და არა[7]
შეიწუ

[ ] [1] ი҃ჱლსაჲ. [2] დაემკჳდრე. [3] თუნიერად. [4] გუპტეს [5] მეგუპტელნი. [6] არაჲსადა
[7] არაჲ.



5 r

მის მიერ, უბიწო[ო],
არამედ უვნებელად დაიცევ,
ვითარცა
მთასა სინასა მაყუალი,
რომელი იხილა მოსე
სახედ შენდა, ღირსო
ღმრთისმშობელო.

20 (6) **ზ**ეშთა ბუნებისა
ხილვაჲ იხილა
შჯულისმდებელმან[1]:
ბუნებითი[2] იგი თჳთ[3]-მგზებარე
ცეცხლი ედებოდა მაყუალსა
და არა[4] შესწუვიდა მას.
და შიშით ზარ-განჴდილი ესრეთ
იტყოდა[5]:
წმიდა არს და მართალ სახელი
შენი,
უფალო, სასწაულთა მოქმედო.

დიდებულ იქმნა
სასწაული ქუეყანასა ზედა,
ქალწული მიუდგა[6]
და გჳშვა[7] ჩუენ სიტყუაჲ
ღმრთისაჲ ჴორცითა
და ქალწულადვე ჰგიეს.
ვინ იხილა ესე შორის დედათა?
რომელი მისგან განჴორციელდა,
მან წმიდა ყო საყოფელი თჳსი.

იხილეთ, იხილეთ, 21 (7)
რამეთუ მე ვარ ღმერთი,
რომელმან ბრძანებითა მოსეს
მიერ
განვიყვანე ერი ჩემი უდაბნოდ,
რაჲთა ვიჴსნე იგინი
ძლიერებითა ჩემითა
და ჴელმწიფებითა
ღმრთეებისაჲთა.

მადლითა შენითა,
მეუფისა[8] დედაო,
აღმსარებელნი შენნი
დაგჳცვენ[9]

---

[1] შჯოლისმდებელმან. [2] ბონებითი. [3] თუთ; [4] არაჲ. [5] იტყუდა [6] მიოდგა. [7] გუშჳა. [8] მეოფისა. [9] დაგუცვენ.



5 v

საცთურთაგან[1],
ღმრთისმშობელო მარიამ,
რამეთუ შენგან იშვა
მჴსნელი ყოველთაჲ, ქალწულო,
და მომცემელი ცხორებისაჲ.

22 (8) **თ**ავსა წიგნთასა
დაწერა მოსე პირველად
ქრისტესთჳს[2]
და ამცნო ისრაელთა[3], ვითარმედ:
ღმერთმან
წინაჲსწარმეტყუელი[4]
აღგიდგინოს
ძმათაგან თქუენთა ჴორციელთა,
ვითარ-ესე მე,
ხოლო თქუენ ღმრთად იცანთ
იგი,
მისი ისმინეთ და სცხონდეთ,
რამეთუ მისგან იქმნეს
სიმართლე, მადლი და
ჭეშმარიტებაჲ.

აჰა ესერა
სთნდა მეუფესა სიკეთე შენი,
ყოველთა ნათესავთა სამკაულო,
მოგმადლნა დიდებულნი ძლიერმან
ზეგარდამო სულთა ჩუენთა
განმანათლებელნი,
სასწაულთა სიმრავლენი,
რომელსა ენანი ჩუენნი
ვერ შემძლებელ არიან
ჯერისაებრ ქებად შენდა,
ქალწულო.

მეორედ[5] შობაჲ მოსესი 23 (9)
კიდობნისა მისგან მწყურნებთა[6]
შინა,
რომლისა მიერ იჴსნა ისრაელნი[7]
უფალმან
მონებისაგან მეგჳპტელთაჲსა[8],
სახედ-იყო მეორედ შობასა
მაცხოვრისა ჩუენისასა,
რომელი უწინარეს
ყოველთა საუკუნეთა
მამისაგან იშვა უდედოდ[9] ცათა
შინა,
და კუალად ქუეყანასა ზედა
დედისაგან უმამოდ[10]
კიდობნისა მისგან
სიწმიდისაჲთა მჴსნელად ჩუენდა.

---

[1] საცთორთაგან. [2] ქ˜ჱსთჳს. [3] ი˜ჱლთა. [4] წ̃წ̃ტყლი. [5] მეურედ. [6] მწ̃ყორნებთა.
[7] ი˜ჱლნი. [8] მეგჳპტელთასა. [9] თდედოდ. [10] ომამოდ.



6 г

სამოსლითა პორფირითა[1]
და ფესუედითა ოქროქსოილითა
პირად-პირადად შემკობილსა
სძალსა წმიდასა
ყოველი ენაჲ ქებით უგალობს,
უაღრეს არს იგი ქერაბინთა,
რომელსაცა წინაჲსწარვე ამბაკუმ
უღაღადა,
ვითარმედ: მზე ამაღლდა
და მთუარე დადგა წესსავე ზედა
თჳსსა,
რამეთუ ღმერთი იშვა მისგან
და ქალწულადვე ეგო უბიწოდ[2],
და არს იგი სასოჲ
და მეოხი მორწმუნეთაჲ.

განძლიერდასა

24 (1) Eu 9γ′ ღმერთო, მოხედენ
მონათა გალობასა
და დაამდაბლე სიმაღლე
მაცთურისაჲ[3]
და ზეშთა აღამაღლე დღეს
ეკლესიაჲ
და შეუშფოთებელად
დაამტკიცენი
მოსავნი შენნი
მართლმადიდებლობასა.

წმიდაჲ წმიდათაჲ,
ქალწულებით მშობელი,
უკუდავებისა[4] მიმსგავსებულ
იქმნა დღეს
საყდართა ქერაბინთა, რაჟამს
იტჳრთა[5]
დაუსაბამოჲ ღმერთი
ჴორციელ-ქმნული[6]
წიაღთა თჳსთა, მჴსნელი
დაბადებულთაჲ.

25 (2) Eu 8γ′ წინა საუკუნეთა
მამისაგან შობილსა ძესა[7]
მხოლოსა
და ქალწულისაგან
განჴორციელებულსა
ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა,
უღაღადებ|დეთ: .

---

[1] პორ˝ფითა. [2] ობიწოდ. [3] მაცთორისაჲ. [4] უკდავებისა. [5] იტურთა. [6] -ქმნოლი
[7] ძჳსა.



6 v

რომელმან აღამაღლა რქაჲ
ჩუენი,
წმიდა ხარ შენ, უფალო.

შმეტეს ხარი შენ
ყოველთა ნათესავთა
ქუეყანისათა,
რამეთუ შენ მხოლომან დაჰჴსნენ
წესნი ბუნებათანი[1],
ვინაჲთგან უთესლოდ გჳშევ[2]
ჩუენ
ბუნებათა[3] შემოქმედი ღმერთი,
დიდებულო ქალწულო.

26 (3) Eu 1γ' შენ, მხოლო[ო], რომელმან უწყი
უძლურებაჲ[4] კაცთა ბუნებისაჲ[5]
და წყალობით შეიმოსე შენ,
შემმოსე მე ძალი მაღლით
გარდამო,
რაჲთა ჴმა-ვყო: წმიდა არს
ტაძარი სულიერი, სადიდებელი
შენი, კაცთ-მოყუარე.

მუცლად-იღე ღმერთი უთესლოდ
სამოსა შენსა, ქალწულო,
სულითა წმიდითა
და არა[6] შეიწუ,
ვითარცა იხილა მოსე სახე შენი
მაყულოვანით, რამეთუ
შენთჳს გამოისახა
საიდუმლოჲ[7] იგი მიუწდომელი.

27 (4) Eu 14 γ' შენ, რომელმან პირველად
მუცლად-ღებისა
სამოელ უბიწოჲსა
აღუთქუ
იგი ღმერთსა,
მღდელისა დედაო ანა,
იხარებ ჩუენ თანა და იტყოდე:
განაძლიერენ აწცა, უფალო,
გულნი ჩუენ[ნ]ი.

შენ, რომელმან მზე სიმართლისა
იტჳრთე,

---

[1] ბონებათანი. [2] გუშევ. [3] ბონებათა. [4] უძლორებაჲ. [5] ბონებისაჲ. [6] არაჲ.
[7] საჲდუმლოჲ.



7 r

მთი|ებისა პირველად,
უწინარეს შობილი,
მუცლითა[1], უბიწოო[2],
ჩუენ, მორწმუნენი, გიღაღადებთ:
გიხაროდენ, ღმრთისმშობელო,
სასუფეველსა.

28 (5) Eu 4 γ′ **ყ**ოვლისა მპყრობელი
და დამბადებელი ყოველთაჲ,
სიბრძნე იგი და ძალი ღმრთისაჲ,
განმაძლიერებელი
ეკლესიათაჲ შეურყეველად[3],
შენ თავადი ხარ, ქრისტე,
ღმერთი ყოველთაჲ, რომელი
წმიდა ხარ.

ცათა უვრცელესად გამოჩნდა
საშოჲ ქალწულისაჲ,
დაუტევნელი დაიტია,
ამისთჳს მორწმუნენი
ჭეშმარიტად ღმრთისმშობელად
ვხადით
და ესრეთ უღაღადებთ:
ყოვლად წმიდაო, ჩუენთჳსცა
მეოხ გუეყავ.

დამამტკიცე მე, ქრისტე[4], 29 (6) Eu 5 γ′
კლდესა ზედა მცნებათა შენთასა
შეუძრავსა
და განმანათლე ნათლითა მით
შენითა, რამეთუ
შენ მხოლოჲ ხარ წმიდაჲ,
კაცთ-მოყუარე.

განმინათლე გონებაჲ[5]
ჩემი, უფალო ღმერთო: ჩემო,
დაბნელებული
გემოთა მიერ, ვედრებითა·
წმიდი[სა] მარადის
ქალწულისა მიერ უბიწოჲსა:

განმაძლიერე, ქრისტე, 30 (7) Eu 22 γ′
რომელმანცა დააფუძნე[6]
ქუეყანაჲ წყალთა ზედა,
რამეთუ არავინ[7] არს წმიდაჲ
შენებრ, უფალო.

გიხაროდენ, ქალწულო,
რომელმან სიტყუაჲ ღმრთისაჲ
გამოუთქუმელად გჳშევ[8],
მიუწდომელი ბუნებით[9], მრავალ-
მოწყალე.

---

[1] მოცლითა. [2] ობიწუ. [3] შეორყეველად. [4] ქ˜ჱ. [5] გუნებაჲ. [6] დააფოძნე. [7] არაჲვინ. [8] გუშევ. [9] ბონებით.



7 v

უცხონი[1]

31 (8) **გ**ანძლიერდა დღეს
გული ჩემი უფლისა მიმართ,
ღმრთისა ჩემისა,
რამეთუ მან მიჴსნა მე
წყევისა პატიჟთაგან
და შემმოსა მე ძალი საღმრთოჲ
წმიდაჲ.

შენ, ღმრთისმშობელო,
უქორწინებელად გჳშევ[2] ჩუენ
სიტყუაჲ ღმრთისაჲ,
ყოლად უსძლო[ო] სძალო,
წმიდაო დედაო,
მისა[3] მიმართ, ღირსო, მეოხ
გუეყავ ჩუენ.

32 (9) **გ**ანძლიერდინ გული
მცნებათა შენთა, ქრისტე
ღმერთო,
რომელმან დაამტკიცენ ცანი და
ქუეყანაჲ
წყალთა ზედა, ყოლად ძლიერო,
და ჴმა-ვყო: წმიდა არს ძალი
შენი
საკჳრველი[4], სასწაულთა
მოქმედო.

შენ გიგალობს, სძალო,
გუნდი ზეცისა უსხეულოთაჲ,
შენ გაქებს ყოველი ენაჲ
ადამეანთაჲ,
რამეთუ შემოქმედი მათი
უფროჲს ცნობისა იშვა შენგან,
მისა[3] მიმართ მეოხ გუეყავ ჩუენ.

პასექთაჲ*

შეამკვე ეკლესიაჲ, ქრისტე[5], 33 (10)
წყლითა და საღმრთოჲთა მით
სისხლითა
შენითა,
რომელი აღმოსცენდა
გუერდისა შენი[სა]გან, მჴსნელო,
რომლითა განვძლიერდით.

ემსგავსე შენ საყდართა
ქერაბინთა
და მათ ზედა მჯდომარე იტჳრთე[6],
ქალწულო,
არა[7] შეიწუა, ვითარცა
გამოისახა საიდუმლოჲ[8],
რომელიცა ძლიერ არს[9].

ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს 34 (11)
მაშენებელთა, იგი იქმნა თავ Eu 15
კიდურთა,[10] γ'
ესე იგი არს კლდე,
რომელი უფლისა მიერ | იყო

---

[1] ოცხონი. [2] გუშევ. [3] მისსა. [4] საკურველი. [5] ქ˜ჱ. [6] იტურთე. [7] არაჲ. [8] საიდომლოჲ. [9] ძლრა. [10] კიდორთა.

* ვერტიკალურად აქვს მიწერილი.



8 г

და არს საკვრველ[1] წინაშე
თუალთა ჩუენთა,
რომელსა ზედა დააფუძნა[2]
ეკლესიაჲ ქრისტემან,
რომელი-იგი წარმართთაგან
გამოიჴსნა.

ერთსა ძესა ვადიდებთ ჩუენ,
რომელმან ქალწულისაგან
ჴორცნი შეისხნა
და არა[3] იცვალა, არამედ
ერთი გუამი ორითა
ბუნებითა[4] ღმერთად და კაცად
ვიხილეთ,
ივნო და დაეფლა საფლავსა,
აღდგა და გზა-გუექმნა ჩუენ
ზეცად აღსლვისა,
მორწმუნეთა[5] თჳსთა.

35 (12) **მ**ჴსნელო იესუ[6].
უძლურ[7] ყვენ მჴდომნი იგი
ჩუენნი და მტერნი
შენთა ეკლესიათანი,
ბოროტნი მჴეცთა ბუნებათანი[8],
ურწმუნონი[9],
მორწმუნეთა[10] მოშურნენი[11],
ნათესავნი
მჴეცლისანი,
შემწენი ეშმაკისანი,
დასცენ და ერნი შენნი
განაძლიერენ.

იძლია ევა
ედემს შინა ზრახვითა
გონიერისა[12] გუელისა
მაცთურისაჲთა[13],
მოიკლა და ნაშობნი მისნი
მივეცენით
სიკუდილსა[14] და ხრწნილებასა,
ხოლო შენ მიერ, მშობელო
ღმრთისა მაცხოვრისაო,
კუალად-ვეგენით მასვე
უხრწნელებასა.

შესმასა

პირველ აუწყა 36 (1) Fu 9 ბ′
წინაჲსწარმეტყუელებით
ცხორებაჲ კაცთაჲ ამბაკუმ[15] და
იტყოდა:
რისხვასა შინა | მოიჴსენი
წყალობაჲ

---

[1] საკურველ. [2] დააფოძნა. [3] არაჲ. [4] ბონებითა. [5] მორწმონეთა. [6] იჱსუ. [7] უძლორ. [8] ბონებათანი. [9] ურწმონონი. [10] მორწმონეთა. [11] მიშორნენი. [12] გონიერისა. [13] მაცთორისაჲთა. [14] სიკჳდილსა. [15] ამბაკომ.



8 v

ჩრდილოჲთ მაღნართაჲთ,
მო-რაჲ-ხუედ შენ მაცხოვრად[1]
ერისა ამის სიტყუაჲ
დამბადებელი.

ქალწული წმიდაჲ
იესეს[2] ძირისაგან
აღმოგჳცენდა[3] და გჳშვა[4]
სიტყუაჲ ღმრთისაჲ,
რომელი პირველ საუკუნეთა იყო,
და უვნებელად
დაიცვა ქალწულებაჲ
შობასა მისსა
უაღრეს ბუნებათა[5].

37 (2) Eu 9 δ′ **კ**ვერთხი იესეს ძირისაგან
აღმოსცენდი შენ, ქრისტე,
მთისაგან წმიდისა
ქალწულისა
და მაღნარით გამოხუედ
განჴორციელებული
სძლისაგან უქორწინებელისა[6],
ღმერთი უსხეულოთაჲ,
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

ვერ მისწ[უ]თების გონებაჲ
ჩუენი
ქებად შენდა, უზეშთაესო
დიდებისაო;
ასულო[7] დავითისო,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
არამედ მსგავსად უძლურებისა[8]
ჩუენისა შევსწირავთ დღეს
ძღუენსა ენითა შემასხმელითა.

ღაღატ-ყო 38 (3) Eu 15 δ′
ამბაკუმ[9] სულითა წინაჲსწარ და
თქუა:
მოხუედ მაცხოვრად ერისა
რჩეულისა, სახიერ,
და აწ ჩუენცა ვიხილეთ
ჭეშმარიტად
აღსრულებაჲ თქუმულთა[10]
მისთაჲ

---

[1] მცხვრდ. [2] იჱსეს. [3] აღმოგუცენდა. [4] გუშვა. [5] ბონებათა [6] უქორწინებელისა.
[7] ასოლო. [8] ოძლორებისა [9] ამბაკომ [10] თქოჳლთა.



9 г

და ვღაღადებთ:
უფალო, დიდებაჲ ძალსა შენსა.

გადიდებთ
საიდუმლოსა[1] შენსა,
  ღმრთისმშობელო,
რამეთუ რომელი-იგი უხილავ არს
  ძალთაგან
ზეცისათა, გარდამოჴდა შენ ზედა,
ვითარცა წჳმაჲ[2] საწუმისსა[3] ზედა
ჴსნისათჳს ჩუენისა,
მაქებელთა შენთა.

39 (4) Ἐu 14 ·δ' **უ**სხეულოთა[4] თანა დგა ამბაკუმ[5]
საჴუმილავსა მას სულიერსა და
  იხილა
ქერაბინთა ზედა მჯდომარე და
  ქადაგა
მოსლვაჲ მაცხოვრად ერისა
და ჴსნად ცხებულთა თჳსთა
და ღაღადებდა: უფალო, დიდებაჲ
  ძალსა შენსა.

დაუსაბამოჲ სიტყუაჲ
მამისაჲ
შენ, უქორწინებელო მარიამ,
  ჴორცითა ჰშევ,
რომელი პირველ საუკუნეთა
  ღმერთი არს,
საყდართა ქერაბინთა წილ
მკლავთა ზედა იტჳრთე
და ღაღადებდი: უფალო, დიდებაჲ
  ძალსა შენსა.

იგავმან წინაჲსწარმეტყუელთამან 40 (5) Eu 4 δ'
განკაცებაჲ შენი, ქრისტე,
ქალწულისაგან ქადაგა,
ნათელი ბრწყინვალე
კაცთა ნათესავსა აჩუენა,
და უფსკრული ღაღადებს
და გალობით იტყჳს[6]:
ძალსა შენსა დიდებაჲ, კაცთ-
  მოყუარე.

ძუელი შჯული შენთჳს
  ქადაგებდა,
კარავი საწამებელი
და კიდობანი შჯულისაჲ,

---

[1] საჲდომლოსა. [2] წუმაჲ. [3] საწმისა. [4] ოსხეულთა. [5] ამბაკომ. [6] იტყუს.



9 v

ტაკუკი[1] და კუერთხი[2],
კიბე იგი და სასაკუმევლე,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
და ჩუენ, მორწმუნენი,
ცხორებისა სასოდ აღგიარებთ შენ.
41 (6) Eu 22 ბ' მესმა, უფალო,
სმენაჲ შენ ღმრთისაჲ
და შემეშინა ფრიად
და გადიდე შენ, მხოლოჲ
კაცთ-მოყუარე.
მითარცა ნავთსაყუდელსა
მშჳდსა[3].
შევედრეპულნი ესე,
ღმრთისმშობელსა ჩუენ
ყოველნი ვადიდებთ.
42 (7) Ath 17 v Crypt 25 r Sab 9r წარმართთა
გამოუჩნდა მადლი შენი და
დიდებაჲ
შენი იხილეს მორწმუნეთა[4],
რაჟამს ჯუარსა ეცუ, მაცხოვარ,
და სოფელი ყოველი იჴსენ.
შენ, წმიდაო
ღმრთისმშობელო უბიწო[ო], სასოდ
ჩუენდა
აღგიარებთ მორწმუნენი შენნი,
რომელმან დაიტიე საშოსა შენსა
ღმერთი ყოველთაჲ.
43 (8) Eu 12 ბ' დიდ არს საიდუმლოჲსა შენისა[5],
ქრისტე, განგებულებაჲ,
რამეთუ ზეშთა პირველ იხილა
ღმრთისმეტყუელმან ამბაკუმ[6],
გარდამოსლვაჲ გიღაღადა
მაცხოვრად ერისა
შენისა, კაცთ-მოყუარე.

შენ, ყოლად სანატრელო
ღმრთისმშობელო — ქალწულო მარიამ,
რომელმან ცხორების
მომცემელი
ქრისტე ღმერთი ჴორცითა ჰშევ,
ჩვენ, მორწმუნენი, ქებასა
შევსწირავთ შენდამი,
ყოლად სანატრელო.
საიდუმლოჲ მესმა, უფალო, 44 (9)
ცხებულთა შენთა ჴსნისაჲ
და გადიდე მოწყალე.

პასექთაჲ

მოხუედ შენ დაბადებული 45*(10)
ჩრდილოჲთ, ამბაკუმ[6] ქადაგა
წინაჲსწარმეტყუელებით
მოსლვაჲ შენი ქუეყანად
და ძირისაგან იესესისა
აღმოცენებაჲ.
და აწ ჩუენცა ჭეშმარიტად
ვიხილეთ, დიდებაჲ ძალსა შენსა,
უფალო.
ჰურთხეულ ხარ შენ შორის
დედათა, რომელი გამოშჩნდი
საკჳრველი
წესითა უფროჲს
ბუნებისა[7], რამეთუ შემოქმედი
ბუნებათაჲ[8] უთესლოდ შევ და
დაადგერ
ქალწულად უბიწოდ, მას ევედრე
ჴსნად სულთა[9] ჩუენთათჳს,
რომელნი გიგალობთ.

---

1 ტაკოკი. 2. კურთხი. 3 მშულდსა. 4. მორწმონეთა. 5 საჲდომლოჲსა შენისა. 6 ამბაკომ. 7 ოფროჲს ბ ბსა. 8 ბონებათაჲ. 9. სოლთა.

* № 45 ძლისპირი წვრილი ხელით ჩაწერილია № 44 ძლისპირსა და მის ღმრთისმშობლისას შორის.



10 г

*ყოლად ქებულო ქალწულო,
შენგან შობილსა ევედრე
ჴსნად ჩუენდა, მგალობელთა
შენთა.

უცხონი

46 (11) **ა**მაღლდა
Eu 15 მზე და მთოვარე
δ'
ἄλλος და დადგა წესსა ზედა თჳსსა,
აჰმაღლდი ძელსა ზედა,
სულგრძელო[1],
და აჩუენე, ვითარცა
ღმერთ ხარ, ძლიერებაჲ შენი
მოწყალე.

შობაჲ უ-
თესლოდ დამბადებელისაჲ და
დადგრომაჲ ქალწულად —
ორივე საკჳრველ ყო უფალმან
და სიმდაბლით შეგურთა[2] ჩუენ,
რაჲთა მდაბალნი ზეცად
აღგუამაღლნეს.

47 (12) **ს**იტყუაჲ,
რომელი იხილა ამბაკუმ[3] ფრთეთა
ზედა ქართაჲსა,
შემკული
მამისაგან
და მომავალი სოფლად
მაცხოვრად
ერისა და ჴსნად ცხებულთა
თჳსთა,
და ღაღადებდა:
უფალო, დიდებაჲ ძალსა შენსა.

სიტყუაჲ
მამისაჲ დაუსაბამოჲ[4], პირველ
ჟამთა
შობილი,
აღსასრულსა ჟამთასა შენგან
იშვა
ჴორცითა,
უბიწოო სძალო, რომელსა
უღაღადებთ
მორწმუნენი: უფალო, დიდებაჲ
ძალსა შენსა.

მოსლვაჲ შენი ქადაგა 48 (13)
ჩრდილოჲთ,
დამბადებელო, ამბაკუმ[5]
წინაჲსწარმეტყუელებით
და გამოსახვაჲ მაცხოვრად,
ძირთაგან იესესთა აღმოცენებაჲ.
და აწ ჩუენცა ჭეშმარიტად
ვღაღადებთ: დიდებაჲ
ძალსა შენსა, უფალო.

რომელი საუკუნეთა[6] პირველ
საყდართა ზედა მჯდომარე|იყო,

---

[1] სოლგრძელო. [2] შეგკრთა. [3] ამბაკომ [4] დაოსაბამოჲ. [5] ამბაკომ. [6] საოკონეთა
* № 44 ძლისპირის ღმრთისმშობლისაა.

11. ძლისპირნი



10 v

გარ[და]მოჴდა ჴსნად ჩუენდა,
მაქებელთა შენთათჳს,
ქალწულო ყოლად ქებულო,
  რომელნი
ძღუენსა შენდა შევსწირავთ და
  ვღაღადებთ: დიდებაჲ
ძალსა შენსა, ქალწულო.

49 (14) **Თ**ანაარსებაჲ
მამისა და სულისაჲ,
თანამფლობელი,
თანაგანმგებელი სიტყუაჲ
ამბაკუმ პირველვე აუწყა
ჴორცთა შესხმად
შემავალი სიჩრდოსა მას
მუცელსა[1] ქალწულისასა,
და ესრეთ ღაღადებდა:
ღმერთი სამხრით მოვალს,
მთით ჩრდილოჲთ მაღნართაჲთ.

Ვინ არა[2] გესავს,
ანუ ვინ არა[3] გნატრის,
უზეშთაესო·
შენ ყოველთა კაცთაჲსაო,
ქერობინთა ეტლთა საყდართა·
უმაღლესო,
ცათა უვრცელესო, ღირსო?
დღეს ღმრთისა მოვლინებულმან·
საღმრთომან მახარებელმან
ანგელოზმან ჴმა-ყო შენ მიერ
  ჴსნაჲ ჩუენი.

Ზეცით ქუეყანად 50(15)*
გარდამოჰჴედ სიტყუაჲ
  ღმრთისაჲ
მოქცევად წარმართთა,
რომელსა იტყოდა[4]
წინაჲსწარმეტყუელი:
შეძრწუნდეს[5] საყოფელნი
  ეთიოპელთანი
და კარვები იგი ქუეყანისა მის
  მადიამისაჲ.

ღამითგანსა

Საცთურთა[6] ბნელთა 51 (1)
ღამისათა შენდობად Eu 9 ჱ′

---

[1] მოცელსა. [2—3] არაჲ. [4] იტყუდა. [5] შეძრწონდეს. [6] საცთორაა..

* არ ახლავს ღმრთისმშობლისა.



11 г

მოხუედი, ქრისტე[1],
აღმსთობილნი შევსწირავთ
დღეს გალობასა შენდა, ვითარცა
ღმერთ ხარ,
რაჲთა წარმიძღუე გზასა
მშჳდობისასა[2],
შესლვად
სასუფეველსა, რომელ აღმითქუ
ჩუენ.

ცხორებისათჳს კაცთა
ნათესავისა
განჴორციელდა ღმერთი შენგან,
ქალწულო,
შეურევნელად შეიერთა კაცებაჲ
და იშვა მხოლოჲ ორითა
ბუნებითა[3]
და მით
ბრწყინვალედ განანათლა სოფელი.

52 (2) Eu 8 β′ **ღ**მერთი ხარ მშჳდობისაჲ[4] და
მამაჲ მოწყალე
და დიდისა ზრახვისა ანგელოზი,
საკჳრველი[5] თანა-მზრახვალი
მომივლინე ჩუენ,
რომელი მიმიძღუა ჩუენ ნათლად
და უღაღადებთ[6]:
ღამითგან აღვიმსთობთ ჩუენ
მგალობელად შენდამი, კაცთ-
მოყუარე.

ღმრთის-
მშობლად
პირველად აღგიარეს შენ
წინაჲსწარმეტყუელთა და მამად-
მთავართა
და გეტყოდეს: ისმინე, ასულო[7],
და იხილე,
დიდებაჲ ასულისა[8]
მეუფისაჲ [9] შინაგან
საშოსა დაემკჳდრა[10]
და იშვა ღმერთი დაბადებულთაჲ.

შენ, რომელმან 53 (3) Eu 1 β
განანათლენ მოსლვითა შენითა,
ქრისტე,
და განსწმიდენ
კიდენი ქუეყანისანი ჯუარითა,
განანათლენ გულნიცა
მგალობელთა შენთანი ნათლითა·
მეცნიერებისა შენისაჲთა.

---

[1] ქ͠ც. [2] მშოდობისასა. [3] ბონებითა. [4] მშოდობისაჲ. [5] საკურველი. [6] ულაღ͠აბთ. [7] ასოლო. [8] ასოლისაჲ. [9] მეოფისა. [10] დაემკუდრა.



11 v

მეედრებელთა
შენთა, რომელნი გესავთ
სარწმუნოებით[1],
ნუ განმაგდებ,
ღმრთისმშობელო, არამედ
მიითუალე
და შეწირე წინაშე
ძისა შენისა და ღმრთისა
ჩუენისა,
რამეთუ შენ ხარ სასოჲ ჩუენი.

54 (4) Eu 14ε′
ნაკუერცხალი ცეცხლისაჲ შეახო
ბაგეთა
სერაბინმან ესაიას
და განწმიდა იგი ქადაგად და
იტყოდა[2]:
მკჳდრნო[3] ქუეყანისანო,
ისწავეთ სიმართლე,
რამეთუ დადუმნა უღმრთოჲ[4].

უცხოდ[5] მუცლად[6]-ღებული
ქალწულმან წმიდამან
უბიწოდ დაიტია
და უზეშთაეს ბუნებათა[7] გჳშვა[8]
ჩუენ
ცათა დაუტევნელი[9],
წიაღითა იტჳრთა[10]
მჴსნელი დაბადებულთა.

55 (5) Eu 4 ε′
ბრწყინვალედ შეუნიერებასა
ღმრთეებისა შენისასა, ქრისტე,
მიუთხრობთ[11]:
დიდებაჲ ბუნებითი[12]
დაუსაბამოჲ,
სამარადისოჲ
მის თანა გამოჰბრწყინდი
საშოჲსაგან ქალწულისა,
მზე იგი სიმართლისაჲ
მსხდომარეთათჳს
ბნელსა და აჩრდილთა.

სიქადული[13] მორწმუნეთაო,
ღმრთისმშობელო ქალწულო, შენ
გევედრებით:
ნუ დასცხრები ვედრებად
უფლისა მიმართ,
რაჲთა მიჴსნეს ჩუენ

---

[1] სარწმონოებით. [2] იტყუდა. [3] მკუდრნო. [4] დადომნა ოღმრთოჲ. [5] ოცხოდ. [6] მოცლად. [7] ბონებათი. [8] გუშვა. [9] დაოტევნელი. [10] იტურთა. [11] მიოთხრობთ. [12] ბონებითი. [13] სიქადოლო.



12 r

ცოდვათა ჩუენთაგან
და ღირს მყვნეს[1]
დამკჳდრებად[2]
სასუფეველსა მისსა
მვედრებელნი შენნი, სძალო
ღმრთისაო.

56 (6) Eu 5 ε′ **ღ**ამითგან აღვიმსთობთ ჩუენ,
გიგალობთ შენ, ქრისტე[3],
რომელი ხარ მჴსნელი სულთაჲ
დაუსაბამოჲსა მამისა თანა,
მშჳდობაჲ შენი მომეც,
სახიერ, კაცთ-მოყუარე.

სიქადულო[4] ჩუენო,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
სასოდ ჩუენდა შენ მოგიგებთ;
შობილსა შენსა დამაგენ ჩუენ,
განდგომილნი ესე
დღეს ვედრებითა შენითა.

უცხონი*

57 (7) Eu 16 ε′ **მ**ნათობად ჩუენდა გამოაბრწყინვე
დაუვსებელი[5] ნათელი
აღმსთობილთა ყოფად
სამართალთა მცნებათა შენთა,
უფალო კაცთ-მოყუარე, ქრისტე[6],
ღმერთო ჩუენო.

შენ, ცათა უვრცელესო
ქალწულო
და ქერაბინთა უმაღლესო,
სიქადულო ჩუენო,
ღმრთისმშობელო, ევედრე
ჩვენთჳს
ქრისტესა, რომელნი
სარწმუნოებით გადიდებთ.

შენი მშჳდობაჲ[7] მომეც ჩუენ, 58 (8) Eu 15 ε′
ძეო ღმრთისაო, რამეთუ
სხუაჲ შენსა გარეშე ჩუენ არავინ[8]
ვიცით
და სახელსა შენსა სახელ-ვსდებთ,
რამეთუ
ღმერთი ხარ ცხოველთა და
მკუდართაჲ.

უხრწნელი[9] საშოჲ შენი დღეს
განწმიდნა რაჲ, ღმრთისმშობელო,

---

[1] მყვენს. [2] დამკუდრებად. [3] ქ͠ჱ [4] სიქადოლო. [5] დაოვსებელი. [6] ქ͠ე. [7] მშუიდობაჲ. [8] არაჲვინ. [9] ოხრწნელი.

* კიდეზე ვერტიკალურად: „უცხ". კიდეზევე მინაწერია: „აღვიმსთობთ ჩუენ" სხვა ხელით.



12 v

შენ|გან რაჲ ჴორცნი მოიხუნა სიტყუამან,
მამისა თანასწორმან სულით წმიდითურთ, რომლისა
ვედრებად ჩუენთჳს ნუ დასცხრები.

59 (9) Eιι 22 ς´ **ღ**ამითგან აღვიმსთობთ ჩუენ,
გიგალობთ შენ, ქრისტე[1] ღმერთო, უფალო ჩუენო,
რომელი ჩუენთჳს დაჰგლახაკენ
და ჯუარითა სიკუდილი[2] ჩუენთჳს დაითმინე.

მნათობთა შემოქმედისა
სამებასა სრულსა[3], რომელი
მისცემს ნათელსა,
ნათლად აღვიარებთ[4] მამასა,
სათნოდ ძესა ვადიდებთ, ნათლად
სულსა წმიდასა მიუთხრობთ[5].

60 (10) **ა**ჩრდილი რჩულისაჲ მის პირველისაჲ[6]
განქარდა,
რაჟამს მზე იგი სიმართლისაჲ ქრისტე[7]
გამობრწყინდა ჴორცითა
ღრუბლისაგან[8] სულმცირისა,
რომელი ქადაგა ესაია[9].

რომელი იყო, არს და ჰგიეს[10] მარადის
უცვალებელად, დიდებული სამებაჲ —
მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ,
რომელსა ჩუენ, მოსავნი,
დაუცხრომელად თაყუანისვსცემთ.

სულიერმან ებანმან — ჴმამაღალმან 61 (11)
და ნესტ[უ]მან საღმრთომან,
საღმრთოჲთა მადლითა
განბრძნობილმან ესაია[11]
სულისა მიერ წმიდისა
ზეცისა იგი საი|დუმლოჲ დაფარული[12]

---

[1] შ̃ნ ქ̃ჱ. [2] სიკჳდილი. [3] სროლსა. [4] აღვიარე. [5] მიოთხრობთ. [6] პ̃ირველისაჲ. [7] ქ̃ჱ. [8] ღრობლისაგან. [9] ესაჲ. [10]. ჰგიე. [11] ესაჲა. [12] საიდომლოჲ დაფაროლი.



13 г

ქადაგა განცხადებულად,
ქალწულისა მიდგომილებაჲ
და მისგან შობაჲ
ძისა და ღმრთისაჲ,
რომლისა სახელი ევმანოელ.

რამეთუ დაგიკჳრდა[1] შენ წინაშე
შემოსლვაჲ ჩემი, შენ,
ყოლად წმიდაო
სანატრელო დედოფალო,
არამედ ისმინე ჩემი:
მე ვარ გაბრიელ,
ანგელოზი მეუფისაჲ[2]
საყდართა წინაშე მდგომელი.
გახარებ შენ ღმრთისა სიტყუასა,
რამეთუ მუცლად[3]
შენდა შემოვალს
და უმამაკაცოდ კაც-იქმნების.

62 (12) **გ**ანგუანათლენ მგალობელნი
სასუფეველსა[4]
შენსა, ქრისტე, რამეთუ
ადიმსთობენ
შენდამი და მოუთხრობენ,
რომელი მოივლინე დღეს,
სახიერ, მჴსნელად სულთა
ჩუენთა.

მიითუალე, ღმრთისმშობელო,
ვედრებაჲ ჩუენი
და განდგომილნი ესე დამაგენ
ძესა შენსა და ღმერთსა,
რომელი იტჳრთე,
ვითარცა წინაჲსწარმეტყუელნი
იტყოდეს.

ღაღატყავსა

შთაჴდა იონა სიღრმეთა მათ
ზღჳსათა[5] 63 (1) Eu 9 ε'
და ღაღადებდა ღმრთისა მიმართ
ვედრებით:
აღმომიყვანე დანთქმისაგან,
უფალო,
ხოლო მე, ქრისტე, შენდა
მომართ ვღაღადებ:
უგულებელს-ყავ ბრალთა ჩემთა
სიმრავლე.

სძალო წმიდაო, ვედრებად ნუ
დასცხრები,

---

[1] დაგიკურდა. [2] მეოფისაჲ. [3] მოცლად. [4] სასუფელესა. [5] ზღუსათა.



13 v

რომლი|სა იქმენ დედა
უბიწოებით,
რაჲთა განვერნეთ ღელვათა
სოფლისათა,
რამეთუ შენ ხარ მყუდროჲ[1]
ნავთსაყუდელი
მოსავთა შენთაჲ,
ღმრთისმშობელო ქალწულო.

64 (2) Eu 8 ϛ' **პ**ირველ იონა შთანთქმული[2]
მჴეცისაგან
განმხრწნელისა წარმოიგდო
უხრწნელად
და ქალწულისა
მუცელსა[3] სიტყუაჲ ღმრთისაჲ
განჴორციელდა
და მშობელი თჳსი დაიცვა
უხრწნელად,
ხოლო
ბუნებანი შეცვალნა,
ვითარცა ინება
და გუაცხოვნნა[4] ჩუენ.

Ორთა მუცელთა[5]
ბუნებანი[6] შეცვალნეს
ვეშაპისა და ქალწულისამან
დღეს, რამეთუ პირველ
უხრწნელად დაჰმარხა მუცელმან[7]
ნაყოფი,
ხოლო აქა დღეს ნაყოფმან დაიცვა
მუცელი
იგი,
სახე იყო ამისა,
რამეთუ ქალწული
ჰგიეს ქალწულად.

მომიცვნა ჩუენ სიღრმემან 65 (3) Eu 1 ϛ'
ღელვათამან
და არავინ[8] არს მჴსნელ ჩუენდა
და ვიქმნენით ჩუენ,
ვითარცა ცხოვარნი კლვადნი,
არამედ იჴსენ[9] ერი[10] შენი,
უფალო.
შენ ხარ სასოჲ
და ნუგეშინის-მცემელი
განწირულთაჲ.

შენდა მომართ იხარებენ,
ღმრთისმშობელო,
მამა-დედანი კაცთანი,
რამეთუ უკუ-მოიღეს ედემი შენ
მიერ,
რომელი წარეწყმიდა ურჩებითა,
შენ ხარ ქალწულ
პირველ შობამდე და შემდგომად[11]
შობისა.

---

[1] მყოდროჲ. [2] შთაქმული. [3] მოცელსა. [4] გუაცხოვნანა. [5] მოცელთა. [6] ბოჳნებანი. [7] მოცელმან. [8] არაჲვინ. [9] იჴსნე. [10] ირი. [11] შემდგუმად.



14 г

66 (4) Eu 14 ε′ **რ**ომელმან თავს-იდვა
ჭირი იგი ზღჳსაჲ[1] მის,
სივლტოლასა მისსა ურჩებით
შეპყრობილ იქმნა იგი
მუცელსა შინა
ვეშაპისასა
იონა და ღაღატ-ყო:
აღმოვედინ განხრწნისაგან
ცხორებაჲ ჩემი.

შენ, რომელმან მოსპე
ყუედრებაჲ დედისაჲ მის
ევაჲსი, ქალწულო,
და აჰჴოცე ჴელით-წერილი
იგი ცოდვისაჲ
მუცლად[2]-ღებითა
კრავისა მის ღმრთისაჲთა,
რომელი დაიკლა ჯუარსა ზედა
ჩუენთჳს.

67 (5) Eu 4ε′ **ც**უდ[3] იქმნა სიმჴურვალე[4]
იგი, განმხრწნელი მუცლისაჲ,
სიღრმეთა მათ ვეშაპისათა და
სახედ გამოჩნდა
აღდგომისათჳს[5] შენისა
იონა ჴსნილი
შთანთქმისა მისგან და ღაღატ-ყო
ჴმითა
საგალობელითა:
შევსწირავთ შენდა მსხუერპლსა
ქებისასა, უფალო.

ცეცხლმან ღმრთეებისამან
არა[6] შეწუა საშოჲ შენი,
უქორწინებელო დედაო მისა
ღმრთისაო,
არამედ იონაჲს სახედ
ეგე უხრწნელად
და უვნებელად, ყოლად უბიწო[ო],
ხოლო ჩუენ, მოსავნი
შენნი, ქებასა შენდა
შევსწირავთ, ღმრთისმშობელო.

წინაჲსწარმეტყუელი იჴსენ 68 (6) Eu 22 ε′
ვეშაპისაგან, მოწყალე,
მეცა ცოდვათაგან მიჴსენ აწ,
კაცთ-მოყუარე უფალო.

---

[1] ზღუსაჲ. [2] მოცლად. [3] ცოდ. [4] სიმჴორვალე. [5] აღდგუმისათჳს. [6] არაჲ.



14 v

მამასა ღმერთსა უგალობთ[1]
და ძესა ღმერთსა ვადიდებთ
და სულსა წმიდასა თაყუანის-
  ვსცემთ
ერთობით მორწმუნენი.

69 (7) Eu 11 ε´ **ს**იღრმით გამო
ღაღატ-ყო
მწუხარებითა[2] იონა:
იჴსენ ცხორებაჲ ჩემი
  განხრწნისაგან, უფალო,
ვითარცა მოწყალე ხარ.

Დაიტიე,
ქალწულო,
სიტყუაჲ ღმრთისაჲ უცხო-სახედ
და გჳშევ[3] ჩუენ ჴორცითა
  დამბადებელი შენი,
მისა მეოჵ გუეყავ ჩუენ.

Იონაჲს სახედ გღაღადებთ,
  უფალო, ჴმითა
ქებისაჲთა ვედრებით:
აღმოიყვანე განხრწნისაგან
ცხორებაჲ ესე ჩემი.

70 (8)* **Ღ**მრთისმშობლად აღგიარებთ
  მორწმუნენი ღირსად,

71 (9) Eu 15 ε´ დედაო იესუჲსო[4],
ნუ უგულებელს[5]-ჰყოფ,
  ქალწულო,
მადიდებელთა შენთა.

უცხონი**

71 (10) Eu 15 ε´ *ἄλλος,* **Წ**ინაჲსწარმეტყუელისა იონაჲს
  მიმსგავსებული ვჴმობ:
ცხორებაჲ ჩემი, სახიერ,
იჴსენ ხრწნილებისაგან,
და მაცხოვნე მე, მაცხოვარო
სოფლისაო, გიგალობთ: დიდებაჲ
  შენდა.

Მუცლად-იღე უთესლოდ და შევ
  ღმერთი და ეგე ქალწულად.
დიდ არს საიდუმლოჲ[6] შენი.
გიხაროდენ, მარიამ
სახარულევანო და სიქადულო
მოსავთა შენთაო, ქალწულო.

72 (11) **Ბ**უნებამან[7] განმხრწნელმან
და მჴურვალემან[8]
მუცელმან[9]
ვეშაპისამან არა[10] განხრწნა
ჴორცნი წინაჲსწარმეტყუელისანი,
არამედ დაი|ცვნა იგინი სამ დღე:

---

[1] ოგ῀ლბთ. [2] მწოხარებითა. [3] გუშევ. [4] იჱსუსო. [5] უგოლებელს. [6] სჲდომლოჲ: [7] ბონებამან. [8] მჴორვალემან. [9] მოცელმან. [10] არაჲ.

* კიდეზე სხვა ხელით: „შთაჴედ რაჲ“. ** კიდეზე ვერტიკალურად.



15 г

და მით გამოსახა
მესამისა დღისაჲ
აღდგომაჲ[1] შენი დიდებული.

ბუნებაჲ ღმრთეებისაჲ
ეგო უცვალებელად,
რაჟამს შეერთო შეზავებითა
ბუნებასა ადამიანთასა
ბრძმედსა შინა ქალწულისა სამოჲსასა
და იშვა სიტყუაჲ ღმრთისაჲ
ორითა ბუნებითა[2]
განუყოფელად[3] და შეურწყმელად.

73 (12) **ს**იღრმესა
შთა[ნთ]ქმული იონა იჴსენ,
შეწყდომილი მუცელსა
მჴეცისასა შენდა მომართ ჴმობდა:
აღმომიყვანე
განხრწნისაგან უხრწნელად,
განწირულთა სასო[ო].

ქალწულო,
ღირსად აღგიარებთ მორწმუნენი[4],
რაითა განმარინე ჩუენ
წყევისა პატიჟთაგან, ურჩებით მოგებულთა
ევაჲს ცთომითა,
რამეთუ შენ ხარ სასოჲ
და შემწე განწირულთაჲ.

იონა მენავეთა 74 (13)
გარდააგდეს
ნავით უფსკრულად
და არა[5] მოიკლა, არამედ დაიცვა ღმერთმან
მჴეცისა მუცელსა[6] შინა
და უჩუენა მას
ქალწულისა, მშობლისა,
ქალწულებაჲ უქცეველი,
ქუეყანაჲ დაუთრგუნველი,
რომლისა მოქლონნი
მისნი ჰგიან,
ვითარცა
კლიტენი საუკუნონი[7].

---

[1] აღგუმაჲ. [2] ბონებითა. [3] განოყოფელად. [4] მორწმონენი. [5] არაჲ. [6] მოცელსა.
[7] საუკკნენი.



15 v

Ⴈძლევიან[1] ყოველნი ბუნებანი
დაბადებულთანი და
განცჳფრდებიან[2]
გონებანი[3] გონიერთანი,
რამეთუ ვერ მისწ[უ]თებიან
საიდუმლოსა[4]
შენისა მის ქალწულებით
მუცლად[5]-ღებისასა, ღირსო,
ხოლო დაეცადებიან
ვამოძიებად
და განკჳრვებით[6]
დაუცხრომელად გადიდებენ შენ.

კურთხეულარსა[7]

75 (1) Eu 9 ζ' **ს**იყუარულითა[8]
ყოველთა მჴსნელისაჲთა
არად შეჰრაცხეს ყრმათა
რისხვაჲ მძლავრისა ღმრთის-
მოძულისაჲ
და ცეცხლსა შეთხეულნი
* არა[9] შეიწუნეს
და ესრეთ ღაღადებდეს: მამათა
ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ
შენ.

Ⴄრთი ძე მხოლოჲ,
თანა-დაუსაბამოჲ
მამისა და სულისა წმიდისა,
შენგან[10] განჴორციელდა
უქცეველად, უსძლო[ო]
სძალო მარიამ,
რომელსა უღაღადებთ: მამათა
ჩუენთა ღმერთო,
[კურთხეულ ხარ შენ].

Ⴗრმანი სარწმუნოებით 76 (2) Eu 8 ζ'
აღზრდილნი
წინა-აღუდგეს მძლავრსა მას
და არა[11] შეშინდეს იგინი
სიმძაფრისა მისგან ცეცხლისა,
არამედ შორის ალსა დგეს და
ღაღადებდეს:
მამათა ჩუენთა ღმერთო,
კურთხეულ ხარ შენ.

სამითა თჳთებითა[12]
განუყოფელად[13] და შეურწყმელად
მოგუესწავა ჩუენ სამებაჲ
და აღვიარებთ ერთარსებით
თაყუანის-საცემელსა ღმერთსა და
ვღაღადებთ: [მამათა ჩუენთა
ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ].

---

[1] ი˝ძლევნ. [2] განცუფრდებიან. [3] გუნებანი. [4] სა˝იდომლოსა. [5] მოცლად. [6] განკურვებით. [7] კ˝ხ. [8] სიყოაროლითა. [9] არაჲ [10] შ.˝ნ. [11] არაჲ. [12] თეთ̣ბითა. [13] განოყოფელად.

* კიდეზე: „გალობასა შევს“.



16 г

77 (3) **ვ**ითარცა-რაჲ
სიონს შინა მდგომარე
იყვნეს ყრმანი
ცეცხლსა შინა
და ანგელოზისა მსგავსად
გამოუჩნდა უფალი[1]
და განუქარვა[2] ალი
იგი საჴმილისაჲ ცუარითა და
იტყოდეს:
კურთხეულ ხარ, ღმერთო
მამათა ჩუენთაო.

სამებისა
ძალი მხოლოჲ ბრწყინვალე,
უაღრესი ბუნებათაჲ[3]
გუესწავა ჩუენ მგალობელთა:
მამაჲ დაუსაბამოჲ,
ძე თანა-განმგებელი,
სული წმიდაჲ, სწორი ბუნებით[4],
ერთარსებით
თაყუანის-ცემული
ღმერთი მამათა ჩუენთაჲ.

78 (4) Eu 11 ζ′ **ა**ბრამიანთა ყრმათა
საჴუმილსა მას შინა სამებაჲ
გამოსახეს
და ალი ცეცხლისაჲ
ცუარად გარდააქციეს
და გალობით იტყოდეს[5]:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

მორწმუნენო, მოვედით,
ერთსა ბუნებასა ღმრთეებისასა
აღვიარებდეთ ჩუენ
მართლსარწმუნოებით
და გალობით ვიტყოდით:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
[ღმერთო მამათა ჩუენთაო].

79 (5) Eu 4 ζ′ **გ**ულისწყრომასა მძლავრისასა
შური[6] საღმრთოჲ რაჲ წინა-
აღუდგა[7]
და გარდაცვალა ცეცხლი
იგი შემწველი ცუა[რ]ად
და რისხვაჲ სიხარულად
და სამძალითა
შემასხმელითა ღმრთისა ებანთა
თანა
გალობით იტყოდა სახიობასა
ამას, ღაღადებდა:
მამათა ჩუენთა ღმერთო, მარადის
კურთხეულ ხარ.

---

[1] ო̃ჲ. [2] განოქარვა. [3] ბონებათაჲ. [4] ბონებით. [5] იტყუდეს. [6] შორი. [7] აღოდგა.



16 v

სამებასა ერთარსებასა
დაუცხრომელად თაყუანისვსცემდეთ
განწმედილნი გულითა,
ბრწყინვალენი სულითა
სარწმუნოებით[1] ესრეთ
ულალადებდეთ:
დამიცვენ ჩუენ, დაბადებულნი
შენნი,
მანქანებათაგან
მაცთურისაჲა,
რაჲთა გიგალობდე: მამათა ჩუენთა
ღმერთო, მარადის [კურთხეულ
ხარ].

80 (6) Eu 5 ζ' **ხ**ატსა მას მონებდეს,
სახიობითა ჴმობდეს
შეკრებულნი იგი ერნი,
გალობაჲ სიონისაჲ აღილეს,
მამული ყრმათა დავითისთაჲ
და მძლავრთაჲ მათი დაჰჴსნეს
და მუელი იგი, რომელ ჰყოფდეს
და ცეცხლი მათი ცუარად
შეცვალეს;
და გალობით იტყოდეს:
უფროჲსად ამაღლებულო,
მამათა ჩუენთა ღმერთო,
მარადის კურთხეულ ხარ.

სახედ სამებისა
სახიობაჲ სამთა მათ
ცეცხლსა შეთხეულთა ყრმათა
საჴუმილსა[2] მას შეაც[უ]რიეს
ბაბილონს
და მძლავრისა განრისხებასა
კურთხევად[3] შესცვალებდეს
და სამებისა მგალობელნი
ყრმანი მაღალსა აკურთხევდეს[4]:
[მამათა ჩუენთა ღმერთო,
მარადის კურთხეულ ხარ].

შენ, რომელი
გამოშჩნდი ცეცხლად მაყლოანსა შინა 81 (7) Eu 22 ζ'
და მით გამოსახე შობაჲ შენი
ქალწულისაგან,
კურთხეულ ხარ შენ, უფალო,
საუკუნითგან უკუნისამდე*.

---

[1] სარწმონბთ. [2] საჴომილსა. [3] კორთხევად. [4] აკურთხევდეს† და იგივე.
* აქედან ხელნაწერი ნაკლულია. აკლია II ხმის „მესმასა“-მდე.



17 г

[უფალო მესმასა ჳმაჲ ბ]

82 (1) Eu 50 ბ′ [საქმენი შენნი, ვითარცა
განიცადნა,
ღაღატ-ყო ჳმითა
წინაწარმეტყუელმან დღეს:
მესმა მე სმენაჲ]*
კაცთა განახლებისაჲ
და დამიკჳრდა[1] შენი
სიმდაბლით მოსლვაჲ,
რაჲთა შეჰმუსრო ძლიერებაჲ
მჴდომისაჲ.

მხოლოჲ, ყოველთა კაცთა[2]
დამბადებელი,
უფროჲს[3] ცნობისა ჩჳლ[4]
იქმნა შენგან, სძალო,
სწორი მამისაჲ
და სულისა წმიდისაჲ
და დაადგრა ღმრთეებით
უცვალებელად,
დაღაცათუ აწ მიიხუნა შენგან
ჴორცნი.

სმენაჲ მესმა, უფალო, 83 (2) Eu 49 ბ′
შობაჲ შენი ჩუენ კაცთათჳს[5].
და შიშმან შემიპყრა მე, რამეთუ
ჯერ-გიჩნდა,
დაუსაბამო[ო] ქრისტე,
აღსასრულსა ჟამთასა
მოსლვაჲ კაცთა ცხორებისათჳს,
ამისთჳსცა გიღაღადებთ: ძალსა
შენსა
დიდებაჲ მრავალ-მოწყალეო.

დაუსაბამოჲ ღმერთი,
შენგან იშვა, უბიწოო,
მზრდელი დაბადებულთაჲ
ძუძუთა[6] შენთაგან,
ვითარცა ჩჳლი ბუნებით[7] სძითა
იზარდებოდა,
რაჲთა ბუნებაჲ ჩუენი იჴსნას
ცოდვისაგან და ვიტყოდით:
ძალსა შენსა
დიდებაჲ, მრავალ-მოწყალეო.

მოხუედ ჩუენდა 84 (3) Eu 46 ბ′
ქალწულისაგან არა[8] | ანგელოზი,

---

[1] დამიკჳურდა. [2] კ̃ცთაჲ. [3] უფრროჲს: [4] ჩულ. [5] კაცთათუს. [6] ძოძოთა. [7] ბონებით. [8] არაჲ.

* აღდგენილია Sin 3-ის მიხედვით.



17 v

არამედ თჳთ უფალი[1],
განჴორციელებული ღმერთი
და მიჴსნენ ჩუენ ყოვლითურთ,
რომელნი ვღაღადებთ: დიდებაჲ
ძალსა შენსა.

შენ გიცნობთ ჩუენ
მყუდროდ[2] ნავსაყუდელად,
დედოფალო,
და ზღუდედ სიმტკიცისა
დაურღუეველად,
ღმრთისმშობელო,
და მეოხად[3] მიგავლენთ
ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენ
ყოველთაჲსა.

85 (4) Eu 60 δʹ **მ**ესმა, უფალო, განგებაჲ
საიდუმლოთა მათ შენთა
წმიდათაჲ
და გადიდე შენ, მხოლოჲ, კაცთმოყუარე.

შენ, დედაო უბიწო[ო],
მეოხ[4] გუეყავ ღმრთისა, რომელი
შენგან
გამოგჳბრწყინდა მჴსნელი სულთა[5]
ჩუენთაჲ.

მესმა სმენაჲ ძლიერებისა
შენისაჲ, ქრისტე, რამეთუ 86 (5) Eu 55 δʹ
ვითარცა ღმერთ ხარ, სიბრძნითა
ყოველივე განაგე
და გიღაღადებთ:
დიდებაჲ ძალსა, შენსა, უფალო.

უსძლოო[6] დედაო ქრისტესო,
რომელმანცა მუცლად-იღე
დამბადებელი უთესლოდ
და ჰშევ ღმერთი ჴორცითა
უზეშთაესად,
მეოხ[7] გუეყავ ჩუენ,
დაუცხრომელად.

მთისაგან უჴელოდ ლოდი 87 (6) Eu 53 δʹ
გამოეკუეთე, ქრისტე,
ქალწულისაგან დედისა,
ამისთჳსცა წინაჲსწარმეტყუელმან
გიხილა და ღაღატ-ყო:

---

[1] თუთ ო˝ჲ. [2] მყოდროდ. [3] მეუხად. [4] მეუხ. [5] სოლთა. [6] ოსძლო. [7] მეუხ..



18 r

ჴსნად ერისა შენისა მოხუედ,
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

რომელსა ქებაჲ ქებათაჲ
შეგამკობდა, უსძლო[ო],
ყოლად ქებულო ქალწულო
და ეკლესიასტე სიბრძნით
მოგასწავებდა, წმიდაო,
ღმრთისა დედაო, უბიწო[ო],
მეოხ გუეყავ მოსავთა შენთა.

უცხონი[1]

88 (7) **წ**ინაჲსწარ ესმა
Eu 54 წინაჲსწარმეტყუელსა[2]
ბ´ მოსლვაჲ შენი, ქრისტე,
დაუკჳრდა[3]
და ქადაგებით[4] მოასწავებდა და
იტყოდა[5]:
აღივსო ქუეყანაჲ დიდებითა
შენითა, უფალო,
და სიმდაბლე ჩუენი არა[6]
უგულებელს-ჰყავ,
არამედ ვითარცა შუენის
ღმრთეებასა შენსა,
მოხუედ და იჴსნენ ცხებულნი
შენნი.

სანატრელ ხარ შენ დედათა
შორის, უბიწო[ო] სძალო მარიამ,
რამეთუ შენგან მი[ი]ღო ბუნებაჲ
კაცთა დაწყებისად დამბადებელმან
ღმერთმან[7]
და აღიყვანა იგი
ზეცად მამისა,
დააგო განდგომილი და დაჰჴსნა
მტერობაჲ
პირველისა მის შეცოდებისაჲ.

შესმა მე სმენაჲ შენი და შემეშინა 89 (8)
და გიგალობ შენ, უფალო,
ღმერთო ჩემო,
რამეთუ მოხუედ მოძიებად
შეცდომილთათჳს
და ვადიდებ
ჵრავალსა შენსა
კაცთმოყუარებასა.

---

[1] ოცხონი. [2] წ̄წ̄´ტყლსა. [3] დაუკურდა. [4] ქდბთ. [5] იტყუდა. [6] არაჲ [7] „ღმერთმან“ სხვა ხელით.



18 v

შენ გადიდებთ, ყოლად[1] წმიდაო
და მიგავლენთ მეოხად[2] წინაშე
ღმრთისა.
დაიცევ ერი შენი,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
სავნებელთაგან
სული[ე]რთა და
ჴორციელთაჲსა.

90 (9) Eu 57 ბ′ **ქ**ალწულისაგან შობაჲ
პირველადვე
წინაჲსწარმეტყუელმან
იხილა რაჲ, ღაღატ-ყო:
სმენაჲ მესმა და შემეშინა
ფრიად,
რამეთუ თემანით და მთით
ჩრდილოჲთ მაღნართაჲთ
მოხუედ ცხორებისათჳს ჩუენისა
განჴორციელებად, ქრისტე.

დიდებულებაჲ შენი
ღმრთისმშობელო, ყოლად
უბიწო[ო],
ვინ შეუძლოს გამოთქმად?
რამეთუ დამბადებელი ყოველთაჲ,
ვითარცა ჩჩჳლი, იტჳრთე[3] შენ
წიაღითა,
დამჴსნელი ბრძოლათაჲ, ყოვლისა·
მპყრობელი,
მისა მიმართ მეოხ გჳეყავ-

შუწყა რაჲ 91 (10)•
ამბაკუმს[4] მოსლვაჲ შენი და
ღაღადებდა:
აჰა მოვალს მჴსნელი
პყრობილთა ბნელსა
და მაცხოვნეს ჩუენ.

ღმერთი დაბადებულთაჲ 92 (11)
სიმდაბლით მოვიდა
ჴორცთა შესხმად ჴსნისათჳს
ჩუენისა,
რამეთუ უსხეულომან შეიმოსა·
ბუნებაჲ განხრწნილი
და უღაღადებთ:
დიდებაჲ ძალსა შენსა.

---

[1] ყ῀ლდ. [2] მეუხად. [3] იტურთე. [4] ამბაკომს.
• 10—12 ძლისპირებს არ ახლავთ ღმრთისმშობლისანი.



19 r

93 (12) Ⴓძლურებასა[1] ჴორცთასა
შეთხზულმან[2] დღეს მძლავრისაჲ მის
შეჰკარ ძლიერებაჲ და მძლავრებით[3]
შეკრულნი[4] უძლეველმან გამოიჴსნენ.
და განთავისუფლებულთა
ესრეთ ღაღატ-ყვეს:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო*.

ღამითგანსა

94 (1) Eu 50 ε′ Ⴂანვიბანენით
ჴორცითა სულთა[5] თანა
მწიკულისა[6] მისგან საცთურთა[7] მტერისათა
და წარვემართენით ჩუენ მცნებათა გზასა,
რომელი მიმიყვანებს ჩუენ ცხორებასა მას
განწმედილთასა, ჩინებულთა ღმრთისათა.

ძალი მტერისაჲ
მოუძლურდა[8] სრულიად[9],
სიტყუაჲ ღმრთისაჲ რაჲ ქუეყანასა გამოჩნდა[10],
ინება გამოჴსნაჲ საცთურისაგან
კაცთა ნათესავისაჲ, რაჟამს მიიხუნა
უბიწოჲსა მის ქალწულისაგან
ჴორცნი.

Ⴈესუ[11] მთავარი მშჳდობისაჲ[12] მოვიდა 95 (2) Eu 49 ε′
დღეს დაჴსნად პატიჟთა
ადამ პირველ-ქმნულისა
და ჴელნი, რომლითა შექმნა, შემშჭუალნა ჯუარსა
და მით მოკლა მტერი
ნათესავისა ჩუენისა
და თჳსთა | მორწმუნეთა

---

[1] უძლორებასა. [2] შეთხზოლმან. [3] მძავრებით. [4] შეკორნი. [5] სოლთა. [6] მწკლისა. [7] საცთორთა. [8] მუძლურდა. [9] სროლიად. [10] გამოჩ˝ნდა. [11] ი˝ვ. [12] მშოდობისაჲ.

* ამ გალობის ერთი ძლისპირი იხ. გამორჩენილ ძლისპირებში (გვ. 180 v—181 r).



19 v

აჩუენა ძლევაჲ
ჯუარითა
და მშჳდობაჲ[1] მოჰმადლა.

ქერაბინთაგან მიუწდომელი
და სერაბინთაგან უხილავი
ღმერთი
ჴორცითა გჳშევ, უბიწო[ო] და
უქორწინებელო სძალო,
ქალწულო მარიამ,
რამეთუ უზეშთაეს ხარ
სიმაღლესა ცათასა,
რომელმან დაუტევნელი
საშოსა დაიტიე.

96 (3) Eu 53 ⴂ′ **შ**უამდგომელ იქმენ
ღმრთისა და კაცთა, ქრისტე,
ღმერთო ჩუენო.
და შენ მიერ განვერენით
ბნელისაგან ღამისა
წყუდიადისა[2]
და ღირს ვიქმნენით[3] ნათელსა
მამისა შენისასა.

ევედრე ძესა
შენსა და ღმერთსა ჩუენსა,
ყოლად უბიწო[ო],
რაჲთა მოგუანიჭოს ჩუენ
გამოჴსნაჲ უღლისაგან მტერთა
ჩუენთაჲსა
და მეფესა ჩუენსა მოჰმადლოს
ძლევაჲ ბარბაროზთაჲ.

ნათლისა მომცემელო 97 (4) Eu 51 ⴃ′
და საუკუნეთა შემოქმედო,
უფალო,
ნათელსა მცნებათა შენთასა
დამამტკიცე, რამეთუ
ჩუენ შენსა გარეშე, სახიერ,
სხუაჲ ღმერთი არა ვიცით.

შენ, რომელმან შევ ქრისტე,
დამბადებელი ყოველთაჲ,
ჴორცითა, გიღაღადებთ
და ვიტყჳთ: გიხაროდენ,
ქალწულო, უბიწო[ო],
გიხაროდენ, რომელმან

---

[1] მშუდობაჲ. [2] ჭყოდიადისა. [3] ვქმნენით.



20 г

სამოსა დაიტიე ღმერთი
  დაუტევნელი.

98 (5) Eu 48 ε′ **ღ**ამითგან ალვიმსთობთ ჩუენ,
გიგალობთ შენ, ქრისტე, უფალო,
რამეთუ ნებითა მამისაჲთა
გარდამოჰჴედ სიმდაბლით
  ქუეყანად
სულთა ჩუენთა ცხორებისათჳს.

წმიდაო დედოფალო,
ქალწულო, ნუ[1] უგულებელსჰყოფ
მეედრებელთა შენთა თხოვასა,
შენგან შობილსა
  ღმერთსა ევედრე,
რაჲთა აცხოვნნეს[2] სულნი ჩუენნი.

99 (6) Eu 55 ε′ ἄλλος **დ**ამჴსნელი ბნელისაჲ მის
წესთა მათ წერილისა
პირველისა შჯულისათა[3] და
  მომცემელი
მორწმუნეთა მადლთა მისთა,
ქალწულისაგან იშვა ქრისტე
და მიმიძღუა ჩუენ ნათლად
ღმრთეებისა თჳსისა.

დღეს იხარებდინ წმიდაჲ
და ყოლად დიდებული
ღმრთისმშობელი გამოუთქუმელი,
  რამეთუ
მას შინა აღმოსცენდა
განმაქარვებელი წყევისაჲ,
რომლისაგან მოვიღეთ
კურთხევაჲ საუკუნოჲ.

100 (7 Eu 54 ε′ **ც**ხორებაჲ ხარ დაუსრულებელი
და ნათელი მიუწდომელი,
ქრისტე, ღმერთო ჩუენო,
აჩრდილი ბნელისა მის
  უგუნურებისაჲ[4]
განაშორე ბუნებათაგან[5] ჩუენთა
და განანათლენ საცნობელნი
  სულთა ჩუენთანი
ნათლითა მით დაუღამებელითა
მცნებისა შენისაჲთა.

---

[1] ნო. [2] აცხ˜ენენ. [3] შჯოლისათა. [4] უგონორებისაჲ. [5] ბონებათგან.



20 v

რომელი მამისაგან უდედოდ
პირველ საუკუნეთა იშვა,
ქრისტე, ღმერთი ჩუენი,
და შენგან უმამოდ, სძალო
უბიწო[ო]
და უქორწინებელო, კორც-
შესხმულ იქმნა
ქრისტე ჟამიერი და უჟამოჲ
ორითა
ბუნებითა, ღმერთი და კაცი,
მას ევედრე კსნა[დ] სულთა
ჩუენთათჳს.

101 (8) **ნ**ათელი რაჲ
გამოუჩნდი სოფელსა
წარუვალი და ღამე დღედ
მოგუეახლა
ჩუენ,
ამისთჳსცა გიგალობდეთ, ზეცისა
წესთა თანა
დიდების-გმეტყუელებს ყოველი
დაბადებული, უფალო.

შმეტესო ყოველთა ნათესავთაო,
ყოლად უხრწნელო
ღმრთისმშობელო ქალწულო,
შენ ხარ სასოჲ მორწმუნეთაჲ,
დიდებისმეტყუელებით
გადიდებთ: მიმიძელ გზათა
სალმრთოთა.

ღამისა წარსვლითა 102 (9) Eu 55 ϛ'
მოგუეახლა ჩუენ ნათელი
განთიადისაჲ,
ამისთჳსცა გიგალობენ წესნი
ანგელოზთანი,
დიდების-მეტყუელებს[1] ყოველი[2]
დაბადებული უფალსა.

ჲათა მეუფემან.
სათნო-იყო რაჲ შენ თანა
დამკჳდრებაჲ და
შენგან კორცნი შეისხნა ნებითა
მამისაჲთა
და შენ, მხოლოსა, ჩუენ
მო|რწმუნენი[3] მეოხად[4]
აღგიარებთ.

---

[1] დიდებისმეტყუელებთ. [2] ყ̃ლ. [3] მორწმონენი. [4] მეუხად.



21 г

3
(10)
Eu 58
ზ′
Ⴚოდვისა ალმურსა[1]
წინაწარმეტყუელმან ესაია[2]
ბნელად უწოდა,
ხოლო ცუარი შენ მიერ
საკურნებელად[3] ჩუენდა,
რომელთა მოვიღეთ
შენ მიერ, ქრისტე, ნათლისღებაჲ.

Ⴚოდვისა ალმურსა[4]
შეპყრობილ ვიყვენით ჩუენ,
წარმართნი,
ხოლო შენ, რაჟამს
მოხუედ, სიტყუაო ღმრთისაო,
ცხორებისათჳს ჩუენისა,
განჰკაცენ ქალწულისაგან
მჴსნელად სულთა ჩუენთა.

104
)
შენ, მნათობთა ნათლისა
მომცემელო
და განწირულთა[5]
მაცხოვარებაო[6],
ქრისტე, მჴსნელო ყოველთაო,
შენდა აღვიმსთობთ,
მეუფეო მშჳდობისაო[7],
განგუანათლენ[8] ჩუენ
ნათლითა მით შენითა,
რამეთუ შენსა გარეშე, უფალო,
სხუაჲ არავინ[9] ვიცით.

შენ, ღმრთისა[10] სიტყჳსა
დამტევნელო
ქალწულო, განწირულთა
სასო[ო],
დავრდომილთა ნავთსადგურო[11],
შენდა მოვილტით
და შენ მიგავლენთ ძისა შენისა,
რაჲითა მოვიღოთ მისგან
მეოხებითა
შენითა ბრალთა შენდობაჲ და
ცხორებაჲ*
სულთა ჩუენთაჲ, ღირსო.

---

[1] ალმორსა. [2] ესაჲა. [3] საკორნებელად. [4] ალმორსა. [5] განწიროლთა. [6] მაცხოვრბო: [7] მშოდობისაო. [8] განგუანათლქნ. [9] არაჲვინ. [10] ღ̃თი. [11] ნავთსადგორო.

* რიტმული დაყოფისათვის 1 წერტილია.



21 v

105 (12) ნაკუერცხალი,
რომელ ესაიას ეჩუენა
მზედ სიმართლისად,
ქალწულისაგან გამოჩნდა
და ბნელსა შინა მსხდომარეთა
ღმრთისმეცნიერებისა ნათელი
მოსცა*.
პატივ-გცემთ, ყოლ̃ად
უხრწნელო სძალო,
რამეთუ იჴსნი ჭირისაგან,
რომელნი
შენდამი ღაღადებენ,
რაჲთა დავიცვნეთ
საცთურისაგან მტერისა
ბოროტისა.

ღაღატყავსა

106 (1) Eu 50 ε' წინაჲსწარმეტყუელმან
მუცლისა სიმყურვალე
ზღჳსა[1] მჴეცისაჲ
სამ დღე თავს-იდვა
და მოასწავა მეორედ შობაჲ
კაცთაჲ
ჴსნისათჳს ყოფადისა.
მუცლისა მისგან
ვეშაპისა მის, რომელი მოკლა
მჴსნელმან.

შენ, ვითარცა დედასა
სიტყჳსა მის ღმრთისასა,

107 (2) Eu 49 ε' იონა, დანთქმულმან
ზღუასა შინა პირველ
ვეშაპისაგან, წინაჲსწარვე
გამოსახა
დაფლვაჲ მჴსნელისაჲ
სამისა დღისაჲ და აღდგომაჲ
უხრწნელად
და განუცხადა მან
სახე დიდებულისა ვნებისაჲ,
ცხორების მომცემელი ყოველთაჲ.

ბუნებაჲ დედათაჲ,
პირველ შეურაცხი

---

[1] ზღუსა.

* ამ გალობის 2 ძლისპირი იხ. გვ. 181 г.



22 r

ევ|აჲს ცთომითა შენ მიერ
დიდებულ იქმნა,
ყოლად წმიდაო,
უქორწინებელო დედაო
ღმრთისაო,
რამეთუ შენ მიერ მოვიღეთ
ნათელი
ბრწყინვალე,
განმანათლებელი სულთა
ჩუენთაჲ.

108 (3) Eu 46 ε΄ ღელვამან ცოდვისამან მომიცვა
მე
და მრავალთა მოწყალებათა
შენთა მოვილტი.
აღმომიყვანე, სახიერ,
დანთქმისაგან, ღმერთო ჩემო,
გევედრები.

უსძლო[ო], ქალწულებით
მუცლად-იღე
და უთესლოდ გჳშევ[1] ჩუენ ზეცისა
მეუფე
და დაადგერ ქალწულადვე
და ჩუენ მოგუასწავე ღმრთეებაჲ
მისი.

109 (4) Eu 59 ε΄ ღელვათა ცოდვისათა მომიცვეს
მე ძლიერად,
არამედ იონაჲსებრ ვღაღადებ:
უფალო, უფალო, აღმოიყვანე
განხრწნისაგან ცხორებაჲ ჩემი.

უმეტეს ხარ ყოველთა
დაბადებულთა, წმიდაო,
რამეთუ დამბადებელი შენი
საშოსა დაიტიე და გჳშევ[1] ჩუენ
ღმერთი და კაცი სრული.

110 (5) Eu 48 ε΄ ვლალატ-ყავ დღეს ჭირსა ჩემსა
უფლისა მიმართ ჩემისა
და მოავლინა
სოფლისა მაცხოვარმან
და განხრწნისაგან იჴსნა[2]
ცხორებაჲ ჩემი.

---

[1] გუშევ [2] იჴსე̃ნა.



22 v

მუცლად-ილე დაჰბადებელი,
წმიდაო ღმრთისმშობელო,
და ჰშევ კორცითა,
რომელმან სათნო-იყო
ბუნებაჲ ჩუენი კაცობრივი
შემოსად.

111 (6) Eu 53 ς' **ღ**მრთისა მიმართ
ვღაღადებთ მწუხარებით
ყოველნი,
ვითარცა-იგი
იონა წინაჲსწარმეტყუელი:
ალმომიყვანენ ჩუენ ღელვათაგან
განმხრწნელთა,
მხოლოო სახიერო,
გევედრებით.

ჩუენ ყოველნი
აღგიარებთ ღმრთისმშობლად,
ღირსო
სძალო ღმრთისაო
და დედაო უქორწინებელო;
და სარწმუნოებით გევედრებით,
წმიდაო,
მეოხ გუეყავ ძისა შენისა მიმართ.

ღაღადებასა 112 (7) Eu 54 ς'
მონათა შენთასა ნუ უგულებელს-
ჰყოფ, უფალო,
არამედ ვითარცა იჴსენ იონა
მუცლისაგან ვეშაპისა,
ჵიჴსენ მეცა ვეშაპისა მისგან
უხილავისა
და მტერი[საგან][1] ბოროტისა,
ვითარცა კაცთ-მოყუარე ხარ.

ცათა უ[ვ]რცელესო
და ქერობინთა უმაღლესო,
ყოლად წმიდაო
ქალწულო, უბიწო[ო]
ღმრთისმშობელო,
შენ ყოველთა შემოქ|მედი

---

[1] მტერი (სტრიქ. ბოლოა).



23 r

უაღრეს კაცთა ბუნებისა უშევ
სოფელსა,
მას ევედრე, სანატრელო,
ცხორებად სულთა ჩუენთათჳს.

113 (8) **ს**იღრმეთაგან აღმომიყვანე
მეოხებითა[1] წმიდათაჲთა
და მაცხოვნე მე
ღელვათა მათგან
ამის სოფლისა მშჳდობით[2],
ჭეშმარიტო განმგებელო.

სიტყუაჲ ღმრთისაჲ
დაუსაბამოჲ
შენ მიერ, დედაო უსძლო[ო],
განჴორციელდა და საცთურთაგან
განათავისუფლა სოფელი,
მისა[3] მიმართ მეოხ გუეყავ·

უ ც ხ ო ნ ი

114 (9) **ა**ღმომიყვანე
ცოდვათა ჩემთაგან
განმხრწნელთა,
უფალო, ღმერთო ჩემო.

შენ გევედრებით
ჩუენ, მორწმუნენი,
ღმრთისმშობელო, აცხოვნენ
[სულნი ჩუენნი].

ჴმაჲ ვედრებისაჲ 115 (10)
სიღრმეთაგან გულისათა ისმინე,
უფალო.
დანთქმული
ვნებათაგან მიჴსენ, სახიერ,
რამეთუ შენ ხარ ცხორებისაჲ
ჩუენისა მიზეზი.

რაჟამს წინაჲსწარმეტყუელი 116 (11)
შეძრწუნებული[4]
შთავარდა უფსკრულსა[5],
ღაღატ-ყო შენდამი:
აღმომიყვანე მე
სიღრმისაგან, მხოლო[ო]
სახიერო, გევედრები.

---

[1] მეუხებითა. [2] მშოდობით. [3] მისსა. [4] შეძრწონებული. [5] უფსკროლსა.



23 v

რომელი ხარ უზეშთაეს
ქერაბინთასა, ქალწულო, რამეთუ
მათ ზედა მჯდომარე
იტჳრთე[1] წიაღითა
და კორცითა გჳშევ[2] ჩუენ
მჴსნელი დაბადებულთაჲ*.

კურთხეულარსა

117 (1) Eu 50 ζ' რომელმან პირველ
ალი საკუმილისაჲ მის
მძლავრი დაშრიტა და ღირ[ს]ნი
ყრმანი იჴსნა
აქა დღეს, საშოჲ
ქალწულისაჲ დაიცვა
შობასა მის[ს]ა
შეუწველად, რომელსა
უღაღადებთ ჩუენ:
ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

განუყოფელი[3]
სამითა თჳთებითა[4],
ერთარსებით ცნობილი
მორწმუნეთაჲ,
მამაჲ მშობელი,
ძჱ უჟამოდ შობილი
და სული წმიდაჲ,
ნუგეშინის-მცემელი,
რომელსა ვეტყჳთ[5]:
ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ.

118 (2) Eu 49 ζ' ყრმანი წმიდანი
საკუმილსა ცეცხლისასა
შეითხინეს
და შეცურეულნი ცუარითა
უვნებელად დაიცვებოდეს
მოსლვითა ანგელოზისა
ღმრთისაჲთა
და სიხარულით
განბრწყინვებულნი ღაღადებდეს
და იტყოდეს[6]:
კურთხეულ ხარ შენ,
უფროჲსად ამაღლებულო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

ჩუენ, მორწმუნეთა,
მოგუეცა სიბრძნე და აღვიარებთ
დღეს
სამგუამოანსა ღმერთსა,
ბუნებით[7] გამოუკულეველსა[8]

---

[1] იტურთე. [2] გუშევ [3] განოყოფელი. [4] თუთებითა. [5] ვიტყუით. [6] იტყუდეს. [7] ბონებით. [8] გამოუკლეველსა.

* ამ გალობის 1 ძლისპირი იხ. გვ. 181 r/v.



24 r

და ანგელოზთა | თანა თაყუანისვსცემთ
მამასა, ძესა, სულსა წმიდასა,
სამებასა უღაღადებთ
ერთარსებასა განუყოფელად[1],
ღმერთსა
და უფალსა საუკუნეთასა.

119 (3) ბრძანებამან უშჯულოჲსა[2]
Eu 46 მძლავრისამან
ζ' უფროჲსად მოტყინარე
აღაგზნა საკუმილი ყრმათათჳს
და ღმერთმან ყოველთამან
ასხურა[3] ცუარი ზეცით
სამთა მათ მგალობელთა,
რომელ-
იგი არს კურთხეულ უკუნისამდე.

განუყოფელსა ძალსა სამებისასა,
მიუწდომელსა ჩუენგან,
მორწმუნენო, ვაკურთხევდეთ
არა[4] გამოწულილვით, არამედ
სარწმუნოებით[5]
და ესრეთ ვღაღადებთ: ღმერთო
საუკუნეთაო, კურთხეულ [ხარ
შენ].

ხატისა მისთჳს ოქროჲსა[6], 120 (4)·
რომელი იმსახურა[7] ველსა მას Eu 53·
დეირისასა, ζ'
სამთა ყრმათა შიში შეურაცხყვეს მძლავრისაჲ მის
და შეითხინეს საკუმილსა მას
და შეცურეულნი ესრეთ
ღაღადებდეს და იტყოდეს[8]:
[კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო].

მამაო დაუსაბამოო[9] და ძეო
მხოლოდ-შობილო,
სულო წმიდაო,
სამგუამოვნებაო, განუყოფელო
და შეურევნელო,
ერთღმრთეებაო ჭეშმარიტო,
ყოველნი გიღაღადებთ და
ვიტყჳთ: კურთხეულ ხარ
შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენ[თაო].

---

[1] განოყოფელად. [2] უშჯოლოჲსა. [3] ასხორა. [4] აარაჲ. [5] სარწმონოებით. [6] უქროჲსა. [7] იმსახორა. [8] იტყუდეს. [9] დაუსაბამუ.



24 v

121 (5)
Eu 51
ζ′
რომელი დაემკჳდრე[1]
ქალწულისა მუცელსა[2]
და დაიცევ ქალწულად
განუხრწნელად[3], უბიწოდ,
კურთხეულ ხარ შენ, უფალო.

სამებაჲ ერთარსებაჲ
თაყუანის-საცემელი
აღვიარეთ ყოველთა
და ესრეთ უღაღადებთ:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო.

122 (6)
Eu 52
ζ′
მაყუალი მოტყინარე
და საჴუმილი ქალდეველთაჲ მათ,
შეცურეული, ჭეშმარიტად
მოგასწავებდა შენ,
ღმრთისმშობელო, რამეთუ
შეიწყნარე ცეცხლი ღმრთეებისაჲ
საშოსა შენსა უვნებელად,
რომელსა უღაღადებთ და
ვიტყჳთ[4]:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

სამგუამოვნებით აღვიარებთ
განუყოფელად[5]
სამებასა წმიდასა, ღმრთეებით
გამოუკულეველსა[6]
და
ერთარსებით[7]
ვადიდებთ ჩუენ მორწმუნენი,
მართლაღსარებით და ვიტყჳთ[8]:
მამაო, ძეო სულით წმიდითურთ
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო
მამათა ჩუენთაო.

უცხონი[9]

ყრმანი, 123 (7
ღმრთივ განბრძნობილნი,
ოდესმე ღმრთისმეტყუელად
გამოჩნდეს,
ბრწყინვალითა სულითა
და განწმედილითა ბაგითა ესრეთ
ღაღადებდეს:
ღმერთო ყოველთაო
და უფალო მამათა
ჩუენთაო, კურთხეულ ხარ შენ.

---

[1] დაემკუდრე. [2] მოცელსა. [3] განოხრწ̆ნელად. [4] ვიტყუით. [5] განოყოფელად. [6] გამოუკლეველსა. [7] ერთარარსებით. [8] ვიტყუთ. [9] ოცხონი.



·25 r

აღვიარებთ ყოველნი
არსებასა დაუბადებელსა,
სამებასა წმიდასა,
განახლებულითა სულითა
ესრეთ უღაღადებთ:
სამებაო წმიდაო
და ერთარსებით დიდებულო, კურთხეულ ხარ შენ.

124 (8) **ყ**რმანი
მაღლისა მიმართ
საკჳმილით
ღმრთისმეტყუელებდეს:
კურთხეულ ხარ შენ, მარადის
. დიდებულო.

ქალწულო, გიხაროდენ,
რომელმან ჰშევ ქრისტე[1] ღმერთი,
ძალთაგან ქებული და დიდებული.

125 (9) **ა**ლი იგი
ქალდეველთაჲ მათ
აღატყდებოდა და მგალობელთა
ყრმათა
არა შეეხებოდა[2],
რამეთუ მოსავ იყვნეს[3]
ძალსა მაღლისასა.
და გალობით ესრეთ იტყოდეს:
ღმერთო მამათა ჩუენთაო,
მარადის კურთხეულ ხარ შენ.

უაღრეს ბუნებათა ვიცანთ
ჩუენ, მორწმუნეთა,
აწ ძალი სამებისა წმიდისაჲ
და აღვიარებთ
ერთარსებასა მამისა,
ძისა და სულისა წმიდისა
სარწმუნოებით და ვიტყჳთ:
ღმერთო მამათა [ჩუენთაო,
მარადის კურთხეულ ხარ შენ].

უზეშთაეს საკჳრველებათა 126
იპოვნეს ყრმანი ბაბილონს (10)*
შემწედ შჯულსა მას მამათასა. Eu 54
ζ′

---

[1] ქ~ჱ. [2] შეეხებვოდა. [3] იყუნეს.

* ამ გალობის 1 ძლისპირი იხილე გვ. 181v—182r.



25 v

და ცეცხ|ლსა შინა
   ბრწყინვალენი,
ცუარითა სხურებულნი[1]
ერთობით ღაღადებდეს და
   იტყოდეს:
უფროჲსა[დ] ამაღლებულო
   უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო,
   კურთხეულ ხარ შენ.

აღვიარებთ სამგუამოვნებასა
ღმრთეებისასა და თაყუანის-
   ვსცემთ
ერთარსებასა ბუნებისა მისისასა,
უსხეულ[ო]სა, განუყოფელსა
და შეურევნელსა ძალსა
და გამოსახულსა[2] სრულსა[3]
სამებისასა დაუსაბამოსა,
   დაუცხრომელად
ვაკურთხევდეთ[4] და ვიტყოდით:
   ღმერთო, კურთხეულ[5] ხარ შენ.

აკურთხევდითსა

დაბადებულნი[6] გამოჩნდეს 127 (1) Eu 50 η′
   თავისუფლად
და ძედ ნათლისად იწოდნეს
   განწირულნი[7],
და მიზეზი იგი
ბნელისაჲ მგლოვარე არს,
და ჭეშმარიტად
ალყუავილნა[8] მიზეზი
   წარმართ[თ]ა ჴსნისაჲ,
სასო-წარკუეთილი[9] დღეს.

სამებაჲ წმიდაჲ,
გარე-შეუწერელი[10],
ერთარსებაჲ ღმრთეებრ
   გამოუთქუმელი[11],
სამგუ[ა]მოვნებით
გუესწავა მორწმუნეთა[12]
ალსაარებად,

---

[1] სხორებულნი. [2] გამოსახოლსა. [3] სროლსა. [4] ვაკორთხევდეთ. [5] კორთხეულ. [6] დაბადებოლნი. [7] განწიროლნი. [8] ალყოვილნა. [9] წარკუთილი. [10] გარეშეოწერილი. [11] გამოოთქული. [12] მორწმორწმენეთა.



26 г

რომელსა თაყუანის-ვსცემთ
   სარწმუნოებით
აწ და უკუნისამდე.

128 (2) Eu 49 η′
საკჳრველი[1] დიდებული
ბაბილონს შინა საჴუმილმან
   აჩუენა ცუარისა ცურევითა,
რამეთუ ყრმანი იჴსნა ალისაგან
   შემწველისა
და მოსწყჳდნა[2] ქალდეველნი
წამისყოფითა სულგრძელისაჲთა,
რომელსა ვაკურთხევთ ჩუენ
და ავამაღლებთ მას უკუნისამდე.

განეცხადა მორწმუნეთა[3]
სამებაჲ უზეშთაესი
ყოველთა კაცთა ბუნებისაჲ[4],
მამაჲ ზეცით წამებდა ძისა
   საყუარელისათჳს
და სული წმიდაჲ იხილვა
სახედ ტრედისა გარდამოსრული,
რომელსა ვაკურთხევთ ჩუენ
და ავამაღ[ლებთ მას
   უკუნისამდე].

საჴუმილი იგი ცეცხლისაჲ
   ბაბილონს 129 (3) Eu 46 η′
პირველად განიზოგა ღმრთისა
   მიერ,
რამეთუ ქალდეველნი
ალისა მისისაგან შეიწუნეს,
ხოლო ყრმანი შეცურეულნი
იტყოდეს: აკურთხევდით
ყოველნი საქმენი უფლისანი
   უფალსა.

შენ, ღმერთო ჩუენო,
ღმრთისაგან გამოსრულო,
ვიხილეთ განჴორციელებული
და შენ მიერ ვიხილეთ
მამაჲ შენი, უხილავი ღმერთი,
თანაარსი სულით წმიდითურთ
და ვიტყოდით: აკურთხევდით
ყოველნი [საქმენი უფლისანი
   უფალსა].

რომელმან დაჰბადა ყოველი 130 (4) Eu 48 η′

---

[1] საკურველი. [2] მოსწყუდნა. [3] მორწმონეთა. [4] ბონებისაჲ.



26 v

სიბრძნითა გამოუთქუ|მელითა
სიტყუამან სალმრთომან[1]
და არარაჲსაგან შექმნა
მეტყუელად:
აკურთხევდით საქმენი უფლისანი
უფალსა.

მოვედით, მორწმუნენო,
და უგალობდით სამებასა
დამბადებელსა,
დაუბადებელსა და ქებულსა
კაცთა შორის,
აკურთხევდით [საქმენი
უფლისანი უფალსა].

131 (5) Eu 52 η′ **რ**ომელმან პირველ სიბრძნითა
დაჰბადენ დაბადებულნი
და უკანაჲსკნელსა[2] დღესა
განაახლენ გამოუთქმელად
ბუნებისა[3] შემოსითა
კაცობრივისა საიდუმლოდ[4]
ჩუენთჳს,
რომელნი გაკურთხევთ შენ,
ამაღლებულსა ღმერთსა.

ზარე-შეუწერელსა მას
სამებასა, მიუწდომელსა
ღმრთეებისა ბუნებითა
გამოუკულეველად ვაკურთხევთ
და სარწმუნოებით ვიტყჳთ[5]:
ამაღლებულ ხარ[6]
დაბადებულთაგან,
ამისთჳს გაკურთხევთ შენ
მღდელნი და მონანი.

საჴუმილსა მას შინა ყრმათასა 132 (6) Eu 55 η′
წინაჲსწარვე გამოსახე
მშობელი შენი, უფალო
და სახიობამან მათმან იჴსნა
იგინი
ცეცხლისა მისგან შემწუველისა
და იტყოდეს: კიდენი სოფლისანი
აკურთხევდით უფალსა
და უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე.

---

[1] სალმრთუმან. [2] უკუნაჲსკნელსა. [3] ბონებისა. [4] საჲდომლოდ. [5] ვიტყუით. [6] ამაღლებუი ხოარ.



27 г

ვითარცა ცეცხლმან ნივთიერმან
ბუნებაჲ თჳსი შეცვალა
და პატივ-სცა სამთა ყრმათა
არა[1]-შეხებითა გუამთა მათთა
წმიდათა,
ეგრეთვე შენ, ღმრთისმშობელო,
დაიცევ შეუწველად ცეცხლისა
მისგან
უნივთოჲსა, რომელსა
ავამაღლებთ მას უკუნისამდე.

133 (7) Eu 53 η' ἄλλος შეძრწუნდა[2] უბიწოჲსაგან
გუამისა ყრმათა, სულითა
შემოსილთა,
და დაემორჩილა ცეცხლი
ძლიერად,
შჳდწილ[3] მოტყინარე
შეწუვად უძლური[4] და უკუდავსა
თანა
საკუმილისა განმაქარვებელსა
იტყოდეს[5]:
ყოველნი საქმენი უფლისანი
უფალსა უგალობდით
და ამაღლებდით
მას უკუნისამდე.

აღვიარებთ მორწმუნენი
სამითა გუამითა სამებასა
წმიდასა,
დაუსაბამოსა ღმერთსა,
ბუნებით ერთსა განუყოფელად
და მართლმადიდებლობით
თაყუანის-ვსცემთ
და სარწმუნოებით ესრეთ
უღაღადებთ:
ყოველნი [საქმენი უფლისანი
უფალსა უგალობდით
და ამაღლებდით მას
უკუნისამდე].

საკუმილად გარდამოსრულსა 134 (8) Eu 47 ἕτερος
ყრმათა ებრაელთათჳს[6] ღმერთსა,
რომელმან
ცეცხლი ცუარად შეცვალა,
აკურთხევდით ყოველნი | საქმენი

---

[1] არაჲ. [2] შეძრწონდა. [3] შუდწილ. [4] უძლორი. [5] იტყუდეს. [6] ებრაელთათუს.



27 v

უფლისანი უფალსა
და ამაღლებდით[1] მას უკუნისამდე.

სამგუამოვნებით ნათელსა
სამებისა ღმრთისა ერთბუნებასა
აღვიარებთ ყოველნი მორწმუნენი
და ვიტყვთ[2]:
ყოველნი საქმენი უფლისანი
დამბადებელსა აკურთხევდით
უკუნისამდე.

135 (9) **ს**იტყუაჲ მძლავრისაჲ
წინაჲსწარ განძლიერდა
შჳდწილ[3] აღგზებად საჴუმილსა,
რომელმან ვერ დაწუნა
ყრმანი,
შეურაცხის-მყოფელნი
კადნიერად ბრძანებასა მისსა,
რამეთუ თქუეს: ყოველნი
საქმენი უფლისანი უფალსა

უგალობდით და ამაღლებდით
მას უკუნისამდე.

სიტყუაჲ უჟამოჲ,
მხოლოჲ დაუსაბამოჲ,
მამისა მხოლოჲსა
თანადაუსაბამოჲსა საღმრთოჲ
ნათელი ჭეშმარიტი,
თანამფლობელი სულით წმიდით,
ერთარსებით ცნობილი
აღვიარეთ მორწმუნეთა და
თაყუანის-ვსცემთ და
ავამაღლებთ მას უკუნისამდე.

ბრძანებასა 136 (10) Eu 53 ηʹ
ურჩულოჲსა მის მძლავრისასა
არა[4] დაემორჩილნეს
სამნი ყრმანი, შეითხინეს
საჴუმილსა და ესრეთ იტყოდეს:
აკურთხევდით საქმენი
უფლისანი უფალსა.

---

[1] მა̃ღლბდთ. [2] ვიტყუთ. [3] შუდწ̃ილ. [4] არაჲ.



28 г

სამებასა ერთარსებასა,
დაუსაბამოსა, მიუწდომელსა
მორწმუნენი[1]
მართლმადიდებლობით
ესრეთ უღაღადებთ:
აკურთხ[ევდით საქმენი
უფლისანი უფალსა].

137 (11) **შ**ცნებაჲ საცთურთაჲ[2] და
ბრძანებაჲ საშინელი
მეფისა მზაკუვარისაჲ
სამთა წმიდათა, ღირსთა ყრმათა
სამებისა რიცხუთა შ[ე]ურაცხ-
ყვეს,
და განცხრომაჲ
უღმრთოთაჲ მათ
განაქარვეს ყოლად ქებულთა,
უბიწოთა, მინდობილთა ღმრთისა
ძალსა
და, ცეცხლსა შინა დაცვულნი
უვნებელად,
მაღალსა
აკურთხევდეს და
ამაღლებდეს მას უკუნისამდე.

სულსა წმიდასა ღმრთისასა
მიუწდომელსა,
თანაარსსა მამისასა და
თანამფლობელსა ძისასა,
რომელ არს ხატი ძლიერებისაჲ,
შემოქმედი,
რომელიცა
იქცეოდა ზედა წყალთა,
რომელიცა გამოჩნდა სახედ
ტრედისა
მამისა და ძისა თანა, ვაკურთხევთ
მორწმუნენი
ერთსა ღმრთეებასა
და ავამაღლებდეთ მას
უკუნისამდე.

უცხონი[3]

138 (12) Eπ 59ᵃ ηʹ **რ**ომელმან პირველ
ყრმათა ებრაელთა
საკუმილსა შინა ცუარი ასხურა
ზეგარდამო[4]
და ალითა მით
გარემოჲს ქალდეველნი მოსრნა,.

---

[1] მორწმონენი. [2] საცთორთაჲ. [3] ოცხონი. [4] ზუგადამო („გადამო" ჩამატებულია)



28 v

ამას უგალობდეთ და ვიტყოდით:[1]
ღმერთსა[2] აკურთხევდით
და უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე.

შენ, ღმრთისა სძალო,
მარიამ ქალწულო,
სიქადულო ჩუენ მორწმუნეთაო,
შენ გუაქ მჴსნელად
და მეოხად[3] ძისა შენისა მიმართ,
ევედრე, რაჲთა მოწყალე
გუ[ე]ქმნას
ჩუენ, მოსავთა შენთა
ქრისტიანეთა,
სძალო ყოლად უბიწო[ო].

139 (13) **ღ**ირსნი და ყოლად უბიწონი
ყრმანი
საჴუმილსა შინა გალობდეს
ღმრთისა მიმართ ჴმითა,
რამეთუ ანგელოზისა
მიერ ცუარითა შეიცურინეს
და სხურებულნი[4] ზეგარდამო
გაკურთხევდეს შენ, უფალო,
ბაგითა უბიწოჲთა
და აგამაღლებდეს უკუნისამდე.

სამებასა ერთარსებასა ვაქებთ,
მამასა, ძესა სულითა
წმიდითა განუყოფელად
ერთღმრთეებად აღვიარებთ
ყოველნი სარწმუნოებით,
ანგელოზთა თანა ვღაღადებთ:
აკურთხევდით მას ყოველნი
საქმენი
უფლისანი და [ამაღლებდით
უკუნისამდე].

140 (14) Fu 57 η′ **რ**ომელმან მოსეს
მაყლოანსა მას შინა
მოასწავა სახე ქალწულებისაჲ
მთასა სინასა წინაჲსწარ,
მას გალობით ვაკურთხევდეთ და
ავა[მაღლებდეთ].

დიდებაჲ მამასა, ძესა და სულსა
წმიდასა,

---

[1] ვიტყუდით. [2] ღ˝თასა. [3] მეუხად. [4] სხორებულნი.



29 r

რომელსა | შუენის პატივი და
ქებაჲ
ანგელოზთა და კაცთაგან,
მათ თანა ჩუენცა ვაკურთხევდეთ
და ავ[ამაღლებდეთ].

141 (15) **რ**ომელი ანგელოზთაგან
ცათა შინა იდიდების ღმერთი,
ძენი კაცთანი
უგალობდით მას ყოლად
უკუნისამდე.

გალობათა ბრწყინვალეთა
გიგალობთ შენ ყოველნი
ნათესავნი,
რამეთუ გჳშევ[1]
ქრისტე, უფალი
ყოლად დიდებული.

142 (16)* Eu 56 η' ἄλλος **რ**ომელმან საჴუმილსა ცუარი
ასხურა
ებრაელთა ყრმათა ცეცხლსა შინა
და შეწუნა უფალმან
რისხვით
ქალდეველნი იგი,
უგალობდეთ და ვიტყოდეთ:
აკურთხევდით
და უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე,

143 (17) Eu 54 η' **შ**ემზადებაჲ სახიობათაჲ[2]
და განცხრომაჲ მეფისა
უშჯულოჲსაჲ[3]
განაქარვა
ბაბილონს შეერთებამან
ყრმათამან,
რაჟამს ღაღატ-ყვეს
ერთითა ჴმითა,
რამეთუ იყვნეს
საჴუმილსა მას შინა ნიავისაგან
შეცურეულ
და გალობასა ყოვლისა
სოფლისასა
დამბადებელისა მიმართ
იტყოდეს[4]:
აკურთხევდით
ყოველნი საქმენი უფლისანი
უფალსა,
უგალობდით
და უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე.

არსებასა ღმრთეებისასა,
უცვალებელსა და
გამოუკულეველსა თჳთებითა[5]

---

[1] უშევ. [2] სახიუბათაჲ. [3] უშჯოლოჲსაჲ. [4] იტყუდეს. [5] თუთებითა.
* არ აქვს ღმრთისმშობლისა.



29 v

სამგუ / ამოვნებასა აღვიარებთ
ჩუენ, მორწმუნენი,
სარწმუნოებით,
მამასა ძით და სულით
წმიდითურთ გამოუთქუმელად.
ამაღლებულსა სამებასა,
ყოვლად წმიდასა, ერთღმრთეებად
ქებულსა
ღმრთისმეტყუელებით უგალობთ
და ვიტყჳთ:
აკურთხევდით
ყოველნი სა[ქმენი უფლისანი
უფალსა, უგალობდით
და უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე].

144 (18) Eu 47 η′ **ხ**ატსა მა[ს] ოქროჲსასა[1]
არა[2] თაყუანის-სცეს
ღმრთივ გჳრგჳნოსა[ნ]თა[3] ყრმათა
უცვალებელისა
და ცხოველისა ღმრთისა
ხატსა ამბორის-ყოფითა[4]
და შორის ალსა დგეს
და ესრეთ ღაღადებდეს:
ყოველნი არსნი
და ყოველი დაბადებული
უფალსა უგალობდით
და ამაღლებდით მას
უკუნისამდე.

ადიდებდითსა

Ⴓზეშთაეს არს 145 (1) Eu 50 ϑ′
ბუნებასა კაცთასა,
სძალო წმიდაო
და დედაო უსძლო[ო],
დიდებაჲ შენი
და ქებაჲ შენი ჯერისაებრ,
ხოლო ჩუენ წადიერნი არა
დავდუმნეთ[5]
მსგავსად ძალისა
ჩუენისა ქებად შენდა.

Ⴃაგუამტკიცენ ჩუენ ვედრებითა ა
შენითა,
დედაო ღმრთისა
ქველისმოქმედისაო, რაჲთა
ვიდოდით
შენ მიერ უქცეველად
გზასა საღმრთოსა მადიდებელნი
შენნი
და ცხორებასა
კეთილსა მივემთხჳნეთ[6].

Ⴓკორცოთაგან თუალშეუდგამი ბ
ღმერთი,

---

[1] უქროჲსასა. [2] არაჲ. [3] გ˝რგჳნოსათა (თა სხუა ხელით). [4] ყოფლთა. [5] არაჲ დავდომნეთ. [6] მივემთხუნეთ.



30 г

სამებაჲ წმიდაჲ,
გარე-შეუწერელი,
მიუწდომელი ძალთაგან
ზეცისათა,
ვიცანთ ჭეშმარიტებით ჩუენ,
მორწმუნეთა,
სარწმუნოებით
და ქებით ვადიდებთ მას.

146 (2) Eu 49 ϑ' ვერ შემძლებელ ვართ დიდებად
შენდა
ჯერისაებრ
ქუეყანისანი,
და მოუძლურდებიან[1] ზეცისანი,
ღმრთისმშობელო,
რამეთუ უზეშთაეს[2] იქმენ,
შეიწირე სარწმუნოებაჲ[3] ჩუენი,
უწყი სიყუარული[4] ჩუენი,
ვითარცა ნათელსა
ქრისტეანობისასა, გადიდებთ.

ა* Დედაჲ ქალწული
არა[5] ყოფილ არს[6]
კაცთა შორის, არცა უთესლოდ
ნაყოფი გამოსრულ არს
მუცლისაგან, რამეთუ შენ,
ქალწულო, ბუნებათა წარჰკედ,
ამისთჳსცა ყოველნი ნათესავნი
განწმედილითა გულითა
ვითარცა ნა[თელსა
ქრისტეანობისასა გადიდებთ].

Უსხეულოთა ბ**
ზეცისა წესნი
დაუცხრომელად,
წმიდაარსობით
აქებენ სამებასა წმიდასა
და იტყჳან[7]:
წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა
არს
სამებაჲ წმიდაჲ[8], სწორი
ღმრთეებითა
და ჩუენ, უღირსნი, მათ თანა
მართლადსაარებით,
მსგავსად შემლებისა,
შიშით ვადიდებთ.

Დაუსაბამოჲსაგან მამისა ძე 147 (3) Eu 46 ϑ'
ღმრთისაჲ გამოჩნდა[9],
ქალწულისაგან მჴსნელად ჩუენდა
განჴორციელდა,
განგუანათლებს

---

[1] მოუძლურდებიან. [2] უზშთს. [3] სრწმონბჲ. [4] სიყუაროლი. [5] არაჲ. [6] ყოფილას. [7] იტყუიან. [8] წ҃ი. [9] გამუჩნდა.

* ღმრთისმშობლისას აქვს ნევმები. ** მხოლოდ შავი წერტილები აქვს ამ ღმრთისმშობლისას.



30 v

დაბნე|ლებულთა და შემოჰკრებს
ერთად განბნეულთა,
რაჲთა სარწმუნოებით
მშობელსა მისსა ვადიდებდეთ.

ა **უ**სძლოჲსაგან დედისა
უმამოდ ძჱ ღმრთისაჲ გამოჩნდა,
რომელი პირველ მამისაგან იშვა
უდედოდ,
აღსასრულსა
ჟამთასა კაც იქმნა და იშვა
მაცხოვრად სოფლისა,
რაჲთა ღმერთ ყოს კაცებაჲ
და განაახლოს სახიერებით.

ბ **ს**ამებასა წმიდასა, ბუნებით
მიუწდომელსა,
მართლმადიდებლობისა
აღსარებითა
უგალობდეთ
ჩუენ, მორწმუნენი[1], გალობითა
ღმრთივ-შუენიერითა
ნათელსა წარუვალსა,
სულთა[2] ჩუენთა
განმანათლებელსა.

რომელმან ჰშევ მთიები მზისა 148 (4)
უბრწყინვალესი, Eu 53
ღმერთი ჴორციელ ქმნული[3],
მოსრული[4] ჩუენდა სა[შოჲსა]
შენისაგან[5],
ჴორციელად
გამოგუჩნდა[6] გამოუთქმელი
სიმდაბლით,
ამისთჳსცა, ღმრთისმშობელო,
სამართლად გადიდებთ.

რომელსა იტყოდეს[7] ა
წინაჲსწარმეტყუელნი სულითა
წმიდითა
შობისათჳს შენგან, ქალწულო
მარიამ,
აღესრულა
ჭეშმარიტად და იქმენ შენ დედა
მჴსნელისა,
ამისთჳს სარწმუნოებით,
ვითარცა ღმრთისმშობელ ხარ,
გადიდებთ.

---

[1] მორწმონენი. [2] სოლთა. [3] ქმნოლი. [4] მოსროლი. [5] საშ῀ნისაგან. [6] გამოგუჩნდა. [7] იტყუდეს.



31 г

ბ **რ**ომელსა დაუცხრომელითა
ჴმითა აქებენ ზეცისა
ანგელოზნი,
სამებასა, ერთღმრთეებით
დიდებულსა,
უხილავსა, განუზომელსა[1] და
ყოლად მიუწდომელსა,
მათ თანა მორწმუნენი
გალობით ვადიდებთ.

149 (5) **ს**იტყუასა ზეცით მოსრულსა
Eu 46 ღმრთისა მიერ მამისა
ϑ' სიბრძნით განახლებად ადამისა,
ჴორც-შესხმულსა
ღმრთისმშობლისაგან
უზეშთაეს ცნობათა,
ჩუენ, მორწმუნენი, სარწმუნოებით
მშობელსა მის[ს]ა თანა
გალობით მას ვადიდებდეთ.

ა **ს**ძალო, დედაო ქალწულო,
სიმრავლე ანგელოზთაჲ
ევედრებიან ჩუენთჳს ქრისტესა,
ძესა შენსა,
და შენცა მიგავლენთ
მორწმუნენი: ვედრებად
მოსავთა შენთათჳს ნუ[2]
დასცხრები,
რაჲთა განმარინნეს ჩუენ
საფრჴეთაგან ეშმაკისათა.

სამებისა ერთსა ძალსა დ
აღვიარებთ ყოველნი
მორწმუნენი სამგუამოვნებასა
და ვიცნობთ მას სიბრძნით
შემოქმედად
ანგელოზთა და კაცთა,
მართლითა სარწმუნოებითა
ზეცისა გუნდთა[3] თანა
დაუცხრომელად ვადიდებთ.

ადიდე შენ, მაცხოვარ, 150 (6)
ღმრთისმშობელი, რომელმან Eu 53
გშვა შენ, ϑ'
რომლისა მიერ მჴსნელმან
ჴორცნი შეისხნა,

---

[1] განუზომილსა. [2] ნო. [3] გონდთა.



31 v

რომლითა მიჳსნა ჩუენ
ცოდვათა ჩუენთაგან, ვითარცა
სახიერმან ღმერთმან,
ჩუენ ყოველნი ვჰნატრით მას
და შენ მხოლოსა
გალობით გადიდებთ.

გონებაჲ[1] განცჳბრდების[2]
შესხმად ქებასა შენსა,
ღმრთისმშობელო,
რამეთუ უზეშთაეს
აღემატა დღეს მეცნიერებასა
ადამიანთასა დიდებაჲ შენი,
უბიწო[ო],
ხოლო შემსგავსებულად
უძლურებისა[3] ჩუენისა გადიდებთ.

Ч51 (7) **მ**ოედით, ერნო,
სულითა განწმედილითა
გალობით ვადიდებდეთ
უბიწოდ მშობელსა
ღმრთისა ევმანოელისა
და წარუდგინოთ[4] ჩუენ
ვედრებაჲ მის მიერ შობილსა მას
მისგან ლმობიერად,
რაჲთა განმარინეს[5] ჩუენ.
ქრისტე ღმერთო ჩუენო,
გუაცხოვნენ ჩუენ.

შენ, დიდებულო ა
დედაო მაცხოვრისაო,
უბიწო[ო] მარიამ,
მიჳსნენ მორწმუნენი
შენნი განსაცდელისაგან,
სიქადულო ჩუენო,
ევედრე ძესა შენსა
დაუცხრომელად ჳსნად ჩუენდა
მტერთა უხილავთაგან
მოსავნი[6] შენნი, სახარულევანო.

გამოუთქუმელი ბუნებით ბ
ერთღმრთეებაჲ,
მამაჲ დაუსაბამოჲ,
ძე მხოლოდ-შობილი,
სული სწორი ბუნებით,
თაყუანის-ცემული
განწყობილთა მიერ ზეცისა
მლჳ|ძარეთა[7], აღვიარეთ,

---

[1] გუნებაჲ. [2] განცობრდების. [3] უძლორებისა. [4] წაროდგინოთ. [5] განმარნეს. [6] მოსავნის. [7] მლოძარეთა.



32 г

რაჲთა განმარინნეს ჩუენ
საბრჭეთაგან ეშმაკისათ[ა].

152 (8) Eu 60 ϑ' **Ⴕ**ალწულებაჲ შენი,
ღმრთისმშობელო უბიწოო,
რომელი არა[1] შეწუა
ცეცხლმან ღმრთეებისამან,
მას ვადიდებდეთ.

* **Ⴐ**ომელი დაემკჳდრა[2] საშოსა
შენსა უთესლოდ[3],
ღმრთისმშობელო, ქრისტე
ღმერთი
და მჴსნელი სულთაჲ ჩუენთა,
ვადიდეთ.

153 (9) Eu 53 ϑ' **Ⴐ**ომელ მუცელსა დაიტიე
ღმერთი დაუტევნელი
და უშევ სოფელსა სიხარული,
შენ გადიდებთ, ღმრთისმშობელო
ქალწულო.

ა **Ⴗ**ოველნი დაბადებულნი გნატრიან,
ღმრთისმშობელო,
ქალწულო, დედაო უბიწო[ო],
მეოხ გუეყავ შენდამი
მორწმუნეთა[4].

Ⴐომელ განუშორებელ[5] ბ·
არს ჩუენ მიერ დიდებასა,
სამებაჲ, ღმრთეებით ერთარსებაჲ,
მორწმუნენი
მას გალობით ვადიდებთ.

Ⴅადიდებთ ყოველნი 154 (10) Eu 48 ϑ'
უბიწოსა ქალწულსა,
რომელმან გჳშვა[6] ღმერთი
ჴორცითა
მაცხოვრად სოფლისა
და მჴსნელად მორწმუნეთა.

Ⴀღვიარებთ ქალწულსა
მარიამს ღმრთისმშობელად
სარწმუნოებით
ჩუენ, მორწმუნენი,
და მისგან შობილსა ორად[7]
ბუნებად[8] ვიტყჳთ[9].

უცხონი[10]

Ⴓფროჲს ბუნებისა[11] 155 (11) Eu 54 ϑ'
და ზეშთა სიტყჳსა მოგემადლა,
უსძლო დედაო და დიდებულო
ქალწულო,
რამეთუ ღმერთი უფალი,
მჴსნელი და მაცხოვარი
გამოგჳჩნდა[12] საშოჲსაგან შენისა,

---

[1] არაჲ. [2] დაემკუდრა. [3] უთელოდ. [4] მორწმონეთა. [5] განოშორებელ. [6] გუშვა [7] ურად. [8] ბონებად. [9] ვიტყუთ. [10] ოცხონი. [11] ბონებისა. [12] გამოგუჩნდა.

* ღმრთისმშობლისას აქვს ნევმები.



32 v

განკაცებუ|ლი და არა
შეცვალებული,
ამას[1] ყოველნი ნათესავნი
ღირსად გალობით, ვითარცა
სთქუ,
გნატრიან და გადიდებენ.

Სიტყუამან საღმრთომან[2]
მახარებელთა და მოციქულთამან
და იგავმან
წინაჲსწარმეტყუელთამან
გამოსახულმან[3]
გუაუწყა ჩუენ, მორწმუნეთა
და აღვიარებთ ბუნებასა
სამებისასა,
დიდებულსა, გამოუკ[უ]ლეველსა
და მიუწდომელსა თჳთებასა[4]
გუამოვნებისასა, დღეს გალობითა
საღმრთოჲთა
ღირსად დაუცხრო[მელად]
ვადიდებთ.

156 (12) **Გ**ადიდებს შენ ყოველი
თესლები, სახარულევანო,
რამეთუ შობითა შენითა დაჰჴსენ
წყევაჲ დაბადებულთაჲ
და მოგუანიჭე კურთხევაჲ[5]
საუკუნოჲ.

Გიხაროდენ, ქალწულო, *
და მხიარულ იყავ, რამეთუ
შენგან შობილი აღმობრწყინდა
საფლავით,
სიკუდილი მოაკუდინა[6]
და სოფელი განანათლა
მოწყალებით.

Რომელმან უზეშთაეს ბუნებათა 157 (13)**
მამისაგან გამოსრული სიტყუაჲ
საშოსა თჳს[ს]ა იტჳრთა[7],
ღმრთისმშობელსა, ქალწულსა
მარიამს
ვადიდებდეთ ყოველნი.

Უხრწნელსა და დიდებულსა 158 (14)
ქალწულსა ყოველნი
მორწმუნენი[8]
გალობით და ქებით,
ვითარცა ღირს არს, ვადიდებთ
მას.

---

[1] ამის. [2] საღმრთუმან. [3] გამოსახოლმან. [4] თუთებასა. [5] კორთხევაჲ. [6] მოაკუდინა. [7] იტურთა. [8] მორწ̃მონენი.

* აქვს ნევმები. ** № 13-დან 25-მდე მხოლოდ ძლისპირებია.



33 r

159 **შ**ენ, სიქადულსა[1]
(15) პირველისა მის დედისა ევაჲ[ს]სა,
Eu 57 ღმრთისმშობელსა,
ϑ' ἄλλος რომელმან
გჳშვა[2] ჩუენ მეუფე დიდებისაჲ,
ამისთჳს სიხარულით
ყოველნი მორწმუნენი
გადიდებთ შენ, ვითარცა
  შუამდგომელსა
ღმრთისა და კაცთასა,
რომელმან შეგუაერთენ
ქუეყანისანი ზეცისათა.

160 **ვ**ის ესმა, ანუ ვინ იხილა,
(16 რამეთუ
ქალწული მიდგომილ[3] არს
  უთესლოდ,
თჳნიერ[4]
ბუნებრივისა[5] ლმობისა,
შობს ყრმასა, განმაქარვებელსა
  წყევისასა?
ამისთჳს ყოველნი ნათესავნი
ღმრთისმშობელსა მარიამს
  გალობით ვადიდებთ.

ქუეყანისა ნაშობთა ვის ესმა, 161
ანუ ვინ იხილა ოდესმე, (17)
რამეთუ ქალწული იპოა Eu 62
მიდგომილ[6] უთესლოდ, ϑ'
თჳნიერ[7] ლმობისა
ყრმისა მშობელად?
ამას, შენ, საკჳრველსა[8],
და შენ, უსძლოსა
ღმრთისმშობელსა მარიამს,
გალობით გადიდებთ.

გიხაროდენ შენ, ესაია[9], 162
სულითა განბრწყინვებულო, (18)
აღესრულა თქუმული[10] შენი —
აყუავილნა ძირი იესესი,
ქალწული მიუდგა[11]
და გჳშვა[12] მთავარი მშჳდობისაჲ
იუდაჲს თესლისაგან,
რომელიცა იხილა პირველ
  იაკობ[13]

---

[1] სიქადოლსა. [2] გუშვა. [3] მიდგუმილ. [4] თუნიერ. [5] ბონებრივისა. [6] მიდგუმილ. [7] თჳნიერ. [8] საკურველსა. [9] ესაჲა. [10] თქუმოლი. [11] მიოდგა. [12] გუშვა. [13] იაკუბ.



33 v

ვარსკულავი განთიადისაჲ,
განმანათლებელი ყოვლისა
   სოფლისაჲ.
დღეს იქმნა ჴსნაჲ წარმართთაჲ
ქალწულისა მიერ წმიდისა,
რომელი იქმნა დედა მეუფისა.

163 (19) შენ, ყოლად უბიწოსა
და სანატრელსა ქალწულსა,
რომელი
   გამოშჩნ[დი]
   უაღრეს ყოველთა ნათესავთა
ადამისთა
და უზეშთაეს[1] ძალთა ზეცისათა,
რამეთუ შემოქმედი მათი
   მუცლითა იტჳრთე[2]
და გჳშევ[3] მჴსნელი
   დაბადებულთაჲ,
ამისთჳს, ღმრთისმშობელო,
ითხოე ძისა შენისაგან
შემსხმელთა შენთა-
თჳს[4] შენდობაჲ ცოდვათაჲ.

Ადიდებს სული[5] 164 (20)
ჩემი უფალსა, — იტყოდა
   ქალწული,
რაჟამს სათნო-იყო მაღალმან
   სიკეთე მისი
და სამოსა მისსა
ჴორცითა გამოიხატა
ხატი გამოუხატველისა
   ღმრთისაჲ,
სიბრძნით გამომხატველი ადამისი,
და ჩუენ გამოგჳჩნდა[6]
ღმერთი და კაცი ორითა
   ბუნებითა[7],
მჴსნელი და მაცხოვარი სულთაჲ
ჩუენთა, ამას ყოველნი გალობით
   ვადიდებდეთ.

Აჰა, ესერა 165 (21)
ამიერითგან მნატრიან მე ყოველნი
   ნათესავნი,
შენ, ეტლო სიწმიდისაო,

---

[1] უზშთაეს. [2] იტურთე. [3] გუშევ. [4] თუს [5] სოლი. [6] გამოგუჩნდა. [7] ბონებითა.



34 r

კიბეო ღმრთისა
გარდამოსლვისაო,
კიდობანო საღმრთოჲსა
განსუენებისაო,
ტაძარო ნათლითა შემოსილო
და კარაო,
სავსეო საღმრთოჲთა მით
დიდებითა,
რომელმან გჳშევ[1]
ჴორცითა ღმერთი უცვალებელი,
ამას ყოველნი
გალობით ვადიდებდეთ.

166 **ყ**ო სიმტკიცითა
(22) მკლავისა თჳსისაჲთა
ჴ[ს]ნაჲ[2] ადამის ნათესავთაჲ
მჴსნელმან დაბადებულთამან,
რამეთუ ჴორცითა დაფარა
თუალთ-შეუდგამი შანთი
ღმრთეებისაჲ,
ვითარცა კაცი,
ქუეყანასა გამოჩნდა
და კაცთა შორის იქცეოდა
ვანკაცებული ქალწულისაგან
პირველ საუკუნეთა ღმერთი
ყოველთაჲ,
ამას ყოველნი გალობით
[ვადიდებდეთ].

შეიწყნარა 167
ისრაელი, მონაჲ თჳსი, (23)
რომელი იჴსნა პირველ ეგჳპტით[3]
მონებისაგან,
აქა დღეს სიმდაბლით გამოჩნდა
ეკლოანისაგან ქუეყანისა
ქალწულისა საშოსა
თჳთ[4] თავადი
შჯულისმდებელი[5], წინა-
მომცემელი შჯულისაჲ[6]
და მიჴსნა მონებისაგან
საცთურისა[7] ფარაო უხილავისა
უძლეველმან ღმერთმან,
ამ[ას ყოველნი გალობით
ვადიდებდეთ].

კურთხეულ არს უფალი ღმერთი 168 (24)
ისრაელისაჲ,
ჴმა-ყო ზაქა[რია],

---

[1] გუშევ. [2] ჴ̃ნაჲ. [3] ეგუტით. [4] თუთ. [5] შჯოლის მდებელისა. [6] შჯოლისაჲ. [7] საცთორისა.



34 v

უტყუებითა შეპყრობილმან,
რაჟამს ძისა შობასა
ღმრთისმეტყუელად[1] გამოჩნდა,
უწოდა მას იოვანე
წოდებისაებ[რ] ანგელოზისა,
რომელმან გჳჩუენა[2]
კრავი ღმრთისაჲ და ძე მაღლისაჲ,
თჳთ[3] უცოდველი,
აღმხუმელი ცოდვათა სოფლისათაჲ,
ამას ყოველნი
გალობით ვა[დიდებდეთ].

169 (25)* **ვ**ითარცა იტყოდა[4]
პირითა წინაჲსწარმეტყუელთა
თჳსთაჲთა:
უქცეველად განკაცნა
გარე-შეუწერელი უსხეულოჲ
ღმერთი,
იპოა ხატითა, ვითარცა კაცი,
ხატი უხილავი
გამოუჩინებელისა ღმრთისაჲ,
რომელმან შეიმოსა
მსგავსებაჲ მსგავსებითა
თჳსითა[5]
და [ა]ცხოვნა
კაცებაჲ განკაცებითა, ამას
[ყოველნი გალობით
ვადიდებდეთ].

ᲫᲚᲘᲡᲞᲘᲠᲜᲘ ᲓᲐ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡᲐᲜᲘ

უგალობდითსა ჴმაჲ გ

170 (1) Eu101 α' **შ**ქმი ქუეყანაჲ
სამკჳდრებელი[6] ზღუა|თაჲ
იხილა მზემან პირველ,

---

[1] ღ̃თიის.. [2] გუჩუენა. [3] თუთ. [4] იტყუდა. [5] თუსითა. [6] სამ̃კუდრებელი.

* ამ გალობის 3 ძლისპირი იხ. გამორჩენილ ძლისპირებში (გვ. 182 r-v).



35 г

რაჟამს აზ[ღ]უდნეს ღელვანი
და შეპყინდეს ორკერძოვე
და ერი ღმრთისაჲ წიაღ-სრული
სიხარულით ღაღადებდა:
უგალობდეთ უფალსა, რომელიცა
დიდებულ არს.

დაუტევნელი
დაიტიე, ქალწულო,
და გამოუთქუმელად ჰშევ
დამბადებელი ყოველთაჲ
და მაცხოვარი ჩუენი,
ამისთჳს ყოველი ერი
უღაღადებს სიხარულით:
უგალობდეთ უფალსა, რომელიცა
[დიდებულ არს].

171 (2) Eu 95 α′ **რ**ომელმან წამისყოფით
შეკრიბნა წყალნი შესაკრებელსა
ერთსა, მან განუპო[1]
მეწამული ზღუაჲ ერსა
ისრაელისასა,

ესე არს ღმერთი ჩუენი,
დიდებული და ქებული,
მას მხოლოსა უგალობთ,
რომელიცა [დიდებულ არს].

ვითარცა ჭეშმარიტად
ღმრთისმშობელ ხარ,
ყოველნი მორწმუნენი გიგალობთ
შენ,
რომელმან უთესლოდ მუცლად-
იღე მოწყალე,
და გჳშევ ჩუენ კორცითა
გამოუთქუმ[ე]ლი ღმრთეებაჲ
ორითა ბუნებითა[2]
მჴსნელად ჩუენ განწირულთა[3].

172 (3) Eu 98 α′ **ღ**მერთსა, რომელმან იჴსნა
პირველ
ერი ზღჳსაგან[4]
და დაანთქა ფარაო
წინააღმდგომი,
მას, მხოლოსა, უგალობთ,
რომელიცა დიდებულ არს.

---

[1] განოპო. [2] ურითა ბონებითა. [3] განწიროლთა. [4] ზღუსაგან.



35 v

Ⴋუცლითა[1] იტჳრთე[2] მჴსნელი
დაბადებულთაჲ,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
უბიწოებით,
მას მხოლოსა უ[გალობდეთ].

173 (4) Eu 132 α′ Ⴓგალობდეთ უფალსა,
მორწმუნენო,
სასწაულთ-მოქმედსა, დიდებულსა.

Ⴂიხაროდენ შენ, ქალწულო
უბიწო[ო],
რომელმან გჳშევ ღმერთი
ჴორციელად.

174 (5) Ⴁრძანებითა შენითა, მჴსნელო,
ჭეშმარიტად
ზღუაჲ უკულეველი[3] განვლო
ისრაელმან[4] პირველად
და იხილა მან
საკჳრველებაჲ[5] უცხოჲ:
უხილავი ქუეყანაჲ და მტერნი
მისნი ძლეულნი, განმავალად[6],
მეტყუელი გალობდა სიხარულით:
საკჳრველთ-მოქმედსა ღმერთსა
უგალობდეთ, ერნო.

Ⴂამოგიჩნდა ბრწყინვალედ
მთავარი იგი
ანგელოზთაჲ გაბრიელ,
რომელმანცა გახარა:
გიხაროდენ, მაცხოვრისა დედაო,
შენგან შობილმან ღმერთმან
ყოველნი ცისკიდენი განანათლნა
და კაცნი ანგელოზთა თანა
ჴმობდეს:
საკჳრველთ[7]-მოქ[მედსა ღმერთსა
უგალობდეთ, ერნო].

Ⴂალობითა ახლითა ღირსად 175 (6)
უგალობდეთ ჩუენ, განწმედილნი
სულითა,
ძლიერსა. ღმერთსა მოქ[მე]დსა
საკჳრველებათასა[8],
ზღუასა მეწამულსა, რამეთუ
დიდებულ არს.

Ⴇაყუანის-სცემენ ყოველნივე
ზეცისა და ქუეყანისანი შობილსა
შენგან, ქალწულო, ქრისტესა,
ღმერთსა ჩუენსა,
რომელი დი[დებულ არს].

Ⴂანუკუეთელი ზღუაჲ ოდესმე[9] 176 (7)

---

[1] მოცლითა. [2] იტურთე. [3] უკლეველი. [4] ი˜ლმ˜ნ. [5] საკურველებაჲ. [6] განმავავალად. [7] საკურველთ. [8] საკურველებათასა. [9] უდესმე.



36 г

კუერ | თხითა მოკუეთილითა
განვლო ისრაელმან,
ვითარცა ქუეყანაჲ მყარი.
რამეთუ სახე ჯუარისა
წინაჲთვე გამოისახვოდა,
დიდებულებით მაცხოვარსა
გიგალობდეს.

გამოეკუეთა შენგან, მთაო
წმიდაო, კარაო ღმრთისაო,
ყოლად უბიწო[ო],
რომელი იქმნა თავ საკიდურთა[1]
და უფალ ყოველსა, მას
ევე[დ]რე ჩუენთჳს,
რაჲთა მოგუმადლოს
სიმრავლე წყალობისა თჳსისაჲ.

177 (8) Eu104 α' ἄλλος ფარაუს ეტლები
სიღრმესა შინა დაჰფარე, უფალო,
ზღუაჲ განავლე და იჴსენ
გალობით
მაქებელი შენი
ერი ისრაელისაჲ.

ღმერთი ჴორც-შესხმული
საშოსა შენსა
დაჰფარე, ქალწულო
და გამოგჳბრწყინვე[2] ჩუენ
მზე იგი სიმართლისაჲ, ქრისტე,
მჴსნელი დაბადებულთაჲ.

178 (9)* უძლეველითა
ძალითა, ქრისტე ღმერთო,
ძლეულ ჰყავ ძალი
მტერთა მათ მეგჳპტელთაჲ[3],
რაჟამს დაანთქენ
ზღუასა მას მეწამულსა
და ერსა შენსა წარუძელ[7] მოსეს
მიერ
და შენ მხოლოსა, უფალსა,
გიგალობდეს.

უტყუ[5] იქმნა სიტყუაჲ
და მ[ო]უძლურდა სიბრძნე
სოფლისა
ამის
გამომეძიებელთაჲ
და ალ | ესრულა

---

[1] საკიდორთა.
[2] გამოგუბრწყინვე.
[3] მეგუპტელთაჲ.
[4] წარუძელ.
[5] ოტყუ.

* ამ გალობის ორი ძლისპირი იხ. კიდევ გვ 182 v.



36 v

ღმერთ-შემოსილთა კაცთა
ქადაგებული,
რაჟამს უსძლომან სძალმან
გჳშევ[1] ჩუენ ღმერთი
და ქალწულადვე ეგე·

მოიხილესა

179 (1) Ⴂანგებულება
ჴორც-შესხმისა[2] შენისაჲ,
ღმრთისა სიტყუაო[3],
კაცთა ცხორებისათჳს
აუწყე მოსეს
ალით გამო ცეცხლისაჲთ,
რომლისათჳსცა
ზარ-განჴდილმან ღაღატ-ყო:
წმიდა არს და მართალ სახელი
შენი.

Ⴂამოსახჳდა მოსე მთასა სინასა
საიდუმლოსა[4]
შობისა შენისასა,
ღმრთისა დედაო,
მაყლოანსა მას შინა
და მოგასწავა საღმრთოჲსა მის
ცეცხლისა
ჴორც-შესხმულისა
მტჳრთეელად[5], უბიწო[ო].

180 (2) Eu111 β' Ⴈხილეთ, იხილეთ,
რამეთუ მე ვარ მაცხოვარი
სოფლისაჲ,
ნათელი ჭეშმარიტი,
წყაროჲ ცხორებისაჲ
და მჴსნელი მორწმუნეთაჲ.

Ⴓგალობდეთ ყოველნი
სამებისა ერთარსებისა ძალსა,
მამასა ძით და სულით
დაუცხრომელად
აწ და უკუნისამდე.

181 (3) Ⴅითარცა ცუარნი,
გარდამოჴდეს სიტყუანი პირისა
შენისანი, უფალო,
და აღივსო ქუეყანაჲ დიდებითა
შენითა.

---

[1] გუშევ. [2] შესხმისაჲ. [3] სიტყუ. [4] საჲდომლოსა. [5] მტურთეელად.



37 г

ვითარცა ცუარი სულისა
წმიდისაჲ,[1]
გარდამოჴდა სიტყუაჲ ღმრთისაჲ[2]
შენ ზედა,
ქალწულო უბიწო[ო],
და ნაყოფიერ ყო ქუეყანაჲ.

182 (4) **უ**ხილავთა მხილველმან
სასწაულთა მოქმედმან მოსე
წინაჲსწარ მოასწავა
ჴსნაჲ წარმართთაჲ ჯუარისა
მიერ,
ჴელნი რაჲ ჯუარის სახედ
განიპყრნა
და მით დასცა მტერი ამალეკი.

აღესრულნეს შენ ზედა
თქმულნი
წინაჲსწარმეტყუელთანი,
მარიამ უბიწო[ო],
შენგან იშვა ღმერთი ჴორცითა,
რომელსა ანგელოზნი აქებენ
თანა მამით და სულით
წმიდითურთ.

183 (5) **ღ**მრთის-მხილველმან მოსე
განპყრობითა ჴელთაჲთა
ამალეკი მტერი დასცა,
ხოლო ქრისტემან, რაჟამს
განაპყრნა
მკლავნი იგი საღმრთონი ჯუარსა
ზედა,
და დაეცა სიკუდილი,
და მორწმუნეთა[3] მოვიღეთ
უკუდავებაჲ.

ღირსად შეგამკობდეს
პირველადვე
წინაჲსწარმეტყუელნი და
მამადმთავარნი,
სძალო სიძისა უკუდავისაო,
მტჳრთველო[4] ცხორებისა
ჩუენისაო,
შენგან იშვა სიტყუაჲ ღმრთისაჲ
ჴორცითა,
მისა[5] მიმართ მეოხ გუეყავ.

საიდუმლოჲ[6] ჴორც-შესხმისაჲ 184 (6)
და სახე განკაცებისა შენისაჲ,
ქრისტე,
წინაჲსწარვე აუწყე[7] მოსეს მთასა
ზედა სინასა

---

[1] წჲსაჲ. [2] ღ̃თისაი. [3] მორწმონეთა. [4] მტურთველო. [5] მ̃ს. [6] საჲდომლოჲ.
[7] ა̃ოწყე.



37 v

მაყლო|ანსა მას შინა
  მოტყინარესა ცეცხლითა,
რომელი უვნებელად
დაიცვებოდა მისგან
და მოასწავა მშობელისა შენისა
  ქალწულებაჲ,
ხოლო მან გულისჴმა-ყო
  ჭეშმარიტი სახეთაგან,
ვითარმედ დაიტიოს
ქალწულისა საშომან ცეცხლი
  ღმრთეებისაჲ უ[ვ]ნებელად.

Საიდუმლოსა[1] შობისა
შენისასა, მშობელო ღმრთისა
  მაღლისაო,
წინაჲსწარ ქადაგებდეს
  საღმრთოჲთა სიბრძნითა
  აღვსებულნი:
წინაჲსწარმეტყუელნი და
  მამამთავარნი,
რაჟამს გიწოდეს შენ
ბჭედ აღმოსავალისა,
ღრუბლად[2] ნათლისა,
  მტჳრთველად[3]
საღმრთოჲსა[4] ცუარისა,
ადგილად სიწმიდისად და ქვად
  ფენილად საფიროვნად,
ქუეყანად პურიელად,
რომლისაგან მოვიღეთ[5]
  საზრდელი უკუდავებისაჲ.

Მოიხილე დღეს, ცაო, ვიტყოდე და 185 (7)*
  უგალობდე ქრისტესა,
  მაცხოვარსა ჩუენსა, მხოლოსა
  მრავალ[6]-მოწყალესა.

---

[1] საჲდომლოსა. [2] ღრობლად. [3] მტურთველად. [4] საღმთოჲსა. [5] მოვეღეთ. [6] მარა-ვალ.

* სხვა ხელით არის. არ აქვს ნევმები და რიტმული პუნქტუაცია. ამ გალობის ორი გამორჩენილი ძლისპირი იხ. გვ. 182v—183r.



38 г

[განძლიერდასა]

186 (1) Eu 101 γ′ **მ**ოსავთა შენთა
დამამტკიცებელო ღმერთო,
დაამტკიცე ეკლესიაჲ
შენი, რომელი
მოიყიდე
სისხლითა შენითა წმიდითა.

ღრუბელი[1] ხარ შენ
მზისთუალისაჲ მის, ქალწულო,
მტჳრთველი[2] წიაღითა
დამბადებელისა,
რომელსაცა
დაბადებულნი ადიდებენ.

187 (2) Eu 108 γ′ **ე**ჰა ბერწო სულო ჩემო
და ნაყოფთაგან ცუდო,
აყუავენ ღმრთისა მიერ
და ნაყოფიერი
ესრეთ ღაღადებდ:
არავინ[3] არს წმიდაჲ,
არავინ[4] არს მართალ
შენებრ, უფალო.

მსგავსებაჲ უცვალებელი
უხილავისა მამისაჲ
სამოსა შენსა იტჳრთე[5]
და ჴორციელად ჰშევ,
ქალწულო უსძლო[ო],
რომელმან აჴოცნა
პატიჟნი პირველნი
სულთა ჩუ[ე]ნთანი.

188 (3) Eu 107 **გ**ანამტკიცენ, უფალო, გონებანი
ჩუენნი
ნათლითა მით
დაუღამებელითა,
რაჲთა გიგალობდეთ შენ,
ჱჴსნელსა, უკუნისამდე.

განაახლე, წმიდაო,
გონებაჲ განხრწნილი,
რამეთუ ჰშევ
და დაადგერ ქალწულად,
ამისთჳს ჩუენ, ყოველნი
მორწმუნენი, გნატრით შენ.

189 (4) Eu 110 γ′ **გ**ანძლიერდა დღეს
გული ჩემი უფლისა მიმართ
და ამაღლდა რქაჲ ჩემი ღმრთისა
მიერ,
რამეთუ არავინ[6] არს წმიდაჲ
შენებრ, უფალო.

---

[1] ღრობელი. [2] მტურთველი. [3-4] არაჲვინ. [5] იტურთე. [6] არაჲვინ



38 v

მეტყუელი ენაჲ
ვერ შემძლებელ არს ქებად შენდა
ჯერისაებრ, ღმრთისა
დამტევნელო,
არამედ მსგავსად ძალისა სიტყუთ
შეგასხამთ.

190 (5) Eu 95 γ' **რ**ომელმან სიტყუთ[1]
არარაჲსგან არსად
შეჰქმნენ დაბადებულნი
და დაამტკიცენ სულითა,
მჰყრობელო ყოველთაო,
განმაძლიერენ
შენდამი მორწმუნენი[2].

ქებულებანი
ითქუნეს[3] შენთჳს, ქალწულო,
განჴორციელებისა
მეუფისა ცათაჲსა.
შენ მიერ, დედოფალო,
ღმერთი გამოჩნდა
მჴსნელად დაბადებულთა.

კლდესა ზედა სარწმუნოებისა[4] 191 (6)
შენისასა, ქრისტე,
დაამტკიცე ეკლესიაჲ
და მას შინა წარმართნი
შემოჰკრიბენ,
რომელნი ესრეთ ჴმობენ, რამეთუ
არავინ[5] არს წმიდაჲ შენებრ,
კაცთ-მოყუარე.

ჭეშმარიტად
მოგასწავა დავით
წინაჲსწარმეტყუელმან:
ისმინე, ასულო და იხილენ
მორწმუნენი,
მვედრებელნი შენნი[6],
რომელნი ესრეთ ჴმობენ, რამეთუ
შენ ხარ სასოჲ და სიქადული[7]
ჩუენი.

უნაყოფოჲ სული ჩემი 192 (7)
ნაყოფიერ ყავ, ღმერთო,
და დაამტკიცენ ფერჴნი ჩემნი

---

[1] სიტყუით. [2] მორწმონენი. [3] ითქუნენეს. [4] სარწმუნოებისა. [5] არაჲვინ. [6] შენი. [7] სიქადოლი.



39 r

ალაგსა მცნებათა შენთასა,
რაჲთა გადიდებდე შენ.

უზეშთაეს ბუნებათა[1]
გჳშევ[2] ჩუენ სიტყუაჲ ღმრთისაჲ,
უბიწო[ო] სძალო მარიამ,
მას ევედრე ცხორებად
ჩუენთჳს[3],
რომელნი გადიდებთ შენ.

193 (8)* **მ**ხოლოდ-შობილო
ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო[4],
რაჟამს დაიკალ[5] ნებსით
მსხუერპლად მამისა
და შეიწირე სოფლისა
ცოდვათათჳს,
წმიდა ჰყავ, მჴსნელო,
ეკლესიაჲ სისხლითა
და შვილნი მისნი
იჴსნენ საცთურისაგან[6].

მხოლოდ-შობილი
ძე და სიტყუაჲ მამისაჲ,
დაუსაბამოჲ არსებაჲ უხილავი
საშოსა[7] შენსა დაებადა ჴორცითა,
ყოვლად უსძლო[ო] სძალო
მაცხოვრისაო,
და იშვა შენგან ღმერთი და კაცი
სრული.

მესმასა

ქრისტე ღმერთო, 194 (1) Eu 101 ბ'
ცანი კეთილთა შენთა დაფარნეს,
რაჟამს კიდობნისა მისგან
სიწმიდისაჲთ მოხუედი
სოფლად სიმდაბლით ჩუენთჳს
და, ვითარცა ჩჩჳლი[8],
გიხილეს ღმერთი ყოველთა
დაბადებულთაჲ,
აღივსო
ყოველივე დიდებითა შენითა.

მახაროდენ გაბრიელ მოგართუა
შენ, ქალწულო,
რაჟამს-იგი მუცლად[9]-იღე
დამბადებელი შენი
და ჰშევ ღმერთი[10] ჴორცითა

---

[1] ბონებათა. [2] გუშევ. [3] ჩ҃ნთუს. [4] სიტყუ. [5] დაიკლ. [6] საცთორისაგან. [7] სშსა.
[8] ჩჩული. [9] მოცლად. [10] ღ҃ჲ.

* ამ გალობის 3 ძლისპირი ნ. კიდევ გვ. 183 r.



39 v

უზეშთაეს კაცთა ბუნებისა[1],
  რომელსა ყოველნი
  ულაღადებთ:
ალი[ვსო
ყოველივე დიდებითა შენითა].

195 (2) Eu 96 დ′ **მ**ოსლვისა შენისა
საჲდუმლოჲ[2] მე[ს]მა დიდებული,
შემეშინა და დამიკჳრდა[3]
და სიხა[რ]ულით ვლაღადებ:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

მარიამ, შენ ხარ
სასაკუმევლე იგი ოქროჲსაჲ,
რომელმან ერთი, განუყოფელი[4]
სამებისაჲ, მუცლად-იღე
და მან სურნელ ყო ყოველი
  სოფელი.

196 (3) Eu 110 დ′ **მ**ე[ს]მა სმენაჲ შენი, შემეშინა,
განვიცადენ მე
საქმენი შენნი და დამიკჳრდა[5]
და გადიდე შენ, ქრისტე.

ვევედრებით შენ აწ,
ღმრთისმშობელო,
ჩუენ, მორწმუნენი,
მეოხ გუეყავ ძისა შენისა მიმართ,
რაჲთა მაცხოვნნეს ჩუენ.

ცანი შუენიერებამან შენმან 197 (4) Eu 98 ბ′
  დაფარნა, ქრისტე,
რაჟამს არა[6] ნატაცებად
  შეირაცხე სწორ ღმრთისა,
არამედ იქმენ მსგავს კაცთა,
  რომელნი იტყჳან[7]:
დიდ[ებაჲ ძალსა შენსა, უფალო].

ბუნებათა უაღრესი დაიტიე,
  ქალწულო,
და გამოუთქმელად ჰშევ სიტყუაჲ
  დამბადებელი,
სიქადულო დედათაო,
რომელსა უგალობთ:
დიდებაჲ ძალსა შენსა, ქალწულო[8].

ჰყავ სიყუარული 198 (5) Eu 95 ბ′
სიმტ[კ]იცისაჲ ჩუენ თანა,
  უფალო,
და ძე შენი მხოლოდ-შობილი
სოფლად მოავლინე და სიკუდიდ
  მიეც,
ამისთჳსცა ქებით ვლაღადებთ
  შენდამი:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

---

[1] ბონებისა. [2] საჲდუმლოჲ. [3] დამიკურდა. [4] განოყოფელი. [5] დამიკურდა. [6] არაჲ [7] იტყუ. [8] ქ̃წ̃.



40 r

სამწყსოჲ, რომელი
იჴსენ ვნებითა შენითა, ქრისტე,
მოიჴსენე იგი, სახიერ,
ყოლად დიდებულისა ქალწულისა,
მშობლისა შენისა მეოხებითა
და გუაცხოვნე, ძლიერო.

199 (6) **მ**ესმა სმენაჲ,
ქრისტე, ჴორც-შესხმისა
შენისა საიდუმლოჲ და გადიდე
მხოლოჲ, კაცთ-მოყუარე.

დიდებულო
მარიამ, უბიწო[ო],
წმიდაო ღმრთისმშობელო,
ევედრე ღმერთსა
ცხორებისათჳს[1] ჩუენისა[2].

200 (7) **მ**თით ჩრდილოჲთ მაღნართაჲთ
მოსლვაჲ შენი, სახიერ,
წინაჲსწარ იხილა
ამბაკუმ[3] და ღაღატ-ყო:
მაცხოვრად ერისა
შენისა მოხუედ,
დიდებაჲ ძალსა შენსა.

მთით ჩრდილოჲთ მაღნართაჲთ
მოხუედ ჴორცითა, ქრისტე,
საშოჲსაგან წმიდისა
უსძლოჲსა ქალწულისა
მაცხოვრად ერისა,
რომელნი ჴმობენ: დიდებაჲ ძალსა
[შენსა].

ქერაბინთა ზედა მჯდომარეო, 201 (8)
ქრისტე,
და მამისაგან განუშორებელო,
ჭეშმარიტად გქადაგა
წინაჲსწარმეტყუელმან
ამბაკუმ და ღაღად-ყო:
ძალსა შენსა დიდებაჲ, კაცთ-
მოყუარე.

გიხაროდენ, ბჭეო ცათაო,
ქალწულო,
გიხაროდენ შენ, მარიამ ღირსო,
გიხაროდენ მზისთუალო
ყოლად ბ[რ]წყინვალეო,
გიხაროდენ მეოხო
მაქებელთა შენთაო, უსძლო[ო].

---

[1] ცხ̃რბ. [2] ჩ̃ნ. [3] ბაკომ (წინა ორი ასო ამოშლილია).



40 v

202 (9) * **Ⴂ**ამოჩინებაჲ შენი, ღმრთისა
სიტყუაო[1],
შორის მამისა და წმიდისა
სულისა
პირველ ქადაგა
ამბაკუმ[2] ღმრთისმეტყუელმან
და ღაღადებდა:
ღმერთი სამხრით მოვიდეს
მაცხოვრად კაცთა
და ჴსნად ცხებულთა თჳსთა.

** **Ⴥ**უნდი ზეცისა უჴორცოთაჲ
გადიდებს
და ქუეყანასა ზედა ყოველი ენაჲ
ადამეანთაჲ
დაუცხრომელად გადიდებს,
რომელმან გჳშევ[3] შემოქმედი
ყოველთაჲ,
უსძლო[ო] სძალო, მისა მეოხ
გუეყავ.

ღამითგანსა

203 (1) Eu 101 ε′ **Ⴙ**უენებით ესაია
იხილა რაჲ უფალი[4],
საყდართა მჯდომარე
და გარე-შეცვული[5] ანგელოზთა
მიერ,
ღალატ-ყო: ჵ, ვაჲ უბადრუკსა[6],
რამეთუ ვიხილე ღმერთი
ჴორცითა,
ნათელი ბრწყინვალე
და მთავარი მშჳდობისაჲ[7].

Ⴕალწულო დიდებულო,
ღმრთისმშობელო მარიამ,
შენგან გამოგჳბრწყინდა[8]
ნათელი ბრწყინვალე
დაუღამებელი,
რომელმან
განმანათლნა ჩუენ,
მსხდომარე ბნელსა და აჩრდილთა,
და ესრეთ ულაღადებთ: უფალო,
დიდებაჲ შენდა.

204 (2) Eu 96 ε′ **Ⴕ**უეყანასა
ზედა უხილაო, იხილვე და
კაცთა შორის იქცეოდე ნეფსით
თჳსით, მჴსნელო,
შენდა მომართ მოვილტით
და შენ გილაღადებთ,
კაცთ-მოყუარე.

Ⴇანასწორი
მამისაჲ სიტყუაჲ ღმრთისაჲ,
გუამი სრული[9]

---

[1] სიტყუ. [2] ამბაკომ [3] გუშევ. [4] ო̃ჲ. [5] გარეშევოლი. [6] ო ვაჲ უბადროკსა. [7] მშოდობისაჲ. [8] გამოგუბრწყინდა. [9] სროლი.

* იხ. ამ გალობის 2 ძლისპირი იხ. გვ. 183 v. ** ღმრთისმშობლისას აქვს მხოლოდ შავი წერტილები.



41 г

ოირითა[1] ბუნებითა ქალწულმან
გჳშვა[2] ჩუენ,
რომელსა თაყუანის-ვსცემთ
თანა მამით და სულით
წმიდითურთ.

205 (3) Eu 111 ε′ აღვიმსთობთ შენდამი, ქრისტე,
ჭეშმარიტისა ცისკრისა,
რომელი ალმოჰბრწყინდი
მამისა მიერ
განათლებისათჳს
კიდეთა სოფლისათა
ბრწყინვალებითა.

შენ ხარ სასოჲ ჩუენი, ღირსო,
ღმრთისმშობელო უბიწოო,
და შენ მიერ მოვიღებთ
ჩუენ, მორწმუნენი[3],
ჴსნასა ცოდვათასა
და შენგან შობილსა ღმერთსა
თაყ[უანის-ვსცემთ].

206 (4) Eu 98 ε′ ღამითგან ალვიმსთობთ ჩუენ,
გიგალობთ შენ, უფალო, ღმერთო
ჩუენო
და გევედრებით შენ, კაცთ-
მოყუარე,
გუაცხოვნენ ჩუენ
ძალითა ჯუარისაჲთა.

ჴორცთა შენთაგან, სძალო,
იშენა სიბრძნემან სახლი თჳსი,
ამისთჳს ყოველნი მორწმუნენი
ღმრთისმშობლად
აღგიარებთ, ქალწულო.

207 (5) შენდა ალვიმსთობთ
წარუვალისა ნათლისა,
მომეც ჩუენ, კაცთ-მოყუარე, შენი
მშჳდობაჲ[4]
და ნათელსა
მცნებათა შენთასა
მიძღოდე[5] სლვად გზათა შენთა.

კარავი წმიდაჲ,
რომელმან დაუტევნელი
ყოველთა დაბადებულთაჲ, სიტყუაჲ
ღმრთისაჲ
დაიტია
და მშობელ და ქალწულ ესე
მხოლოჲ გამოჩნდა.

---

[1] ურითა. [2] გუშვა. [3] მორწმონენი. [4] მშუდობაჲ [5] მიძღუდე.



41 v

208 (6) **ნ**ათელსა მას
მცნებათა შენთასა გჳძღოდე[1]
ჩუენ,
ქრისტე, ნათელო წარუვალო.

რომელმან შევ
ღმერთი ჴორციელად,
შენ, უხრწნელო
ქალწულო,
მიოტენ ჩუენ, ცოდვილნი.

209 (7) **ა**ღმსთობილნი გიგალობთ შენ,
Eu სიტყუაო[2] ღმრთისაო, მხოლოდ-
110 ε' შობილო,
ἄλλος შენი მშჳდობაჲ[3] მომეც[4] ჩუენ
და შემიწყალენ ჩუენ,
რომელნი გევედრებით
და სარწმუნოებით[5] თაყუანის[6]-
გცემთ.

გიხაროდენ[7], უბიწოო
დედაო, რამეთუ რომელი ჰშევ
ძე[8],
ამან[9] ჯოჯოხეთი წარმოტყუენა[10],
ვითარცა ღმერთ არს
და აღდგა ჴელმწიფებითა
მაცხოვარი და ცხორებაჲ ჩუენი.

გამოჩნდა[11] ბრწყინვალედ 210 (8)
სიმრავლე ანგელოზთაჲ
და მრავალთუალნი ქერაბინნი,
რომელმანცა
შეახო ბაგეთა ესაიას,
განჩინებულ იქმნა იგი ქადაგად
და იტყოდა[12]:
მშჳდობაჲ შენი მომეც
მონათა შენთა, კაცთ-მოყუარე.

გიხაროდენ, ქალწულო,
იხილე[13] ცეცხლისფერი
ანგელოზი,
რომელმანცა გახარა
სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ყოლად
წმიდაო,
ძალი მაღლისაჲ შენ ზედა და
გეტყოდა:
შენ თანა ღმერთი,
რომელმანცა აცხოვნა[14]
მორწმუნენი.

გამოაბრწყინვე, ქრისტე, ნათელი 211
საღმრთოჲ (9) *
და განანათლენ კიდენი
სოფლისანი,

---

[1] გუძღოდე. [2] სიტყუ. [3] მშუდობაჲ. [4] მომეც. [5] სარწმონოებით. [6] თაყუანეს. [7] გხნ + შენ სძალო (სტრიქონს ზემოთ წვრ. ხელით). [8] ძე + რომელმან. [9] ამან+ ჯუარითა (კიდეზეა მიწერილი). [10] თავზე სხვა ხელით „შემოსრა“. [11] გამუჩნდა. [12] იტყუდა. [13] იხილე+შენ ბრწყინვალე და (სხვა ხელით). [14] აცხოვნა+სულნი ჩუენნი (სხვა ხელით).

* ამ გალობის ერთი გამორჩენილი ძლისპირი იხ. გვ. 184 г.



42 r

რომელმან | დაჰჴსენ
ბნელი უმეცრებისაჲ
და კაცთა მოეც ნათელი
ჭეშმარიტი,
რაჲთა ვიდოდიან მცნებათა შენთა
გზასა.

ღაღატყავსა

212 (1) Eu 111 ε´ ἄλλος **ჰ**მა-ვყა[ვ] შენდამი
დამძიმებულმან ტჳრთითა[1]
ცოდვათა ჩემთაჲთა,
შეისმინე[2] ჩემი
და წყალობა ყავ, მაცხოვარო.

არა განიხრწნა[3]
საშოჲ ქალწულისაჲ ცეცხლისაგან
ღმრთეებისა,
რაჟამს დაემკჳდრა[4]
იონაჲს სახედ განუხრწნელად.

213 (2) Eu 96 ε´ **დ**ამკჳდრებაჲ[5] იონაჲსი
სიღრმესა მას შინა
სახედ ბუნებისა[6] ჩუენისა
მოესწავებოდა ჯოჯოხეთს შინა,
რომლისაგან მიჴსენ, მრავალმოწყალე.

სიღრმეთაგან ცოდვათაჲსა
და მოქცევისაგან
ბრალთაჲსა აღმომიყვანენ ჩუენ,
ქალწულო მარიამ,
რამეთუ შენ ხარ
მყუდროჲ[7] ნავთსაყუდელი მოსავთა
შენთაჲ.

ღაღატ-ვყავ სულ-თქუმით 214 (3) Eu 111 ε´
დაუდუმებელად[8]
მოწყალისა მიმართ ღმრთისა
და ისმინა ჩემი
მთით სიწმიდისა მისისაჲთ
და განხრწნისაგან
იჴსნა ცხორებაჲ ჩემი.

მეოხ გუეყავ, ღმრთისმშობელო
უბიწო[ო],
ცათა მეუფისა მიმართ,
რომელი გჳშევ შენ,
რაჲთა მიჴსნეს მორწმუნენი
განსაცდელთაგან,
ვითარცა მოწყალე არს.

---

[1] ტურთითა. [2] შეისმინა. [3] არაჲ გ῀ნხრწნა. [4] დაემკუდრა. [5] დამკუდრებაჲ. [6] ბონებისა. [7] მყოდროჲ. [8] დაუდომებელად.



42 v

215 (4) Eu 99 ɛ' **ღ**აღად-ვყავ გულითა ჩემითა
შენდა:
ისმინე ჩემი,
უფალო ღმერთო ჩემო.

Ევედრე მას, რომელი ჰშევ,
ქალწულო,
რაჲთა მიჴსნეს[1] ჩუენ
მტერისა საფრჴეთაგან.

216 (5) Eu 95 ɛ' **Ს**იღრმეთა
ცოდვისათა მომიცვეს,
განმხრწნელთა სულისათა,
არამედ შენ, კაცთ-მოყუარე,
მოყავ მარჯუენაჲ შენი,
მსგავსად იონაჲსა მიჴსენ
და, ვითარ პეტრე,
დანთქმისაგან
აღმომიყვანე.

Უსძლო[ო]
და უქორწინებელო,
შენ მხოლოჲ იქმენ შუა-
მდგომელ ღმრთისა და კაცთა,
ძესა შენსა ევედრე
მოცემად მოსავთა შენთა
ბრალთა შენდობაჲ
და მტერისა
საბრჴეთაგან ჴსნაჲ.

Სიღრმე ვნებათაჲ აღმიდგა 217 (6)
და უფსკრულად დამთქამს მე,
არამედ, ვითარცა იონა[2],
გიღაღადებ:
აღმომიყვანე, უფალო,
ხრწნილებისაგან[3]
ცოდვათაჲსა, მრავალ-მოწყალე.

Აღდგომილსა მეუფესა, ვითარცა
შუენიერსა
სიძესა, ხედავ, ღმრთისმშობელო,
ძესა შენსა,
გიხაროდენ, დედოფალო,
აწ სიხარულით მოიკითხე და მეოხ
გუეყავ.

Დასასრულსა 218 (7) Eu 110 ɛ'
საუკუნეთასა წარწყ | მედად
მიწევნულნი[4]

---

[1] მჴსნეს. [2] ჲონა. [3] ხრწნელებისაგან. [4] მიწენულნი.



43 г

ღელვათაგან ცოდვათაჲსა
ვღაღადებთ ჭირვეულნი:
ნუ[1] უგულებელს[2]-მყოფ, მოწყალე,
მიჴსენ მჴეცისაგან სულთა
მომსრველისა,
ვითარცა იჴსენ პირველ
ვეშაპისაგან წინაჲსწარმეტყუელი.

აღსასრულსა
ჟამთასა ქალწულისაგან იშევ
მოწყალე
და მონებისაგან მტერისა
განათავისუფლე
სიკუდიდ მიცემული სოფელი,
ამისთჳს ღმრთისმშობელად
აღგიარებთ ქალწულსა
და მეოხად მჴურვალედ[3]
შენდა მომართ,
ქრისტე, მრავალ-მოწყალე.

219 (8) **მ**ჴსნელო ჩუენო, ჭეშმარიტად,
უბრძანე რაჲ
წინაჲსწარმეტყუელსა
ქადაგებაჲ სინანულისაჲ კაცთა
მომართ,
რომლისათჳს რისხვეულ იქმნა
პირისა შენისაგან, ყოველთა
მჴსნელო,
და შეაყენე იგი ზღჳსა[4] მჴეცისა
მუცელსა[5],
რომლისაგან მოგუასწავე
მეორედ შობაჲ კაცთაჲ.

წინაჲსწარვე მოგასწავა
წინაჲსწარმეტყუელმან ესაია[6]
დედად ღმრთისა ჩუენისა, ყოლად
უბიწო[ო] ქალწულო[7],
რომელმან გჳშევ მჴსნელი
ყოველთაჲ[8],
რომელსა მორწმუნენი
გიღაღადებთ
და ვიტყჳთ:
გიხაროდენ
შენ, სულთა ჩუენთა მფარველო,

---

[1] ნო. [2] უგოლებელს. [3] მკორვალედ. [4] ზღუისა. [5] მოცელსა. [6] ესაჲ. [7] ქალწულო (სხვა ხელით). [8] ყ´ლთჲ (სხვა ხელით).



43 v

რომელმან უ[ქ]ცეველად
დამავენ ძესა შენსა.

220 (9) **მ**ოაკუდინე შენ,
ქრისტე, ვეშაპი იგი
სულთა მომსრველი
და მის მიერ შთანთქმულნი[1]
იონაჲს[2] სახედ
ნათლად აღმოიყვანენ,
აღმომიყვანე
მეცა დანთქმისაგან
ბრალთა ჩემთაჲსა, მაცხოვარ,
და მაცხოვნე მე.

კურთხეულარსა

221 (1) Eu 101 ζ' **ღ**მრთისა სიტყუასა, რომელმანცა
ცეცხლსა შინა შეაცურინა
სამნი ყრმანი ღმრთისმეტყუელნი
შევამკობდეთ ყოველნი
და ქალწულმან შვა,
და ესრეთ ვღაღადებდეთ:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

მამასა ძით და სულით წმიდით
მორწმუნენი ვაკურთხევდეთ,
ანგელოზთა[3] გალობასა
ვღაღადებდეთ ჩუენ:
წმიდა ხარ შენ, უფალო,
სამებაო წმიდაო,
კურთხეულ ხარ შენ მარადის, აწ
და უკუნისამდე.

222 (2) Eu 95 ζ' **პ**ითარცა სამთა ყრმათა
პირველად განუქარვე[4]
ალი იგი საჴუმილისაჲ მის,
ჩუენცა განგუანათლენ
ღმრთეებისა ნათლითა
და ღირს მყვენ ღაღადებად:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

სულსა მას სახიერსა
მამისა თანა და ძისა
თაყუანის-ვსცემთ
განუყოფელად[5],
სამგუამოვნებასა
და ერთღმრთეებასა
უგალ[ობდეთ].

223 (3) Eu 111 ζ' **ს**ამნი ყრმანი ბაბილონს
სამებასა მიემს|გავსნეს,

---

[1] შთაქმულნი. [2] ჲონაჲს. [3] ანგზ̃ლთა. [4] განოქარვე. [5] განოყოფელად.

1 ამ გალობის 1 ძლისპირი იხ. გვ. 184 г.



44 г

და დათრგუნეს სიმძაფრე
  საჴუმილისაჲ მის
და გალობით იტყოდეს[1]:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
  ღმერთო მამათა ჩუენთაო.

მორწმუნეთა[2] ვიხილეთ
უფროჲს[3] ბუნებისა[4] შობაჲ,
ვითარცა მუცლად[5]-ღებაჲ,
  ამისთჳს, ღირსო,
ღმრთისმშობელად აღგიარებთ,
მეოხად მიგავლენთ მისა შენისა
  მიმართ.

224 (4) Eu 97 ζ' **ხ**ატსა ოქროჲსასა[6] პირველ
მოგუნი თაყუანის-სცემდეს,
ხოლო ყრმათა შეურაცხ-ყვეს
და საჴუმილსა
შეცურეულნი იტყოდეს[7]:
მამათა ჩუენთა
ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

სამებისა ერთარსებაჲ
გამოგჳჩნდა[8] ბრწყინვალედ
ბნელსა შინა მსხდომარეთა[9],
განმანათლნა, რომელნი
  უღაღადებთ:
მამათა ჩუენ[თა ღმერთო,
  კურთხეულ ხარ შენ].

რომელმან ალი იგი 225 (5) Eu 107 ζ'
ცურეულ ჰყავ საჴუმილისაჲ
და ყრმანი შეუწუველად
  დაიცვენ,
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო, უკუნითი უკუნისამდე.

დედაო მჴსნელისაო,
მარიამ, იხარებდი:
აღდგა ძე შენი და ღმერთი ჩუენი,
მკუდარნი[10] განაცხოვ[ელ]ნა
და ყოველნი აღავსნა
  სიხარულითა.

ქალდეველნი იგი, 226 (6)
რომელნი დგეს გარემოჲს
საჴუმილსა მას,
განაბნიენ ანგელოზისა მიერ,|
  მჴსნელო,

---

[1] იტყუდეს. [2] მორწ̃მონეთა. [3] უფროჲ. [4] ბუ̃ბისა. [5] მოცლად. [6] უქროჲსასა.
[7] იტყუდეს. [8] გამოგუჩნდა. [9] მხდომარეთა. [10] მკ̃რნი.



44 v

ხოლო ყრმანი შეცურეულნი
ესრეთ ჴმობდეს:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

საჴუმილსა მას შინა
სამთა ყრმათა გამოსახეს სამებაჲ
და შეურაცხ-ყვეს ხატი ოქროჲსაჲ,
ხოლო შენ აღგიარეს
ძე მამისა თანა სულით
წმიდითურთ და თქუეს:
კ[ურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო].

227 (7) * **გ**ულისწყრომამან
მძლავრთა უშჯულოთამან
და საჴუმილისა
აღგზებულისა ზარმან
ვერ შეაძრწუნნა[1] ყრმანი ღმერთ-
შემოსილნი,
არამედ ჴმა-ყვეს
გონებითა მტკიცითა
მაღლისა მიმართ:
ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ.

აკურთხევდითსა

მონებად ღმრთისა 228 (1) Eu 101 η′
აღდგომილნი[2]
ყრმანი შეითხინეს ცეცხლსა
მიუახლებელსა
და ალისაგან არა[3] ევნო
და გალობით იტყოდეს:
აკურთხევდით
ყოველნი საქმენი უფალსა და
ამაღლებდით მას უკუნისამდე.

ვინ შემძლებელ არს
ქებად შენდა
ჯერისაებრ, უბიწო[ო] მშობელო
ღმრთისაო,
რომელმან გამოუთქუმელად ჰშევ
დამბადებელი შენი და სთქუ:
აკურთხევდით [ყოველნი საქმენი
უფალსა და
ამაღლებდით მას უკუნისამდე].

ცეცხლი იგი შემწველ[ი] 229 (2) Eu 96 η′
უსხეულომან შეაცურია

---

[1] შეაძრწონნა. [2] აღდგუმილნი. [3] არაჲ
* ძლისპირს არ ახლავს ღმრთისმშობლისა.



45 r

და ღმერთ-შემოსილნი ყრმანი
ღაღადებდეს:
აკურთხევდით
ყოველნი საქმენი უფლისანი
უფალსა
და უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე..

სარწმუნოებით[1] ვჰმონებთ
სამებასა ერთარსებასა,
უგალობთ მორწმუნენი და
ვღა[ღადებთ:
აკურთხევდით ყოველნი საქმენი
უფლისანი უფალსა
და უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე].

230 (3) Eu 112 η′ **თ**აყუანისცემულსა
წმიდათა ანგელოზთა მიერ,
საუკუნითგან დიდებულსა
მღდელნი აკურთხევდით,
ერნი უფროჲსად ამაღლებდით
მას უკუნისამდე.

სამებით ცნობილსა,
ერთარსებით დიდებულსა,
ბუნებასა ღმრთეებისასა
მღდელნი
[აკურთხევდით,
ერნი უფროჲსად ამაღლებდით მას
უკუნისამდე].

231 (4) Eu 100 η′ **ს**ამნი ყრმანი ბაბილონს
ღმრთისა მიერ განძლიერდეს და
შეურაცხ-ყვეს
განცხრომაჲ
და სახიობაჲ უშჯულოთაჲ[2]
მათ
და საჳუმილსა შეითხინეს
და საღმრთოჲთა გალობითა ესრეთ
ღაღადებდეს:
აკურთხევდით ყოველნი საქმენი
უფლისანი უფალსა.

მუცლად[3]-იღო ქალწულმან
წინაჲსწარ ქადაგებული
ესაიასგან[4],
რამეთუ უქორწინებელმან გჳშვა
ჩუენ
მხოლოდ-შობილი ძე ღმრთისაჲ,
რომელსა უღაღადებთ
დაბადებულნი:
აკურთხევდით [ყოველნი საქმენი
უფლისანი უფალსა].

232 (5) Eu 111 η′ **პ**ირველ საუკუნეთა
ძე მამისა მის და|უსაბამოჲსა

---

[1] სარწმონოებით. [2] უშჯოლოთაჲ. [3] მოცლადა. [4] ესაჲასგან.



45 v

ქალწულისაგან
ჟამთა
აღსასრულსა
ჴორცითა გამოჩნდა,
ვითარცა სრულსა კაცსა
და ღმერთსა ღმრთისაგანსა
ვაკურთხევთ,
თაყუანის-ვცემთ
და ავამაღლებთ მას
აწ და უკუნისამდე.

* **დ**ამბადებელმან ინება
დატევნად საშოსა შენსა, ღირსო,
ღმრთისა დედაო,
და გამოგჳბრწყინდა[1] ორითა
ბუნებითა[2]
ღმერთად და კაცად,
ვაკურთხევთ[3]
[თაყუანის-ვსცემთ
და ავამაღლებთ მას
აწ და უკუნისამდე].

უცხონი[4]

233 (6) Eu 95 η′ **რ**ომელმან ანგელოზებრივისა
ხატისა მსგავსად
ცეცხლსა შინა ხილვითა
ყრმანი იჴსნა საჴუმილისაგან,
აკურთხევდით საქმენი
უფლისანი უფალსა.

ძესა, მამისა თანასწორსა
ღმერთსა ღმრთისაგანსა
და სულსა თანაარსსა,
ერთღმრთეება[სა] ჭეშმარიტსა,
აკურთხევდით საქმენი
უფლისანი უფალსა.

234 (7) **ს**აქმენი და ძალნი უფლისანი
უფალსა ღმერთსა აკურთხევდით
დღეს,
ყრმანი და მღდელნი უგალობდით,
ერნი ამაღლებდით მას
უკუნისამდე.

** **მ**იდგომილ[5] იქმენ, უბიწო[ო]
სძალო, დედად ღმრთისა და
იტჳრთე[6]
მჴსნელი ყოველთაჲ
და შევ ჴორცითა,
შენ გაკურთხევთ ჩუენ,
ყოველნი,
დედოფალო.

235 (8) Eu 106 η′ **რ**ომელიცა ანგელოზთა მიერ

---

[1] გამოგუბრწყინდა. [2] ბონებითა. [3] ვაკ´ხთ. [4] ოცხ. [5] მიდგუმილ. [6] იტურთე.

* ამ ღმრთისმშობლისას მხოლოდ შავი წერტილები აქვს. ** ღმრთისმშობლისას აქვს ნოტაცია.



46 г

მაღალთა შინა იდი|დების
ღმერთი,
ცანი ცათანი
და ქუესკნელნი[1],
მთანი და ბორ[ც]უნი
და სიღრმენი უფსკრულთანი
და ნათესავნი კაცთანი
აკურთხევდით, უგალობდით
ღმერთსა, შემოქმედსა ყოველთა
საუკუნეთასა.

მამასა დაუსაბამოსა
ვაქებთ,
ძესა დაუსაბამოსა
უგალობთ,
სულსა წმიდასა
ერთღმრთეებით
დიდებულსა თაყუანის-ვსცემთ
ჩუენ სამებასა ერთღმრთეებასა
მორწმუნენი ერთობით ერთა თანა
ზეცისათა
უგალობდეთ ჩუენ, ვაკურთხევდეთ
უკუნისამდე.

შენ, რომელი
236 (9) ცეცხლსა შინა საცნაურ[2] იქმენ
ყრმათა თანა ებრაელთა ღმერთი
და ცეცხლი იგი ცუარად
გარდააქციე, მათ ყოველთა
მჴსნელო,
ყრმანი გაკურთხევენ, მღდელნი[3]
გიგალობენ,
ერნი უფროჲსად აგამაღლებენ.

გიხაროდენსა
შენდამი ყოველნი ვიტყჳთ,
ღმრთისმშობელო, ყოლად
სანატრელო,
რამეთუ რომელი-იგი შევ ძე,
განხეთქნა ჯოჯოხეთისა
საკრველნი,
აღდგა საფლავით, მაცხოვნა ჩუენ
და მიჴსნა ჩუენ
ხრწნილებისაგან, კაცთ-მოყუარე.

შენ, რომელმან ცნობაჲ 237 (10)*
სიბრძნისაჲ მიანიჭე ღირსთა
ყრმათა,
რომელთაცა ჭეშმარიტად
დაიმარხეს მცნებაჲ შენი
და განცხრომათაგან არა[4]

---

[1] ჩამატებულია „ზესკნელნი" სტრიქონს ზემოთ. [2] საცნაორ. [3] მღლნ. [4] არაჲ.

* № 10-11-12 მხოლოდ ძლისპირებია.



46 v

შეორგულდეს,
რომელთაცა საკუმილსა მას შინა
ბრწყინვალედ გამოუჩნდი[1]
და ანგელოზისა მიერ
სხურებულნი[2] ესრეთ ჴმობდეს:
მჴსნელსა ჩუენსა ღმერთსა
ყოველნი ვაკურთხევთ.

238 (11) ბაბილონს საკუმილსა მას
შინა
ცეცხლისასა, ვითარცა რაჲ
ცუარსა იყვნეს
წმიდანი იგი სამნი ყრმანი,
სულისა წმიდისა ცუარითა
ცურეულნი იხარებდეს
და ესრეთ ღაღატ-ყვეს:
აკურთხევდით საქმენი უფლისანი
უფალსა.

239 (12)* ალსა შინა შეიცურინეს
მძლავრისა მიერ სამნი ყრმანი
სიყუარულისათჳს[3] შენისა,
ქრისტე, ღმერთო,
რამეთუ სახესა მას
ცხოველს-მყოფელსა
ვნებისა შენისასა გამოსახვიდეს.

ადიდებდითსა

წერილთა მიერ შჯულისათა[4] 240 (1) Eu 101 ჟ'
მოგუესწავა ჩუენ, მორწმუნეთა,
ვითარმედ ყოველი წული, პირველ
საშოჲსა განმღებელი,
წმიდა უფლისა იწოდოს.
აჰა, დღეს ვიხილეთ ჩუენ
პირმშოჲ ზეცით და ქუეყანით
და სარწმუნოებით ვადიდებთ.

აღმოსავალით ბჭედ დაკშულად[5] ა
გიწოდა შენ
წინაჲსწარმეტყუელმან,
რომელსა შევიდა ღმერთი
განულებელად და გამოვიდა

---

[1] გამოჩ˝ნდი. [2] სხორებულნი. [3] სიყოარულისათჳს. [4] შჯოლისათა. [5] დაკშოლად.

* იხ. ამ გალობის 2 ძლისპირი გვ. 184 r.



47 г

და ბჭე იგი ეგო დაჴშულად[1],
ქალწულებაჲ უხრწნელად
შემდგომად შობისა შენგან,
დედაო ღმრთისა მაღლისაო.

ბ **უ**ჴორცოთაგან ზეცისათა
დაუდუმებელითა[2] ჴმითა,
დაუცხრომელითა
ღმრთისმეტყუელებითა
ანგელოზთაგან წმიდაარსობით
იქების
სამებაჲ ერთარსებაჲ,
რომელსა ჩუენ, მორწმუნენი,
სარწმუნოებით ვადიდებთ მას.

241 (2) Eu 95 ϑ' **ს**იტყუაჲ ღმრთისაჲ უხილავი
უთესლოდ გჳშევ ჩუენ, ქალწულო
უბიწო[ო],
რომელი ზეცას უდედოდ
და ქუეყანასა ზედა უმამოდ,
რომელსა თაყუანის-ვსცემთ
და შენ დაუცხრომელად
გადიდებთ.

გიხაროდენ შენ, ტაძარო ა
საღმრთოჲსა განგებულებისაო,
გიხაროდენ,
ეტლო მაღლისაო,
გიხაროდენ, ღრუბელო
სულმცირეო,
გიხაროდენ, მტჳრთველო[3]
დამბადებელისაო უბიწოო.

მოუგონებელსა ჩუენგან ბ
და გარე-შეუწერელსა სამებასა,
ღმერთსა,
ერთარსებით დიდებულსა
მორწმუნენი ვადიდებდეთ
მართლადსარებით,
რომელსა ქერაბინნი აქებენ.

ღმრთისმშობელსა და 242 (3)
ქალწულად დადგრომილსა,
დედასა ნათლისასა
ჩუენ ვადიდებდეთ.

---

[1] დაჴშოლად. [2] დაუდომებელითა. [3] მტურთველო.



47 v

ა **გ**იხაროდენ შენ, სანატრელო
დედაო,
დედათა დიდებაო,
მეოხ გუეყავ ჩუენ.

ბ **რ**ომელსა გუნდნი[1]
ზეცათანი აქებენ,
სამებასა წმიდასა ჩუენ
ვადიდებდეთ.

243 (4) **ღ**მრთისმშობელსა უბიწოსა,
რომელმან იტჳრთა[2] მკლავთა
ზედა
მჴსნელი დაბადებულთაჲ მსგავსად
ჩჳლთა[3],
გალობით ვადიდებდეთ,
რაჲთა აცხოვნეს სულნი ჩუენნი.

ა **ღ**მრთისა სიტყჳსა[4]
მტჳრთველსა[5]
და გამ[ო]უკულეველად
მშობელსა,
რომელმან დამაგნა ღმერთსა
განდგომილნი[6],
გალობით ვადიდებდეთ,
რაჲთა აცხოვნეს ს[ულნი ჩუენნი].

დაუსაბამოსა ღმერთსა, ბ
სამებით თაყუანის-ცემულსა დღეს
ქერაბინთაგან დაუდუმებელად[7],
ქებულსა სერაბინთაგან
სარწმუნოებით ვადიდებდეთ.

უცხონი[8]

შენ, უკუდავებისა წყაროსა, 244 (5) Eu 110 ϑ'
რომელი წმიდათა შენთა მიერ
კურნებასა
კაცთა ნათესავსა მოჰმადლებ[9],
ქრისტე,
გადიდებთ შენ, რამეთუ
აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

შენ იესეს ძირისაგან კუერთხად
და მამამთავართა მიერ
აღმოცენებულად
და სულთა ჩუენთა ჴსნისა
ნავთსაყუდელად
გადიდებთ, შენ, უსძლო[ო]
უბიწო[ო] ქალწულო.

---

[1] გონდნი. [2] იტურთა. [3] ჩულთა. [4] ს̃ტყუსა. [5] მტურთელსა. [6] განდგუმილნი. [7] დაუდომებელად. [8] ოცხონი. [9] მუჰმადლებ.



48 г

245 (6) Eu 111 ϑ' **შ**ენ, შეუწველსა მაყუალსა
და ყოლად წმიდასა ქალწულსა,
დედასა ნათლისასა[1],
ღმრთისმშობელსა ყოველნი
მორწმუნენი ვადიდებთ.

შენ, ქალწულსა უბიწოსა,
მტჳრთველსა[2] მარგალიტისა მის
სამეუფოჲსა, წმიდასა
ღმრთისმშობელსა ყოველნი
მორ[წმუნენი გადიდებთ].

246 (7) Eu 107 ϑ' **მ**ხოლოსა უხრწნელსა,
ჴორციელად მშობელსა ღმრთისა
უბიწოჲსასა,
რომელი შემდგომად შობისა
იპოა ქალწულად,
რომელსა ყოველნი მორწმუნენი[3]
ერთობით
გალობით ვადიდებთ.

* **მ**ხოლოსა ქებულსა,
არსება-დაუბადებელსა წმიდასა
სამებასა,
რომელსა ქერაბინნი
დაუცხრომელად აქებენ
და ჩუენცა, მორწმუნენი, ერთობით
გალ[ობით ვადიდებდეთ].

მთასა ზედა სინასა 247 (8)· Eu 104 ϑ'' ἄλλος
იხილა მოსე სახე შენი,
ქალწულო,
მაყულოანსა მას შინა
დამტევნელად ცეცხლსა
ღმრთეებისასა შეუწველად,
დანიელ
გიხილა
მთად გამოუკუეთელად,
ესაია [გ]ქადაგა
კუერთხად აღყუავებულად
დავითის ძირთაგან.

შობაჲ ქალწულისაჲ ა·
და დადგრომაჲ ქალწულად ვის
ესმა ესე,
ანუ[4] ვინ გულისჴმა-ყო?
არამედ ორნივე ესე შენ შორის
აღესრულნეს,
მარიამ,

---

[1] ნთლისასა. [2] მტურთველსა. [3] მორწმონენი. [4] ანო.

* ღმრთისმშობლისას აქვს ნოტაცია.



48 v

ეჰა საკჳრველი[1] საიდუმლოჲ[2],
ეჰა განგებაჲ, რომლითა
ვიჴსნენით ჩუენ
პირველისაგან წყევისა.

ბ **ს**ამებაჲ ერთარსებაჲ,
განუყოფელი[3] და შეურევნელი,
საკჳრველი[4] დიდებული,
რომელი გუამოვნებით[5] თითოება
არს
და შეურევნელ,
რომელი არა განიყოფვის, არცა
დაესრულების[6],
რომლისაგან
ყოველივე დაებადა
და აწ ჩუენ ქებით ვადიდებთ.

248 (9) * Eu 100 ϑ' **მ**აყლოანსა მას შინა
ცეცხლისაგან შეუწველად
გამოსახულსა[7]
მოსეს მიერ მთასა ზედა სინასა,
რომელმანცა
ცეცხლი იგი ღმრთეებისაჲ
დაიტია საკჳრველად[8]
საიდუმლოდ[9],
ყოლად ბრწყინვალესა,
დაუშრეტელსა სანთელსა,
ღმრთისმშობელსა მარიამს
მორწმუნენი გალობით
ვადიდებდეთ.

შემსხმელთა შენთა ჭეშმარიტად 249 (10)
ქადაგეს, ღმრთისმშობელო,
ვითარმედ ქალწული არს
მობაძავი ქერაბინთაჲ
და ვარსკულავი, მნათობი
ცისკიდეთაჲ,
რომლისაგან ბრწყინავს მთიები
ცათა შინა
და ქუეყანისათა განანათლებს
ბრწყინვალედ.

აღესრულა[10] შენ ზედა თქუმული[11]
მამადმთავრისაჲ, სძალო,
ვითარმედ დედაჲ მეუფისაჲ —
მთაჲ სიონი,
კიბედ ცად აღწევნული[12],

---

[1] საკურველი. [2] საჲდომლოჲ. [3] განოყოფელი. [4] საკურველი. [5] გუმოვნებით. [6] დაესროლების. [7] გამოსხოლსა. [8] საკურეელად. [9] საჲდომლოდ. [10] აღესროლა [11] თქომოლი. [12] აღწეენოლი.

* არ ახლავს ღმრთისმშობლისა.



49 r

ტაკუკი ¦ მანანაჲსაჲ,
რამეთუ შენგან იშვა მჴსნელი
ჩუენ ყოველთაჲ
და განმანათლებელი კიდეთა
სოფლისათაჲ.

250 (11) **მ**ოუძლურდების
ყოველი მეტყუელებაჲ
და განცჳბრდების[1] სიბრძნე
სოფლისა ბრძენთაჲ[2]
ღირსად ქებასა
შენსა, უსძლოო სძალო
მაცხოვრისაო,
ხოლო ჩუენ, მორწმუნენი,
სარწმუნოებით
გალობით გადიდებთ.

მეტყუელებანი
წინაჲსწარმეტყუელთანი
და უწყებანი პირველთა იგავთანი
აღესრულნეს დღეს
ყოვლითურთ[3] უქცეველად,
რამეთუ ღმერთი კაც იქმნა კაცთა
მჴსნელად
სამოსა შენსა, უსძლოჲსა
დედისასა.

251 (12) * **დ**აუსაბამოჲ სიტყუაჲ მამისაჲ
შენ ზედა გარდამოჴდა, ქალწულო
უბიწოო,
ვითარცა წჳმაჲ[4] საწუმისსა
ზედა,
რომლითა აჩუენა
გედეონ სახედ შენდა;
შენ ხარ მიზეზი ჴსნისა
ჩუენისაჲ
და ცხორებაჲ საუკუნოჲ სულთა
ჩუენთაჲ.

252 (13) **ზ**ეცისა უჴორცოთა დაუკჳრდა[5],
რაჟამს იხილეს გარდამოსლვაჲ
ღმრთისაჲ სიმდაბლითა
და დამკჳდრებაჲ[6] კაცთა შორის
სამოსა შენსა, ქალწულისა
უბიწოჲსასა,
ქერაბინნი შეძრწუნდეს[7],
იხილეს რაჲ ღმრთეებაჲ
ჴორციელად,
ხოლო ქალწული ღაღადებდა:

---

[1] განცობრდების. [2] ბრძნეთაჲ [3] ყოვლითორთ. [4] წუმაჲ. [5] დაუკურდა. [6] დამკუდრებაჲ. [7] შეძრწონდეს.

* №№ 12-18 მხოლოდ ძლისპირებს შეიცავს.



49 v

ამიერით | გან მნატრიდეს მე
  თესლები,
რამეთუ ჩემ მიერ განქარდა
  წყევაჲ პირველი.

253 (14) Eıı 97 ჟზ' **Ე**ჰა ახალი
და ღმრთივშუენიერი
საკჳრველებაჲ,
რამეთუ ქალწულისა
დაკრძალული იგი[1] ბჭე
ჲიბრძნით განვლო უფალმან
უჴორცოდ შესლვასა
და ჴორც-შესხმული ღმერთი
იხილვა გამოსლვასა
და[2] ბჭე იგი ეგო დაჴშულადვე[3],
რომელსა დაუცხრომელად,
ვითარცა ღმრთისმშობელ არს,
  ვადიდებთ.

254 (15) **Გ**ანკჳრდეს[4] უჴორცოთა წესნი
და კაცთა ნათესავსა დაუკჳრდა[5]
შობაჲ შენი,
უჴრწნელო ღმრთისმშობელო,
რამეთუ, რომელი წიაღთა მამისათა·
  არა[6] დააკლდა,
საშოსა შენსა უთესლოდ
  გარდამოჴდა
მოძიებად წარწყმედულისათჳს.
პირველ-შექმნულისა ადამისა
საიდუმლოსა[7]
საკჳრველსა[8] ვხედავთ
და შობასა შენსა ვადიდებთ,
ყოლად წმიდაო
ქალწულო, აცხოვნენ სულნი
  ჩუენნი[9].

Ადიდებს სული ჩემი უფალსა — 255 (16)*
ჴმა-ჰყავ, დედაო ღმრთისა
  მაღლისაო,
რაჟამს საიდუმლოჲ[10] დაფარული
მოგართუა მაღლით მთავარმან
  უჴორცოთამან

---

[1] იგი (სხვა ხელით). [2] და+ეგო (სტრიქონს. ზემოთ სხვა ხელით). [3] დაჴშოლადვე. [4] განკურდეს. [5] დაუკურდა. [6] არაჲ. [7] საჲდომლოსა. [8] საკურველსა. [9] ეს სტრიქონი სხვა ხელითაა ჩამატებული. [10] საჲდუმლოჲ.

* სხვა ხელით.



50 г

* და გეტყოდა:
გიხაროდენ,
ადამის ჴსნისა მიზეზო,
ევაჲს წყევისა დამჴსნელო,
შენგანი გიყო თანა
ტაძარად სამეუფოდ
მეუფემან მეუფეთამან,
შენგან იშვეს
მთავარი მთავრობათაჲ,
ამას ყოველნი გალობით
ვადიდებთ.

256 (17) **ა**ჰა ესერა
ამიერითგან
გნატრიან ზეცისანი
და გიგალობენ ქუეყანისანი,
შენ გქადაგებენ მთავრობანი,
შეგამკობენ ჴელმწიფებანი,
შენ გქადაგებდეს
წინაჲსწარმეტყუელნი,
გამოგსახვიდეს მამამთავარნი,
წმიდათა უწმიდესო,
სამყაროთა უმაღლესო,
ბუნებათა უაღრესო,
რომელმან
ჰშევ ღმერთი შემოსილი
კაცებითა,
ამას ყოველნი
გალობით ვადიდებდეთ.

257 (18) **ყ**ო სიმტკიცითა
მკლავისა თჳსისაჲთა
მშჳდობაჲ[1] შორის ცათა და
ქუეყანისა,
რამეთუ შეაერთა ორივე[2] ერთად
და შუაკედელი ზღუდისაჲ მის,
დაჰჴსნა
მტერობაჲ პირველი
და ახარა მშჳდობაჲ[3]
შორიელთა[4] და მახლობელთა
ძემან შენმან, ღმრთისა დედაო,
რამეთუ შენგან მიიღო
კაცებაჲ
უცოდველი ყოველთა ღმერთმან,
ამას ყოველნი
გალობით ვადიდებთ.

---

[1] მშოდობაჲ. [2] ურივე. [3] მშუდობაჲ. [4] შურიელთა.
* 9 სტრიქონი სხვა ხელით.



50 v

258 (19) შეიწყნარა ისრაელი, მონაჲ
თჳსი,
მრავალ-მოწყალემან
და სახიერებით
მოავლინა ძე თჳსი მხოლოდ-
შობილი
მამამან მოწყალემან
მოძიებად ცხოვართა მათ
წარწყმედულთა[1] სახლისა
ისრაელისათა,
მწყემსი კეთილი,
რომელსა წიაღითა მოჰყვანან
კრავნი შეცთომილნი,
ამას ყოველნი [გალობით
ვადიდებთ].

259 (20) კურთხეულ არს უფალი[2] ღმერთი
ისრაელისაჲ,
რომელმან ბერწისაგან და
უტყჳსა[3]
ძირთაგან უნაყოფოთა
აღმოაცენა ნაყოფი კეთილი,
მთიები მზისა წინამსრბოლი[4],
ცისკარ[ი] ნათლისაჲ,
ჳმაჲ სიტყჳსაჲ, სანთელი
ნათლისაჲ,
წყარო მადლისაჲ,
ქადაგი სინანულისაჲ
და წინა-
მორბედი ზეცისა მეუფისაჲ,
ამას [ყოველნი გალობით
ვადიდებთ].

ვითარცა იტყოდა[5] 260 (21)*
პირითა წინაჲსწარმეტყუელთა
თჳსთაჲთა:
გამოჩნდა უხილავი სიტყუაჲ,
იშვა დედისაგან უმამოდ
პირველ ჟამთა[6] შობილი,
ძე მამისაგან
უდედოდ
და ღმერთ ყო ბუნებაჲ ჩუენი
მოკუდავი
ღმერთმან უკუდავებისა
მფლობელმან
და
ჰამასა
წარუდგინა[7] ცხოველი,
ამას ყოველნი გალობით
ვადიდებდეთ[8].

---

[1] წარწყმელულთა. [2] ო̃ჲ. [3] უტყუსა. [4] მზისაჲ წინა-მსბრბოლი. [5] იტყუდა. [6] ყმთა. [7] წაროდგინა. [8] ვ̃დბდ̃ბთ.

* ამ გალობის 2 ძლისპირი იხ. გამორჩენილ ძლისპირებში. გვ. 184 v.



51 r

ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი

უგალობდითსა ჴმაჲ დ

261 (1) Eu 142 α′ Ⴈხილვა
ჴმელად სიღრმე ღელვათაჲ
აღმადუღებელი[1]
და განშიშულებულ იქმნა ძირი
ზღჳსაჲ[2] მის სასტიკად
მღელვარისაჲ
შერისხვითა
უხილავად წამისმყოფელისაჲთა,
და ერი რჩეული განვიდა
ჴმელად,
მგალობელად
შენდა ძლევისა გალობასა,
უფალო.

Ⴎირველად
გამოგიჩნდა შენ მთავარი იგი
ანგელოზთაჲ,
მარიამ, ყოლად უბიწო[ო],
და ბრწყინვალეედ გიღაღადებდა
შენ:
გიხაროდენ,
სძალო, რამეთუ მოვიდა შენ
ზედა
სიტყუაჲ დაუსაბამოჲსა
მამისა,
ამისთჳს
ჩუენ, მორწმუნენი, გიგალობთ,
ღმრთისმშობელო.

Ⴃაანთქენ, ვნებანი 262 (2) Eu 135 α′
სულისა ჩემისანი

---

[1] აღმადოღებელი. [2] ზღუსაჲ.



51 v

სიღრმესა ვნებათა ძლევისასა,
   უფალო,
ქალწულისაგან შობილო,
ვითარ დაანთქ ძლიერებაჲ
აღჭურვილთა[1] სპარაზენთაჲ,
და გიგალობდეს შენ ძლევისა
   ებნითა.

ქალაქო ღმრთისაო
ყოველთა მჴსნელისაო,
ღმრთისმშობელო, საუნჯეო
   მეუფისაო,
დაგჳცვენ[2] სამწყსონი შენნი,
რომელნი გიგალობთ, ღირსო,
და სარწმუნოებით ვაქებთ
უხრწნელსა შობასა შენსა,
   წმიდაო.

263 (3) Eu 133 α′ ზღჳსა მის მეწამულისა
ღელვათა ვიდოდა პირველად
ოდესმე ერი ისრაელისაჲ,
და ჴელთა განპყრობითა
მოსე ჯუარის სახედ ძალი იგი
ამალეკისაჲ
უდაბნოს დასცა.

მიდგომილ იქმენ უთესლოდ
ნებითა მამისაჲთა, სძალო,
სულისაგან წმიდისა, ქალწულო,
იშვა უდედოდ მამისაგან
და აწ ქუეყანასა ზედა
შენგან უმამოდ გამოჩნდა
   ღმერთი.

264 (4) Eu 141 α′ ზღუაჲ უვალი, რომელი
მყარ ქუეყანა იქმნა პირველად
ბრძანებითა შენითა,
გამოუთქუმელო ღმერთო,
   შეიწყნარა მან
ერი ისრაელისაჲ, და რომელთა
   შეგიმზადეს ძლევისა გალობაჲ.

---

[1] აღჰორვილთა. [2] დაგუცვენ.



52 r

სასაკუმევლე ოქროჲსაჲ
და ტაკუკი მანანაჲსა მის
და კუერთხი აჰრონისი
მოასწავეებდა შენთჳს და
კიდობანი
სიტყუათა მათ სამღრთოთაჲ,
სახე გექმნებოდა შენ, დედაო
ღმრთისაო.

265 (5) Eu 144 α′ **მ**წყობრი ისრაელთაჲ რაჲ განვიდა
ფერჴითა დაულტოლველითა
ზღუასა
მეწამულსა,
იხილნა აღჭურვილნი
მტერნი მათნი ეტლებითურთ
სიღრმესა დანთქმულნი,
სიხარულით ღაღატ-ყო და თქუა:
უგალობდეთ ღმერთსა ჩუენსა,
რომელიცა დიდებულ არს.

კუერთხი აჰრონისი რაჲ
განედლდა,
მოგასწავებდა შენ უხრწნელსა მას
ნერგსა საღმრთოსა,
რომელი აღმოსცენდი
იესესგან, უბიწოო, და
აღმოგჳცენე
ყუავილად ღმერთი ჴორც-
შესხმული,
მისა[1] მიმართ მეოხ გუეყავ,
რომელიცა დიდებულ არს.

ფარავოჲს ეტლები და ძლიერებაჲ
მისი 266 (6) Eu 147 α′
დაანთქა ზღუასა შინა
ძლიერმან
ბრძოლასა ღმერთმან,
მას უგალობდეთ გალობითა,
რამეთუ დიდებულ არს
უკუნისამდე.

---

[1] მისა.



52 v

Ⴈხილა რაჲ მოსე მთასა ზედა
სინასა
მაყუალი შეუწუველად,
მოასწავა სახე შენი,
ღმრთისა დედაო, რაჟამს ცეცხლი
ღმრთეებისაჲ იტჳრთე საშოსა
შენსა.

267 (7) Eu 136 α′ **Ⴀ**რარაჲ არს სახედ შენდა,
ღმერთო დიდებისაო,
რამეთუ მარჯუენითა
მაღლითა განარინე
ერი ზღუასა, კაცთ-მოყუარე.

Ⴓზეშთაეს დიდებისა,
ეტლსა სიწმიდისასა,
დედასა ნათლისასა,
ღმრთისმშობელსა მარიამს
ჩუენ, ყოველნი, უგალობდეთ.

268 (8) Eu 146 α′ **Ⴂ**იგალობთ შენ, უფალო ღმერთო
ჩუენო,
რამეთუ წარუძღუ ერსა შენსა
ზღუასა მას შინა
და დაანთქ სიღრმესა
ეტლები ფარავოჲსი და ძალი
მისი.

Ⴅედრებად ნუ დასცხრები,
ღმრთისმშობელო,
მისა[1], რომელი შენგან
გამოგჳბრწყინდა ჩუენ,
რაჲთა მიჴსნნეს მორწმუნენი
განსაცდელთაგან, ვითარცა
კაცთ-მოყუარე არს.

Ⴓგალობდეთ უფალსა 269 (9) Eu 137 α′
გალობითა ახლითა,
რამეთუ დიდებულ არს.

Ⴋარიამს, ღმრთისმშობელსა,
ჩუენ, ყოველნი მორწმუნენი,

---

[1] მისსა.



53 г

ღირსად გალობით უგალობდეთ.

270 (10) Eu 145 α′ **რ**ომელმან გამომიჴსნნა ჩუენ
ბჭეთაგან სიკუდილისათა,
უგალობდეთ ქრისტესა,
რამეთუ დიდებულ არს
უკუნისამდე[1].

რომელმან უთესლოდ გჳშევ
ქრისტე[2] მჴსნელი, უბიწოვო,
ანგელოზთა თანა
გიგალობთ შენ დაუდუმებელად.

271 (11) Eu 140 α′ **ს**აღმრთომან ნისლმან დაფარა
ენამძიმე
და აღიტყუა იგი შჯულსა
ღმრთივწერილსა, რამეთუ
განაგდო ნივთი უგულისჴმოჲ
გონებისა თუალთაჲ
და მოიღო მან სულიერი გალობაჲ
პატივად ღმრთისა მიერ.

სძალო წმიდაო, დედაო
იესუჲსო[3],
რომელმან გჳშევ ჴორციელად
მეუფე[4],
რამეთუ
შენ მხოლოჲ ყოველთა კაცთაგან
გამოგარჩია ღმერთმან
და მუცლად-იღე სიტყუაჲ მამისაჲ
და გჳშევ მაცხოვარი.

ამაღლდეს ბრძანებითა 272 (12)
ღმრთისაჲთა
სიღრმენი ზღჳსა მეწამულისანი,
განიპნეს და აზღუდნეს

---

[1] უკუნისამდღⴑ. [2] ქ῀ⴑ. [3] ი῀ჳსჲსო. [4] მ῀ფⴑ.



53 v

და შეჰყინ|დეს შეუყინავნი იგი
ღელვანი,
განვლეს რაჲ ისრაელთა,
დამდაბლდეს და შეირწყუნეს
მდევართა მათთა ზედა
მეგჳპტელთა.

ელვარედ მგზებარე
მაყულოვანსა,
არა[1]-შემწუველი ცეცხლი
უსხეულოჲ
შეიწყნარა მარიამ
საშოსა წმიდასა, სიწმიდე იგი
წმიდათაჲ,
სიტყუაჲ ღმრთისაჲ — მჴსნელი
ჩუენი,
შვა, ვითარცა დედამან
და ჰგიეს ქალწულად წმიდად
უბიწოდ.

ზღუაჲ მღელვარე, უვალი, 273 (13)
ზღუაჲ მეწამული და ზღუაჲ
მკუდარი
მოსე კუერთხითა განაპო
და დაანთქა ფარავო
მდევარი და ღმერთსა უგალობდა.

სასოებაჲ მომწყდართა
განცხოველებისაჲ შენ მხოლოჲ
ხარ,
ღმრთისმშობელო დედაო[2],
რომელმან ჰშევ ცხორებაჲ
ყოველთაჲ,
მისა მიმართ[3] მეოხ გუეყავ ჩუენ.

ღელვაჲ მეწამულისაჲ 274 (14)
განვლო ისრაელმან
შეწევნითა მჴსნელისაჲთა,
რაჟამს იხილა მდევარი ფარავო,
მუცლად-ღებული უფსკრულთა,

---

[1] არაჲ. [2] სტრიქონს ზემო სხვა ხელით ჩამატებულია „უსძლო“ [3] „მისსა მიმართ“ სხვა ხელით.



54 r

მეტყუელებდა გა|ლობასა
შენდა ძლევისასა, უფალო.

ღმრთისა მოსლვისა საყდრად
და ცად სულიერად
გამოშჩნდი, უსძლოო სძალო,
რომელი წმიდა გყო სულმან
   წმიდამან
სადგურად სიტყჳსა ღმრთისა,
რამეთუ შენგან ჴორციელ
იქმნა უჴორცოთა მფლობელი
   ღმერთი.

275 (15) რომელიცა წარუძღუა
პირველად ისრაელსა,
რაჟამს ივლტოდა იგი
ფარავოჲს მონებისაგან
და იჴსნნა იგინი
სიღრმეთაგან უფსკრულთაჲსა
და ზრდიდა მათ უდაბნოსა ზედა,
უგალობდეთ მას გალობითა
ახლითა,
რამეთუ დიდებულ არს.

რომელი იშვა შენგან
პირველ ჟამთა შობილი,
უწინარეს ყოველთა,
ჴსნად ჩუენდა,
მადიდებელთა
შობასა მას შენსა,
ყოლად წმიდაო ქალწულო,
რომელსა ჩუენ, ყოველნი
მორწმუნენი,
უგალობთ მას[1]
გალობითა ახლითა.

მაღალმან 276 (16)
უხილავისა ძალისა წამისყოფითა
და შჯულისმდებელმან კუერთხისა
   ცემითა
აჩუენა
საკჳრველებაჲ სასწაულთაჲ
ზღუასა მას მეწამულსა,

---

[1] მას+ჩუენ დღეს (სხვა ხელით).



54 v

რამეთუ სიღრმემან
უფსკრულისამან
გზა-სცა წიაღ-მავალთა
და ღელვამან მისმან დაფარნა
  წინააღმდგომნი,
ოტებულთა ექმნა სასო ჴსნისა,
ხოლო მაოტებელთა მიზეზ
  წარწყმედისა,
რამეთუ ყოვლით კერძოვე მძლე
  არს ძალი საღმრთოჲ,
უგალობდეთ ერი ახალი
გალობასა ახალსა
ქლევისა ებნითა
საკჳრველთ-მოქმედსა ძლიერსა
  ღმერთსა.

მთაჲ ღმრთისაჲ,
უმაღლეს ცათა ამაღლებული,
წმიდათა უწმიდესი,
რომლისაგან
გამოეკუეთა ლოდი საკიდური,
ესე არს სასოჲ ჴსნისაჲ
და მიზეზი საუკუნეთა კეთილთაჲ,
დედაჲ ცათა მეუფისაჲ.
ესე არს ნაშობი მიწისაგანისაჲ
და მშობელი ანგელოზთა
  შემოქმედისაჲ,
ამას აღვიარებთ ჭეშმარიტად
  ღმრთისმშობელად
და მისგან შობილსა ღმერთსა
  უღაღადებთ
და უგალობთ ერი ახალი
გალობასა ახალ[სა
ძლევისა ებნითა
საკჳრველთ-მოქმედსა ძლიერსა
  ღმერთსა].



55 r

მოიხილესა

277 (1) Ⴈსმენდინ ქუეყანაჲ
სიტყუათა პირისა ჩემისათა,
იტყოდა მოსე
წინაჲსწარმეტყუელი,
რაჟამს შევიდა იგი შეუვალსა მას
და ესმა მას უსმენელი
უხილავისაგან,
ხოლო პირი მისი
ხილვითა ღმრთისაჲთა
ნათლითა მზეებრ[1] გაბრწყინდა.

Ⴑაღმრთოსა ვენაჴსა,
მტჳრთველსა ცხორებისა
ტევანსა,
დედასა ანგელოზთა
შემოქმედისასა,
რომლისა საშოჲთ მიეფინა
ნათელი
ჵსხდომარეთა ბნელსა შინა,
სასო-წარკუეთილთა,
ერთობით ყოველნი
ყოლად შევამკობდეთ
ჩუენ ყოველთა სამკაულსა.

Ⴋომეც ჩუენ, უფალო, მადლი 278 (2)
შენი,
რაჲთა ვაოტნეთ მტერნი იგი
ჩუენნი
ჴილულნი და უხილავნი,
უცხო-ქმნულნი ნებისაგან შენისა,
ხოლო ჩუენ, ერი შენი, ვიხარებთ
ერთა თანა ზეცისათა
და ვადიდებთ, სახიერო,
სახელსა შენსა უკუნისამდე[2].

Ⴤორცთა შინა შენთა უბიწოთა,

---

[1] მზႡებრ. [2] უკ̃Ⴓ.



55 v

ვითარცა|კაპარჭთა შინა, დაიდვა*
ბუნებითი იგი ისარი
საიდუმლოდ ძალთაგან ზეცისათა
და შენგან იშვა, რომელმან ზეშთა
გყო
ყოველთა ბუნებათა, ღირსო,
და შენ გნატრიან ყოველნი
ენანი ადამიანთანი.

279 (3) **ე**ჩუენა ღმერთი მოსეს
მთასა ზედა სინასა
და ესრეთ ეტყოდა:
მე ვარ, რომელი-იგი ვა҃რ,
რომელმან ზღუასა განგარინე
და უდაბნოს ერი გამოვზარდე.

ეჩუენა[1] უბიწოსა
მთავარი ანგელოზთაჲ
და ესრეთ ეტყოდა:
გიხაროდენ შენ, წმიდაო
უსძლოო სძალო მაღლისაო,
რამეთუ შენგან იშვეს ძჱ
ღმრთისაჲ.

გალობაჲ სულიერი აღვიღოთ,
ერნო, 280 (4)
მსგავსად მოსესა[2] და ჴმა-ვყოთ:
იხარებდით წარმართნი
ერისა მისისა თანა,
რამეთუ მოვალს ძიებად
წარწყმედულთათჳს ღმერთი,
დაჴსნად კბილთაგან
მძჳნვარეთაჲსა.

უფალო, საიდუმლოჲ
გამოუთქუმელი
განკაცებისა შენისაჲ
წინაჲთვე აუწყე მოსეს
მთასა სინასა უხრწნელად

---

[1] ეჩუენე [2] მოსესსა.
[*] აქედან ამ ღმრთისმშობლისას უზის მხოლოდ შავი წერტილები.



56 r

შო|ბაჲ შენი ქალწულისაგან,
ცეცხლსა და მაყუალსა შინა
გამოსახული ჴსნად მორწმუნეთა.

281 (5) **მ**აყუღლოვნით გამო
ცეცხლისაჲთ მთასა სინასა
ზრახვიდა ღმერთი მოსეს,
  მსახურსა თჳსსა,
და ასწავებდა
სიტყუათა მათ საღმრთოთა,
რომელნი წერილ იყვნეს
  ფიცართა მათ შინა
შჯულისათა,
მის მიერ გამოსახულთა.

ტაკუკი იგი
მტჳრთველი მანანაჲსაჲ
და კიდობანი შჯულისაჲ სახე
  გექმნეს,
ღმრთისა დედაო,
რამეთუ შეიწყნარე
საშოსა ცუარი ცხორებისაჲ
და გჳშევ ჩუენ
მჴსნელი ყოვლისა სოფლისაჲ.

მაღლით გარდამო- 282 (6)
იხილნეს
სიტყუანი საღმრთონი შენ მიერ,
ქრისტე[1],
რომელი მოხუედ
მოქცევად შეცთომილთა
ეკლესიასა შინა,
შენ მხოლოსა გიღაღადებთ
და შენდა დიდებასა შევსწირავთ.

მთავარი უჴორცოთაჲ გაბრიელ
მოვიდა შენდა, უსძლოო,
და გეტყოდა: გიხაროდენ,
მიმადლებულო, ხოლო შენ,
  უბიწოო,

---

[1] ქ~ჱ.



56 v

მუც ¦ ლად-იღჱ სიტყუაჲ
ღმრთისაჲ
და გჳშევ მჴსნელი დაბადებულთაჲ.

283 (7) **Ⴈ**ხილეთ, იხილეთ,
Eu 148 β′ რამეთუ მე ვარ ღმერთი,
ἄλλος რომელმან მოვაკუდინი და
ვაცხოვნი,
რომელმან აღმოუცენე
წყალი კლდისაგან მყარისა,
ხოლო ახლისა ერისათჳს
დავსთხიენ უბიწონი სისხლნი,
რაჲთა ვაცხოვნნე იგინი.

Ⴂიხაროდენ, სძალო,
მორწმუნეთა სიმტკიცეეო,
გიხაროდენ, კარავო მაღლისაო,
გიხაროდენ შენ, ეტლო,
რომელსა მეუფე[1] შენი, ვითარცა
ქერობინთა ზედა,
მჯდომარე არს,
რომელმან შენგან შეიმოსნა
ჴორცნი, წმიდაო.

Ⴋივსცეთ დიდებაჲ ღმერთსა 284 (8)
ჩუენსა, Eu
მაცხოვარსა და მჴსნელსა 133 β′
მორწმუნეთასა,
რომელი იშვა ქალწულისაგან
ცხორებად ნათესავისა კაცთაჲსა.

Ⴂიხაროდენ, ქალწულო,
მორწმუნეთა ზღუდეო და
სიმტკიცეო,
რომელმან ვჳშევ
მაცხოვარი ჩუენ ყოველთაჲ,
წმიდაო.

Ⴘჯულისმდებელმან ისრაელისამან 285 (9)

---

[1] მ̃ფჱ.



57 r

მოსე, მსახურმან უფლისამან
მაყულოვანსა მას შინა
იხილა ხილვაჲ უზეშთაესი
ბუნებათაჲ,
სახე ქალწულებისაჲ
განბრწყინდა პირითა
და განჰკრთა გულითა
და შეძრწუნებულმან[1] ჴმა-ყო:
წმიდა არს და მართალ სახელი
შენი,
უფალო
სასწაულთა მოქმედო.

შემსხმელნი შენნი,
ღმრთისმშობელო,
განსცხრებიან დღეს სიხარულით
და ღირსად შეგამკობენ
წინაჲსწარმეტყუელნი
მამადმთავართა თანა,
რამეთუ შეიერთნეს
პირველადვე თქუმულნი
მათნი ჭეშმარიტად
და აღესრულნეს უქცეველად,
რაჟამს შენგან იშვა ყოველთა
მჴსნელი,
მისა[2] მიმართ მეოხ გუეყავ ჩუენ.

ეტყოდა ღმერთი მოსეს 286 (10)
გამოყვანებად ძეთა ისრაელთა
მონებისა მისგან მწარისა
მეგჳპტელთაჲსა,
რაჟამს-იგი ეჩუენა მას
უცხო სახითა სახილავითა
საშინელსა მას შინა
საიდუ | მლოსა.

---

[1] შეძრწონებულმან. [2] მისსა.



57 v

და მოსცნა მას
სასწაულნი საღმრთონი
ქუეყანასა ეგჳპტისასა
და საკჳრველებანი
მისნი ზღუასა მას მეწამულსა.

ეტყოდა უბიწოსა
გაბრიელ, მთავარი ზეცისა
უჴორცოთაჲ,
რაჟამს-იგი მოივლინა მაღლით
ხარებად მისა[1].
სული წმიდაჲ მოვიდეს შენდა
და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს
შენ,
რამეთუ სიტყუაჲ, პირველ ჟამთა
შობილი
მამისაგან,
შენგან იშვეს ჴორცითა
და უხილავი იგი ყოველთაჲ
შენ მიერ, უბიწოო,
სახილველ იქმნეს სოფელსა შინა.

შჯული საღმრთოჲ მოიღო მოსე, 287
განწესებული ღმრთისა მიერ, (11)
რაჟამს აღვიდა მთასა სინასა,
ღირს იქმნა დაფარულთა მათ
საიდუმლოთა გულისჴმის-ყოფად
და შჯულისა მომცემელსა
ღმერთსა მაღალსა უღაღადებდა,
რამეთუ მართალ
და წმიდა არს სახელი მისი.

შჯულსა შინა პირველსა
ღირსად
მოგასწავებდეს, ღმრთისმშობელო,

---

[1] მისსა.



58 г

ღმერთ-შემო | სილთა
განწყობილნი
ქადაგებითა საღმრთოჲთა,
ხოლო ახალსა შინა გიცანთ
ჭეშმარიტად ღმრთისმშობელად
და ქალწულადვე დადგრომილად
და სრულ-მყოფელად
ქადაგებისა მის მათისა.

288 (12) **Დ**იდმან მან
წინაჲსწარმეტყუელმან
მოსე, მსახურმან უფლისამან,
იხილა ღმერთი უხილავი
და მოიღო შჯული
ერისა მისთჳს ურჩისა
და ნათლითა მით საღმრთოჲთა
განბრწყინდა პირი მისი
და საშინელად ზარ-სცემდა
ხილვაჲ მისი.

Ამიერითგან გნატრიან შენ
ყოველნი ნათესავნი ღირსად,
ვითარცა თჳთ იტყოდე, ქალწულო,
რამეთუ ღმერთი ჰშევ
და ქალწულადვე დაადგერ
და შენ იქმენ შუვამდგომელ
შორის ღმრთისა და კაცთა,
და აწ გვევედრებით: მეოხ გუეყავ
ჩუენ.

Შეძრწუნდა მოსე, რაჟამს იხილა 289 (13)
უხილავი ანგელოზთა მეუფე[1],
განბრწყინვებულმან
ნათლისა მისგან

---

[1] მ˝ფჱ.



58 v

თუალთ- | შეუდგამისა და შიშით
  ღალატ-ყო,
რამეთუ მართალ
და წმიდა არს სახელი შენი.

გიხაროდენ შენ, ღმრთისა
  დედავო,
უბიწოო სძალო მარიამ,
რამეთუ შენგან
განჴორციელდა ყოველთა
  დამბადებელი მეუფე[1],
ევედრე მას ჩუენთჳს,
რაჲთა აცხოვნნეს სულნი ჩუენნი.

290 (14) **კ**არავსა მას საწამებელსა,
მოსეს მიერ გამოსახულსა,
ძენი ისრაელისანი
ჰმსახურებდეს პირველ
საღმრთოჲთა მით განგებითა.

კარავსა მას სამეუფოსა —
სულისა წმიდისა სადგურსა,
შვილნი სიონისანი
შევამკობდეთ ღირსად
საღმრთოჲთა მით ქებითა.

ოთხთაგან აგებულებათა 291 (15)
ნივთიერთა მათ ბუნებათა
შემზადებულისაგან ბუნებისა
მიიღო ბუნებაჲ ჴორციელი
უჴორცოთა მფლობელმან
  ღმერთმან
და შეაერთა შეზავებითა
შეურწყმელად აუგებელსა

---

[1] მ~ფჱ.



59 r

უნივთო | სა ბუნებასა
ღმრთეებისასა
და მით იშვა, ვითარცა კაცი
სრული ჴორცითა,
უჴორცოთა
მფლობელი სიტყუაჲ,
და არა[1] იცვალა
არსებისაგან
ღმრთეებისა თჳსისა,
რომლისაჲ მართალ
და წმიდა არს სახელი მისი.

Ⴍრთა მათ შორის ბუნებათა
განუყოფელად და შეურწყმელად
შუვამდგომელად
გამოჩნდი, მაცხოვარ,
რაჟამს შეაერთე მოწყალებით
კაცებაჲ ღმრთეებასა, ღმრთისა
სიბრძნეო,
ბრძმედსა მას შინა სიწმიდისასა,
საშოსა ქალწულისასა
შეჰზავე ცეცხლი ღმრთეებისაჲ
უსხეულოჲ
შანთსა მას სხეულოვანსა
მიწისაგანსა,
და შეუწუველად დაიცევ
უბიწოჲ მუცელი
მშობელისა შენისაჲ, ვითარცა
პირველ
მაყუალი სინას,
და გამოშჩნდი
მჴსნელად სოფლისა*.

---

[1] არაჲ.

* ბოლო სტრიქონად მიდის მინაწერი ტექსტის ხელით: „ქ~ე შ~ე იორდანე: და ივანე ა~ნ".



59 v

292 **ა**ღვიდეთ სათნოებათა სიმაღლესა,
(16) ვითარცა მოსე მთასა სინასა,
შევიდეთ ნისლსა მას ღმრთის-
მეცნიერებისასა,
ჳიხილოთ
ხილვაჲ განსაკრთომელი
და ოხრაჲ შესაძრწუნვებელი,
ღირს ვიქმნეთ სმენად
ჴმასა წმიდასა ღმრთისა
უკუდავისასა,
და მიერ ვისწაოთ შჯული ახალი,
სინას გამოსახული
და სიონს დამტკიცებული;
და მომცემელსა შჯულისასა,
ღმერთსა მაღალსა უღაღადებთ:
წმიდა არს და მართალ სახელი
შენი,
წმიდა-მყოფელო სულთა
ჩუენთაო.

ჳნებაჲ დედობრივისა ბუნებისაჲ
არა გეუფლა, ღმრთისა დედაო,
არცა ბეჭედი ქალწულებისა
შენისაჲ
განიხრწნა
ჟამსა შობისა შენისასა,
რამეთუ შეცვალნა ბუნებანი
დამბადებელმან
ბუნებათამან, ძემან შენმან
მაღალმან.
შენგან იშვა ღმერთი, ღმრთისაგან
შობილი,
და უქცეველად ეგო
არსებით დაუსაბამოჲ



60 r

ღმერთი
ღმრთეებისა ბუნებითა,
ამისთჳს ყოველი მეტყუელებაჲ
სულიერითა შესხმითა შეგამკობენ
და ღმრთისმშობლად აღგიარებენ.

293 (17) * წინაჲსწარმეტყუელმან დიდმან
მოსე
შჯულისმდებელმან იხილა რაჲ
უფალი მთასა სინასა,
დაუდნებოდეს მას მთანი,
ვითარცა მყინვარნი,
რომლითა მოსცა მას შჯული[1],
რომლისაჲ წმიდა არს სახელი
მისი.

განძლიერდასა

294 (1) Eu 142 γ' კლდე იგი ფიცხელი
ბრძანებით განაპო და წოვდეს
ისრაელნი მისგან წყალსა და
იხარებდეს,
ხოლო კლდე იგი იყო
სახედ შენდა, ქრისტე,
რომელსა დააფუძნე
ეკლესიაჲ და ღაღადებს, რამეთუ
არავინ[2] არს წმიდაჲ შენებრ,
კაცთ-მოყუარე.

გიხაროდენ, უქორწინებელო
სძალო დედაო,
უბიწოო, რომელმან ჰშევ ღმერთი
ჴორციელად
და აწ კადნიერებაჲ
გაქუს შენ მისა მიმართ,
ნუ დასცხრები მარადის
მეოხებად ჩუენ ყოველთა,
რომელნი შენდა მოვივლტით,
ყოვლად წმიდაო.

არა[3] სიბრძნითა, არცა ძალითა, 295 (2) Eu 136 γ'
არცა სიმდიდრითა
თავით თჳსით | ვიქადით,

---

[1] ჯული. [2] არაჲვინ. [3] არაჲ
* მხოლოდ ძლისპირია.



60 v

არამედ შენგან, ღმრთისა
სიბრძნეო,
რ[ა]მეთუ არავინ[1] არს წმიდაჲ
შენებრ, კაცთ-მოყუარე.

უსძლოო სძალო,
რომელმან შევ ღმერთი,
ჴორციელ-ქმნული,
ჳედრებითა მით შენითა
მოწევნადთა მათ
განსაცდელთაგან
და ვნებათა მიჴსენ ჩუენ,
რომელნი გესავთ შენ.

296 (3) Eu 133 γ′ **ი**ხარებს ეკლესიაჲ
შენდამი, ქრისტე, და ესრეთ
ღაღადებს:
სასოჲ ჩემი ხარ შენ,
განმაძლიერე, დამბადებელო.

შენ მხოლოჲ ხარ მიზეზი
ყოვლისა· კეთილისაჲ,
ღმრთისმშობელო,
რომელმან ბუნებათა
უაღრეს გჳშევ მზრდელი
ყოველთაჲ.

297 (4) Eu 141 γ′ **ბ**უნებით ღმობიერ
ექმენ, მჴსნელო,
ბუნებასა ჩემსა უძლურსა,
რომელიცა შეიმოსე,
ღმრთეებით განაძლიერე
და ღაღადებს: არა[ვინ][2] არს
წმიდაჲ შენებრ, კაცთ-მოყუარე.

გამოშჩნდი ღელედ
დაუთესველად,
განმამრავლებელად იფქლისა
და შენ მიერ მოვისთულეთ ჩუენ
თავწარსხმული ცხორებისაჲ,
და რომელნი ვეზიარებით[3],
მივიღებთ მისგან უკუდავებასა.

---

[1] არაჲვინ. [2] არაჲ [3] ვზრ̃ბთ.



61 г

298 (5) Eu 138 γ' **რ**ამეთუ ბერწმან შვა
განწყობილი მორწმუნეთაჲ[1]
და კრებული შვილ-მრავალთაჲ
მოუძლურდა,
ამისთჳსცა უგალობთ
საკჳრველთ-მოქმედსა ღმერთსა
ჩუენსა და ვიტყჳთ:
წმიდა ხარ შენ, უფალო.

რამეთუ იტჳრთე შენ
ღმერთი მკლავთა ზედა,
ქალწულო უბიწოო,
და ძუძუთა აწოებდი,
რომელი ჰზრდის კორციელთა,
აღგიარებთ ღმრთისმშობელა[დ]
და სასოდ მორწმუნეთა.

299 (6) Eu 137 γ' **შ**ენ, ქრისტე ღმერთო,
განმაძლიერებელო მოსავთა
შენთაო,
კლდესა ზედა
სარწმუნოებისასა
დამამტკიცენ ჩუენ, მოსავნი შენნი.

იხარებენ დღეს
ცანი და მხიარულ არს ყოველი
ქუეყანაჲ,
უგალობენ
მშობელსა უთესლოდ,
დიდებაჲ ძესა შენსა, ქალწულო.

მშჳლდი 300 (7) Eu 144 γ'
ძლიერთაჲ მოუძლურდა,
და უძლურნი შეიმოსნეს ძალითა
ჭალლისაჲთა,
ამისთჳსცა განძლიერდა დღეს
უფლისა მიმართ გული ჩემი.

---

[1] მორწ̃მონეთაჲ.



61 v

მიხაროდენ შენ, უბიწოო,
რომელმანცა დაიტიე სიტყუაჲ
ღმრთისაჲ საშოსა,
და გჳშევ ჩუენ ღმერთი და კაცი
ჴორცითა განუყოფელად.

301 (8) Eu 143 γʹ დამამტკიცებელი მორწმუნეთაჲ
და სიქადული მათი,
და სიხარული საუკუნოჲ შენ ხარ,
ქრისტე,
დამამტკიცენ ჩუენ
მართლმადიდებლობასა.

ჵსძლოო ქალწულო მარიამ,
შენგან შობილსა ღმერთსა
ჩუენ, მორწმუნენი, სარწმუნოებით
უგალობთ
და შენ მიგავლენთ,
შუამდგომელ მექმენ ჩუენ.

302 (9) Eu 146 γʹ შფლისა მიერ ღმრთისა
ძალთაჲსა[1] განძლიერდა გული
ჩემი,
რაჟამს უძლურებამან
შეიმოსა ძალი ძლიერი.

მითარცა ღმრთისმშობელ ხარ,
ჩუენთჳს ევედრე დაუცხრომელად
შენგან შობილსა ღმერთსა,
რაჲთა მიჴსნეს ჩუენ ვნებათაგან[2].

303 (10) Eu 140 γʹ ლოცვამან ანა
წინაჲსწარმეტყუელისამან,
რაჟამს-იგი დამდაბლნა წინაშე
ღმრთისა,
განჰჴსნა საკრველი
პერწისა მის მუცლისაჲ,
და მოსპო ყუედრებაჲ სულისა
თჳსისაჲ
მუცლად-ღებითა
კაცისა მის ღმრთისაჲთა.

---

[1] ძალათაჲსა +განძლ. [2] ვნებაჲან.



62 r

მოვედით, ერნო,
ნათლითა შემოსილნი
და ვადიდებდეთ ღმრთისმშობელსა
მარიამს,
რომელმან დაი-
ტია დაუტევნელი
და გუშვა უბიწოდ სიტყუაჲ
მამისაჲ,
ღმერთი და კაცი
ორითა ბუნებითა.

304 (11)* ქენებით ლმობიერნი
ლოცვანი მართლისა ანაჲსნი
აღიწინეს წინაშე ღმრთისა,
და მოსპო ღმერთმან ყუედრებაჲ
მისი
და მოჰმადლა მას შობად
სამოელ — საღმრთოჲ
წინაჲსწარმეტყუელი.

ა განიჴსნეს ბერწობისა
საკრველნი მართლისა ანაჲსნი
შობითა სამოველ მართლისა,
უბიწოჲსა კაცისა ღმრთისაჲთა.
შობითა შენითა,
ღმრთისა დედაო, დაჰჴსენ წყევაჲ
ევაჲსი.

ტაძარი ბ
სულიერი, სადგური სულისა
წმიდისაჲ
შემოქმედისა ღმრთისა სიტყუასა[1],
ვითარცა ჩჳლსა, ზრდის
ძუძუჲთა[2]
და აწ, ვითარცა დედაჲ
უბიწოჲ, მოღუაწე არს ჩუენდა.

შფალო[3], რომელმან მიჩუენე ჩუენ 305 (12)
კარავი წმიდაჲ, რომელ არს
მშობელი შენი,
ოხითა[4] მის თანა განმაძლიერენ
აწცა მოსავნი შენნი.

---

[1] ს~ტყსა. [2] ძოძოჲთა. [3] ოფალო. [4] უხითა.
* ძლისპირს ახლავს ორი ღმრთისმშობლისა.



62 v

ქალწულო,
წმიდაო დედოფალო,
ქერაბინთა უმაღლესო[1],
ჩუენ, მორწმუნენი,
აღვასრულებთ დღესასწაულსა
  შენსა,
მეოხ გუეყავ ჩუენ.

306 (13) **ს**ახე ეკლესიისაჲ,
სიბრძნით გამოსახული,
წინაჲსწარ მოასწა-
ვა
ბერწმან, უსძლომან,
რამეთუ აღორძნდა იგი უფროჲს
  შვილ-მრავალთა
და ღაღადებს სიხარულით:
არავინ[2] არს წმიდაჲ შენებრ,
  კაცთ-მოყუარე.

მოუძლურდების სიტყუაჲ,
შემსგავსებული ქებად
ღირსებისა შენისა,
რამეთუ აღემატა
დღეს მეცნიერებასა ამაოსა
  შობაჲ
შენი
და ვღაღადებთ სიხარულით:
[არავინ არს წმიდაჲ შენებრ,
  კაცთ-მოყუარე].

რომელსა გიგალობს 307 (14)
ბევრეული დასი ანგელოზთაჲ[3],
და თაყუანის-გცემენ სერაბინნი,
იხარებს და ბრწყინავს ეკლესიაჲ
და ღაღადებს: წმიდა არს
სახელი შენი, წმიდაო, შეგჳწყალენ
  ჩუენ.

რომელსა გიგალობს
ყოველი ენაჲ მეტყუელი, ღირსო
სძალო მაღლისაო, მეოხ გუეყავ
  ჩუენ,
მორწმუნეთა,

---

[1] ომაღლესო. [2] არაჲვინ. [3] ანგელოლოზთაჲ.



63 r

შემსხ|მელთა შენთა,
წინაშე მაცხოვრისა,
რაჲთა მიჴსნეს[1] საბრჴეთაგან
მოშურნისათა.

308 წინაჲთვე
(15) * წინაჲსწარმეტყუელებდეს,
მოესწავებოდა
სახე ეკლესიისაჲ
ბერწისა ანაჲსგან განმრავლებად
შვილნი ნათლისღებისანი.

ღედაო ნათლისაო, გამოშჩნდი[1]
ელვარედ,
ბრწყინვალედ, მეოხ გუეყავ
მოსავთა შენთა,
რაჲთა ვადიდოთ განგებულებაჲ
საიდუმლოთა შენთაჲ.

რომელმან სახედ** ანაჲსა 309 (16)
განჰჴსენ ბერწობაჲ სიონისაჲ
და სამოველის წილ მიანიჭენ
შობად
შვილნი ახლისა აღთქუმისანი,
მკჳდრნი ზეცისა ჩინებისანი,
შენ, შემცვალებელო შჯულისაო
და მომცემელო მადლისაო,
უძლურთა ძალო,
დაცემულთა აღმადგინებელო,
შენდა მოვივლტით, ქრისტე,
განწირულთა სასო[ო],
დამამტკიცენ შეურყეველად
კლდესა ზედა სარწმუნოებისასა,
შენ, უცვალებელო,
იესუ[2], ყოლად ძლიე[რ]ო,
განმაძლიერენ მოსავნი შენნი.

---

[1] გამოშჴნდი. [2] ი͠ჳ͠.

* ძლისპირს და ღმრთისმშობლისას არ აქვს წითელი წერტილები. ძლისპირს არ ახლავს ნევმები. ** „რომელმან სახედ ა“ გადაფხეკილ ტექსტზეა დაწერილი.



63 v

* **ს**აკრველთაგან ბერწობისათა
და მწუხარებათაგან პირველთა
უშვილოებისათა განიჴსნა ანა
შობითა სამოველ მართლისაჲთა,
ხოლო უქორწინებელმან სძალმან
მარიამ
გჳშვა მთავარი, უმთავრესი
მთავრობათაჲ,
ქრისტე, ძე ღმრთისაჲ მხოლოდ-
შობილი,
რომელმან დაჰჴსნა
მწუხარებაჲ იგი[1] პირველი[2]
ევაჲსი,
და ნაშობთა მისთა მოჰფინა
შობითა თჳსითა
სიხარული მოუკლებელი,
ამისთჳსცა ღმრთისმშობელად
აღვიარებთ
მორწმუნენი:
განმაძლიერენ მოსავნი შენნი.

უფალო მესმასა[3]

რომელი მოსლვად არს მყის 310 (1)
უფალი ღმერთი ჩუენი, Eu
მოსლვად არა[4] ყოვნა 142 ბ'
მთით ჩრდილოჲთ მაღნართაჲთ.
ქალწულმან გჳშვა,
ვითარცა თქუეს პირველად
წინაჲსწარმეტყუელთა,
და ჩუენ მათ თანა ვღაღადებთ:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

ღმერთი საშოჲთ, ქალწულო
უბი | წოო,
გჳშევ ჩუენ,

---

[1] „იგი“ სხვა ხელით. [2] პ̃ლ. [3] მსამასა. [4] არაჲ.

* გვერდის ქვემო კიდეზე ძლისპირის დასაწყისია: „სიყუარული წყალობისა ძეთა კაცთასა... რძნე და ძალი მისი.“



64 r

ჭეშმარიტად ჴო[რ]ცითა
გამოუჩნდა კაცთა აღსასრულსა
ჟამთასა,
ვითარცა თქუეს პირველად
წინაჲსწარმეტყუელთა,
და ჩუენ მის თანა ვღაღადებთ:
დიდებაჲ ძესა შენსა, ქალწულო.

311 (2)* Eu 135 ბ′ **ი**ესუ, მჯდომარე დიდებით
საყდართა ღმრთეებისათა,
მოვიდა ღრუბლითა
ჰულმცირითა, რომელ არს
ქალწულ[ი]
გამოუცდელი, ჴსნად ჩუენდა,
მღაღადებელთა: დიდებაჲ ძალსა
შენსა, მჴსნელო
ჩუენ ყოველთაო.

ღმრთისმშობელმან სანატრელმან,
რომელიცა სათნო-იყო
სიტყუამან
ღმრთისამან,
სწორმან მამისამან ღმრთეებითა,.
ტაძრად სამკჳდრებელად,
ამან გჳშვა ჩ[უენ] მიუწდომელად
ევმანუელ,
ღმერთი და კაცი.

სიტყუამან ჴორცნი შეისხნა 312 (3)
ქალწულისაგან
და ბუნებაჲ განაღმრთო,
ერთი გუამი ორითა
ბუნებითა ვიხილეთ,
ღმერთად და კაცად ვიცნობთ მას..

საშინელ და დიდებულ არს
მიდგომილებაჲ შენი, ღმრთისა
დედაო, ქ|ალწულო უბიწოო,.

---

* ძლისპირს ახლავს მხოლოდ წითელი წერტილები. ღმრთისმშობლისას მხოლოდ მეოთხე სტრიქონზე უზის ორი წერტილი.



64 v

ამისთჳს ჩუენ, ყოველნი,
ღმრთისმშობლად აღგიარებთ.

313 (4) * Eu 141 ბ' **გ**ანზრახვაჲ საიდუმლოჲ, შობაჲ
შენი
ქალწულისაგან, დამბადებელო,
რაჟამს იხილა,
დაუკჳრდა ამბაკუმს[1], ქრისტე, და
შიშით ღაღადებდა:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

შენ, მარადის ქალწულსა,
ჭეშმარიტად ღმრთისმშობელსა,
გიგალობთ ყოველნი, [რომელსა-]
იგი მაყუალი
სახე გექმნა, რომელი

იხილა მოსე ზედა მთასა
სინასა, მოტყინარე ცეცხლითა.

შესმა საკჳრველებაჲ 314 (5)
შენი, ქრისტე, უფალო,
რაჟამს[2] ღმერთი დაუსაბამოჲ
ქუეყანასა ზედა გამოშჩნდი
და არა[3] იცვალე,
ამისთჳს ვღაღადებთ:
დიდებაჲ ძალსა შენსა.

ქალწულსა ღმრთისმშობელსა
მორწმუნენი უგალობთ,
ვითარცა არს დედაჲ ქრისტესი
და სარწმუნოებით ვღაღადებთ

---

[1] ამბაკომს, [2] რაჲჟამს. [3] არაჲ
* ძლისპირს და მის ღმრთისშობლისას აქვთ მხოლოდ წითელი წერტილები.



65 г

მისგან შობილისა
მი | მართ მაცხოვრისა:
მიჴსნენ ჩუენ ცოდვათაგან*.

315 (6) Eu 145 ბ′ მოსდრიკენ, ქრისტე, ცანი და
მოხუედ
და სიბრძნით გამოგჳჩნდი
კაცად ქუეყანასა ზედა,
ამისთჳს
სარწმუნოებით[1] ვიტყჳთ:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

Ⴚანი და ქუეყანაჲ განკჳრვებულ
იქმნეს,
რაჟამს იხილეს
ღმერთი, შენგან
გამობრწყინვებული, ქალწულო,
ამისთჳს ზარ-განჴდილნი**
აღგიარებთ დედად ნათლისა.

316 (7) Eu 133 ბ′ Ⴈხილა რაჲ ეკლესიამან
მზე სიმართლისა, ჯუარსა ზედა
ამაღლებული,
დადგა იგიცა
წესსა ზედა თჳსსა ღირსად,
და ესრეთ ღაღადებდა:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

Ⴓქორწინებელო ქალწულო,
შემდგომად შობისა იპოე დადგ-
რომილ
ქალწულებასავე,
ამისთჳს სარწმუნოებით
ღმრთისმშობლად აღგიარებთ
დაუდუმებელითა ბაგითა.

317 (8 Eu 146 ბ Ⴚანი შუენიერებამან შენმან
დაფარნა
და ქუეყანაჲ აღივსო დიდებითა
შენითა, | ქრისტე,

---

[1] სარწმუნეებით.

* მოსდევს მინაწერი წითელი ასომთავრულით: ქ͠ე შ͠Ⴚ იორდანე ან͠. ** ღმრთის-
მშობლისას მოლოდ აქ აქვს ორი წერტილი.



65 v

ამისთჳს სარწმუნოებით[1]
ვიტყჳთ[2]:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

ცათა დაუტევნელი დაიტიე,
ქალწულო
და უზეშთაეს ბუნებათა გჳშევ[3]
ჩუენ,
ამისთჳს[4] სარწმუნოებით,
ვითარცა ღმრთისმშობელ ხარ,
გადიდებთ.

318 (9) **ს**იმდაბლით გამოჩინებასა
ღმრთისა სიტყჳსასა[5]
წინაწარვე ხედვიდა ამბაკუმ[6]
და იტყოდა[7]:
ღმერთი სამხრით მოვიდეს
მჴსნელად დაბადებულთა
თჳსთათჳს.

სათნო-იყავ გამოჩინებაჲ
ჴორციითა, მაცხოვარ,
საშოსაგან ქალწულისა,
რომელიცა უხილავ ხარ
ზეცი[თ].

სმენაჲ მესმა მე 319 (10) Eu 137 ბ′
მოსლვისა შენისაჲ, უფალო,
რამეთუ შემოქმედი
ცათაჲ ქუეყანად სიმდაბლით
მოხუედ.

ნავთსაყუდელი[8]
მყუდროჲ ხარი შენ, ქალწულო,
ღელვა-გუემულნი ესე
შენდა მოვილტით, განმარინენ
ჩუენ.

მესმა სმენაჲ შენი დიდებული, 320 (11) Eu 144 ბ′
განვიცადენ საქმენი შენნი,
ქრისტე და დამიკჳრდა[9],
რაჟამს იშევ შენ ქალწულისაგან
ჴსნად მგალობელთა შენთა,
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

---

[1] ამისთუს სარწმონოებით. [2] ვიტყუთ. [3] გუშე. [4] ამისთუს. [5] სიტყუისსა. [6] ამბაკომ. [7] იტყუდა. [8] ნავთსაყოდელი. [9] დამიკურდა.



66 г

უდიდებულესო კაცთა შორის,
უბიწო[ო]
ღმრთისმშობელო ქალწულო, ჩუენ, მორწმუნენი,
აღგიარებთ შენ დედად მეუფისა
და ესრეთ გიღაღადებთ:
დიდებაჲ ძესა შენსა, ქალწულო.

321 (12) **შ**ენ მეუფეო[1] მეუფეთაო ღმერთო,
სიტყუაო, რომელი მამისაგან იშევ,
მხოლოჲ მხოლოჲსა მიერ,
ვითარცა ღმერთ ხარ, სული შენი სახიერი, თანასწორი
მომეც მონათა,
ძალსა შენსა დიდებაჲ.

მთით სამხრით, ჩრდილოჲთ
მაღნართაჲთ გამოსლვაჲ
განცხადებულად ქადაგა ამბაკუმ[2]
ქრისტეს[3] ღმრთისაჲ ჴორცითა.
გამობრწყინვებაჲ სიჩრდოჲსა მისგან
ქალწულისა საშოჲსა და მაღნარისა
მუცლისაგან მისისა.

ესმა რაჲ შენთჳს, ქრისტე, 322 (13)
ამბაკუმს[4], განჰკრთა სულითა,
რაჟამს აუწყა სულმან წმიდამან
ქალწულისაგან შობაჲ[5] შენი,
შეეშინა და ჴმა-ყო:
მესმა მე საკჳრველი[6],
ქალწულისაგან დედისა
უმამოდ ყრმისა შობაჲ,
და გიღაღადებდა:
ძალსა შენსა დიდებაჲ, კაცთ-მოყუარე.

---

[1] მეუფეთაო [2] ამბაკომ [3] ქ̃ჱს. [4] ამბაკომს. [5] შუბაჲ. [6] საკჳრველი.



66 v

რაჟამს წარდგა გაბრიელ
წინაშე მარიამისა,
ნათობდა, ვითარცა მზე და
შეძრწუნდა[1] დედოფალი,
ხოლო იგი
ესრეთ უღაღადებდა:
გიხაროდენ, მარიამ,
უფალი[2] ძალთაჲ შენ თანა,
მამისა და ღმრთისა სიტყუაჲ
შენგან იშვების მაცხოვრად
ერისა და ჴსნად ცხებულთა
თჳსთა.

უცხონი*

323 (14) **ს**აღმრთოჲ მგალობელი ამბაკუმ[3]
იხარებს სულიერად
აღსრულებასა თქუმულთა მისთასა,
რამეთუ ხედავს ღმერთსა
ჴორცითა,
სამხრით მომავალსა მდუმრიად
საშოჲსაგან ქალწულისა
და სიხარულით მას მხოლოსა
უღაღადებს:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

საღმრთოსა მიდგომილებასა[4] **
უსძლოჲსა დედისასა
და გამოუთქუმელსა მას შობასა
ძისსა უთესლოდ
მოუძლურდების გამოთქუმად
ყოველი
მეტყუელებაჲ ადამის ნათესავთაჲ,
რამეთუ ქალწულმან მუცლად-
 იღო და შვა ღმერთი
და დაადგრა ქალწულადვე
უბიწოდ.

რომელმან ასწავე 324 (15)
წინაჲსწარვე ქადაგება|დ
ამბაკუმს[5],

---

[1] შეძრწონდა. [2] ო̃ჲ. [3] ამბაკომ [4] მიდგუმილებასა. [5] ამბაკომს.
* კიდეზე ვერტიკალურად. ** ღმრთისმშობლისას აქვს ნევმები.



67 r

რაჟამს გიხილა მჯდომარე
  უსხეულოთა[1] თანა
ჩჩჳლად[2] გამოჩინებად მჴსნელი
და იტყოდა[3]: ღმერთ[ი] მჴსნელად
  მოვიდეს
დაბადებულთა თჳსთათჳს.

რომელმან იტჳრთე[4]
საშოსა, უბიწოო ქალწულო,
სიტყუაჲ ღმრთისაჲ უხილავი და
  გამოუთქუმელი[6],
და გჳშევ ჩუენ ღმერთი ჴორც-
  შესხმული,
ამისთჳსცა[7] ღმრთისმშობლად
  აღგიარებთ
ყოველნი მორწმუნენი.

325 (16) * Eu 136 ბ' **ე**სე არს ღმერთი ჩუენი,
რომელი ქალწულისაგან
  ჴორციელ იქმნა
და ბუნებაჲ ჩუენი ღმერთ ყო,
რომელსა უღაღადებთ:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

ყოველთა დედოფალო,
მშობელო ღმრთისაო,
წყალობაჲ მითხოვე ჩუენ
  ქრისტეს, ძისა შენისაგან,
რომელსა უღაღადებთ:
დიდებაჲ ძალ[სა შენსა, უფალო].

აღიტყუა ღმრთისმეტყუელი 326 (17) **
  ამბაკუმ[8]
საცნაურისა სულისა მადლითა,
რაჟამს იხილა ნათელი შეუქმნელი
საკუმილავსა ღამისასა,
მფლობელი შორის ორთა[9] მათ
  ცხოველთაჲსა,
გამობრწყინვებული

---

[1] უხეოლთა. [2] ჩჩულად. [3] იტყუდა. [4] იტურთე. [5] უბ῀წო. [6] გამოუთქუმელე. [7] ამისთუსცა. [8] ამბაკომ [9] ურთა.

* ძლისპირი ნევმირებული არ არის. ძლისპირს და ღმრთისმშობლისას აქეთ მხოლოდ შავი წერტილები. ** ძლისპირს არ ახლავს ღმრთისმშობლისა.



67 v

ზიჩრდოჲსაგან ქალწულისა საშოჲსა,
ღმერთი, სამხრით მომავალი,
კაცთა ჴსნისათჳს განკაცებული
და ღმრთეებისაგან არა[1] შეცვალებული,
რომლისა შუენიერებამან
დაფარნა ცანი მაღალნი
და ქებითა მისითა
აღივსო ყოველი ქუეყანაჲ.

ლამითგანსა

327 (1) Eu 142 ϛ′ **მ**ახარებელო სიონისაო,
აღვედ მთასა მაღალსა და იერუსალემსა,
უქადაგე ჴმითა მაღლითა ძლიერად,
დიდებულნი[2] ითქუნეს შენ ზედა დღეს
ეგერა, ქალაქო ღმრთისაო,
მშჳდობაჲ ისრაელ[სა] ზედა
და მაცხოვარებაჲ წარმართთა.

შენ, ღმრთისმშობელო, ქრისტეს დედაო,
ვითარცა ჭეშმარიტად ღირს ხარ,
გნატრით მორწმუნენი,
რამეთუ გჳშევ ჩუენ ღმერთი მაცხოვარი,
რომელსა ევედრე, წმიდაო,
პატივი[ს]-მცემელთა შენთათჳს
ჴსნად განსაცდელთაგან, რომელნი გესავთ შენ.

აწ აღვდგე, — თქუა უფალმან პირითა ჴმამაღლისაჲთა, 328 (2)
აწ ვიდიდო და აწ დაცემული იგი მოვიყვანო ჩემდავე
ქალწულისაგან
და ავამაღლო იგი
ნათლად ღმრთეებისა ჩემისა.

---

[1] არაჲ. [2] დედებუნი. [3] მშუდობაჲ.



68 r

სიტყუაჲ ღმრთისაჲ
დაუბადებელი,
რომელი ყოლად
განუშორებელ[1] არს, ძჱ მხოლოდ-
შობილი
ალსასრულსა[2]
ჟამთასა
განჴორციელდა
შენ შორის, უბიწოო[3],
ყოველთა უმეტესო ქალწულო.

329 (3) Eu 133 ε′ **შ**ენ, უფალო,
ნათელი ხარ მომავალი სოფლად,
განმანათლებელი გულთა
მორწმუნეთა შენთასა,
რომელნი თაყუანის-გცემთ შენ.

შენ საჭურველი[4] ხარ
უძლეველი, ღმრთისმშობელო,
წყობასა მტერთა ჩუენთასა
შეუძრველად დამიცვენ
მოსავნი შენგან შობილსა.

ნაწილ ჩემდა ხარ, ქრისტე, 330 (4) Eu 141 ε′
და დიდება თავისა ჩემისა.
რამეთუ შენ, მხოლომან, მიჴსენ
მე
ბნელისაგან წყუდიადისა
უგუნურებისა[5]
ნათლითა მით ღმრთეებისაჲთა
და შენდამი ვღაღადებთ:
მშჳდობაჲ შენი მომეც ჩუენ.

Აღესრულნეს შენ ზედა
წინაჲსწარმეტყუელთა
თქუმ[უ]ლნი,
რამეთუ შენ მუცლად-იღე, ღირსო,
დამბადებელი და გჳშევ[7] ჩუენ
ჴორცითა ძჱ დაუსაბამოჲ, რომელ
არს
ევმანოელ წმიდაჲ, მომცემელი
მშჳდობისაჲ.

შღმრთოთა[8] ვერ იხილონ 331 (5) Eu 138 ε′
დიდებაჲ

---

[1] განოშორებელ. [2] ალსასრულულსა. [3] უბჯო. [4] საჴორველი. [5] უგუნერებისა. [6] მშუდობაჲ. [7] გშვ. [8] ოღმრთითა.



68 v

შენი, ქრისტე,
ხოლო ჩუენ, მონანი შენნი,
ვიხილავთ დიდება[სა] შენსა და
ვღაღადებთ:
ღამითგან ალვიმსთობთ ჩუენ
მგალობელად შენდამი, კაცთ-
მოყუარე.

ჰურიათა კრებულმან
უარ-გყვეს შენ, ქრისტე,
ხოლო ჩუენ, წარმართთა[1] ერმან,
აღგიარეთ მეუფედ ძე ღმრთისაჲ,
ტვრთული[2]
ქალწულისა საშოსა,
და ღმრთისმშობელად თაყუანის-
გცემთ.

332 (6) Eu 143 ε′ **ნ**ათელი შენი,
უფალო, მომფინე ჩუენ ზედა,
და მიჴსნენ ჩუენ ბნელისაგან,
ჩუენ, ცოდვილნი,
და მოწყალებაჲ შენი, სახიერ,
ზეცით გარდამოგჳვლინე.

Დედად ნათლისად[3] აღგიარებთ
მორწმუნენი
შენნი,
ღმრთისმშობელო, ქალწულო
სანატრელო,
და გევედრებით: მეოხ გუეყავ
ჩუენ,
მაქებელთა შენთა, ღირსო.

განმანათლებელო ჩუენ 333 (7) Eu 146 ε′
მყოფთა ბნელისათაო,
განგუანათლენ და ვიტყოდით[4]:
დიდებაჲ, დიდებაჲ შენდა,
იესუ[5], ძეო ღმრთისაო.

ესაია[6] გქადაგა
ქალწულად მშობელად
ემანოველისა ღმრთისა,
წმიდაო დედაო
იესუჲს[7], ძისა ღმრთისაო.

Და ჩუენ, მავალნი ბნელსა შინა 334 (8)
წყუდია|დისასა

---

[1] წარმთთა. [2] ტურთული. [3] ნათლისადსა. [4] ვიტყუდით. [5] ი͠ჳ. [6] ესაჲა. [7] ი͠ჳს.



69 г

ბოროტთა სოფლისათა, უფალო,
ჴელმწიფებისაგან ბნელისა
აღმომიყვანენ
ნათელსა შინა მიუწდომელსა[1],
ქრისტე, მხოლოო, კაცთ-მოყუარე.

მღდელი და მეუფე, ვითარცა ხარ
თესლისაგან
დავითისა, გჳშევ ჩუენ, ქალწულო,
რამეთუ შეცვალებასა თანა
მღდელობისასა
შჯულისაცა შეცვალებაჲ
იქმნა შენ მიერ, უბიწოო[2].

335 (9) Eu 144 ε′ **რ**ომელმან განჰკუეთე, ქრისტე,
პირმშოჲ სიბნელისაჲ მის
ნათლითა, რაჲთა გადიდონ[3]
მხოლოჲ დაბადებულთა შენთა,
ნათელსა შენსა
წარგჳმართენ სლვანი ჩუენნი.

ღმრთისმშობელო უბიწო[ო],
ნუ დასცხრები ვედრებად
ძისა შენისა მიმართ, რაჲთა
მიჴსნეს ჩუენ
განსაცდელთაგან
მგალობელნი შენნი, სანატრელო
დედაო[4].

რომელმან მომიგენ ჩუენ 336 (10) Eu 136 ε′
ერად თჳსად[5] მორწმუნედ
სისხლითა შენითა, ქრისტე,
მშჳდობაჲ შენი მომეც ჩუენ
და დაიცევ მარადის სამწყსოჲ
შენი.

განჴორციელდა ღმერთი
და მიიღო ბუნებაჲ
შენგან, ქალწულო უსძლო[ო],
და უცვალებელად ჰგიეს
პუნებითა მით ღმრთეებისაჲთა.

---

[1] მიუწდუმელსა. [2] უბ͞წო. [3] გადიდიონ. [4] დდჲ. [5] თუსად.



69 v

337 ღამითგან შევწიროთ
(11) გალობაჲ შენ ღმრთისა,
Eu რამეთუ მცნებანი შენნი
137 ε' მშჳდობა[1] არიან.

რომელმან ჰშევ ღმერთი
ჴორციელად, სძალო
უბიწო[ო], დაგჳცვენ[2]
მორწმუნენი შენნი მარადის.

338 მოვედით დღეს, შვილნო
(12) ეკლესიისანო,
Eu და განათლდით თქუენ მადლითა
140 ε' სულისაჲთა,
რომელ არს მსგავს ცეცხლისა,
შემწველ ცოდვისა,
რომლისა მიერ სიონით ვიცანთ
შჯული,
ცეცხლისა ენათაგან
დამტკიცებული.

წმიდათა უწმიდესმან სძალმან
საღმრთომან,
საყდართა ქერაბინთა
უზეშთაესმან
შეცვალნა ბუნებითნი
შობისა წესნი
და შვა უხრწნელად ღმერთი და
კაცი სრული,
და შემდგომად შობისა
ჰგიეს ქალწულად.

ნათელი მოხუედ, ქრისტე, 339
სოფლად (13)
და ჰნათობ შენთა აღმსარებელთა,
ხოლო რომელთა უარ-გყვეს შენ,
მიეცნეს ბნელსა
განუნათლებელსა.

ნათელი შეუქმნელი საღმრთოჲ
იტჳრთე[3], ღრუბელო[4] სულმცირეო,
ჴორც-შესხმული საშოსა შენსა
და გჳშევ ევმანოეელ — ღმერთი და
კაცი.

---

[1] მშუდობა. [2] დაგცვენ. [3] იტურთე. [4] ღრობელო.



70 г

უცხონი

340 **რომელმან** უზეშთაეს
(14) ბუნებათა კაცობრივთა
შვა სიტყუაჲ ღმრთისაჲ
კორციელად,
ბუნებით არს
ადამის ასულ,
მიცვალებულ იქმნა კორცთაგან
ცხორებად საუკუნოდ,
მოვედით, უგალობდით.

შენდობაჲ მოგუმადლე ჩუენ
შეცოდებათა ჩუენთაჲ,
მარიამ — დედაო ღმრთისაო,
რომელ იქმენ შუვამდგომელად
შორის ღმრთისა და კაცთა,
რომელნი ვაქებთ მიცვალებასა
შენსა.

341 **შენ,** რომელმან გარდაართხიენ
(15) ცანი,
ვითარცა კარავნი,
და მათ შინა
განაწესენ მნათობნი
განმანათლებელად ქუეყანისა
და უქცეველად[1] შიშით
ჰმონებენ
წამისყოფითა
ბრძანებასა შენსა, უფალო,
განანათლენ გონებანი ჩუენნი
ნათლითა მეცნ[ი]ერებისა
შენისაჲთა.

შენ, რომელმან დაიტიე საშოსა •
შენსა, უბიწო[ო],
დაუტევნელი ცათა და ქუეყანისაჲ
და ჰშევ ღმერთი[2], ძლიერი და
კელმწიფე,
მთავარი მშჳდობისაჲ[3],
რომლისა
სახელი ევმანოველ და შემდგომად
შობისა
ჰგიე ქალწულად უბიწოდ,
ვითარცა თქუა ესაია[4]
ღმრთისმეტყუელმან.

---

[1] უქცეველად. [2] ღ˝ჲ. [3] მშუდობისაჲ. [4] ესაჲა.
• ღმრთისმშობლისა ნევმირებულია.



70 v

342 (16) * რომელმან განსწავლა[1]
წინაჲსწარმეტყუელი იგი
ნაკუერცხალისა მიერ და
ქერობინისა,
რომელი შეეხო მარწუხითა[2],
განწმიდნა იგი მგალობელად
ერისათჳს[3], ღაღადებდა და
იტყოდა[4]:
მკჳდრნო[5] ქუეყანისანო, მოისპეთ
უკეთურებაჲ[6],
რამეთუ დადუმნა[7] უღმრთოჲ.

343 (17) უფალი მფლობელი
უფლებათაჲ,
მთავარი — უმთავრესი
მთავრობათაჲ,
ღმერთი — ძლიერი და ჴელმწიფე,
მჯდომარე ცეცხლისფერთა
ეტლთა ზედა,
იხილა ესაია[8] და განჰკრთა
სულითა;
ესე მოვიდა მაღლით სიმდაბლედ
მზჱ სიმართლისაჲ,
და უფალი ღრუბელსა[9]
სულმცირესა
გამოუბრწყინდა ნათლად
წარმართთა
და განანათლნა გულნი მათნი
ღმერთმან განკაცებულმან,
ოომელმან დაჰჴსნა მტერობაჲ
პირველი
და ახარა მშჳდობაჲ[10] შორიელთა
და მახლობელთა, ვითარცა
ღმერთ არს.

ღაღატყავსა

ღაღადებდა 344 (1)
წინაჲსწარმეტყუელი იონა Eu 172
უფსკრულით ¦ გამო

---

[1] განსწალა. [2] მარწოხითა. [3] ერისათეს. [4] იტყუდა. [5] მკოდრნო. [6] უკეთორებაჲ. [7] დადომნა. [8] ესაჲ [9] ღრობელსა. [10] მშოდობაჲ.

* ამ ძლისპირს არ ახლავს ღმრთისმშობლისა, ნევმები და წითელი წერტილები.



71 г

და მოასწავა
სახე სამ დღე დაფლვისაჲ და
იტყოდა[1]:
მიჴსენ განხრწნისაგან,
იესუ[2], შენ მეუფეო ძალთაო.

უმეტეს ხარ
ყოველთა დაბადებულთა,
უსძლო[ო],
რამეთუ შენ
დამბადებელი მათი მუცლად-იღე
და უშევ სოფელსა
უფროჲს ბუნებათა
ამაღლებული.

345 (2) Eu 135 ϛ′ შთა[ვ]ვარდი მე სიღრმესა
ზღჳსასა[3]
და ცოდვისა უფსკრულთა
დამნთქეს მე, არამედ ვითარცა
ღმერთ ხარ,
განხრწნისაგან
კუალად აღმოიყვანე
ცხორებაჲცა ჩემი, მოწყალე.

იქმნა საშოჲ შენი,
ღმრთისმშობელო,
დამტევნელ ღმრთეებისა
დაუტევნელისა მიუწდომელად,
რომელსაცა
დასებაჲ უსხეულ[ო]თაჲ
ვერ იკადრებს თუალთა ხილვად.

ცოდვისა სიღრმეთა დამთქეს მე, 346 (3) Eu 141 ϛ′
ვითარცა იონა ზღჳსა[4]
უფსკრულთა
და ვღაღადებ შენდა მომართ:
სახიერ და კაცთ-მოყუარე,
აღმომიყვანე,
ვითარცა იგი — დანთქმისა მისგან.

იქმენ სამკჳდრებელად[5] ღმრთისა,
ქალწულო
უსძლო[ო], რომელსა გუნდნი[6]
უსხეულოთანი თუალთა შედგმად
ვერ შემძლებელ არია[ნ],
ესე საშომან შენმან უცხოდ
დაიტია.

---

[1] იტჳუდა. [2] ი῀ჳ. [3] ზღუსასა. [4] ზღუსა. [5] სამკუდრებელად. [6] გოდნი.



71 v

347 (4) Eu 133 ϛ′ **გ**ალობით,
ჴმითა სიხარულისაჲთა გაქებს[1] შენ
ეკლესიაჲ შენი, ქრისტე,
განწმიდნა რაჲ იგი
სისხლითა მაგით,
რომელიცა გარდამოჴდა
გუერდსა სალმრთოსა წმიდასა.

ძალრეს,
უზეშთაეს
არს ყოველთა სასწაულთა
ქალწულისა მუცლად-ღებაჲ
დამბადებლისაჲ
და შემდგომადცა
შობისა მის უბიწოებით
დადგრომაჲ ქალწულადვე.

348 (5) Eu 146 ϛ′ **რ**ომელმან დასცევ
ზღუასა მას შინა
წინაჲსწარმეტყუელი იგი,
უფალო, უფალო,
შემეწიე მე.

რომელმან გჳშევ
მზრდელი ყოველთაჲ და ცხორების მომცემელი,
მარიამ ქალწულო,
მეოხ გუეყავ ჩუენ.

ჭირსა ჩემსა ვღაღადებ სულთქუმით 349 (6) Eu 144 ϛ′
უფლისა მიმართ
და ისმინა ჩემი
ღმერთმან, მაცხოვარმან ჩემმან.

შენ, რომელმან ჰშევ ღმერთი, ქალწულო უბიწო[ო],
ჩუენთჳს[2] ნუ დასცხრები
ვედრებად ძისა შენისა.

ვითარცა იჴსენ იონა 350 (7) Eu 145 ϛ′
მუცლისაგან ვეშაპისა, ქრისტე ღმერთო,
მეცა ცოდვათა სიღრმისაგან
მიჴსენ და მაცხოვნე მე, მხოლოო
კაცთ-მოყუარე.

ეჰა სანატრელო სძალო,
მტჳრთველო[3] მუცლითა ღმრთისა სიმდიდრესა,

---

[1] გაქებთ. [2] ჩ῀ნთუს. [3] მტკურთველო.



72 г

დიდებაო | ნათესავთაო,
შენ მიერ იქმნა ჴსნაჲ ცხორებისა
ჩუენისაჲ.

351 (8) Eu 140 ɛ' **შ**ენ, ქრისტე, ღმერთო ჩუენო,
გამოგჳბრწყინდი
სიტყუაჲ ღმრთისაჲ ჴორცითა
ქალწულისაგან,
რაჲთა შთანთქმული ადამ
აღმოიყვანო
იონაჲს სახედ,
ნათესავითურთ თჳსით[1],
მუცლისა მისგან მჴეცისა
მომსრველისა.

ვითარცა მჴეცისა მის
მუცლისა იგი
სიცხე დამაღნობელი
მუცელსა შინა
დამცველ ექმნა იონას,
ეგრეთვე ცეცხლმან
ღმრთეებისამან
დაიცვა შეუწველად
უბიწოჲ საშოჲ მშობელისა
თჳსისაჲ[2].

ახუედრა 352 (9)
წილმან სამართლად საშჯე[ლი]
იონას
და შთააგდეს ნავით უფსკრულად,
უბრძ[ა]ნა ღმერთმან ვეშაპსა მას
შთანთქმაჲ მისი და განგდებაჲ
ჴმელადვე[3].

რამეთუ
ღმრთისმშობელად გხადით და
ქალწულად გქადაგებთ
და დედად ღმრთისა აღგიარებთ,
მარიამ, და გევედრებით:
გჳთხოვე ძისა შენისაგან
წყალობაჲ.

მუცელი იგი 353 (10)
ვეშაპისაჲ
იქმნა დამც | ველ

---

[1] ნათესავითორთ თუსით. [2] თუსისაჲ. [3] ჴმელადვ῀ე.



72 v

წინაჲსწარმეტყუელისა
სიღრმესა მას შინა,
რაჟამს[1] შთავარდა ურჩებითა
ღმრთისაჲთა
და ღაღატ-ყო ვედრებით:
გიჴსენ მე
განხრწნისაგან, კაცთ-მოყუარე.

შემცვალებელად
ბუნებათა იპოვე[2] შენ,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
რაჟამს ღმრთეებისა
ცეცხლმან დაგიცვა შენ
უვნებელად,
ვითარცა მაყუალი სინასა,
რომელი
სახედ შენდა გამოჩნდა, ღირსო[3].

354 (11) **ღ**მრთისმეტყუელნი შემოკრიბნა
წამსა შინა ღრუბელმან
ცისკიდით სიონს შინა
მსახურებად გუამსა მას
ღმრთის-შემწყნარებელსა დღეს.

ღმრთისმეტყუელნი შეგამკობდეს
სულითა სიბრძნისაჲთა,
დედაო ნათლისაო,
მათ თანა ვაქებთ, ღირსო,
საჴსენებელსა შენსა.

შეცოდებისა ქართაგან 355 (12)
დანთქუმული,
ვითარცა მუცელსა შინა
ვეშაპისასა წინაჲსწარმეტყუელი
შეწყდომილი[4] გჴმობ შენ:
აღმოიყვანე განხრწნისაგან
ცხორებაჲ ჩემი.

ტარიგი იგი ხედავს ძესა
მწყემსსა

---

[1] რაჲჟამს. [2] იპოოვე. [3] „ღირსო“ (სხვა ხელთ). [4] შეწ̆ყდუმილი.



73 г

სა|ფლავით აღდგომილსა[1]
და იხარებს ქალწული, რამეთუ
ამან დასცა სიკუდილისა
სუფევაჲ
და ჩუენ ყოველთა მოგუანიჭა
უკუდავებაჲ.

356 (13) **ბ**რალთა ჩემთა სიღრმესა
დანთქმული
მიჴსენ მე, კაცთ-მოყუარე,
მსგავსად იონაჲსა აღმოიყვანე
ცხორებაჲ ჩემი
გევედრები, სახიერ,
და მაცხოვნე, მრავალ-მოწყალე*.

ბრალთა ჩუენთა შენდობაჲ
მითხოვე,
დედაო იესუჲსო[2],
და გჳჴსნენ ყოველნი
განსაცდელთაგან,
რამეთუ შენ ხარ
სასოჲ და სიქადული
ქრისტეანეთაჲ[3], მეოხ გუეყავ
ჩუენ.

უცხონი

შენ, ქრისტე, შეჰქმენ ზღუაჲ 357 (14)
და ჴელთა შენთა დაჰბადეს
ჴმელი,
შენვე ბრძანებითა შენითა
დაიცევ
იონა წინაჲსწარმეტყუელი
მჴეცისა მძჳნვარისა მუცელსა
განუხრწნელად,
რომელმან
მოგუასწავა სამისა დღისა
აღდგომაჲ[4] შენი
მკუდრეთით, მაცხოვარო ჩუენო.

მთავარი ზეცისა
განწყობილთაჲ მოსრული
სამოსლითა
ბრწყინვალებისაჲ|თა**[5],
რომელი

---

[1] აღდგუმილსა. [2] ი͠ჳსო. [3] ქ͠ჱანეთაჲ. [4] აღდგუმაჲ. [5] ბრჭყინვალებისაჲჲთა.

* მინაწერი: შთავადი. ** აქედან ღმრთისმშობლისას აქვს მხოლოდ შავი წერტილები.



73 v

ზარ-სცემდა საშინელებით და
  გეტყოდა:
გიხაროდენ, ქალწულო,
რამეთუ
შენგან იშვეს
ჴორცითა ღმერთი
დაბადებულთაჲ,
რომელმან აღმოიყვანოს
განხრწნისაგან ცხორებაჲ კაცთაჲ.

358 (15) * Eu 135 ε′ **ვ**ეშაპისა მუცელსა შინა
  სამ დღე რაჲ იყო იონა,
გამოგსახა შენ, უკუდავო, რომელი
  ნეფსით
სამ დღე მკუდარ იქმენ
  მუცელსა შინა ქუეყანისასა.

359 (16) **მ**ოქცევამან ცოდვისამან
და უფსკრულმან
  უშჯულოებისამან
დამნთქა სიღრმესა საცთურთასა[1]
ნავითა უდებებისაჲთა,
ეკუეთნეს რაჲ სულსა ჩემსა
ღელვანი და ნიავ-ქარნი მტერისა
განმდე[ვნე]ლისანი,
შთამნთქა უწყალოდ მჴეცმან,
სულთა მომსრველმან
და აწ
შენდა მოვილტი, ქრისტე,
  ცხორებისა სასოო,
მოყავ[2] ჴელი შეწევნისაჲ,
მიჴსენ, ვითარცა იონა
  ვეშაპისაგან,
პეტრე — დანთქმისაგან
და მაცხოვნე მე, მრავალ-
  მოწყალე.

კურთხეულარსა

რომელმან[3] დაიცვნა ყრმანი 360 (1) Eu 142 ζ′

---

[1] საცთორთასა. [2] მოყავა. [3] რუმელმან.

* ტექსტი დაყოფილია მხოლოდ შავი წერტილებით, არ აქვს ნევმები.



74 г

აბრამეანნი ცეცხლისაგან
და ქალდეველნი იგი მოსრნა
საჴუმილისა ალითა, ხოლო
ყრმანი
ღაღადებდეს: კურთხეულ[1] ხარ
შენ,
მამათა ჩუენთა ღმერთო,
უკუნისამდე.

სამებისა მორწმუნენო,
მოვედით დღეს სარწმუნოვებით
და
ერთობით ვადიდებდეთ
ერთარსებასა ღმრთეებისასა
და ვიტყოდით:
კურთხეულ ხარ,
მამათა ჩუენთა ღმერთო,
უკუნისამდე.

361 (2) Eu 135 ζ' **ბ**აბილონს სამთა ყრმათა
ბრძანებაჲ მძლავრისაჲ მის
სიბორგილედ შეჰრაცხეს
და ალსა შინა ღაღადებდეს:
კურთხეულ ხარ შენ,
უფალო და ღმერთო მამათა
ჩუენთაო.

ღმრთისმშობელო სანატრელო,
მეოხ გუეყავ მარადის,
რომელნი გევედრებით,
უბიწო[ო], და აღგიარებთ
დედად ნათლისა,
ქალწულო უსძლო[ო],
ცათა უმაღლესო.

362 (3) Eu 133 ζ' **ს**აჴუმილსა შინა
აბრამეანნი ყრმანი მოგუთა მიერ
კრულნი[2] საღმრთოთა
შჯულთათჳს[3],
შეითხინეს
და ალსა შინა ღაღადებდეს:
კურთხეულ ხარ, ღმერთო,
ტაძარსა მას სიწმიდისა შენისასა.

---

[1] კორთხეულ. [2] კრრულნი. [3] შჯულთათუს.



74 v

პიხაროდენ შენ,
ღმრთისმშობელო ქალწულო
უბიწო[ო],
რამეთუ შენგან მოვიღეთ
სიხარული
ჩუენ მორწმუნეთა და
ვღაღადებთ[1] [კურთხეულ ხარ,
ღმერთო, ტაძარსა მას
სიწმიდისა შენისასა].

363 (4) Eu 141 ζ' **ა**რა[2] ჰმსახურეს დაბადებულსა
ღმერთ-შემოსილთა
დამბადებელისა წილ
და შეურაცხ-ყვეს
ცეცხლი შემწველი, სატანჯველი
და ესრეთ იტყოდეს[3]:
ამაღლებულო ღმერთო
მამათა ჩუენთაო, უფროჲსად
კურთხეულ ხარ შენ.

სიტყუათაგან სულიერთა
მოგუესწავა ჩუენ სამებისა ძალი
და აღვიარებთ
ყოველნი ერთსა ღმრთეებასა და
გა[ლობით ვიტყჳთ:
ამაღლებულო ღმერთო მამათა
ჩუენთაო,
უფროჲსად კურთხეულ ხარ შენ].

აბრამეანთა ყრმათა 364 (5) Eu 144 ζ'
ბაბილოვნისა ცეცხლი
სარწმუნოვებით მოაუძლურეს
და ესრეთ ღაღადებდეს:
მამათა ჩუენთა ღმერთო,
კურთხეულ ხარ მარადის.

შენ, მარიამ ქალწულო,
უზეშთაეს გამოშჩნდი
ქერაბინთა და მათ ზედა
მჯდომარე
იტჳრთე[4] მკლავთა ზედა,
ვედრებად ნუ დასცხრები
აწცა სულთა ჩუენთათჳს.

რომელი[5] მოსეს 365 (6)
მთასა ზედა ჰზრახევდი და სახე Eu 146 ζ'
ქალწულისაჲ მოეც
მაყუულოვა|ნით,

---

[1] ვ˜ღ. [2] არაჲ. [3] იტყუდეს. [4] იტურთე. [5] რუმელი.



75 г

კურთხეულ ხარ შენ,
უფალო და ღმერთო მამათა
ჩუენთაო.

შსძლომან სძალმან
ქალწულმან იტჳრთა[1] დღეს მამისა
სიტყუაჲ გამოუთქუმელად და
ვღაღატ-ყოთ:
კურთხეულ ხარ შენ,
უფალო
[და ღმერთო მამათა ჩუენთაო].

366 (7) Eu 145 ζ′ ἄλλος **მ**ამათა ჩუენთა ღმერთო,
ნუ მიმცემ ჩუენ სრულიად,
არამედ კადნიერ მყვენ
ღაღადებად შენდა მომართ:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო.

სამებასა წმიდასა
უგალობთ მორწმუნენი
და ერთითა პირითა
სარწმუნოვებით ვიტყჳთ:
[კურთხეულ ხარ შენ, უფალო].

367 (8) Eu 136 ζ′ **შ**ენ, სიტყუაო გამოუთქუმელო[2],
რომელი ხარ მამისა თანა
და სულისა, მხოლოჲ[3]
კურთხეულ ხარ შენ,
უფალო და ღმერთო
მამათა ჩუენთაო.

ერთარსებით სამებაჲ ღმრთისაჲ
აღვიაროთ მორწმუნეთა,
და ესრეთ ვღაღადებდეთ[4]:
[კურთხეულ ხარ შენ,
უფალო და ღმერთო
მამათა ჩუენთაო].

368 (9) Eu 136 ζ′ **დ**ასაბამსა
დაუსაბამოჲ სიტყუაჲ ღმრთისაჲ
მამისა თანა,
მხოლოჲ[5] სულით წმიდითურთ
კურთხეულ არს და
უფროჲსად დიდებულ არს
სამებაჲ წმიდაჲ უკუნისამდე.

სამებასა
განუყოფელსა და შეურევნელსა
ვაქებდეთ
მართლმადიდე|ბლობით

---

[1] იტურთა. [2] გამუთქმელო. [3] მხულოჲ [4] ვღ῀ღღზ. [5] მხულოჲ.



75 v

და ესრეთ ვღაღადებთ:
კურთხეულ ხარ, ღმერთო მამათა
ჩუენთაო, მარადის.

369 (10) Eu 140 ζ' **მ**ძლავრმან მიმძლავრებულმან
ჴმა-ყო ძლიერად
თაყუანის-ცემად
ხატსა მას ოქროჲსასა,
ხოლო მადლი სულისაჲ
მიმიძლუების[1] ჩუენ
მონებად ღმრთისა სამებით
ცნობილისა,
რაჲთა უღალა-
დოთ მას: კურთხეულ ხარ შენ.

სამებაო წმიდაო, დამბადებელო
დაბადებულთაო,
უშრომელად[2] მოქმედო
და მაცხოვარო მართ[ლ]მა-
დიდებელთაო,
არცხჳნე[3] მქდომთა მათ ჩუენთა,
მწვალებელთა,
და ჩუენ ჴმა[ვყოთ:
კურთხეულ ხარ შენ].

ჟამსა სამჟამისასა მიიღეს მადლი,
რაჲთა ასწაონ
კაცთა თაყუანის-ცემაჲ
სამებისა წმიდისა
ერთარსებისაჲ,
მათ თანა ჩუენცა უგალობთ
აღსარებით:
ძეო, მამით და
სულითურთ[4] კურ[თ]ხეულ[5] ხარ.

რომელმან[6] მგალობლად 370 (11)
სულიერად
გამოაჩინენ ყრმანი, ღმერთ-
შემოსილნი,
საღმრთოჲსა ცუარისა
მოვლინებითა
და დაიცვენ უვნებელად,
გიღაღადებთ შენ:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
საუკუნითგან დიდებულო.

სამებისა ცნობაჲ
მოეცა ღირსთა სამთა ყრმათა
და ერთობით ღაღატ-ყვეს:
არა ვმსახურებთ[7] კერპსა
უსუ|ლოსა,

---

[1] მიმძლუების. [2] უშრუმელად. [3] არცხუნე. [4] სოლითურთ. [5] კორხეულ. [6] რუმელმან. [7] არაჲ ვმსახორებთ.

* ეს ღმრთისმშობლისა წინამავალი ღმრთისმშობლისას სტრიქონებს შუაა ჩაწერილი სხვა ხელით, აქვს მხოლოდ შავი წერტილები. № 10 ძლისპირს ირმოლოგიონის სხვა ხელნაწერებში სწორედ ეს ღმრთისმშობლისა ახლავს.



76 г

არამედ ღმერთსა ცხოველსა,
რომელ-იგი არს
კურთხეულ და დიდებულ აწ და
უკუნითი უკუნისამდე.

371 (12) **შ**ღმრთოთა აღაგზნეს ცეცხლი
ღმრთის მგალობელთათჳს[1]
და რისხვით შესთხინეს მას შინა,
არამედ დაიცვნა ღმერთმან
სულნი და ჴორცნი მათნი
უვნებელად.

აქებენ
ზეცისა ძალნი სამებასა ღმერთსა,
სამგუამოვანსა თჳთებითა[2],
ერთარსებით დიდებულსა,
მამასა, ძესა და წმიდასა სულსა.

უცხონი

372 (13) **ს**აჴუმილი შჳდწილ[3]
აღგზებული აღატყდა მოტყინარე,
ვითარცა ღელვაჲ აღტეხილი,
და მიუძღუანა მაღალსა
წამისყოფით მორჩილებაჲ
მორჩილთა ქალდეველთაჲ,
ხოლო ყრმანი სხურებულნი[4]
ღაღადებდეს:
კურთხეულ ხარ შენ, ღმერთო
მამათა ჩუენთა[ო].

სამებაჲ დაუბადებელი,
ყოველთა არსებათა წამისყოფით
დამბადებელი,
არსებაჲ უცვალებელი
და გარე-შეუწერელი,
ერთღმრთეებით ცნობილი
და ერთარსებით დიდებული,
მხოლოჲ აღვიარეთ ჩუენ,
მორწმუნეთა,
და ვაკურთხევთ[5] მას.

---

[1] მგალობელთათუს. [2] თუთებითა. [3] შუდწილ. [4] სხორებულნი. [5] ვაკორთხევთ.



· 76 v

373 (14) **ს**აქუმილი იგი ცეცხლისაჲ
ცუარად გარდაქცეული,
არად შეჰრაცხეს ყრმათა
მათ, რომელნი ღაღადებდეს:
მამათა ჩუენთა ღმერთო,
[კურთხეულ ხარ შენ].

სამებაჲ ერთღმრთეებაჲ
აღვიარეთ ერთობით
მორწმუნეთა და გალობით
მას მხოლოსა უღაღადებთ:
მამათა ჩუენთა ღმერთო,
კურთხეულ ხარ შენ.

374 (15) **ც**ეცხლი შემწუველი
საქუმილისაჲ განიბნეოდა
და ყრმანი სხურებულნი[1]
ზეგარდამო ღაღადებდეს:
კურთხეულ ხარ, მხოლო[ო],
რომელი ხარ ღმერთი მამათა
ჩუენ[თაჲ][2].

დღესასწაულობდ,
ღირსო ქალწულო, აღდგომასა[3],
ძისა შენისასა
და სიხარულით იტყოდე[4]:
კურთხეულ ხარ, მხოლო[ო],
რომელი ხარ ღმერთი მამათა
ჩუენ[თაჲ].

იხილა რაჲ მძლავრმან საქუმილი 375 (16)
და ყრმანი განურყუნელად მას
შინა,
კადნიერად ღაღატ-ყო მოწოდებაჲ
და სიხარულით
ამბორს-უყოფდა მონათა მათ
მაღლისათა, ხოლო იგინი
აკურთხევდეს
უფალსა ღმერთსა უკუნისამდე.

იხილა რაჲ უსძლომან სძალმან
მთავარი ზეცისა უქორცოთაჲ
ზეცით მოსრული
ხარებად მისა[5],
განჰკრთა გონებითა ხი|ლევისა
მისგან,

---

[1] სხორებულნი. [2] ჩ̃ნ. [3] აღდგუმასა. [4] იტყუდეს. [5] მისსა.



77 r

ხოლო იგი ეტყოდა: გიხაროდენ,
მიმადლებულო,
შენგან იშვეს ღმერთი
დაბადებულთაჲ.

376 (17) Eu 149 ζ′ **Ნ**უ მიმცემ ჩუენ
სახელისა შენისათჳს[1],
რომელი საუკუნითგან მოწყალე
ხარ,
და ნუ განაქარვებ აღთქუმასა,
რომელ აღმითქუ სახიერ, არამედ
განაბნიე ბრალთა ჩემთა პატიჟი,
ვითარ ქალდეველთა საჴუმილი,
რაჲთა ცუარითა სხურებულმან
ყრმათა მათებრ ვღალატ-ყო:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

Ნუ განაგდებ
მვედრებელთა შენთა, რომელნიცა
მოივლტიან
შენდა სარწმუნოებით,
დედაო მჴსნელისაო,
არამედ მიითუალე ღირსად,
წმიდაო,
და შეწირე[2] წინაშე სამებისა,
რაჲთა განმარინნეს მტერთაგან
უღმრთოთა ბარბაროზთა და
ძლევაჲ
მოჰმადლოს მეფესა მორწმუნესა
და დაცვაჲ უვნებელად
ეკლესიათაჲ, ვითარცა ღმერთ
არს.

Სატსა მას ოქროჲსასა[3] 377 (18)
მაღლისა მეფისა
ყრმათა არა[4] თაყუანის-სცეს
და მით საჴუმილსა შეითხინეს
და ნაკუერცხალსა მჴნედ
დასტკებნიდეს
და გალობით ღა|ღადებდეს:

---

[1] შენისათუს. [2] შეწჱრე. [3] უქროჲსასა. [4] არაჲ.



77 v

მამათა ჩუენთა ღმერთო,
კურთხეულ ხარ შენ.

378 (19)* **ყ**რმათა ღმრთივ-განბრძნობილთა
რიცხუთა სამებისათა
შვდწილად მოტყინარე საკუმილი
ქალდეველთაჲ
განაქარვეს
და გალობით იტყოდეს[1]:
შენ კურთხეულ ხარ, ღმერთო
მამათა ჩუენთაო.

379 (20) **მ**ძლავრი განკვრდებოდა[2], რაჟამს
ალი გრილდებოდა
და ყრმათა წმიდათა სამებისა
წმიდისა მგალობელთა
საკუმილი ცუარ ექმნა და ესრეთ
ღაღადებდეს:
უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო,
კურთხეულ ხარ შენ.

380 (21) **უ**ფროჲს სიმძაფრესა
ქალდეველთა საკუმილისასა შვდ
წილ
აღეტყინა ალი ცოდვისაჲ
შინაგანსა გონებისა[3] ჩემისასა
შეწუვად სულიერთა ნაყოფთა
სათნოვებისათა
და ალსა სრულსა წინაჲსწარ
ვხედავ.
ქრისტე, წყაროვო ცხორებისაო,
აცურ[ი]ე სულსა ჩემსა ცუარი
მადლისაჲ
და დაშრიტე ალი ცოდვისაჲ,
რაჲთა
საღმრთოჲსა მადლისა ცუარითა
სხურებულმან
ყრმათა მათებრ ჴმა-ვყო:
კურთხეულ ხარ, ღმერთო,
საუკუნითგან უკუნისამდე.

აკურთხევდითსა

მჴსნელო ყოველთაო, 381 (1) Eu 135 η′

---

[1] იტყუდეს. [2] განკურდებოდა. [3] გუნებისა.

* №№ 19-21 არ ახლავს ნევმები და წითელი წერტილები.



78 г

ძლიე[რ]ო ღმერთო,
ცეცხლსა შეთხეულნი
ყრმანი იჴსნენი,
რაჟამს-იგი შეაცურ[ი]ე,
საჴუმილი[თ] ღაღადებდეს:
  აკურთხევდით
საქმენი უფლისანი უფალსა.

მორწმუნეთა ერი
სარწმუნოებით
სამებასა ღმერთსა
თაყუანის-სცემენ
მართლაღსარებითა დღეს
და ესრეთ ღაღადებენ:
  აკურთხევდით
საქმენი [უფლისანი უფალსა].

382 (2) Eu 144 η′ **ჰ**ანიხარეს
ყრმათა შემდგომად განრისხებისა
  მძლავრისა მათ ზედა,
რამეთუ არა ჰისცეს
დიდე[ბაჲ] კერპსა უსულოსა,
არამედ ღმერთსა ცხოველსა
და შეურაცხ-ყვეს ცეცხლი
და ანგელოზისა მიერ სხურებულ
  იქმნეს
და იტყოდეს:
ყოველნი[1] საქმენი
უფლისანი უფალსა უგალობდით
და ამაღლებდით მას უკუნისამდე.

მოვისწრაფოთ,
მორწმუნენო, თაყუანის-ცემად
  სამებისა წმიდისა
და ყოვლითა გულითა
ქებასა შევსწირვიდეთ მისა
და სამთა მათ ყრმათა თანა,
სამებისა მსახურთა,
სარწმუნოვებითა
მტკიცითა ესრეთ ვღაღადებდეთ
და ვიტყოდი[თ]:
საქმენი [უფლისანი უფალსა
  უგალობდით
და ამაღლებდით მას უკუნისამდე].

ჴელთა განპყრობითა დანიელ 383 (3) Eu 133 η′
მღჳმესა[2] მას შინა
მჴეცნი მოამდოვრნა

---

[1] „ყ˜ნი“ წითლითაა ჩამატებული. [2] მღუმესა.



78 v

და სა | მთა მათ ყრმათა დაშრიტეს
ცეცხლისა ალი ღმრთისა მიერ
და განბრძნობილნი უშიშად
ესრეთ ღაღადებდეს:
აკურთხევდით
ყოველნი საქმენი უფლისანი
უფალსა.

ყოველთა ნათესავთა შორის
შენ მხოლოჲ[1] გამოშჩნდი,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
რაჟამს დაიტიე ღმრთეებაჲ
დაუტევნელი ყოველთაგან,
და არა[2] შეგწუა შენ ცეცხლმან
მიუახლებელმან, არამედ დაგმარხა უბიწოდ
ქალწული ქალწულადვე.

384 (4) Eu 141 η′ **ყ**რმანი ბრწყინვალენი
საჴუმილისაგან
პირველად იჴსნა შობილმან
ქალწულისაგან,
რომლითა მოასწავა
ჴსნაჲ ჩუენი საცთურისაგან
და ნათლითა შემოსილნი მათ
თანა ვიტყოდით:
უფალსა უგალობდით ყოველნი
და ამაღლებდით მას უკუნისამდე.

არსებაჲ პირველი, მიზეზი
ყოვლისა[3]
დაბადებისაჲ, გიცანთ ღმერთი
დაუსაბამოჲ
და გქადაგებთ მშობელად.
თანასწორსა სიტყუასა,
აღმომაცენებელად სულისა და
ვიტყვთ:
[უფალსა უგალობდით ყოველნი
საფლავ, არა[1]-დამმარხველ
გუამთა.

---

[1] არაჲ.

* მოსდევს გადამწერის ხელით: ქ̃ჱ წ̃რპმრ̃თე.



105 v

გალობით უგალობდეთ, რამეთუ
დიდებით
დიდებულ არს
ქრისტე[1], ღმერთი ჩუენი ცხოველი.

* შობილმან შენგან,
ყოლად წმიდაო,
მოკლა მტერი ჩუენი და აჴოცა
წყევაჲ
იგი პირველი და ჴელით-წერილი
ჩუენი ცოდვაჲ ჯუარსა
შემშჭუალა,
გალობით [უგალობდეთ, რამეთუ
დიდებით
დიდებულ არს
ქრისტე ღმერთი ჩუენი
ცხოველი].

508 (4) Eu 241 α′ მჴსნელი ისრაელისაჲ
საკჳრველთ-მოქმედ არს,
მას მხოლოსა უგალობთ,
რომელიცა დიდებულ არს.

შენ, რომელი უთესლოდ
ქალწულისაგან იშევ,
დიდებასა შენსა
იზიარენ ქრისტეანენი[2].

რომელმან დაფარა სიღრმესა
მდევარი,
ესე დღეს დაფარეს ქუეყანასა
ზედა
შვილთა მათ ზღჳსა ჴსნილთასა,
ხოლო ჩუენ შემსხმელთაებრ
ჴმა-ვყოთ:
უფალსა უგალობდეთ,
რომელიცა დიდებულ არს. 509 (5) Eu 231 α′

ჰარავო წმიდაო,
ღმრთისა საყუდელო,
რომელი პირველვე
გამოსახულ იქმენ,
რამეთუ შეიწყნარე შენ
არა[3] ანგელოზი, არამედ
წმიდათა უწმიდესი,
დიდებულო დედოფალო.

შემწე და მფარველ მეყავ ჩუენ
მჴსნელად
და შესავედრებელ ცხორებისა
ჩუენისა,
ესე არს ღმერთი მამისა
ჩუენისაჲ
და ავამაღლოთ ესე**,
რამეთუ დიდებულ არს. 510 (6) Eu 240 α′

---

[1] ქ̃ჱ. [2] ქეანენი. [3] არაჲ .

* ღმრთისმშობლისას ახლავს მხოლოდ წითელი წერტილები. ** ძლისპირს მხოლოდ აქ უზის წითელი და შავი წერტილები, დანარჩენ შემთხვევებში მხოლოდ წითელი წერტილებია.



106 r

ვინ შვა ძეჲ თჳნიერ ბუნებისა?
რომელი შვა მამამან უდედოდ
ზეცას, ესე ქალწულმან უბიწომან
გჳშვა ჩუენ, სრული ღმრთეებითა
და კ[ა]ცებითა.

511 (7) რომელმან უფსკრულთა
სივრცისა სიმტკიცე
და სიღრმე საშინელი
შერისხვით განაჴმო
და ერსა თჳსსა წარუძღუა,
ხოლო მტერნი მათნი დაანთქნა,
გალობით უგალობდეთ
საკჳრველთა სასწაულთა
მოქმედსა ძლიერსა ღმერთსა.

შენდა საშოდ, სძალო,
გარდამოჴდა ზეცით
სიტყუაჲ თანაარსი
მამისა და სულისა,
შენგან განკაცებულმან
თავს-იდვა ვნებაჲ და სიკუდილი
კაცობრივ[ი] კაცთა მიერ
და ღმრთეებისა ძალითა
დასცა მტერი სულთა ჩუენთაჲ.

მოიხილესა

მივსცეთ ჩუენ დღე[ს] დიდებაჲ 512 (1)
უფალსა ღმერთსა ჩუენსა.

მადიდებელნი შენნი
გუაცხონენ, ღმრთისმშობელო.

შენ, ღმერთი, ეჩუენე 513 (2)
ღრუბლით გამო ჰაეროანით
მთასა ზედა სასწაულითა
მოსეს, მსახურსა შენსა,
და მძლე ექმნა იგი ბილწთა მათ
მეგჳპტელთა.

შენ გესავთ, სამებაო,
დაბადებულნი ჴელთა შენთანი
არა[1] დავსცხრებით ქებად შენდა

---

[1] არაჲ.

35. ძლისპირნი



106 v

და ყოლად გევედრებით შენ:
შეგჳწყალენ მადიდებელნი შენნი.

514 (3) **რ**ომელმან განავლო ზღუაჲ
მეწამული
მოსეს და ერსა ისრაელისასა
და უდაბნოსა მას სიცხისასა
სალმრთოჲთა მით ღრუბლითა
აგრილობდა,
ესე აქა ჴორცითა
გამობრწყინდა ქალწულისაგან
და შეუწუველად დაიცვა მშობელი
თჳსი,
ვითარცა მაყუალი მთასა სინასა.

მთაჲ წმიდაჲ, მთაჲ სალმრთოჲ,
მთაჲ საკჳრველი —
შემაერთებელი ორთა ბუნებათა,
რომელსა ზედა დაემკჳდრა
სიტყუაჲ იგი დამბადებელი
მთათაჲ,
ადიდებენ ზეცისანი,
ჰნატრიან მას ქუეყანისანი,
რომელმან შვა უმთავრეს[ი]
მთავრობათაჲ
და მან დამაგნა ჩუენ
ღმერთსა სახიერსა.

ნისლსა მას შეუვალსა 515 (4)
შევიდა მოსე — რჩეული
ღმრთისაჲ
და ესმა უსმენელი იგი სიტყუაჲ
უხილავისა მეუფისაჲ
და პოვა მადლი სასწაულთა
საქმისაჲ,
რომლითა დასცნა პირმშონი
ეგჳპტისანი
და იჴსნნა
ძენი ისრაელისანი
მონებისაგან მათისა.

ნათლითა შემოსილსა
ღრუბელსა მას სულმცირესა,
ღირსსა



107 r

მტჳრთველსა ცუა|რისა
ცხორებისასა[1],
ადამიანთა ჴსნისა მიზეზსა,
კიდობანსა მას
ახლისა შჯულისასა,
დედასა მეუფისასა,
წმიდასა მას დედოფალსა
სულიერითა შესხმითა,
მორწმუნენო, შევამკობდეთ.

ნ16 (5) **Ⴍ**ხრაჲ[2] შესაძრწუნებელი
ოდესმე სინას იხილვებოდა,
და განგებულებაჲ
ჴსნისა ჩუენისაჲ
სიბრძნით გამოისახვოდა,
რამეთუ სალმრთოჲ
განჴორციელებაჲ
საიდუმლოდ
მოესწავებოდა,
რაჟამს დიდებაჲ ღმრთისაჲ
სახედ ცეცხლისა
მაყუალსა მას ეგზებოდა
და არა[3]-შემწუველ ექმნებოდა,
რომლისათჳსცა
შჯულისმდებელი
განკჳრვებით იტყოდა:
უფალო, ყოვლისა მპყრობელო;
წმიდა არს და მართალ სახელი
შენი.

Ⴈქმნა სახე[4] ქალწულისაჲ
მაყუალი მოტყინარე ცეცხლითა,
რომელი იხილა
შჯულისმდებელმან
და განჰკრთა გონებითა,
რამეთუ სალმრთოჲ
განჴორციელებაჲ
პირველვე
გამოისახვოდა,
ესე ცეცხლი შეუხებ[ე]ლი
დატევნულ იქმნა
საშოსა ქალწულისასა
და არა[5]-შემწუველ ექმნებოდა,.
არამედ ძალი
მაღლისაჲ ჰფარვიდა,

---

[1] ცხორებისსა. [2] უხრაჲ. [3] არაჲ [4] სახჱ. [5] არაჲ..



107 v

ამან გჳშეა ჩუენ ღმერთი
ღმრთისაგან უდედოდ შობილი
და ესე არს სასოჲ და მეოხი
ჩუენი.

განძლიერდასა

517 (1) Eu 224 γ′ არავინ[1] არს წმიდაჲ
შენებრ, უფალო ღმერთო ჩუენო,
რომელმან აღამაღლე დღეს
რქაჲ ქრისტეანეთაჲ,
დამამტკიცენ ჩუენ ერთობით
კლდესა ზედა სარწმუნოებისასა.

უზეშთაეს არს ყოველსა
წესსა ბუნებათასა
შობაჲ შენი, ქალწულო,
რამეთუ ღმერთი მხოლოჲ
საშოსა დაიტიე
და გჳშევ ჩუენ და დაადგერ
ქალწულად.

518 (2) Eu 238 γ′ იყავ შემწე ჩუენდა, ქრისტე[2],
და მოეც გულსა ჩემსა ნათელი
და განმაძლიერე მე,
რამეთუ შენ მხოლოჲ ხარ ღმერთი
და არავინ[3] არს წმიდაჲ[4]
შენსა გარეშე, ღმრთისა ჩუენისა.

ძურო მარგალიტისა მის
სამეუფოჲსაო, რომელმან
გამოგჳბრწყინვე ჩუენ
ორი ბუნებაჲ ერთობ[ი]თ
შეურევნელად
და განუყოფელად.

519 (3) Eu 229 γ′ სამებაო წმიდაო, აღამაღლე
რქაჲ ეკლესიისაჲ დღეს
მიუდრეკელად, უზეშთაეს
ბუნებათა, სიმაღლესა ზედა
სარწმუნოებისა შენისასა,
საფუძველსა შეურყეველსა
და მას შინა განმაძლიერენ.

კიბედ იაკობისად იწოდე შენ,
რომელსა გარდამოჴდა
დამბადებელი მჴსნელად ჩუენ-
და,
ვითარცა წჳმაჲ საწმისსა ზედა,
მდუმრიად შენგან
გამოგჳბ|რწყინდა,

---

[1] არაჲვინ. [2] ქ̃ე. [3] არაჲვინ. [4] წ̃ჲ.



108 г

დაბადებულთა დედოფალო,
ამისთჳს ყოველნი გადიდებთ.

520 (4) **რ**ომელმან დაამტკიცენ ცანი
Eu 243 γ′ და ქუეყანაჲ წყალთა ზედა,
ქრისტე, განმაძლიერე მე.

რომელმან მუცლად-იღე ღმერთი
უთესლოდ, ქალწულო მარიამ,
ჩუენთჳს, აწ მეოხ გუეყავ.

521 (5) **რ**ომელმან დაამტკიცენ
ეკლესიანი ჯუარითა, ქრისტე[1]
და ძლევაჲ მოჰმადლე
მეფესა ღმრთის-მსახურსა,
დამამტკიცენ ჩუენცა
  დიდებისმეტყუელებად
შენ მეუფისა და ღმრთისა.

რომელი იშევ ჴორცითა
ქალწულისაგან, ქრისტე[2],
და უცვალებელად ეგე
  ღმრთეებითა
მისითა, მოგუმადლე ჩუენ
მოტევებაჲ ბრალთა ჩუენთაჲ.

მომხედენ, მჴსნელო, 522 (6)
ძლეულსა და დაცემულსა,
აღმადგინე და განმაძლიერე
და ღირს მყავ მე შენ თანა
შესუმად დღეს ვნებისა
  სასუმელსა
და ჴმა-ვყო: არავინ[3] არს წმიდაჲ
შენებრ, კაცთ-მოყუარე.

ჯუარსა წინაშე
მჯდომარე დედაჲ უფლისაჲ
ეტყოდა ჯუარსა ზედა ქრისტესა:
ძეო და ღმერთო ჩემო,
დაღაცათუ ჩემგან კაც იქმენ,
ხოლო შენ ღმერთ ხარ ბუნებითა
და აწ ვითარ კაცნი გშჯიან?

[1.2] ქ̃ე. [3] არაჲვინ.



108 v

523 (7) მოეც ძალი უძლეველი
მეფესა მორწმუნესა
ძლევად მტერთა მიმართ
მორწმუნეთა,
ქრისტე[1] — სიტყუაო მხოლოდ-
შობილო,
და აღამაღლე რქაჲ
ეკლესიისა[2] შენისაჲ, რაჲთა
სიხარულით
შვილთა თანა ჴმობდეს:
არავინ[3] არს წმიდაჲ
შენსა გარეშე, უფალო კაცთ-
მოყუარე.

მოუ[ძ]ლურდა მ[ე]ტყუელებაჲ
სოფლისა მეცნიერთაჲ
გამოთქუმად გამოუკულეველსა
მას სახესა შობისა შენისასა,
უსძლოო დედაო
ყოველთა მაცხოვრისაო,
რამეთუ ქალწულმან უთესლოდ
გჳშევ ჩუენ
ღმერთი ჴორცთ-შესხმული
და ქალწულადვე ჰგიე
სამარადისოდ.

მესმასა

ქრისტე ღმერთი ჩემი, 524 (1) Eu 224 ბ'
უფალი ძალ ჩემდა,
ჴმითა მაღლითა იტყჳს ეკლესიაჲ
და ნებისაებრ ღმრთისა
იხარებს სარწმუნოებით
საღმრთოჲთა მით სიხარულითა.

ჭეშმარიტად დიდ არს
და გამოუკულეველ
საიდუმლოჲ შობისა მის შენისაჲ,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
რომელსა ქუეყანისანი
ზეცისათა თანა გადიდებთ.

მესმა სმენაჲ და შემეშინა, 525 (2) Eu 235 ბ'
განვიცადენ საქმენი შენნი და
დამიკჳრდა,
კაცთ-მოყუარე უფალო.

ჩუენ — მორწმუნენი,
შეურვებულნი შენდა

---

[1] ქ Ⴄ. [2] ეკლესიისაჲ. [3] არაჲვინ.

ჳმჲ ბ გ˜ი, უფალო მესმასა



109 г

მოვილტით, ღმრთისა დედაო და ქალწულო,
ნუ უგულებელს-მყოფ ჩუენ.

526 (3) Eu 229 ბ′ **რ**აჟამს წინაჲსწარმეტყუელმან
იხილა საიდუმლოჲ დაფარული,
განკჳრვებულმან ღაღატ-ყო:
რამეთუ დასდევ
წყალობით სიყუარული მტკიცე, მამაო,
და ძე შენი მხოლოდ-შობილი მოეც
ძეთა კაცთა
მომტევებელად ცოდვათა.

წინაჲსწარვე გამოსახეს
მამადმთავართა საიდუმლოჲ შენი,
უქორწინებელო სძალო,
რაჟამს გიწოდეს
მთად და კიბედ, ტაკუკად და სასაკუმევლედ,
კიდობნად შჯულისა, კუერთხად და ფიცრად,
ბჭედ აღმოსავა-
ლისა დაკრძალულად.

527 (4) Eu 227 ბ′ **უ**ფალო, სმენაჲ მესმა
მე მოსლვისა შენისაჲ და შევძრწუნდი,
უფალო, განვიცადენ
საქმენი შენნი საკჳრველნი,
რამეთუ ღმერთი მხოლოჲ
კაცთა მიემსგავსე.

ქალწულო წმიდაო, ღირსო,
რომელმან ჳშევ ღმერთი
შეუცავი
ძალთაგან ზეცისათა,
ქერობინნი ძრწიან მისგან,
სერაბინთა[1] ეშინის,
მისა მეოხ გუეყავ.

528 (5) Eu 240 ბ′ **ე**სმა წინაჲსწარმეტყუელსა
მოსლვაჲ შენი, უფალო,
რამეთუ ქალწულისაგან განჴორციელებად იყავ
და გამოცხადებად კაცთა,
განკჳრდა და ღაღატ-ყო:
დიდებაჲ ძალსა შენსა,
მაცხოვარ.

ქალწულმან შვა ყრმაჲ ად[ა]მის ბუნებითა
და დაიცვა ქალწულებაჲ უბიწოდ

---

[1] სერაპინთაგან.

ჴმაჲ ბ გ˝ჲ, უფალო მესმასა—ღამითგანსა



109 v

შემდგომად შობისა,
რომელსაცა მორწმუნენი
ვადიდებთ
და მისგან შობილსა თაყუანის-
ვსცემთ.

529 (6) Ⴇქუმული ამბაკუმისი
ჭეშმარიტად აღესრულა:
ორთა მათ ცხოველთა
თანაარსი
გამოჩნდა[1], მიიღო
მოკუდავთა მონათა ბუნებაჲ
და თანა-სიკუდილითა
მომცა უკუდავებაჲ.

Ⴟუარსა ზედა ქრისტემან
შეჰვედრა საყუარელსა მას
მოწაფესა[2]:
მშობელი უბიწოჲ,
ვითარცა ყუედრებული
ჰურიათაგან შეურაცხად,
რომელსა ზეცისანი ქებით პატივ-
სცემენ.

Ⴂანკჳრდა წინაჲსწარმეტყუელი 530 (7)
ხილვისაგან საშინელისა,
რაჟამს[3] საიდუმლოჲ ეუწყა,
საშინელითა ჴმითა ღაღატ-ყო:
ღმერთი სამხრით
მოვიდეს, მთით ჩრდილოჲთ,
რომელსა უწოდა მთად და კიბედ
მოსწავებითა
მის მიერ დიდებად ჩუენ[და].

Ⴂანცჳბრდა ბრძენთა
მეტყუელებაჲ
შემსგავსებულად ქებასა შენსა,
უქორწინებელო ქალწულო,
არამედ ჩუენ — ერი მორწმუნეთაჲ
მსგავსად ძალისა ჩუენისა
გადიდებთ სარწმუნოებით,
ყოლად უსძლოო, მეოხ გუეყავ
წინაშე ძისა შენისა.

ღამითგანსა

Ⴌათლითა შენითა | საღმრთოჲთა, 531 (1) Eu 224 ნ'

---

[1] გამოჩ῀ნდა. [2] მოწაფესა+თ῀ს (წიჲ.ლით). [3] რაჲჟამს.



110 r

დიდებულო, სულნი, რომელთა
აღიმსთვეს შენდამი
სიყუარულით,
განანათლენ, რაჲთა გიცნან შენ —
ღმერთი მხოლოჲ —
განმათავისუფლებელი ცოდვათა
მათთაგან.

რომელნი აღგიარებენ შენ
სარწმუნოებით დედად ღმრთისა,
დაბადებულთა დედოფალო,
დაიცვენ, რომელნი მო[გი]გებენ
მფარველად,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
კაცთა სიქადულო.

532 (2) Eu 227 ზ' **შ**ენ, რომელმან შუა-
კედელი ზღუდისაჲ მის
დაჰჴსენ და მოაკუდინე მტერობაჲ
ჴორცითა,
მშჳდობაჲ შენი
მომეც, უფალო, კაცთ-მოყუარე.

ძუელისა და ახლისა
შჯულისა კიდობანო
და შემწყნარებელო საღმრთოთა
წერილთაო,
ვედრებად ჩუენთჳს
ნუ დააცადებ ქრისტეს მიმართ.

ბნელისაგან ცოდვათაჲსა 533 (3) Eu 229 ზ'
გილალადებენ შენ სულნი ჩუენნი,
მრავალ-მოწყალეო ღმერთო,
ნათლითა მით მიუჩრდილებელითა
განგუანათლენ და
წარგჳმართენ სლვანი
ჩუენნი, მახარებელო მშჳდობისაო.

შბიწოდ ჰგიე, ქალწულო,
სულითა და ჴორცითა მარადის,
პირველ მიდგომილებისა



110 v

და მიდ | გომილებასა საღმრთოსა
და შემდგომადცა
შობისა მის უბიწოებით
დადგრომილ ხარ წმიდად[1],
შეუგინებელად.

534 (4) **Ღ**ამითგან შევწიროთ
Eu გალობაჲ შენ ღმრთისა[2],
239, რაჲთა გარდამოგჳელინო
242 ε′ წყალობაჲ შენი, უფალო.

Ქალწულო უსძლო[ო],
წმიდაო მარიამ,
მეოხ გუეყავ ჩუენ, ცოდვილთა,
შენგან შობილისა მიმართ.

535 (5) **Შ**ენდა აღვიმსთობთ,
რომელმან წყალობით
მიეც სული შენი დაცემულთათჳს
ცოდვითა
და ნეფსით ვნებად
გარდამოჰჴედ სიტყუაჲ ღმრთისაჲ,
მშჳდობაჲ შენი მომეც
ჩუენ, ვითარცა კაცთ-მოყუარე
ხარ.

Დაჰჴსნდა მტერობაჲ პირველი,
რამეთუ[3]
შენ მიერ უფალი მონათა თანა
იხილვა
და შენ მხოლოჲ ხარ
ყოლად უბიწოჲ ქალწული
და მეოხი
ყოველთა[4]
მორწმუნეთაჲ, სძალო ღმრთისაო.

Ღამე ბნელი, 536 (6)
წყუდიადი განგუეშორა[5],
რაჟამს ნათელი დაუღამებელი
მოეფინა მყოფთა ქუესკნელისათა,
და ეტყოდეს[6] მკჳდრთა
ქუეყანი[სათა]:

---

[1] წ̄დად. [2] ღჲ. [3] რ. [4] ყ῀ლთაჲ. [5] გ῀ანგჳეშორა. [6] იტ῀ყდეს.



111 г

ისწავეთ სიმართლე, რამეთუ
დასცხრა საცთური,
და მოგუეახლა სარწმუნოებაჲ.

მიხაროდენ,
ესაია[1], ქადაგო[2]
გამოუთქუმელთა საიდუმლოთაო[3],
აჰა ესერა აღესრულა თქუმული
შენი:
უფალი საბაოთ მჯდომარე არს
ღრუბელსა[4] საღმრთოსა
ეტლთა წილ ქერაბინთაჲსა,
რომელ არს უბიწოჲ მშობელი
მისი.

537 (7) **ნ**ესტუმან მან ჴმამაღალმან,
ებანმან სულიერმან
ესაია[5] ღმრთისმეტყუელმან,
იხილა რაჲ უფალი საბაოთ
ცეცხლისფერთა საყდართა ზედა
მჯდომარე,
შეძრწუნებულმან[6] ჴმა-ყო:
ნათელ და ბრწყინვალე არს
სახელი შენი,
უფალო კაცთ-მოყუარე.

ნათელი თუალთ-შეუდგამი,
ჟამთა უპირატესი
დაემკჳდრა[7] ჴორციელად
ტაძარსა მას შინა ჴორცთასა,
საშოსა უბიწოჲსა ქალწულისასა
და მიერ გამობრწყინდა

---

[1] ესაჲ. [2] ქადაგუ. [3] საჲდუმლოთაო. [4] ღრობელსა. [5] ესაჲ. [6] შეძრწუნებიულმან. [7] დაემკუდრა.



111 v

მზე იგი სიმართლისაჲ — მჴსნელი
ყოველთაჲ
და განანათლა სოფელი.

ღაღატყავსა

538 (1) Eu 224 ε' სოფლისა ზ[ღ]უაჲ აღძრულ არს
ღელვითა ცოდვისაჲთა,
საშინელად დამთქამს მე
და მოვიელტი შენდა, ნავთ-
საყუდლისა,
და ესრეთ გიღაღადებ:
დანთქმისაგან მიჴსენ მე, მრავალ-
მოწყალე.

ქალწულო დედოფალო,
რომელმან გჳშევ[1] სიტყუაჲ
დაუსაბამოჲ ჴორცითა,
დააცხრვენ ღელვანი
განძჳნებულნი[2],
გულის-სიტყუანი ჩემნი,
და მოეც სულსა ჩემსა სიწმიდე
საღმრთო.

ცოდვისა უფსკრულთა 539 (2) Eu 229 ε'
მომიცვეს და ვღაღადებ შენდამი:
უფალო, აღმომიყვანე მეცა
იონაჲსებრ დანთქმისაგან
და მაცხოვნე მე, ვითარცა
მოწყალე ხარ.

დაბადებულთა უ-
ზეშთაეს აღემატა ქებაჲ შენი,
ქალწულო, რამეთუ ვერ
მისწუდების
ენაჲ ჩუენი ჯერისაებრ
დიდებად შენდა, ვითარ-იგი შენ
ღირს ხარ.

ღაღატ-ვყავ მწუხარებით[3] 540 (3) Eu 226 ε'
მოწყალისა მიმართ
და კაცთ-მოყუარისა ღმრთისა:

---

[1] გუშევ. [2] განძუნებულნი. [3] მჭოხარებით.

ჴმაჲ ბ გ˜ი, ლადატყავსა



112 г

აღმომიყვანე ღელვათაგან
ცოდვათა ჩემთაჲსა, სახიერო.

მუცლად-იღე, ქალწულო,
ძე ღმრთისაჲ უთესლოდ,
მიუწდომელი[1], ჴსნისათჳს[2],
ნათესავისა კაცთაჲსა
და გამოგჳბრწყინვე[3] მჴსნელი
სულთა ჩუენთაჲ.

541 (4) **ჳ**ითარცა ვეშაპისაგან იჴსენ
წინაჲსწარმეტყუელი,
ეგრეთვე სიღრმეთაგან
ცოდვათაჲსა
აღმომიყვანენ
მგალობელნი შენნი,
კაცთ-მოყუარე უფალო.

მამასა და ძესა უგალობდეთ
და სულსა წმიდასა
ვაკურთხევდეთ[4] და ვიტყოდით:
სამებაო ერთარსებაო,
აცხოვნენ სულნი ჩუენნი —
გევედრებით.

მუცლად-იღო — 542 (5) Eu 231 ε′
იონა ვეშაპმან
და არა[5] განხრწნა მან იგი,
რამეთუ მით მოასწავა
სახე სამ დღე დაფლვისა[6]
შენისაჲ, რომელმანცა[7]
დაფლვაჲ თავს-იდევ
ჩუენთჳს, სახიერ,
და ეტყოდა[8] იგი
მცველთა მათ: ჵ ცრუნო[9],
წყალობაჲ თქუენი დაუტევეთ
თქუენ დ[ღ]ეს.

---

[1] მიუწდუმელი. [2] ჴსნისათუს. [3] გამოვუიბრწყინევე. [4] ვაკორთხევ. [5] არაჲ. [6] დაფლვისაჲ. [7] რუმელმანცა. [8] ეტყუდა. [9] ცრონო.

ჯმაჲ ბ გ̃ი, ლალატყავსა



112 v

მუცლად-ილე
სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ღირსო,
და არა შეგწუა შენ ცეცხლმან
საშინელმან საღმრთომან,
რამეთუ სახედ შენდა იხილა
მოსე მთასა ზედა სინასა
მაყუალი მგზებარე და არა[1]-
შემწუარი,
ხოლო შენ, წმიდაო,
დაგმარხა ქალწულად
შობილმან შენგან ღმრთისა
სიტყუამან.

543 (6) **Ⴈ**ონა ებრაელმან
წინაჲთვე მოგუასწავა
ვნებაჲ მაცხოვრისაჲ,
დაფლვაჲ სამ დღე და აღდგომაჲ[2],
იყო რაჲ მჳეცისა მუცელსა
სამ დღე და სამ ღამე
განუხრწნელად
და, ვითარცა მკუდრეთით,
აღდგა იგი
უფსკრულისა სიღრმითგან.

Ⴀვაზაკთა შორის
ჰხედვიდა ძელსა ზედა
დამოკიდებულსა
ძესა თჳსსა ღმრთისმშობელი,
შეურვებული
გონებითა[3]*
გოდებით იტყოდა[4]: ჭეშმარიტად
მწარე არს ტკივილი შვილობისაჲ
ბუნებასა
კაცობრივსა.

Ⴈონა[5] წინაჲსწარმეტყუელისა 544 (7)
მსგავსად
ვედრებით ვღაღადებ:
განმხრწნელთა ცოდვათაგან ამის
სოფლისათა[6]
გამომიჴსენ, სახიერო,
და აღმადგინენ

---

[1] არაჲ. [2] აღდგუმაჲ. [3] გუნებითა. [4] იტყუდა. [5] ჲონა [6] სუფლისათა.
* ღმრთისმშობლისას აქედან აქვს ნოტაცია.



113 г

ვითარცა-იგი განა | თავისუფლე
იონა პირველ ვეშაპისაგან.

იტჳრთე[1] საშოსა ცეცხლი
ღმრთეებისაჲ,
უსძლო[ო] ქალწულო,
და დაიცევ მის მიერ ყოლად
უვნებელად,
ვითარცა პირველ იონა
მუცელსა შინა
ვეშაპისასა, რამეთუ ღმერთი
იშვა შენგან ჴორცითა.

კურთხეულარსა[2].

545 (1) Eu 224 ζʹ
ყრმათა მათ წმიდათა საკუმილი
შეაცურია ანგელოზმან
მაცხოვრისამან
და ქალდეველნი
შეწუნა ბრძანებამან ღმრთისამან
და მძლავრსა ასწავლა გალობად:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

გარე-შეუწერელსა ღმერთსა
ვაკურთხევდეთ, მორწმუნენო,
სარწმუნოებით
და თაყუანის-ვსცეთ
სამებასა ერთარსებასა
და ესრეთ ღაღადებით
ვიტყოდით[3]:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
[ღმერთო მამათა ჩუენთაო].

546 (2) Eu 229 ζʹ
არა[4] შეშინდეს[5] ბაბილონს
ყრმანი საკუმილსა შეთხეულნი,
არამედ ცუარითა
სხურებულნი[6]
შორის ცეცხლსა ღაღადებდეს:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

მიუწდომელი სამებაჲ

---

[1] იტურთე. [2] კხ ლსა + ქე შეი (წითელი ასომთავრულით). [3] ვიტყუდით. [4] არაჲ. [5] შეშენდეს. [6] სხორებულნი.



113 v

გამოუთქ | უმელი ღმრთეებითა
ბაბილონს სამთა მათ
აღიარეს
და ცეცხლსა შინა ღაღადებდეს:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

547 (3) Eu 235 ζʹ **შ**ენ, რომელმან ისმინე
გალობაჲ სამთა ყრმათაჲ[1]
და საჴუმილი მოტყინარე
შეაცურიე[2],
კურთხეულ ხარ შენ, უფალო.

გიგალობთ შენ, მამაო,
და გადიდებთ შენ, ძეო,
და გიღაღადებთ, სულო[3] წმიდაო,
სამებაო დამბადებელო.

548 (4) Eu 227 ζʹ **ს**ამნი იგი ყრმანი ტრფიალნი
მონებასა ღმრთისასა,
რაჟამს იყვნეს[4] ბაბილონს,
ხატსა მას არა[5] თაყუანი-სცეს
და საჴუმილსა შეითხინეს
და ნაკუერცხალსა მჴნედ
დასთრგუნვიდეს
და ჴმა-ყვეს:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

სძალსა წმიდასა, ქალწულსა
უქორწინებელსა
ქებასა შევსწირვიდეთ,
რამეთუ ქრისტე იშვა მისგან
და ადამეანნი იჴსნა
ბოროტისაგან სახიერებით
და ჴმა-ყვეს:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო [მამათა ჩუენთაო].

ჵ სასწაული, 549 (5) Eu 231 ζʹ
რომელმან საჴუმილსა დაიცვნა
სამნი ყრმანი შეუწველად,
საფლავსა შინა მკუდრად,
უსულოდ იქმნა დღეს
მაცხოვრად ჩუენდა[6],
რომელსა უღაღადებთ: ღმერთო,
მჴსნელო ჩუენო, კურთხეულ ხარ
შენ.

---

[1] ყრმათაჲ. [2] შეაცორიე. [3] სოლო. [4] რაჲჟამს იყოვნეს. [5] არაჲ. [6] „საფლავსა... მაცხოვრად ჩუენდა" სტრიქონს ზემოთაა დაწერილი. სტრიქონზე ნაწერი წაშლილია, ყოფილა; „რ̃ა სიტყუაჲ მამისაჲ მათ შორის იხილვა".

ჴმაჲ ბ გ՛ი, კურთხეულარსა



114 г

ჵ სასწაული,
რომელმან საჴუმილსა დაიცვნა
სამნი ყრმანი შეუწველად,
მანვე დაიცვა
უბიწოჲ მშობელი თჳსი
ყოლად ქალწულად,
რაჟამს განჴორციელდა
საშოსა მისსა უთესლოდ სიტყუაჲ
ღმრთისაჲ.

უცხონი*

550 (6) საკჳრველ[1] არს საჴუმილისაგან
ცუარი
და ყრმათა შეუხებელ ცეცხლი,
და საკჳრველ[2] არს
ქალწულისაგან შობაჲ
და შეუხებელ ჴორცთა
ნივთიერთა,
რამეთუ ჩუენ, მგალობელთა,
ვისწავეთ თქუმად:
ღმერთო საუკუნეთაო,
შენ კურთხეულ ხარ.

საკჳრველ[3] არს შობაჲ შენი,
ქალწულო,
და მოუძლურდების[4] ენაჲ ჩუენი
სიტყუად,
რამეთუ ქალწულმან უცხოდ
მუცლად[5]-იღე
სიტყუაჲ[6] ღმრთისაჲ, პირველ
მზისა შობილი,
და გჳშევ[7] ჩუენ ჴორცითა
ევმანოელ —
მჳსნელი[8] და მაცხოვარი
ადამეანთაჲ.

სტკებნიდეს მგზებარესა მას 551 (7)
ნაკუერცხალსა, ვითარცა ვარდსა,
სამებისა რიცხუნი სამნი ყრმანი,
არა[9] განაჴურვენა ცეცხ[ლ]მან,
რამეთუ აგრილობდა მათ
მსგავსი იგი ძისა ღმრთისაჲ,
და მისა მიმართ იტყოდეს[10]:
ღმერთო, მჳსნელო ჩუენო,
კურთხეულ[11] ხარ შენ.

[1-2-3] საკურველ. [4] მოუძლრდების. [5] მოცლად. [6] სტყაჲ. [7] გუშევ. [8] მჳსნლი. [9] არაჲ. [10] იტყუდეს. [11] კორთხეულ.

* ვერტიკალურად სინგურით.



114 v

ერთ არს წმიდაჲ ერთარსებაჲ
სამებაჲ დაუბადებელი,
არათუ[1] ბუნებით სამებაჲ არს,
არამედ გუამოვნებისა[2].
სახელდებითა სამებაჲ,
მამაჲ, ძე და სული წმიდაჲ,
თჳთებითა[3] სამებაჲ
და ბუნებით[4] ერთარსებაჲ.

აკურთხევდითსა

552 (1) Eu 224 η′ **ს**აკუმილით სამთა ყრმათა
ცუარსა ასხურებდი
და წყალთაგან დასწუენ ელიას
საკუერთხნი,
რამეთუ ნებაჲ შენი, ქრისტე,
მსწრაფლ აღასრულე,
შენ გაკურთხევთ
და აგამაღლებთ უკუნისამდე.

სამებასა წმიდასა, ღმერთსა
ყოველთასა,
მამასა ძისა თანა სულით
წმიდითურთ
მორწმუნენი სარწმუნოებით
თაყუანის[5]-ვსცემთ
და უფროჲსად
ავამაღლებთ მას უკუნისამდე.

ღირსნი ყრმანი 553 (2) Eu 229 η′
ბაბილონს შინა
პირველ შჯულისათჳს მამათაჲსა
იწამნეს,
არა[6] შეშინდეს მეფისაგან
და არცაღა შეიწუნეს[7]
საკუმილისაგან
და შეცურეულნი ცუარითა
ზეგარდამო ღაღადებდეს
და ერთობით იტყოდეს:
ყოველნი საქმენი უფლისანი
აკურთხევდით[8]
ღმერთსა ჩუენსა უკუნისამდე.

სამებაო მიუწდომელო,
მომეც მონათა შენთა მართალთ
აღსაარებაჲ,
რაჲთა გქადაგოთ ღმერთი | სრული

---

[1] არაჲთო. [2] გუმოვნებისა. [3] თუთებითა. [4] ბონებით. [5] თაყანის. [6] არაჲ. [7] შეიწნეს. [8] აკორთხევდით.



115 r

სამგუამოვნად თჳთებითა[1]
შეურევნელად,
ბუნებით განუყოფელად,
ერთარსებით დიდებულად,
და ერთობით ვიტყჳთ ყოველნი:
[ყოველნი საქმენი უფლისანი
აკურთხევდით
ღმერთსა ჩუენსა უკუნისამდე].

554 (3) Eu 239 η′ წმიდანი შენნი ყრმანი ბაბილონს
შინა,
ქერაბინთა მიმსგავსებულნი,
სამსა წმიდასა გალობასა
იტყოდეს:[2]
გაკურთხევთ შენ,
გიგალობთ
და აგამაღლებთ ყოველთა
ღმერთსა.

მიუწდომელ არს შობაჲ შენი,
ქალწულო,
ყოველთა დაბადებულთაგან,
რამეთუ უფროჲს
ბუნებათა არს, ღმრთისმშობელო
ქალწულო,
ვედრებად ჩუენთჳს ნუ დასცხრები.

შეურაცხ-ყვეს ბრძანებაჲ მეფისა 555 (4) Eu 227 η′
უშჯულოჲსაჲ
და შიში ცეცხლისაჲ ყრმათა
ღმერთ-შემოსილთა და
საკუმილსა შინა
შეცურეულნი ღაღადებდეს და
იტყოდეს: ყოველნი
საქმენი უფლისანი
უფალსა უგალობდით
და უფროჲსად ამაღლებდით მას
უკუნისამდე.

სუფევს წმიდაჲ სამებაჲ
კეთილთა ზედა,
რამეთუ არსვე მიზეზი ყოვლისა
[სი]კეთისაჲ, რომელმანცა
მიკსნა,
ხოლო ჩუენ მისა მიმართ
ვღაღადებთ ყოველნი:
საქმენი უფლისანი
უფალსა [უგალობდით
და უფროჲსად ამაღლებდით მას
უკუნისამდე].

ყრმათა საღმრთოთა 556 (5)
პირველად არცხჳ|ნეს[3]

---

[1] თუთებითა. [2] იტყუდეს. [3] არცხუნეს.



115 v

მძლავრებასა უღმრთოთასა
და [დ]ღეს ქრისტესთჳს[1]
შეკრბა კრებული ღმრთის-
მბრძოლთაჲ[2] და ზრახვა ყვეს
ზრახვაჲ ბოროტისაჲ[3]
და სიკუდილად მისცეს
განმაცხოველებელი მკუდართაჲ,
რომელსა ერნი
უფროჲსად ამაღლებე[ნ] მას
უკუნისამდე.

Ⴄსრეთ ვიცნობთ ჩუენ
ჭეშმარიტსა ღმერთსა
ბუნებით ერთარსებად,
ხოლო თჳთებით[4]
სამგუამოვნად სრულად იწოდების
სამმნათობიერი
ერთი ბრწყინვალებაჲ,
ერთი ფლობაჲ,
ერთი უფლებაჲ,
ერთი არსებაჲ,
ერთი მეუფებაჲ,
სამებაჲ წმიდაჲ.

Ⴚაჲ ვრცელი განცჳბრებულ[5] არს 557 (6) Eu 231 ჹ´
და ძრწის საფუძველი[6]
ქუეყანისაჲ დღეს შიშით,
რამეთუ მაღალთა შინა ღმერთი
შერაცხილ მკუდართა იქმნა
და აწ კნინსა საფლავსა ესტუმრა;
ყრმანი აკურთხევდით მას,
მღდელნი უგალობდით მას,
ე[რნი] უფროჲსად
ამაღლებდით ღმერთსა მარადის.

Ⴚხორებაჲ ცხორებისაგან,
დაუსაბამოჲ დაუსაბამოჲსაგან,
ნათელი
ნათლისაგან მამისა,
ღმერთი კაც-იქმნა ჩუენთჳს
და მან მომცა ჩუენ სული იგი
ცხოველი,
სული იგი სიბრძნისაჲ,

---

[1] ქ˝ესთჳს. [2] მბრძულთაჲ. [3] ბორიტისაჲ. [4] თუთებით. [5] განცობრებულ. [6] საფოძეელი.



116 r

სული | შიშისა ღმრთისაჲ,
სული ზრახვისაჲ
საღმრთოჲსა მის მეცნიერებისაჲ.

უცხონი*

558 (7) Eu 240 η′ **რ**ომელსა მჴედრობაჲ
უჴორცოთაჲ აქებს
და ძრწიან მისგან
ქერაბინ-სე[რაბ]ინნი,
ყოველი სული გალობით
აკურთხევდით[1]
და უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე.

ნათელი ნათლისაგან,
ღმერთი ღმრთისაგან
მამისა, ღმრთისა სიტყუაჲ
გამოგჳჩნდა[2]
წმიდისაგან მუცლისა[3] შენისა,
ქალწულო უბიწოო[4],
რომელმან განგუანათლნა ბნელსა
შინა მსხდომარენი.

559 (8) **ს**ამებისა რიცხუნი ყრმანი
საჴუმილსა შინა დაიცვებოდეს
საშინელისა ანგელოზისა
მოვლინებითა
და საუცრად[5] განცხრომასა
მძლავრთასა არცხუენდეს
და სიხარულით იტყოდეს[6]:
საკჳრველთ[7]-მოქმედო ღმერთო,
აგამაღლებთ შენ.

სამებისა ერთარსებაჲ
მოგუესწავა ჩუენ —
მართლმორწმუნეთა,
და აღვიარებთ დასაბამ-
დაუბ[ა]დებელსა მას,
ყოველთა სიბრძნით
დამბადებელსა,
რომლისა
სუფევაჲ საუკუნე არს,
რომელსა სარწმუნოებით
აღვიარებთ მას
აწ და უკუნისამდე.

არა ერჩდეს სამნი ყრმანი 560 (9)
ბრძანებასა მეფისასა ბაბილონს
და არცა თაყუანი-სცეს.

---

[1] აკორთხევედით. [2] გამოგუჩნდა. [3] მოცლისა. [4] უბწ̃ო. [5] სუცრად. [6] იტყუდეს:
[7] საკურეელთ-.
* ვერტიკალურად, კიდეზე.

ჴმაი ბ გ͞ი, აკურთხევლითსა



116 v

ხატსა მას ოქროჲსასა,
რამეთუ[1] ესვიდეს
მაღალსა მას მეუფესა,
იწამნეს ცეცხლითა
და ცუარითა სხურებულთა[2]
ღაღატ-ყვეს:
გაკურთხევთ[3] შენ, ღმერთსა,
და აგამაღლებთ უკუნისამდე.

აღვიარებთ მორწმუნენი
სარწმუნოებით სამებასა წმიდასა,
სწორსა პატივითა და
სრულსა ძლიერებითა,
უხილავსა ღმრთეებითა
და გამოუთქუმელსა
შემოქმედებითა,
მამასა ძით და სულით
წმიდითურთ[4]
დაუცხრომელად ავამაღლ[ებთ]
უკუნისამდე.

561 (10) Eu 233 η' ἄλλος შემწველისა მის ცეცხლისა
შჳდწილ[5] ამაღლებული ალი
ახოვანთა მათ ყრმათა
სარწმ[უ]ნოებითა სამებისაჲთა
უშიშად დათრგუნეს
და შორის საჴუმილსა მას
ცეცხლისასა შეთხეულნი
გალობასა მას
მადლობისა იტყოდეს[6]:
აკურთხევდით, უგალობდით
და ამაღლებდით
ღმერთსა ცხოველს-მყოფელსა
უკუნისამდე.

შუენიერ იქმენ შენ, ღირსო,
სათნოებათა სიკეთითა,
ამისთჳს[7] სთნდა[8] ქრისტესა
დამკჳდრებაჲ შენ შორის,
ღმრთისმშობელო,
განათლებად ჩუენდა,
რომელნიცა სიხარულით
მკურვალედ[9] მისა მიმართ
გალობასა მას
[მადლობისა ვიტყოდით:
აკურთხევდით, უგალობდით
და ამაღლებდით
ღმერთსა ცხოველს-მყოფელსა
უკუნისამდე]*.

---

[1] რამეთო. [2] სხორებულთა. [3] გაკორთხევთ. [4] წ˝თორთ. [5] შუდწილ. [6] იტყუდეს. [7] ამისთჳს. [8] სთ˝ნდა. [9] მკორვალედ.

* კავებში ჩასმული რეფრენის ნაცვლად ნუსხაშია: „იგივე“.

ჯმაჲ ბ გ~ი, ალილებლითსა



117 r

ადიდებდითსა

562 (1) Eu 224 ϑ' **ღ**მერთი შეუძლებელი ხილვად
კაცთაგან, რომელსა
გუ[ნ]დნი ანგელოზთანი ვერ
მიხედვენ,
ქალწულო, გამოუჩნდა შენ მიერ
კაცთა
სიტყუაჲ ჴორციელ-ქმნული,
რომელსა ვაკურთხევთ
უჴორცოთა თანა, და შენ დღეს
გალობით გადიდებთ.

ა **ღ**რუბლად სულმცირედ იწოდე
ეგჳპტეს[1] შემავალად,
რომელსა გეტჳრთა[2] ღმერთი
ყოველთაჲ
მკლავთა ზედა[3], უბიწო[ო]
ღმრთისმშობელო,
ამისთჳს მორწმუნენი
მარადის გნატრით შენ:
ნუ დასცხრები ოხასა ჩუენთჳს
მაცხოვრისა მიმართ.

სამწყსოჲ შენი დაიცევ, ქალწულო ბ
ღმრთისმშობელო,
და მეფე მორწმუნე განაძლიერე,
რომელი შენ გხადის შემწედ და
ნიშითა
ჯუარისაჲთა სძლევს მტერთა,
განძლიერებული
აღგიარებს დედად მჴსნელისა
და ქებით გადიდებს.

მ[ო]უგონებელსა და თუალთ- ბ
შეუდგამსა ნათელსა,
უხილავსა ძალთაგან ზეცისათა,
სამებასა — სამგუამოვნებით
ცნობილსა,
გარე-შეუწერელსა,
ერთღმრთეებად ვხადით,
მამასა ძით და სულით
წმიდითურთ
გალობით ვადიდებთ.

ვიხაროდენ,
ქალწულო უბიწო[ო], რამეთუ 563 (2) Eu 239 ϑ'
შენ მხოლოსა

---

[1] ეგუპტეს. [2] გეტუთა. [3] ზ ა.



117 v

ყოველნი დაბადებულნი გალობით
გადიდებენ.

ა **გ**იხაროდენ,
ეტლო და საყდარო ღმრთისა
მაღლისაო,
რომელსა
ყოველნი დაბადებულნი
გალობით გადიდებენ.

ბ **ს**ამებასა
წმიდასა განუყოფელად ყოველნი
ვადიდებდეთ,
ერთსა ღმრთეებასა
ჭეშმარიტად სარწმუნოებით[1].

564 (3) Eu 229 ϑ' **შ**ენ მხოლოჲ სანატრელ ხარ
თესლებსა შორის, ქალწულო[2],
რამეთუ გამოგჳბრწყინდა[3]
შენგან ნათელი
მსხდომარეთა ბნელსა მას შინა
და განანათლნა სულნი ჩუენნი[4],
ამისთჳს[5], ღმრთისმშობელო,
სამართლად გადიდებთ.

მოვედით, მორწმუნენო,
ვადიდებდეთ ქალწულსა,
მტჳრთველსა მარგალიტისა
სამეუფოჲსა
მრავლისა მის სასყიდლისასა,
განვყიდნეთ მონაგებნი ჩუენნი
და იგი მოვიყიდოთ
განმამდიდრებელი.

შენ, სამებით ცნობილო,
ერთარსებით დიდებულო,
მხოლოო შეუხებელო,
უცვალებელო
და განუკუეთელო მთავრობაო,
სამებაო ერთარსებაო,
ყოველნი მორწმუნენი გალობით
გადიდებთ.

მაყუალი სულიერი, 565 (4) Eu 235 ϑ''
რომელი იხილა მოსე
მთასა სინასა,
მოტყინარე შეუწველ|ად,

---

[1] სარწმონოებით. [2] ქალწოლო. [3] გამოგუბრწყინდა. [4] ჩ˝ნი. [5] ამისთუს.



118 r

სახედ შენდა გამოჩნდა,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
ამისთჳსცა[1] ყოველნი გადიდებთ.

ა აღმოჰფხუარ ძირი
საცთურისაჲ[2], ქალწულო მარიამ,
და დაჰნერგე ხე ცხორებისაჲ,
უბიწო[ო],
რომელმანცა აღავსო ნაყოფითა
ქუეყანაჲ,
და ყოველნი მის მიერ
ვცხონდებით.

ბ მამასა მხოლოსა,
მშობელსა ძისა მხოლოჲსასა და
სულსა ცხოველსა,
ყოველთა შემოქმედსა
სამებასა, გამოუთქუმელსა
მთავრობასა
მორწმუნენი ვაქებდეთ,
ვადიდებდეთ[3].

566 (5) რომელი უმაღლეს ხარ
Eu ქერაბინთა
230 ϑ'

და უდიდებულეს, უზეშთაეს
სერაბინთა,
რომელმან იტჳრთე[4] სიტყუაჲ
ღმრთისაჲ ჴორცითა,
ვითარცა ღმრთისმშობელ ხარ,
გალობით გადიდებთ.

რომელსა წინაჲსწარვე ა
ქადაგებდეს
წინაჲსწარმეტყუელნი და
მამადმთავარნი, ღირსო,
რამეთუ შენგან იშვა მჴსნელი
ყოველთაჲ ჴორცითა,
რომელსა ჩუენ, ყოველნი,
გალობით ვადიდებთ.

რომელსა ზეცისა უჴორცონი ბ
წმიდაარსობით[5] დაუცხრომელად
ადიდებენ,
სამებასა, ერთარსებით
დაუბადებელსა,
ჩუენ, ყოველნი მორწმუნენი,
გალობით ვადიდებთ.

---

[1] ამისთუსცა. [2] საცთორისაჲ. [3] ქ῀ბდთ. ვ῀დბდით. [4] იტურთე. [5] წ῀რსობი.



118 v

567 (6) Eu 231 ϑ' **ნ**უ მტირ მე, დედაო, რაჟამს[1]
გიხილო მე, ძე შენი,
რომელი მშევ უთესლოდ,
საფლავსა დადებულად,
არამედ აწ აღვდგე და
ავმაღლდე ზეცას
ქებით, ვითარცა ღმერთ ვარ,
და ვიდიდო მე მათგან,
რომელნი ჭეშმარიტად
ღმრთისმშობლად გხადიან[2].

ა **ი**თხოვა ღმრთისაგან სიბრძნე
გედეონ სასწაულად,
რაჲთამცა გულისჴმა-ყო
შენგან შობაჲ, ქალწულო,
და უჩუენა ღმერთმან
საიდუმლოჲ ესე:
თჳნიერ ჰ[ა]ერისა
წჳმაჲ საწმისსა ზედა,
ზეცით შენდა მდუმრიად
ცუა[რი] ცხორებისაჲ.

ნუ მიმცემ ჴელთა მტერთასა[3] ბ
მოსავთა შენთა, ქრისტე,
რომელნი მოგჳყიდენ
სისხლითა უბიწოჲთა,
არამედ დამიცვენ
ყოლად უ[ვ]ნებელად,
რომელნი თანა მამით*
და სულით წმიდითურთ სამებასა
წმიდასა გალობით [ვადიდებთ]..

წესნი სულიერნი ზეცას გ
მაღალთა შინა მყოფსა
სამებასა წმიდასა,
ყოველთა შემოქმედსა,
უგალობენ ძრწოლით
და ჩუენ, მორწმუნენი,
სამგუამოვნად ცნობილსა
ერთსა ბუნებასა
განუყოფელსა შიშით თაყუანის[3]–
ვსცემდეთ..

---

[1] რაჲჟამს. [2] გიხადან. [3] მტერთაჲსა [4] თაყნს.

* აქედან გვერდის ბოლომდე ტექსტი განკვეთილია თითო შავი წერტილით.

ჴმაჲ ბ გ˝ი, ადიდებდითსა



119 г

568 (7) ღრუბელსა სულმცირესა
მტჳრთველსა მზისა მის
სიმართლისა,
საწმისსა საღმრთოსა,
მშობელსა ცუარისა მის
ცხორებისასა,
ბჭესა სულიერსა,
შემწყნარებელსა
მთავარსა მას მთავრობათასა,
ტაკუკსა ოქროჲსასა,
სამკჳდრებელსა[1] ზეცისა*
მანანაჲსასა,
ვენაჴსა სიწმიდისასა,
გამოღებულსა
ნაყოფსა უკუდავებისასა,
ეტლსა და საყდარსა მაღლისასა,
უბიწოსა ქალწულსა
ყოველნი ვადიდებთ.

ღმრთისმშობელსა მარიამს,
მაყუალსა საღმრთოჲსა
ცეცხლისა[2] მტჳრთველსა,
კიბესა[3] საღმრთოსა,
იაკობის მიერ მოსწავებულსა,
ადამის ნაშობთა
ჴსნისა მიზეზსა,
ცათა მაღალთა უმაღლესსა,
რომელმან დაიტია
სამოსა დაუტევნელი ღმერთი
ჴორცითა
და გჳშვა[4] ჩუენ ევმანოელ,
ჩუენ თანა ღმერთი,
და კუალად ქალწულადვე ჰგიეს
უზეშთაეს ბუნებათა,
უბიწოსა ქალწულსა
ყოველნი ვადიდებთ.

საკჳრველ არს 569 (8
საჲდუმლოჲ[5] დიდებული
შობისა შენისაჲ,
ასულო ადამისო,

---

[1] სამკუდრებელსა. [2] ცეცხხლისა. [3] კებესა. [4] გჳვა. [5] საჲდუმლოჲ.
* ჩამატებულია.

ქმაჲ ბ გ̃ი, აღიღებღითსა



119 v

რამეთუ შენ ხარ კიბე,
აღმყვანებელი კაცთაჲ
ზეცისა სუფევასა,
ამისთჳს დაუცხრომელად,
შენ, ღმრთისმშობელო,
გალობით გადიდებთ.

სამოსელი სიცრუვისაჲ
განვიძარცუეთ
და შევიმოსეთ ჩუენ
სპეტაკი და ბრწყინვალე
ქსოვილი, წყალობითა[1] ყოლად
წმიდისა[2] სულისაჲთა ვიხილეთ
ნათელი სამებისაჲ, რომელსა
დაუცხრომელად ვადიდებთ.

570 (9 **გ**იხაროდენ, ღმრთისა დამტევნელო
და ანგელოზისა მიერ ხარებულო[3],
რამეთუ შენ მიერ დაჰჴსნდა
წყევაჲ ევაჲსმიერი
და აღემართა ნათესავითურ[თ]
მისით
შობითა შენითა,
დედაო მჴსნელისაო,
დაუდუმებელად გადიდებთ შენ.

გიხაროდენ, ღმრთისა
[ს]ყდარო მაღლისაო,
გიხაროდენ, სულმცირეო
ღრუბელო,
გიხაროდენ, საწმისო
ცუარისა საღმრთოჲსაო,
გიხაროდენ, მაყუალო შეუწველო,
გიხაროდენ, მიზეზო კაცთა
ჴსნისაო,
გიხაროდენ, სძალო ღმრთისაო.

უთესლოდ მუცლად-ღებამან 571 (10)
უსძლოჲსა დედისამან Eu
და უხრწნელად | შობამან 240 ϑ'

---

[1] ⴜⴗⴊⴈⴇⴀ. [2] ⴜ̃ⴢⴑⴀ. [3] ⴞⴀⴐⴄⴁⴓⴊⴍ.



120 г

ღმრთისა განკაცებისამან
განაახლა ბუნებაჲ[1],
რომლისათჳსცა[2] დაბადებულნი
ღმრთისა სძალსა და დედასა
დაუცხრომელად ვადიდებთ.

უცხოსახე საიდუმლოჲ[3]
შობისა მის შენისაჲ
უზეშთაეს იპოვა
ბუნებასა კაცთასა,
რამეთუ მუცლად-იღე
უთესლოდ ძე
და სიტყუაჲ ღმრთისაჲ
და გჳშევ[4] ჩუენ ჴორცითა
ღმერთი და კაცი სრული.

---

[1] ბუნებაჲ. [2] რომლისათუსცა. [3] საჲდუმლოჲ. [4] გუშევ.

ჴმაჲ გ გ˝ი, უგალობლითსა



120 v

ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი

უგალობდითსა ჴმაჲ გ̃ი*.

572 (1) Eu 286 α′ უფსკრულთა[1] ზღჳსათა დაანთქა
ეტლებითურთ
ფარაო შემმუსრველმან
ბრძოლათამან[2] ქრისტემან
ღმერთმან**,
მას უგალობდეთ, რამეთუ
დიდებულ არს.

შენ ხარ სასოჲ და სიქადული
ჩუენი,
ღმრთისმშობელო ქალწულო[3],
ვედრებად ნუ დასცხრები
ჩუენთჳს,
რაჲთა მიჴსნეს ჩუენ ცოდვათა
ჩუენთაგან.

573 (2) Eu 280 α′ წამისყოფითა, ღმერთო,
ბუნებანი მდინარენი
ზღუდედ აღამაღლენ და მას შინა
განიყვანე
ერი
ისრაელთაჲ ჴმელა[დ] და
გიგალ[ო]ბდეს
გალობასა ძლევისასა.

დაჴსნდა წყევაჲ ევაჲსი,
პირველისა მის დედისაჲ,
რაჟამს უსძლომან შვა უაღრესი
ბუნებათაჲ,
ხოლო
ერი მორწმუნეთაჲ, ვითარცა ღირს
არს,

---

[1] ოფსკრულთა. [2] ბრძულათამან. [3] ქალ მო.

* მინაწერი ასომთავრულით: ქ̃Ⴀ შ̃ე იორდანე ა̃ნ. ** აქედან გვერდის ბოლომდე განკვეთისათვის მხოლოდ წითელი წერტილებია გამოყენებული.



121 r

გალობით ადიდებენ მას.

574 (3) **რ**აჲთა უგალობდე
Eu დიდებასა შენსა, ქრისტე,
303 α′ გამოუთქუმელითა[1] ქებითა, აღაღე
პირი ჩემი
შესხმად მცნებათა შენთა*
და ბაგენი ჩემნი უთხრობდენ
მოწყალებათა შენთა.

პლდისაგან გამოუკუეთელისა
მოხუედ, ქრისტე,
რომელ არს დედაჲ ქალწული
უქორწინებელი,
სიტყუაჲ დაუსაბამოჲ
დაუსაბამოჲსა მამისაჲ
ცხორებად სულთა ჩუენთა.

575 (4) **ღ**მერთსა, რომელმან დაანთქა
Eu მეწამულსა ზღუასა მტერი
285 α′ ფარაო,
ძლევისა გალობითა
უგალობდეთ, რამეთუ დიდებულ
არს.

ქალწულისაგან შობილსა,
რომელმან ყო მშობელი
ქალწულადვე,
უგალობდეთ, რამეთუ
[დიდებულ არს].

წმიდაო ღმრთო, 576 (5)
დამბადებელო და გამოუთქუმელო,
ძლიერებითა მკლავისა
შენისაჲთა
იჴსნენ ისრაელნი ჭირისაგან,
და გზა-ექმენ მათ სიღრმესა
ზღჳსა მის მეწამულისა
ოტებულთა[2] ფარაოჲსაგან,
გან-რაჲ-ვლინეს[3] ჴმელად,

---

[1] გამოოთქუმელითა. [2] უტებულთა. [3] -ვინეს.

* მხოლოდ აქ უზის ორ-ორი წერტილი, დანარჩენ შემთხვევებში მხოლოდ შავი ჯწერტილებია.



121 v

გიგალ|ობდეს მხოლოსა
ძლიერსა ღმერთსა და მჴსნელსა
უფალსა.

ა **შ**ფალო ღმერთო,
სიტყუაო ყოვლისა მპყრობელო,
რომელი ჩუენთჳს[1] იშევ
ქალწულისაგან,
აწ შეიწირე ოხაჲ[2] მისი
და მოგჳტევენ[3] ყოველნი
ცოდვანი ჩუენნი,
რომელნი ღმრთისმშობელად
ვხადით
და ვითარცა უვაღრესსა ბუნებათა
ჩუენთასა,
შემდგომად შენსა მას ვადიდებთ.

ბ* **წ**ინაშე ღმრთისა
მდგომი გაბრიელ, მთავარი
უჴორცოთაჲ,
ბრძანებითა საუფლოჲთა
მოივლინა
შენდა, ყოლად უბიწო[ო],
და ძლიერად ჴმა-ყო მიზეზი
ჴსნისა ჩუჱნისაჲ,
რაჟამს-იგი გეტყოდა შენ:
შენ მიუდგე სულითა
წმიდითა და შვქ მჴსნელი,
რომელმან იჴსნეს დაბადებულნი.

რომელმანცა უფსკრულთა 577 (
სიღრმე ქუეყანაჲ კაცთა სავალად Eu 281 (
შეჰმზადა
და დაფარა სიღრმესა
ფარავო მჴედრებითურთ[4],
უგალობთ მას, რამეთუ დიდებულ
არს.

ადგილი სიწმიდისაჲ
და ტაძარი ღმრთისა დიდებისაჲ
იხილვე,
მთაჲ სიონი[5], ქალაქი
მეუფისა მაღლისაჲ, ქრისტეს
დედაო,
ჩუენ, ყოველნი, გნატრით შენ.

---

[1] ჩ̃ნთუს. [2] უხაჲ. [3] მოგუტევენ. [3] მჴედრებითორთ. [5] სიუნ.

* ხელნაწერში უზის ვარსკვლავი, რაც ძლისპირებს ახლავს ხოლმე, მაგრამ არ აქვს ნევმები, სხვა ნუსხების მიხედვითაც ღმრთისმშობლისაა.



122 г

578 (7) Eu 287 α' **რ**ომელი შეეწია
ღმერთი მოსეს ეგჳპტეს[1] შინა
გამოყვანებად ისრაელისა,
მას მხოლოსა უგალობთ, რამეთუ
დიდებით დიდებულ არს.

რომელმან თანაარსი
მამისა და სულისა[2] წმიდისაჲ
გჳშევ[3] ჩუენ, ქალწულო
ღმრთისმშობელო,
მას მხოლოსა უ[გალობთ, რამეთუ
დიდებით დიდებულ არს].

579 (8) Eu 288 α' **უ**გალობდეთ[4] უფალსა,
რომელმანცა დაანთქა ძლიერებაჲ
ფარაოჲსი
ზღუასა მას მეწამულსა
ძლევისა გალობითა,
რამეთუ დიდებულ[5] არს.

რომელმან უხრწნელად ჰშევ
სიტყუაჲ ღმრთისაჲ, და უცვლელად
ეგე ქალწულადვე,
დედაო იესუჲსო[6],
ითხოვე ჩუენთჳს[7],
რაჲთა მოწყალე მექმნეს.

ღმერთსა, რომელმან ქმნა 580 (9) *
სასწაული მოსეს მიერ
ზღუასა მას მეწამულსა,
ძლევისა გალობითა
უგალობდეთ, რამეთუ დიდებულ
არს.

რომელმან შემუსრნა[8] 581 (10)
ბრძოლანი მკლავითა თჳსითა[9] და
რჩეული იგი
მჴედრებითურთ დაანთქა ზღუასა,
უგალობდეთ მხოლოსა
ღმერთსა ჩუენსა,
რამეთუ დიდებულ[10] არს.

მეუფისა ღმრთისა
მშობელო, ამპარტავანთა იგი
ძალი დაამჴუ შენ
და იჴსენ ბოროტისაგან, რომელი
პატივ-გცემს
ღმრთისმსახურებით[11],
ქალაქი შენი, დედოფალო.

---

[1] ეგუპტეს. [2] სულისაჲ. [3] გუშევ. [4] ოგალობდეთ. [5] დბდბლ.˝ [6] ი˝ჳსოჲსო. [7] ჩ˝ნთუს. [8] შემოსრნა. [9] თუსითა. [10] დ˝ბდბლ. [11] რ˝ლის მსახორებით.

* მხოლოდ ძლისპირია.



122 v

582 (11)* მდევართა მათგან ფარაოჲსთა
ოტებული ერი ღმრთისაჲ,
რაჟამს ეწყო განსლვად[1]
ზღუასა მას მეწამულსა,
განიპნეს სიღრმენი მისნი,
ხოლო ისრაელი ღაღადებდა
ძლიერად: ესე არს ღმერთი
შემოქმედი სასწაულთაჲ,
რომელმან მიჴსნა ჩუენ
ჭირთაგან და შრომათა
ეგჳპტისათა.

მოიხილესა

583 (1) Eu 289 β′ მოიხილე, ცაო,
და ვიტყოდით
და ვადიდებდეთ ქრისტესა[2],
მაცხოვარსა სოფლისასა,
დამბადებელსა ყოველთასა.

შენ, უბიწოვო ქალწულო,
თანამოგზაურ ექმენ
სულთა ჩუენთა და უცთომელად
მიმიძღუ წინაშე ძისა შენისა.

მოიხილე, უფალო, 584 (2)
ძალლით წმიდით ჩუენ ზედა
და მომეც ჩუენ ჯუარი შენი
საძლეველად
მარადის მბრძოლთა[3] ჩუენთა,
მტერთა მათ უხილავთა,
რაჲთა დავსცეთ ძალი მათი,
ვითარცა-იგი მოსე[4] — ამალეკისაჲ.

დედათა დიდებაო,
ქალწულთა სიქადულო,
ადამის ნათესავთა სამკ[აუ]ლო,
ორისა მის ბუნებისა
განუყოფელად მშობელო,
შენ ხარ სასოჲ ჩუენ ყოველთაჲ,
მარიამ დედოფალო, მეოხ გუეყავ
ჩუენ.

---

[1] გ̃ნსვ დ. [2] ქ̃ესა. [3] მბრძულთა. [4] მოსჱ.

* ძლისპირს არ ახლავს ღმრთისმშობლისა, ნოტაცია და წითელი წერტილები.


123

123 r

585 (3) **გ**ანჳკრთა გულითა
მოსე, ოდეს იხილა უცხოჲ
ხილვაჲ:
მაყულოვანსა მას შინა ცეცხლი
იგი მგზებარე,
რამეთუ ალი ამა[ღ]ლდებოდა,
ხოლო მ[ა]ყუალსა მას არა[1]
ევნებოდა მისგან,
სახედ აჩუენა უფალმან
და მოგასწავა[2], ვითარმედ
არა[3] შეწუას შობასა
საღმრთომან ცეცხლმან საშოჲ
ქალწულისაჲ.

ზეცისა დასნი,
გუნდნი უჴ[ო]რცოთა
ანგელოზთანი
გარე-შეუწერელსა სამებასა
ღმერთსა,
განუყოფელსა ერთარსებასა
დაუცხრომელითა ჴმითა გალობით
აქებენ:
წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა
არს.
მამაჲ დაუსაბამოჲ ძით და სულით
წმიდითურთ,
სამებაჲ ერთარსებით
მიუწდომელი[4].

სასწაულთა მოქმედებითა 586 (4)
მოსე წინაჲსწარმეტყუელმან
შეაძრწუნა ღმრთის-მბრძოლნი
იგი მეგჳპტელნი,
რამეთუ მოიღო მან მაღლით
ძალი უძლეველისაგან
ღმრთისა უხილავისა,
რომლისა ხილვითა განბრწყინდა
პირი მისი
უბრწყინვალეს ნათელსა მზისასა,
რომლისაგან დაიფარვოდეს
ძენი ისრაელისანი.

---

[1] არაჲ. [2] მოვასწავა. [3] არაჲ. [4] მიიუწდომელი.

ქმაჲ გ გ˜ი, მოიხილესა



123 v

ცეცხლი ღმრთეებისაჲ იტჳრთე
მიუწდომელად, უბიწოვო,
საშოსა შენსა და არა შეიწუ
მისგან,
ვითარცა სინას მაყუალი,
რომელი იხ[ი]ლა მოსე[1]
სახედ შენდა, ღმრთისმშობელო,
რამეთუ გფ[ა]რვიდა ძალი იგი
მაღლისაჲ
და გაგრილობდა ცუარი
ცხორებისაჲ,
რომელი ზეცით გარდამოჴდა
საწუმისსა მას გედეონისსა.
სახესა მას შინა
იგავით გამოსახულსა
ქალწულებისასა,
რომლისაგან
განჴორციელდა
მხოლოდ-შობილი სიტყუაჲ
ღმრთისაჲ
და შეუწუველად
დაიცვა მშობელი თჳსი,
მას მხოლოსა
ულალადებდეთ
და მივსცეთ დიდებაჲ
სახელსა მისსა წმიდასა.

587 (5) რომელმან დასცნა
პირმშონი ეგჳპტისანი
მოსეს მიერ სასწაულთა საქმითა
და ძლეულ ყო
ძალი წინააღმდგომთაჲ
უძლეველმან ღმერთმან,
რაჟამს-იგი ეჩუენა მას
რომელმან დაჰჴსნა
პირველ მწუხარებანი
და შეცვალა წყევაჲ კურთხევად
საუკუნოდ,
უბიწოსა
ქალწულსა ღმრთისმშობელსა,

---

[1] მოსჱ.

ქმაჲ გ გ˝ი, მოიხელესა — განძლიერდასა



124 г

ცათა უვრცელესსა,
მიზეზსა ცხორებისასა,
ეტლსა და საყდარსა
სიწმიდისასა, დედასა მეუფისასა,
რომლისაგან
განჴორციელდა
მხოლოდ-შობილი სიტყუაჲ
ღმრთისაჲ
და არსებითა
დაადგრა უცვალებელად,
მას, მხოლოსა, მეოხს-ვიყოფდეთ
და მისგან შობილსა
ქრისტესა თაყუანის-ვსცემდეთ.

588 (6) **კ**ლდე განაპო ქრისტემან
და განაძღო ერი იგი წყურიელი
და მანანაჲ უწჳმა,
რაჲთამცა გულისჴმა-ყვეს
ძლიერებაჲ მისი.

შეოხ გუეყავ[1], ქალწულო,
რომელმან ჰშევ ქრისტე[2],
მიჴსენ ცოდვათაგან
ჩუენთა აურაცხელთა, რომელნიცა
მსძლავრობენ
ცოდვილსა სულსა ჩემსა.

განძლიერდასა

შენ, ქრისტე[3], ღმრთისა ძალო, 589 (1) Eu 286 γ'
მიჴსენ მე ჴელთაგან
მტერთაჲსა,
რომელნი მესრიან მე
ისრითა ვნებათაჲთა, რამეთუ
ფრიად მოუძლურებულ ვიქმენ,·
არამედ განმაძლიერე
უცვალებელად,
რაჲთა გაქებდე, მოწყ[ა]ლეო·

აღგიარებთ ყოველნი მორწმუნენი
სარწმუნოებით,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
რამეთუ უფროჲს ბუნებათა
იტჳრთე
დამბადებელი შენი ღმერთი და
მეოხად მიგავლენ[თ] შენ ძისა
შენისა, შეწევნად ნუ დაიდუმებ.

---

1 გჲყ˝ვ. 2—3 ქ˝ჱ.



124 v

590 (2) ღმერთო, მაცხოვარო ჩუენო,
Eu ყოვლისა დამბადებელო*,
280 γ′ რომელმან სიტყვთ დაამყარენ
ცანი მაღალნი,
ყოვლით ძალით მათით და
სულითა მით სალმრთოჲთა
დამამტკიცენ ჩუენ ერთობით
კლდესა ზედა სარწმუნოებისასა.

მჴსნელო ჩუენო, ვედრებითა
მშობელისა შენისაჲთა
მშჳდობაჲ სოფელსა მოჰმადლე
და ძლევაჲ მტერთაჲ
ჯუარითა მოეცი
მეფესა[1] ღმრთის-მოყუარესა
მტერთა მიმართ ურწმუნოთა,
და შენდობასა ღირს-ყვენ
მორწმუნენი.

შემიბრკუმა საბრჯითა გულისა 591 (3)
ჩემისაჲთა Eu
მტერისა მიერ ბოროტისა, 303 γ′
დამამტკიცე კლდესა ზედა
მცნებათა შენთასა, ძლიერო
ღმერთო.

მშობელო უბიწოდ
დამბადებელისაო
და დედაო ძისა ღმრთისაო,
დაუცხრომელად გიგალობთ
და ვიტყვთ: გიხაროდენ,
სახარულევანო.

განძლიერდა დღეს 592 (
სარწმუნოებითა ეკლესიაჲ Eu
ქრისტეს მიერ და 281
გალობითა ესრეთ ღაღადებს**:
წმიდა ხარ უფალო, სულთა
ჩუენთა მაცხოარო.

---

[1] მ˝ფსა.

* აქედან № 3 ძლისპირის ღმრთისმშობლისას ჩათელით რიტმული დაყოფისათვის მხოლოდ წითელი წერტილებია. ** № 4 ძლისპირს მხოლოდ აქ უზის ორი წერტილი.



125 г

ქალწული წმიდაჲ
შემდგომად შობისა ქალწულ არს,
რომელმან გჳშვა
ღმერთი ჴორცითა·
გამოუთქუმელად,
ყოველნი მორწმუნენი
უგალობდეთ უბიწოსა.

მორთულნი

593 (5) **შ**ურის-მგებელი
მძლავრი მტერი ბელიარ
დასითურთ თჳსით
მოაუძლურა[1] ქრისტემან, ხოლო
უძლურსა ბუნებასა,
ძლეულსა და ვნებულსა, შთააცუა
ძალი,
აღამაღლა დავრდომილი
და დასუა ძლიერთა თანა
ერისა მისისათა ძლიერმან
ღმერთმან.

მვაჲსმიერი
გლოვაჲ და მწუხარებაჲ,
რომელ მოეგო
ყოველთა ნაშობთა მისთა,
აწ შენ
მიერ, სძალო ღმრთისაო,
გარდაცვალა სიხარულად
საუკუნოდ,
შენგან შობილმან ქრისტემან
აჴოცა წყევაჲ და ჴუალად
დაწერა იგივე კურთხევაჲ.

594 (6) Eu 288 **რ**ომელმან ცანი
სიტყჳთა დაამყარენ
და ქუეყანაჲ
წყალთა ზედა დაჰ|კიდე,

---

[1] მოაუძლორა.

ჴმაჲ ბ გ˝ი, განძლიერდასა



125 v

დაგუამტკიცენ ჩუენცა
კლდესა ზედა სარწმუნოვებისასა.

რომელმან სიტყუაჲ
ღმრთისაჲ შეიწყნარე
და გჳშევ ღმერთი
კორციელ-ქმნული,
მარიამ უბიწოო,
ევედრე მას, რაჲთა მოსცეს
ს[ო]ფელსა მშჳდობაჲ.

595 (7) * Eu 285 γ' **გ**ანმტკიცნა გული ჩემი
უფლისა მიმართ,
და ამაღლდა რქაჲ ჩემი ღმრთისა
მიერ
მაცხოვრისა ჩემისა.

ღმრთისა მაღლისა მთაო,
უბიწოო მარიამ**,
ნუ შეურაცხ-ჰყოფ მეედრებელთა
შენთა,
არამედ ევედრე ძესა შენსა,
რაჲთა დაგუამტკიცნეს ჩუენ
სარწმუნოებით უქცეველად.

რომელმან ცანი სიტყჳთ 596 (8): Eu 287 γ'
გარდაართხენ
და ქუეყანისა
საფუძველნი დაამყარენ
წყალთა ზედა მრავალთა,
დაამტკიცე[1]
ცნობაჲ ჩემი
ნებასა შენსა, კაცთ-მოყუარე.

ოჳნიერ მამაკაცისა იქმენ დედად
და გჳშევ ჩუენ ღმერთი
და ეგე ქალწულად | წმიდად,

---

[1] დაამთკცე.

* № 7-8 ძლისპირები დაყოფილია მხოლოდ წითელი წერტილებით. ** ღმრთის-მშობლისას მხოლოდ აქ უზის ორი წერტილი.

ჴმაჲ, გ გ˜ი, განძლიერდისა



126 r

რამეთუ ჭეშმარიტად
შეიცვალნეს ბუნებანი,
ამისთჳს ყოველნი გადიდებთ.

597 (9) Ⴈხარებდ ბერწი ეგე,
რომელი არასადა[1] შობად,
ხოლო აწ ესერა
განმხიარულდი,
რამეთუ
ქრისტემან დაგიწინდა თავისა
თჳსისა[2] ერად
და განამრავლნა შვილნი შენნი
სიხარულით მღაღადებელნი
სახელსა ძლიერებისა მისისასა.

Ⴈხარებდ, ესაია[3]
ღმრთის-
მეტყუელო,
აღესრულა
პირველ იგავით ქადაგებული შენი,
ესერა
ქალწული მიუდგა
და გჳშვა ჩუენ ემმანოელ —
ღმერთი ძლიერი და́ ჴელმწიფე
და მშობელი ჰგიეს ქალწულად,
ვითარცა პირველ შობასა ყოლად
უბიწოჲ.

Ⴉლდესა ზედა რაჲ 598 (10)
აღეშენა დიდებული ეკლესიაჲ
და განწმიდნა სისხლითა
გუერდისა შენისაჲთა, და მას შინა
წარმართნი შეკრიბენ
მგალობლად შენდამი, კაცთ-
მოყუარე.

Ⴉაცთა ჴსნისათჳს[4]
განკაცნა ღმერთი შენგან,
უსძლოვო სძალო,
რაჲთა ღმერთ ყოს ბუნებაჲ ჩუენი
ურჩებით დაცემული
და მამასა წარუდგინოს ცხოველი,
მას ევედრე ჴსნად სულთა
ჩუენთათჳს.

---

[1] არაჲსადა. [2] თუსისა. [3] ესაჲა. [4] ჴსნისათუს.



126 v

მესმასა

599 (1) Eu 286 ბ' **რ**აჟამს ესმა მოსლვაჲ შენი
წინაჲსწარმეტყუელსა, ქრისტე,
განკჳრვებით ღაღატ-ყო:
მესმა მე სმენაჲ
შენი, უფალო, რამეთუ მოხუედ ქუეყანად,
რაჲთა აცხოვნე დღეს ცხებულნი შენნი.

ცათა უვრცელეს ხარი შენ,
ქერაბინთა უმაღლესო,
მშობელო სიტყჳსაო,
უბიწო[ო] ქალწულო
მარიამ, სიქადულო ჩუენ ყოველთა
ქრისტიანეთაო, მეოხ გუეყავ ჩუენ.

600 (2) Eu 280 ბ' **ქ**რისტე ღმერთო,
რომელმან არა[1]
დაუტევენ წიაღნი მამულნი ზეცას
და გარდამოჰჴედ ქუეყანად, სმენაჲ შენი მესმა მე
და ქებით ვადიდებთ ძალსა შენსა.

ჭეშმარიტო
ღმრთისა დედაო,
ევედრე ძესა შენსა დამბადებელსა,
რაჲთა მიმ[ი]ძლუეს ნავთსადგურად
მყუდროდ და განმარინნეს[2]
დანთქმისაგან ცოდვათა ჩუენთაჲსა.

601 (3) Eu 303 ბ' **მ**ოსლვაჲ შენი საშინელი
ჴსნისა ჩუენისათჳს, ღმერთო,
იხილა რაჲ დღეს ამბაკუმ ღმრთის-მხილველმან,
ღაღად-ყო: ·ღმერთი სამხრით მოვიდეს,
რაჲთა იჴსნეს წარწყმედისაგან
ცხებულნი თჳსნი, ვითარცა ღმერთ არს.

---

[1] არაჲ. [2] გ˜ნმარნეს.

ქმაჲ გ გ˝ი. უფალო მესმასა



127 г

შენ, უბიწო[ო] ქალწულო,
ჩუენ ყოველთა სიქადულო,
მართლმადიდებელთა
   შესავედრებელო,
ღელვა-გუემულთა
   ნავთსაყუდელო,
რომელმან ჰშევ დამბადებელი,
ევედრე მას, რაჲთა მაცხოვნნეს.

602 (4) **ს**მენაჲ მესმა
ღმრთისა გამოჩინებისაჲ
ქუეყანასა მაცხოვრად ჩუენ
   მორწმუნეთა მისთა,
და უღაღადებთ:
დიდებაჲ ძალსა შენსა.

უბიწო[ო]
დედაო ქრისტეს ღმრთისაო,
რომელმან ჰშევ ნათელი
   ბრწყინვალე, დიდებული
გამოუთქუმელად,
ჩუენთჳსცა მეოხ გუეყავ.

გამოხუედ, ქრისტე, 603 (5)
წიაღთაგან საღმრთოთა
და სცხე წარმართთა
ნათლის-ღებაჲ ერად შენდა,
ხოლო
შეჰმუსრენ თავნი იგი
ძლიერთანი და და[ა]პენ ღაწუნი
   მათნი,
აღძრენ წყალნი მრავალნი,
ნათესავთა მათ უცხოთა
ენანი მაქებელად ძა[ლ]სა შენსა.

სულმან წმიდამან
აღაშენა საყდარი
ღმრთისა სიტყჳსაჲ[1]
სულიერი ქუეყანასა,
ცათა
მაღალთა უმაღლესი,
ქერაბინთა საყდართა უზეშთაესი,
ვითარცა მზისა ნათელი,

---

[1] სიტყუისაჲ.



127 v

მაოტებელი ბნელისაჲ, მშობელი
კეთილთა მომატყუებელისაჲ.

604 (6) დაფარნა ცანი
სიბრძნით გამოჩინებამან
შენმან, უფალო,
და შუენიერებამან შენმან აღავსო
სოფელი, კაცთ-მოყუარე.

დამრთველი ცათაჲ
იტჳრთე[1], უბიწოო,
და გჳ́მევ ჩუენ დღეს
ევმანოელ — მთავარი
ზეცისა მთავრობათაჲ,
მისა მეოხ გუეყავ ჩუენ.

605 (7) Eu 281 ბ' ἄλλος ჴორციელად
მოსლვაჲ შენი, ქრისტე ღმერთო,
იხილა წინაჲსწარმეტყუელმან
ამბაკუმ
და ღაღატ-ყო:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

შენ ხარ შემწე
ჩუენი, ღმრთისა დედაო,
რომელნი დანთქმულ ვართ
სოფლისა ზღუასა,
წინამძღუარ გუექმენ მონათა
შენთა.

606 (8 Eu 288 ბ დაფარნა ცანი, ქრისტე ღმერთო,
შუენიერებამან შენმან
და განგებულებამან
გამოუთქუმელისა სიბრძნისა
შენისამან, კაცთ-მოყუარე.

დედაო უქორწინებელო,
ღმრთისმშობელო, იხარებდი
ძისა შენისა და
ღმრთისა აღდგომასა[2]
მკ:უდრეთით,
და მეოხ გუეყავ მგალობელთა
შენთა.

607 (Eu 282 დაფარნა ცანი
შეუნიერებამან შენმან, უფალო,

---

[1] იტურთე: [2] აღდგუმასა.

ჴმაჲ გ გ͠ი, უფალო მესმასა—ღამითგანსა



128 r

და ქებითა შენითა შემკობილ არს ეკლესიაჲ
და შვილთა თანა გიღაღადებს:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

Ⴃაუტევნელი
ცათა და ქუეყანისა, სიტყუაჲ უჟამოჲ,
საშოსა იტჳრთე[1]
და გჳშევ ჟამიერად
ყოლად უსძლო[ო] ღმრთისმშობელო,
მას ევედრე ჴსნად შემსხმელთა შენთა.

608 (10) Ⴈხილა პირველ წინაჲსწარმეტყუელმან
საიდუმლოჲ[2] განგებულებით.
მოსვლისა შენისაჲ,
ღალატ-ყო ღმერთი განკაცებული მოსლვად
კაცთა ცხორებისათჳს[3]
და ვადიდებთ ძალსა მისსა.

Ⴈხილა პირველ
წინაჲსწარმეტყუელმან
საიდუმლოჲ[4] უცხოჲ[5] მუცლად-ღებისა შენისაჲ,
ღმრთისმშობელო ქალწულო, და ღაღადებდა:
ღმერთი სამხრით მოვიდეს
ცხორებად ცხებულთა თჳსთა.

ღამითგანსა

609 (1)- Eu 286 ε' სული მაცხოვარებისაჲ, უფალო,
რომელი-იგი მიუდგა გულსა შინა პირველთა
წინაჲსწარმეტყუელთასა და იშვა ქუეყანასა, მან მაუწყა ჩუენ
მოსლვაჲ შენი ქუეყანად მორწმუნეთა ცხორებად,
და აწ განათლებულნი გალობით გადიდებთ.

---

[1] იტურთე. [2] საჲდუმლოჲ. [3] ცხორებისათუს. [4] საჲდომლოჲ. [5] ოცხოჲ.

ქმაჲ გ გ˜ი, ლამითვანხა



128 v

ცანი და ქუეყანაჲ განათლდეს შენ
მიერ, უქორწინებელო დედაო
იესუჲსო[1],
რამეთუ გამოგჳბრწყინვე[2] ჩუენ
ნათელი დაუშრეტელი —
ღმერთი ყოველთაჲ,
რომელმან ბნელსა შინა
შეყენებულნი მიჴსნა
და ზეცისა სუფევასა მკჳდრად[3]
მიჩინნა.

610 (2) Eu 280 β′ Ἄλλος
შფალო ღმერთო ჩუენო,
ღამითგან აღვიმსთობთ და
გევედრებით:
მოგუმადლე მოტევებაჲ
ყოველთა ცოდვათა ჩუენთაჲ
და ნათელსა ნებისა შენისასა
წარჰმართე სლ[ვ]აჲ ჩუენი —
გევედრებით.

იესეს ძირისაგან
აღმოსცენდი მორჩი სიტკბოებისაჲ
და გამოიღე ყუავილად
ყოველთავე სურნელ-მყოფე[ლ]ი
შემოქმედი დაბადებულთაჲ
და მჴსნელი ყოველთა
მორწმუნეთაჲ.

ღამე ბნელი ურწმუნოთაჲ, 611 (3) Eu 280 β′
ქრისტე,
მორწმუნეთა
ნათელს-ჰყოფს სიტყუათა შენთა
მადლითა,
ამისთჳს ჩუენცა
შენდა აღვიმსთობთ
და ღმრთეებასა შენსა ვადიდებთ.

ჰშევ, დედაო
უბიწო[ო], ღმერთი ჴორციელად,
უთესლოდ ჯერისაებრ
ღმრთეებისა,
ამისთჳს ჩუენცა,
ვითარცა ღირს ხარ,

---

[1] იჳსო. [2] გამ̃ოგუბრწ̃ყინვე. [3] მკუდრად.

ჴმაჲ მ მ̃ი, ლამითვანსა



129 г

დაუცხრ|ომელად ყოველნი
გნატრით.

612 (4) Eu 303 ε′ შენ, რომელმან განანათლე
სიბნელე
იგი პირველი
ნათლითა შენითა და შეკრიბენ
განბნეულნი,
ჩუენცა განგუანათლენ, ქრისტე.

Დიდებულსა, უბიწოსა ქალწულსა,
მუცლად-მღებელსა
უზეშთაესსა მას
ყოველთასა და მშობელსა
ქრისტესსა, ყოველნი ვჰნატრით.

613 (5) Eu 262 ε′ შენდა ალვიმსთობთ
და გიღაღადებთ: მოწყალეო
უფალო,
განანათლე[ნ] სულ[ნ]ი ჩუენნი[1]
დაბნელებულ[ნ]ი
ნათლითა მცნებათა მათ
შენთაჲთა, ღმერთო, და
გუაცხოვნენ ჩუენ.

მუცლად-იღე შენ
სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ჭეშმარიტად
ქალწულო,
და გჳშევ ჩუენ კორცითა
გამოუთქუმელი ღმერთი,
მას ევედრე, წმიდაო,
ცხორებისათჳს სულთა
ჩუენთაჲსა.

614 (მიდგომილებაჲ[2] საღმრთოჲ
უბიწოებით ქალწულისაჲ
პირველ გიქადა[გა]
ღმრთისმეტყუელმან ესაია[3],
ხოლო მართალმან სჳმეონ[4]
ახარა ჯოჯოხეთისათა:
გიხაროდენ დაშჯილთა წყუდიად|სა
შინა,
მოვიდა განმანათლებე|ლი

---

[1] ჩ_მი. [2] მიდგუმილებაჲ. [3] ესაჲა. [4] სუმეონ.

ჴმაჲ გ გ˜ი, ლამითგანსა



129 v

ნათელი თჳთ[1] აღმადგინებელი
დაცემულთა და დაბნელებულთა.

არა[2] ხედვენ ნათელსა,
რომელთანი დაუბრმნა[3] მტერმან
შინაგან გონებისა თუალნი
ურწმუნოთანი,
ეფეშუებიან ბნელსა,
ხოლო გულსა მ[ო]რწმუნეთასა
ჰნათობს ნათელი იგი მზისა მის
სიმართლისაჲ,
რომელმან ჴორცნი შეიმოსნა
წარწყმედულთათჳს[4] ადამეანთა
და სასოდ მოსცა მშობელი
თჳსი[5].

615 (7) ნათლისა მომცემელი
ყოველთა ნათელთაჲ შენ ხარ,
ქრისტე,
შენ გიგალობთ,
ღამითგან აღმსთობილთა
მშჳდობაჲ[6] შენი
მო̀მეც მონათა შენთა, კაცთ-
მოყუარე.

სასოჲ და სიქადული
მორწმუნეთაჲ შენ ხარ,
ღმრთისმშობელო,
შენ გიგალობთ,
ღელვათა[გან] ცოდვისათა
დამიფარენ მვედრ[ე]ბელნი
შენნი, სძალო უსძლო[ო].

რომელნი აღვიმსთობთ, სიტყუაო, 616 (8) Eu 289 ε'
დიდებად შენდა და ქებად
თაყუანის-ვსცემთ
დაუცხრომელად[7] ძალსა
ჯუარისა | შენისასა,

---

[1] თუთ. [2] არაჲ. [3] დუბრმნა. [4] წარწყმედულთათუს. [5] თუსი. [6] მშჳდობაჲ. [7] დაუცხრუმელად.



130 r

რომელი მომეც ჩუენ
საჭურველად[1] და შემწედ.

Რომელნი აღგიარებთ შენ
სამკჳდრებელად[2] ღმრთისა, წმიდა
ყვენ
სულნი ჩუენნი,
ღმრთისმშობელო,
და მყვენ ჩუენ ტაძარ
სულისა წმიდისა,
რაჲთა ღირსად გაქებდეთ.

617 (9) **Გ**ანაქარვე
Eu
290 ε' ღამე იგი ვნებათაჲ
და გამოგვბრწყინვე ჩუენ ნათელი
საცნაური,
რომელმან პირველი იგი ბნელი
საცთურისაჲ[3] განსდევნე
და პირველ დაბადებული
ნათელი მოეც სოფელსა,
განათლებულნი თაყუანის-გცემთ
შენ.

Დედათა შორის არავინ გამოჩნდა[4]
თჳნიერ[5] შენსა ქალწული შობასა,
ქალწულადვე დადგრომილი[6]
და დედაჲ არავინ აწოებდა
ჩჩჳლსა
თჳნიერ[7] მამაკაცისა,
ხოლო შენ, უსძლო[ო],
შესცვალენ წესნი ბუნებათანი.

ღაღატყავსა

Დანთქუმული ღელვათა 618 (1)
სოფლისა ამის განსაცდელთა, Eu
ნავითა ცოდვისაჲთა 286 ϛ'
შთავრდომილი[8] და მიგდებული
მჴეცსა სულთა მომსრველსა,
გიღაღადებ: ვითარცა იონა,
დანთქმისაგან და სიკუდილისა
მიჴსენ, ქრისტე.

---

[1] საჭორველად. [2] სამკუდრებელად. [3] საცთორისაჲ. [4] გამეჩნდა. [5] თუნიერ. [6] დადგრუმილი. [7] თუნიერ. [8] შთავრდუმილი.



130 v

წინაჲსწარ მოასწავა
საიდუმლოჲ[1]
შენი, ქალწულო,
პირველ კიდობანმან —
  შემწყნარებელმან სალმრთოთა
  წერილთამან,
ტაკუკმან ოქროჲსამან,
სამკჳდრებელმან მანანაჲსამან
  და კუერთხმან.

619 (2) Eu 280 ε' ღაღატ-[ვ]ყავ ჭირსა ჩემსა
შენდა მომართ, ღმერთო,
განხრწნისაგან მიჴსენ მე, კაცთ-
  მოყუარე,
ვითარცა ხარ მრავალ-მოწყალე.

დედოფალსა წმიდასა,
სასოსა მარადის,
რომელსა მოსწრაფებით
  ადიდებენ,
ჩვენ, ყოველნი, თაყუანის-
  ვსცემდეთ.

620 (3) Eu 284 ε' იონაჲსებრ
ვეშაპისა მისგან მიჴსენ მე,
  გევედრები,
სახიერო უფალო,
რომელსა შთანთქმაჲ ჰნებავს
ჩემი უწყალოებით,
განმარინე მე.

ზუარი იგი
სულისა წმიდისაჲ, ღრუბელო[2]
  სულმცირეო,
გეტჳრთა[3] წიაღითა,
რაჟამს შეხუედ ეგჳპტეს,
მოისრნეს ჴელით-ქმნულნი
  ეგჳპტისანი.

ზღუაჲ სოფლისაჲ აღმრულ არს 621 (4) Eu 303 ε'
ჩემ ზედა და დამთქამს, არამედ
  შენ, ქრისტე,
მაცხოვარო, მოიჴსენე
წყალობაჲ შენი და, ვითარცა
წინაჲსწარმეტყუელი იონა,
ღელვათაგან ცოდვათაჲსა მიჴსენ
  მე.

---

[1] საჲდუმლოჲ. [2] ღრობელო. [3] გეტურთა.



131 г

ნავთსაყუდელად ჴსნისა
გიცნობთ შენ მორწმუნენი,
ქალწულო მარიამ,
რომელმან ჰშევ მაცხოვარი
ჩუენ ყოველთაჲ გამოუთქუმელად,
მისა მიმართ მეოხ გუეყავ,
რაჲთა მიჴსნეს განსაცდელთაგან.

622 (5) **ვ**ითარცა-იგი იონა
Eu 285 ɛ′ წინაჲსწარმეტყუელი იჴსენ
სიღრმეთაგან, ეგრეცა მე
სიღრმეთაგან ცოდვათაჲსა
აღმომიყვანე,
ვითარცა ხარ მრავალ-მოწყალე.

შანთი გამოუკუეთელი
შეერთო კაცებასა
და იქმენ შენ, უბიწო[ო],
სამკჳდრებელ[1] ბუნებათა[2]
შეურევნელთა,
ამისთჳს[3] ყოველნი გადიდებთ.

მორთულნი

წინა-აჩუენა სახე 623 (6)
სახიერმან ჴსნისა ჩუენისაჲ,
მჴეცისა მუცელსა შთასლვითა
იონაჲსითა
მოასწავა შთასლვაჲ თჳსი
მუცელსა ჯოჯოხეთისასა
და შევიდა ორითა ბუნებითა,
შეწუა ღმრთეებისა ცეცხლითა
და იჴსნა მისგან იონაჲ[ს] სახედ
დანთქმული ადამ ნათესავითურთ[4]..

ერნი იგი ძლიერნი,
უხილავნი, უსხ|ეულონი,

---

[1] სამკუდრებელ. [2] ბონებათა. [3] ამისთუს. [4] ნათესავითორთ.



131 v

მარადის მსახურნი[1] სამებისა
წმიდისანი,
დღეს განმხიარულებულნი
კაცთა ღმრთისა დაგებისათჳს[2],
გადიდებენ, მშობელო
მაცხოვრისაო,
რამეთუ შენ მიერ განქარდა და
დაჰჴსნ[დ]ა პირველითგანი იგი
შორის მათსა და ჩუენსა
მტერობაჲ.

624 (7) Eu 269 r'
იონა მუცლით გამო
ჯოჯოხეთისაჲთ ღაღადებდა:
უფალო, აღმოიყვანე[3]
განხრწნისაგან ცხორებაჲ ჩემი,
და შენდამი ვღაღადებთ:
ყოლად ძლიერო ღმერთო,
დიდებაჲ შენდა.

თანასწორი მამისაჲ
და თანაარსი სულისაჲ
წმიდისა მუცლად-იღე
და გჳშევ ჩუენ,
უბიწო[ო],
მას ევედრე, სანატრელო,
ცხორებად სულთა ჩუენთათჳს.

625 (8) Eu 290 r'
შფსკრულთა ცოდვისათა
შთაერდომილ [ვარ], სახიერო,
და ვითარცა იონა
ვეშაპით გამო, გიღაღადებ შენ:
აღმოიყვანე განხრწნისაგან
ცხორებაჲ ჩემი და მაცხოვნე მე*.

ძესა მამისა თანასწორსა,

---

[1] მსახორნი. [2] დაგებისათუს. [3] აღმომიყვანე.

* წითლით მიწერილია: ქ῾ე: შ῾ე: იორდანე:

ჴმაჲ გ გ̃ი, ლალა́ტყავსა—კურთხეულარსა



132 r

დაუსა|ბამისა, რომელი
მაღალთა შინა უდედოდ
სიტყუაჲ არს, უჟამოდ დედისაგან,
ქუეყანასა ზედა ჴორცით,
ღმრთსა და კაცსა თაყუანისვსცემთ ჩუენ.

კურთხეულარსა

626 (1) Eu 283 ζ' **ს**აჴუმილსა შინა
ქალდეველთასა აბრამეანნი ყრმანი წმიდანი
გალობასა ანგელოზთა თანა იტყოდეს:
მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

სამებასა წმიდასა
უგალობთ, განუყოფელსა მას ღმრთეებითა,
მორწმუნენი სიხარულით და ვიტყჳთ:
[მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ].

საჴუმილსა რაჲ 627 (2) Eu 286 ζ'
ცეცხლისასა შეითხინეს სამნი იგი ყრმანი,
ცეცხლი ცუარად გარდააქციეს
და ძლევად შემოსილთა ესრეთ ღაღატ-ყვეს: კურთხეულ ხარ შენ, უფალო,
საუკუნითგან უკუნისამდე.

ბუნებით განუყოფელსა აღვიარებთ სარწმუნოებით
მამასა დაუსაბამოსა,
ძესა მიუწდომელსა სულით წმიდითურთ[1].
დაუცხრომელად ვიტყჳთ:[2]
მამათა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

ყრმათა ბაბილონს 628 (3) Eu 280 ζ'
საჴუმილსა მას შინა ცუარი ეტჳრთა[3] ზეგარდამო,

---

[1] წმიდითორთ. [2] ვიტყუთ. [3] ეტურთა.



132 v

ღმრთისა მიერ ღაღადებდეს და
იტყოდეს:
კურთხეულ ხარ, უფალო,
მამათა ჩუენთა ღმერთო,
უკუნისამდე.

გიხაროდენ შენ,
ასულო ადამისო,
გიხაროდენ, სძალო ღმრთისაო,
გიხაროდენ, მშობელო
მაცხოვრისაო,
რომელმან დაიტიე
შემოქმედი შენი,
მეოხ გუეყავ მარადის.

629 (4) Eu 303 ζ′ **ა**ბრამიანნი პირველად,
რაჲჟამს[1] იყვნეს ბაბილონს,
შეურაცხ-ყვეს ბრძანებაჲ
მძლავრისაჲ მის
სარწმუნოვებით და ღალატ-ყვეს:
კურთხეულ ხარ შენ, მჴსნელო
და ღმერთო მამათა ჩუენთაო.

თაყუანის-ვსცემთ მორწმუნენი
ანგელოზთა თანავე
კეთილად მსახურებითა
ნათელსა
სამებისასა და ვღაღადებთ:
კურთხეულ ხარ შენ, მჴ[სნელო
და ღმერთო მამათა ჩუენთაო.]

ქერაბინთა ზედა მჯდომარეო 630 (5) Eu 296 ζ′
მაცხოვარო,
რომელმან ყრმანი იჴსნენ
საჴუმილისაგან,
კურთხეულ ხარ შენ უკუნისამდე,
უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო.

ვადიდებდეთ მამასა და
უგალობდეთ ძესა
და სულსა წმიდასა თაყუანის-ვსცემდეთ და ვღაღადებდეთ:
კურთხეულ ხარ შენ უკუნისამდე,
უფალო ღმერთო მამ[ათა
ჩუენთაო].

მეუფეთა მეუფისა ღმრთისა 631 (6) *

---

[1] რაჲჟამს.

* ახლავს ორი ღმრთისმშობლისა.

ჴმაჲ გ გ̃ი, კურთხეულარსა



133 г

მაქებე|ლნი სამნი ყრმანი,
შესთხინეს რაჲ ულმრთოთა
საჴუმილსა შინა,
არა აღედვა მათ ცეცხლი იგი
მგზებარე,
რამეთუ თჳთ[1] მგზებარე იყვნეს[2]
სულისა მიერ წმიდისა
საღმრთოჲთა მით შურითა და
ვითარცა
ერთისა პირითა, უგალობდეს,
აკურთხევდეს
საკჳრველთ[3]-მოქმედსა ღმერთსა,
მაღალსა[4], ძლიერსა.

ა **ა**ექუენ ენაჲ სასა[სა] მათსა
და[5] დაიყავნ პირი მათი
სიცრუით ამოჲსა ძჳრის-
მეტყუელი[6],
რომელნი ჰგმობენ
ღმრთისმშობელსა მარიამს,
უარის-მყოფელნი ქრისტესნი
საძაგელნი ჰურიანი[7]
მწვალებელნი,
შურითა დაქცეულნი
და დანთქმულნი,
ვითარცა დათან, რამეთუ
განეშორნეს
საღმრთოსა ნათელსა სამებისასა.

მორწმუნენი[8] აღვიარებთ ერთსა ბ
ღმერთსა გამოუკულეველსა,
სამსა თჳთებასა[9], ერთსა
მთავრობასა,
მამასა ძისა თანა სულით
წმიდითურთ[10],
ღმრთეებით დაუსაბამოსა,

---

[1] თუთ. [2] იყუნეს. [3] საკურეელთ. [4] მ˜ღლსა (სხვა ხელით). [5] და+და [6] ძჳრის-მეტყუელი („ძჳრის“ სხვა ხელით) [7] ჰ˜რნი (სხვა ხელით). [8] მრწ̃მუნენი. [9] თუთებასა. [10] წ˜ითორთ.

ჴმაჲ გ გ̃ი, კურთხეულარსა



133 v

ბუნებით მიუწდომელსა,
ერთარსებით ცნობილსა,
მორწმუნენო,
მართლაღსარებით
ვაკურთხევდეთ, უგალობდეთ
აწ და უკუნითი უკუნისამდე.

632 (7) **ს**აჴუმილი მოტყინარე
Eu 289 ζ' შეაცურ[ი]ე, მაცხოვარ,
და ყრმანი იჴსნენ მგალობელნი,
რომელნი შესხმით ესრეთ
იტყოდეს:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

შენ ხარ, ღმრთისმშობელო,
სასოჲ და მყუდროჲ
ნავთსაყუდელი
და ზღუდე შეუძრველი
ძოსავთა შენთაჲ,
მეოხ გუეყავ ჩუენ,
მადიდებელთა შენთა წინაშე ძისა
შენისა და ღმრთისა ჩუენისა.

მძლავრსა მას ქალდეველთასა 633 (8)
არა[1] დაემორჩილნეს ღირსნი
ყრმანი,
რამეთუ მოსავ იყვნეს[2]
ძალსა მას მაღლისასა,
და ცეცხლსა შეითხინეს
და ცუარითა სხურებულნი
იტყოდეს:
კურთხეულ ხარ შენ, მჴ[ს]ნელო
და ღმერთო მამათა ჩუენთაო.

გიხაროდენ, ბჭეო
ჭეშმარიტისა ცხორებისაო,
რომლისაგან ჩუენ
გამოგვბრწყინდა[3]
მზე სიმართლისაჲ — ქრისტე.
გიხაროდენ, წყარო[ო]

---

[1] არაჲ. [2] იყუნეს. [3] გამოგჳბრწყინდა.



134 г

ცხორებისა აღ|მომაცენებელო,
გიხაროდენ, ქალაქო სულიერო
მეუფისაო.

634 (9) Ⴈხილვა უცხოჲ და დიდებული
სასწაული
ბაბილონს საქუმილსა შინა;
რამეთუ ალისაგან
ცუარი ეცურია ღმერთ-
შემოსილთა მათ ყრმათა,
ხოლო ქალდეველნი
შეიწუნეს საშინელებით,
რაჟამს ყრმათა ღაღატ-ყვეს:
კურთხეულ ხარ შენ,
მჴსნელო,
საუკუნითგან უკუნისამდე.

Ⴅითარცა[1] გუასწავეს წერილთა
საღმრთოთა
ჭეშმარიტი აღსარებაჲ,
ვჰმონებთ ჩუენ, მორწმუნენი,
სარწმუნოვებით დაუსაბამოსა
მამასა მხოლოსა,
ძისა მხოლოჲსა[2] მშობელსა
და სულსა ჭეშმარიტსა,
სამებასა წმიდასა,
ერთარსებით განუყოფელსა[3].

აკურთხევდითსა

შეუწველმან მაყუალმან სინას 635 (1) Eu 266 η′
აუწყა
ღმერთი მოსეს, ჴმითა წულილსა,
ენამძიმესა, და შურმან
საღმრთომან
ყრმანი იჴსნა საქუმილისაგან
და გალობით ღაღადებდეს:
ყოველნი საქმენი
აკურთხევდით დღეს
ღმერთსა და უფალსა
უგალობდით

---

[1] ვ ა. [2] მხოჲსა. [3] გ̃ნყოფლსა.



134 v

და | ამაღლებდით მას უკუნისამდე.

სამთა ყრმათა ბაბილონს
საჴუმილსა შინა
სამებასა თაყუანისსცეს
და შეურაცხ-ყვეს ხატი იგი ოქროჲსაჲ
და ცუარითა სხურებულნი
გალობით ღაღადებდეს:
[ყოველნი საქმენი
აკურთხევდით დღეს
ღმერთსა და უფალსა უგალობდით
და ამაღლებდით მას უკუნისამდე].

636 (2) Eu 280 η′ ქრისტესა, რომელიცა
ჭეშმარიტად ღმერთ არს და უფალი
ყოველთა ბუნებათაჲ,
ავამაღლებდეთ
მას აწ და უკუნისამდე.

ქალწულო უბიწო[ო],
გიხაროდენ, მშობელო ღმრთისაო
თჳნიერ[1] ბუნებათა,
რომელსა ვაკურთხევთ[2]
აწ და [უკუნისამდე].

637 (3) Eu 303 η′′ **ა**რა[3] შეიწუა პირველ
მაყუალი აგზებული ცეცხლითა
და ყრმათა ღმრთის-მსახურთა
საჴუმილი ქალდეველთაჲ
ჩიავითა შეაცურიეს
და ღაღადებით იტყოდეს:[4]
საქმენი უფლისანი
აკურთხევდით უფალსა.

ბუნებაჲ კაცთაჲ პირველ
ცოდვისაგან განხრწნილი განახლდა
შენ მიერ, ღმრთისმშობელო,
რამეთუ შენ მხოლომან
უშევ კაცთა მაცხოვარი
ყოველთაჲ და ღაღადებენ:
საქმენი [უფლისანი
აკურთხევდით უფალსა].

მორთულნი

---

[1] თუნიერ. [2] ვაკორთხევთ. [3] არაჲ. [4] იტყუდეს.

ხმაჲ გ გ̃ი, აკურთხევლითსა



135 г

638 (4) **მ**აღალსა ღმერთსა
დამბადებელსა,
ანგელოზთა მეუფესა,
უხილავთა და ხილულთა
შემოქმედსა,
მიუწდომელსა და ყოლად
გამოუთქუმელსა
მამასა, ძესა და სულსა,
რომელსა ყრმანი აქებენ,
მას ჩუენ უღაღადებდეთ:
აკურთხევდით ყოველნი საქმენი,
აქებდით, უგალობდით
და ამაღლებდით მას ჳკუნისამდე.

მოგუემადლა მორწმუნეთა
ცნობად
მართალი სარწმუნოებაჲ
და აღვიარებთ სამებასა
ერთღმრთეებად,
მამასა უხილავსა დაუსაბამოსა,
ძესა ყოლად მიუწდომელსა
და სულსა გამოუთქუმელსა,
განუზომელსა ძალსა,
უბიწოსა თჳთებასა[1] სრულსა,
ყოველთა შემოქმედსა,
ავამაღლებდეთ მას აწ და
ჳკუნისამდე.

ბაბილონს საჴუმილსა მას შინა 639 (5)
ცეცხლისაგან არა[2] შეიწუნეს
ყრმანი პირველ,
არცა ცეცხლმან ღმრთეებისამან
შეწუა საშოჲ შენი, ქალწულო,

---

[1] თუთებასა. [2] არაჲ.



135 v

ამისთ|ჳსცა მორწმუნენი
ყრმათა თანა ვღაღადებთ:
აკურთხევდით საქმენი
უფლისანი უფალსა.

* **რ**ომელი ქებულ ხარ ძლიერებით
და საშინელ ჴელმწიფებით,
რამეთუ აღმატებულ არს ყოველთა
უფლებაჲ შენი, სამებაო წმიდაო,
დაგჳცვენ მოსავნი შენნი,
რომელნი გაკურთხევთ შენ
და აგამაღლებთ უკუნისამდე.

640 (6) **რ**ომელი ანგელოზთაგან
დაუდუმებელად მაღალთა შინა
იდიდების ღმერთი,
ცანი ცათანი,
ქუეყანაჲ, მთანი და ბორცუნი და
სიღრმენი უფსკრულთანი
და ნათესავნი კაცთანი
დაუდუმებელად აკურთხევდით
და ამაღლებდით მას უკუნისამდე.

ვითარცა ძუძუთა შენთაგან
სძე დის, ღმრთისა დედაო,
არა[1] განხრწნილ არს საშოჲ,
ღმერთ არს ჴორციელ-
ქმნული, რომელი უქცეველად
გამოვიდა შენგან უბიწოდ,
იგი გამოადინებს აწ
ცხორებასა მორწმუნეთათჳს[2],
რამეთუ წყაროჲ არს
უკუდავებისაჲ**.

რომელი მხოლოჲ არს 641 (7) Eu 289 η′

---

[1] არაჲ. [2] მ~რწმუნთათჳს.

* მხოლოდ შავი წერტილები. ** ტექსტის ხელით: „ზემოჲთ დამირჩა“



136 r

მეუფე დიდებისაჲ, რომელსა
  გუ[ნ]დნი ზეცათანი აქებენ
და ეშინის
ანგელოზთა კრებულსა,
მღდელნი აკურთხევდით,
ერნი უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე.

უქორწინებელსა
ღმრთისმშობელსა ქალწულსა,
რომელი ცათა უვრცელესად
  გამოჩნდა,
უგალობენ
ზეცისა განწყობილნი
და ჩუენცა, მორწმუნენი,
მას დაუცხრომელად
გალობით ვადიდებთ.

642 (1) ადიდებდითსა
Eu
286 ϑ' მტჳრთველმან გამო-
უცდელად უხრწნელებისამან
სიტყუასა დამბადებელსა ავასხა
  ბუნებაჲ,
მოვედ, უბიწო[ო]
ქალწულო ღმრთისმშობელო,
შენგან შობილსა თანა
მასწავე მორწმუნეთა,
რაჲთა ღირს ვიქმნეთ ჩუენ
  დიდებად შენდა.

ძუელი შჯული მო-
განსწავებს, ქალწულო წმიდაო,
და ახალი აღგიარებს
  ღმრთისმშობელად,
უსძლოვო,
და ჩუენ, მორწმუნენი,
სარწმუნოვებით ვიტყჳთ:
მშობელო სიტყჳსაო,
ვედრებად ნუ დასცხრები



136 v

ღმრთისა მიმართ ჩუენ მოსავთა
შენთათჳს.

ბ ჰიხაროდენ, კუერთხო ყოლად
ნაყოფიერო,
რომელი აღმოჰქედ ძირთაგან
იესესთა,
გიხაროდენ, ბჭეო
აღმოსავალისაო,
რომლისა აღმოჴდა
მზე სიმართლისაჲ — ქრისტე —
მაცხოვრად და მჴსნელად
დაბადებულთა.

გ შენ, რომელმანცა
დაუტევნელი დაიტიე
საშოსა, ყოველთა მზრდელსა
აწოებდი
სძითა, უქორწინებელო
ქალწულო, შემწე მეყავ
მვედრებელთა შენთა

და ძლევის მომნიჭებელ მტერთა
მიმართ მეფესა მორწმუნესა.

შენგან, ქალწულო, 643 (2) Eu 280 ტ'
უთესლოდ ღმრთეებაჲ იშვა
უქცეველად ჴორცითა,
ამისთჳს[1], ღმრთისმშობელო,
გალობით გადიდებთ შენ.

მშობელო გამო- ა
უთქუმელად ძისა ღმრთისაო,
ზეცისა ძალთა თანა
ევედრე ძესა შენსა
ჩუენ მოსავთა შენთათჳს.

შენ ხარ, ქალწულო, ბ
ღრუბელი იგი სულმცირე,
რომელმან შეიწყნარე
მზე იგი სიმართლისაჲ
და გჳშევ[2] ღმერთი ყოველთაჲ.

---

[1] ამისთუს. [2] გუშევ.



137 г

გ **შ**ენ, სამებასა,
ღმრთეებით მიუწდომელსა,
არსებით უხილავსა,
გიგალობთ მორწმუნენი,
არსებით უხილავსა.

644 (3) Eu 303 ϑ' **ს**იტყჳთა[1] მით საღმრთოჲთა,
გონებითა წმიდითა, ერნო,
რომელმან უთესლოდ გჳშვა[2]
ერთი სამებისაგანი ქრისტე
უფალი,
ღმრთისმშობელსა მარიამს
გალობით ვადიდებთ.

ა **შ**ესხმითა მით საღმრთოჲთა
უგალობდეთ, მორწმუნენო,
ცხორებისა მიზეზსა,
ეტლსა და საყდარსა სიწმიდისასა,
ღმრთისმშობელსა მარიამს
გალობით ვადიდებდეთ.

ვჰა საკჳრველებაჲ[3],
უზეშთაესი ბუნებათაჲ,
რამეთუ ერთ არს სამებაჲ
და სამებაჲ ღმრთეებით
ერთარსებაჲ არს,
რომელსა ჩუენ, ყოველნი,
დაუცხრომელად ვადიდებთ.

ყოლად ქებულო 645 (4) Eu 281 ϑ'
ქალწულო, ღმრთისა საყდარო,
რომელმან სიტყუაჲ იგი
დამბადებელი გჳშევ[4]
ჴორცითა გამოუთქუმელად,
ამისთჳ[ს] სიხარულით
ჩუენ, ყოველნი, დაუცხრომელად
. გადიდებთ.

ნუ დ[ა]სცხრები ვედრებასა ჩუენ ჻
ყოველთათჳს,

---

[1] სიტყუითა. [2] გუშვა. [3] საკურველებაჲ. [4] გუშევ.

ჴმაჲ გ გ̃ი, ადიდებდითსა



137 v

ქალწულო მისა, რომელი შევ
შენ*,
რაჲთა მიჴსნეს მორწმუნენი
ცეცხლისა შემწველისაგან,
და სარწმუნოებით ჩუენ
გადიდებთ შენ.

ბ **ე**რთარსებასა
სამებისა წმიდისასა,
გარე-შეუწერელსა და
გამოუკულეველსა,
მამასა ძით და სულით
წმიდითურთ მორწმუნენი
სარწმუნოებით, გალობით
ვადიდებთ.

მორთულნი**

646 (5) *** **დ**იდებითა მით
ბუნებათა უაღრესითა ზეგარდამო
განათლდა წმიდაჲ დედოფალი,
რაჲამს უხილავნი და დაფარულნი
ქრისტეს მოსვლისა საიდუმლონი[1],
კაცთა ჴსნისა განგებულებანი
მის თანა საცნაურ იქმნეს,
შეიყვნეს
ბუნებანი შეურევნელნი,
არამედ არა-ერთბუნება იქმნეს,
რამეთუ არა იცვალნეს
ბუნებითისა მისგან ბუნებისა.

ედემისა ნერგთა ა
ნაყოფმან ედემს შინა დასცა
პირველვე
ხატად ღმრთისა დაბადებული,
რაჲამს არწმუნა ზაკუვით
მტერმან:
უკეთუ შჭამოთ ხისა მისგანი,
არა მოჰკუდეთ,
არამედ ღმერთ იქმნეთ,

---

[1] საჲდუმლონი.

* ა ღმრთისმშობლისა აქედან, ხოლო ბ ღმრთისამშობლისა მთლიანად განკვეთილია მხოლოდ შავი წერტილებით. ** ვერტიკალურადაა. *** სანოტო ნიშნები აქა-იქ სხვა ხელითაა ჩამატებული.



138 r

და | მით დასაჯა სიკუდილი,
ხოლო შენ [მიერ],
ღმრთისმშობელო ქალწულო,
კუალად-ვეგენით მუნვე
სამოთხედ
ნათესავით მორწმუნით,
რომელნი ქრისტესა თაყუანისსცემენ.

გ **ე**რთარსებით
მოსწავებულსა, სამგუამოვნებით
საცნაურსა ბუნებასა
სამებისასა,
ერთსა ძალსა, ერთსა
ჴელმწიფებასა,
განუყოფელსა მეუფებასა
უსხეულონი სამსა წმიდასა
გალობასა
ულალადებენ[1]: წმიდა
არს,
წმიდა არს,
წმიდა არს უფალი,
მეუფე უხილავი საბაოთ
და დიდებითა მისითა
სავსე არიან ცანი და ქუეყანაჲ.

უხრწნელისა
შობისა მუცლად-ღებაჲ ვინ 647 (6) Eu 290 ფ'
კაცთაგანმან
გამოთქუას და
უთესლოდ ყრმისა შობაჲ ვის
არა[2] უკჳრდეს
ქუეყანისა ნაშობთა?
ამისთჳსცა[3] ყოველნი ტომნი და
ენანი
ღმრთისმშობელსა ადიდებენ.

ქალწულმან მხოლომან
გჳშევ[4] ღმერთი, რომელი არა[5]
დაეთესა,
და ხრწნილებაჲ
არა გეუფლა, რამეთუ რომელი
შენგან
გამოვიდა, არათუ[6]
ღმერთი იყო შიშუელი, არამედ
შემოსილი
კაცებითა, ამისთჳს[7] გადიდებთ.

---

[1] „ულალადებენ"-ს სხვა ხელით ზემოდან აწერია „იტყჳან". [2] არაჲ. [3] ამისთუსცა. [4] გ˜შვა. [5] არაჲ. [6] არაჲთუ. [7] ამისთუს.

ჴმაჲ გ გ˝ი, ადიდებდითსა



138 v

648 (7) **შ**ენ, უქორწინებელსა
Eıı
269 ϑ' დედასა და ქალწულსა,
რომელმან უხრწნელი სიტყუაჲ
სამოსა დაიტიე
და ჰშევ ღმერთი ჴორცითა,
გალობით გადიდებთ.

• **გ**იხაროდენ
შენ, წმიდაო დედოფალო,
სოფლისა მაცხოვარსა
ძესა შენსა ევედრე ჴსნად ჩუ̆ენდა,
რომელნი
გალობით გადიდებთ[1].

649 (8) **გ**იხაროდენ, დედოფალო
დაბადებულთაო,
რომელმან საშოსა იტჳრთე[2]
მაცხოვარი
და გჳშევ ჩუენ ადამის ხატითა
ძე და სიტყუაჲ მამისაჲ,
ამისთჳსცა
გალობით გადიდებთ.

გიხაროდენ, სიქადულო
ყოვლისა სოფლისაო,
გიხაროდენ, ჴსნაო ადამის
ნაშობთაო,
რომელმან გჳშევ ღმერთი და კაცი·
ორითა ბუნებითა,
ამისთჳსცა გალობი[თ გადიდებთ].

გიხაროდენ, ქალწულთა 650 (9)
სიქადულო,
გიხაროდენ,
ვენაჴო რქაშუენიერო,
გიხაროდენ, ტევანო,
რომლისაგან
მოვისთულეთ[3] სიტკბოვებაჲ,
გიხაროდენ,
ღრუბელო სულმცირეო,

---

[1] გ˝დთ [2] იტუ̃რთე. [3] მოვისთულეთ+ჩ˝ნ (სხჳა ხელით).
* ღმრთისმშობლისა ნევმირებულია.



139 г

სალმრთოჲსა მის ცუარისა
სოფ|ლად მომყვანებელო,
გიხაროდენ,
შესავედრებელო
ჩუენ მორწმუნეთაო,
რომელმან ჰშევ ღმერთი
უკუდავი,
მოკუდავთათჳს მეოხ გუეყავ.

გიხაროდენ,
ტაძარო შუენიერო,
გიხაროდენ,
საყდარო მეუფისაო,
გიხაროდენ, საწმისო
სალმრთოჲსა მის
ცუარისა მტჳრთველო,
გიხაროდენ,
მაყუალო შეუწუველო,
გიხაროდენ, ტაკუკო ოქროჲსა
წმიდისაო,
გიხაროდენ, ბჭეო დაკრძალულო;
განუღებელო,
გიხაროდენ, ღმრთისა დედაო,
მეოხ გუეყავ შემსხმელთა შენთა.

შესუედითა 65г
ოქრეანითა (10)
შემკობილსა სძალსა
და პირად-პირადად
განშუენებულსა წმიდასა
ქალწულსა,
რომელი უმაღლეს ცათა
საყდართა გამოჩნდა
და უფალი იგი დიდებისაჲ
წიაღთა წმიდათა იტჳრთა,
ჩუენ, ყოველნი, გალობით და
შესხმით ვადიდებთ.

სამოსლითა
ოქროქსოვილითა პირად-
პირადად



139 v

შემკობილსა...* საღმრთოჲთა
აღყუავებულსა,
წმიდასა მას წმიდათასა,
უსძლოსა ქალწულსა,
რომელმანცა
აღმოგჳცენა ჩუენ
ნაყოფი ცხორებისაჲ,
ჩუენ, ყოველნი, გალობით და
შესხმით ვადიდებთ.

ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი

უგალობდითსა ჴმაჲ დ გ˝ი.

652 (1) Eu 314 α′ ეტლთა მფლობელი ფარაო
დაანთქა საკჳრველთ-მოქმედმან
კუერთხმან
მოსესმან, რომელმან გამოსახა
სახე ჯუარისაჲ
და განუპო ზღუაჲ მეწამული
და ისრაელი იჴსნა
განმავალად მეტყუელი გალობასა
უფლისასა: რამეთუ
დიდებით დიდებულ არს.

დიდებულნი ითქუნეს შენთჳს
თესლითი თესლამდე, ქალწულო,
რომელმან
შეიწყნარე სიტყუაჲ ღმრთისაჲ
საშოსა შენსა და დაადგერ
ქალწულად, ღმრთისმშობელო
მარიამ,
ამისთჳს ყოველნი გადიდებთ,
რომელი შემდგომად ღმრთისა
მჴსნელად ჩუენდა
იპოვე, რამეთუ
დიდებით დიდებულ ხარ.

---

* არ იკითხება.

ჴმაჲ დ გ῀ი, უგალობლითსა



140 г

653 (2) Eu 315 α′ **ქ**უეყანასა მწყურნებსა, ვითარცა
ჴმელსა,
განვიდა და შრომათაგან
ეგჳპტისათა განერა
ერი ისრაელთაჲ, ღაღადებდა:
მჴსნელსა ჩუენსა და უფალსა
უგალობდეთ.

კრებული ანგელოზთაჲ და
კაცთაჲ, დედაო
უქორწინებელო, გიგალობენ შენ,
რამეთუ
დამბადებელი მათი ღმერთი,
ვითარცა ყრმაჲ, უშევ
დაბადებულთა.

654 (3) Eu 316 α′ **გ**ანუკუეთელი
განკუეთა მოკუეთილმან
და მზისთუალმან იხილა
ქუეყანაჲ უხილავი́,
მჴდომი იგი მტერი დაანთქა
ზღუასა ერითურთ,
ხოლო ისრაელი განვიდა
გზასა მას დაუთრგუნველსა
და უგალობდა ღმერთსა,
მაცხოვარსა დიდებულსა.

მამადმთავართა მიერ
აღმოგჳცენდი
წყაროჲ დაუწყუედელი,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
შენ მიერ მოვიღეთ მდინარე
უკუდავებისაჲ,
რომლისაგან აღვივსენით

ჴმაჲ დ გ˝ი, უგალობლითსა



140 v

წყუ[რიელნი] მადლისაგან,
ამისთჳს გევედრებით:
მეოხ გუეყავ ჩუენ მარადის.

655 (4) Eu 323 α′ **Ⴂ**ალობაჲ შევწიროთ,
მორწმუნენო,
ღმრთისა საკჳრველთ-მოქმედისა,
რომელმანცა იჴსნა
ისრაელი ეგჳპტით,
ძლევისა გალობითა
უგალობდეთ და ვიტყოდით:
ვიგალობთ შენ,
ღმერთსა სახიერსა.

Ⴂიხაროდენ, უქორწინებელო,
მარადის ქალწულო მარიამ,
წმიდაო ღმრთისმშობელო,
დედათა დიდებაო,
სასოვო სოფლისაო,
ყოველთა უმეტესო,
შენ ხარ საფარ-
ველი მორწმუნეთაჲ.

656 (Ⴄ) Eu 324 α′ **Ⴈ**სრაელი მონა-ქმნული
გამოიჴსენ, უფალო,
მკლავითა შენითა მტკიცითა,
ამისთჳსცა გიგალობთ,
რომელიცა დიდებულ ხარ.

Ⴂევედრებით, უბიწოო
ღმრთისმშობელო ქალწულო,
მეოხ გუეყავ ძისა და ღმრთისა,
რომელი ჰშევ უთესლოდ —
მაცხოვარი სულთა ჩუენთაჲ.

ჴმაჲ დ გ̃ი, უგალობდითსა



141 г

657 (6) Eu 325 α′ **უ**გალობდეთ უფალსა,
მორწმუნენო,
რომელმან დაანთქა პირველ
ფარავო ზღუასა მეწამულსა
ძლევისა გალობითა,
რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

უსხეულ[ო]თა ბუნებანი
შეძრწუნდეს,
რაჟამს ცათა შემოქმედი შენ,
უსძლოვო, მუცლად-იღე
და შიშით ადიდებდეს
შობასა შენსა გამოუკულეველსა.

658 (7) Eu 319 α′ **უ**ფალსა ღმერთსა უგალობდეთ,
ერნო,
მოქმედსა საკჳრველებათასა
ზღუასა მას მეწამულსა,
რამეთუ დიდებულ არს.

ქალწულსა დიდებულსა,
რომელმანცა
შემდგომად შობისა დაიცვა
ქალწულებაჲ უბიწოვებით,
ყოველნი უგალობდეთ.

უგალობდეთ უფალსა, 659 (8) Eu 321 α′
რომელმან განიყვანა ერი თჳსი
ზღუასა მას მეწამულსა,
მას მხოლოსა, რომელიცა
დიდებულ არს.

შენ, უქორწინებელო
ღმრთისმშობელო, რომელმან
გჳშევ სიტყუაჲ
დაუსაბამოჲ ჴორცითა
უზეშთაეს ბუნებათა, გიგალობთ.

სიღრმე მეწამულისაჲ 660 (9 Eu 322



141 v

პირველვე [გან]უპო ისრაელთა
  ერსა ქრისტემან
და მას შინა განიყვანა,
ხოლო რაჟამს განკაცნა,
ყოველთა მოუწოდა
და აღუშენა მათ ეკლესიაჲ
  მობაძავად
ზეცისა ძალთა თანა, ამისთჳსცა
უგალობთ
დაუცხრომელად, რამეთუ
  დიდებულ არს.

ღირსად და ჭეშმარიტად
შენ მხოლოჲ ქებულ ხარ
ყოველთა ნათესავთაგან,
ვითარცა სთქუ, ღმრთისმშობელო,
რამეთუ შენ მხოლომან
გჳშევ ღმერთი კორცითა და
  ქალწულად ეგე,
ამისთჳსცა გიგალობთ შენ:
ზეცისა ძალთა თანა ძესა შენსა
ევედრე
დაუცხრომელად ჩუენ მოსავთა
  შენთათჳს.

უცხონი*

რომელმან დაანთქა 661
ზღუასა მეწამულსა (10)
მძლავრი ფარავო Eu
და ისრაელსა წარუძღუა ჴმელად, 32ბ α′
უგალობდეთ ქრისტესა ღმერთსა,
რამეთუ დიდებულ არს
  უკუნისამდე.

შენ გნატრის, ქალწულო,

---

* ვერტიკალურადაა მიწერილი.



142 r

სიმრავლე ენათაჲ
და ღირ[სად] გაქებს,
რამეთუ ღმერთი დაუსაბამოჲ
უშევ კაცთა,
ვითარცა კაცი,
მას ევედრე ჴსნად სულთა
ჩუენთათჳს.

662 (11) Eu 331 *a′* **გ**ალობით შევასხმიდეთ
ღმერთსა, რომელმან ფარაოჲს
მონებისაგან იჴსნა ისრაელი
და უძღოდა მათ უდაბნოდ
სუეტითა ცეცხლისაჲთა
და ღრუბლითა მით ნათლისაჲთა,
უგალობდეთ მას,
რამეთუ დიდებით დიდებულ არს.

გიხაროდენ, ჴსნაო ადამისო,
გიხაროდენ, ევაჲს სიქადულო,
გიხაროდენ, წმიდაო
ღრუბელო ნათლისაო,
რომლისაგან გამოგჳბრწყინდა
ნათელი დაუღამებელი,
ქრისტე ღმერთი
ჩუენი, რომელი დიდებულ არს.

ზღჳსა სიღრმენი 663 (12)
განიპნეს ბრძანებითა შენითა,
მჴსნელო,
და დადგეს ორ-კერძო
და იხილნა მზემან საუნჯენი
მისნი,
და ერი რჩეული განვიდა
და ძლიერსა ღმერთსა გალობით
გიგალობდეს.

ზეცისა ძალთა
მთავარი, ცეცხლის ʼ| ფერი



142 v

გაბრიელ მაღლით
მოივლინა შენდა,
უქორწინებელო დედაო
ღმრთისაო,
და გეტყოდა: გიხაროდენ შენ —
საყდარო მაღლისაო,
უფალი შენ თანა.

664 (13) Ⴔარავო მძლავრი
ეტლებითურთ დაანთქა მეწამულსა
მას ზღუასა
ძლიერმან უფალმან,
რაჟამს განვიდა,
წყალნი იქმნეს ქუეყანა
და გზა — წრფელ
განსავალად ერისა ისრაელისა;
უგალობდეთ ყოველნი ქრისტესა,
რამეთუ დიდებულ არს
უკუნისამდე[1].

Ⴔესუედითა მით
ოქრეანითა შემკულ არს
ტაძარი ღმრთისაჲ წმიდაჲ —
უბიწოჲ ქალწული,
რომელი ცათა მაღალთა
უმაღლესად იპოვა
და სიტყუაჲ — პირველ ჟამთა
შობილი,
გჳშვა ჴორციითა, ვითარცა კაცი,
და ქალწულადვე ეგო
სამარადისოდ.

Ⴆღჳსა ღელვანი. 665 (14)
განძჳნებულ | ნი.

---

[1] უკ˝ⴑ.



143 r

დააცხრვენ, ქრისტე[1],
რაჟამს[2] მოსეს მიერ
იჴსნენ ისრაელნი
მეგჳპტელთაგან
და აჩუენე მათ ძალი ღმრთეებისა
შენისაჲ,
და აქებდეს
სასწაულთა შენთა, უფალო.

Ზეცით მოვიდა
სიტყუაჲ უჴორცოჲ
და იშვა შენგან
ჴორცითა, უსძლოო,
ვითარცა ყრმაჲ ჩჩჳლი,
რომლისათჳსცა
ზარ-განჴდილ იქმნეს
ზეცისა უჴორცოთა ძალნი·
და აქებდეს
შობასა შენსა, ყოვლად წმიდაო:

Საღმრთოჲთა ბრძანებითა ჩ66· (15)
და ზეგარდამო შერისხვითა
განიპნეს სიღრმენი იგი
საშინელთა უფსკრულთანი
და იხილვა უხილავი ქუეყანაჲ
საუკუნითგან განსასუენებელი
წყალთაჲ,
განვიდა ერი რჩეული ისრაელთაჲ·

---

[1] ქ˝ჱ. [2] რაჲყამს.

ჯმაჲ ღ˝გ˜ი, უგალობლითსა



143 v

ფერჴითა დაულ|ტოლველითა
ზღუასა მეწამულსა,
ხოლო მდევარი ფარაო
დაანთქა ერითურთ,
ამისთჳსცა უგალობთ
ღმერთსა ჩუენსა, ძლიერსა და
უძლეველსა,
რომელიცა დიდებულ არს.

გარდამოჴდა შენ ზედა
მდუმრიად სიტყუაჲ
დამბადებელი, უქორწინებელო*
სძალო,
დაბადებულთა ჴსნისათჳს
და სიმდაბლით დაემკჳდრა შენ
თანა
ცეცხლი ღმრთეებისაჲ
მიუახლებელი
და არა[1]
შეწუა საშოჲ შენი, უსძლო[ო],
არამედ დაგიცვა უვნებელად
უბიწოჲ,
და გამოუბრწყინდა კაცთა
ღმერთი ჴორც-შესხმული,
ამისთჳს უგალობთ
ღმერთსა ჩუენსა, ძლიერსა და
უძლეველსა,
რომელიცა დიდებულ არს.

საუცართაგან ეგჳპტისათა 667 (16)
ფარაო ვერ გულისჴმა-ყო,
რამეთუ ძალი ღმრთისაჲ

---

[1] არაჲ.

* ღმრთისმშობლისას აქედან აქვს ნოტაცია.



144 г

ჰბრძოდა | უძლურსა გონებასა
თჳსსა,
ხოლო რაჟამს[1] შემუსრა
ძლიერმან,
მან იცნა ძალი თჳსი,
ამისთჳსცა უგალობთ ქრისტესა,
რომელიცა დიდებულ არს.

მოიხილესა

668 (1) **ი**ხილეთ, იხილეთ,
Eıı
323 β′ რამეთუ მე ვარ ღმერთი, მჴსნელი
თქუენი,
რომელი პირველ საუკუნეთა
მამისაგან ვიშევ უდედოდ
და აღსასრულსა ჟამთასა
განვკაცენ ქალწულისაგან,
რაჲთა დავჰჴსნე
წყევაჲ პირველი ადამისი,
ვითარცა კაცთ-მოყუარე ვარ.

უპირატესო შენ
ყოველთა ბუნებათაო, მხოლოვო
და სრულებაო ყოველთა არსთაო,
მიზეზო ყოველთა კეთილთაო,
სამგუამოვნებით ცნობილო,
მამაო ღმერთო მშობელო,
ძეო შობილო
და სულო განმაცხოველებელო,
გუაცხოვნენ მორწმუნენი შენნი.

სასწაულად იხილვებოდა 669 (2

---

[1] რაჲჟამს.



144 v

მოსე[1], | მსახური ღმრთისაჲ,
ვინაჲთგან
იხილა ღმერთი უხილავი,
რომელსა ერნი ისრაელთანი
ვერ შეუძლებდეს თუალთა
   შედგმად
ხატსა პირისა მისისასა,
ვითარცა ნათელსა
   მზისთუალისასა.

წესნი ბუნებათანი შესცვალენ
შობისანი, მარიამ,
ვინაჲთგან
სიტყუაჲ სიტყვთა მუცლად-იღე,
რომელ არს ღმერთი დაუსაბამოჲ
და კაცთა უშევ კორც-შესხმული,
ნათელი ხარ ქრისტეანობისაჲ
და შენ მიერ აღვიარეთ სამებაჲ.

შცებმან ერმან, ცოფმან, 670 (3)
ურჩმან და მაცილობელმან
ითხოვნა მოსესგან
ღმერთად კელით ქმნულნი
   კერპნი,
ხოლო მოსე ითხოვა
სასწაული ღმრთისა
   უხილავისაგან,
და განბრწყინდა პირი მისი,
   ვითარცა მზჱ,
და კრებულსა მას
უგულისკმოსა ზარ-სცემდა
სასწაულად ხილვაჲ მისი.

---

[1] მოსჱ

ქმაჲ ღ გ˜ი, მოიხილეს



145 г

ჭარავსა მზისა,
თჳთ[1] მნათობისა ბუნებისასა,
სოფლისა მფარველსა,
ღრუბელსა მბრწყინვალესა,
ცხორებისა საყდარსა,
დედასა და ქალწულსა წმიდასა,
ჵშობელსა ნათლისა სიტყჳსა[2]
ღმრთისასა
დაუცხრომელად
ჩუენ, მორწმუნენი, ვადიდებდეთ,
სასოსა და მეოხსა ჩუენსა.

671 (4) * ეჩუენა ღმერთი მოსეს
მთასა ზედა ჰაეროვანსა
უხილავად და მის თანა შჯულსა
ზრახვიდა,
რაჲთა ამცნოს დამარხვად
ერსა უგულისჴმოსა, ურჩსა და
მაცილობელსა.

გეჩუენა[3], უბიწოო,
გაბრიელ[4], მთავარი უჴორცოთაჲ,
და გეტყოდა: ყოლად[5] წმიდაო,
გიხაროდენ,
შენ, ღირსო, შეიწყნარე**
სიტყუაჲ დაუსაბამოჲ,
რომელ არს ღმერთი
დაბადებულთაჲ[6].

მოსე დიდმან 672 (5)
წინაჲსწარმეტყუელმან,
იხილა რაჲ ღმერთი უხილავი,
განბრწყინდა პირი მისი
სალმრთოჲთა ნათლითა
უსხეულოჲთა,
რომლითა შეძრწუნდეს ძენი
ისრაელისანი
და დაეცნეს მეგჳპტელნი.

---

[1] თუთ. [2] სტყკსა. [3] ეჩოენა. [4] გ˝ბლ. [5] ყ˝ლა. [6] დ˝ბ.

* ძლისპირს მხოლოდ წითელი წერტილები აქვს. ** ღმრთისმშობლისას მხოლოდ აქ უზის ორი წერტილი, დანარჩენი წერტილები სინგურითაა.

ქმაჲ დ გ̃ი, მოიხილესა



145 v

სიბრძნე ბრძენთაჲ
და მეტყუელთა სიტყუაჲ
მოუძლურდების ქებად შენდა,
ყოლად უსძლო[ო] სძალო,
რამეთუ სიბრძნე და სიტყუაჲ
  მამისაჲ
უთესლოდ გჳშევ ჩუენ
და ქალწულადვე დაადგერ,
გჳთხოვე ჩუენ დიდი წყალობაჲ.

673 (6) **მ**ოსე წინაჲსწარმეტყუელმან
განჰყრობითა ჴელთაჲთა
ამალეკი იგი
მტერი უკუნ-აქცია,
ხოლო ქრისტეს ჯუარითა
მორწმუნენი განვძლიერდებით[1].

მოგასწავებდა, უსძლო[ო],
პირველ ესაია[2]
წინაჲსწარმეტყუელი
ღრუბლად[3] სულმცირედ, ღირსო,
რამეთუ შეიწყნარე
საშოსა ცუარი ცხორებისაჲ.

674 (7) **ვ**ითარცა წჳმაჲ[4],
გარდამოჴდა
ზეცით სიტყუაჲ ღმრთისაჲ
მდუმრიად საწმის[ს]ა ზედა
  საღმრთოსა
საშოსა ქალწულისა,
და, ვითარცა ცუარი ცხორებისაჲ,
ღრუბელმან სულმცირემან
შეიწყნარა საიდუმლოდ[5],
რომლითა გუესხურა
მორწმუნეთა მადლი გამოჴსნისაჲ.

ვითარცა პირველ
ქადაგებდეს
  წინაჲსწარმეტყუელნი[6]

---

[1] განვძრდებით. [2] ესაჲა [3] ღრობლად. [4] წუმაჲ. [5] საჲდუმლოდ. [6] წ̃წ̃ტ̃ლნი.

ჯმაჲ დ გ̃ი, მოიხილესა



146 г

და|ფარულთა მათ საიდუმლოთა[1],
აღესრულნეს აწ შენდა,
ჭეშმარიტად ღმრთისა დედაო,
რამეთუ შენ მხოლომან
გჳშევ ჩუენ ღმერთი ჴორცითა
და ქალწულად ეგე,
მას ევედრე ჴსნად სულთა
ჩუენთათჳს[2].

675 (ჩ) ღრუბლითა მით ნათლისაჲთა
ეჩუენა ღმერთი მოსეს
მთასა ზედა სინასა
და ასწავა მას შჯული საღმრთოჲ,
და განბრწყინდა პირი მისი,
ვითარცა მზე,
ხილვითა ღმრთისა
უხილავისაჲთა
და კრებულსა მას უღმრთოსა და
ცოფსა
ზარ-სცემდა
საშინელი ხილვაჲ მისი.

შორის შენსა დაემკჳდრა[3],
ქალწულო უბიწო[ო],
ცეცხლი იგი ღმრთეებისაჲ
და არა შეწუა საშოჲ შენი,
არამედ დაგიცვა უვნებელად,
ღირსო,
ვითარცა მთასა სინასა მაყუალი,
რომელი ეგზებოდა მოტყინარედ
და არა[4]
შეიწუვებოდა მისგან.

უდაბნოსა მას სიცხისასა 676 (9)
ღრუბელი ნათლისაჲ
აგრილობდა ძეთა ისრაელისათა
და უძღოდა[5] მათ სუეტი იგი
ცეცხლისაჲ,
ხოლო

---

[1] საჲდუმლოთა. [2] ჩ῀ნთ῀ს. [3] დაემკუდრა. [4] არაჲ. [5] უძღუდა.



146 v

მოსე შჯულის|მდებელი იგი
მათი
ბუნებითთა მათ შჯულთა სრბასა
დააცადებდა
და უზეშთაესსა მას ბუნებათასა
საიდუმლოსა მისწუთებოდა,
რამეთუ ღრუბელსა მას
საღმრთოსა ღირს იქმნა შესლვად
და ესმნეს უსმენელნი იგი
სიტყუანი
ღმრთისა უხილავისანი[1]
და მოიხუნა მცნებანი
საღმრთოჲსა მის შჯულისანი.

გონებითა და ვერ იკადრებდა
განცდად,
ხოლო შენ, უსძლო[ო] სძალო
მაცხოვრისაო,
უნივთოჲ შანთი ღმრთეებისაჲ
საშოსა იტვრთე[3] უთესლოდ,
უზეშთაეს ცნობათა
და არა[4] შეიწუ მის მიერ,
ხოლო ცუარი იგი სულისა
წმიდისაჲ
გაგრილობდა ზეგარდამო
და გფარვიდა, უსძლო[ო]
დედაო ძისა ღმრთისაო.

* უზეშთაესი ბუნებათაჲ
შესაძრწუნებელი
საიდუმლოჲ[2], იხილა რაჲ მოსე
მაყუალი მოტყინარე ცეცხლითა,
განჰკრთა

მოსე რაჟამს[5] იხილა 677 (10)
ცეცხლი აღჭურვილი[6]
მაყულოვანსა მას
და არა შეიწუებოდა,

---

[1] უხილავისანი [2] საჲდუმლოჲ. [3] იტურთე. [4] არაჲ. [5] რაჲჟამს. [6] აღჭორვილი
* ღმრთისმშობლისას აქვს ნოტაცია.

ჯმაჲ დ გ˝ი, მოიხილესა



147 r

მაშინ
შეძრწუნებული, შიშით იტყოდა:
რამეთუ მართალ
და წმიდა არს სახელი მისი.

ცათა დაუტევნელი
საშოსა დაიტიე, ქალწულო
მარიამ,
არა შეწუა მუცელი შენი,
არამედ განგანათლა სულით და
ჴორცით,
ამისთჳს ჩუენ, მორწმუნენი,
შენ ღმრთისმშობელად
აღგიარებთ.

678 (11) **შ**ჯულისმდებელმან ერსა
ისრაელთასა ასწავა სიბრძნე
ღმრთისაჲ,
რაჟამს სახედ ჯუარისა
უდაბნოს ჴელნი განიპყრნა
და პირი მის[ი]
მზისაებრ განბრწყინდა.

განქარდა ცთომაჲ პირველი
შენ მიერ, ქალწულო მარიამ,
რაჟამს
გჳშევ[1] ღმერთი ჴორცითა
სწორი მამისაჲ ღმრთეებითა,
მას ევედრე, წმიდაო,
ცხორებად სულთა ჩუენთათჳს[2].

გალობაჲ და დიდებაჲ 679 (12) *
მივსცეთ დღეს უფალსა ღმერთსა
ჩუენსა,
რომელი ჩუენთჳს[3] განჴორციელდა
წმიდისაგან ქალწულისა.

იხილეთ, იხილეთ 680 (13)
და
მ̇იეცით დიდებაჲ
ღმერთსა
ერმან ურჩმან, ცოფმან და
მაცილობელმან,
რომლისაჲ მართალ და
წმიდა არს სახელი მისი.

დიდებაჲ, დიდებაჲ, დიდებაჲ
შენდა, მამაო, ძეო
და სულო წმიდაო, ერთო

---

[1] გუშევ. [2] ჩ̃ნთათუს. [3] ჩ̃ნთუს.
* არ აქეს ღმრთისმშობლისა.



147 v

ერთობაო, ერთუფლებაო
და ჴელმწიფებაო,
რომლისაჲ მართალ
და წმიდა არს სახელი მისი.

681 (14) * Ⴙუენა უფალი მოსეს მთასა ზედა
სინასა ღრუბლითა ნათლისაჲთა,
სუეტითა ცეცხლისაჲთა და
ეტყოდა მას: მე ვარ უფალი
ღმერთი შენი, რომლისა
მართალ და წმიდა არს სახელი
ჩემი.

682 (15) Ⴈხილეთ, იხილეთ და მიეცით
დიდებაჲ სახელსა მისსა წმიდასა
ერმან ურჩმან, ცოფმან და
მაცილობელმან,
რომელი მოვიდა ძიებად
წარწყმედულთათჳს,

სიტყუაჲ მამისაჲ[1] ზეცით
მოსრული მჴსნელად ჩუენდა,
მჯდომარე ქერაბინთა ზედა,
უტჳრთვან მას სამყარონი
ცათანი, უხილავთა და ხილულთა
შემოქმედი ღმერთი,
რომელმან სათნო-იყო შობაჲ
ჴორცითა ქალწულისაგან
ცხორებად მორწმუნეთა,
ამას უგალობდეთ
და მივსცეთ დიდებაჲ სახელსა
მისსა.

რომელმან მთასა სინასა 683 (16)
გამოუცხადე მოსეს
საიდუმლოჲ[2]
ჴორც-შესხმისაჲ და არქუ მას: მე
ვარ უფალი ღმერთი
შენი, რომელმან ვაცხოვნო ერი
ჩემი და ვიჴსნა
სოფელი საცთურისაგან[3],
რომელსა მ[ი]ღაღადებდეს
ყოველი

---

[1] სტყსა მამისაჲ. [2] საჲდუმლოჲ. [3] სცთურისაგან.

* აქედან ბოლომდე „მოიხილესას" აღარ ახლავს ნოტაცია და წითელი წერტილები. შავი წერტილებიც მხოლოდ აქა-იქაა.



148 r

ს|ული სახელსა ჩემსა წმიდასა
  უკუნისამ[დ]ე.

684 (17) **მ**ოიხილე, ცაო, და ვიტყოდით
და უგალობდეთ ღმერთსა ჩუენსა
  მაღალთა შინა,
რომელი დამკჳდრებულ არს
  საყდართა ზედა სუფევისა
  მისისათა,
რომელმანცა ჯერ-იჩინა
  გარდამოსლვაჲ ქუეყანად
მორწმუნეთა ცხორებად,
დამჴსნელად პატიჟთა მათ
  პირველთა.

685 (18) **მ**ართალ და წმიდა არს უფალი,
  ღმერთი ჩუენი, რომელმან
  სიკუდილი ცხორებად შეცვალა
  ვნებითა თჳსითა ჯუარსა ზედა
და აღიყვანა ბუნებაჲ ჩუენი
  სიმაღლედ მიმართ ცისა,
ესე არს ღმერთი ჩუენი, ამას[1]
  მივსცეთ დიდებაჲ უკუნისამდე.

მთასა ზედა სინასა მოსე 686 (19)
  წინაჲსწარმეტყუელსა თავადი
  იგი ზრახვიდა უცნაურად
ნისლსა შინა, ხოლო რაჟამს
  იხილა მან ღმრთეებაჲ
  უხილავი, ზარ-განჴდილ იქმნა
  იგი, მაყუალსა რაჲ ხედვიდა
  აღგზებულსა და არა-
  შემწუველსა, რამეთუ მოასწავა,
  ვითარმედ: საღმრთომან
  ცეცხლმან არა შეწუას საშოჲ
  ქალწულისაჲ, რამეთუ მართალ
  და წმიდა არს სახელი მისი.

---

[1] ამს.

ჴმაჲ დ გ˜ი, განძლიერდასა



148 v

განძლიერდასა

687 (1) Eu 314 γ' **გ**ანმაძლიერებელ მექმენ მე,
დამბადებელო ცისაო
და ქუეყანისაო, წყალთა ზედა
დამამტკიცე მე, ქრისტე,
ეკლესიისა კლდესა ზედა,
რამეთუ არავინ[1] არს
წმიდაჲ შენებრ, კაცთ-მოყუარე.

ყოველთა დამბადებელი
მუცლითა იტჳრთე[2], ქალწულო,
და შეუწველად დაიცევ მის მიერ,
ვითარცა მთასა სინასა
მაყუალი ცეცხლისაგან,
რომელი სახე ექმნა
შობასა შენსა, ღმრთისმშობელო.

688 (2) **ძ**ლიერებითა
შენითა დაამტკიცე გული ჩემი,
რაჲთა გიგალობდე შენ,
მაცხოვა[რ]სა:
არავინ[3] არს წმიდაჲ შენებრ,
კაცთ-მოყუარე,
რამეთუ შენ ხარ ძალი ჩემი,
სიმტკიცე და სიქადული.

ტაკუკი იგი
ოქროჲსაჲ სახე გექმნა შენ,
ღმრთისმშობელო,
რომელი საუნჯე ექმნა მანანასა,
ხოლო შენ იტჳრთე[4] ყოველთა
მეუფე
მიუწდომელად, მისა[5] მიმართ
მეოხ გუეყავ მოსავთა შენთა.

შენ, დამამყარებელო 689 (3) Eu
კამარათა ცისათაო, უფალო 315 γ'

---

[1] არაჲვინ. [2] იტურთე. [3] არაჲვინ. [4] იტორთე. [5] მისსა.

ქმაჲ დ გ̃ი, განძლიერდასა



149 г

და აღმაშენებელო ეკლესიათაო,
დამამტკიცენ ჩუენ
სიყუარულსა შენსა,
თავო ყოვლისა სიხარულისაო[1]
და განმაძლიერებელო
მორწმუნეთაო, მხოლო[ო]
კაცთ-მოყუარე.

Დაემკჳდრე საშოსა
ქალწულისასა, უფალო,
და გამოუჩნდი კაცთა
ჴორციელად, ვითარცა სათნოიყავ,
და გამოაჩინე იგი
ჭეშმარიტად ღმრთისმშობელად
და შემწედ ყოველთა მორწმუნეთა,
მხოლო[ო] კაცთ-მოყუარე.

690 (4) Eu 321 γ′ Შენ ხარ დამამტკიცებელი
მვედრებელთა შენთაჲ, ქრისტე,
შენ ხარ ნათელი
დაბნელებულთაჲ[2] და გადიდებს[3]
სული ჩემი.

Ჩუენ ყოველნი მოგიგებთ
შესავედრებელად, ქალწულო,
ზღუდე მექმენ
ქრისტეანეთა მორწმუნეთა, სძალო
ღმრთისაო.

Არავინ[4] არს წმიდაჲ, 691 (5) Eu 323 γ′
ვითარ უფალი
და არავინ[5] არს მართალ
ღმრთისა ჩუენისაებრ, რომელსა
უღაღადებთ:
არავინ არს წმიდაჲ
შენებრ, უფალო.

Ჰშევ და ქალწულად ეგე
სამარადისოდ

---

[1] სიხაროლისაო. [2] დაბნელებოლთაჲ. [3] გადიდესბს. [4-5] არაჲვინ.



149 v

და უქორწინებელად
ღმრთისა დედა იქმენ,
სანატრელო მარიამ,
რომელსა ევედრე
სულთა ჩუენთათჳს.

692 (6) Eu 319 γ′ **გ**ანძლიერდა დღეს გონებაჲ ჩემი
უფლისა ღმრთისა მიმართ
და ამაღლდა რქაჲ ჩემი
და განვრცნა პირი
ჩემი მტერთა ზედა ჩემთა
გონიერთა.

ჭურსა საღმრთოსა
ქალწულებისასა,
უქორწინებელსა მას,
მხოლოსა უბიწოსა
ღმრთისმშობელსა დღეს
ყოველნი მორწმუნენი
უგალობდეთ.

შიში შენი დაჰნერგე გულსა 693 (7) Eu 316 γ′
ჩემსა
და შემწე ეყავ მორწმუნეთა და
განაძლიერენ, რომელნი
გევედრებიან ღმერთსა
ყოვლისა მპყრობელსა.

მუცლად-იღე
უთესლოდ, ღმრთისმშობელო,
მაცხოვარი ჩუენ ყოველთაჲ და
განმარინენ ჭირისაგან,
რომელნი ჭეშმარიტად შემწედ
აღგიარებთ შენ.

რომელმან ცანი 694 (8)
სიტყჳთ[1] დაამყარენ
და ქუეყანაჲ
დაამტკიცე სიბრძნით, უფალო,
დაამტკიცენ გულნი ჩუენნი
შიშსა და სიყუარულსა
შენსა, მხოლო[ო] კაცთ-მოყუარე.

---

[1] სიტყუ῾თ.

ჯმაჲ დ გ~ი, განძლიერდასა



150 г

რომელმან გჳშვა ცათა
დაუტევნელი,
ქალწულსა მარიამს უგალობდეთ,
მორწმუნენო,
გიხაროდენ, უბიწო[ო],
რომელმან გესლი იგი პირველისა
დედისაჲ განაქარვე.

695 (9) Eu 324 **რ**ომელმან დაამყარენ ცანი
სიტყჳთა
და ქუეყანაჲ გარდაართხი
სიმაღლესა ზედა უფსკრულთასა,
დამამტკიცე მე, უფალო,
მგალობლად და ქებად შენდა.

უმაღლეს ცათა გამოშჩნდი,
უბიწოო
ქალწულო, ქუეყანასა,
რაჟამს იტჳრთე[1] მეუფე საუკუნოჲ
ქრისტე ღმერთი ჩუენი
შენ, მზისა უბრწყინვალესო.

სულითა ღმრთეებისაჲთა 696 (10)
დაამტკიცენ ეკლესიანი[2], ქრისტე
ღმერთო,
და მას შინა დაჰნერგე ჯუარი
შენი,
რომლითა გამომიჴსნენ წარმართნი
და გიღაღადებთ,
რამეთუ[3] არავინ[4] არს
წმიდაჲ შენებრ, კაცთ-მოყუარე.

საიდუმლოჲ[5] დიდებული
და სასწაული ზეშთა ცნობისა და
სიტყჳსა[6]
აღესრულა
შენ შორის უქცეველად,
უბიწოო მშობელო ღმრთისაო,
რაჟამს გჳშევ ჩუენ
ჴორცითა კრავი ღმრთისაჲ,
ამხუმელი ცოდვათა სოფლისათა.

შჳდგზის მიფენითა ნიჭთაჲთა 697 (11)

---

[1] იტურთე. [2] ეკლესანი. [3] რამეთო. [4] არაჲვინ. [5] საჲდუმლოჲ. [6] სიტყუისა.



150 v

სულისა მიერ წმიდისა
აღვსებული მადლითა განძლიერდა
ეკლესიაჲ და, რომელსა ბერწ
ერქუ[ა],
აღივსო ნაშობითა, რამეთუ
მას შინა დაიდვა ლოდი მტერთა
დაბრკოლებისაჲ, ქრისტე,
და სიხარულით ღაღადებს
შვილთა თანა:
არავინ[1] არს წმიდაჲ შენებრ,
კაცთ-მოყუარე.

კუერთხი მორჩთაგან იესესთა
აღმოსცენდი, უბიწო[ო],
და ნიავი საღმრთოჲსა
სურნელებისაჲ
შენ მიერ ვიყნოსეთ, რამეთუ შენ
ზედა
განისუენა სულმან საღმრთომან
და გყო შენ ტაძარ დამტევნელ
ცათა მეუფისა
და საშოჲთ შენით ვიხილეთ ჩუენ
ნათელი,
რომელ არს ევმანოელ — ჩუენ თანა
ღმერთი.

შენ, ქრისტე ღმერთო, უძლურთა 69ჲ (12)
განმაძლიერებელო
და დაცემულთა აღმადგინებელო,
მოსავნი შენნი გევედრებით შენ:
მოჰმადლე ძლევაჲ მეფესა ჩუენსა
მორწმუნესა[2] მტერთა მიმართ
ურწმუნოთა,
დაიცევ შეუძრველად

---

[1] არაჲვინ. [2] მორწ̃უმნესა.



151 r

მარ|თლადსარებითა
დამტკიცებული ეკლესიაჲ,
რომელი აღეშენა
საღმრთოჲსა
გუერდისა შენისაგან, ქრისტე,
და განწმიდნა ყოლად წმიდითა
სისხლითა შენითა,
აღორძნდეს შვილნი მისნი
და ერთობით გა[დი]დებდეს
დამამტკიცებელსა
და ყოვლისა მპყრობელსა
ღმერთსა.

* შენ ზედა აღესრულნეს თქმულნი
მამადმთავართანი,
ყოლად უსძლო[ო]
სანატრელო სძალო,
რაჟამს გჳშევ ღმერთი
განკაცებული,
რომელმან მოსცა ადამიანთა
ჴელმწიფებაჲ[1] შვილ-ყოფად
ღმრთისა მაღლისა,
დაჰჴსნდეს ცთ[ო]მანი იგი
გულისამიერნი
შობითა შენითა, ღმრთისმშობელო
ქალწულო, დიდ არს და
საშინელ საიდუმლოჲ[2] შობისა
შენისაჲ,
ამისთჳს ყოველნი ნათესავნი და
ენანი
სულიერითა ჴმითა
შენ ღმრთისმშობელად
აღგიარებენ
და, ვითარცა ღირს ხარ,
დაუცხრომელად გადიდებენ.

მესმასა

შენ ხარ, ქრისტე, ღმერთი|ჩემი, 699 (1) Eu 314 ბ'

---

[1] ჴელმწიფებაი. [2] საჲდუმლოჲ.
* აქვს ნევმები.



151 v

შენ ხარ ძალი ჩემი,
შენ ხარ უფალი ჩემი
და სიქადული ცხორებისა
ჩემისაჲ,
რომელმან არა[1] დააცარიელენ
წიაღნი მამულნი ზეცას
და გამოუჩნდი სიმდაბლესა ჩემსა,
ამისთჳსცა[2] წინაჲსწარმეტყუელისა
ამბაკუმის თანა ვიტყოდით:
ძალსა შენსა დიდებაჲ, კაცთ-
მოყუარე.

შანაქარვე ყუედრებაჲ
დედისა ევაჲსი,
რაჟამს ღმერთი,
დამბადებელი შენი, მუცლად[3]-იღე
უზეშთაეს კაცთა ბუნებისა
და გჳშევ[4] ჩუენ გამოუთქუმელად,
უბიწო[ო] დედაო
ქრისტეს მაცხოვრისაო,
შეოხ გუეყავ მოსავთა შენთა.

მესმა, უფალო, განგებაჲ 700 (2) Eu 322 ბ'
საიდუმლოთა[5] შენთა
გამოუთქუმელთა,
განვიცადენ საქმენი შენნი
და აღვიარე მე ღმრთეებაჲ შენი.

ღმერთი, რომელი გჳშევ ჩუენ,
უბიწო[ო] მარიამ, ვედრებად
მისა
ნუ დასცხრები ჩუენთჳს,[6]
ქალწულო,
რაჲთა მოგუანიჭოს ჩუენ დიდი
წყალობაჲ.

აჰმჴედრდი 701 (3) Eu 316 ბ'
ეტლთა მოციქულთა შენთასა,
უფალო,
და აღჳრნი[7] მათნი ძლიერად
ჴელთ-ისხენ

---

[1] არაჲ. [2] ამისთუსცა. [3] მუცლადა-. [4] გუშევ. [5] საჲდუმლოთა. [6] ჩ~ნთუს. [7] აღურნი.

ჴმაჲ დ გ˜ი, უფალო მესმასა



152 г

და მჴედრობაჲ შენი
ცხორებ[ა] არს მორწმუნეთა,
რომელნი ღაღადებენ:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

მნანი
კაცთანი მოუძლურდებიან[1]
გამოთქუმად
საიდუმლოსა შობისა შენისასა,
უბიწოვებით[2] უქორწინებელო
სძალო,
ხოლო სარწმუნოებით
აღგიარებენ დედად ნათლისა.

702 (4) Eu 321 ბ′ **მ**ესმა მე, ქრისტე, სმენაჲ და
შემეშინა,
რამეთუ მამისაგან არა[3] დააკლდი
და კაცთა შორის გამოშჩნდი
ცხორებისათჳს
სულთა ჩუენთაჲსა, მრავალ-
მოწყალე.

ვერ შემძლებელ ვართ ქებად
შემსგავსებულად
სიწმიდისა შენისა, ღმრთისა
დედაო,
რამეთუ ზეშთა იპოვა
ცნობათა ჩუენთა
დიდებულებაჲ შენი, უსძლოო.

მესმა სმენაჲ 703 (5) Eu 331 ბ′
შენი, უფალო, და შემეშინა,.
განვიცადენ
საქმენი
შენისა მოსლვისანი და
განკჳრვებული[4]
შიშით ვღაღადებ:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო,.

მნაჲ ესე
მეტყუელი
განცჳბრდების[5] უცხოდ შობასა
შენსა,
უბიწოო[6]
სძალო, უქორწინებელო,. არამედ:

---

[1] მოუძლორდებიან. [2] უბიწეებით. [3] არაჲ. [4] გ˝ნკურვებული. [5] გ˝ნცობრდების.-
[6] უბწო.



152 v

ღაღა|დებს სიხარულით:
დიდებაჲ ძესა შენსა ქ[ალწულო].

704 (6) **ბ**უამით შენით
Eu 315 δ' გამოვიდეს ისარნი ნათლისანი, და
თავთა[1] მათ
წინაჲსწარმეტყუელთა
და მოციქულთა ოდეს იხილეს,
შეძრწუნდეს[2]
და ღაღადებდეს:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

ჴორცთა შენთა-
გან უბიწოთა დამბადებელმან
შენმან, სძალო
ღმრთისაო,
მიიღო განკაცებაჲ და გამოვიდა
ღმერთი და კაცი
ორითა ბუნებითა სრულითა.

705 (7) **ჭ**ესმა პირველად
Eu 320 δ' სმენაჲ მოსლვისა შენისაჲ,
ძლიერო ღმერთო,
განვიცადენ საქმენი შენნი,
რამეთუ ორთა მათ
ცხოველთა შორის გამოშჩნდი შენ
ცხორებისათჳს[3] სულთა
ჩუენთაჲსა.

ყოველთა მზრდელსა
აწოებდ შენ, უბიწო[ო], ვითარცა
ჩჩჳლსა[4];
რომელი ზის ზედა ქერაბინთა,
იტჳრთე[5]
ჰკლავთა შენთა ზედა, რამეთუ
შენ მხოლოჲ ამას ღირს
იქმენ,
ყოლად წმიდაო.

მორთულნი[6]

წინაჲსწარმეტყუელმან შენმან 706 (8)
ამბაკუმ
მოწევნასა ჟამთასა,

---

[1] თათვთა. [2] შეძრწონდეს. [3] ცხორებისათუს. [3] ჩჩულსა. [5] იტურთე. [6] მ˝რთნი.



153 r

გიხი|ლა რაჲ უფალი
  ცეცხლისფერთა[1] საყდართა
  ზედა მჯდომარე,
განკჳრვებულმან[2] ღაღატ-ყო:
დაფარნა ცანი
შუენიერებამან შენმან, უფალო,
და ქებით ღაღადებდა:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

წინაჲსწარვე ქადაგა ამბაკუმ
მიდგომილებაჲ საღმრთოჲ
უბიწოჲსა ქალწულისაჲ
და მისგან ჴორცითა შობაჲ
ყოველთა შემოქმედისაჲ
და ღაღადებდა:
ღმერთი სამხრით მოვიდეს,
  სიჩრდოჲსა მისგან
ქალწულისა საშოჲსა
ჴსნისათჳს თჳსთა დაბადებულთა.

იხილა რაჲ 707 (9)
წინაჲსწარმეტყუელმან
მთით ჩრდილოჲთ მაღნართაჲთ
განჴორციელებაჲ შენი,
სიტყუაო მამისაო,
განკჳრვებული[3] შიშით
  ღაღადებდა:
მაცხოვრად ერისა შენისა მოხუედ
და ჴსნად ცხებულთა,
დიდებაჲ ძალსა შენსა.

გიხაროდენ, ცაო სულიერო,
გიხაროდენ, ეტლო და საყდარო
  მაღლისაო,
გიხაროდენ, ტაკუკო,
  მტჳრთველო[4] ზეცისა
  მანანაჲსაო,
გიხაროდენ, ადამის ჴსნისა
  მიზეზო,
რომელმან გჳშევ ცხორებისა
  მომცემელი.

---

[1] ცეცხლის-. [2] გ῀ნკურვებულმან. [3] გ῀ნკურვებული. [4] მტურთველო.



153 v

708 (10) Eu 323 ბ' **წ**ინაჲსწარმეტყუელმან
საიდუმლოჲ[1] პირველ იხილა[2]
განჴორციელებისა შენისაჲ ქალწულისაგან
და ღმრთისმეცნიერებით
ღაღატ-ყო:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

შჯულსა ბუნებათასა
უზეშთაესად გამოშჩნდი[3], ქალწულო,
რამეთუ უფროჲს ბუნებისა[4] სიტყუაჲ ღმრთისაჲ იტჳრთე[5]
და გჳშევ ჩუენ, ყოველთა, ღმერთი,
მაცხოვარი სულთა ჩუენთაჲ.

709 (11) **ს**აყდარი ქერაბინთაჲ
არა[6] დაუტევე, ქრისტე ღმერთო,
ჴსნისა ჩუენისათჳს[7] გარდამოჰჴედ ქუეყანად,
იხილა რაჲ
წინაჲსწარმეტყუელმან, ღაღატ-ყო:
ღმერთი სამხრით მოვიდეს,
რაჲთა იჴსნეს წარწყმედისაგან
ცხებულნი თჳსნი[8], რომელნი ღაღადებენ:
დიდებაჲ ძალსა შენსა, უფალო.

სათნო-იყავ სიმდაბლით
შობაჲ ქალწულისაგან, ქრისტე
და მშობელი შენი დაიცევ ქალწულადვე,
ვითარცა ქადაგა ამბაკუმ[9] ღმრთისმეტყუელმან,
ვითარმედ: მზე ამაღლდა
და მთოვარე დადგა წესსა ზედა თჳსსა,
ქალწული ქალწულებასავე თჳსსა[10],
მის მიერ აცხოვნენ სულნი ჩუენნი.

---

[1] საჲდუმლოჲ. [2] იხალა. [3] გამოშჩ˝ნდი. [4] ბონებისა. [5] იტურთე. [6] არაჲ.. ჩ˝ნისათუს. [8] თუსნი. [9] ამბაკომ. [10] თუსსა.



154 r

710 Ⴖმრთისმეტყუელმან ამბაკუმ
(12) პირველვე მოგუასწავა
ჴსნისა ჩუენისა მიზეზი,
რაჟამს[1]-იგი განცხადებულად
ჴმამაღლად ქადაგა
ღმრთისა კაცთა მჴსნელად
მოსლვაჲ
მთით ჩრდილოჲთ და მაღნართაჲთ
ქალწულისა საშოჲსაგან
გამობრწყინვებად,
განუშორებელი ორთა მათ
ცხოველთაგან,
მამისა და სულისა,
რომელმან დადვა სიყუარული
მტკიცე
შორის ადამეანთა
და მოსცა სიხარული
ყოველთა მორწმუნეთა,
რომელნი ღაღადებენ:
დიდებაჲ ძალსა
შენსა, ძლიერო ღმერთო.

Ⴖმრთისა საყდრად გამოშჩნდი *
შენ, ყოველთა კაცთა
უზეშთაესო,
ღმრთისა დამტევნელო
და გამოუთქუმელად მშობელო
კაცთა მჴსნელისაო,
შენ ზედა სრულ იქმნეს თქმულნი
წინაჲსწარმეტყუელთანი
და ქადაგებანი იგი
მამადმთავართანი
განცხადნეს ჭეშმარიტად,
რამეთუ გუშევ ღმერთი
ღმრთისაგან შობილი
გამოუთქუმელად
და დაჰჴსენ მწუხარებაჲ
და მოეც სიხარული

---

[1] რაჲჟამს.

* ღმრთისმშობლისას აქვს ნოტაცია.

ჴმაჲ დ გ̃ი, უფალო მესმასა, ლამითგანსა



154 v

ყოლად ¦ მოუკლებელად და
  განუქარვებელი
მშობელთა შენთა
შობითა შენითა, ღირსო.

ღამითგანსა

711 (1) Eu 314 ε′ რაჲსათჳს[1] გამიშორებ
პირისაგან შენისა, ნათელო
  წარუვალო[2],
და დამფარა მე ბნელმან
წყუდიადისამან
  განუნათლებელმან,
არამედ
მომხედენ და ნათელსა მცნებათა
  შენთასა
წარჰმართე სლვაჲ ჩემი,
  გევედრები.

პადნიერებაჲ დედობრივი
ძისა შენისა თანა მოიგე, ყოლად
  უბიწო[ო],
და შეწევნასა ჩუენსა
ნუ დააცადებ მისა მიმართ;
  გევედრებით,
რამეთუ
გაქუს შენ მისა მიმართ მეოხებაჲ
  და მოტევებაჲ
ცოდვათა ყოველთა ქრისტეანეთა.

712 (2) Eu 338 ε′ ბნელისაგან ცოდვათაჲსა
აღმომიყვანენ მოსავნი შენნი,
  სახიერო*,
და განგუანათლენ სიტყუათა
  შენთა ნათლითა
სულნი, რომელთა აღიმსთუეს
  შენდამი სიხარულით,
რაჲთა ვადიდოთ
წყალობაჲ შენი, კაცთ-მოყუარე.

მამისაგან გამოსრული
სიტყუაჲ დაუტევნელი დაიტიე,
  უბიწოო,
და უზეშთაეს ბუნებათა
  გჳშევ | ჩუენ

---

[1] რაჲსათუს. [2] წარუვალო.

* აქედან № 2 ძლისპირს აქვს მხოლოდ წითელი წერტილები.



155 r

ღმერთი კორციელ-ქმნული
განმანათლებელი სოფლისაჲ,
ამისთჳს ჩუენცა
ღმრთისმშობლად აღგიარებთ
შენ.

713 (3) Eu 321 β' **Გ**ანგუანათლენ ჩუენ
ნათლითა შენითა, უფალო,
და მკლავითა მაღლითა,
მორწმუნეთა,
მშჳდობაჲ შენი
ზეცით მომეც ჩუენ, კაცთ-
მოყუარე.

Მეოხ გუეყავ ჩუენ
ძისა შენისა, ღმრთისმშობელო,
რაჲთა გარდამოგჳვლინოს
ჩუენ სი-
მრავლე მოწყალებათაჲ,
ვითარცა გაქუს კადნიერებაჲ.

714 (4) Eu 316 ε' **Ღ**ამისაგან წყუდიადისა
უგუნურებისა შეცთომილი
გზათაგან შენთა
ნათლითა შენმიერითა[1], უფალო,
დამამტკიცე მე მშჳდობით[2],
რაჲთა ვიდოდი მცნებათა გზასა.

Გამოვიდა შენგან, სძალო,
სიბრძნე დამბადებელი და
სიმტკიცე მორწმუნეთაჲ,
ყოლად წმიდაო მშობელო
ღმრთისაო,
გჳთხოვე ჩუენ მგალობელთა
შენთათჳს[3] აწცა დიდი წყალობაჲ.

715 (5) Eu 324 α' **Ა**ღმსთობილნი შენ გი-
გალობთ, უფალო, გუაცხოვნენ[4]
ჩუენ,

---

[1] შ̣ნ̣მიე̣რით̣. [2] მშუდობით. [3] შ˝თათუს. [4] გუააცხოვნენ.



155 v

ვითარცა სახიერ,
რამეთუ სხუაჲ ღმერთი არა[1]
ვიცით.

შემდგომად შობისა
ქალწულად ჰგიე, უბიწო[ო],
შენ, ყოლად სანატრელო,
ვითარცა ღმრთისმშობელ ხარ,
გადიდებთ.

716 (6) Eu 323 ε′ რომელმან ღამისაგან
უმეცრებისა ღმრთეებისა
ცნობითა
განანათლე ქუეყანაჲ,
განგუანათლენ ჩუენ აწცა, უფალო.

ღმრთისმშობელო ქალწულო,
უთესლოდ მუცლად-იღე შენ
სიტყუაჲ ღმრთისაჲ
და შემდგომად შობისა
ქალწულად ეგე სამარადისოდ.

რამეთუ სხუაჲ შენსა გარეშე 717 (7) Eu 317 ε′
ღმერთი ჩუენ არა ვიცით,
ნათელო თუალთ-შეუდგამო,
ღამითგან აღვიმსთობთ ჩუენ
და გადიდებთ შენ, კაცთ-მოყუარე.

ჭეშმარიტად, დედათა შორის შენ
მხოლოჲ სანატრელ[2] ხარ,
უბიწო[ო] ღმრთისმშობელო,
რამეთუ შენგან იშვა
ცხორებაჲ ყოვლი[3][სა]
სოფლისაჲ.

მორთულნი

სულთა ჩუენთა არმური 718 (8) Eu 327 ε′
განდევნე, ნათლისა მომცემელო
ქრისტე[4],
და პირმშოჲ იგი ბნელისაჲ
განაშორე ცნობათაგან ჩუენთა,
სახიერ,

---

[1] არაჲ. [2] სასანატრელ. [3] ყ῀ლი. [4] ქრისტჱ.

ჯმაჲ დ გ̃ი, ღამითვანსა



156 r

რომელნი შენდამი|აღვიმსთობთ,
მოგუმადლე[1] ჩუენ
ნათელი ბრძანებათა მათ შენთაჲ.

ჰხედვიდა რაჲ დაშჯილსა
ჯუარსა ზედა უბიწოჲ მშობელი
შენი, უფალო,
და იხილა რაჲ გუერდი
შენი განპებული ლახურითა
მჴედრისაგან, აღივსო
ტკივილითა და ადიდებდა იგი
სულგრძელებასა შენსა, სახიერ.

719 (9) Eu 315 ვ' **ნ**ათლითა შენითა
განანათლე გონებაჲ ჩემი, ქრისტე,
გევედრები შენ,
რაჲთა ღამითგან აღვიმსთო
შენდამი
და უგალობდე
დიდსა სახიერებასა შენსა.

ნათლითა საღმრთოჲთა
განმანათლენ ჩუენ, მგალობელნი
შენნი,
ღმრთისა დედაო,
რაჲთა ღირსად გადიდებდეთ შენ
და უგალობდეთ
შენგან შობილსა ქრისტესა[2]
ღმერთსა.

ცოდვისა საცთურთაგან, 720 (10)
ვითარცა ღამისაგან წყუდიადისა,
მიჴსენ, ქრისტე,
აღიმსთობს სული ჩემი
შენდამი, გევედრების:
წარმიძღუ მცნებათა შენთა
ნათელსა.

პიბედ ცად: აღმყვანებელად

---

[1] მოგომადლე. [2] ქ͞ჱსა.

ჯმაჲ ღ გ˝ი, ღამითგანსა



156 v

ოდეს|მე იაკობ გიხილა შენ,
  ქალწულო,
რომელსა გარდამოჴდა მჴსნელი
  ყოველთაჲ ქრისტე[1],
რომელმან განანათლა
  დაბადებულნი.

721 (11) **ს**აცთურთაგან სოფლისათა
დაბნელებული სული ჩემი
განანათლე,
ქრისტე — ნათელო ჭეშმარიტო,
და წარჰმართენ ფერჴნი ჩემნი
ალაგსა მცნებათა შენთასა,
წინამძღუარო მშჳდობისაო[2].

საცთურთაგან[3] ცოდვისათა
დაბნელებული სული ჩემი
განანათლე,
ნათლისა დაუსაბამოჲსა
მშობელო,
სძალო ღმრთისაო,
რაჲთა ბრწყინვალედ შევამკობდე
გამოუთქუმელსა შობასა შენსა.

722 (12) **ს**იბნელე ღამისაჲ
და საცთური ცოდვისაჲ
სოფლისა ამის ბოროტთაჲ
ბრწყინვალედ განანათლე,
  ქრისტე,
რაჟამს სერაბინმან
ესაიას[4] ნაკუერცხალი შეახო
  ბაგეთა
და ღაღატ-ყო:
მშჳდობაჲ[5] შენი მომეც[6] ჩუენ.

უპირატეს ხარ შენ
ქერაბინთა, ქალწულო,
რამეთუ, რომელი-იგი
ესაიას[7] შეახო მარწუხითა[8]
შიშით ზარ-განჴდილმან

---

[1] ქ̃ჱ. [2] მშოდობისაო. [3] საცთორთაგან. [4] ესაჲას. [5] მშუდობაჲ. [6] მმეც. [7] ესაჲას.
[8] მარწოხითა.



157 г

სერა|ბინმან, შანთი ცეცხლისაჲ,
შემწუველი
ჯოჯოხეთისაჲ[1], შენგან იშვა და
ქალწულად
დაგიცვა.

723 (13) * **ც**ეცხლისფერთა ეტლთა ზედა
მჯდომარე
დიდებითა გარდამოჰქედ სიტყუაჲ
ღმრთისაჲ,
შემკრიბენ განბნეულნი
მოსლვითა[2] შენითა, კაცთ-
მოყუარე.

724 (14) **მ**იზეზი იგი ბნელისაჲ
და ცოდვისა საცთური[3]
განიდევნა ღმრთეებისა ნათლითა,
რაჟამს[4] წინაჲსწარ ეუწყა
ღმრთის მგალობელსა ესაიას[5]

ზეცისა საიდუმლოჲ[6] დაფარული,
უბიწოჲსა
ქალწულისა მიდგომილებაჲ
და განკჳრვებული[7] ესრეთ
იტყოდა:
აწ იხილეთ ნათელი,
მყოფნო ბნელისანო,
რამეთუ მოვიდა
მზე სიმართლისაჲ დამჴსნელად
ბნელსა მას
კერპთმსახურებისასა
და ნათლად დაბნელებულთა.

მაღლით სიმდაბლედ მოვიდა **
სიტყუაჲ იგი მაღალი,
მამისა და˙სულისა თანაარსი,
ჴსნისათჳს[8] მიმძლავრებულთა
მტერისა მიერ ბოროტისა

---

[1] ჯჯხთისაჲ. [2] ს მოსლვითა. [3] საცთორი. [4] რაჲჟამს. [5] ესაჲას. [6] საჲდუმლოჲ. [7] განკურვებული. [8] ჴსნისათუს.

* ძლისპირს აქვს მხოლოდ წითელი წერტილები. არ ახლავს ღმრთისმშობლისა და ნევმები. ** ღმრთისმშობლისა ამ გვერდზე ნევმირებულია.



157 v

* და სიკუდილად მიცემულთათჳს[1]
ადამეანთა
და დაემკჳდრა[2] უნივთოჲ შანთი
ღმრთეებისაჲ
კორცთა შინა მიწისაგანთა
და მშობელი თჳსი[3]
უვაღრეს ყო ქერაბი[ნ]თა
და უზეშთაესად
სერაბინთა საყდართა გამოაჩინა
და მიჰმადლა მას მადლი
მეოხებად სულთა ჩუენთა.

725 (15) *Koschm* 280 **ვ**ნებათა ნისლისაგან
მე, ვითარცა ღამისაგან ღრმისა
გამოჴსნილი,
ალმსთობად შენდა ღირს-ყავ
სული ჩემი,
გევედრები
დღისა ნათელსა ბრძანებათა
შენთასა, ქრისტე.

ცად მიწევნულად ოდესმე იაკობ
პირველადვე გიხილა კიბედ,
რომელი მიზეზ იქმენ[4]
ღმრთისა ჩუენდა მოსლვისა,
შობისა საიდუმლოსა[5]
განიცდიდა.

ღაღატყავსა

მომიტევენ, სახიერ, 726 (1) Eu 315 ϱ
აურაცხელნი ცოდვანი ჩემნი,
რომლისათჳს გიჴმობ შენ,
მიჴსენ მე ბოროტთაგან,
შენდა მომართ ვღაღადებ:
ისმინე ჩემი,
ღმერთო, მაცხოვარო ჩემო.

განვერენით საცთურსა[6]

---

[1] მიცემულთათუს. [2] დაემკუდრა. [3] თუსი. [4] ექმენ. [5] საჲდუმლოსა. [6] საცთორსა.

* „ღამითგანსას“ მონაკვეთი ამ გვერდზე მხოლოდ შავი წერტილებითაა განკვეთილი.

ქმაჲ დ გ῀ი, ლალატყავსა



158 r

ცოდვათა ჩუენ|თასა ვედრებითა
  შენითა,
ღმრთისმშობელო ქალწულო,
ძისა შენისა მიმართ,
რომელი იშვა შენგან
უზეშთაეს ბუნებათა,
ძე ღმრთისაჲ დაუსაბამოჲ.

727 (2) Eu 322 ε′ **ზ**ღჳსა[1] მჴეცისა მუცელსა იყო
  რაჲ,
იონა[2] ჯუარის სახედ ჴელნი
  განიპყრნა
და მოასწავა ვნებაჲ მჴსნელისაჲ
  და სამ დღე დაფლვაჲ
და გამოაჩინა
უზეშთაეს ბუნებისა აღდგომაჲ
წარმოგდებითა მით
ვნებულისა მის კორცითა
  ქრისტეს ღმრთისა,
რომელმანცა აღდგომითა
იჴსნა დაბადებულნი.

ძუელი და ახალი შჯული
სამართლად
აღგიარებენ შენ დედად ღმრთისა
  ჩუენისა,
რამეთუ ესაია[3] ჭეშმარიტად
  ქადაგა
ქალწულად მიდგომილად
და მშობელად ევმანოელისა —
  ღმრთისა,
მთავრისა მშჳდობისა[4],
ხოლო აქა დღეს მორწმუნენი
  იტყჳან[5]:
მშობელო მაცხოვრისაო,
ჩუენთჳსცა მეოხ გუეყავ.

ვედრებასა ჩემსა განვჰფენ 728 (3) Eu 314 ε′
  უფლისა მიმართ
და მას აუვარებ ბრალთა | ჩემთა
  მარადის,

---

[1] ზღუსა. [2] იუნა. [3] ესაჲა. [4] მშოდობისა. [5] იტყუიან.



158 v

რამეთუ ბოროტითა აივსო სული
ჩემი
და სიმტკიცე ჩემი ჯოჯოხეთად
მიიწია
და იონაჲსებრ[1]
ვღაღადებ: აღმომიყვანე მე,
ღმერთო ჩემო.

ნუ დასცხრები ვედრებასა
ჩუენთჳს, ქალწულო,
ყოლად წმიდაო ღმრთისმშობელო
მარიამ,
რამეთუ სიმტკიცე ხარ ჩუენ
მორწმუნეთაჲ
და სასოებითა შენითა
განვძლიერდებით
და სარწმუნოებით
შენ და ძესა შენსა გადიდებთ და
თაყუანის-გცემთ.

ღაღატ-ყო ვეშაპისა მუცელსა 729 (4) Eu
იონა შენდა[2] მომართ: 321 ɛ'
უფალო, უფალო,
განხრწნისაგან იჴსენ ცხორებაჲ
ჩემი.

სამკჳდრებელი[3] ღმრთისაჲ ხარი
შენ,
ქალწულო უბიწო[ო],
და ჩუენ, მორწმუნენი,
ღმრთისმშობელად აღგიარებთ და
მეოხ გიყოფთ.

წინაჲსწარმეტყუელი იჴსენ 730 (5) Eu
სიღრმეთაგან და მჴეცისა, 323 ɛ'
ქრისტე ღმერთო,
მიჴსენ მეცა დანთქმული
სიღრმესა ცოდვისასა
და მაცხოვნე მე, ვითარცა
მოწყალე ხარ.

---

[1] ჲონაჲსებრ. [2] შენი და. [3] სამკუდრებელი.



159 г

მჯდომარე მამისა თანა
მკლავთა ზედა იტჳრთე[1],
ქალწულო,
ღმერთი ჴორციელ-ქმნული,
ცათა დაუტევნელი,
რომელსა ჩუენ, ყოველნი,
თაყუანის-ვსცემთ.

731 (6) Eu 343 ლ′ **ვ**ეშაპისა
მუცელსა შეაყენე
მარტოჲ იონა, უფალო,
ხოლო მე,
მტერისა ბადეთა შეყენებული,
მიჴსენ, ვითარ იგი
აცხოვნე განხრწნისაგან.

საშოჲ შენი,
ქალწულო უბიწო[ო],
ცათა უვრცელეს იპოვა,
რამეთუ
შემოქმედი ღმერთი
შენ თანა დაემკჳდრა[2]
უზეშთაეს
ბუნებასა კაცთასა.

შთავრდომილ ვარ მე სიღრმესა, 732 (7) Eu 325 ლ′
გულსა მას ზღჳსასა[3]
და ვხედავ
სასწაულთა შენთა, უფალო.

ქალწულმან გჳშვა მეუფე
და ღმერთი ყოველთაჲ
და ეგო
განუხრწნელად წმიდაჲ[4]
ქალწული.

ღაღატ-[ვ]ყავ დანთქმულმან 733 (8) Eu 317 ლ′
ცოდვითა შენდამი:
უფალო, მაცხოვარო ყოველთაო,
მიჴსენ მე ხრწნილებისაგან
ვითარცა ხარ მრავალ-მოწყალე.

---

[1] იტურთე. [2] დაემკუდრა. [3] ზღუსასა [4] ჳ῾ი.

ჴმაჲ დ გ˝ი, ლალატყავსა



159 v

Ⴓფალი მეუფე, ვითარცა
ღრუბლითა
სულმცირითა, მოვიდა შენდა,
სძალო,
რაჲთა დაამკუნეს ღმრთეებით
ჴელით-ქმნულნი ეგჳპტისანი.

734 (9) Eu 316 ε′ Ⴈსაკის მიერ
ვნებაჲ გამოსახე
და იონაჲსგან
დაფლვაჲ მოასწავე
და აღდგომაჲ ყოველთა
მოგუმადლე,
შენ გიღაღადებთ ჩუენ, ყოველნი:
ხრწნილებისაგან
აღმომიყვანენ, მრავალ-მოწყალე.

Ⴖმრთეებისა ცეცხლმან
არა[1] შეწუა საშოჲ
შენი, ქალწულო
უბიწოო, არამედ,
ვითარცა იონა, დაცვულ იქმნა
მუცელსა შინა მჴეცისასა,
რომელმან მოა-
სწავა სახე მკუდრეთით
აღდგომისაჲ[2].

Ⴑიღრმენი ცოდვათანი 735 (10) Eu 318 ε′
და ღელვაჲ მოქცევათაჲ
შემაძრწუნებს
მე
და უფსკრულთა
საშინელებანი დამთქმენ მე
უწყალოდ,
არამედ შენ, სახიერ,
აღმომიყვანე, ღმერთო ჩემო,
და მაცხოვნე, ვითარცა მოწყალე
ხარ.

Ⴁუნებათა უვაღრეს

---

[1] არაჲ. [2] აღდგუმისაჲ.



160 г

ჰშევ, ღმრთის|მშობელო,
კაცთათჳს[1] მშჳდობაჲ[2]
და სიღრმისაგან
ბნელისა იჴსნენ ადამეანნი,
ამისთჳს[3] მორწმუნენი
სამართლად გადიდებთ,
უბიწო[ო],
მეოხო მოსავთა შენთაო.

736 (11) Eu 324 ε′ **Ⴇ**ანამდები შემიწყნარე,
კაცთ-მოყუარე,
ბრალთაგან მრავალთა
და სოფლისა ღელვათაგან
გუემული,
ვითარცა იონა, და მაცხოვნე მე.

Ⴇჳნიერ[4] ქორწილისა ჰშევ,
უსძლო[ო] სძალო,
ძე და სიტყუაჲ ღმრთისაჲ,
პირველ ჟამთა მამისაგან შობილი,
მას ევედრე, ყოლად უხრწნელო,
ჴსნად მოსავთა შენთა.

Ⴜინაჲსწარმეტყუელი შეყენებული 737 (12)
გულსა შინა ზღჳსასა,[5]
მუცელსა შინა ვეშაპისასა,
სამ დღე ვნებასა შენსა
მოასწავებდა
და იტყოდა: მიჴსენ მე, ღმერთო
ჩემო.

Ⴜინაჲსწარმეტყუელთა
ქადაგებული
აღესრულა შენ ზედა,
უსძლო[ო], რამეთუ ქალწულმან
ჰშევ
ღმერთი ჴორცითა
გამოუთქუმე|ლად;

---

[1] კაცთათუს. [2] მშ̃უდობაჲ. [3] ამისთუს. [4] თუნიერ. [5] ზღუსასა.



160 v

მისა მიმართ მეოხ გუეყავ ჩუენ.

738 (13) შეყენებული საბრჯეთა
ცოდვისათა,
ვითარცა იონა მუცელსა
ვეშაპისასა,
გილალადებ:
ქრისტე, განწირულთა სასო[ო],
იჴსენ ხრწნილებისაგან ცხორებაჲ
ჩემი,
ვითარცა სახიერ ხარ
და მრავალ-მოწყალე.

შენ ხარ, უსძლოო, მყუდროჲ[1]
ნავთსაყუდელი
სულთა ცხორებისაჲ, შენ-
და მოვივლტით, ქალწულო,
ღელვათაგან
ცოდვისათა აღმომიყვანე და
მიმიძღუ
პირველთა საშუებელთა[2]
მეოხებითა
შენითა, ყოლად წმიდაო.

739 (14) * ჴირველვე გამოსა-
[ხა] საიდუმლოჲ[3] წარმართთა
ჴსნისაჲ
იონა წინაჲსწარმეტყუელმან,
გამოუთქუმელი განჴორციელებაჲ
მაცხოვრისა ჩუენი-
საჲ
საშოჲსაგან უბიწოჲსა ქალწულისა,
შთასლვითა
მუცელსა მჴეცისა მის
საშინელისასა,
რამეთუ უხრწნელად
დაიცვა განმხრწნელისაგან,

---

[1] მყოდროჲ. [2] სშბლთა. [3] საჲდუმლოჲ.
* სანოტო ნიშნები ჩამატებულია გვიანდელი ხელით და შავი მელნით.



161 г

ეგრეთ|ვე უვნებელად ეგო
ბეჭედი წესთა მათ
ქალწულებისათა,
შემდგომად შობისა,
უსძლოჲსა ქალწულისა,
რამეთუ შობილსა მას
წმიდად და ძე მაღლის
ეწოდოს სახელი მისი.

* პირველთა მათ იგავთა
და სალმრთოთა მქადაგებელთა
წინაჲსწარ გუაუწყეს
  გამოუთქუმელად
მუცლად-ღებაჲ უსძლოჲსაჲ შენ,
მაცხოვრისა ჩუენისაჲ,
და უთესლოდ შობაჲ კაცთა
  ჴსნისათჳს
ჴორცითა.

აწ უმეტეს განსცხრებიან
  სიხარულით,
რამეთუ სარწმუნო
იქმნეს თქმულნი მათნი:
აჰა ესერა განუხრწნელად
დაიცვა საშომან
ქალწულისამან ცეცხლი
  ღმრთეებისაჲ
და უვნებელად ეგო
და დაცვულ იქმნა იგი,
ვითარცა იონა
მუცელსა შინა
ზღჳსა მის მჴეცისასა.

Ⴈვლტოდა[1] იონა პირისაგან 740 (15) **
  მაღლისა და შეაყენა
იგი მთამან მუცელსა მჴეცისა

---

[1] ჲვლტოდა.

* ღმრთისმშობლისას აქვს სანოტო ნიშნები შავი მელნით. ** ძლისპირს ახლავს მხოლოდ შავი წერტილები, ნევმები და ღმრთისმშობლისაც არა აქვს.

ჯმაჲ დ გ˝ი, ლალატყავსა — კურთხეულარსა



161 v

და უჩუენა ძალი ღმრთეებისა თჳსისაჲ[1],
და ესრეთ იტყოდა: მიჴსენ განხრწნისაგან.
და უბრძანა ღმერთმან
მჴეცსა მას ზღჳსასა[2],
წარმოაგდო იონა
უვნებელად დაცვული და მით
გამოისახა ქალწულებაჲ
ღმრთისა სიტყჳსა[3] მშობელისაჲ
და კაცთა ჴსნისა განგებულებისაჲ,
რომელთა აღიარეს ჭეშმარიტი სამებაჲ.

კურთხეულარსა

741 (1) **Ს**აღმრთოჲსა შურისაგან
Eu 314 ζ′ ცეცხლმან შეიკდიმა პირველად ბაბილონს,
რომელსა სამნი ყრმანი,
ვითარცა სამოთხესა შინა, ვიდოდეს
და შეცურეულნი ესრეთ ღაღადებდეს და იტყოდეს[4]:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

არა[5] დავსცხრებით ქებად
შენდა, ქალწულო, მსგავსად ძალისა ჩუენისა,
დაღაცათუ არა არს
ჩუენ შორის სიტყუაჲ ღირსი სიწმიდეთა,
ხოლო მიიღე უღირსთაგან ბაგეთაჲ შესხმაჲ შემსგავსებული
უმეცრებათა ჩუენთაჲ.

---

[1] თუსისაჲ. [2] ზღუსასა. [3] სტყ˝ისა. [4] იტყუდეს. [5] არაჲ.



162 r

742 (2) Eu 322 ζ' **ბ**რძანებამან მზაკუვარისა მძლავრისამან, სიქადულით
ღმრთის-[მო]ძულისამან,
ზარ-განჴდილ ყო უშჯულოჲ ერი,
ხოლო სამნი იგი ყრმანი ვერ შეაძრწუნნა
მჴეცებრ მძჳნვარებამან, არცაღა
ცეცხლისა ზარმან,
არამედ შეცურეულნი
ზეგარდამო კადნიერად
ესრეთ ღაღადებდეს:
მამათა ჩუენთა
ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

სამობით რიცხუნი
სამებისა წმიდისა ყრმანი იქმნეს
საჴუმილსა შინა
უვნებელად დამარხულ და თქუეს:
ჩუენ მოსავნი ვართ ღმერთსა მამათასა
და არა[1] მეშინის ცეცხლისა მისგან
და შეურაცხ-ვჰყოფთ
ბრძანებასა მძლავრისა
უშჯულოჲსასა და ვიტყვთ[2]:
ყოლად დიდებულო მამათა ჩუენთა
ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

რომელთა ქალდეველთა 743 (3) Eu 316 ζ'
აგზებული საჴუმილი ძალითურთ შემწუველი დაშრიტეს
ხილვითა
ანგელოზებრითა, რომელიცა გარდამოჴდა,

---

[1] არაჲ. [2] ვიტყუთ.



162 v

მისა მიმართ|ყრმანი ღაღადებდეს
და იტყოდეს:
კურთხეულ ხარ
და დიდებულ,
უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო.

ნათელსა უფლისასა
ვიდოდით, მოვედით, უგალობდეთ
ქალაქსა სულიერსა
სამეუფოსა, უბიწოსა
ქალწულსა, ჭეშმარიტად
ღმრთისმშობელსა, ვითარცა არს
  სასოჲ
და მეოხი
სულთა ჩუენთა უკუნითი
  უკუნისამდე.

744 (4) Eu 315 ζʹ **ყ**რმანი ებრაელნი საკუმილსა
  შინა
ვი[დო]დეს ცეცხლსა
  ზედა
კადნიერებით
და შეცურეულნი ღაღადებდეს და
  იტყოდეს:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო, უკუნისამდე.

არათუ[1] ბუნებით სამებაჲ არს
ერთი ღმრთეებაჲ,
არამედ გუამოვნებით
იცნობების მამაჲ, ძე და სული
  წმიდაჲ,
რომელი-იგი არს კურთხეულ
აწ და უკუნისამდე.

ქუეყანით იუდაჲსით 745 (5) Eu 321 ζʹ
ბაბილონს წარიტყუენნეს[2]
  მძლავრისა მიერ ყრმანი,
სულითა შემოსილთა
ცეცხლი საკუმილისაჲ მის
  განაქარვეს და იტყოდეს[3]:
მამათა ჩუენთა ღმერთო,
კურთხეულ ხარ მარადის.

---

[1] არაჲთუ. [2] წარიტყუენეს. [3] იტყუდეს.



163 r

Თაყუანის-ვსცემთ მამასა,
აღვიარებთ ძესა და ვადიდებთ
სულსა წმიდასა,
სამებასა წმიდასა
ერთღმრთეებად აღვიარებთ და
ვღაღადებთ:
მამათა ჩუენთა ღმერთო,
კურთხეულ ხარ მარადის.

746 (6) Eu 324 ζ' **შ**ენ[1], რომელმან ყრმანი
საჴუმილისაგან
და ქალწული შემდგომად შობისა
ვნებათაგან იჴსენ,
კურთხეულ ხარ შენ,
უფალო ღმერთო მამათა
ჩუენთაო.

ძისა თანა მამასა ვადიდებდეთ,
სულით წმიდითურთ სამებასა
უგალობდეთ
და ვიტყოდით: კურთხეულ ხარ
შენ,
უფალო ღმერთო მამათა
[ჩუენთაო].

747 (7) Eu 317 ζ' **ვ**ელსა დეირისასა
მძლავრმან აღაგზნა საჴუმილი
პირველად
განსალევნელად
აღმსარებელთათჳს
ღმერთ-შემოსილთა ყრმათა და
შე[ი]თხინეს
და სამებასა აქებდეს:
მამათა ჩუენთა ღმერთო,
კურთხეულ ხარ შენ.

სამგუამოვანსა ღმერთსა,
მორწმუნენო, ბუნებით
განუყოფელსა,
თაყუანის-ვსცემდეთ,
[მა]მასა ძით და სულით
წმიდითურთ ვაკურთხევდეთ
სარწმუნოებით,
და ესრეთ ვღაღადებდეთ:
მამა[თა] ჩუენთა ღმერთო,
კურთხეულ ხარ შენ.

---

[1] შ̃ენ.



163 v

748 (8) Eu 325 ζ' **ყ**რმათა ღმრთის-მსახურთა
ბაბილონს შინა
არა[1] ჰმსახურეს ხატსა
ოქროჲსასა
და მით საკუმილსა შეითხინეს და
შეცურეულნი
ესრეთ ღაღადებდეს და
იტყოდეს:
კურთხეულ ხარ, უფალო
ღმერთო მამათა ჩუენთაო.

მოვედით ყოველნი
სარწმუნოვებით,
სამებასა დაუსაბამოსა,
მამასა ძით და სულით
წმიდითურთ[2] განუყოფელად
თაყუანის-ვ[ს]ცემდეთ და
ვიტყოდით:
კურთხეულ ხარ, უფალო
[ღმერთო მამათა ჩუენთაო].

დასაბამსა 749 (9) Eu 323 ζ'
ქუეყანაჲ დააფუძნე
და მაღალნი
სიტყვთ[3] დაამყარენ,
გაკურთხევთ[4] შენ უკუნისამდე,
უფალო ღმერთო [მა]მათა
ჩუენთაო.

ერთი ძალი
უვაღრეს ბუნებათა,
სამგუამოვნად
გუესწავა მორწმუნეთა
სამებაჲ და თაყუანის-ვსცემთ
უფალსა და ღმერთსა მამათა
ჩუენთასა.

ბრძანებამან მზაკუვარისა 750 (10)* Eu 322 ζ'
მძლავრისამან სიქადულით
ღმრთის-მოძულისამან

---

[1] არაჲ. [2] წითურთ. [3] სიტყუით. [4] გაკორთხევთ.

* ძლისპირი მეორდება (იხ. № 742), ოღონდ აქ არ აქვს ნოტაცია და არ ახლავს ღმრთისმშობლისა.



164 г

* ზარ-განჴდილ ყო უშჯ|ულოჲ
ერი, ხოლო სამნი იგი
ყმანი ვერ შეაძრწუნნა[1]
მჴეცებრ მძჳნვარებამან[2], არცაღა
ცეცხლისა ზარმან,
არამედ შეცურეულნი
ზეგარდამო[3] კადნიერად
ესრეთ ღაღადებდეს: მამათა
ჩუენთა
ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

751 (11) ღმრთისა გარდამოსლვასა
ოდესმე ბაბილონს
ცეცხლი მეოტ იქმნა,
რომელ სამნი ყრმანი
საჴუმილსა მას შინა, ვითარცა
ვარდსა,
ფერჴითა სტკებნიდეს
და განწყობილნი გალობდეს:
მამათა ჩუენთა
ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ..

ხახე გექმნა, ქალწულო,
მაყუალი მგზებარე
და არა[4]-შემწუარი,
რამეთუ დაიტიე
ცეცხლი ღმრთეებისაჲ საშოსა·
შენსა
და არა[5] შეიწუ მისგან,
რომელმან დაწუნა მტერისა
საცთურნი[6]
და მოგუანიჭა
ცხორებაჲ საუკუნოჲ.

არა[7] თაყუანი-სცეს სამთა ყრმათა 752 (12)
ხატსა მას ოქროჲსასა
ღმერთ-შემოსილთა ძეთა
დავითისთა,

---

[1] შეაძრწონნა. [2] მძუნვარებამან. [3] ზეგარდარდამო. [4] არაჲ-. [5] არაჲ. [6] საცთორ-
ნი. [7] არაჲ.

* ძლისპირს ამ გვერდზე აქვს მხოლოდ შავი წერტილები.



164 v

რომელსა ¦ ჰმონებდა მეფე იგი,
არამედ აღიარეს
ძე — თანასწორი მამისაჲ
და ღაღადებდეს ერთობით:
კუ[რ]თხეულ ხარ შენ,
მჴ[ს]ნელო და ღმერთო,
უკუნისამდე.

არსებაჲ სამებისა წმიდისაჲ,
სამგუამოვნად ცნობილი,
ერთღმრთეებად აღიარეს
მორწმუნეთა.
და ზეცისა განწყობილთა თანა
წმიდაარსობით ვუგალობთ
გარე-შეუწერელსა მას
და სამთა მათ ყრმათა თანა
ჴმა-ვყოთ:
მამათა ჩუენთა ღმერთო,
კურთხეულ ხარ შენ.

მოსავნი მაღლისანი 753
ყრმანი აბრამეანნი (13)
სიონით მძლავრებით
ბაბილონდ წარიტყუენნეს
უღმრთოთა მიერ,
ურთიერთას შეყოფილთა
სულითა
შეურაცხ-ყვნეს ჴმანი ებანთანი
და განცხრომანი უღმრთოთანი,
რაჟამს ბრძანებასა მძლავრისასა
სიმჴნით
წინა-აღუდგეს
და ხატსა ოქროჲსასა
არა[1] თაყუანი-სცეს
და საშინელებაჲ|ცეცხლისაჲ

---

[1] არაჲ.



165 г

ახოვნად დაშრიტეს
და ძლევა-შემოსილთა ქმა-ყვეს:
ღმერთო და მჴსნელო ჩუენო,
მარადის კურთხეულ ხარ.

* მოდრიკნა სიბრძნით ცანი
მაღალნი და გარდამოჴდა
შენ ზედა, სძალო, სიტყუაჲ
ღმრთისაჲ დაუსაბამოჲ
და დაემკჳდრა[1]
მაღალი სიმდაბლით სამოსა შენსა
საიდუმლოდ[2] ძალთაგან ზეცისათა
და იშვა შენგან ორი ბუნებაჲ —
ღმერთი და კაცი და აღასრულნა
პირველ ქადაგებანი
ღმერთ-შემოსილთანი
და სიხარული საუკუნოჲ
განგჳყო[3] ჩუენ ნიჭად
მორწმუნეთა მისთა,
რომელნი ვიტყჳთ[4] მარადის:
ღმერთო და მჴსნელო ჩუენო,
მარადის კურთხეულ ხარ.

შობაჲ თავს-იდევ ქალწულისაგან[5] 754 (14) **
უცოდველმან ჩუენ
ცოდვილთათჳს, რაჲთა აჴოცნეს
ცოდვანი ჩუენნი, რომელი არს
კურთხეულ დასაბამითგან და
უკუნისამდე.

სამებაჲ ღმრთისაჲ***
გამოისახვოდა, რომლისაგან ძე

---

[1] დაემკუდრა. [2] საჲდუმლოდ. [3] განგუყო. [4] ვიტყუით. [5] ქალწოლისაგან.

* ღმრთისმშობლისას აქვს ნოტაცია. ** ძლისპირს არ აქვს ნევმები და რიტმული დაყოფის წერტილები. *** ღმრთისმშობლისას მხოლოდ აქ უზის შავი წერტილი.



165 v

იცნობა ჴორცად-შესხმად
წმიდისაგან ქალწულისა,
რომელ არს კურთხეულ
დასაბამითგან [და უკუნისამდე].

755 (15) * Eu 326 ζ' რომელმან ანგელოზისა მიერ
იჴსენ ყრმანი ცეცხლისაგან და
საჴუმილი გარდასცვალე
ცუარად, კურთხეულ ხარ შენ,
უფალო ღმერთო მამათა
ჩუენთაო.

** **ს**ამთა თჳთებათა[1]
ერთბუნებით ვიტყჳთ[2], მამასა, ძესა
და სულსა წმიდასა,
აღსარებით:
კურთხეულ ხარ შენ, უფალო
ღმერთო [მამათა ჩუენთაო].

აკურთხევდითსა

შჳდწილ[3] აღაგზნა საჴუმილი· 756 (1) Eu 314 η'
მძლავრმან ქალდეველმან
ყრმათათჳს
გულის-წყრომითა, რისხვითა,.
ძალითა მაღლისაჲთა
იხილნა უვნებელად
დაცვულნი ცეცხლისაგან
განურყუნელად,
დამბადებელისა მიმართ და
მჴსნელისა
ღაღატ-ყო: აკურთხევდით
ყრმანი და მღდელნი უგალობდით,.
ერნი უფროჲსად
აჵაღლებდით მას უკუნისამდე.

---

[1] თუთებათა. [2] ვიტყუით. [3] შუდწილ.

* ძლისპირს არ აქვს ნევმები და რიტმული დაყოფის წერტილები.

** ღმრთისმშობლისას უზის მხოლოდ შავი წერტილები.



166 г

ღმრთეებასა სამებ[ასა],
ერთარსებასა დიდებულსა,
არსებით მიუწდომელსა[1]
   სამგუამოვნებასა,
მამასა უშობელსა და მშობელსა,
ძესა შობილსა დაუსაბამოსა
და სულსა წმიდასა თანაარსსა
   სამარადისოსა აკურთხევდით
ყრმანი, და მღდელნი
   უგალობდით,
ერნი უფროჲსად
ამაღლებ[დით მას უკუნისამდე].

757 (2) Eu 319 η′ **ს**აკუმილსა რაჲ შეითხინეს
სამნი ყრმანი, დაშრიტეს
   ვედრებითა,
და მღჳმესა[2] ლომთასა დანიელ
დაცვული იტყოდა:
ყოველნი საქმენი
აკურთხევდით უფალსა.

გიხაროდენ, ტაკუკო
ოქროჲსაო, სავსეო მანანაჲთა,
ვიხაროდენ, ზღუდეო და ბჭეო
ტაძრისა ღმრთისაო,
რომელმან გჳშევ დამ-
   ბადებელი ყოველთაჲ.

მთასა ზედა 758 (3) Eu 323 η′
მოსეს თანამზრახვალმან
მაყულოვანი
სახედ გამოაჩინა,
ქალწულისაგან შობილსა
   უვნებელად
ყოველნი ვაკურთხევთ

---

[1] მიუწდუმელსა. [2] მღუმესა.

ⴤⴋⴀⴡ ⴃ ⴂ҃ⴈ, ⴀⴉⴓⴐⴇⴞⴄⴅⴃⴈⴇⴑⴀ



166 v

და|ავამაღლებთ მას უკუნისამდე.

რომელმანცა
ანგელოზისაგან სიტყუაჲ
შეიწყნარე
და ღმერთი მხოლოჲ გჳშევ
და ნათელი სოფელსა
გამოუბრწყინვე,
ყოველნი გაკუ[რთხევთ] და
|[ა]გამაღლებთ
შენ უკუნისამდე.

759 (4) Eu 321 ζ' **მ**ეუფესა ცათასა,
რომელსა
ჰმსახურებენ გუ[ნ]დნი
ანგელოზთანი,
უგალობენ და [ა]მაღლებენ
მას უკუნისამდე.

მიუწდომელი ღმრთეებითა·
დამ[ბა]დებელი და მჴსნელი·
ჩუენი სიტყუაჲ საღმრთოჲ
ჰშევ,
ზეცისა სძალო,
ამისთჳს[1] ყოველნი გაკურთხევთ:

სამნი ყრმანი, ღმერთო, 760 (5) Eu 316 ζ'
შეჭურვილნი მადლისაგან,
მძლედ გამოჩნდეს
ალსა და მძლავრსა მას
შჯულისა დამარხვითა
და ღაღადებდეს: აკურთხევდით
ყოველნი საქმენი უფალსა
და ამაღლებდით მას უკუნისამდე:

სამებაჲ გუეცნობა
სამთა მიერ ებრაელთა·
და ერთარსებით
ვიცნობთ ბუნებასა·

---

[1] ამისთუს.



167 r

ღმრთეებისა|სა და ვიტყჳთ[1]:
აკურთხევდით
ყოველნი
საქმენი უფალსა
და ამაღლებდით
მას უკუნისამდე.

761 (6) Eu 325 η′ **ს**ამნი ყრმანი ღმრთისმეტყუელნი
საჴუმილსა მას ცეცხლისასა
დასთრგუნვიდეს
და კადნიერად ღაღადებდეს:
აკურთხევდით საქმენი
უფლისანი უფალსა.

ძით და სულით წმიდითურთ
მამასა
ვაკურთხევთ ჩუენ,
ერთღმრთეებად აღვიარებთ
და სარწმუნოვებით უღაღადებთ:
აკურთხევდით საქმენი უფლისანი
უფალსა.

განცხრომაჲ უღმრთოთაჲ 762 (7) Eu 317 η′
კორცთათჳს[2] იყო,
ხოლო ყრმანი, კეთილად მძლენი
სულითა, ღაღადებდეს:
აკურთხევდით ღმერთსა
საქმენი მისნი უკუნისამდე.

ჰრცხუენოდეს მგმობართა
სამებისათა,
განმყოფელთა და შემარწყუმელთა,
რომელი არა ჯერ-არს
ღმრთეებისა სიტყუად
და იხარებენ მართლმადიდებელნი.

საუცრად განცხრომაჲ 763 (8) Eu 315 η′
უღმრთო|თაჲ მათ

---

[1] ვიტყუით. [2] კორცთათუს.



167 v

ერსა მას ურიცხუსა აცთუნებდა
ველსა დეირისასა,
ხოლო სამნი იგი ყრმანი
უფალსა უგალობდეს და
უფროჲსად ამაღლებდეს მას
უკუნისამდე.

Სამებით ცნობილსა ღმერთსა
ჩუენსა
განუყოფელად აღვიარებთ მას
ბუნებით ერთარსებად,
სარწმუნოვებით ვიტყჳთ[1]:
უფალსა უგალობდით
და უ[ფროჲსად ამაღლებდით მას
უკუნისამდე].

764 (9) **Ძ**ებით აკურთხევდით,
Eu სამებისა რიცხუნო ყრმანო,
322 η′ დამბადებელსა ღმერთსა და მამასა
აქებდით
და ძესა მხოლოდ-შობილსა,
რომელმან დაშრიტა
საჴუმილი ცეცხლისაჲ
და ამაღლებდით
ცხორების მომნიჭებელსა
სულსა წმიდასა
უკუნისამდე.

Ცხორებისა სასოჲ
და სიკუდილისა დამჴსნელი,
თანასწორი მამისაჲ ძე სულით
წმიდითურთ[2]
აღვიარეთ მორწმუნეთა
და თაყუანის-ვსცემთ მას,
სამებით ცნობილსა
ერთღმრთეებად ვიტყჳთ
და ესრეთ უღაღადებთ:
ღმერთო,
გაკურთხევთ
შენ
უკუნისამდე.

---

[1] ვიტყუით. [2] წ˝ითორთ

ქმაჲ დ ღ͞ი, აკურთხევლითსა



168 r

765 (10) Eu 328 η′ დაუსაბამოსა მას მეუფესა,
რომლისაგან ძრწიან ძალნი
ცათანი,
უგალობდით მღდელნი,
ერნი უფროჲსად
ამაღლებდით მას უკუნისამდე.

დაუსაბამოჲსა სამებისა
ერთარსებისა გამოუთქუმელი
ძალი
მართლმადიდებლობით
აღვიარეთ ჩუენ,
მორწმუნეთა, და ვაკურთხევთ
მარადის.

766 (11) Eu 330 η′ ცანი და ანგელოზნი
საყდართა დიდებისათა
მჯდომარესა ღმერთსა
დიდებისმეტყუელებით
დაუცხრომელად[1]
უგალობენ, აკურთხევენ
და უფროჲსად
აღამაღლებენ მას უკუნისამდე.

მართლმადიდებლობით
უჴორცოთა თანა
განმხიარულებულნი
სარწმუნოებით უგალობენ:
სამებასა ვაკურთხევდეთ ყოველნი
და უფროჲსად ავამაღლებდეთ მას
უკუნისამდე.

767 (12) Eu 327 η′ რომელმან დაჰრთენ
წყალთა ზედა ზესკნელნი მისნი
და შეაყენე ზღუაჲ ქჳშასა
და გიპყრიეს ქუეყანაჲ
ბრძანებით,

---

[1] დაუცხრუმელად.



168 v

შენ გიგალობს მზე,
შენ გადიდებს მთოვარე,
შენდა შესწირვენ დიდებასა
ქმნულნი[1] შენნი
და აგამაღლებენ შემოქმედსა
უკუნისამდე.

სამსახეობით
თაყუანის-საცემელო სამებაო
წმიდაო,
ყოვლისა მპყრობელო მამაო
უხილაო,
ძეო მხოლოო თანამთავარო,
წმიდაო სულო,
გიგალობთ მორწმუნენი,
ერთა თანა ზეცისათა,
გაკურთხევთ შენ
და აღგამაღლებთ შემოქმედსა
უკუნისამდე.

რომელი გარდამოჴდა 768 (13)
ღმრთისა სიტყუაჲ
ბაბილონს საჴუმილსა მას შინა
ხატითა ბრწყინვალებისაჲთა,
მეოთხედ გამოჩნდა
სამთა მათ ებრაელთა შორის
და საჴუმილისა მის მდუღარებაჲ
დაშრიტა და ყრმანი ცუარითა
სხურებულ ყვნა
უვნებელად დაცვულნი
და მოასწავა მშობელისა თჳსისა
ქალწულებაჲ
და გამოჴსნაჲ წარმართთაჲ
საცთურისაგან,
რომელნი იტყჳან[2]: ყოველნი
საქმენი უფლისანი[3]
დაუდუმებელად
უფალსა[4] ღმერთსა
ვაკურთხევდეთ უკუნისამდე.

---

[1] ქმუნულნი. [2] იტყუიან. [3] უფლისანი. [4] ღ~თისა



169 г

* რომელი მჯდომარე არს
საყდართა მათ ზედა
ცეცხლისფერთა დიდებით,
თანამფლობელი მამისაჲ
და სულ[ი]სა წმიდისაჲ,
მხოლოდ-შობილი სიტყუაჲ[1] ღმრთისაჲ
მკლავთა ზედა იტჳრთე, ქალწულო,
და აწოვე[ბ]დ, ვითარცა ჩჩვლსა[2],
მოწყალებით
მზრდელსა დაბადებულთასა,
რომელმან არცხჳნა[3] უვარისმყოფელთა,
ბილწთა მწვალებელთა,
რომელთაცა უვარ-ყვეს სამებაჲ წმიდაჲ[4],
განუყოფელი და შეურწყმელი
და აჩემეს ვნებაჲ უვნებელისა ღმრთეებისა,
დაიყავნ პირი მათი ქრისმეტყუელი.

არა[5] თავს-იდვეს მონებად 769 (14) **
სამთა ყრმათა
ხატსა მას ოქროჲსასა,
რომელი აჰმართა მძლავრმან ქალდეველთამან,
არამედ ღმერთსა მას
მამათასა
ჯმამაღლად ქადაგებდეს
და მას თაყუანის-სცემდეს
და მით შეითხინეს
შჳდწილ[6] აღგზებულსა მას საჴუმილსა,
ხოლო საჴუმილმან მან
იგინი
არა შეიწყნარნა,
შეიკდიმა
გუამთა მათთაგან

---

[1] სტ͠ყი. [2] ჩჩულსა. [3] არცხუნა. [4] წ͞ ი. [5] არაჲ. [6] შუდწ͞ილ.

* აქვს ნოტაცია. ** არ აქვს ღმრთისმშობლისა.



169 v

ღმერთ-შემოსილთა
და ბუნებაჲ იგი შემწველობისაჲ
  დაეფარა,
ხოლო სამნი ყრმანი
ესრეთ ღაღადებდეს:
ყოველი სული
და ყოველი დაბადებული
აკურთხევდით უფალსა.

770 (15) * **ზ**ანკვრდა[1] მეფ[ე] იგი
ქალდეველთაჲ მათ,
იხილნა რაჲ ყრმანი უვნებელად,
ცეცხლსა შინა მდგომარენი
და ალისაგან[2] არა[3] ივნო,
რომელნი ესრეთ ღაღადებდეს:
ყოველნი[4] დაბადებულნი
  დამბადებელსა
აკურთხევდით უკუნისამდე.

სამთა მიერ ყრმათა**
ებრაელთა სამებისა
  გამომსახველთ[ა] გუეცნობა
  ძალი ღმრთეებისაჲ,
  განუყოფელი[5] სამებაჲ და
  სიხარულით ვღაღადებთ:
  ყოველნი[6] [დაბადებულნი
  დამბადებელსა
აკურთხევდით უკუნისამდე].

მღდელნი აკურთხევდით 771 (16)
  ტაძრი[თ] წმიდით
დიდებისა მისისაჲთ,
ერნი უფროჲსად
ამაღლებდით ღმერთსა,
რომელი სუფევს სამყაროსა ზედა
  ცასა ცათასა, რომელმან
მოსცა ნათელი დაბადებულთა.

სამებაჲ გამოსახეს სამთა ყრმათა
  ბაბილონს საკუმილსა მას,
დაუსაბამოჲ სამარადისოჲ ძე
სულით წმიდითურთ,
რომელი არს კურთხეულ
  უკუნისამდე,
რომელმან მოსცა ნათელი
  დაბადებულთა.

მძლავრმან მიმძლავრებულმან 772 (17)***

---

[1] განკურდა. [2] ალიგ̃ნ. [3] არაჲ. [4] ყუველნი. [5] განოყოფელნი. [6] ყდა.

* ძლისპირს უზის მხოლოდ წერტილები. ** ღმრთისმშობლისას რიტმული დაყოფისათვის მხოლოდ აქ უზის ერთი წითელი წერტილი. *** აქედან ძლისპირებს აღარ აქვთ ნოტაცია. გამოყენებულია მხოლოდ შავი წერტილები.



170 r

ბრძანა | მოწოდებაჲ სამთა ყრმათა
თაყუანის-ცემად
კერპსა მა[ს] ოქროჲსასა,
ხოლო მათ ეუწყა ზეგარდამო
ღაღადებად:
აკურთხევდით ღმერთსა საქმენი
მისნი უკუნისამდე.

ა **ა**კურთხევდეს ყრმანი ღმრთივ-
განბრძნობილნი და აღიარეს ძე,
განუყოფელი მამისაგან
სულით წმიდითურთ, უგალობდეს,
ღაღადებდეს:
მღდელნი აკურთხევდით, ერნი
უფროჲსად[1] ამაღლებდით მას
უკუნისამდე.

გ **ს**ამთა მიერ ყრმათა ე[ბ]რაელთა,
სამებისა გამომსახველთა,
გუეცნობა ძალი ღმრთეებისაჲ
და სიხარულით უღაღადებთ[2]:
მღდელ[ნი აკურთხევდით, ერნი
უფროჲსად ამაღლებდით მას
უკუნისამდე].

ყოველთა დამბადებელსა ღმერთსა 773
და მაცხოვარსა სულთა (18)*
ჩუენთასა მღდელნი
აკურთხევდით,
ერნი უფროჲსად ამაღლებდით
მას
უკუნისამდე.

ღმრთისმშობელო,
სასოო სოფლისაო, ძესა შენსა და
ღმერთსა ჩუენსა ევედრე
ჩუენთჳს, რაჲთა მიჴსნეს
მტერისა საცთურისაგან.

აკურთხევდით 774
ყოველნი საქმენი უფლისანი (19)
უფალსა,
ზეცისა ძალნი და მთავრობანი,
ცაჲ და ქუეყანაჲ,
ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს
მას | შინა:

---

[1] უფრროჲსად. [2] უღღდბთ.

* № 18 ძლისპირს არ აქვს რიტმული დაყოფა.



170 v

უფსკრუ[ლ]ნი და მდინარენი,
სამყაროჲსა მნათობნი,
მთანი და ბორცუნი[1] მაღნართა
თანა
და ყოველნი ძენი კაცთანი
უგალობდით ღმერთსა ჩუენსა
და ამაღლებდით მა[ს]
უკუნისამდე.

ადიდებდითსა

775 (1) Eu 317 ϑ' **შ**ეძრწუნდეს დაბადებულნი
გარდამოსლვასა ღმრთისა
გამ[ო]უთქუმელისასა,
ვითარ მაღალი იგი
ნეფსით თჳსით განჴორციელებად
გარდამოჴდა საშოსა
ქალწულისასა და განკაცნა
უქცეველად სიმდაბლით,
ამისთჳს მორწმუნენი
ღმრთისმშობელსა უბიწოსა[2]
გალობით ვადიდებთ.

გარდააცუ[3] მშჳლდსა შენსა,
ძლიერო,
წარემართე და სუფევდ, რომელი
იშევ
ქალწულისაგან
და მტერნი ჩუენნი ურწმუნონნი
დაუმორჩილენ
მეფესა ჩუენ[სა] მორწმუნესა,
რომელსა უპყრიეს ჯუარი შენი
და აცხოვნე ერი შენი,
რომელნი სარწმუნოებით
გალობით გადიდებენ.

განკჳრდეს[4] ზესკნელს ცანი, და
კიდენი 776 (2) Eu 314 ϑ'
ქუეყანისანი შეძრწუნებულ
იქმნეს,
რაჟამს ღმერთი შენ მიე[რ]
კაცთა გამოუბრწყინდა

---

[1] ბურცნი. [2] უბისწოსა. [3] გარდააცო. [4] განკურდეს.



171 г

და საშოჲ˙შენი უმაღლეს ცათა
   საყდართა გამოაჩინე,
ამისთჳს, ღმრთისმშობელო,
ანგელოზნი და კაცნი,
ვითა[რ]ცა ღირს ხა[რ],
   გადიდებენ შენ.

ა **Წ**ინაჲთვე [გ]ქადაგებდეს,
   უბიწოო,
წინაჲსწარმეტყუელნი,
   გამოგსახვიდეს
კიდობნად, კუერთხად, ტაკუკად
   და ბჭედ დაკშულად,
მთად გამოუკუეთელად,
კიბედ ზეცისა აღმართებულად,
წყაროდ დაბეჭდულად
და სულმცირედ ღრუბელად
და მშობელად ემმანოელისა.

ბ **გ**ანჰკრთეს, ქალწულო სძალო,
   სასმენელნი
ყოველთა დაბადებულთანი,
   რაჟამს
ღმერთი შენგან უქცეველად
   გამოგჳბრწყინდა[1];
იხილეს რაჲ ზეცისა ძალთა
თანა მამით და სულით
   წმიდითურთ[2],
ადიდებდეს გალობით,
მათ თანა ჩუენ, ყოველნი,
ვადიდებთ[3] სამებასა[4] წმიდასა.

სიკუდილი, რომელი ხისაგან 777 (3) Eu 322 ϑ
შეიქმნა
ძეთა კაცთათჳს, დაამკჳ იგი დღეს
   ძელისა მიერ,ʹ უფალო,
და წყევაჲ იგი პირველისა
   დედისაჲ აჰკოცე[5]
მუცლად-ღებითა
დედისა შენისა უბიწოჲსაჲთა,
ამისთჳს ძალთა თანა
ზეცისათა მას ვადიდებდეთ.

შემცვალებელად ბუნებათა იპოვე,

---

[1] გამოგუბრწყინდა. [2] წ̃თურთ. [3] ვ̃დთ. [4] სმ̃სბსა. [5] აჰკუცე.



171 v

ქრისტჱს დედაო და უზეშთაეს
დაბადებულთა გამოშჩნდი,
რაჟამს ქალწულმან მუცლად-იღე
უთესლოდ
სიტყუაჲ მამისაჲ,
და გჳშევ ჩუენ უცხოდ ღმერთი
ყოველთაჲ,
ამი[ს]თჳს მორწმუნენი
ზეცისა ძალთა თანა გადიდებთ.

გ შენ მამისაგან აღმოსცენდი
წინაჲსწარ
საუკუნეთა უსხეულოდ სიტყუაჲ
თანადაუსაბამოჲ,
შენ არა[1] განეშორე სულისაგან
წმიდისა,
რომელ გამოვალს
მამისაგან და შენ, ძისა, თანა
განისუენებს,
ამისთჳს მორწმუნენი
სამებასა ღმერთსა
გადიდებთ.

რომელმან წინაჲსწარ მოასწავა 778 (4)
შობაჲ[2] უხრწნელად, Eu
მომცემელსა [შ]ჯულისასა 324 ϑ'
მთასა ზედა სინასა
ცეცხლითა მაყულოვანსა მას შინა,
დაუდუმებელად მას ვადიდებდეთ.

შენ, ქალწულო, გექმნა სახე ა
მაყუალი აგზებული,
რომელი ცეცხლისა მისგან
შეუწველად დაიცევ,
რამეთუ უხრწნელად დაიტიე
ცეცხლი ღმრთეებისაჲ,
უვნებელად ჰშევ.

მეოხებითა, სახიერ, ბ
დედისა შენისაჲთა
აჴოცენ ცოდვანი ჩუენნი,
შეიწირე ვედრებაჲ
ბაგეთა ჩუენთა უნაყოფოთაჲ
და ნაყოფიერ ყვენ სულნი
ჩუენნი.

---

[1] არაჲ. [2] შობაჲ შობაჲ.



172 г

გ **შ**ენ მიერ, ღმრთისა დედაო,
განქარდეს წვალებანი,
შენვე ნისტორ, მგმობარი
ხატისა მის შენისაჲ,
ყოვლითურთ შეჩუენებულ ჰყავ,
სძალო,
აწცა დაამდაბლენ მტერნი სულთა
ჩუენთანი.

დ **Დ**აუსაბამოსა ღმერთსა,
გარე-შეუწერელსა,
რომელსა აქებენ გუნდნი
მთავარ-ანგელოზთანი
და ჩუენცა მათ თანა თაყუანის-
ვსცემთ
მამასა, ძესა და წმიდასა სულსა.

779 (5) Eu 315 ϑʹ **შ**ენ, რომელი უქორწინებელ ხარ,
დედაო უსძლო[ო],
შენ, რომელმან უზეშთაეს
ბუნებათა ჰშევ დაუსაბამოჲ,
რომელ არს შემოქმედი, ღმერთი
ჭეშმარიტი,
გალობითა დაუდუმებელითა[1]
გადიდებთ.

შენ, უქორწინებელო და ყოლად
წმიდაო ქალწულო,
ითხოე მისგან, რომელი ჰშევ,
რაჲთა მოსცეს მეფესა ძლევაჲ
და ჴსნაჲ ერისა თჳსისაჲ
ულლისაგან მტერთაჲსა,
რომელნი დაუცხრომელად
გადიდებენ.

შენ, რომელი ცათა უვრცელეს
ხარ, ღმრთისმშობელო,
და მზისა თუალისა
უბრწყინვალეს, გალობით
გადიდებთ. 780 (6) Eu 325 ϑʹ

ა **შ**ენ, ყოლად წმიდაო
ღმრთისმშობელო, სასო[ო]
ჩუენო,
ვნებაჲ სულისა ჩუენისაჲ
განჴურნე, რაჲთა [გალობით
გადიდოთ].

ბ **შ**ენ, სამებაო წმიდაო,
მვედრებელნი შენნი
მოღუაწეთა მიერ გამომიჴსნენ
განსაცდელთაგან.

---

[1] დაოდომებელითა



172 v

781 (7) Eu 316 ϑ′ **Ⴇ**ანა-წარჰჴედ შენ საზღვართა
მათ
ბუნებისათა, ვინაჲთგან უთესლოდ
მუცლად-იღე შენ,
დაბადებულთა ღმერთი ჴსნა
ექმნა სოფელსა,
ამისთჳს, ღმრთისმშობელო,
დაუდუმებელად გადიდებთ შენ.

შენ თაყუანის-გცემთ, უბიწო[ო]
სძალო ღმრთისაო, უთესლოდ
მუცლად-მღებელო
ქალწულო დიდებულო, რომელმან
აჴარე
ნათესავსა კაცთასა
უზეშთაეს შობითა შენითა.

782 (8) Eu 343 ϑ′ **Ⴕ**ალწულსა მარიამს,
მორწმუნენო,
ქებით პატივ-ვსცემდეთ,
რომელმან ცეცხლი ღმრთეებისაჲ
უზეშთაეს ბუნებათა იტჳრთა[1],
გალობით მას ვადიდებდეთ.

Ⴋითარცა ღმრთისმშობელ ხარ, ა
გადიდებთ
ქებით მორწმუნენი,
რომელმან დაუტევნელი
ცათა და ქუეყანისაჲ დაიტიე
უზეშთაეს ბუნებათა.

Ⴈხილეს რაჲ გუნდ[თ]ა ზეცისათა ბ
შობაჲ შენი, სძალო,
გარდამოსლვაჲ ღმრთისაჲ ჩუენდა
დღეს
საშოჲთ შენით უზეშთაეს ცნობათა,
ადიდებდეს მეუფესა.

შენ, ყოველთა არსთა შემოქმედო, გ
ყოველთა მფლობელო,
მამაო, ძეო, სულო წმიდაო,
ყოველნი მორწმუნენი გადიდებთ
და ერთობით თაყუანის-გცემთ.

Ⴕალწულისა 783 (9)
მუცელსა ღმერთი

---

[1] იტჳრთა.



173 r

განჰჴორციელდი, ქრისტე,
და ჩუენ, ქუეყანი[სანი],
ზეცისათა თანა ვიკადრებთ
ვედრებასა
და, ვითარცა ერთისა პირითა,
შენ დაუცხრომელა[დ] გადიდებთ.

გიხაროდენ, მარიამ ღირსო,
ბჭეო ზესკნელს ცათაო,
გიხაროდენ, მორწმუნეთა
ნავთსაყუდელო,
რომელმან გჳშევ ქრისტე,
ამისთჳს დაუცხრომელად
გადიდებთ შენ, ყოლად წმიდაო.

784 **შ**ეხებითა ნაკუერცხალისაჲთა
(10) არა[1] შეიწუა[2] სამოჲ შენი,
ქალწულო,
გუნდნი ანგელოზთანი
განკჳ[რ]დე[ს] და ქერაბინნი
შიშით გხედვიდეს,
რომელსა სერაბინნი
დაუცხრომელად გადიდებენ.

მოუგონებელსა კაცთაგან
ღმრთეებისა ნათელსა,
რომელსა თუალთა შედგმად ვერ
შემძლებელ არიან
მთავ[არ]ანგელოზნი,
მამასა ძით და სულით წმიდითურთ
ჩუენ ვადიდებდეთ.

ღმრთისმშობლად აღგიარებთ, 785
რომელნი შენ მიერ ვიჴსნენით, (11)
ქალწულო უბიწოო[3] და გუნდთა Eu
თანა 321 ἰι′
ზეცისათა შენ დაუცხრომელად
გადიდებთ.

განკჳრდეს ბუნებანი
კაცთა მეტყუელთანი
მიუწდომელისა შობისა
შენისათჳს,
უქორწინებელო სძალო, და
შემწედ გხადიან.

სამებით დიდებულსა,
ერთარსებით მიუწდომელსა,

---

[1] არაჲ. [2] შეიწ̄ო. [3] უბწ̄ო



173 v

მა|მასა, ძესა და წმიდასა სულსა
ძალთა თანა ზეცისათა ვადიდებთ.

786 **გ**იხაროდენ,
(12) სასანთლ[ე]ო ბრწყინვალეო,
ნათე[ლსა] უფლისასა
გიხაროდენ,
ოქროჲსა წმიდისა სასაკუმევლეო
ცეცხლისა მის საღმრთოჲსაო,
გიხაროდენ,
წმიდაო წმიდათაო,
რომლისა მღდელთ-მოძღუარმან
განვლნა[1] ცანი,
გიხაროდენ, მარიამ, ღმრთისა
სამოთხეო.

ა **ა**ჰა ღირსად
გნატრიან, ღმრთისა დედაო,
ყოველნი ერნი, ტომნი და ენანი,
და ერთობით გაქებენ
მეტყუელებანი,
ნათესავნი ადამისნი, ვითარცა
სთქუ,
რომელმან გჳშევ ღმერთი,
ღმრთისაგან შობილი
დაუსაბამოჲ,
გიხაროდენ, მარიამ, ღმრთისა
სამოთხეო.

გიხაროდენ, საწმისო ბ
სიწმიდისაო,
შემწყნარებელო საღმრთოჲსა
ცუარისაო,
კიდობანო ახლისა შჯულისაო,
გიხაროდენ,
ბჭე-განუღებელო,
რომლისაგან გამოვიდა მთავარი
ზეცისა მთავრობათაჲ ქრისტე —
სიტყუაჲ ღმრთისაჲ.

სამებაო გ
სამგუამოვნებაო,
ერთარსებით დიდებულო,
შენ მიერ ნათელ[2]-ღებულნი
ნათელსა შენსა
სამარადისოსა
დააწესენ
აღსარებად
და ქებად შენ, მამისა, ძისა და
წმიდისა სულისა,
ღმრთისა ჩუენისა, უკუნისამდე.

---

[1] გ̃ნვლანა. [2] ნთლ-.



174 г

787 (13) Eu 319 ϑ' **უ**ქორწინებელად დედად
მეუფისად გამოშჩნდი, ქალწულო,
და ჩუენ, ყოველნი,
აღგიარებთ ღმრთისმშობელად,
უბიწო[ო], და ღირსად გადიდებთ.

ა **მ**აღლისა დედა იქმენ,
უბიწო[ო], მოგუატყუე[1] სიხარული
ჩუენ, მორწმუნეთა
მარადის. ვითარცა ხარ
მშობელი ნათლისაჲ, გადიდებთ
შენ.

ბ **ქ**ალწულთა შუენიერებად
და მეფეთა დიდებად გამოშჩნდი,
უსძლო[ო], და შენდა მომართ
იხარებენ, უბიწო[ო]
დედაო, და გადიდებენ შენ.

გ **შ**ენ, სამებაო წმიდაო,
დაგჳცვენ[2] ჩუენ, მოსავნი შენნი,
ყოვლისაგან ვნებისა,
რაჲთა გადიდებდეთ
მამასა, ძესა და წმიდასა სულსა.

კურთხეულ არს[3] უფალი ღმერთი 788 (14)
ისრაელისაჲ,
რომელმან აღმიგნა
ჩუენ რქაჲ ცხორებისაჲ სახლსა
მას
დავითის მონისა თჳსისასა,
რამეთუ გამოგჳბრწყინდა[4]
ჩუენ მომავალი მაღლით
და წარუმართა ფერჴთა ჩუენთა
გზასა მშჳდობისასა.

წინაშე ჯუარსა დგა მშობელი ა *
შენი,
უფალო, და გხედვიდა შენ,
მწყემსსა მაგას კეთილსა,
დაშჯილსა უშჯულოთა მიერ
ღმრთის-მოძულეთა,
ტკივილით ღაღადებდა:
რაჲსა გევნების შენ,
კარავო ღმრთისა მაღლისაო?

დიდებაჲ შენდა, სამებაო, ბ
ყოლად წმიდაო,
ერთარსებით, ბუნებით
განუყოფელო მამაო და ძეო

---

[1] მოგატყუა. [2] დაგუცვენ. [3] არას. [4] გამოგუბრწყინდა. [5] დგა+(სხვა ხელით) მდგლვარე.
* ა ღმრთისმშობლისას ზოგჯერ აქვს სანოტო ნიშნები სხვა ხელით.



174 v

და სულო | ცხოველო მათ შორის,
ნათელო თუალთ-შეუდგამო,
მოუკლებელო,
გჳჴსნენ[1] ჭირისაგან, რომელნი
გალობით გადიდებთ შენ.

789 (15) **გ**ადიდებთ შენ ყოველნი
დედასა ნათლისასა
და აღგიარებთ
ღმრთისა ჩუენისა მშობელად,
ყოლად სანატრელო და შემწედ
მოგიგებთ.

ა მოჰფინე დღეს ჩუენ ზედა
ნათელი დაუღამებელი,
რომელიცა ჰშევ
შენ, ღმრთისმშობელო ქალწულო,
რომელნი მის თანა გალობით
გადიდებთ შენ.

ბ **გ**ადიდებთ შენ, სამებით
დიდებუ[ლ]სა ღმერთსა,
რომელი პირითა
წინაჲსწარმეტყუელთაჲთა
იქადაგე,
და ერთობით ყოველნი
თაყუანის-გცემთ.

ცრემლთა დათხევაჲ 790 (16) *
და სულ-თქუმაჲ ლმობიერი,
მოსავთა შენთაჲ შეიწირე,
დედაო ცათა მეუფისაო,
უღირსთაგან ბაგეთა ჩუენთა,
რამეთუ გამოჴსნილნი ვართ
სისხლითა ძისა შენისაჲთა,
დაიცევ ეკლეს[ი]აჲ შეურყეველად
და მეფე მორწმუნე განაძლიერე.

ქებასა შინა ქებათასა 791 (17)
პირველვე გიწოდა
დედად ნათლისა სოლომონ,
ხოლო დავით,
მამამან შენმან,
აღმკულად ტაძრად სახელ-გდვა
შენ,
რომელსა შინა
დაემკჳდრა[2]
მთავარი მშჳდობისაჲ[3] ევმანოელ-

---

[1] გჴსნ˝ნ. [2] დაემკუდრა. [3] მშოდობისაჲ.
* №№ 16-17 მხოლოდ ძლისპირებს შეიცავს.



175 г

792 (18) **გ**იხაროდენ, ღირსო ნეტარებისაო,
გიხაროდენ, ცაო სულიერო,
გიხაროდენ, საყდარო ღმრთისაო,
გიხაროდენ,
რომელი ტაძარ ექმენ ძესა ღმრთისასა,
მომავალსა სოფლად
ნათლად დაბნელებულთა
და ჴსნად ადამისა,
რომელი მოეკლა
მოშურნეთა ზაკუვითა,
რაჲთა აცხოვნოს იგი
სიკუდილისაგან
საუკუნოჲსა.

* გიხაროდენ,
მაყუალო შეუწველო,
გიხაროდენ,
მთაო საცნაურო,
გიხაროდენ,
ღრუბელო სულმცირეო,
გიხაროდენ,
საღმრთოჲსა განსუენებისა კიდობანო,
რომლისა სიკეთე
სათნო-იყო მაღალმან,
და საშოსა შენსა
შეიმოსნა ჴორცნი
სიტყუამან მამისამან,
ამისთჳს, უბიწო[ო],
გადიდებს[1] ყოველი მეტყუელებაჲ.

ზეცისა ბეჭედსა პატივ-ვსცემდე, 793 (19)
მარიამს ღმრთისმშობელსა,
უჴორცოთა სიხარულსა,
მორწმუნეთა სიქადულსა,
და რომლისაგან იშვა უფალი, მას ვადიდებდეთ.

ადიდებს სული ჩემი უფალსა 794 (20)
და იხარებდინ
სული[2] ჩემი ღმრთისა მიმართ
მაცხოვრისა ჩემისა,
ლალატ-ყო ღმრთისმშობელმან,
რაჟამს სული წმიდაჲ
ზეცით მივიდა მისა[3]

---

[1] გადადებს. [2] გ სული. [3] მისსა.

* აქვს ნოტაცია.

ჯმაჲ დ გ̃ი, აღიღებლითსა



175 v

და | ძალი მაღლისაჲ აგრილობდა
და მსგავსად მაყულისა
დაიცვა შეუწველად
საღმრთომან ცეცხლმან
უსხეულომან,
რომელი განკაცნა უქცეველად,
ამას ყოველნი
გალობით ვადიდებდეთ.

* **ა**ჰა ესერა ამიერითგან
მნატრიდეს მე
ყოველი თესლები, ვითარცა-იგი
თჳთ იტყოდე, წმიდაო,
შენ, უზეშთაესო
დაბადებულთაო,
რომელსა ზედა ქრისტემან
დაიმკჳდრა[1],
პირველ საუკუნეთა
სიტყუაჲ ღმრთისაჲ შენგან იშვა
ჴორცითა, ყოლად უსძლო[ო]
სძალო,
რომელი განკაცნა უქცეველად,
რომელსა ჩუენ,
ყოველნი, გალობით ვადიდებთ.

საკჳრველ[2] არს ქალწულისაგან 795 (21)
შობაჲ
და უქორწინებელისაგან
ყრმისა წოვნაჲ,
არამედ
ორივე ესე, ქალწულო, შენ
შორის აღესრულა,
რამეთუ
ჰშევ ღმერთი უცვალებელი
ღმრთეებისაგან
და დაუკლებელი
კაცობრივისაგან ბუნებისა
თჳნიერ ცოდვისა.
ამისთჳსცა, ღმრთისა საყდარო,
ჩუენ, ყოველნი,
დაუცხრომელად გადიდებთ.

ჰშუენის ქებაჲ ჩუენ ყოველთა **
მიერ,
რომელი არსებით
უფლება, ერთმთავრობა არს,
შეურევნელი და განუყოფელი,

---

[1] დაიმკუდრა. [2] საკურველ.

* აქედან ამ ღმრთისმშობლისას უზის ოდენ შავი წერტილები. ** აქვს ნოტაცია.



176 г

მარადის თაყუანის-საცე|მელი,
არამედ გუამოვნებით თჳთებით
ცნობილ არ[ს] ჩუენგან,
მამაჲ დაუსაბამოჲ, ძე მხოლოდშობილი
და სული ცხოველ-მყოფელი,
რომელსა ჩუენ, ყოველნი,
დაუცხრომელად ვადიდებთ.

796 (22) **ს**იბრძნემან ღმრთისამან იშენა
თავისა თჳსისა სახლი
ოთხთა მათგან აგებულებათა ნივთიერთა
ქცევალთაგან ბუნებათა —
ჴორცნი უბიწოჲსა სძლისანი
და დაემკჳდრა[1] მას შინა
უნივთოჲ არსებაჲ,
პირველ საუკუნეთა მფლობელი სიტყუაჲ[2];
და იშვა უქცეველად
გარე შეუწერელი ღმრთეებაჲ
ჴორცთა არსებითა,
ვითარცა ინება მოწყალებით
და გამომიჴსნა ჴელთაგან მტერთა ჩუენთაჲსა.
ჴელითა მტკიცითა
და მკლავითა მაღლითა[3] ძლიერმან,
რომლისათჳსცა ღირსად აქებენ
ყოველნი[4] ნათესავნი,
შობილსა
და მშობელსა
დაუცხრომელად ადიდებენ.

საღმრთოთა მათ მქადაგე[ბე]ლთა *
ქადაგებანი საღმრთონი
და იგავნი
დაფარულთა საიდუმლოთანი[5]
საცნაურ იქმნეს ჭეშმარიტად
და აღესრულნეს უქცეველად.

---

[1] დაემკუდრა. [2] სიტყოჲ. [3] მაღლთა. [4] ყ̃ნ. [5] საჲდუმლოთანი.
* აქვს ნოტაცია.



176 v

რამეთუ[1] აჰა ესერა
ღრუბლისაგან ნათლისა
გამოგჳბრწყინდა მზე იგი
სიმართლისაჲ,
აღმომავალი მაღლით —
ქრისტე ღმერთი ქალწულისა
საშოჲსაგან,
მსხდომარეთა ბნელსა
და აჩრდილთა სიკუდილისათა,
რომელმან განმანათლნა
უკუდავებისა ნათლითა
და მშობელი თჳსი
უაღრეს ყო ცასა ცათასა,
რომლისათჳსცა ღირსად
ჰნატრიან
ყოველნი ნათესავნი,
ვითარცა თჳთ იტყოდა,
და სარწმუნოებით ადიდებენ.

797 (23) **ოჰა** ქალწულთა სამკაულო,
ღმრთისმშობელო სანატრელო,
მორწმუნეთა სიქადულო,
მიმადლებულო სძალო,
რომელი მგალობელთა შენთა
შენდობასა მიანიჭებ.
მოვედინ დღეს მადლი შენი
კრებულსა ამას
და შეამკვე დღესასწაული
ღმრთისმეტყუელისაჲ, რომლისა
თანა
დაუცხრომელად გადიდებთ შენ.

პირველ დაწყებისა ჟამთაჲსა 798 (24) *
და შესაქმედ ქუეყანისა
იყავ შენ განსაზღვრებულ
მამისა მიერ დაუსაბამოჲსა
სამკჳდრებელად ძისა თჳსისა,
ქალწულო,
და ჟამთა უკუანაჲსკნელთა
გამოგარჩია შენ ღმერთმან

---

[1] რ.

* №№ 24—32-ში გამოყენებულია მხოლოდ შავი წერტილები.



177 г

ნერგად აღყუავებულად ძირთაგან
  იესესთა ,
და მოვიდა შენ ზედა სული
  წმიდაჲ,
წმიდა ყვნა უბიწონი
კორცნი შენნი, ღმრთისა
  საყდარო,
და აღგაშენა შენ
ტაძრად სულიერად,
სადგურად მომავალისა მეუფისა
და შევიდა შენდა სიწმიდით
  სიტყუაჲ მამისაჲ
და გამოვიდა შენგან
ღმრთეებაჲ უხილავი, კაცება-
  შემოსილი,
ვანცჳბრდების გონებაჲ
და ვერ შეუძლებს ენაჲ ღირსებით
  ქებად შენდა,
არამედ შეიწირე უძლური
  შესხმაჲ, ღმრთისა დედაო,
და მითხოე ჩუენ
ძისა შენისაგან წყალობაჲ.

ვადიდებდეთ მშობელსა, 799 (25)
უგალობდეთ შობილსა,
შობილსა და მშობელსა
განმანათლებელსა სულთა
  ჩუენთასა.

ბუნებათა უაღრეს
ბუნებითა გამოშჩნდი,
ბუნებათა უზეშთაეს
ბუნებითა გჳშევ ჩუენ ღმერთი,
  სწორი მამისაჲ.

გიხაროდენ, ქალწულო 800 (26)
  უბიწო[ო], გიხაროდენ,
ტაკუკო[1] ოქროჲსაო,
სავსეო მანანაჲთა,
რომელსა გიღაღადებდა
ნათან წინაჲსწარმეტყუელი და
ქუეყანად პოხილად გიწოდა,
გიხაროდენ, სძალო წმიდაო,
რომლისაგან მოვიღეთ პირველი
  იგი ცხორებაჲ.

---

[1] ტაკუკო.



177 v

801 (27) **ზ**აკუვითა მტერისაჲთა პირველ-
ქმნული
სამოთხით საშეუ[ბე]ლისაჲთ
მეოტ [ი]ქმნა
და შევარდა ურჩებით ჴელთა
სიკუდილისათა,
ყოვლითურთ ნაშობით მისით,
ხოლო რაჟამს[1] იხილა
უხილავმან შემოქმედმან
ქმნული ჴელთა თჳსთაჲ
უწყალოდ წარტყუენული, აღიძრა
მოწყალებითა
და შჳდთა მათ სამყაროთა[2]
სიმაღლენი
სიბრძნით მოდრიკნა.
და გარდამოჴდა სიბრძნე იგი და
სიტყუაჲ მამისაჲ·
ქუეყანად დაემკჳდრა[3]
სიმდაბლით საშოსა შენსა,
ვითარცა ჯერ-იჩინა,
იშვა ყოველთა ცხორებაჲ შენგან
უთესლოდ, ღმრთისა დედაო,
რომელმან აჴოცა წყევაჲ
პირველი
და მოკლა გუელი მამისა ჩუენისა
მკლველი,
ამისთჳს ჩუენ, მორწმუნენი,
შენ, დედასა,
და შენგან შობილსა ძესა
ერთობით გადიდებთ.

802 (28) **გ**იხაროდენ, მარიამ ღირსო,
ბჭეო ზესკნელს ცათაო,
გიხაროდენ, მორწმუნეთა
ნავთსაყუდელო, რომელმან
გჳშევ ღმერთი, ამისთჳსცა
შენ დაუცხრომელად გადიდებთ.

803 (29) **ყ**ო[ვ]ელი სული ენისა
ორღანოჲთა
ძალთა თანა ზეცისათა
და მგალობელისა დავითის თანა
შესხმით ვღაღადებთ:
ისმინე, ასულო, და იხილე
დიდებაჲ ასულისა
მეუფისაჲ წინაჲთვე.

---

[1] რაჲჟამს. [2] სამყაყაროთა. [3] დაემკუდრა.



178 г

აჰა დღეს სა|შორჲთ შენით
გამ[ო]ბრწყინდა ჴსნაჲ ადამისი.

804 (30) Ⴂიხაროდენ, ქალწულო, მამისა
გამორჩეულო,
სამკჳდრებელო ძისაო
და სადგურო სულისა წმიდისაო,
რომელმან
კაცთა უშევ
მზე სიმართლისაჲ — ქრისტე,
ხარებითა ანგელოზისაჲთა,
რომელი გეტყოდა:
გიხაროდენ, ქალწულო ყოლად
წმიდაო,
შენ მიერ იქმნა ჴსნაჲ კაცთა
ნათესავისაჲ
და გუელი იგი მოშუ[რ]ნე
მოიკლა,
რამეთუ, რაჟამს ამაღლდა ძე
შენი და ღმერთი ჩუენი
ჯუარსა ზედა,
ჯოჯოხეთი შემუსრა ძლიერებით,
სულნი მომწყდარნი
განათავისუფლნა,
მამადმთავარნი
და წინაჲსწარმეტყუელნი,
რომელნი პირველ იტყოდეს
საიდუმლოსა[1] შენთჳს,
და ყოველივე აღესრულა,
ქალწულო, შენ ხარ მშობელი
მეუფისაჲ
და მჴსნელი სულთა ჩუენთაჲ.

805 (31) Ⴀჰა ესერა
გნატრიან შენ დაბადებულნი,
ყოლად ქებულო
ღმრთისმშობელო,
ქალწულთა სიქადულო,
რომელსა გაბრიელ მოგართუა
სიხარული,
ღმრთისა შობაჲ შენგან,
უსძლო[ო],
სიხარულო
მოსავთა შენთა ქრისტეანეთაო,
უბიწო[ო], მეოხ გუეყავ სულთა
ჩუენთათჳს.

806 (32) Ⴃაუდუმებელად გნატრიან
ყოველთა ადამეანთა ენანი,
ვითარცა თჳთ იტყოდე, ღირსო
ნეტარებისაო, ქალწულო,
რამეთუ ყო შენ თანა დიდებული
ძლიერმან

---

[1] საჲდუმლოსა.



178 v

და { შეიწყნარა მან ისრაელი —
მონაჲ თჳსი,
მოჴსენებითა მოწყალებისა
თჳსისაჲთა,
იშვა შენგან, წმიდაო სულიერო
ღმრთი[სა][1] საყდარო,
და იზარდებოდა,
ვითარცა ყრმაჲ ჩჩჳლი[2],
მზრდელი ყოველთაჲ, ღმერთი
საუკუნეთაჲ,
არსებაჲ უხილავი ძალთაგან
ზეცისათა,
თანასწორი მამისაჲ
და თანა-
განმგებელი სულისა წმიდისაჲ.
გიხაროდენ, მარიამ,
შუამდგომელო ღმრთისა და
კაცთაო,
მეოხ[3] გუეყა[ვ], წმიდაო, წინაშე
ღმრთისა,
რომელი ჰშევ შენ,
გჳთხოვე ჩუენ მოტევებაჲ
ცოდვათა ჩუენთაჲ.

807 (33) **მ**თავარი იგი ზეცისა
ანგელოზთაჲ გაბრიელ
გამოგ[ი]ჩნდა შენ ბრწყინვალედ:
უბიწო[ო] ქალწულო,
რომელმანცა გახარა მჴ[ს]ნელი·
დაბადებულთაჲ,
და შენგან იშვა სიხარული
ყოველთაჲ[4],
მას ევედრე, მარიამ, ცხორებად:
სულთა ჩუენთათჳს,
რომელნი სიხარულით
დაუცხრომელად გადიდებთ შენ.

ადიდებენი

ადიდე[ბ]ს სული ჩემი უფალსა 808 (1)
და იხ*[არებდინ]...

აჰა ესერა ამიერითგან გნატრიან 809 (2)
შენ ყოველნი ნათესავნი,**
ღმრთისა დედაო, ღირსად:
სანატრელო წმიდაო
დედოფალო, ნაშობო ადამ
პირველისაო, დედაო ადამ
მეორისაო და ნაშობო

---

[1] ღ˝თი. [2] ჩჩული. [3] მეოხე. [4] „და შენგან... ყოველთაჲ“ სხვა ხელითაა ჩამატებული სტრიქონებს შორის.

* შენიშვნა აქვს სინგურით: ესე უკუანეთ სწერია. იხ. № 794 ძლისპირი.

** არ აქვს რიტმული დაყოფის წერტილები და ნევმები მონაკვეთს ამ გვერდზე.



179 r

მიწისაგანისაო და მშობელო
  ანგელოზ[თ]ა შემოქმედისაო,
რომელმან გჳშევ ღმერთი,
  უხილავთა შემოქმედი,
რომელსა ყოველნი გალობით
  შევასხამთ.

810 (3) ყო სიმტკიცითა მკლავისა
  თჳსისაჲთა,
ღმერთმან უსხეულომან
  გამოაცხადა თჳსი იგი
  სიყუარული,
რომელი აქუნდა ჩუენდა მომართ
და გამოჩნდა[1]*
მადლი მისი მაცხოვრად სოფლისა,
  სათნო-იყო
შენგან განკაცებაჲ, უბიწო[ო]
  სძალო, და შენგან იშვა უფალი
დიდებისაჲ სიმდაბლით, მონისა
  ხატითა, ღმერთი [გარე-]
  შეუწერელი,
ამას ყოველნი გალობ[ით
  შევასხამთ].

შეიწყნარა ისრაელი მონაჲ 811 (4)
  თჳსი შენგან ჴორცთ-შესხმითა,
  ღმრთისა დედაო,
რამეთუ ჩუენთჳს დაგლახაკნა
  მდიდარი, რომლისა
  სავსებისაგან მოვიღეთ მადლი
მადლისა წილ, შენ ხარ კარავი
  აბრაჰამის გამოსახული,
და კიბე იაკობის ხილული, შენ
  ხარ მაყუალი მოსეს
  მოსწავებული,
და კუერთხი აჰრონის
  გამოსახული, რომელმან გჳშევ
  ღმერთი, რომელსა ყოველნი
  გალობით შევასხამთ.

კურთხეულ არს უფალი ღმერთი 812 (5)
  ისრაელისაჲ, რომლისათჳსცა
ღაღატ-ყო იოვანე: ესე არს,
  რომლისათჳსცა მე
ვთქუ: კრავი ღმრთისაჲ და ძე
  მაღლისაჲ,

---

[1] გამოჩ̃ნდა.

* არ აქვს ნევმები. რიტმული დაყოფისათვის თითო წერტილია გამოყენებული.



179 v

რომელი შეიწირვის მამისა და იზიარებს ადამეანთა
უკუდავსა მას ცხორებასა; ესე არს, რომელი წმიდა
ჰყოფს მორწმუნეთა წყლითა და
სულითა წმიდითა, ამ[ას
ყოველნი გალობით შევასხამთ].

813 (6) ვითარცა იტყოდა პირითა წმიდათაჲთა
საუკუნითგან წინაჲსწარმეტყუელთა თჳსთაჲთა: იშვა შენგან ღმერთი ჴორცითა,
უბიწო[ო], შენ ხარ კიდობანი დავითის ხილული
და ყუავილი სოლომონის მოსწავებული,
შენ ხარ ბჭე ეზეკიელის ხილული
და მთაჲ წმიდაჲ დანიელის გამოკუეთილი, შენ ხარ საწმისი გედეონის ხილული,
და ქუეყანაჲ იობის[1] გამოსახული,
რომელმან გჳშევ ღმერთი გამოუკულეველი,
ამას ყოველნი გალობით შევასხმიდეთ.

ადიდებდ, ღირსო, მაღალსა 814 (7)
მეუფესა, მპყრობელსა ყოველთავე არსთასა[2],
რაჟამს[3] სათნო-იჩინა
მოსლვაჲ ზეც[ი]თ და
დამკჳდრებაჲ[4] საშოსა შენსა.

აჰა ესერა, ქალწულო, ა
განატრიან ყოველნი ენანი და შეგასხმენ,
რამეთუ მოიხილა მაღალმან ქრისტემან
და სათნო-იყო სიკეთე შენი.

ჵო სიმტკიცითა ძლიერმან ბ
განბნევაჲ ულმრთოთაჲ
წინაშე პირსა მისსა,
ხოლო ჩუენ, მორწმუნენი,
განგუაძლიერნა და სათნო-იყო სიკეთე შენი.

შეიწყნარე შენ, ქალწულო, გ
ხარებაჲ სიხარულისაჲ
სასმენელთა სიწმიდით,
დაღაცათუ გურ[ი]დი მოკითხვასა მას, ხოლო გფარვიდა ძალი მაღლისაჲ*...

---

[1] იობის+ ხ. [2] არსთასათასა. [3] რაჲჟამს. [4] დამკუდრებაჲ.

* აქ ტექსტი წყდება.



180 r

მოიხილესა ჴმაჲ ბ*

815 (1) Eu 49 β′ ჴუალად იესო განკაცნა
საიდუმლოდ[1],
იხარებდინ დღეს ცანი
და იშუებდინ ქუეყანაჲ,
რამეთუ მომატყუებელ არს
ესე ზეცისა ბრწყინვალებასა.

უბიწო[ო] ქალწულო, ევედრე
[მას],
რომელი ჰშევ ღმერთი და
ყოველთა შემოქმედი,
რაჲთა[2] მიჴსნენ ვნებათაგან
მორწმუნენი.

816 (2) ** ემბაზ ექმნა მოსეს
კიდობანი იგი,
რომელი სცვიდა მწყურნებთა
შინა ზღჳსათა
და დაცვულ იქმნა იგი
ღმრთისა მიერ მაღლისა;
და არა ეუფლა მას მოკლვად
მახჳლი[2] ფარაოსი,
რამეთუ განმზადებუ[ლ] ყო
მწყსად
ერსა ისრაელისასა
და მოასწავა მოქცევაჲ და თქუა:
იხარებდით წარმართნი
ერთა თანა ზეცისათა
გამოჴსნილნი სა[ც]თურისაგან.

განძლიერდასა

რომელი პირველ ბერწ იყო 817 (1)
წარმართთა ეკლესია,
უფროჲსად შვილ-მრავალ იქმნა
წყლითა და სალმრთოჲთა
სისხლითა
და დაემტკ[ი]ცა საფუძველსა
ზედა
ქრისტეს სარწმუნოებისასა
და სიხარულით შვილთა თანა

---

[1] საჲდუმლოდ. [2] რ῀ლთა. [3] მახჳლი.

* უძლვის შენიშვნა: „ესე ძლისპირნი დამრჩომოდეს, აქა, წინა დავწერენ. მოცთომისათჳს შემინდვეთ“

** მხოლოდ ძლისპირია.



180 v

მას მხოლოსა უღაღადებს:
არავინ[1] არს წმიდაჲ
შენებრ, კაცთ-მოყუარე უფალო.

რომელი პირველ უდედოდ
იშვა გამოუთქუმელად[2]
უხილავისაგან მამისა,
მხოლოდ-შობილი სიტყუაჲ
ღმრთისაჲ
აღსასრულსა ჟამთასა შენგან იშვა
უმამოდ, დედაო უსძლო[ო],
მხოლოჲ ორითა ბუნებითა,
რომელსა უღაღადებთ:
არავინ[3] არს წმიდაჲ
შენებრ, კაცთ-მოყუარე უფალო.

818 (2) **რ**ომელმან პირველ
კლდისაგან მყარისა
აღმოუცენა წყაროჲ ისრაელთა
ერსა
და მოესწავებოდა სახე
ეკლესიისაჲ*,
რომელსა შინა ჩუენ, მორწმუნენი,
საღმრთოჲთა გალობითა
შევამკობთ,
რამეთუ არავინ[4] არს წმიდაჲ
შენსა გარეშე, უფალო.

რომელმან მუცლად-იღე **
სიტყუაჲ ღმრთისაჲ
ხარებითა მთავარანგელოზისაჲთა
და გჳშევ უმაღლესი ყოველთა
მთავრობათაჲ,
შემოქმედი ცათა და ქუეყანისაჲ,
დამბადებელი ანგელოზთაჲ
და ყოველთა ადამეანთაჲ,
მისა მიმართ მეოხ გუეყავ ჩუენ.

უფალო მესმასა

საშინელი საიდუმლოჲ[5], 819 (1)$_{13}$***
ქალწულისაგან
ჴორცთა შესხმაჲ შენი, ქრისტე,
კაცთა ჴსნისათჳს,
რაჟამს ეუწყა ამბაკუმს,
განჴრვებულმან[6]
ღმრთისმეტყუელებით
ჭე[შ]მარიტად ღაღატ-ყო;
მოხუედ მაცხოვრად
ერისა შენისა, სახიერ,
და ჴსნად ცხებულთა,

---

[1] არაჲვინ. [2] გამთქმლად. [3] არაჲ. [4] არაჲვინ. [5] საჲდუმლოჲ. [6] განჴურვებულმან.

* აქედან ძლისპირს აქვს მხოლოდ შავი წერტილები, აღარ აქვს ნოტაცია. ** აქვს ნევმები.

*** III ციფრი გამორჩენილი ძლისპირებისა აგრძელებს შესაბამისი გალობის ძლისპირების ნუმერაციას.

ჴმაჲ ბ, ლამითგანსა—ლალატყავსა



181 г

რომელნი სიხა|რულით
იტყვან[1]:
მალსა შენსა დიდებაჲ, უფალო
კაცთ-მოყუარე.

საშინელი საიდუმლოჲ[2]
უთესლოდ მუცლადღებისა შენისაჲ, ქალწულო,
კაცთა ჴსნისათვს,
რაჟამს იხილა ამბაკუმ,
განცხადებულად ღაღატ-ყო:
მზჱ ამაღლდა და
მთოვარე დადგა წესსა ზედა
თვსსა;
შენგან იშვა,
ღირსო, მზე სიმართლისაჲ
ჴორცითა
და ქალწულებაჲ შენი დაიცვა
ქალწულად, ვითარცა პირველ
შობისა.

* ღამითგანსა

830 (1)$_{13}$ **გ**ანმანათლებელო
დაბადებულთაო
და მაცხოვარო განწირულთაო,
ქრისტე მაცხოარ,
შენდა ალვიმსთობთ,
მეუფეო საუკუნეო,
განგუანათლენ ჩუენ
ნათლითა შენითა,
რამეთუ სხუაჲ ღმერთი ჩუენ არა[3]
ვიცით.

821 (2)$_{14}$ **ნ**ათლისაგან მამისა
გამოჰბრწყინდი, ქრისტე,
შეუხებელი ნათელი
და კუალად ქალწულისაგან
დედისა
იშევ ჴორცითა
მზე სიმართლისაჲ,
რომელმან განაქარვე ბნელი
უმეცრებისაჲ
და განათლებულნი ღაღადებენ:
მშვდობაჲ[4] შენი მომეც,
უფალო კაცთ-მოყუარე.

ღაღატყავსა

822 (1)$_{12}$ **შ**ფსკრულსა ბრალთა ჩემთა
სიღრმისასა
შთავრდომილ[5] ვარ ურჩებითა
ჩემითა
და ჰნებავს შთანთქმაჲ ჩემი
უწყალოდ

---

[1] იტყუიან. [2] ს˜დლოჲ. [3] არაჲ. [4] მშუდობაჲ. [5] შთავრდრომილ.
* „ღამითგანსა“ მხოლოდ ძლისპირებითაა წარმოდგენილი.



181 v

მკეცსა მას ბო|როტად
წარმწყმედელსა,
არამედ შენდა მოვილტი, ქრისტე,
ცხორებისა ნავთსაყუდელო,
და მსგავსად იონაჲსა გღაღადებ:
აღმოიყვანე განხრწნისაგან
ცხორებაჲ ჩემი, სახიერ
და მაცხოვნე, კაცთ-მოყუარე.

უწმიდესსა წმიდათასა მარიამს,
უვრცელესსა ცათასა
ღმრთისმშობელსა
და უაღრესსა ქერაბინთასა,
ეტლსა და საყდარსა ღმრთისასა,
განმაქარვებელსა წყევისასა
და უხუებით მომატყუე[ბე]ლსა
საუკუნოჲსა მის კურთხევისასა
უგალობენ ზეცისა გუნდნი
და მათ თანავე აქებენ
ერთობით მკჳდრნი[1] ქუეყანისანი.

კურთხეულარსა

სამებით სამთა ყრმათა
ბაბილონს 823 (1)11:
სამებაჲ გამოსახეს
და ალი ცეცხლისაჲ ცუარად·
შ[ე]ცვალეს,
რამეთუ ფრთისა შენისაგან
მაგრილობელად აქუნდა
მხოლოდ-შობილი· სიტყუაჲ
ღმრთისაჲ
და, ვითარცა ერთისა პირითა,
მას მხოლოსა უღაღადებდეს:
ღმერთო საუკუნეთა მფლობელო,.
კურთხეულ ხარ შენ საუკუნითგან·
უკუნისამდე:

სარწმუნოებ[ით] აღვიარებთ
ჩუენ
ერთობით მორწმუნენი
სამებასა დაუბადებელსა,
გამოუთქუმელსა და
მიუწდომელსა,
სამგუამოვნად ცნობილსა

---

[1] მკუდრნი.



182 г

და ერთარსებით ¦ დიდებულსა,
მამასა ძით და სულით
წმიდითურთ
ყრმათა თანა ღმრთისმეტყუელთა
ულალადებთ:
ღმერთო, საუკუნეთა მფლობელო,
[კურთხეულ ხარ შენ
საუკუნითგან უკუნისამდე].

ადიდებდითსა

824 $(1)_{26}$ **შ**ენ, საცნაურსა და
სულიერსა კიბესა,
რომელსა ღმერთი[1] ჩუენი
დამკვდრებულ[2] არს,
შენ მიერ ღირს ვიქმნენით
აღსლვად სასუფეველსა,
ამისთჳს, ღმრთისმშობელო,
გალობით გადიდებთ.

შენ, უბიწოსა
ღრუბელსა ნათლისასა,
რომლისაგან გამობრწყინდა მზე
სიმართლისაჲ —
ქრისტე ღმერთი ჩუენი,
ამისთჳს, სძალო ღმრთისაო,
ყოველნი მორწმუნენი გალობით
გადიდებთ.

შენ გადიდებთ, 825 $(2)_{26}$
ღმრთისმშობელო, უსძლო[ო]
სძალო,
მშობელო ცათა დაუტევნელისაო,
რომელი მოვიდა ჩუენდა
და ჯუარსა ზედა ამაღლდა
მხოლოჲ, რომელმან ყო ცხორებაჲ
შორის ქუეყანასა.

შენ გადიდებთ,
ღმრთისმშობელო უსძლო[ო],
მშობელო ცათა დაუტევნელისაო,
მიზეზო კაცთა ჴსნისაო,
გიხაროდენ, სიხარულო,
მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათჳს.

სიტყუაჲ დაუსაბამოჲ, 826 $(3)_{27}$*
არსებაჲ დაუბადებელი,
ყოველთავე არსთა სიბრძნით
დამბადებელი,
შობილი ღმრთეებით მამისაგან
აღსასრულსა ჟამთასა
დაებადა ჴორცითა

---

[1] ღ˜ჲ. [2] დამკუდრებულ.
* არ ახლავს ღმრთისმშობლისა



182 v

სა|შოსა შენსა, უსძლო[ო],
რომელსა შინა მი[ი]ღო
დაწყებაჲ კაცთა არსებისაჲ
და შეა[ე]რთა ყოვლითურთ[1]
ღმრთეებასა შეურწყმელად,
ამისთჳს ყოველი მეტყუელებაჲ,
ღმრთისმშობელო, გადიდებს.

უგალობდითსა ჴმაჲ გ*

827 (1)$_{10}$ Eu 104 *α′* **მ**კლავითა მით მაღლითა განარინე
ერი ისრაელთაჲ, კაცთ-მოყუარე,
და დაანთქ ფარაო
ზღუასა მეწამულსა ძლიერებით.

მკლავთა ზედა იტჳრთე[2]
უბიწო[ო],
რომელსა უტჳრთვან[3] ყოველნი
ნათესავნი სიტყჳთა[4] ძლიერებისა
თჳსისაჲთა.

828 (2)$_{11}$ Eu 111 *α′* **უ**გალობდეთ უფალსა,
·რომელმან ყო სასწაულთა ნიშები
ზღუასა მეწამულსა,
რამეთუ სიღრმესა დაანთქა·
წინააღმდგომი თჳსი
და იჴსნა ისრაელი,
მას მხოლოსა უგალობდეთ,
რომელიცა დიდებულ არს:.

გიგალობთ შენ, ქალწულო·
უბიწო[ო],
რომელმან გჳშევ ცათა·
დაუტევნელი;
აღემატა ქებაჲ შენი· ცნობათა·
ჩუენთა,
არამედ შეიწირე ვედრებაჲ
ჩუენი
და შენმიერი შეწევნაჲ
გარდამოგჳვლინე[5]:.

მოიხილესა

ვითარცა წჳმაჲ[6] მწუანვილსა·
ზედა 829 (1)$_{8}$** Eu 114 *β′*

---

[1] ყოვლითკრთ. [2] იტურთე. [3] უტურთკან. [4] სიტყუითა. [5] გარდამოგუელინე. [6] წუიმაჲ

* მინაწერი: ამისა მწერალსა შ˜ნ ღ˜ნ.

** მხოლოდ ძლისპირია.



183 r

და ვითარცა ცუარი ზედა თივასა,
გარდამოედინ
ქუეყანად სიტყუანი ჩემნი.

830 **ღ**მრთის-მხილველმან მოსე
(2)$_9$ პირველ იხილა სახე ქალწულისაჲ
მაყლოვანსა მას შინა,
ვითარ-იგი მაყუალი უვნებელად
ცეცხლისაგან,
ეგრეთვე დაიცვა ქალწულებაჲ
უვნებელად
შობასა.

ღრუბლითა საღმრთოჲსა მის
ცუარისა
მტჳრთველსა[1] უბიწოებით
მოჰყვანდა წიალითა
დაუტევნელი ქერაბინთაჲ,
რომელსა უტჳრ[თ]ვან
წამისყოფითა ყოლად უბიწოჲსა
ქალწულისაჲთა.

განძლიერდასა

831 **მ**შჳლდები[2] მტერთაჲ შეჰმუსრე[3]
(1)$_9$ მკლავითა მაღლითა, ქრისტე[4],
და უძლურნი ძალითა
განაძლიერენ
მგალობლად შენდამი,
არავინ[5] არს
წმიდაჲ შენებრ, კაცთ-მოყუარე[6]. .

ქალწულისაგან მიიხუენ
კორცნი,
ქრისტე მაცხოვარო ჩუენო[7],
რაჲთა მიზიარნე[8] ბუნებანი[9]
ღმრთეებასა
შენსა
და დაჰგლახაკენ ჩუენთჳს,
რაჲთა განამდიდრო
სიგლახაკე ჩუენი, წმიდა ხარ შენ
უფალო[10].

არავინ[11] არს წმიდაჲ შენებრ*,. 832'
კაცთ-მოყუარე, (2)$_{10}$
რომელმან აღამაღლე რქაჲ
ქრისტეანეთაჲ,
დაამტკიცე ეკლესიაჲ კლდესა
ზედა
და მას შინა წარმართნი
შემოკრბენ,
რომელნი ესრეთ ჴმობენ: არავინ[12]
არს წმიდაჲ შენებრ, კაცთ-მოყუარე.

განძლიერდი, სულო ჩემო, 833'
უფლისა მიმართ ღმრთისა (3)$_{11}$
და მისა მიმართ ღაღადებდ: Eu 102 γ'
არავინ არს წმიდაჲ შენებრ,.
კაცთ-მოყუარე.

---

[1] მტურთველსა. [2] მშულდები. [3] შეჰმოსრე. [4] მაღლითა ქრისტე (სტრიქონს ზემოთ სხვა ხელით). [5] არაჲვინ. [6] შენებრ კაცთ-მოყუარე (სხვა ხელით). [7] მცხრო ჩ-ნო (სხვა გვიანდელი ხელით). [8] მიზიარნე (სხვა ხელით). [9] „ბუნებანი“ წაშლილია. [10] ოო+ლო (სხვა ხელით). [11-12] არაჲვინ.

* მხოლოდ ძლისპირია. არ აქვს ნევმები და წითელი წერტილები.



183 v

Განჴორციელდა შენგან, სძალო,
სიტყუაჲ ღმრთისაჲ უქცეველად
და დაგიცვა შენ უბიწოდ
შემდგომად შობისა, ყოლად
უბიწო[ო].

უფალო მესმასა

834 $(1)_{10}$ Eu 108 ბ' ἀλλ.ος **Მ**თაჲ, რომელი იხილა პირველ
ჩრდილოჲთ ამბაკუმ და ღალატ-
ყო
შენთჳს ქალწულო:
თემანით მოვიდეს მჴსნელი
და წმიდაჲ იგი მთით ჩრდილოჲთ
მაღნართაჲთ,
რამეთუ საშოჲსა შენისაგან
შეიმოსა კაცებაჲ
სიტყუამან ღმრთისამან
ჴსნისათჳს ჩუენისა.

Შენთჳს ღაღადებდა ამბაკუმ
პირველვე,
ვითარმედ: მზე ამაღლდა და
მთოვარე
დადგა წესსა თჳსსა,
რამეთუ ქალწულადვე
ეგე, რომელმან მოეც
მორწმუნეთა ცხორებაჲ
საუკუნოჲ და პირველი
ნეტარებაჲ.

835 $(2)_{11}$ * Eu 108 ბ' **Წ**ინაჲსწარ ღალატ-ყო
წინაჲსწარმეტყუელმან შენმან
ამბაკუმ
საიდუმლოჲ[1] იგი
განკაცებისა შენისაჲ,
რომელი აჩუენე ჩუენ
ცოდვილთათჳს,
რამეთუ დასდევ
წყალობით სიყუარული მტკიცე[2]
და ზეცით სიმდაბლით
გარდამოჰჴედ,
რაჲთა ჩუენ გამომიჴსნე
მადიდებელად ძალსა შენსა.

ღამითგანსა

836 $(1)_{19}$ **Ნ**ათელი შენი წარუვალი, ქრისტე,
გამოაბრწყინვე ჩუენ ზედა
და წარუძღუ სულთა ჩუენთა
ალაგსა
მცნებათა შენთასა,
რამეთუ ნათელ არიან
ბრძანებანი შენნი.

---

[1] ს˜დლოჲ. [2] მტკიცი.

* მხოლოდ ძლისპირია. არ ახლავს ნევმები. წითელი წერტილი ერთადერთ შემთხვევაშია გამოყენებული.



184 г

* **ნ**ათელი და ცხორებაჲ, უფალი
გამოვიდა შენგან, სძალო,
რომელმან განანათლნა
მსხდომარენი ბნელსა
და მიმიძღუა ნათელსა
ჭეშმარიტსა.

ღაღატყავსა

837 (1)$_{10}$ **ს**იღრმენი ვნებათანი
Eu და ღელვაჲ ქართა ცოდვისათა
104 ε' განძვნდეს[1] ჩემ ზედა,
არამედ შემეწიე
და მიჴსენ, მაცხოვარო,
ვითარცა იჴსენ იონა
სიღრმეთაგან.

სამებაჲ ერთარსებაჲ
ერთარსებით მოგუესწავა
თაყუანის-საცემელად,
რამეთუ ერთღმრთეება არს,
ხოლო ჩუენ
არიოზს და ნისტორს,
საბელიოზს და პეტროზს
შევაჩუ[ენ]ებთ ყოველნი.

აკურთხევდითსა

ცანი უთხრობენ 838
ქმნულსა ჴელთა შენთასა, უფალო, (1)$_{17}$
და მნათობნი ჰმსახურებენ
ჴელმწიფებით
წამისყოფასა შენსა,
და კიდენი სოფლისანი
მათ თანავე
გაკურთხევენ შენ, კაცთ-მოყუარე.

ცათა და ქუეყანისა
და ქუესკნელთა მპყრობელი
მეუფე
საუკუნოჲ, არსება-დაუბადებელი
სამებაჲ აღვიაროთ, მორწმუნენო,
და ავამაღლებდეთ მას აწ და
უკუნისამდე.

აქუნდა სამთა მათ 839
ყრმათა ღმერთ-შემოსილთა (2)$_{14}$
ცეცხლი საღმრთოჲსა შურისაჲ

---

[1] განძუნდეს.

* ღმრთისმშობლისასთან მხოლოდ შავი წერტილებია.



184 v

გონებასა
და მით მძლე ექმნეს
ალსა აგზებულსა
საჴუმილისასა,
სიხარულით ჴმა-ყვეს:
ღმერთო, ყოველთა მჴსნელო,
აგამაღლებთ შენ.

Აღვიარებთ შენ
მორწმუნენი ერთობით
ერთარსებასა დაუბადებელსა
სამებისასა,
რომლისა სუფევისა[1]
არა არს საზღვარ,
მართლმადიდებლობით
თაყუანის-ვსცემთ მას და ქებით
ავამაღლებთ.

ადიდებდითსა

840 **Გ**იხაროდენსა
(1)$_{22}$ შენდამი ყოველნი ვიტყვთ[2],
ღმრთისმშობელო ყოლად
უბიწო[ო],
რამეთუ რომელი-იგი შევ შენ ძე,
განხეთქნა ჯოჯოხეთისა
საკრველნი,
აღდგა, მაცხოვენნ[ა] ჩუენ
ქრისტემან
კაცთ-მოყუარემან.

Გიხაროდენ, 841
შენ, ღრუბელო სულმცირეო*, (2)$_{23}$
გიხაროდენ მარიამ, ბჭეო ცათაო,
გიხაროდენ, საყდარო მაღლისაო,
რომელსა გიტჳრთავს[3] ცუარი
ღრუბლითა
და მოგაქვს ნაყოფი სიმართლისაჲ,
რომელმან აჴოცა წყევაჲ იგი
პირველისა ძელისაჲ
შენგან შობილმან, გიხაროდენ,
მარიამ,
ბჭეო ცათაო, მეოხ გუეყავ ჩუენ.

ადიდენნი** ჴმაჲ დ

Ადიდებს სული ჩემი უფალსა 842 (1)
და იხარებდინ გული ჩემი
ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა
ჩემისა, —
ამას ყოლად[4] უბიწოჲ ქალწული
სიხარულით ღაღადებდა:
აჰა ესერა ამიერითგან მნატრიდენ
მე

---

[1] სფისა. [2] ვიტყუით. [3] გიტურთავს. [4] ყოლდ.

* მხოლოდ პირველ სტრიქონზე აქვს წითელი წერტილი და სანოტო ნიშნები, სხვაგან მხოლოდ შავი წერტილებია. ** მხოლოდ ძლისპირებია.



185 r

ყოველ¦ნი ნათესავნი,
რამეთუ ყო ჩემ თანა
ძლიერმან დიდებული
და წმიდა არს
სახელი მისი
და აწ ყოველნი ნათესავნი,
ვითარცა თჳთ იტყოდა,
დედასა მჴსნელთასა ადიდებენ.

843 (2) ადიდე, ქრისტე, მშობელი შენი
უფროჲს ყოველთა ნათესავთა
ადამისთა,
რაჟამს მისგან სათნო-იყავ
ჴორცთა შესხმაჲ
მჴსნელმან და უფალმან
დაბადებულთამან,
გალობით გადიდებთ.

844 (3) აჰა ესერა
აჴიერითგან მნატრიდეს მე
ყოველი თესლები, —
თქუა ქალწულმან,
რაჟამს ანგელოზისაგან ესმა
სიტყუაჲ,
ეტყოდა რაჲ: გიხაროდენ,
შენდა მოვალს
ცათა დაუტევნელი.

